ბრემ სტოკერი

დრაკულა

ჯონათან ჰარკერის დღიური

(სტენოგრაფიული ჩანაწერი)

3 მაისი. ბისტრიცა.

მიუნხენი 1-ელ მაისს, საღამოს 8 საათსა და 35 წუთზე დავტოვე და ვენაში მეორე დღეს, დილით ადრე ჩავედი; 6 საათსა და 46 წუთზე უნდა ჩავსულიყავი, მაგრამ მატარებელმა ერთი საათით დაიგვიანა. ბუდაპეშტი, მე მგონი, საოცრად ლამაზი ქალაქია; ყოველ შემთხვევაში, ვაგონის ფანჯრიდან დანახულმა ხედებმა და ქუჩებში მცირე გასეირნებამ ჩემზე ასეთი შთაბეჭდილება დატოვა. მეშინოდა, ვაგზალს დიდად არ დავშორებოდი. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს დასავლეთი დავტოვეთ და აღმოსავლეთში აღმოვჩნდით, ხოლო დუნაის შესანიშნავი ხიდებიდან ყველაზე დასავლეთით მდებარემ, სადაც მდინარე ძალზე განიერი და ღრმაა, შემახსენა, რომ თურქეთის მმართველობას მივუახლოვდით. დროულად გამოვედით და კლაუზენბურგში ნაშუაღამევს ჩავაღწიეთ. ღამის გასათევად სასტუმრო „როიალში“ გავჩერდი. სადილზე, ან უფრო სწორად, ვახშამზე წითელი წიწაკით რაღაც ორიგინალურად შეკაზმული წიწილა მომიტანეს - მშვენიერი კერძი, თუმცა ძლიერ მომაწყურა.

(შენიშვნა: რეცეპტი აუცილებლად უნდა ჩავიწერო მინასთვის).

იმ დასკვნამდე მივედი, რომ როგორი მწირიც უნდა ყოფილიყო ჩემი განსწავლულობა გერმანულ ენაში, მან მაინც დიდი სამსახური გამიწია. არ ვიცი, მის გარეშე რა მეშველებოდა. ლონდონში ჩემი უკანასკნელი ყოფნის დროს თავისუფალი დროით ვისარგებლე და

ბრიტანეთის მუზეუმს ვეწვიე, სადაც ტრანსილვანიის ბიბლიოგრაფიული განყოფილების წიგნებსა და ატლასებში ვიქექებოდი; ვფიქრობდი, რომ შემდგომ, ამ ქვეყნის მაგნატებთან ჩემი ურთიერთობისას შესაძლოა, ყველა წვრილმანი გამომდგომოდა. გავარკვიე, რომ ოლქი, რომელიც მე მაინტერესებდა, ქვეყნის უკიდურეს აღმოსავლეთში მდებარეობდა, სამი ოლქის - ტრანსილვანიის, მოლდავეთისა და ბუკოვინის შესაყარზე, კარპატების მთებს შორის; დავრწმუნდი, რომ ეს ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ველური და ნაკლებად ცნობილი ნაწილია და ვერავითარი გეოგრაფიული რუკა და სხვა წყარო ვერ დამეხმარებოდა „დრაკულას ციხესიმაგრის“ ადგილმდებარეობის დადგენაში, რადგანაც დღემდე არ არსებობს ამ ოლქის დეტალური გეოგრაფიული რუკა, მაგრამ მაინც მოვახერხე დამედგინა, რომ გრაფ დრაკულას მიერ მოხსენიებული საფოსტო ქალაქი ბისტრიცა ნამდვილად არსებობს. აქ რაღაც შენიშვნებზე გავამახვილებ ყურადღებას, რათა შემდგომ, როდესაც მინას ვუამბობ ამ მხარეში ჩემი მოგზაურობის შესახებ, მეხსიერებაში სრულად აღვადგინო ჩემ მიერ ნანახი. ტრანსილვანია დასახლებულია ოთხი სხვადასხვა მოდგმის ხალხით. აქ ცხოვრობენ: საქსონელები - ჩრდილოეთით, ვლახები - სამხრეთით, მადიარები - დასავლეთით და სეკლერები - აღმოსავლეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით. მე ამ უკანასკნელთა შორის ვარ. ისინი ამტკიცებენ, რომ ატილასა და ჰუნების შთამომავლები არიან. შესაძლოა, ასეც არის, რადგან ხი საუკუნეში, როდესაც მადიარებმა ეს ქვეყანა დაიპყრეს, იგი მთლიანად ჰუნებით იყო დასახლებული.

სადღაც ამოვიკითხე, რომ კარპატების მთებში შეიქმნა მთელი მსოფლიოს ცრუმორწმუნეობრივი გადმოცემები და ლეგენდები, რომ თითქოს აქ არის ბობოქარი ფანტაზიის ცენტრი; თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ აქ ძალიან საინტერესო თავგადასავლები მელის.

(შენიშვნა: გრაფს უნდა ვკითხო ამის შესახებ).

ცუდად მეძინა, თუმცა საკმაოდ მოხერხებული საწოლი მქონდა; რაღაც საშინელ სიზმრებს ვხედავდი. მთელი ღამე ჩემს ფანჯარასთან ძაღლი ყმუოდა, რამაც შესაძლოა გავლენა იქონია კიდეც ამ სიზმრებზე, ანდა შეიძლება ყველაფერი „პაპრიკას“ ბრალია, რადგან, თუმცა კი მთელი გრაფინი წყალი დავლიე, წყურვილი მაინც ვერ დავიოკე. გამთენიისას, როგორც ჩანს, ღრმად ჩამეძინა, რადგანაც ჩემს გასაღვიძებლად ნახევარი საათი გაშმაგებით აკაკუნებდნენ კარზე. საუზმედ ისევ „პაპრიკა“ მომართვეს, შემდეგ სიმინდის ფქვილის განსაკუთრებული შეჭამანდი, ეგრეთ წოდებული „მამალიგა“ და კვერცხისმაგვარი ნაყოფები - დემიანკა, წვრილად დაკეპილი ხორცით გამოტენილი - მშვენიერი კერძი, რასაც „იმპლეტატა“ ეწოდება.

(შენიშვნა: ეს რეცეპტიც აუცილებლად უნდა მოვიპოვო).

სწრაფად უნდა მესაუზმა, რადგან მატარებელი მალე გავიდოდა - 8 საათამდე რამდენიმე წუთით ადრე; უფრო სწორად, ამ დროს უნდა გასულიყო, მაგრამ როცა სადგურში 7 საათსა და 30 წუთზე მივირბინე და ვაგონში ჩავჯექი, გაირკვა, რომ მატარებელი ცხრის ნახევრამდე არ დაიძვრებოდა. ჩემი აზრით, რაც უფრო აღმოსავლეთით მივიწევთ, მით უფრო არაპუნქტუალურები ხდებიან მატარებლები. წარმომიდგენია, რა ხდება ამ მხრივ ჩინეთში...

მთელი მომდევნო დღის მანძილზე ბუნების ლამაზი სურათების ცქერით ვტკბებოდი, რომლებიც ჩვენს თვალწინ ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. გზაზე ხან პატარა ქალაქები და ციცაბო ფერდობებზე შეფენილი ციხესიმაგრეები გვხვდებოდა, რომლებიც ძალზე ჰგავდნენ წმინდა წერილის ძველი წიგნების გრავიურებს, ხან ბობოქარი

ნაკადულები და მდინარეები, ქვის თეთრი ნაპირები არშიებივით რომ ჰქონდათ შემოვლებული. ყოველ სადგურზე ნაირფერად ჩაცმულ ხალხის მასას მოეყარა თავი.

საღამოს, ბოლოს და ბოლოს, ბისტრიცამდე ჩავაღწიეთ. იგი ძალზესაინტერესო ძველი ქალაქი აღმოჩნდა.

გრაფმა დრაკულამ თავის წერილებში სასტუმრო „ოქროს გვირგვინი“ მირჩია. იგი, ჩემდა სასიხარულოდ, ძველებურ სტილში ნაგები აღმოჩნდა; ჩემი დიდი სურვილი გახლდათ მენახა ყველაფერი, რასაც შეეძლო სწორი წარმოდგენა შეექმნა ჩემთვის ქვეყნის შესახებ. აქ, როგორც ჩანდა, მელოდნენ, რადგან კარიდან მხიარული შესახედაობის ხნიერიქალბატონი გამომეგება, რომელიც ჩვეულ ეროვნულ კოსტიუმში გამოწყობილიყო: თეთრი ქვედატანი ფერადი შალის ქსოვილის ორმაგი გრძელი წინსაფრით. როცა მივუახლოვდი, თავი დამიკრა და მკითხა: „ბატონი ინგლისელი ბრძანდებით?“ „დიახ, - ვუპასუხე მე, - ჯონათან ჰარკერი“. ქალმა გაიღიმა და რაღაც უთხრა ჟილეტიან კაცს, რომელიც მის უკან იდგა; კაცი სწრაფად გავიდა და მაშინვე დაბრუნდა წერილით ხელში, რომელიც მე გადმომცა. აი ისიც:

„ჩემო მეგობარო, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება კარპატებში! მოუთმენლად გელით. ამაღამ მშვიდად დაიძინეთ. ხვალ 3 საათზე დილიჟანსი ბუკოვინაში გაემგზავრება; ერთი ადგილი თქვენთვისაა. ბორგოს ხეობაში ეტლი დაგელოდებათ, რომელიც მიგიყვანთ კიდეც ციხესიმაგრეში.

იმედი მაქვს, ლონდონიდან მშვიდობით ჩამობრძანდით და ჩვენს შესანიშნავ ქვეყანაში გატარებული დრო სიამოვნებას მოგანიჭებთ.

თქვენი მეგობარი დრაკულა“.

4 მაისი.

გრაფმა დრაკულამ სასტუმროს მეპატრონეს, ალბათ, წერილით დაავალა ჩემთვის დილიჟანსში ადგილი დაეტოვებინა; თუმცა ჩემს შეკითხვებზე იგი დიდხანს არაფერს მპასუხობდა და ისე ეჭირა თავი, თითქოს ჩემი გერმანული არ ესმოდა. ეს შეუძლებელია სიმართლე ყოფილიყო, რადგან მანამდე ჩემს საუბარს მშვენივრად იგებდა და კითხვებზეც მპასუხობდა. მეპატრონე და მისი ცოლი რაღაც შიშით მიყურებდნენ. საბოლოოდ მან ჩაიბუზღუნა, ფული წერილითაა გამოგზავნილი და სხვა არაფერი ვიციო. როცა ვკითხე, იცნობთ თუ არა გრაფ დრაკულას და რაიმე ხომ არ შეგიძლიათ მიამბოთ ციხესიმაგრის შესახებ-მეთქი, მან და მისმა ცოლმა პირჯვარი გადაიწერეს, მითხრეს, არაფერი ვიცითო და შემდგომ საუბარზე საერთოდ უარი განაცხადეს. მალე გზას დავადექი და ვეღარ მოვახერხე ვინმესთვის რამე მეკითხა. ეს ყველაფერი რაღაც იდუმალებით იყო მოცული და სულაც არ მახალისებდა. გამგზავრების წინ ჩემთან მეპატრონის ცოლი შემოვიდა - ხანში შესული ბანოვანი და ნერვიულად იკითხა: „თქვენ უცილობლად უნდა გაემგზავროთ, ახალგაზრდა ბატონო? თქვენთვის ეს აუცილებელია?“ იგი ისეთი აღგზნებული იყო, რომ, ალბათ, გერმანული სიტყვების ის მცირე მარაგიც გადაავიწყდა, რომელიც იცოდა და გერმანულს რაღაც უცხო სიტყვებსაც ურთავდა, რაც მე საერთოდ არ მესმოდა. ქალბატონის საუბრის აზრს მხოლოდ მის მიერ დასმული მრავალი კითხვით შემეძლო ჩავწვდომოდი. როცა ვთქვი, ახლავე უნდა წავიდე, იქ მნიშვნელოვანი საქმე მელოდება-მეთქი, მან ისევ მკითხა თუ იცით, დღეს რა დღეაო? მე ვუპასუხე, 4 მაისია-მეთქი. მან თავი გააქნია: „ოჰ, დიახ. ეს ვიცი, ვიცი. მაგრამ თქვენ თუ იცით, დღეს რა დღეა?“ - გამიმეორა კითხვა.

როცა დარწმუნდა, რომ წარმოდგენაც არ მქონდა, რა ხდებოდა, განაგრძო: „დღეს გიორგობის წინა დღეა. ნუთუ არ იცით, რომ ამაღამ, შუაღამის დადგომისთანავე, უწმინდური ძალა გაბატონდება ქვეყანაზე? წარმოდგენა თუ გაქვთ, სად მიდიხართ და რა გელით იქ?“ ქალბატონი ძლიერ წუხდა და ჩემი ყოველგვარი მცდელობა, როგორმე დამემშვიდებინა, ამაო გამოდგა. ბოლოს მან ჩემ წინ მუხლი მოიყარა და ვედრება დამიწყო, რომ იქ არ წავსულიყავი ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, ერთი-ორი დღე მომეცადა. ეს ყველაფერი საკმაოდ უცნაური იყო, ამასთან, თავსაც შეუძლოდ ვგრძნობდი; მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანი საქმეები მიხმობდა და ვერ დავუშვებდი, რომ ჩემს გამგზავრებაზე რაღაც ბოდვას მოეხდინა გავლენა. ამიტომ მისი წამოყენება ვცადე და რაც შეიძლებოდა მკაცრად ვუთხარი, მადლობელი ვარ გაფრთხილებისთვის, მაგრამ უნდა წავიდემეთქი. მაშინ ის წამოდგა, თვალები მოიწმინდა, კისრიდან ჯვარი მოიხსნა და მისი გაკეთება შემომთავაზა. არ ვიცოდი, რა მექნა, რადგან ანგლიკანური ეკლესიის წევრი ვარ და ასეთ რაღაცებს ბავშვობიდანვე ისე ვუყურებდი, როგორც კერპთაყვანისმცემლობას, თუმცა მეშინოდა, ჩემი უარით შეურაცხყოფა არ მიმეყენებინა ხანდაზმული მანდილოსნისთვის, რომელიც ჩემ მიმართ ასე კეთილმოსურნედ იყო განწყობილი, ვყოყმანობდი, აღარ ვიცოდი, რა მექნა. როდესაც გაუბედაობა შემატყო, მან თავისი ხელით ჩამომკიდა ჯვარი ყელზე და მითხრა: „დედათქვენის სახელით“. დღიურში ამას ეტლის მოლოდინში ვწერ, რომელიც, ცხადია, იგვიანებს; ჯვარი ისევ თან მაქვს. არ ვიცი, რა არის ამის მიზეზი - ხნიერი მანდილოსნის შეშფოთება თუ ამ მხარეში გავრცელებული უამრავი თქმულება მოჩვენებებზე, მაგრამ ძველებურად ლაღად ვეღარ ვგრძნობ თავს. თუკი ამ წიგნს ჩემზე ადრე უწერია მინას ნახვა, დაე, მას ჩემი უკანასკნელი სალამი გადასცეს. აი, ეტლიც.

5 მაისი. ციხესიმაგრეში.

ნაცრისფერი დილა კაშკაშა მზემ შეცვალა, რომელიც ჰორიზონტზე მაღლა დგას. ჰორიზონტი კბილანებიანი გეგონებათ. არ ვიცი, ხეები აძლევს მას ასეთ ფორმას თუ ბორცვები - ყველაფერი ისე შორსაა, რომ დიდი და პატარა საგნები ერთმანეთს ერწყმის. ძილი არ მეკარება, და რადგან ვიცი, არავინ დამიძახებს, სანამ თვითონ არ გავიღვიძებ, გადავწყვიტე ვწერო, სანამ ჩამეძინება. აქ ბევრი უცნაური რამ ხდება, რაც უნდა აღვნიშნო, მაგრამმკითხველს რომ არ ეგონოს, თითქოს ისევ კარგად დავნაყრდი და კუჭის დამძიმების გამო ჰალუცინაციები დამეწყო, დაწვრილებით აღვწერ ჩემს ტრაპეზს: ეს გახლდათ ხორცის და ლორის ნაჭრები ხახვით და „პაპრიკათი“ შეკაზმული, - ეს ყველაფერი პირდაპირ ნაკვერჩხლებზე იწვება. ღვინო „ოქროს თაფლი“ უცნაურად სუსხავდა ენას, მაგრამ მაინც სასიამოვნო გემო ჰქონდა. მე მხოლოდ ორი ჭიქა დავლიე. როცა კარეტაში ჩავჯექი, მეეტლეს ჯერ კიდევ არ დაეკავებინა თავისი ადგილი და თვალი მოვკარი, როგორ ესაუბრებოდა იგი დიასახლისს. ისინი, ალბათ, ჩემზე საუბრობდნენ, რადგან დროდადრო ჩემკენ იყურებოდნენ; რამდენიმე მეზობელი, რომლებიც იქვე ახლოს ისხდნენ, მათთან მივიდნენ, საუბარს ყური დაუგდეს და მათაც მე გამომხედეს, თანაც ერთგვარი თანაგრძნობით. ბევრი სიტყვა გავარჩიე, რასაც ისინი ხშირად ახსენებდნენ, - უცნაური მრავალფეროვანი სიტყვები, ალბათ, სხვადასხვა კილოზე, რადგანაც ბრბოში რამდენიმე ეროვნების წარმომადგენლებს მოეყარათ თავი. ჩანთიდან შეუმჩნევლად ამოვიღე ჩემი მრავალენოვანი ლექსიკონი და სიტყვების ძებნას შევუდექი. ვერ ვიტყვი, რომ ნაპოვნი სიტყვები გამამხნევებლად ჟღერდა. აი მათი უმეტესობის მნიშვნელობა: „ORDOG“ - ეშმაკი, „POKOL“ - ჯოჯოხეთი, „STREGOICA“ - კუდიანი, „VROLOK“ და „VIKOSLAK“- ორივე სიტყვას ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ერთი სლოვაკურია, ხოლო მეორე - სერბული და მაქციასა და ვამპირს შორის რაღაც საშუალოს აღნიშნავს.

(შენიშვნა: გრაფისგან დაწვრილებით უნდა გავიგო ამ ცრურწმენათა შესახებ).

როცა გზას დავადექით, მთელი ბრბო შარაზე გამოეფინა და ყველამ პირჯვარი გადაიწერა, ამასთან ორი თითი ჩემკენ იყო მომართული. დიდი ძალისხმევით მივაღწიე ერთ-ერთი ჩემი თანამგზავრისგან იმის ახსნას, თუ რას ნიშნავდა ეს ყველაფერი. თავიდან მას არ სურდა ეპასუხა, მაგრამ როცა გაიგო, რომ ინგლისელი ვარ, ამიხსნა, ეს ერთგვარი თილისმაა და ავი თვალისგან იცავსო. ასეთმა ქცევამ საგონებელში ჩამაგდო, რადგან უცნობ ადგილზე მივდიოდი, უცნობ ადამიანთან შესახვედრად; მაგრამ, სიმართლე რომ ვთქვა, ყოველი მათგანი იმდენად გულწრფელი იყო, ისე ალალად აღშფოთებული და ჩემში ისეთი სიმპათია გამოიწვიეს, რომ ძალზე ავღელდი. მეეტლემ კოფოზე განიერი ტილო დააფინა, ოთხ მომცრო ცხენს თავისი გრძელი შოლტი გადაუჭირა და მათაც მეგობრულად დაძრეს ომნიბუსი ადგილიდან - ჩვენი მოგზაურობაც დაიწყო.

მალე სულ გადამავიწყდა იდუმალებით გამოწვეული შიში და ბუნების სილამაზით ვტკბებოდი. ჩვენს წინ მწვანე, ტყითა და მუხნარით დაფარული არემარე გადაშლილიყო; ხან აქ, ხან იქ აღიმართებოდა ხოლმე ხეებითა და ფერმებით დაგვირგვინებული დიდი გორაკები. გზიდან კარგად ჩანდა წაწვეტებული სახურავები. უხვად გვხვდებოდა ფერად-ფერადი ხეხილი - მსხლის, ვაშლის, ქლიავის, ალუბლის ხეები. მათ გვერდზე ჩავლისას ნათლად ვხედავდი, რომ ბალახი ხეხილის ქვეშ მთლიანად ჩამოცვენილი ფოთლებით იყო მოფენილი.

ამ მწვანე ბორცვებს შორის გზა მიიკლაკნებოდა, რომელიც ხან აქეთ-იქით უხვევდა და იგრიხებოდა, ხან ისევ თავისუფლად გამოჩ-

ნდებოდა ხოლმე ტყისპირთან. უსწორმასწორო გზა იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, მასზე საკმაოდ სწრაფად მივდიოდით. მაშინ მე არ მესმოდა ამ სისწრაფის მიზეზი როგორც ჩანს, მეეტლეს ბრძანება ჰქონდა მიღებული, დრო არ დაეკარგა და ბორგოს ხეობაში განსაზღვრულ დროს ჩაესწრო. ამწვანებული და ტალღოვანი გორაკ-ბორცვების უკან ხშირი ტყეებით დაფარული კარპატების მთათა მწკრივი აღმართულიყო. იგი ბორგოს ხეობის ორივე მხარეს მდებარეობდა, ჩამავალი მზით იყო განათებული და არემარეს ცისარტყელას ყველა ფერს აფრქვევდა: მუქ ლურჯად და მეწამულისფრად მწვერვალები განათებულიყო, მწვანედ და ყავისფრად - ბალახი კლდეებზე; ხოლო დაუსრულებლად გადაჭიმულ დაკბილულ კლდეებსა და წამახვილებულ ფლატეებს თოვლის დიადი მწვერვალები აგვირგვინებდა, რომელიც მზის სხივებზე თვალისმომჭრელად ბრწყინავდა. ჩვენ ვაგრძელებდით უსაზღვრო მოგზაურობას, მზე კი ზურგს უკან სულ უფრო ქვემოთ ეშვებოდა და დედამიწას საღამოს ლანდებს ჰფენდა.

ზოგან გორაკები იმდენად ციცაბო იყო, რომ მიუხედავად მეეტლის დიდი ძალისხმევისა, ცხენებს მხოლოდ ნელი ნაბიჯით შეეძლოთ მოძრაობა. მინდოდა, ჩამოვსულიყავი და ცხენებს დავხმარებოდი, მაგრამ მეეტლეს ამის გაგონებაც არ სურდა. „არა, არა, - ამბობდა იგი, - თქვენ აქ არ უნდა იაროთ, აქ ძალიან ავი ძაღლები დაძრწიან და თანაც, - დაამატა მან, როგორც ჩანდა, ხუმრობით, რადგან დანარჩენ მგზავრებს მიუბრუნდა მათი გამამხნევებელი ღიმილის იმედით, - თქვენ ისედაც დიდხანს მოგიწევთ მოცდა, სანამ დაძინებას მოახერხებდეთ“. ის მხოლოდ ერთხელ შეჩერდა, და ისიც მხოლოდ იმისთვის, რომ ფარნები აენთო.

როდესაც ბინდი ჩამოწვა, მგზავრები შეშფოთდნენ და მეეტლეს თხოვნა დაუწყეს, უფრო სწრაფად ატარეო. თავისი გრძელი შოლტის ცემითა და ველური შეძახილებით მეეტლემ ცხენები აიძულა, სულ ფრენით ევლოთ. შემდეგ სიბნელეში ჩვენს ზემოთ რაღაც რუხი სინათლე დავინახე, რომელიც თითქოს ნაპრალს ჰგავდა. მგზავრები სულ უფრო მეტად ღელავდნენ; ჩვენი მერყევი ეტლი თავის დიდ რესორებზე ხტოდა და, როგორც ნავი აბობოქრებულ ზღვაში, აქეთ-იქით ირწეოდა. იძულებული გავხდი, დასაჯდომს მაგრად ჩავბღაუჭებოდი. მერე გზა გასწორდა და ჩვენც ოდნავ ამოვისუნთქეთ. ამის შემდეგ მთები ძალზე მჭიდროდ მოგვიახლოვდა და,ბოლოსდა ბოლოს, ბორგოს ხეობაში შევაბიჯეთ. მგზავრებმა ერთმანეთის მიყოლებით დაიწყეს ჩემთვის სუვენირების ჩუქება, ისეთი დაჟინებით მაჩეჩებდნენ, რომ უარის თქმის უნარი დავკარგე. მათ გულწრფელად სწამდათ, რომ საჩუქრები ავი თვალისგან დამიცავდა, გარდა ამისა, ყოველი მათგანი მლოცავდა და პირჯვარს მწერდა, ზუსტად ისევე, როგორც ბისტრიცას სასტუმროს ეზოში. შემდეგ, როდესაც გზა განვაგრძეთ, მეეტლე წინ გადაიხარა, ხოლო მგზავრები, რომლებიც ეტლის ორივე მხარეს მიკვროდნენ, მოუთმენლად იჭვრიტებოდნენ გარემომცველ სიბნელეში. აშკარად, წინ რაღაც უჩვეულო გველოდა, ან ის უკვე მომხდარიყო, თუმცა მგზავრები კითხვებზე არაფერს მპასუხობდნენ. საყოველთაო მღელვარების ამ მდგომარეობამ კიდევ რამდენიმე ხანს გასტანა, სანამ, ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხეობიდან გასასვლელი არ დავინახეთ. ბნელოდა, ჩემოწოლილი ღრუბლები და დახუთული ჰაერი ჭექა-ქუხილს მოასწავებდა. გზას ყურადღებით ვაკვირდებოდი ეკიპაჟის მოლოდინში, რომელიც გრაფთან მიმიყვანდა. ყოველ წუთას ვიმედოვნებდი, წყვდიადში ფარნის შუქი დამენახა, მაგრამ გარშემო სიბნელე სუფევდა. მხოლოდ ომნიბუსის ფარნების სხივებში მოჩანდა ჩვენი ქანცგაწყვეტილი ცხენების ოხშივარი, რაც ბოლქვებად ასდიოდათ. ახლა აშკარად შეგვეძლო დაგვენახა ჩვენ წინ გადაშლილი თეთრი ქვიშრობი

გზა, მაგრამ ეკიპაჟის ნიშანწყალიც არსად ჩანდა. მგზავრები დამშვიდდნენ და სახე ისე გაებადრათ, თითქოს ჩემს იმედგაცრუებას დასცინოდნენ. დავფიქრდი, რა ვიღონო-მეთქი, როდესაც მეეტლემ საათს დახედა და რაღაც თქვა, რაც მე, სამწუხაროდ, ვერ გავიგე, რადგან ძალზე ხმადაბლა იყო ნათქვამი. მგონი, თქვა ერთი საათით ადრეო. შემდეგ ჩემკენ შემობრუნდა და საშინლად დამტვრეული გერმანულით მითხრა: „არავითარი კარეტა არ არის. ალბათ, არ გელოდებიან, ბატონო. ჯობს, ჩვენთან ერთად წამოხვიდეთ ბუკოვინაში, ხვალ კი უკან დარუნდებით, ან მომდევნო დღეს - უკეთესია მომდევნო დღეს“. სანამ ის ლაპარაკობდა, ცხენებმა ჭიხვინი, ფთხვინვა და ფლოქვებით მიწის გაცხარებული თხრა დაიწყეს, ისე რომ მეეტლეს დიდი ძალისხმევა დასჭირდა მათ დასაშოშმინებლად.

უეცრად მგზავრები ერთხმად აჩოჩქოლდნენ და გამალებით შეუდგნენ პირჯვრის წერას. ჩვენ უკან ეტლი გამოჩნდა, რომელშიც ოთხი ცხენი იყო შებმული. იგი ჩვენს ომნიბუსს დაეწია და გაჩერდა. ფარნების შუქზე შესანიშნავი ჯიშიანი შავრა ცხენები დავლანდე. კოფოზე გრძელი შავი წვერით დამშვენებული ადამიანი იჯდა, რომელსაც ფართოფარფლებიანი შავი ქუდი უფარავდა სახეს. როცა ჩვენკენ შემობრუნდა, მისი დიდი, წითლად მოელვარე თვალები გავარჩიე ფარნების სინათლეზე. მან მეეტლეს მიმართა: „შენ დღეს რაღაც ადრე მოხვედი, ჩემო მეგობარო“.

- ბატონი ინგლისელი ძალიან ჩქარობდა, - ენა დაება მეეტლეს.

- ალბათ ამიტომაც ურჩიე, ბუკოვინაში გაემგზავრეო! - შეეპასუხა უცნობი. - მე ვერ მომატყუებ, ჩემო მეგბარო, ძალიან ბევრი ვიცი, ცხენებიც სწრაფები მყავს! - ამ დროს გაიღიმა და ფარნის სხივებმა მისი ცივი, მრისხანე პირი, ალისფერი ტუჩები და წვეტიანი, სპილოს

ძვალივით თეთრი კბილები გაანათა. ერთ-ერთმა ჩემმა თანამგზავრმა გვერდით მჯდომს ბურგერის „ლენორადან“ სტრიქონი უჩურჩულა:

„სიკვდილი კი სწრაფად მიჰქრის“. უცნობმა, აშკარად, გაიგონა ეს სიტყვები, რადგანაც მოსაუბრეს მოზეიმე ღიმილით გადახედა. მგზავრი შებრუნდა და პირჯვარი გადაიწერა. „ბატონის ბარგი მომაწოდეთ“, - თქვა უცნობმა და ჩემი ნივთები უჩვეულო სისწრაფით გადაბარგდა დილიჟანსიდან ეტლში. შემდეგ მე გადავედი, მეეტლე ასვლაში დამეხმარა - თავისი ფოლადის ხელი იღლიაში ამომდო, - უჩვეულო ძალ-ღონის პატრონი ჩანდა. მდუმარედ მოქაჩა სადავეები, ცხენები მიბრუნდნენ და ჩვენ ხეობის წყვდიადს გავუყევით. როცა უკან მივიხედე, ფარნების სინათლეზე დილიჟანსის ცხენები შევნიშნე, მეორედ მიხედვისას კი დავინახე, როგორ გადაიწერეს მგზავრებმა პირჯვარი, შემდეგ მეეტლემ შოლტი გაატკაცუნა, თავის ცხენებს შეუძახა და ისინიც ბუკოვინის გზას დაადგნენ. როგორც კი მგზავრები წყვდიადში ჩაიძირნენ, მე მარტოობის განცდა და უცნაური თრთოლა მომეძალა, თუმცა ახლა მხრებზე თბილი მოსასხამი მქონდა მოხურული, მუხლებზე კი შალის სქელი პლედი მეფარა. მეეტლემ მშვენიერი გერმანულით მომმართა:

- ცივი ღამეა, მოწყალეო ხელმწიფევ, ჩემმა ბატონმა კი, გრაფმა, მთხოვა თქვენზე მეზრუნა. თქვენი სკამის ქვეშ „სლივიანკას“ მათარაა - ჩვენი ეროვნული არყისა, - თუ მოისურვებთ, ადვილად მისწვდებით.

მისთვის ხელი არ მიხლია, მაგრამ სასიამოვნო იყო იმის შეგრძნება, რომ ასე ახლოს იდო. ცოტა უცნაურად ვგრძნობდი თავს, მაგრამ არავითარ შიშს არ განვიცდიდი და ეჭვი არ მეპარება, არჩევანის წინაშე რომ დავმდგარიყავი, უცნობ გზებზე გაჩერებას მაინც

ამ ღამეულ მოგზაურობას ვარჩევდი. ეტლმა რაღაც დაკლაკნილ, ხრეშიან გზაზე შეუხვია, რომელზეც საკმაოდ დიდხანს მივდიოდით, შემდეგ მკვეთრად მოვუხვიეთ და ისევ სწორ გზაზე გავედით. მეჩვენებოდა, რომ ჩვენ ერთ და იმავე წრეზე დავდიოდით; ჩემი შთაბეჭდილების შემოწმების მიზნით გონებაში აღვნიშნე განსაზღვრული წერტილი და დავრწმუნდი, რომ ეს მართლაც ასე იყო. ძალიან მინდოდა მეკითხა მეეტლისათვის, ეს რას ნიშნავს-მეთქი, მაგრამ მეშინოდა ამის გაკეთება, რადგან ჩემს მდგომარეობაში პროტესტს არავითარი შედეგი არ მოჰყვებოდა; მეტიც, დარწმუნებული ვიყავი, რომ განგებ კეთდებოდა ასე. რამდენიმე ხნის შემდეგ მომინდა, გამეგო, რა დრო იყო, გოგირდის ასანთი გავკარი და მის შუქზე საათს დავხედე; შუაღამეს რამდენიმე წუთი უკლდა; ესარ მესიამოვნა. რაღაც იდუმალს ავადმყოფური გაუბედაობით ველოდი.

უცებ სადღაც შორს, ფერმაში, ძაღლი აყმუვლდა - ეს იყო ხანგრძლივი, შესაბრალისი ყმუილი, შიშით აღსავსე. მას მეორე ძაღლი აჰყვა, შემდეგ მესამე, მეოთხე - საბოლოოდ ეს ხმები ერთ ველურ, ცოფიან ღმუილად შეერწყა ერთმანეთს, რაც თითქოს გარემოს ყოველი წერტილიდან მოდიოდა. პირველივე ბგერებიდან ცხენები საშინლად დაფრთხნენ და ეს იმით დამთავრდა, რომ ყალყზე იწყეს დგომა, მაგრამ მეეტლემ დაუყვავა და ისინიც დამშვიდდნენ, თუმცა ისევ ცახცახებდნენ, კრთოდნენ რაღაც ჩემთვის გაუგებარი საფრთხისგან. შემდეგ შორს, მთების გადაღმა, ისევ გაისმა კიდევ უფრო ხმამაღალი და სულის გამყინავი ბგერები, - ამჯერად უკვე მგლების ყმუილი, რამაც ერთნაირად იმოქმედა როგორც ჩემზე, ისევე ცხენებზე: ძალიან მომინდა ეტლიდან მესკუპა და გავქცეულიყავი, ცხენები კი ისევ ყალყზე დადგნენ და გაქანდნენ, ისე რომ მეეტლეს მთელი თავისი უზარმაზარი ძალის გამოყენება დასჭირდა მათ შესაკავებლად, თუმცა რამდენიმე წუთში ყმუილს ყური მივაჩვიე და ცხენე-

ბიც იმდენად დაწყნარდნენ, რომ მეეტლე გადავიდა და მათ წინ დადგა. იგი ეფერებოდა ცხენებს, ამშვიდებდა და ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებდა, ანუ ყოველ ხერხს იყენებდა, რასაც, როგორც მსმენია, ცხენების მომთვინიერებლები მიმართავენ, ამასთან, წარმატება აშკარა იყო და ცხენებიც ისევ თვინიერებად იქცნენ, მაგრამ მაინც ცახცახებდნენ. მეეტლე კვლავ კოფოზე დასკუპდა, სადავეები მოქაჩა და ცხენებმაც ჩორთით გააგრძელეს გზა. საბოლოოდ, ხეობიდან გამოსვლისას, მან უეცრად ვიწრო ბნელ გზაზე შეუხვია, რომელიც მკვეთრად მიემართებოდა მარჯვნივ. მალე ჩვენ ყოველი მხრიდან ხეთა ალყაში აღმოვჩნდით, რომლებიც ალაგ-ალაგ თაღებს ქმნიდნენ, ასე რომ, თითქოს გვირაბში მივიწევდით; შემდეგ კი ჩვენ წინ ორივე მხრიდან ისევ პირქუში კლდეები აღიმართა, რომლებსაც კვნესითა და სტვენით ეხეთქებოდა ქარი და ხეთა ტოტებს ამსხვრევდა. საკმაოდ აცივდა და ბოლოს ძლიერი თოვლი წამოვიდა. მალე ყველაფერს თეთრი სუდარა გადაეფარა. ქარბუქს ჩვენამდე ძაღლების ყეფა მოჰქონდა, რაც სულ უფრო სუსტდებოდა. სამაგიეროდ მგლების ყმუილი გვიახლოვდებოდა, თითქოს ისინი ყოველი მხრიდან გვეხვივნენ გარს. ძალიან შევშინდი და ეს შიში თითქოს ცხენებსაც გადაედოთ, მაგრამ მეეტლე ოდნავაც არ აღელვებულა. იგი თავის საქმეს განაგრძობდა და თავს აქეთ-იქით აბრუნებდა. ამან ძლიერ გამაკვირვა, რადგანაც წყვდიადში ვერაფერს ვარჩევდი.

უცებ მარცხნივ სუსტი მოციმციმე შუქი გამოჩნდა. მეეტლემ ის მაშინვე შენიშნა; მყისვე გააჩერა ცხენები, ეტლიდან ჩახტა და წყვდიადში გაუჩინარდა. არ ვიცოდი, რა მექნა. მგლების ყმუილი რატომღაც სუსტდებოდა. სანამ ასეთ საგონებელში ვიყავი, მეეტლე მოულოდნელად დაბრუნდა და ისე, რომ ხმაც არ ამოუღია, თავისი ადგილი დაიკავა და ჩვენი მოგზაურობაც გაგრძელდა. მგონია, რომ შემდგომი მოვლენები სიზმრად ვნახე, რადგანაც ეს ეპიზოდი გამუდმებით მეორდებოდა, და ახლა, როცა აზრობრივად წარსულში

გადავდივარ, ვფიქრობ, რომ ეს უფრო ღამის საშინელ კოშმარს ჰგავდა, ვიდრე სინამდვილეს. ერთხელ შუქი ისე მოგვიახლოვდა, რომ გარემომცველი უკუნი წყვდიადის მიუხედავად სრულიად მკაფიოდ გავარჩიე მეეტლის ყოველი მოძრაობა. იგი სწრაფად გაემართა ცისფერი სინათლისკენ და ისეთ უცნაურ მოძრაობებს აკეთებდა, თითქოს შუქს პეშვით აგროვებდა და მას ქვებზე აწყობდა, რითაც ერთგვარ ზღუდეს ქმნიდა; უცნაური მხოლოდ ის იყო, რომ ამ შუქს გარშემო არავითარი ნათება არ ახლდა - ეს, ალბათ, ძალზე სუსტი ალი იყო. ამასთან, მოხდა უცნაური ოპტიკური ცდომილება: როცა მეეტლე ჩემსა და შუქს შორის იდგა, იგი თავისი ტანით ალს ვერ ფარავდა და ამ პირქუშ ციმციმს მეეტლის სხეულის მიღმა ვუმზერდი. ამ მოვლენამ განმაცვიფრა, მაგრამ რადგანაც ყველაფერი მხოლოდ წამიერად გაგრძელდა, ჩავთვალე, რომ ეს მხედველობის, აბსოლუტურ სიბნელეში დაძაბულობით გადაღლილი თვალების მცდარობა იყო. შემდეგ დროებით ცისფერი ალის ციმციმი შეწყდა და ჩვენც სიბნელეში ფეხს ავუჩქარეთ მგლების ყმუილის შემაწუხებელი აკომპანიმენტის თანხლებით, რომლებიც ყოველი მხრიდან შემოგვეხვივნენ. საბოლოოდ, მოციმციმე ალის უკანასკნელი გამოჩენისას, მეეტლე დიდი მანძილით ჩამოგვშორდა და მისი არყოფნისას ცხენები კიდევ უფრო ძლიერ აცახცახდნენ, გამუდმებით ფრთხვინავდნენ და შიშისგან თრთოდნენ. მე ვერ ვხვდებოდი ყოველივე ამის მიზეზს, რადგანაც მგლების ყმუილი სულ შეწყდა; მაგრამ იმავე წამს მთვარის შუქზე, რომელიც ბნელი ღრუბლებიდან გამოცურდა, ჩვენ გარშემო კბილებდაკრეჭილი მგლების ხროვა დავინახე, რომლებსაც წითელი ენები გადმოეგდოთ და უხეში ბეწვით დაფარულნი გრძელ, კუნთიან ფეხებს ეყრდნობოდნენ. ავბედითი დუმილით მოცულები ახლა გაცილებით უფრო საშიშნი იყვნენ, ვიდრე მაშინ, როცა გაბმით ყმუოდნენ. შიშისგან ხელ-ფეხი გამიშეშდა და ხმა ჩამიწყდა. ასეთი შიშის ძალას ადამიანი მხოლოდ მაშინ გაიგებს, როდესაც ამ საშინელებასთან აღმოჩნდება პირისპირ.

უცებ მგლებმა ისე სულგამყინავად დაიყმუვლეს, თითქოს მთვარის შუქი მათზე რაღაც განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენდა. ცხენები ყალყზე დადგნენ და ტლინკები ჰყარეს, მაგრამ საზარელი ცოცხალი რგოლი მათ ყოველი მხრიდან გარს ერტყა და აიძულებდა, მის ცენტრში დარჩენილიყვნენ. მეეტლეს შევძახე, ჩავთვალე, რომ ჩვენი გადარჩენის ერთადერთი შანსი მისი დახმარებით ამ წრის გარღვევა იყო. მე ვყვიროდი და ფეხებს ვაბაკუნებდი, იმედს ვებღაუჭებოდი, რომ ეს ხმაური მგლებს დააფრთხობდა და ამით მეეტლეს ჩვენამდე მოღწევის საშუალება მიეცემოდა.

არ ვიცი, უეცრად საიდან გაჩნდა, მაგრამ მისი ხმა მომესმა, რამაც მბრძანებლურად გაიჟღერა. ნელა გვიახლოვდებოდა. მან თავისი გრძელი ხელები გაიშვირა, თითქოს უხილავ წინაღობას იშორებსო და მგლებმაც ნელ-ნელა დაიხიეს უკან. ამ დროს მთვარეს დიდი ღრუბელი გადაეფარა და ჩვენ ისევ წყვდიადში აღმოვჩნდით.

როდესაც მთვარემ ისევ გამოაჭყიტა, მე კოფოზე მჯდარი მეეტლე დავინახე; მგლები კი თითქოს მიწამ ჩაყლაპა. ეს ყველაფერი ისეთი უცნაური და უჩვეულო იყო, რომ საშინელმა შიშმა დამიარა და ხმის ამოღებასაც ვერ ვბედავდი. დრო უსაზღვროდ იწელებოდა. შემდგომი მოგზაურობა უკვე სრულ სიბნელეში გავაგრძელეთ, რადგან ღრუბლებმა მთლიანად დაფარეს მთვარე. მთის ფერდობებზე ავდიოდით, ქვემოთ იშვიათად ვეშვებოდით და შემდეგ ისევ ზევით მივიწევდით. არ მახსოვს, ეს რამდენ ხანს გაგრძელდა...

უცებ ვიგრძენი, რომ გავჩერდით. ჩვენ ვეებერთელა, დანგრეული ციხესიმაგრის ეზოში ვიყავით, რომლის განიერ ფანჯრებს ბნელი და პირქუში იერი ედო, ხოლო მორღვეული კბილანა კედლები მთვარის შუქზე ზიგზაგისმაგვარ მწკრივს ქმნიდნენ.

თავი მეორე

როგორც ჩანს, ჩავთვლიმე, სხვაგვარად, ალბათ, არ გამომეპარებოდა ასეთ ღირსშესანიშნავ ადგილთან მიახლოება. წყვდიადში ეზო მეტად განიერი ჩანდა, მაგრამ შესაძლოა იგი, ისევე, როგორც ის ბნელი ბილიკები, რომლებიც ეზოდან დიდი, მრგვალი თაღებისკენ მიემართებოდა, სინამდვილეში არც ისე დიდი იყო. იგი დღის სინათლეზე ჯერ არ მენახა. როცა ეტლი გაჩერდა, მეეტლე კოფოდან ჩახტა და ხელი გამომიწოდა, რათა ჩასვლაში დამხმარებოდა. უნებურად ისევ მივაქციე ყურადღება მის უჩვეულო ძალას. მეეტლის ხელი ფოლადის მარწუხს მაგონებდა, რითაც სურვილის შემთხვევაში ჩემი ხელისგულის გასრესა ადვილად შეეძლო. შემდეგ მან ჩემი ბარგი მასობრივი ქვებით მოკირწყლულ მცირე მოედანზე, უზარმაზარ ძველებურ კართან დააწყო, რომელიც დიდი რკინის სამსჭვალებით იყო დალურსმნული. მქრქალ სინათლეზე მაინც შევნიშნე, რომ ქვები დრო-ჟამისა და უამინდობისგან გაცვეთილი იყო. სანამ მე ვიდექი, მეეტლე ისევ კოფოზე აძვრა, სადავეები მოქაჩა, ცხენებმა გასწიეს და ეკიპაჟთან ერთად ერთ-ერთი ბნელი თაღის ქვეშ გაუჩინარდნენ. მე მარტო დავრჩი შუაგულ ეზოში და არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. კარებს არც ზარი აჩნდა და არც პატარა ჩაქუჩი... არც იმის იმედი მქონდა, რომ ჩემი ხმა პირქუშ კედლებსა და ბნელ ფანჯრებში გააღწევდა. მეჩვენებოდა, რომ ლოდინი ძალზე დიდხანს გამიგრძელდა და თანდათან ეჭვი და შიში მეძალებოდა. სად ვარ? ვისთან? რა ამბავში გავყავი თავი? ნუთუ ეს ერთი ჩვეულებრივი თავგადასავალი იყო ადვოკატის თანაშემწის ცხოვრებაში, რომელიც უც-

ხოელის მიერ ლონდონში შეძენილ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხების გასარკვევად იყო გაგზავნილი? ადვოკატის თანაშემწე?.. მე ეს წოდება ძალიან მომწონს - დიახ, სულ დამავიწყდა, ლონდონიდან წამოსვლის წინ ხომ შევიტყვე, რომ გამოცდები წარმატებით ჩავაბარე; ასე რომ, არსებითად, მე ახლა თანაშემწე კი არა, ადვოკატი ვარ... თვალები მოვიფშვნიტე და რამდენჯერმე ვიჩქმიტე, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ არ მეძინა. ეს ყველაფერი კვლავ რაღაც შემზარავ ღამის კოშმარად მეჩვენებოდა და იმედს არ ვკარგავდი, რომ უცებ ჩემს სახლში გავიღვიძებდი დაღლილ-დაქანცული, როგორც ეს ზოგჯერ ხდებოდა დაძაბული გონებრივი სამუშაოს შემდეგ. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემი სხეული აშკარად გრძნობდა ჩქმეტას და არც თვალები მატყუებდა. ნამდვილად არ მეძინა და კარპატებში ვიმყოფებოდი. ისღა დამრჩენოდა, მოთმინება მომეკრიბა და გათენებას დავლოდებოდი. როგორც კი ამ დასკვნამდე მივედი, მოახლოებული მძიმე ნაბიჯების ხმა მომესმა დიდი კარის მიღმა და ჭუჭრუტანაში მოციმციმე შუქი გავარჩიე. შემდეგ გაისმა ჯაჭვების ჩხარუნი, მასიური ურდულების ჭრიალი და დიდი კარი ნელა გაიღო. კარში მაღალი მოხუცი იდგა, წმინდად გაპარსული ნიკაპითა და გრძელი ჭაღარა ულვაშით; თავით ფეხამდე შავებით იყო მოსილი. მოხუცს ხელში ძველებური ვერცხლის ლამპა ეკავა, რომლის კაშკაშა ალიც ორპირი ქარის გამო ირგვლივ გრძელ, მთრთოლარე ლანდებს აფენდა. მოხუცი მარჯვენა ხელის დახვეწილი ჟესტით მომესალმა და მშვენიერი ინგლისურით, მხოლოდ მცირეოდენი უცხოური აქცენტით მომმართა:

- კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სახლსა ჩემსა! შემობრძანდით თავისუფლად და ნებითა თქვენითა.

მას ჩემკენ ნაბიჯიც არ გადმოუდგამს, ქანდაკებასავით უძრავად იდგა, თითქოს მისალმების ჟესტმა ქვად აქციაო. ზღურბლზე გადაბიჯებაც ვერ მოვასწარი, რომ ჩემკენ ნაბიჯი გადმოდგა, ხელი გამომიწოდა და ჩემი ხელისგული ისე ძლიერ ჩაბღუჯა, რომ მოულოდნელობისგან შევკრთი - ხელი ყინულივით ცივი ჰქონდა და უფრო მიცვალებულის ხელს მიუგავდა, ვიდრე ცოცხალი ადამიანისას.

- კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სახლსა ჩემსა! - გაიმეორა მან. - თამამად შემობრძანდით, უსაფრთხოდ იგრძენით თავი. დაე, აქ ბედნიერება მოგეტანოთ.

მასპინძლის ხელის ძალამ მეეტლის ძლიერი ხელი მომაგონა და რადგანაც მისი სახე ნანახი არ მქონდა, ცოტა არ იყოს ეჭვი შემეპარა, ეს ერთი და იგივე პიროვნება ხომ არ არის-მეთქი. ეჭვის გასაფანტავად კითხვა დავუსვი:

- გრაფი დრაკულა ბრძანდებით?

- დრაკულა გახლავართ, - მიპასუხა მან, - მოგესალმებით, მისტერ ჰარკერ, ცივი ღამეა, თქვენ კი საკვები და დასვენება გჭირდებათ.

ამის თქმაზე მან ლამპა კედლის კაუჭზე ჩამოკიდა და ჩემს ბარგს დაავლო ხელი. ეს ისე სწრაფად მოიმოქმედა, რომ წინააღმდეგობის გაწევაც ვერ მოვასწარი, თუმცა მაინც ვცადე.

- არა, მოწყალეო ხელმწიფევ, თქვენ სტუმარი ბრძანდებით. ახლა გვიანია, და ამიტომ ჩემი ხალხის იმედზე ვერ ვიქნები. ნება მიბოძეთ, მე თვითონ ვიზრუნო თქვენზე.

მან თავისი გაიტანა, ჩემი ბარგით ხელში დერეფანი გაიარა და დიდ ხვეულ კიბეს დაადგა, საიდანაც ჩვენ მეორე, განიერ დერეფანში მოვხვდით. ქვის იატაკის გამო ჩვენი ნაბიჯები ხმამაღლა ისმოდა. დერეფნის ბოლოში მან მძიმე კარს უბიძგა და მე სიამოვნებით შევაბიჯე მკვეთრად განათებულ ოთახში, სადაც სავახშმოდ გაწყობილი მაგიდა იდგა, ხოლო დიდ ბუხარში მხიარულად ტკაცუნებდა შეშა.

გრაფმა კარი მიხურა, ოთახი გადაჭრა და მეორე კარი გააღო, რომელიც პატარა რვაკუთხა ოთახში გადიოდა. იგი ერთი ლამპით იყო განათებული და,როგორც ჩანდა, სრულიად იყო მოკლებული ფანჯრებს. ჩემმა მასპინძელმა ეს ოთახიც ჩამოიტოვა და შემდეგი სადგომის კარი გააღო, რომელშიც შესვლა შემომთავაზა. მისმა დანახვამ ძლიერ გამახარა: იგი დიდი საძინებელი აღმოჩნდა, მშვენივრად განათებული, რომელიც აგიზგიზებული ბუხრით თბებოდა. გრაფმა ჩემი ნივთები დააწყო და ოთახიდან გასვლამდე წარმოთქვა:

- მგზავრობის შემდეგ, ცხადია, დაისვენებთ და ტანსაცმელს გამოიცვლით. იმედი მაქვს, აქ ყველაფერს ნახავთ, რაც დაგჭირდებათ, ხოლო როცა მზად იქნებით, სასადილო ოთახში მობრძანდით, სადაც თქვენთვის გამზადებული ვახშამი დაგხვდებათ.

განათებამ და სითბომ, აგრეთვე გრაფის დახვეწილმა მანერებმა სრულიად გამიფანტა ყოველგვარი ეჭვი და შიში. ამის წყალობით ნორმალურ რიტმს დავუბრუნდი და ამასთან, უჩვეულო შიმშილის გრძნობა გამიჩნდა, ამიტომ სასწრაფოდ გამოვიცვალე ტანსაცმელი და პირველ ოთახს მივაშურე. მაგიდა უკვე გაეწყოთ. ბუხართან მდგომმა ჩემმა მასპინძელმა სავახშმოდ მოხდენილი ჟესტით მიმიწვია:

- იმედი მაქვს, მომიტევებთ, კომპანიას თუ არ გაგიწევთ: მე უკვე ნასადილევი ვარ, ვახშამს კი არასოდეს გეახლებით.

მას მისტერ ჰაუკინსის დაბეჭდილი წერილი გადავეცი. გრაფმა გახსნა, გულდასმით გაეცნო, შემდეგ მომხიბლავი ღიმილით დამიბრუნა წასაკითხად. მასში ერთმა პასაჟმა განსაკუთრებით ამიჩქროლა გული:

„ძალზე ვწუხვარ, რომ ნიკრისის ქარის შემოტევა, რომელიც დიდი ხანია მაწუხებს, არ მაძლევს რამე სახის მოგზაურობის საშუალებას; მოხარული ვარ, რომ შემიძლია გამოვგზავნო ჩემი თანაშემწე, ვისაც სავსებით ვენდობი. იგი ენერგიული და ნიჭიერი ახალგაზრდაა. თქვენთან ყოფნის მთელი ხნის მანძილზე ის გაგიწევთ მომსახურებას და მთლიანად თქვენს განკარგულებაში იქნება“.

გრაფი მაგიდასთან მივიდა, მათლაფას ხუფი ახადა და ჩემ წინაშე ჩინებულად შემწვარი წიწილა გაჩნდა. შემდგომ ჩემი ვახშამი ყველმა და სალათამ, აგრეთვე ძველმა „ტოკაის“ ღვინომ გაამდიდრა, რომელიც ორი-სამი ჭიქა დავლიე. სანამ ვჭამდი, გრაფი ჩემი მოგზაურობით დაინტერესდა და მეც თანმიმდევრობით ვუამბე განცდილ-გადატანილი. შემდეგ ბუხართან მოვკალათდი და გრაფის მიერ შემოთავაზებული სიგარა გავაბოლე. მან მაშინვე მომიბოდიშა, მე არ ვეწევიო. ახლა ხელსაყრელი შემთხვევა მომეცა, კარგად შემეთვალიერებინა იგი და მის გარეგნობაში ბევრი საყურადღებო აღმოვაჩინე.

გრაფს ენერგიული, ორიგინალური სახე ჰქონდა, თხელი ცხვირი და რაღაც განსაკუთრებული, უცნაური ფორმის ნესტოები; უნაკლო მაღალი შუბლი და ჭაღარა თმები, რაც მეჩხრად და ამავე დროს

ხშირ ბღუჯებად ეზრდებოდა საფეთქლებთან; სქელი, ლამის გადაბმული წარბები. პირი, რამდენადაც გავარჩიე მძიმე ულვაშების საფარქვეშ, გაბედული და სასტიკიც კი ჰქონდა, უჩვეულოდ ბასრი თეთრი კბილებით, ბაგეები მისი ასაკისთვის ცოტა უჩვეულო მკვეთრი შეფერილობით უხასხასებდა, მაგრამ ყველაზე მეტად სახის სიფერმკრთალე გაგაოცებდათ.

აქამდე მხოლოდ მისი ხელების ზურგის მხარეს ვხედავდი, როცა მუხლებზე ჰქონდა დაწყობილი, მოგიზგიზე ბუხრის შუქზე მათ თეთრი და ნაზი იერი დასდებოდათ, მაგრამ ახლოდან დანახვისას შევნიშნე, რომ ისინი საკმაოდ უხეში, ხორციანი იყო. განსაკუთრებით უცნაური ის გახლდათ, რომ ხელისგულებზე თმები ამოსვლოდა. კოტიტა თითებზე გრძელი და სიფრიფანა, წაწვეტებული ფრჩხილები ჰქონდა. როდესაც გრაფი ჩემკენ გადმოიხარა და მისი ხელი შემეხო, უნებურად შევკრთი. მის ამონასუნთქს ხრწნის სუნი დაჰკრავდა, ამის გამო საშინელი გულისრევის გრძნობა გამიჩნდა, რაც ვერაფრით დავფარე. გრაფმა აშკარად შენიშნა ეს, რადგან მაშინვე უკან გაიწია და რაღაც პირქუში ღიმილით ისევ თავის ადგილს დაუბრუნდა ბუხართან. ერთხანს ორივე ვდუმდით და როცა ფანჯარაში გავიხედე, მოახლოებული გარიჟრაჟის პირველ ათინათს მოვკარი თვალი.

ირგვლივ რაღაც უცნაური სიჩუმე ჩამოწოლილიყო; სმენა დავძაბე და სადღაც შორიდან თითქოს მგლის ყმუილი მომესმა. გრაფს თვალები აუციმციმდა და თქვა:

- ყური დაუგდეთ მათ, ღამის შვილებს! რა მუსიკას გამოსცემენ!

როდესაც ჩემი უცნაური გამომეტყველება შენიშნა, დაამატა:

- ჰო, მოწყალეო ხელმწიფევ, თქვენ, ქალაქელებს, არ შეგიძლიათ მონადირის განცდა გაიგოთ! მაგრამ, ალბათ, დაიღალეთ. თქვენი საწოლი მზადაა და ხვალ შეგიძლიათ იძინოთ, რამდენსაც მოისურვებთ. მე შუადღემდე არ ვიქნები; ღამე მშვიდობისა - და ტკბილ ძილს გისურვებთ!

გრაფმა ნატიფად დამიკრა თავი და ჩემი რვაკუთხა ოთახის კარი თავად შეაღო, მე საძინებელში შევაბიჯე...

7 მაისი.

ისევ ადრიანი დილაა. გუშინ საღამომდე მეძინა. თვითონ გავიღვიძე. ჩავიცვი და სასადილო ოთახს მივაშურე, სადაც ცივი საუზმე და ყავა მელოდებოდა, რომელიც ბუხარზე თბებოდა. მაგიდაზე პატარა ბარათი იდო:

„მცირე ხნით უნდა დაგტოვოთ. ნუ დამელოდებით. დ.“

ამ სასიამოვნო ცნობით გახარებული მაგიდას მივუჯექი. საუზმის შემდეგ ზარის ძებნას შევუდექი, რათა მოსამსახურისთვის ჩემი ტრაპეზის დამთავრების შესახებ მეცნობებინა, მაგრამ ზარს ვერსად მივაგენი. სასახლეში, როგორც ჩანს, უცნაური უქონლობაა, განსაკუთრებით თუგარემომცველ დიდ სიმდიდრეს მივიღებთ მხედველობაში. სასადილო სუფრის გაწყობილობა წმინდა ოქროსია, თანაც ისეთი შესანიშნავი ნახელავი, რომ, ალბათ, ძალზე ძვირადფასობს. ფარდები, სკამებისა და ტახტის გადასაკრავი უმაღლესი ხარისხისაა და, ალბათ, მაშინაც ზღაპრული ფასი ედო, როდესაც შეიძინეს. ეს საგნები კი, როგორც ჩანს, მრავალი ასეული წლისაა, თუმცა ყველაფერი იდეალურადაა შემონახული. რაღაც ამგვარი

ჰამპსტონის სასახლეშიც მინახავს, მაგრამ იქ ყველაფერი დახეული, გაცვეთილი და ჩრჩილისგან შეჭმული იყო. ძალზე უცნაურია, რომ არც ერთ ოთახში არ არის სარკე. ტუალეტის სარკეც კი არ იყო ჩემს მაგიდაზე და იძულებული გავხდი, სამგზავრო ჩანთიდან გამომეძრო პატარა სარკე, რათა წვერი გამეპარსა და დამევარცხნა. გარდა ამისა, არც ერთი მსახური არ მინახავს და ციხესიმაგრესთან ახლოს არავითარი ხმა არ გამიგია მგლის ყმუილის გარდა. საუზმის შემდეგ რაიმე წასაკითხის ძებნა დავიწყე, რადგან გრაფის ნებართვის გარეშე არ მინდოდა ციხესიმაგრის დათვალიერება. სასადილოში ვერაფერს წავაწყდი - აქ არავითარი წიგნი და გაზეთი არ იდო, ელემენტარული საწერი ნივთებიც კი არსად ჩანდა; მაშინ მეორე კარი გამოვაღე და ბიბლიოთეკაში შევედი. ჩემდა სასიხარულოდ, ბიბლიოთეკაში უამრავი ინგლისური გამოცემა ვნახე -წიგნებითა და აკინძული ჟურნალ-გაზეთებით მთელი თაროები იყო სავსე. მაგიდაზე, ოთახის შუაგულში, მრავალი ინგლისური ჟურნალი და გაზეთი იდო, მაგრამ მხოლოდ ძველი ნომრები. აქ ძალზე მრავალფეროვანი წიგნები შემხვდა: ისტორიის, გეოგრაფიის, პოლიტიკის, პოლიტიკური ეკონომიკის, ბოტანიკის, გეოლოგიის, სამართალმცოდნეობის შესახებ - ყველაფერი ინგლისსა და ინგლისურ ცხოვრებას, ადათებსა და ზნე-ჩვეულებებს ეხებოდა. სანამ წიგნებს ვათვალიერებდი, კარი გაიღო და გრაფი შემოვიდა. იგი გულთბილად მომესალმა და იმედი გამოთქვა, რომ წუხელ კარგად მეძინა. შემდეგ განაგრძო:

- ძალზე მოხარული ვარ, რომ აქ შემობრძანდით, რადგან დარწმუნებული ვარ, აქ ბევრ თქვენთვის საინტერესო მასალას იპოვით. ისინი, - და გრაფმა ზოგიერთ წიგნს დაადო ხელი, - რამდენიმე წლის მანძილზე ჩემი ერთგული მეგობრები იყვნენ, როცა აზრადაც არ მომდიოდა ლონდონში გამგზავრება. ამ წიგნებმა მრავალი სასიამოვნო საათი განმაცდევინეს. მათი წყალობით თქვენი დიდებული

ინგლისი გავიცანი, ცოდნა კი სიყვარულია. მე მწყურია, მოვხვდე თქვენი დიადი ლონდონის ხალხით სავსე ქუჩებში, შევაღწიო კაცობრიობის ამაოებათა ორომტრიალში, მონაწილეობა მივიღო ამ წუთისოფელსა და მის ცვლილებებში, მის სიკვდილში, ერთი სიტყვით, ყველაფერში, რაც წუთისოფელს აქცევს იმად, რასაც ის წარმოადგენს. მაგრამ, სამწუხაროდ, თქვენი ენა მხოლოდ წიგნებით ვიცი. იმედი მაქვს, ჩემო მეგობარო, თქვენი წყალობით მას ისე შევისწავლი, როგორც საჭიროა.

- მომიტევეთ, გრაფო, თქვენ ხომ შესანიშნავად იცით ინგლისური!

- მადლობას მოგახსენებთ, ჩემო მეგობარო, თქვენი მეტად საამო აზრისთვის ჩემ შესახებ, მაგრამ მაინც ვშიშობ, რომ ენის ცოდნის მხრივ ჯერ კიდევ შუა გზაზე ვიმყოფები. მართალია, ვიცი გრამატიკა და სიტყვები, მაგრამ ჯერ კიდევ არ ვუწყი, როგორ წარმოვთქვა ისინი და როდის რა გამოვიყენო.

- გარწმუნებთ, თქვენ მშვენივრად საუბრობთ.

- მაგრამ ეს მაინც არ არის საკმარისი... კარგად ვიცი, თქვენს ლონდონში რომ ვცხოვრობდე და ვსაუბრობდე, ჩემში მაშინვე უცხოელს ამოიცნობენ. ეს ჩემთვის მიუღებელია. აქ მე ცნობილი პიროვნება ვარ - მაგნატი, ყველა მიცნობს და ბატონი გახლავართ. მაგრამ უცხოელი უცხო მხარეში - არაფერია, ხალხი მას არ იცნობს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მასზე არავინ იზრუნებს. ასეთ შემთხვევაში, ვამჯობინებ, არაფრით გამოვირჩეოდე ბრბოსგან, რათა ხალხი ჩემს დანახვაზე და ჩემი ინგლისურის მოსმენისას არ გაჩერდეს და ჩემზე თითით არ მიანიშნოს. მე ბატონად ყოფნას ვარ ჩვეული და მსურს, სამუდამოდ ასე დავრჩე ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, ისე მოვაწყო,

რომ ჩემი ბატონი არავინ იყოს. თქვენ აქ არა მარტო იმისთვის ჩამობრძანდით, რათა ყველაფერი განმიმარტოთ ლონდონში ჩემს ახალ სამფლობელოსთან დაკაშვირებით, არამედ, იმედი მაქვს, რომ ჩემთან ერთ ხანს კიდევ დარჩებით, რათა თქვენი საუბრების წყალობით მივეჩვიო და შევისწავლო სალაპარაკო ენა. ამიტომ დაბეჯითებით გთხოვთ, უმკაცრესად შემისწოროთ ჩემ მიერ ზეპირ მეტყველებაში დაშვებული შეცდომები.

მე, რა თქმა უნდა, მივუგე, რომ ჩემი არ უნდა მორიდებოდა, შემდეგ კი ვთხოვე ბიბლიოთეკით მესარგებლა საკუთარი შეხედულების მიხედვით.

მან მიპასუხა:

- ოჰ, დიახ... საერთოდ, თქვენ შეგიძლიათ თავისუფლად იმოძრაოთ ციხესიმაგრეში და შეიაროთ, სადაც მოგესურვებათ, გარდა იმ ოთახებისა, რომელთა კარებიც დაკეტილია, თუმცა იქ შეღწევას, ალბათ, არც მოისურვებთ. არსებობს საპატიო მიზეზები იმისთვის, რათა ყველაფერი ისე იყოს, როგორც არის, და თქვენ რომ ჩემი თვალით ხედავდეთ და ჩემეული ცოდნა გქონდეთ, ეჭვს გარეშეა, ყველაფერს უკეთ მიხვდებოდით.

ვუთხარი, ამაში ეჭვიც არ მეპარება-მეთქი, რის შემდეგაც ისევ განაგრძო:

- ჩვენ ტრანსილვანიაში ვართ, ტრანსილვანია კი ინგლისი არ არის, არც ჩვენი გზებია თქვენი გზები და აქ მრავალ უცნაურობას შეხვდებით. თუნდაც, მგზავრობის შედეგად მიღებული თქვენი მცირე გამოცდილებით, უკვე რაღაც იცით იმ უცნაურ მოვლენებზე, რაც აქ შეიძლება მოხდეს.

ამას ხანგრძლივი საუბარი მოჰყვა. მე მას რამდენიმე კითხვა დავუსვი უჩვეულო შემთხვევათა შესახებ, რომელთა მონაწილე თავად გახლდით დარომლებმაც ჩემი ყურადღება მიიპყრო. ზოგჯერ იგი თავს არიდებდა პირდაპირ პასუხს ან სხვა თემებზე გადაჰქონდა საუბარი, თავი ისე ეჭირა, თითქოს ჩემი არ ესმოდა, მაგრამ, საერთოდ, სრულიად გულწრფელად და დაწვრილებით მპასუხობდა. მალე გავთამამდი და წინა ღამით მომხდარ ზოგიერთ უცნაურობაზე ვკითხე, მაგალითად, რატომ მიიწევდა მეეტლე იმ ადგილებისკენ, სადაც ლურჯი ნათება ჩანდა. მართალია თუ არა, რომ ისინი იმ ადგილებს მიგვანიშნებენ, სადაც ოქროა ჩამარხული? მაშინ მან ამიხსნა, რომ მდაბიო ხალხის წარმოდგენით, წლის განსაზღვრულ ღამეს - ზუსტად წუხელ - უწმინდური ძალა შეუზღუდავად ბატონობს დედამიწაზე და სწორედ მაშინ ჩნდება ლურჯი ნათებები იმ ადგილებში, სადაც განძია ჩაფლული.

შემდეგ სხვა თემებზე გადავედით.

- მოდით ლონდონსა და იმ სახლზე ვისაუბროთ, რომელიც ჩემთვის შეიძინეთ, -მითხრა მან.

დაუდევრობის გამო ბოდიში მოვუხადე და ჩემს ოთახში გავედი ნასყიდობასთან დაკავშირებული საბუთების ასაღებად. იმ დროს, როცა მათ ჩემოდნიდან ვიღებდი და წესრიგში მომყავდა, მეზობელი ოთახიდან ჭურჭლისა და ვერცხლეულის კაკუნი მომესმა, ხოლო როცა ბიბლიოთეკაში ვბრუნდებოდი, სასადილოში გავლისას შევნიშნე, რომ მაგიდა აელაგებინათ, ხოლო ოთახი ლამპებით გაეჩირაღდნებინათ. უკვე ბნელდებოდა. ლამპები ბიბლიოთეკაშიც ენთო. როცა შევედი, გრაფმა მაგიდიდან წიგნები და ჟურნალები აიღო და

ჩვენ დოკუმენტებს, გეგმებსა და საქმიან ქაღალდებს ჩავუღრმავდით. მას აბსოლუტურად ყველაფერი აინტერესებდა და უამრავ კითხვას მაძლევდა სახლის ადგილმდებარეობასა და მის შემოგარენთან დაკავშირებით. აშკარად, უფრო ადრე შეესწავლა ყველაფერი, რაც შენაძენს ეხებოდა, რადგან საბოლოოდ გამოირკვა, რომ ყველაფრის შესახებ ჩემზე მეტი იცოდა. როცა ეს აღვნიშნე, მიპასუხა:

- დიახ, ჩემო მეგობარო, მაგრამ ეს ხომ ბუნებრივია? როდესაც იქ გავემგზავრები, სრულ მარტოობაში აღმოვჩნდები და ჩემი მეგობარი ჯონათან ჰარკერი არ იქნება ჩემ გვერდით, რათა შემისწოროს და დამეხმაროს. იგი ექსეტერში იქნება, მრავალი მილის დაშორებით, ალბათ, ჩემს მეორე მეგობართან, პიტერ ჰაუკინსთან ერთად კანონთა შესწავლაში ჩაფლული. ასე არ არის?

ჩვენ ისევ პერფლითში უძრავი ქონების შესყიდვის საქმეს დავუბრუნდით. როდესაც მას საქმის არსი გავაცანი, ხელმოსაწერად გადავეცი ყველა საჭირო საბუთი და მისტერ ჰაუკინსისთვის წერილი შევადგინე, მან გამოკითხვა დამიწყო, როგორ მოხერხდა ასეთი შესაფერი ნაკვეთის ყიდვაო? ამასთან დაკავშირებით ჩემი ყველა ჩანაწერი წავუკითხე, რასაც მაშინ ვაწარმოებდი. აი ისინიც:

„პერფლითში, შემოსავლელ გზაზე გავლისას, შემთხვევით წავაწყდი ნაკვეთს, რომელიც, ჩემი აზრით, ჩვენს კლიენტს ესაჭიროებოდა. ნაკვეთი შემოსაზღვრულია ძველებური არქიტექტურის მაღალი კედლით, რაც აგებულია მასიური ქვისგან და უკვე მრავალი წელია არ გარემონტებულა.

ამ მამულს კარფაქსი ეწოდება. ეს, ალბათ, დამახინჯებული „QUATRESFACES“-ია, - ოთხი ფასადი, რადგანაც სახლი ოთხმხრივია. საერთოდ, იქ დაახლოებით 20 აკრი მიწაა, ზემოთ აღნიშნული ქვის კედლით შემოსაზღვრული. მრავალი ხეა, არის კიდევ ღრმა ტბორი ან, უფრო სწორად, პატარა ტბა. იგი, სავარაუდოდ, მიწისქვეშა წყაროებით იკვებება, რადგან წყალი მასში უჩვეულოდ გამჭვირვალეა და, გარდა ამისა, იგი დასაბამს აძლევს საკმაოდ რიგიან მდინარეს. სახლი ძალზე ვრცელი და ძველებურია, არც ისე ბევრი ფანჯრით, რომლებიც მიწის ზედაპირიდან საკმაოდ მაღლა მდებარეობს და მძიმე გისოსებითაა დახშული. იგი უფრო ციხეს წააგავს და რაღაც ძველ სამრეკლოსა თუ ეკლესიას ესაზღვრება. მე ვერ მოვახერხე მისი დათვალიერება, მაგრამ ჩემი „კოდაკით“ რამდენიმე სურათი გადავუღე სხვადასხვა წერტილიდან. სახლის ნაწილი მოგვიანებით მიაშენეს, თუმცა საკმაოდ უცნაურად, ასე რომ, ზუსტი დაანგარიშება, რა ფართობს მოიცავს სახლი, წარმოუდგენელია, ალბათ, ძალიან დიდია“.

როდესაც დავამთავრე, გრაფმა მითხრა:

- მოხარული ვარ, რომ სახლი ძველებური და ვრცელია. მე თვითონ ვარ ძველი გვარიდან და ახალ სახლში ცხოვრება ჩემზე მომაკვდინებლად იმოქმედებდა. სახლი ერთბაშად ვერ იქცევა საცხოვრებლად; არსებითად, ასწლეულს ბევრი აღარაფერი უკლია... ისიც მახარებს, რომ იქ ძველებური სამრეკლოც მეგულება. ჩვენ, ტრანსილვანიის მაგნატები, ვერ დავუშვებთ, რომ ჩვენი ძვლები უბრალო მოკვდავთა შორის განისვენებდეს. არც მხიარულებას დავეძებ, არც სიხარულს, არც მზის კაშკაშა სხივებსა და მჩქეფარე წყლებს, რაც ასე ახასიათებს ახალგაზრდა და მხიარულ ადამიანებს. ჭაბუკი აღარ ვარ, კაეშნის წლებით გატანჯული ჩემი გული ნეტარებას აღარ ესწრაფვის, ამასთან, ჩემი ციხესიმაგრის კედლები დანგრეულია, აქ

მრავალი ლანდია, ქარი თავისუფლად დანავარდობს დანგრეულ კედლებსა და ღია ფანჯრებში. მე სიმშვიდე და მდუმარება მიყვარს და მარტო მინდა ვიყო ჩემს ფიქრებთან, რამდენადაც შესაძლებელია.

ზოგჯერ გრაფის სიტყვები თითქოს ეწინააღმდეგებოდა მის საერთო იერს, ანდა, შესაძლოა, ეს მომდინარეობდა მისი სახის განსაკუთრებული თვისებიდან - ღიმილისთვის ეშმაკური და სარკასტული ელფერი მიეცა. მცირე ხნის შემდეგ მან მომიბოდიშა და დამტოვა, მთხოვა, ჩემს ყველა საბუთს თავი მოუყარეთო.

მის არყოფნაში დაწვრილებით შევუდექი ბიბლიოთეკის გაცნობას. ატლასს წავაწყდი, რომელიც, ცხადია, ინგლისის რუკაზე იყო გადაშლილი - როგორც ჩანდა, ამ რუკით ხშირად სარგებლობდნენ. რუკის ყურადღებით დათვალიერებისას შევნიშნე, რომ მასზე განსაზღვრულ პუნქტებს წრეები ჰქონდა შემოვლებული. ერთ-ერთი მათგანი ლონდონთან ახლოს მდებარეობდა, მის აღმოსავლეთ მხარეს, სწორედ იქ, სადაც მისი ახლად შეძენილი მამული იყო, დანარჩენი ორი ექსეტერი და უაითბი გახლდათ, იორქშირის სანაპიროზე.

გრაფი ნახევარ საათში დაბრუნდა.

- ოჰ! - თქვა მან. - ისევ წიგნები! ამდენი არ უნდა იმუშაოთ... წავიდეთ: თქვენი ვახშამი მზადაა.

მან ხელი ჩამავლო და ჩვენ სასადილოში გავედით, სადაც მართლაც მშვენიერი ვახშამი მელოდა. გრაფმა ისევ მომიბოდიშა, უკვე ნასადილევი გახლავართო. ისევე, როგორც წინა დღეს, ბუხართან ჩამოჯდა და გამუდმებით მესაუბრებოდა, სანამ გეახლებოდით. ვახ-

შმობის შემდეგ სიგარა გავაბოლე, ისევე როგორც წინა ღამით. გრაფი ჩემ გვერდით იჯდა და უამრავ კითხვას მისვამდა სხვადასხვა თემასთან დაკავშირებით; ასე მისდევდა საათი საათს. ვგრძნობდი, რომ უკვე ძალიან გვიან იყო, მაგრამ არაფერს ვიმჩნევდი, რადგანაც ჩავთვალე, რომ მასპინძელს უნდა მოვმსახურებოდი და მისი სურვილები ამესრულებინა. არ მეძინებოდა, ვინაიდან გუშინდელი ხანგრძლივი ძილის შემდეგ მხნედ ვგრძნოდი თავს, მაგრამ უეცრად ისე შემაჟრჟოლა, როგორც გარიჟრაჟზე ან გრძნობამორევის დროს სჩვევია ადამიანს. ამბობენ, ადამიანი სიკვდილთან ყველაზე ახლოს გარიჟრაჟზე ან გრძნობების მოჭარბების დროს არის და ამ საწუთროსაც უფრო ხშირად ასეთ ჟამს ეთხოვებაო. უცებ მამლის ყივილი მოგვესმა, რამაც როგორღაც უჩვეულოდ გამსჭვალა დილის წმინდა ჰაერი. გრაფი დრაკულა მაშინვე წამოხტა და თქვა:

- როგორ... ისევ დილაა! რა უხერხულია ჩემი მხრიდან, რომ გაიძულებთ ასე დიდხანს იფხიზლოთ!.. ნუღარაფერს მეტყვით თქვენს ქვეყანაზე - ისე მაინტერესებს ყველაფერი, რაც ჩემს ახალ სამშობლოს - ძვირფას ინგლისს ეხება, რომ დროის შეგრძნებას ვკარგავ, ის კი თქვენს საინტერესო საუბარში მეტისმეტად სწრაფად გადის!

გრაფმა მოხდენილად დამიკრა თავი და დამტოვა.

ჩემს ოთახს მივაშურე და ყველაფერი ჩავიწერე, რაც დღის მანძილზე მოხდა.

8 მაისი.

როდესაც ამ რვეულში ჩანაწერების გაკეთება დავიწყე, მეშინოდა, რომ ძალზე დაწვრილებით ვწერდი, მაგრამ ახლა ბედნიერი ვარ, რომ ყველა წვრილმანი ჩავიწერე დასაწყისიდანვე, ვინაიდან

აქ ბევრი უჩვეულო რამ ხდება, ეს კი მაშფოთებს. მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, უვნებლად როგორ დავაღწიო თავი აქაურობას და ვნანობ კიდეც, აქ რომ მოვედი. შესაძლოა, ეს ღამეული სიფხიზლის ბრალიცაა, მაგრამ ყველაფერს ეს რომ განაპირობებდეს... ვინმესთან საუბარი რომ შემეძლოს, გულზე მომეშვებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, აქ არავინაა. მხოლოდ გრაფი, ის კი... ზოგჯერ ვფიქრობ, რომ აქ ერთადერთი ცოცხალი არსება ვარ. ნება მიბოძეთ, ყველაფერს ძალზე პროზაულად შევხედო, რადგან ფაქტები ამას მოითხოვს, ეს დამეხმარება, ყველაფერში გავერკვე, შევინარჩუნო საღი აზრი და არ მივენდო ფანტაზიას, რაც სულ უფრო მეძალება... სხვაგვარად დავიღუპები!.. ნება მიბოძეთ, ყველაფერი ისე გადმოვცე, როგორც არის...

სულ რამდენიმე საათი მეძინა და როცა ვიგრძენი, რომ ძილს ვეღარ გავაგრძელებდი, ავდექი. სარკე ფანჯრის რაფაზე შემოვიდგი და პარსვა დავიწყე. უცებ მხარზე ხელი ვიგრძენი და გრაფის ხმა გავიგონე. „დილა მშვიდობისა“, - მითხრა მან. მე გავშეშდი, რადგან იმ გარემოებამ განმაცვიფრა, რომ მას სარკეში ვერ ვხედავდი, თუმცა სარკეში მთელი ოთახი ჩანდა. შეცბუნებულმა კანი ოდნავ გავიჭერი, მაგრამ მაშინ ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. მასპინძელს მივესალმე და განცვიფრებით ისევ სარკეს დავაშტერდი. ამჯერად საეჭვო აღარაფერი იყო: გრაფი ჩემთან ახლოს იდგა და მისი ანარეკლი თავისუფლად უნდა დამენახა, მაგრამ სარკეში მსგავსი არაფერი ჩანდა!... ამან შემძრა და ყველაფერს კიდევ უფრო მეტი უცნაურობა შეემატა. მე ისევ ამოუცნობი შეშფოთება მომეძალა, რასაც ყოველთვის განვიცდიდი, როდესაც გრაფი ჩემ მახლობლად იმყოფებოდა. მხოლოდ ახლა შევნიშნე ჩემი ჭრილობა. სამართებელი გვერდზე გადავდე და სალბუნის ძებნაში გრაფისკენ შევბრუნდი. როდესაც გრაფმა ჩემს სახეს მოჰკრა თვალი, თვალები რაღაც დემონური გზნებით აუკაშკაშდა და მოულოდნელად ყელში ჩამაფრინდა. მე

განზე გავხტი და მისი ხელი ძეწკვს შეეხო, რომელზეც ჯვარი ეკიდა. ამან მაშინვე დააშოშმინა, თანაც ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ცოტა არ იყოს, ეჭვიც შემეპარა, ხომ არ მომეჩვენა-მეთქი.

- ფრთხილად იყავით, - თქვა მან, - თავს გაუფრთხილდით, როცა იპარსავთ. ჩვენს მხარეში ეს გაცილებით საშიშია, ვიდრე თქვენ გგონიათ. - შემდეგ სარკეს დაავლო ხელი და განაგრძო: - აი, ამ ავ-ბედითი საგნის ბრალია ყველაფერი! ადამიანური ამპარტავნობის სულელური ნაყოფი. შორს ჩვენგან!

მან მძიმე ფანჯარა თავისი საშინელი ხელის ერთი მოქნევით გა-აღო და სარკე მოისროლა, რომელიც ეზოში ქვებზე დაეცა და ნამ-სხვრევებად იქცა. ამის შემდეგ გრაფმა უსიტყვოდ დამტოვა. ეს ძალ-ზე არასასიამოვნოა, რადგანწარმოდგენა არა მაქვს, ახლა როგორ უნდა გავიპარსო, ალბათ, საათის ლითონის კოლოფით ანდა ჩემი სამართებლის ბუდის ლითონის სახურავით, რომელიც, საბედნი-ეროდ, სარკესავით პრიალებს.

როდესაც სასადილო ოთახში შევედი, საუზმე უკვე მაგიდაზე ეწ-ყო, მაგრამ გრაფი არსად ჩანდა. მარტომ ვისაუზმე. რა უცნაურია, რომ გრაფი აქამდე არ მინახავს სადილობის დროს. ჩემი თანდას-წრებით მას არც არაფერი დაულევია. იგი, ალბათ, სრულიად უჩვეუ-ლო ადამიანია. საუზმის შემდეგ მცირე ხნით ციხესიმაგრეში გავისე-ირნე, რამაც ძლიერ ამაღელვა: კარი, კარი, ყველგან კარია, და ყვე-ლაფერი დაკეტილი და ჩარაზული... ციხესიმაგრიდან თავის დაღწე-ვის არავითარი საშუალება არ არსებობს, მხოლოდ ფანჯრიდან თუ გადახვალ! ეს ნამდვილი საპყრობილეა, მე კი - ტუსაღი!..

თავი მესამე

როდესაც დავრწმუნდი, რომ ტყვეობაში ვიმყოფეოდი, საშინლად გავცოფდი. კიბეებზე გაშმაგებით ავდი-ჩავდიოდი, ყოველ კარს ვსინჯავდი, თითოეულ ფანჯარაში ვიხედებოდი, რაც გზად მხვდებოდა, მაგრამ მალე სრული უძლურების შეგრძნებამ ყველაფერი ჩამიხშო. როდესაც რამდენიმე ხნის შემდეგ ჩემს მაშინდელ მდგომარეობას ვიხსენებდი, იგი სიგიჟედ მესახებოდა, რადგან სათაგურში მომწყვდეული თაგვივით ვიქცეოდი. მაგრამ როდესაც საბოლოოდ მივედი დასკვნამდე, რომ უიმედო მდგომარეობაში ვიყავი ჩავარდნილი, ვცადე, გულგრილად მომეფიქრებინა, როგორ დამეღწია თავი შექმნილი ვითარებიდან. ახლაც ამაზე ვფიქრობ, მაგრამ ჯერაც უშედეგოდ. ერთი რამ აშკარაა: არავითარი აზრი არა აქვს, გრაფს ჩემი აზრები გავუზიარო. მან ხომ მშვენივრად იცის, რომ ტუსაღი ვარ და რადგანაც ეს თვითონ მოაწყო, უთუოდ ამის მიზეზებიც აქვს. იგი ალბათ მომატყუებს, თუ გულწრფელად გავუზიარებ ჩემს გულისნადებს. თუკი პატარა ბავშვივით არა ვარ აყოლილი ისევ ჩემ მიერ შეთხზული საფრთხის შეგრძნებას და მართლაც უიმედო მდგომარეობაში ვიმყოფები, მაშინ ჩემთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია ფხიზელი გონება შევინარჩუნო. როგორც კი ამ დასკვნამდე მივედი, გავიგონე, რომ ქვევით დიდი შემოსასვლელი კარი გაიჯახუნეს, როგორც მივხვდი, გრაფი დაბრუნდა. რადგან ის ბიბლიოთეკაში არ შემოსულა, მე ფეხაკრეფით გავემართე ჩემს ოთახში და იქ გრაფს წავაწყდი, რომელიც ჩემს ლოგინს შლიდა. ეს მეტად უცნაურად გამოიყურებოდა, თუმცა დაადასტურა ჩემი ვარაუდი, რომ სახლში საეროთდ არ იყვნენ მსახურები. ხოლო როცა მოგვიანებით სასადილოს კარის ჭუჭრუტანიდან თვალი მოვკარი გრაფს, რომელიც სუფრას აწყობდა, უკვე საბოლოოდ დავრწმუნდი ჩემი ვა-

რაუდის სისწორეში: რადგან ის თავად ასრულებს შინაყმის მოვალეობებს, მაშასადამე, სხვა არავინაა ამის გამკეთებელი. ამ დასკვნამ თავზარი დამცა: თუ ციხესიმაგრეში მეტი არავინ არის, მაშინ სწორედ გრაფი იყო იმ კარეტის მეეტლე, რომელმაც მე აქ მომიყვანა. ამ აზრმა შემაძრწუნა - მაშინ რას ნიშნავს მისი უნარი ხელის ერთი გაქნევით დააშოშმინოს მგლები, როგორც იმ ღამით გააკეთა? ბისტრიცასა და შემდეგ დილიჟანსში ხალხს ასე რატომ აშფოთებდა ჩემი ხვედრი? რა ამოძრავებდა მათ, როდესაც ჯვარი, ნიორი, ასკილი და ცირცელი მიბოძეს? ღმერთმა დალოცოს ის კეთილი, სათნო დედაბერი, რომელმაც ყელზე ჯვარი დამკიდა, რადგან მის ყოველ შეხებაზე მხნეობით ვივსები და ძალა მემატება. რა უცნაურია, რომ სწორედ ის, რასაც ამრეზით ვუყურებდი და კერპთაყვანისმცემლობად ვთვლიდი, მარტოობისა და განგაშის დღეებში ჩემი ერთადერთი სულიერი საყრდენი და დამამშვიდებელია. მაგრამ ჩემს თავს ვერ მივცემ მოცდენის უფლებას: გრაფ დრაკულას შესახებ ყველაფერი უნდა გავიგო, რადგან მხოლოდ ასე თუ შევძლებ ამ საიდუმლოს ამოცნობას. ვეცდები, ვაიძულო, თავის თავზე მიამბოს, თუკი როგორმე ამ თემაზე მოვახერხებ საუბრის წამოწყებას, მაგრამ ამისთვის ძალზე ფრთხილად უნდა ვიყო, რათა ეჭვები არ გაუჩნდეს.

შუაღამე.

გრაფს ხანგრძლივად ვესაუბრე. რამდენიმე კითხვა დავუსვი ტრანსილვანიის ისტორიასთან დაკავშირებით. მან ხალისითა და მგზნებარედ დაიწყო ამ თემაზე საუბარი, ისეთი აღტაცებით ლაპარაკობდა წარსულ მოვლენებზე, ხალხებზე, განსაკუთრებით კი ბრძოლებზე, თითქოს თავად იყო მათი უშუალო მონაწილე. ამას იმით ხსნიდა, რომ წარჩინებულთათვის სამშობლოს ღირსება მათი პირადი ღირსებაა, ხალხის გამარჯვება - მათი დიდება, ხალხის ბედი - მა-

თი ხვედრი. ძალიან მინდოდა სიტყვასიტყვით ჩამეწერა მისი ყოველი სიტყვა, იმდენად საინტერესო იყო ეს საუბარი. გრაფის ნაუბრიდან მისი გვარის ისტორია შევიტყვე, რაც აქ დაწვრილებით მომყავს:

- ჩვენ სეკლერები ვართ, უფლება გვაქვს ვიამაყოთ ამით, რადგან ჩვენს ძარღვებში მრავალი მამაცი ტომის სისხლი ჩქეფს, რომლებიც, ისევე, როგორც თქვენ, მსოფლიოში პირველობისათვის იბრძოდნენ. აქ, ბრძოლებისა და შეტაკებების ორომტრიალში, გამოირჩა უგრების ტომი, რომელმაც ისლანდიელებისაგან მემკვიდრეობით მიიღო მებრძოლი სული, რაც მათთვის თორსა და ოდინს [1] ჰქონდათ ნაბოძები, ხოლო მათმა ბერსერკერებმა სწრაფმავალი ხომალდებით ევროპის, აზიისა და აფრიკის საზღვაო გზებზეც კი ისეთი მძვინვარე სახელი მოიხვეჭეს, რომ ბევრგან მათ მაქციებად თვლიდნენ. ამასთან, როცა მათ აქამდე მოაღწიეს, აქ ჰუნები დაუხვდნენ. ამ ხალხის შმაგი ლტოლვა ბრძოლებისადმი ხანძარივით აოხრებდა ქვეყანას, ასე რომ, იმ ტომებს, ვისაც ისინი თავს ესხმოდნენ, მიაჩნდათ, რომ მათ ძარღვებში ძველი ალქაჯების სისხლი ჩქეფდა, რომლებიც სკვითების ქვეყნიდან განდევნის შემდეგ უდაბნოს ავსულებთან შეუღლდნენ. უგუნურები! რომელი ალქაჯი თუ ავსული შეედრებოდა დიდ ატილას! განა გასაკვირია, რომ ჩვენ გამარჯვებულთა ტომი ვართ, ზვიადი და ქედმაღალი? განა მადიარები, ლომბარდიელები, ავარები, ბულგარელები და თურქები ჩვენს საზღვრებთან თავიანთ ათასობით მებრძოლს არ გზავნიდნენ? მაგრამ ყველას საკადრის პასუხს ვცემდით. აქ რომაელთა ლეგიონებიც დამარცხებულან. და როდესაც მადიართა, როგორც გამარჯვებულთა ურდოები აღმოსავლეთით დაიძრა, სეკლერთა უფლებები მათ სრუ-

[1] თორი და ოდინი-ღმერთები სკანდინავიურ მითოლოგიაში

ლად აღიარეს; და უკვე მრავალი ასწლეულია, რაც ჩვენ დავალებული გვაქვს, დავიცვათ საზღვრები თურქეთთან, ხოლო გამუდმებული ზრუნვა საზღვრებისდასაცავად ადვილი როდია, რადგან როგორც თურქები ამბობენ: „ერთხელ წყალსაც ჩაეძინება, მტერი კი არასოდეს ხუჭავს თვალსო.“ ჩვენზე მეტი ჟინით ვინ უმართავდა სისხლიან ბრძოლებს რიცხობრივად გაცილებით აღმატებულ მტრის ურდოებს და ვინ ერთიანდებოდა, როგორც ერთი, მეფის დროშის ქვეშ? შემდგომ, როდესაც ჩემი ხალხის დიდი სირცხვილის გამოსყიდვის დრო დადგა - კოსოვოს სირცხვილის - როცა ვლახებისა და მადიარების ალმები ნახევარმთვარემ შთანთქა, განა ერთ-ერთმა ჩემმა წინაპარმა არ გადალახა დუნაი? და თურქები მათ მიწაზე გაანადგურა! ის მართლაც დრაკულა იყო! მისმა უბადრუკმა, უღირსმა ღვიძლმა ძმამ კი თავისი ხალხი მონებად მიჰყიდა თურქებს და მარადიული სირცხვილით იქნა დაღდასმული! და განა დრაკულა არ იყო ის სხვა, რომელმაც არაერთხელ გაგზავნა თავისი ლაშქარი დიდი მდინარის მიღმა, თურქეთში და რომელიც ვერავითარმა მარცხმა ვერ შეაჩერა? იგი სულ ახალ და ახალ ძალებს გზავნიდა სისხლიან ბრძოლის ველზე და ყოველთვის მარტო ბრუნდებოდა. ბოლოს და ბოლოს, დარწმუნდა, რომ საბოლოო გამარჯვებას მხოლოდ მარტოობაში მიაღწევდა. მაშინ მას ბრალი დასდეს, მარტო საკუთარ თავზე ფიქრობსო. მაგრამ რა არიან გლეხები წინამძღოლის გარეშე, ხელმძღვანელი გონებისა და გულის გარეშე?.. ხოლო როდესაც მაჩაგასთან ბრძოლის შემდეგ ჩვენ დავამხეთ მადიართა უღელი, მეთაურები ისევ ჩვენ გავხდით - დრაკულები, რადგანაც ჩვენი თავისუფალი სული ვერავითარ ზეწოლას ვერ იტანს! ოჰ, ჭაბუკო, რაც შეეხება კეთილშობილურ სისხლს, გონებასა და მახვილებს, სეკლერებსა და დრაკულებს შეუძლიათ იამაყონ თავიანთი ძველი მოდგმით მსოფლიოს ყველა მეფის წინაშე!.. ომების დრო წავიდა... ახლა სისხლი ძალზე ძვირად ფასობს და დიადი ტომების წარსული დიდება ახლა უკვე სხვა აღარაფერია, თუ არა ძველი ზღაპარი!..

ამ სიტყვებზე ირიჟრაჟა კიდეც და ჩვენ დასაძინებლად გავემართეთ (შენიშვნა: ეს დღიური გვაგონებს „არაბული ღამეების“ დასაწყისსა და „ჰამლეტის“ მამის აჩრდილს - ისევე, როგორც იქ, აქაც ყველაფერი მამლის ყივილით წყდება).

12 მაისი.

გუშინ საღამოს, როცა გრაფი თავისი ოთახიდან გამოვიდა, რამდენიმე იურიდიული კითხვა დამისვა თავის საქმეებთან დაკავშვირებით. ცნობათა მიღებისას იგი თითქოს ერთგვარი სისტემით ხელმძღვანელობდა და მეც შევეცდები ისინი თავ-თავიანთი რიგის მიხედვით გადმოვცე; ეს ცნობები, შესაძლოა, ოდესმე გამომადგეს კიდეც. უპირველეს ყოვლისა, მან იკითხა, შეიძლება თუ არა ინგლისში ორი ვექილი გყავდეს. ამაზე ვუპასუხე, რომ იმდენის ყოლა შეიძლება, რამდენიც მოგესურვებათ, მაგრამ თითო საქმისთვის უპრიანია თითო გვყავდეთ, რადგანაც ერთდროულად ორ საქმეს, როგორც წესი, მაინც არასოდეს ვუძღვებით, ხოლო იურისტების ცვლა ყოველთვის არახელსაყრელია კლიენტებისათვის-მეთქი. როგორც ჩანს, მიხვდა და მკითხა, თუ შეიძლება პრაქტიკულად განხორციელდეს, რომ ერთი რწმუნებული მე მახლდეს, ვთქვათ, როგორც ბანკირი, ხოლო მეორემ ამ დროს თვალყური ადევნოს გემების დატვირთვას სრულიად სხვა ადგილზეო? ვთხოვე, უფრო მკაფიოდ ჩამომიყალიბეთ თქვენი ინტერესები, რათა დავაზუსტო ყველაფერი და შეცდომაში არ შეგიყვანოთ-მეთქი, და გრაფმა განმიმარტა:

- წარმოიდგინეთ, მაგალითად, ასეთი შემთხვევა: თქვენმა მეგობარმა - მისტერ პიტერ ჰაუკინსმა, - რომელიც ექსეტერში ცხოვრობს თქვენს მშვენიერ ეკლესიასთან, ლონდონიდან შორს, თქვენი შუამ-

დგომლობით, ძვირფასო მეგობარო, ჩემთვის ადგილი იყიდა ლონ-დონში. ძალიან კარგი! ახლა ნება მიბოძეთ, გულღიად გესაუბროთ, რათა უცნაურად არ მოგეჩვენოთ ის გარემოება, რომ ლონდონში მცხოვრები ადამიანის ნაცვლად ქონების შესაძენად მივმართე პი-როვნებას, რომელიც ამ ქალაქიდან შორს ცხოვრობს. შევეცადე, რომ არავითარ ადგილობრივ ინტერესს არ შეეშალა ხელი ჩემი პი-რადი ინტერესებისთვის, ხოლო რადგანაც ლონდონში მცხოვრებს ყოველთვის შეიძლება მხედველობაში ჰქონდეს როგორც თავისი, ასევე მეგობართა ინტერესებიც, ვცადე, მომეძებნა აგენტი, რომე-ლიც მთელ თავის მონდომებას მხოლოდ ჩემ სასარგებლოდ მიმარ-თავდა. ახლა დავუშვათ, რომ მე, საქმიან ადამიანს, აუცილებლად მესაჭიროება საქონლის გაგზავნა, ვთქვათ, ნიუკასლში ან დარემში, ან ჰარვიჩსა თუ დუვრში, განა ამასთან დაკავშირებით უმჯობესი არ იქნება, ადგილზე მივმართო ვინმეს?

მე დავეთანხმე, მაგრამ ავუხსენი, რომ ჩვენ, ვექილებს, ყველგან ჩვენი აგენტები გვყავს და ყოველგვარი დავალება შეიძლება შეს-რულდეს ადგილობრივი აგენტების მიერ ნებისმიერი ვექილის ინ-სტრუქციის მიხედვით.

- მაგრამ, - შემეპასუხა იგი, - მე ხომ თავისუფლად შემეძლო თა-ვად გავძღოლოდი ყველა საქმეს? ასე არ არის?

- რა თქმა უნდა. ეს მიღებულია საქმიან ადამიანებში, რომლებ-საც არ სურთ, რომ მათი სახელები ვინმესთვის გახდეს ცნობილი.

- შესანიშნავია! - თქვა მან და შემდეგ გადავიდა თავდებობის ფორმასა და გაფორმებაზე და იმ სირთულეებზე, რაც ამ დროს შეიძ-ლება წარმოიქმნას. გრაფს სურდა, წინასწარ დაეზღვია თავი ყო-ველგვარი შემთხვევითობისაგან.

მე რაც შემეძლო, ზუსტად ავუხსენი ყველაფერი. საბოლოოდ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ გრაფს თვითონ შეეძლო გამ-ხდარიყო ჩინებული იურისტი - მას არც ერთი დეტალი არ დაუტოვე-ბია უყურადღებოდ. როდესაც სრულად დაკმაყოფილდა ცნობებით და მისთვის საინტერესო ყოველ პუნქტთან დაკავშირებით მოისმინა ამომწურავი განმარტება, ადგა და მკითხა:

- რამე თუ მისწერეთ თქვენი პირველი წერილის შემდეგ მისტერ ჰაუკინსს ან ვინმე სხვას?

გულდაწყვეტით ვუპასუხე, რომ აქამდე არავითარი საშუალება არ მქონია, ვინმესთვის წერილი გამეგზავნა.

- მაშინ ახლავე დაწერეთ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, - მითხრა მან და თავისი მძიმე ხელი მხარზე დამადო, - და აღნიშნეთ, რომ აქ დაახლოებით კიდევ ერთ თვეს დარჩებით, დღევანდელი დღის ჩათ-ვლით, თუ ეს სიამოვნებას მოგანიჭებთ.

- ნუთუ ასეთი ხანგრძლივი ვადით გსურთ აქ დამტოვოთ?

- ამის დიდი სურვილი მაქვს. არა, უარს არ მივიღებ! როდესაც თქვენმა პატრონმა თუ უფროსმა, როგორც გნებავთ, შემატყობინა, რომ თავის მოადგილეს მიგზავნიდა, ჩვენ შევთანხმდით, რომ მხო-ლოდ ჩემი ინტერესები იქნებოდა მხედველობაში მიღებული. მე ვა-და არ დამითქვამს. ასე არ არის?

დათანხმების გარდა სხვა რა დამრჩენოდა. ეს ყველაფერი ხომ არა ჩემს, არამედ მისტერ ჰაუკინსის ინტერესებში შედიოდა და მე, უპირველეს ყოვლისა, პატრონზე უნდა მეფიქრა, და არა ჩემს თავზე,

თანაც, გარდა ამისა, გრაფ დრაკულას თვალებსა და მთელ მის ქცევაში იყო რაღაც ისეთი, რაც მე მაშინვე მახსენებდა ჩემი, როგორც ტუსაღის მდგომარეობას. გრაფმა ჩემს დაუყოვნებელ თანხმობასა და ჩემს სახეზე ასახულ შეშფოთებაში თავისი გამარჯვება და ჩემზე თავისი ძალაუფლება დაინახა, და მყისვე ისარგებლა ამით, მისთვის დამახასიათებელი თუმცა კი თავაზიანი, მაგრამ ისეთი ხერხით, რომელიც უარს ვერ იტანს.

- მაგრამ გთხოვთ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, თქვენს წერილებში საქმეების გარდა ნურაფერს შეეხებით. თქვენს მეგობრებს უთუოდ ესიამოვნებათ იმის გაგება, რომ თავს კარგად გრძნობთ და შინ სწრაფი დაბრუნების იმედი გაქვთ, ასე არ არის? - ამ სიტყვებით მან თაბახის სამი ფურცელი და სამი კონვერტი გამომიწოდა. როდესაც ქაღალდებსა და გრაფს შევავლე თვალი და ყურადღება მივაქციე მის მშვიდ ღიმილსა და წამახვილებულ, ეშვისმაგვარ კბილებს, მაშინვე მივხვდი, თითქოს მას პირდაპირ განეცხადებინოს ამის შესახებ, რომ ჩემს წერილებში ძალზე ფრთხილად უნდა ვყოფილიყავი, რადგან მისთვის არაფერს წარმოადგენდა მათი წაკითხვა. ამიტომ გადავწყვიტე, მოსაჩვენებლად მხოლოდ ოფიციალური წერილები დამეწერა, შემდეგ კი, უკვე ფარულად, ყველაფერი დაწვრილებით მიმეწერა მისტერ ჰაუკინსისა და მინასათვის, რომელსაც, ამ გახსენებაზე, სტენოგრაფიულად შემიძლია მივწერო, რაც გრაფს სირთულეებს შეუქმნის. ორი წერილი დავწერე, მშვიდად მოვეწყვე და წიგნის კითხვას შევუდექი, სანამ გრაფი რამდენიმე შენიშვნას აკეთებდა წიგნებიდან ცნობების ამოკრებით. შემდეგ მან ორივე წერილი აიღო, თავის წერილებთან ერთად დადო საწერ-კალმის გვერდით და ოთახიდან გავიდა. მე დაუყოვნებლივ ვისარგებლე მისი არყოფნით, რათა მენახა მისი წერილები. ამ დროს სინდისის არავითარ ქენჯნას არ განვიცდიდი, რადგან მიმაჩნდა, რომ ასეთ პირობებში, თავის გადასარჩენად, ნებისმიერი ხერხი უნდა გამომეყენებინა.

ერთ-ერთი წერილი ეგზავნებოდა სემუელ ფ. ბილინგთონს ქრეშენ-დის #7, უაითბი; მეორე - ბატონ ლაინტერს, ვარნა; მესამე - „კუტსსა და კომპანიას“, ლონდონი; მეოთხე - ბატონებს კლოპშტოკსა და ბილრეიტს, ბუდაპეშტელ ბანკირებს. მეორე და მეოთხე დაბეჭდილი არ გახლდათ. ის-ის იყო მათი წაკითხვა დავაპირე, რომ კარის სახე-ლურის მოძრაობა შევნიშნე. ძლივს მოვასწარი წერილების პირვან-დელი სახით დაწყობა, სავარძელში ჩაჯდომა და ისევ წიგნში თავის ჩარგვა, რომ ოთახში გრაფი შემოვიდა. ხელში კიდევ ერთი წერილი ეჭირა. მაგიდიდან წერილები აიღო, დაბეჭდა, ჩემკენ მობრუნდა და მითხრა:

- იმედი მაქვს, მაპატიებთ, თუკი ამ საღამოს მარტო დაგტოვებთ, რადგან უამრავი კერძო საქმე მელოდება.

კარში კიდევ ერთხელ შემობრუნდა და წუთიერი პაუზის შემდეგ დაამატა:

- ნება მიბოძეთ, გირჩიოთ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, უფრო სწორად, ძალზე სერიოზულად გაგაფრთხილოთ, რომ თუ ნაცნობ ოთახებს დატოვებთ, მთელ ციხესიმაგრეში სიმშვიდეს ვერასგზით მოიპოვებთ. ეს ძველებური ნაგებობაა, თავის კედლებში მრავალ მოგონებას ინახავს და ცუდად მიდის მათი საქმე, რომელთაც უგო-ნო ზმანებები ეუფლებათ. ამრიგად, თქვენ გაფრთხილებული ბრძანდებით! როგორც კი იგრძნობთ, რომ გეძინებათ, მაშინვე სა-ძინებელს მიაშურეთ, ანდა ერთ-ერთ ამ ოთახს, და სიმშვიდე გარან-ტირებული გექნებათ. მაგრამ თუ გაუფრთხილებლად მოიქცევით... - მან ავბედითი ტონით ნათქვამი ეს სიტყვები ხელების ისეთი მოძ-რაობით დაასრულა, თითქოს იბანდა მათ.

მე მშვენივრად მივუხვდი ნათქვამს, თუმცა ეჭვი შემეპარა უფრო კოშმარული სიზმრის არსებობის შესაძლებლობაში, ვიდრე ის არა-ბუნებრივი, წყვდიადით, საშინელებითა და იდუმალებით აღსავსე სინამდვილე გახლდათ, რომელიც გარს მერტყა.

მოგვიანებით.

ახლა, როცა ამ ბოლო სტრიქონებს ვწერ, ეჭვებზე უკვე სათქმელიც აღარაფერია. მე არ შემეშინდება ციხესიმაგრის ნებისმიერ კუთხე-კუნჭულში დავიძინო, ოღონდ კი ის არ იყოს შინ. ჯვარცმა სასთუმალთან დავდე და ვფიქრობ, რომ ასე სიზმრები აღარ შემაწუხებს და მოვისვენებ...

გრაფის წასვლისთანავე ჩემს ოთახში გავედი. მცირე ხნის შემდეგ, სრულ სიჩუმეში, ოთახიდან გამოვედი და ქვის კიბით იქითკენ გავემართე, საიდანაც არემარეს სამხრეთის მხრიდან შეიძლება უთვალთვალო. აქ შემეძლო,თავისუფლებით დავმტკბარიყავი, მეცქირა ვრცელი, თუმცა ჩემთვის მიუწვდომელი სივრცისათვის; ეზოში გამეფებულ წყვდიადთან შედარებით აქ მეტი სინათლე იყო! გარემოს თვალი მოვავლე და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ მართლაც ციხეში ვიმყოფებოდი; სუფთა ჰაერით მსურდა მესუნთქა. ვტკბებოდი მთვარის მქრქალი შუქით განათებული შესანიშნავი ხედით, სანამ დღესავით არ განათდა. მკრთალი სინათლე არბილებდა შორეული გორაკების კონტურებს, ხეობებსა და ვიწრო გასასვლელებში კი ჩრდილები ხავერდოვანი წყვდიადით დაიფარა. ბუნების მოკრძალებულმა სილამაზემ შვება მომგვარა; ყოველი ჩასუნთქვით თითქოს სიმშვიდესა და სიწყნარეს ვიწოვდი. როდესაც ფანჯრიდან გადავიხედე, შევნიშნე, რომ ჩემგან მარცხნივ, სწორედ იქ,

სადაც ჩემი ვარაუდით, გრაფის ოთახის ფანჯარა მდებარეობდა, რაღაც შეირხა. დიდი ფანჯარა, რომელთანაც მე ვიდექი, ქვის ამბრაზურაში იყო ჩასმული. კედელს ამოვეფარე და ფრთხილად გავიხედე.

და აი, შევნიშნე, როგორ გამოყო გრაფმა ფანჯრიდან თავი. სახე არ დამინახავს, მაგრამ მაშინვე ვიცანი იგი კეფითა და მხრებისა და ხელების მოძრაობით. შეცდომა გამორიცხული იყო, რადგან მის ხელებს აქამდე ბევრჯერ დავკვირვებივარ ყურადღებით. თავიდან ამან ძალიან დამაინტერესა, და საერთოდ, განა ბევრია საჭირო ადამიანის დასაინტერესებლად, რომელიც თავის თავს ტუსაღად მიიჩნევს! მაგრამ ჩემი ცნობისმოყვარეობა საშინელებასა და შიშში გადაიზარდა, როდესაც დავინახე, რომ მან კედლის გასწვრივ, საშინელი უფსკრულის თავზე დაიწყო ცოცვა. ქარი მის ტანსაცმელს დიდი ფრთებივით აფრიალებდა. თვალებს არ ვუჯერებდი! თავიდან მომეჩვენა, რომ ეს მთვარის სინათლის ანარეკლია და რაღაც ლანდის უჩვეულო თამაში, მაგრამ ყურადღებით დაკვირვებისას ეჭვები გამეფანტა, ვინაიდან აშკარად დავინახე, თითებითა და ფრჩხილებით როგორ ებღაუჭებოდა ქვების კუთხეებს, რომელთა ბათქაშიც ავდრებისაგან გამოფიტულიყო, იგი ყოველი შვერილითა და მცირე უსწორმასწორობით სარგებლობდა და წარმოუდგენელი სისწრაფით, ხვლიკივით მიცოცავდა ქვემოთ.

რა ადამიანია ეს, ან ადამიანის მსგავსი რა არსება? ვგრძნობ, როგორ მბოჭავს ამ ადგილის მთელი საშინელება, მეშინია, საშინლად მეშინია და საშველიც არ ჩანს! ისე ვარ შიშით გათანგული, რომ ფიქრსაც ვერ ვბედავ...

15 მაისი.

ისევ ვნახე გრაფი, რომელიც ხვლიკივით მიცოცავდა. ალმაცერად დაეშვა კარგა დიდი მანძილით, შემდეგ კი რაღაც ხვრელში ან ფანჯარაში გაქრა. როცა მისი თავი მხედველობის არიდან გაუჩინარდა, ფანჯარაში თავი გავყავი და ვცადე მისი საოცარი გზისათვის თვალი გამედევნებინა, მაგრამ ამაოდ, რადგან მანძილი საკმაოდ დიდი იყო. ახლა უკვე ვიცოდი, რომ ციხესიმაგრიდან წასული იყო, ამიტომ გადავწყვიტე, ხელსაყრელი შემთხვევით მესარგებლა და ყველაფერი დამეთვალიერებინა, რისი დათვალიერებაც ადრე ვერ მოვასწარი. ჩემს ოთახში დავბრუნდი, ლამპა ავიღე და ყველა კარს ჩამოვუარე. როგორც ველოდი, ყველა დაკეტილი აღმოჩნდა, ამასთან, საკეტები სრულიად ახლები იყო. მაშინ ქვის კიბით დარბაზში დავეშვი. დავრწმუნდი, რომ ჭანჭიკებს საკმაოდ ადვილად გადავწევდი და რომ არც დიდი ჯაჭვების კაუჭებიდან მოხსნა წარმოადგენდა სირთულეს. უნდა დამეცადა და როცა მისი ოთახის კარი ღია იქნებოდა, შიგ შემეღწია და შეუმჩნევლად წავსულიყავი. სხვადასხვა კიბესა და გასასვლელს ვათვალიერებდი და ყველა კარი მოვსინჯე. ერთი თუ ორი პატარა ოთახი დარბაზთან ახლოს ღია აღმოჩნდა, მაგრამ იქ საინტერესო არაფერი იყო, მტვრით დაფარული და ჩრჩილის მიერ დაღრღნილი ძველებური ავეჯის გარდა. საბოლოოდ, ერთ-ერთი კიბის თავზე მაინც ვიპოვე რაღაც კარი, რომელიც თუმცა დაკეტილი იყო, მაგრამ პირველივე მსუბუქი ბიძგით საეჭვოდ შეირხა. უფრო ძლიერი ბიძგით ვიგრძენი, რომ ის მართლაც არ იყო დაკეტილი. ასეთი შემთხვევა მეორედ, ალბათ, აღარ განმეორდებოდა, ამიტომ მთელი ჩემი ძალ-ღონე დავძაბე და იმდენად შევაღე კარი, რომ შესვლა მოვახერხე. ფანჯრების განლაგებით მივხვდი, რომ ოთახების ანფილადა ციხესიმაგრის სამხრეთ მხარეს იყო განლაგებული, ხოლო ფანჯრები დასავლეთითა და სამხრეთით გადიოდა. ორივე მხარეს უზარმაზარ უფსკრულს დაეღო ხახა. ციხესიმაგრე დიდი, ციცაბო კლდის პირას აეგოთ, ასე რომ, სამი მხრიდან სრულიად მიუდგომელი იყო. დასავლეთით მოჩანდა დიდი ხეობა, ხოლო მის

უკან, შორს, ერთმანეთის მიყოლებით დაკბილული კლდეები აღმართულიყო, ისინი მთის ყვავილებითა და კვრინჩხნარით იყო დაფარული, რომლის ფესვები ქვების ნახეთქებსა და ნამსხვრევებს ებღაუჭებოდა. ციხესიმაგრის ეს ნაწილი, როგორც ჩანს, ოდესღაც დასახლებული უნდა ყოფილიყო, რადგან აქ მეტი სიმყუდროვე იგრძნობოდა სხვა ნაწილებთან შედარებით. ფანჯრებს ფარდები არ ჰქონდა და მთვარის ყვითელი შუქი მტვრის სქელ ფენას ჩქმალავდა, რომელიც ყველგან ბლომად იყო. მთვარის მკვეთრ სინათლეზე ჩემი ლამპა დიდად ვერ მეხმარებოდა, მაგრამ მისი შუქი თითქოს საშინელ სიმარტოვეს მიფანტავდა, გულს რომ ასე მიკუმშავდა და ნერვებს მიფორიაქებდა. ყოველ შემთხვევაში, აქ უკეთ ვგრძნობდი თავს, ვიდრე იმ ოთახებში, რომლებსაც მათში გრაფის ყოფნის გამო ვერ ვიტანდი. ვცადე თავი ხელში ამეყვანა და თანდათან დავმშვიდდი კიდეც.

16 მაისი. დილა.

უფალს ვთხოვ, საღი გონება შემინარჩუნოს, რადგან ეს ძალიან მჭირდება! უსაფრთხოება და მისი რწმენა - წარსულში დარჩა! სანამ აქ ვცხოვრობ,მხოლოდ ერთ რამეს ვესწრაფვი - როგორმე ჭკუაზე არ შევცდე, თუკი ეს ჯერ არ მომხდარა. თუ ჯერ კიდევ სრულ ჭკუაზე ვარ, მაშინ ნამდვილი სიგიჟეა იმის გაფიქრება, თითქოს ყველა იმ სისაძაგლიდან, რითაც ამ საძულველ ადგილზე ვარ გარემოცული, ყველაზე ნაკლებად გრაფი მაშინებს და თითქოს ჯერ კიდევ შემიძლია მისი დახმარების იმედი მქონდეს მანამდე, სანამ მას ვჭირდები! ღმერთო დიდებულო! სიმშვიდე შემინარჩუნე, რადგან სხვაგვარად სიგიჟე მართლაც გარდაუვალია!..

გრაფის იდუმალი გაფრთხილება მაღელვებს, რადგან ვგრძნობ, რომ მომავალში მისი ძალაუფლების შიშით მომიწევს აქ ყოფნა. ალბათ, მის სიტყვებში დაეჭვებასაც ვერ გავბედავ...

ამ ღამით ზედა ოთახში ყოფნისას ვიგრძენი, როგორ მომერია ძილი. გრაფის გაფრთხილება გავიხსენე, მაგრამ საოცარი სურვილი გამიჩნდა, არ დავმორჩილებოდი. სულ უფრო მეტად მეძინებოდა და მასთან ერთად ბრძოლის სურვილიც იზრდებოდა. მთვარის ნაზი შუქი ანათებდა არემარეს, ხოლო დამყარებული სიმშვიდე გულს მეფინებოდა. გადავწყვიტე, ამაღამ ჩემს პირქუშ ოთახებში აღარ დავბრუნებულიყავი და აქ დამეძინა. კუთხიდან რაღაც ტახტი გამოვათრიე და ისე დავდგი, რომ მწოლიარეს თავისუფლად შემძლებოდა დასავლეთისა და სამხრეთის ხედებით დავმტკბარიყავი და ისე, რომ ყურადღებაც არ მივაქციე მტვრის სქელ ფენას, რაც აქ ყველაფერს ფარავდა. დასაძინებლად გავემზადე.

მე მგონი, ჩამეძინა. იმედი მაქვს, რომ ასეც იყო, მაგრამ მაინც ძალზე მეშინია, რომ ყველაფერი, რაც ამას მოჰყვა, სინამდვილეში არ მომხდარიყო - რადგან ის, რაც მოხდა, იმდენად რეალური იყო, ისეთი აშკარა, რომ ახლა, მზის კაშკაშა სინათლეზე ჯდომისას, ვერაფრით წარმომიდგენია, რომ ის სიზმარი იყო...

თურმე მარტო არ ვყოფილვარ... იმავე ოთახში ვიყავი, სადაც არაფერი შეცვლილიყო მას შემდეგ, რაც იქ შევედი. მთვარის შუქის წყალობით შემეძლო, გამერჩია საკუთარი ნაკვალევი, რამაც იატაკზე დაგროვებული აბლაბუდები მოშალა. მთვარის სინათლეზე, ჩემ წინ სამი ახალგაზრდა ქალი იმყოფებოდა, ტანსაცმლისა და მანერების მიხედვით მაღალი წრის დახვეწილი ქალბატონები იყვნენ. ვფიქრობ, რომ ისინი სიზმრად ვნახე, ვინაიდან მიუხედავად იმისა,

რომ მთვარის შუქი მათ უკან ანათებდა, ამ ქალბატონებისგან იატაკს არავითარი ჩრდილი არ ეფინებოდა. ისინი მჭიდროდ მომიახლოვდნენ, შემომხედეს და ერთმანეთს რაღაც უჩურჩულეს. ორი მათგანი შავგვრემანი გახლდათ - გრაფივით თხელი კეხიანი ცხვირები ჰქონდათ, დიდი მუქი გამჭოლი თვალები, რაც სრულიად წითელი ჩანდა მთვარის მკრთალ-მოყვითალო შუქზე. მესამე ლედი ქერათმიანი იყო, გრუზა, საოცრად ნათელი, ხშირი, ოქროსფერი თმითა და საფირონისფერი თვალებით. მომეჩვენა, რომ ვიცნობდი ამ სახეს, რომ სიზმარში ოდესღაც მენახა, მაგრამ ვერაფრით გავიხსენე, სად და როდის. სამივეს მშვენიერი თეთრი კბილები ჰქონდა, რომლებიც მარგალიტებივით ქათქათებდა ლალისფერ, ვნებიან ტუჩებს შორის. რაღაც უხერხულობა ვიგრძენი. ჩემს სულში ქვენა გრძნობამ გაიღვიძა და მომინდა, რომ თავიანთი წითელი, ვნებიანი ტუჩებით ეკოცნათ ჩემთვის.

მცირე ხანს ერთმანეთში იჩურჩულეს და შემდეგ სამივემ წკრიალა, მუსიკალური ხმით გადაიკისკისა. ქერათმიანმა კეკლუცად გააქნია მშვენიერი თავი, დანარჩენებმა კი წააქეზეს. ერთმა მათგანმა უთხრა:

- დაიწყე! შენ პირველი ხარ, ჩვენ კი შენს მაგალითს მივბაძავთ... შენი ჯერია.

მეორემ დაამატა:

- ახალგაზრდა და ჯანსაღია, კოცნა ყველას გვეყოფა.

მე მშვიდად ვიწექი და ტკბობის მოლოდინით ღონემიხდილი თვალმოჭუტული შევყურებდი მათ. ქერა გოგონა მომიახლოვდა და

ჩემკენ ისე დაიხარა, რომ მისი სუნთქვა ვიგრძენი. მას რაღაც ტკბილი სურნელი დაკრავდა, თაფლივით, რაც ისევე მოქმედებდა ნერვებზე, როგორც მისი წკრიალა ხმა, მაგრამ ამ სიტკბოებაში რაღაც სიმწარე იგრძნობოდა, სისხლის სუნისთვის დამახასიათებელი რაღაც საზიზღარი სიმწარე.

თვალების გახელისა მეშინოდა, მაგრამ ქუთუთოები ოდნავ გავაღე და ყველაფერი მშვენივრად დავინახე. ქერათმიანი მუხლებზე დაეშვა და ჩემკენ გადმოიხარა. იგი სულ უფრო მეტად იხრებოდა და ცხოველივით ილოკავდა ტუჩებს; მთვარის შუქზე შევნიშნე, რომ მისი ხასხასა წითელი ტუჩები და ენის წვერი, რითაც თავის თეთრ, ბასრ კბილებს ილოკავდა, ნერწყვით იყო დაფარული. მისი თავი სულ უფრო ქვემოთ ეშვებოდა, ხოლო ტუჩებმა, როგორც მომეჩვენა, ჩემს პირსა და ნიკაპს ჩაუარეს და ყელთან შეჩერდნენ. ყელზე რაღაც ღიტინი და ორი ბასრი კბილის შეხება ვიგრძენი. აღტაცებულმა თვალები დავხუჭე და ველოდი, ველოდი, მთელი სხეულით ათრთოლებული.

მაგრამ იმავე წამს ელვისებურად სხვა შეგრძნება დამეუფლა. მე გრაფის სიახლოვე ვიგრძენი. იგი საშინლად იყო განრისხებული. უნებურად თვალები ვჭყიტე და დავინახე, რომ გრაფმა თავისი მძლავრი ხელი ჩაავლო ქალს ნაზ კისერში და მთელი ძალით გვერდზე მოისროლა, ცისფერი თვალები ცოფიანივით უელავდა, თეთრ კბილებს ბრაზიანად აკრაჭუნებდა, ხოლო ფერმკრთალ ლოყებზე მრისხანების ალმური ასდიოდა. გრაფს ვეღარ იცნობდით. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ თუნდაც დემონებს შეეძლოთ ასეთი გამძვინვარება, გააფთრება და მრისხანება! გრაფის თვალები ელვას აფრქვევდა და ისე უკაშკაშებდა წითლად, თითქოს მათში ჯოჯოხეთური ცეცხლის ალი გიზგიზებდა. სახეზე მკვდრის ფერი ედო და თითქმის ყველანაკვთი გაქვავებოდა, ხოლო მისი სქელი წარბები

ახლა სითეთრემდე გავარვარებული ლითონის სწორ ზოლს მოგაგონებდათ. მან მძვინვარედ მოისროლა ქალი და შემდეგ დანარჩენი ორისკენ გაიწია, თითქოს მათაც უნდა გასწორებოდა. ეს იმ მოძრაობას ჰგავდა, რითაც იგი მგლებს ათვინიერებდა; შემდეგ თავისი მჭექარე, მტკიცე ხმით, რამაც ოთახში ჰაერი გააპო, მიუხედავად იმისა, რომ იგი თითქმის ჩურჩულით ლაპარაკობდა, თქვა:

- როგორ ბედავთ, ხელი ახლოთ! როგორ ბედავთ ასე უდიერად შეხედოთ, როცა ეს აგიკრძალეთ? უკან, თქვენ გეუბნებით! აქედან-დაიკარგეთ! ეს ადამიანი მე მეკუთვნის! შეხებაც რომ გაუბედოთ, ჩემთან გექნებათ საქმე!

ქერათმიანი გოგონა ნაძალადევი კეკლუცობით მიუბრუნდა და სიცილით მიუგო:

- შენ თვითონ არასოდეს არავინ გყვარებია და ვერასოდეს ვერავის შეიყვარებ!

დანარჩენმა ქალებმაც დაადასტურეს ეს და ისეთი სასიხარულო და ამავე დროს უხეში და უსულგულო სიცილი გაისმა, რომ კინაღამ გრძნობა დავკარგე, თითქოს ალქაჯები აწყობდნენ თავიანთ შაბათობას. გრაფი ჩემკენ მობრუნდა, თვალებში ჩამაშტერდა და ჩუმად ჩაიჩურჩულა:

- არა, მეც შემიძლია სიყვარული, თვითონ შეგეძლოთ, ადრე ამაში დარწმუნებულიყავით. გპირდებით, რომ როგორც კი ბოლოს მოვუღებ, ნებას დაგრთავთ, ეამბოროთ, რამდენსაც მოისურვებთ. ახლა კი წადით. უნდა გავაღვიძო, რადგან კიდევ ერთი საქმე მელოდება.

- განა ამაღამ ვერაფერს მივიღებთ? - დაფარული სიცილით იკითხა ერთ-ერთმა მათგანმა და ტომარაზე მიუთითა, რომელიც გრაფმა იატაკზე დააგდო და რომელიც ისე მოძრაობდა, თითქოს მასში რაღაც ცოცხალი იყო. გრაფმა თანხმობის ნიშნად დაუქნია თავი. ერთ-ერთი ქალი მაშინვე ეცა და ტომარა გახსნა. თუკი სმენამ არ მიღალატა, იქიდან ნახევრადგაგუდული ბავშვის კვნესა და მოთქმა გაისმა. ქალები ტომარას დასტრიალებდნენ, მე კი ამ საშინელებამ თავზარი დამცა. როდესაც საბოლოოდ გამოვფხიზლდი, ისინი უკვე აღარსად ჩანდნენ, მათთან ერთად საზარელი ტომარაც გამქრალიყო. ოთახს სხვა კარი არ ჰქონდა, ჩემ გვერდით კი მათ არ ჩაუვლიათ. ისე ჩანდა, რომ ისინი უბრალოდ აორთქლდნენ მთვარის შუქის სხივებში, რადგანაც შევნიშნე, მათი ბუნდოვანი ფიგურები როგორ წაიშალა მთვარის ფონზე.

ამის შემდეგ საშინელებამ ისეთი ძალით შემომიტია, რომ გრძნობა დავკარგე.

თავი მეოთხე

საკუთარ საწოლში გავიღვიძე. თუკი ღამეული თავგადასავალი არ დამსიზმრებია, მაშასადამე, აქ გრაფმა მომიყვანა. ამას ბევრი წვრილმანი ადასტურებდა. ჩემი ტანსაცმელი ისე არ იყო დაწყობილი, როგორც ვაწყობ ხოლმე. ჩემი საათი გაჩერებული დამხვდა, მას კი ყოველთვის ვქოქავ ღამღამობით, და კიდევ მრავალი მსგავსი წვრილმანი. მაგრამ, ცხადია, ეს ვერ გამოდგებოდა მტკიცებულებად, იქნებ, ეს მოვლენები მხოლოდ იმას ადასტურებენ, რომ გონება ამა თუ იმ მიზეზით მთლად წესრიგში ვერ მქონდა. სხვა მტკიცებულებებს უნდა მივაგნო. ძალიან მიხარია, რომ ჩემი ჯიბეებისთვის ხელი არავის უხლია, როგორც ჩანს, გრაფი ძალზე ჩქარობდა, რადგან

აქ გადმომიყვანა და ტანთ გამხადა. დარწმუნებული ვარ, ჩემი დღიური მისთვის გამოცანა იქნებოდა, რასაც ვერაფერს გაუგებდა. ის, ალბათ, თან წაიღო შესაძლოა, გაანადგურა კიდეც. ახლა საძინებელი, რომელიც ყოველთვის საზიზღრად მეჩვენებოდა, ჩემთვის საკურთხევლად იქცა, ვინაიდან არაფერია იმ შემზარავ ქალებზე საშინელი, რომლებიც ელოდნენ და ყოველთვის დაელოდებიან შემთხვევას, რომ სისხლი გამომწოვონ.

18 მაისი.

ისევ მივაშურე იმ ოთახს, რადგან, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გავიგო სრული სიმართლე. კარი ჩაკეტილი დამხვდა. როგორც ჩანს, ისეთი ძალით მიაჯახუნეს, რომ ალაგ-ალაგ დამსკდარიყო. კარი შიგნიდანაა ჩაკეტილი. ვშიშობ, რომ ეს ყველაფერი სიზმარი არ არის...

19 მაისი.

მე, უეჭველად, კვალს დავადექი. წუხელ გრაფმა ძალზე დამტკბარი ტონით მთხოვა, სამი წერილი დამეწერა: პირველში იუწყებოდა, რომ ჩემი საქმე აქ უკვე დასასრულს უახლოვდებოდა და რომ რამდენიმე დღეში შინ გავემგზავრები, მეორეში - რომ მე წერილის თარიღის მომდენვო დღეს გამოვდიოდი, ხოლო მესამეში - რომ მე უკვე დავტოვე ციხესიმაგრე და ბისტრიცაში ჩავედი. ძალიან მომინდა, გამეპროტესტებინა, მაგრამ მივხვდი, რომ ჩემს მდგომარეობაში გრაფთან ღია კონფლიქტი უგუნურება იქნებოდა, რადგანაც მთლიანად მის ძალაუფლებაში ვიმყოფებოდი, ხოლო ამ წერილების დაწერაზე უარის თქმით გრაფს დავაეჭვებდი და მის მრისხანებას დავიტეხდი. იგი მიხვდებოდა, რომ მე საკმაოდ ბევრი მქონდა გაგებუ-

ლი და ცოცხალს აღარ დამტოვებდა, რადგან საშიში გავმხდარიყავი. ახლა ჩემი ერთადერთი იმედი ის იყო, მეძებნა და დავლოდებოდი ხელსაყრელ შემთხვევას. ვიფიქრე, შესაძლოა, გაქცევის საშუალებაც მომეცეს-მეთქი. მის თვალებში ისევ შევნიშნე იმ მრისხანეების მსგავსი რამ, როგორითაც ქერათმიანი ქალი მოისროლა. მან ამიხსნა, რომ ფოსტა აქ იშვიათად დადის და დიდად სანდოც არ არის, ამიტომ წინასწარ უნდა ვაცნობოთ ჩემსთავი მეოთხე

საკუთარ საწოლში გავიღვიძე. თუკი ღამეული თავგადასავალი არ დამსიზმრებია, მაშასადამე, აქ გრაფმა მომიყვანა. ამას ბევრი წვრილმანი ადასტურებდა. ჩემი ტანსაცმელი ისე არ იყო დაწყობილი, როგორც ვაწყობ ხოლმე. ჩემი საათი გაჩერებული დამხვდა, მას კი ყოველთვის ვქოქავ ღამღამობით, და კიდევ მრავალი მსგავსი წვრილმანი. მაგრამ, ცხადია, ეს ვერ გამოდგებოდა მტკიცებულებად, იქნებ, ეს მოვლენები მხოლოდ იმას ადასტურებენ, რომ გონება ამა თუ იმ მიზეზით მთლად წესრიგში ვერ მქონდა. სხვა მტკიცებულებებს უნდა მივაგნო. ძალიან მიხარია, რომ ჩემი ჯიბეებისთვის ხელი არავის უხლია, როგორც ჩანს, გრაფი ძალზე ჩქარობდა, რადგან აქ გადმომიყვანა და ტანთ გამხადა. დარწმუნებული ვარ, ჩემი დღიური მისთვის გამოცანა იქნებოდა, რასაც ვერაფერს გაუგებდა. ის, ალბათ, თან წაიღო შესაძლოა, გაანადგურა კიდეც. ახლა საძინებელი, რომელიც ყოველთვის საზიზღრად მეჩვენებოდა, ჩემთვის საკურთხევლად იქცა, ვინაიდან არაფერია იმ შემზარავ ქალებზე საშინელი, რომლებიც ელოდნენ და ყოველთვის დაელოდებიან შემთხვევას, რომ სისხლი გამომწოვონ.

18 მაისი.

ისევ მივაშურე იმ ოთახს, რადგან, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გავიგო სრული სიმართლე. კარი ჩაკეტილი დამხვდა. როგორც

ჩანს, ისეთი ძალით მიაჯახუნეს, რომ ალაგ-ალაგ დამსკდარიყო. კარი შიგნიდანაა ჩაკეტილი. ვშიშობ, რომ ეს ყველაფერი სიზმარი არ არის...

19 მაისი.

მე, უეჭველად, კვალს დავადექი. წუხელ გრაფმა ძალზე დამტკბარი ტონით მთხოვა, სამი წერილი დამეწერა: პირველში იუწყებოდა, რომ ჩემი საქმე აქ უკვე დასასრულს უახლოვდებოდა და რომ რამდენიმე დღეში შინ გავემგზავრები, მეორეში - რომ მე წერილის თარიღის მომდენვო დღეს გამოვდიოდი, ხოლო მესამეში - რომ მე უკვე დავტოვე ციხესიმაგრე და ბისტრიცაში ჩავედი. ძალიან მომინდა, გამეპროტესტებინა, მაგრამ მივხვდი, რომ ჩემს მდგომარეობაში გრაფთან ღია კონფლიქტი უგუნურება იქნებოდა, რადგანაც მთლიანად მის ძალაუფლებაში ვიმყოფებოდი, ხოლო ამ წერილების დაწერაზე უარის თქმით გრაფს დავაეჭვებდი და მის მრისხანებას დავიტეხდი. იგი მიხვდებოდა, რომ მე საკმაოდ ბევრი მქონდა გაგებული და ცოცხალს აღარ დამტოვებდა, რადგან საშიში გავმხდარიყავი. ახლა ჩემი ერთადერთი იმედი ის იყო, მეძებნა და დავლოდებოდი ხელსაყრელ შემთხვევას. ვიფიქრე, შესაძლოა, გაქცევის საშუალებაც მომეცეს-მეთქი. მის თვალებში ისევ შევნიშნე იმ მრისხანების მსგავსი რამ, როგორითაც ქერათმიანი ქალი მოისროლა. მან ამიხსნა, რომ ფოსტა აქ იშვიათად დადის და დიდად სანდოც არ არის, ამიტომ წინასწარ უნდა ვაცნობოთ ჩემს მეგობრებს ჩემი ჩასვლის შესახებ. გარდა ამისა, იგი მარწმუნებდა, რომ თუ ციხესიმაგრეში ჩემი ყოფნის გაგრძელება მომიწევდა, იგი ყოველთვის მოასწრებდა ჩემი ბოლო წერილი ბისტრიცაში საჭირო ვადით შეეყოვნებინა. ეს ყველაფერი ისეთი ტონით იყო ნათქვამი, რომ წინააღმდეგობის გაწევა მას ახალ ეჭვებს აღუძრავდა, ამიტომ ისეთი სახე მი-

ვიღე, რომ სავსებით ვეთანხმებოდი და მხოლოდ ვკითხე, რა რიცხვები დავსვა-მეთქი წერილებში. იგი წუთით ჩაფიქრდა, შემდეგ კი მითხრა:

- პირველი 12 ივნისით აღნიშნეთ, მეორე და მესამე - 29 ივნისით. ახლა ვიცი, კიდევ რამდენ ხანს ვიცოცხლებ. უფალი შემეწიოს!

28 მაისი.

არის გაქცევის საშუალება, უკიდურეს შემხთვევაში - შინ ამბის გაგზავნის: ბოშათა ბანაკი ეწვია ციხესიმაგრეს და ეზოში განლაგდა.

სახლში რამდენიმე წერილს მივწერ და შევეცდები, მივაღწიო, რომ ბოშებმა ისინი ფოსტაში მიიტანონ. მათთან უკვე გავაბი ნაცნობობა ფანჯრიდან. ბოშებმა ქუდები მოიხადეს და რაღაც მანიშნეს, რაც ჩემთვის ისეთივე გაუგებარი აღმოჩნდა, როგორც მათი ენა.

წერილები დავწერე. მინას სტენოგრაფიულად მივწერე, ხოლო მისტერ ჰაუკინსს უბრალოდ ვთხოვე, მას დაკავშირებოდა. მინას ჩემი მდგომარეობა შევატყობინე, თუმცა იმ საშინელებათა შესახებ, რაშიც ჯერ თვითონაც ვერ გავრკვეულვარ, არაფერი მითქვამს. გული რომ სრულიად გადამეშალა, ძალიან შევაშინებდი. თუ წერილები როგორმე მაინც ჩაუვარდება გრაფს ხელში, ჩემს საიდუმლოს, სულ ერთია, ვერ გაიგებს, უფრო სწორად კი იმას, რამდენად ჩავწვდი მის საიდუმლოს...

წერილები გადავეცი. ისინი ჩემი ფანჯრის გისოსებიდან გადავყარე ოქროს მონეტასთან ერთად და, როგორც შემეძლო, ვანიშნე,

რომ ისინი საფოსტო ყუთში ჩაეყარათ. ერთ-ერთმა ბოშამ, რომელმაც წერილები აკრიფა, გულზე მიიკრა ისინი და შემდეგ თავის ქუდში შეინახა. სხვა არაფერი შემეძლო. ბიბლიოთეკაში შევედი და კითხვა დავიწყე. რადგან გრაფი არ ჩანდა, აქ ვწერდი კიდეც...

გრაფი მოვიდა. იგი ჩემ პირისპირ დაჯდა, ორი წერილი ამოიღო და შემპარავი ხმით თქვა:

- ბოშებმა ეს წერილები გადმომცეს, თუმცა არ ვიცი, ისინი საიდან გაჩნდა. ახლა ფხიზლად უნდა ვიყო. ვნახოთ! - მან ისინი ყურადღებით დაათვალიერა: - ერთ მათგანს თქვენ სწერთ ჩემს მეგობარ პიტერ ჰაუკინსს; მეორე, - ამ წერილის გახსნისას მან უცნაური ნიშნები დაინახა, სახე მოექუფრა და თვალები მრისხანებით აენთო, - მეორე - საზიზღარი საქციელი დამეგობრობისა და სტუმართმოყვარეობის ბოროტად გამოყენებაა. ის არარის ხელმოწერილი. მშვენიერია! ასე რომ, ვერაფერს გვავნებს.

მან გულგრილად აიღო წერილი და კონვერტი და ლამპის ზემოთ დაიჭირა. ორივე დაიფერფლა. შემდეგ განაგრძო:

- ჰაუკინსისადმი განკუთვნილ წერილს, ცხადია, გავგზავნი, რადგან ის თქვენგანაა. თქვენი წერილები ჩემთვის წმინდაა. თქვენ ჩემი მეგობარი ხართ, მაპატიეთ, რომ ამის არცოდნის გამო ისინი გავხსენი. იქნებ ერთხელ კიდევ დაბეჭდოთ.

მან წერილი გამომიწოდა და ნატიფი თავის დაკვრით გადმომცა სუფთა კონვერტი. ისღა მრჩებოდა, მხოლოდ მისამართი დამეწერა, რის შემდეგაც წერილი უსიტყვოდ დავუბრუნე. როდესაც ის ოთახიდან გავიდა, მომესმა, გასაღები როგორ გადატრიალდა საკეტში. წუთით მოვიცადე და კართან მოვედი - ის დაკეტილი აღმოჩნდა.

ერთი თუ ორი საათის შემდეგ გრაფი მშვიდად შემოვიდა ოთახში, თავისი მოსვლით გამაღვიძა, რადგან იქვე, დივანზე ჩამძინებოდა. ჩემთან ურთიერთობაში ძალზე თავაზიანი და დახვეწილი იყო და როცა დაინახა, რომ მეძინა, მომმართა:

- დაიღალეთ, ჩემო მეგობარო? საწოლში დაწექით. იქ უფრო მოისვენებთ. სამწუხაროდ, ამაღამ თქვენთან ვერ ვისაუბრებ, რადგან ძალიან დაკავებული ვარ. თქვენ დაიძინებთ, ამაში დარწმუნებული ვარ!

საძინებელში გავედი და უცნაურია, მაგრამ მშვენივრად მეძინა. სასოწარკვეთილებასაც აქვს თავისი დადებითი მხარეები...

31 მაისი.

დღეს, როდესაც გავიღვიძე, გადავწყვიტე, ქაღალდი და კონვერტები ამომეღო ჩემი ჩემოდნიდან და ჯიბეში შემენახა, რათა დაუყოვნებლივ ჩამეწერა, რასაც საჭიროდ ჩავთვლიდი, მაგრამ აქ ახალი სიურპრიზი დამხვდა: ჩემოდნიდან გამქრალიყო მთელი ქაღალდი და კონვერტები, ყოველგვარი ჩანაწერი, რკინიგზის განრიგი, ჩემი მოგზაურობების დაწვრილებითი აღწერილობები; არსად ჩანდა ასევე წერილი აკრედიტივთან ერთად, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც შესაძლო იყო, გამომდგომოდა, თავისუფალი რომ ვყოფილიყავი. მათ ძებნას საფულესა და კარადაში შევუდექი, სადაც ის საგნები მქონდა ჩამოკიდებული, რომლებითაც აქ მოვედი.

აღარც ჩემი საგზაო კოსტიუმი დამხვდა, გაუჩინარებულიყო ასევე ჩემი სერთუკი და საბანი. მათ კვალს ვერსად მივაგენი. ეს, ალბათ, ახალი ბოროტი წამოწყებაა-მეთქი, გავიფიქრე.

17 ივნისი.

დღეს დილით, როცა საწოლის ბოლოზე ჩამომჯდარი მოვლენებს ვაანალიზებდი, უცებ ეზოში მათრახის ტკაცუნი და ქვიან გზაზე ცხენის ფლოქვების თქარათქური მომესმა. ფანჯარას მივვარდი და ორი დიდი ფურგონი დავინახე, თითოეულში რვა ცხენი იყო შებმული - ყოველ წყვილთან თეთრ ქუდში, ფართო სარტყელში, ჭუჭყიან შარვალსა და მაღალყელიან ჩექმებში გამოწყობილი სლოვაკი იდგა. კარს მივვარდი, რათა სასწრაფოდ ჩავსულიყავი ქვემოთ და შემოსასვლელი კარით მათთან მიმეღწია, რომელიც, ჩემი აზრით, დაკეტილი არ იყო. ისევ მარცხი: ჩემი ოთახის კარი გარედან აღმოჩნდა ჩაკეტილი. მაშინ ფანჯარასთან გავჩნდი და შევძახე მათ. უაზროდ ამოიხედეს და ამ დროს მათთან წინამძღოლი მივიდა, როდესაც დაინახა, რომ ჩემზე უთითებდნენ, მათ რაღაც უთხრა, რამაც ისინი ძალიან გაამხიარულა. ამის შემდეგ ჩემმა ვერავითარმა ძალისხმევამ, ვერც შესაბრალისმა ძახილმა, ვერც განწირულმა ვედრებამ ვერ აიძულა ისინი, ჩემი ფანჯრისკენ ამოეხედათ. მათ საბოლოოდ შემაქციეს ზურგი. ფურგონები მსხვილსახელურიანი დიდი ყუთებით დაეტვირთათ; ისინი, უეჭველად, ცარიელი იყო, რადგან ძალიან მსუბუქად დაჰქონდათ. ყუთები გადმოტვირთეს და ეზოს კუთხეში დააწყვეს, შემდეგ ბოშებმა ფულს დააფურთხეს - ყისმათისათვის - და სლოვაკებს გადასცეს, რის შემდეგაც სლოვაკები ზანტად გაემართნენ თავიანთი ცხენებისაკენ და წავიდნენ.

24 ივნისი. გარიჟრაჟზე.

წუხელ გრაფმა ადრე დამტოვა და გასაღებით ჩაიკეტა თავის ოთახში. როგორც კი ამაში დავრწმუნდი, ისევ ავირბინე ხვეული კი-

ბე, რათა სამხრეთისკენ გამავალი ფანჯრიდან გამეხედა. ვფიქრობდი, დავუდარაჯდები აქ გრაფს, რადგანაც, ჩემი აზრით, რაღაც უნდა მოხდეს-მეთქი. ბოშები სადღაც ციხესიმაგრეში განლაგდნენ და რაღაცას აკეთებდნენ. მე ეს ვიცოდი, რადგან ნაბიჯების ხმა და თოხისა თუ ბარის კაკუნი მესმოდა, რასაც უნდა აკეთებდნენ, ეს, ალბათ, რაღაც სასტიკი ბოროტმოქმედების დამთავრებას უნდა აღნიშნავდეს-მეთქი, გავიფიქრე.

ფანჯარასთან თითქმის ნახევარი საათი ვიდექი, სანამ შევამჩნევდი, როგორ გამოძვრა რაღაცა გრაფის ოთახის ფანჯრიდან. ყურადღებით დავაკვირდი და საბოლოოდ ადამიანი გავარჩიე. ჩემთვის ახალი დარტყმა იყო ის, რომ მის ტანზე ჩემი საგზაო კოსტიუმი დავინახე, მხარზე სწორედ ის საშინელი ტომარა ჰქონდა გადაკიდებული, რომელიც, როგორც მახსოვდა, იმ ქალებმა წაიღეს. ეჭვები სრულიად გამეფანტა: ეს მან მოიპარა ჩემი ნივთები და ჩემს ტანსაცმელში გამოეწყო - აი, თურმე, რაში მდგომარეობდა მისი ახალი ბოროტი წამოწყება. მას უნდა, რომ ხალხს ეგონოს, თითქოს ის მე ვარ, რათა, ამგვარად, ქალაქსა და სოფლებში იცოდნენ, რომ მე თვითონ მივიტანე ჩემი წერილები ფოსტაში, და რომ ყოველი ბოროტმოქმედება, რასაც ის ჩემს კოსტიუმში გამოწყობილი ჩაიდენს, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მე მომაწერონ.

ვიფიქრე, გრაფის დაბრუნებას დაველოდები-მეთქი და ამიტომ დიდხანს და ჯიუტად ვიჯექი ფანჯარასთან. შემდეგ მთვარის შუქის სხივებში რაღაც პატარა, მიკროსკოპული მტვრის ნამცეცებივით ერთი ციცქნა მოციმციმე ლაქები შევნიშნე, რომლებიც გაურკვევლად და ძალზე თავისებურად ბრუნავდნენდა ტრიალებდნენ. ხარბად ვაკვირდებოდი და მათ უცნაური სიმშვიდე მომგვარეს. უფრო მოხერხებულად მოვკალათდი ფანჯრის ამბრაზურაში და, ამგვარად, შემეძლო თავისუფლად მეთვალთვალა ჰაერში მათი მოძრაობისათვის.

უცებ შევკრთი. ხეობის მხრიდან ძაღლის ხმამაღალი ყმუილი გაისმა. მე მას ვერ ვხედავდი. ყმუილი სულ უფრო ძლიერდებოდა, ხოლო მტვრის ნამცეცების მოფარფატე ატომები, რომლებიც თითქოს სულ ახალ სახეებს იღებდნენ, ამ ხმასთან ერთად იცვლებოდნენ და მთვარის შუქზე ცეკვავდნენ. გონება დავძაბე. მთელი ჩემი სული ჩემს გრძნობებთან ერთად იდუმალი ძახილის საპასუხოდ ილტვოდა. თითქოს ჰიპნოზში ვიყავი. მტვრის ნამცეცებიც სულ უფრო სწრაფად ბრუნავდა, ხოლო მთვარის შუქი თითქოს აჩქარებდა მათ მოძრაობას, როდესაც ისინი ჩემ გვერდით დაქროდნენ და უკუნეთ წყვდიადში ინთქმებოდნენ. ისინი სულ უფრო მეტად მკვრივდებოდნენ, სანამ ბუნდოვანი მოჩვენებების ფორმა არ მიიღეს. მაშინ წამოვხტი, გონს მოვეგე, თავი ხელში ავიყვანე და ყვირილით გავიქეცი. მოჩვენებით ფიგურებში, რომლებიც აშკარად შეიმჩნეოდა მთვარის შუქზე, იმ სამი ქალის ნაკვთები ვიცანი, რომლებსაც ჩემი თავი აღუთქვეს მსხვერპლად. ჩემს ოთახში გავიქეცი, სადაც არ იყო მთვარის სინათლე და ლამპა კაშკაშებდა, მეჩვენებოდა, რომ აქ სამშვიდობოს ვიყავი. რამდენიმე საათის შემდეგ გრაფის ოთახში გაისმა რაღაც ხმაური, ხმამაღალი ყვირილის მსგავსი, რაც თითქოს უცებ ჩაახშვეს, შემდეგ სიჩუმე ჩამოწვა, ისეთი ღრმა და შემზარავი, რომ უნებურად ავცახცახდი. გულგახეთქილმა კარის გაღება ვცადე, მაგრამ ისევ ჩაკეტილი აღმოვჩნდი ჩემს ციხეში და არაფრის გაკეთება არ შემეძლო.

უეცრად ეზოში ქალის სულგამყინავი გოდება გაისმა. ფანჯარასთან მივიჭერი და გისოსებიდან გადავიხედე. იქ, ჭიშკარს მიყრდნობილი, მართლაც იდგა თმაგაშლილი ქალი. ფანჯარაში ჩემი სახის დანახვაზე გამოქანდა და მუქარით დაიყვირა:

- მტარვალო, ბავშვი დამიბრუნე!

იგი მუხლებზე დაემხო და ხელები გამოიშვირა, თან ამ სიტყვების ძახილს განაგრძობდა, რამაც ძალზე მატკინა გული. იგი თმებს იგლეჯდა, მკერდში მუშტებს იცემდა და სულ უფრო მეტად ეძალებოდა სასოწარკვეთა. საბოლოოდ, გაშმაგებით მოსწყდა ადგილს და თუმცა მისი დანახვა აღარ შემეძლო, მესმოდა, როგორ უშენდა მუშტებს შემოსასვლელ კარს.

შემდეგ, სადღაც მაღლიდან, სავარაუდოდ, კოშკიდან, გრაფის ხმა გაისმა, ის რაღაცას ამბობდა თავისი მბრძანებლური, მკაცრი, ლითონისებური ხმით. მის საპასუხოდ ყოველი მხრიდან, შორიდანაც კი, მგლების ყმუილი მოისმოდა. რამდენიმე წუთიც არ გასულა, რომ მთელი მათი ხროვა ტყვეობიდან თავდახსნილი ველური მხეცებივით განიერი შემოსასვლელით ეზოში შემოიჭრა.

ქალის ყვირილი შეწყდა, და მგლების ყმუილიც უეცრად მიყუჩდა. ამის შემდეგ ისინი დრუნჩების ლოკვით თითო-თითოდ გაიკრიფნენ.

ქალი ძლიერ მებრალებოდა, რადგანაც ჩემთვის ნათელი იყო მისი ბავშვის ხვედრი, თუმცა მისთვის ეს სიკვდილი შვილის ხვედრზე მსუბუქი იქნებოდა.

რა ვქნა? რა შემიძლია გავაკეთო? როგორ დავაღწიო თავი ღამის, წყვდიადისა და შიშის ამ მონობას?

25 ივნისის დილა.

ღამღამობით ყოველთვის მაშფოთებს და მაწამებს შიში, რადგან რაღაც საფრთხე და საშინელება მემუქრება. აქამდე არასოდეს მინახავს გრაფი დღის სინათლეზე. ნუთუ მას სძინავს, როცა სხვები ფხიზლობენ, და ღვიძავს, როცა სხვები იძინებენ? მის ოთახში რომ მოვახერხო შეღწევა! მაგრამ ეს შეუძლებელია! კარი ყოველთვის დაკეტილია, ვერაფრით ვახერხებ იქ შესვლას.

არა, იქ შეიძლება მოვხვდე! მხოლოდ სიმამაცეა საჭირო! თუკი ის ახერხებს იქ მოხვედრას, სხვამ რატომ არ უნდა სცადოს? საკუთარი თვალით მინახავს, როგორ დაცოცავდა კედელზე, რატომ არ უნდა მივბაძო მის მაგალითს და იქ ფანჯრიდან არ შევაღწიო? შანსები მცირეა, მაგრამ არც ვითარებაა სახარბიელო! გავრისკავ! უარეს შემთხვევაში მხოლოდ სიკვდილი მელის. ღმერთი შემეწიოს ჩემს წამოწყებაში! მშვიდობით, მინა, თუ დავმარცხდები, მშვიდობით, ჩემო ერთგულო მეგობარო, ჩემო მეორე მამავ, მშვიდობით, და უკანასკნელი სალამი გადაეცით მინას!

იმავე დღეს. მოგვიანებით.

გავრისკე, და უფლის წყალობით, ისევ ჩემს ოთახში დავბრუნდი. სრულიად მხნე, ახალი ძალებით აღვსილი, ფანჯარასთან მივედი, რომელიც სამხრეთით ქვის ვიწრო კარნიზზე გადის. კედელი უხეშად გათლილი ქვებისგანაა აგებული და მათ შორის კირი დროჟამისგანაა გამოფიტული. ჩექმები გავიხადე და საშინელი გზით დავიწყე დაშვება. მიმართულება მშვენივრად ვიცოდი, აგრეთვე მანძილი გრაფის ფანჯრამდე, გადავწყვიტე ყოველი ხელსაყრელი შემთხვევითობით მესარგებლა. თავბრუ არ მესხმოდა - ალბათ, ძალზე ვიყავი აღგზნებული, - და დროც სწრაფად გავიდა, რადგან მალე აღმოვჩნდი გრაფის ოთახის ფანჯარასთან. მიუხედავად ამისა,საშინლად

ვღელავდი, როცა დავიხარე და ფანჯრიდან ოთახში გადავძვერი. მიმოვიხედე - გრაფი ხომ არ არის-მეთქი, - და გაოცებითა და სიხარულით დავინახე, რომ ოთახში არავინ ჩანდა. ინტერიერი სამხრეთის ოთახების სტილს მაგონებდა, აქაც ყველაფერი მტვრით იყო დაფარული. გასაღების ძებნა დავიწყე - ის ციხესიმაგრეში არ აღმოჩნდა, ვერსად მივაგენი. ერთადერთი, რაც აღმოვაჩინე, იყო ოქროს ფულების მთელი გროვა ოთახის კუთხეში: ყოველგვარი სახის - რომაული, ბრიტანული, ავსტრიული,ბერძნული და თურქული მონეტები, რომლებიც მტვრის სქელი ფენით იყო დაფარული და, ალბათ, მიწაშიც ხანგრძლივად იყო ჩაფლული. მათ შორის არც ერთი არ ყოფილა სამას წელზე ნაკლები ხნისა. იქ იყო აგრეთვე ძეწკვები, სამკაულები და სხვადასხვა ძვირფასეულობა, - ისინიც ისეთივე ძველი და დალაქავებული. ოთახის კარი მოვსინჯე. ჩემი მთავარი მიზანი შემოსასვლელი კარის გასაღების მოძებნა იყო. კვლევა-ძიება უნდა გამეგრძელებინა, რათა ამხელა ჯაფა წყალში არ ჩამყროდა. კარი ღია აღმოჩნდა. იგი ქვის მცირე ბაქანზე გადიოდა, საიდანაც ხვეული კიბე ეშვებოდა. დავეშვი და ყურადღებით ვათვალიერებდი, საით მივყავდი მას, რადგან კიბეზე ძალიან ბნელოდა და მხოლოდ ქვის სქელი კედლის იშვიათი ნახვრეტები ანათებდა. კიბის ბოლოში ბნელ გვირაბისმაგვარ გასასვლელს წავაწყდი, საიდანაც მყრალი, გულისამრევი სუნი მოდიოდა, მას გათხრილი, ნედლი მიწის სურნელიც ერთვოდა. წინ მივიწევდი და სუნიც სულ უფრო მძაფრდებოდა. საბოლოოდ, ბიძგით შევაღე მძიმე, ნახევრადღია კარი და ძველ, დანგრეულ სამრეკლოში აღმოვჩნდი, რომელიც, როგორც ჩანდა, აკლდამის მაგივრობას სწევდა. რაღაც სამი ჩაღრმავებისაკენ მიუყვებოდა საფეხურები, აქ მიწა ახალი ამოთხრილი იყო და ხის დიდ, აშკარად იმავე ყუთებში ჩაეყარათ, რაც სლოვაკებმა მოიტანეს. კიდევ რაღაც გასასვლელის ძებნა დავიწყე, მაგრამ ასეთი არაფერი აღმოჩნდა. მაშინ იატაკის ყოველი გოჯი გამოვიკვლიე, რათა რაიმე დეტალი არ გამომრჩენოდა. ჩაღრმავებაშიც კი ჩავეშვი, სადაც

ძლივს აღწევდა მქრქალი სინათლე, იქ შიშით ჩავეშვი. ორი ჩაღრმავება მოვჩხრიკე, მაგრამ ძველი კუბოების ნამსხვრევებისა და მტვრის გროვების გარდა ვერაფერი ვნახე, მასამეში კი აღმოჩენა მელოდა.

იქ, ერთ-ერთ დიდ ყუთში - სულ ორმოცდაათი ცალი იყო - ნედლი მიწის გროვაზე გრაფი იწვა! ან მკვდარი იყო, ან ეძინა, ზუსტად ვერ დავადგინე, რადგან თვალები ღია და გაყინული ჰქონდა, თუმცა სიკვდილის შუშისებური ელფერი არ ეტყობოდა, არც ფერმკრთალი ღაწვები ჰქონდა მომჩვარული, ტუჩები კი, როგორც ყოველთვის, წითლად უღვიოდა. იგი გაუნძრევლად იწვა, არ სუნთქავდა და გულიც არ უცემდა. მე მისკენ დავიხარე, ვცდილობდი სიცოცხლის რამე ნიშანი მომეძებნა, მაგრამ ამაოდ. ის, ალბათ, აქ ცოტა ხნის წინ დაწვა, რადგან მიწა მთლად ნედლი ჩანდა. ყუთის გვერდით დაჩვრეტილი სახურავი ეგდო. ვიფიქრე, გასაღები გრაფს ექნება-მეთქი, მაგრამ როცა მისი ძებნა დავიწყე, მოულოდნელად გრაფის უსიცოცხლო თვალებში ისეთი სიძულვილი ამოვიკითხე, რომ შიშით უკან დავიხიე და სასწრაფოდ გავეცალე იქაურობას, ფანჯრიდან გადავედი და ციხესიმაგრის კედლის გაყოლებით ჩემს ოთახში დავბრუნდი. სულშეხუთული ლოგინზე დავემხე და ვცადე აზრებისთვის თავი მომეყარა...

29 ივნისი.

დღევანდელი დღე ჩემი უკანასკნელი წერილის ვადაა.

გრაფი ჩემთან შემოვიდა და მითხრა:

- ხვალ, ჩემო მეგობარო, თქვენ უნდა გაემგზავროთ, თქვენს დიდებულ ინგლისს დაუბრუნდებით, მე კი ჩემს საქმეს განვაგრძობ,

რაც, შესაძლოა, ისე დამთავრდეს, რასაც სრულიად არ ველით. თქვენი წერილი უკვე გაგზავნილია, ხვალ აქ არ ვიქნები, მაგრამ თქვენი გამგზავრებისათვის ყველაფერი მზად იქნება. დილით აქ ბოშები და რამდენიმე სლოვაკი მოვა. როდესაც ისინი წავლენ, თქვენ ჩემი ეტლი მოგაკითხავთ, რომელიც ბორგოს გასასვლელამდე მიგიყვანთ, იქ კი დილიჟანსში გადაჯდებით, ის ბუკოვინიდან ბისტრიცაში მიდის. მაგრამ, იმედი მაქვს, რომ დრაკულას ციხესიმაგრეში კიდევ ერთხელ გნახავთ.

გადავწყვიტე მისი გულწრფელობა შემემოწმებინა და ჯიქურ ვკითხე:

- რატომ არ შეიძლება ამ საღამოს წავიდე?

- ჩემო კარგო, იმიტომ, რომ ჩემი მეეტლე და ცხენები საქმეზე არიან გასულები.

- მაგრამ მე ფეხითაც სიამოვნებით წავალ, მზად ვარ ახლავე გავემგზავრო.

მან ისე ფაქიზად, ისე ნაზად გაიღიმა და ამავე დროს ისეთი დემონური ღიმილით, რომ ეჭვები ახალი ძალით განმიახლდა. მან მკითხა:

- მერედა თქვენი ბარგი?

- მის წასაღებად შემიძლია, მოგვიანებით გამოვგზავნო კურიერი. ახლა ის არ მჭირდება.

გრაფი ადგა და ისეთი საოცარი დახვეწილობით წარმოთქვა, რომ მე დაჯერებაც გამიძნელდა, ეს იმდენად გულწრფელი ნათქვამი იყო:

- თქვენ, ინგლისელებს, ერთი ანდაზა გაქვთ, რომელიც ახლოსაა ჩემს გულთან, რადგან ამით ჩვენც, მაგნატებიც ვხელმძღვანელობთ: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მომსვლელო სტუმარო, და იჩქარე - წამსვლელო. წავიდეთ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, მე მცირე დროითაც არ მინდა დაგტოვოთ თქვენი სურვილის საწინააღმდეგოდ. ასე რომ, წავედით!

გრაფი ლამპით ხელში, ძალზე მოწიწებით დაეშვა ჩემთან ერთად კიბეზე და გზა გამინათა, მაგრამ უცებ შეჩერდა და ხელი გაიშვირა:

- ყური დაუგდეთ!

გაისმა მგლის ყმუილი, რაც თითქოს მისი ხელის მოძრაობამ გამოიწვია. წუთიერი შესვენების შემდეგ გზა განვაგრძეთ და კარს მივადექით. მან ჭანჭიკები მოუშვა და ჯაჭვი ჩამოხსნა, რის შემდეგაც კარის გაღება დაიწყო.

ჩემდა გასაოცრად, აღმოჩნდა, რომ კარი გასაღებით არ იყო დაკეტილი. მე ეჭვით შევათვალიერე იგი: საკეტისკვალიც არსად ჩანდა.

როდესაც კარმა ნელ-ნელა დაიწყო გაღება, გარეთ მგლების ყმუილი სულ უფრო გაძლიერდა. მაშინ მივხვდი, რომ გრაფს აშკარად ვერ დავუპირისპირდებოდი. ასეთ მეტოქეებთან, და თანაც მაშინ, როცა ისინი გრაფს ემორჩილებოდნენ, მე ვერაფერს გავხდებოდი. კარი აუჩქარებლად იღებოდა. გრაფმა წინ წაიწია. წამით აზრმა

გამიელვა, რომ, ალბათ, ეს არის ჩემი ხვედრი: იგი მგლის ხროვაში ჩამაგდებს - და ამაში მე თვითონ დავეხმარები-მეთქი. ამგვარ გეგმაში საკმაოდ დემონური აზრი იყო ჩადებული. სხვა გზა აღარ მქონდა და შევძახე:

- დაკეტეთ კარი! ჯობს დილამდე მოვიცადო!

გრაფმა თავისი მძლავრი ხელის ერთი მოქნევით მოიჯახუნა კარი და დიდი ჭანჭიკებიც ხმაურით დაუბრუნდნენ თავიანთ ალაგს.

როდესაც უკვე ჩემს ოთახში ვიყავი და დაწოლას ვაპირებდი, კართან ჩურჩული გავიგონე. ფრთხილად მივუახლოვდი და ყური მივუგდე. გრაფის ხმა შემომესმა:

- უკან დაიხიეთ, წადით აქედან! თქვენი დრო ჯერ არ დამდგარა. მოიცადეთ! მოთმინება იქონიეთ! ხვალ ღამით! ხვალინდელი ღამე თქვენია!

ამას ჩუმი, ნაზი სიცილი მოჰყვა, კარი სასწრაფოდ გავაღე და ის სამი საშინელი ქალი დავინახე, რომლებიც ტუჩებს ილოკავდნენ. როგორც კი დამინახეს, ხარხარი აუტყდათ და გაიქცნენ.

ოთახში დავბრუნდი და მუხლი მოვიყარე. ნუთუ ასე ახლოსაა ჩემი აღსასრული? ხვალ! ხვალ! უფალო, შემეწიე მე და ყველას, ვისთვისაც ძვირფასი ვარ!

30 ივნისი, დილით.

შესაძლოა, ეს ჩემი უკანასკნელი სტრიქონებია დღიურში. გათენებამდე მეძინა. გაღვიძებისთანავე კვლავ მუხლი მოვიყარე, რადგან გადავწყვიტე, რომ თუ სიკვდილი მელოდა, მისთვის მოვმზადებულიყავი.

ლოცვის შემდეგ კარი გამოვაღე და გავიქეცი. კარგად მახსოვდა, რომ კარი არ იყო დაკეტილი - მაშასადამე, გაქცევის შანსი მეძლეოდა. მღელვარებისგან აცახცახებული ხელებით ავხსენი ჯაჭვი და ჭანჭიკები გადავწიე, მაგრამ კარი არ დამემორჩილა! სასოწარკვეთამ ამიტანა.

გასაღების მოპოვების მძაფრმა სურვილმა გადამაწყვეტინა, ისევ ავცოცებულიყავი კედელზე და გრაფის ოთახში შემეღწია. დაე, მომკლას, სიკვდილი ახლა საუკეთესო გამოსავლად მესახებოდა. დაუფიქრებლად ავვარდი კიბით აღმოსავლეთ ფანჯრისკენ და კედელზე თავქვე დავეშვი, ისევ გრაფის ოთახისკენ. ხვეული კიბით ქვემოთ ჩავედი და ბნელმა გასასვლელმა ძველ სამრეკლოში მიმიყვანა. ახლა ვიცოდი, სად უნდა მომენახა საფრთხობელა.

დიდი ყუთი ისევ თავის ადგილზე იყო, კედელთან, მაგრამ ამჯერად თავსახური ეხურა, თუმცა ლურსმნებით არ იყო დაჭედილი. მისი დაწყვეტილი სხეული გასაღების გამო მესაჭიროებოდა, ასე რომ, სახურავი მოვხადე და კედელზე მივაყუდე. გრაფი გაუნძრევლად იწვა, ოდნავ გაახალგაზრდავებული - ჭაღარა თმები და ულვაშები გამუქებოდა. ლოყებზე ოდნავი სიწითლე აჩნდა, ტუჩები ჩვეულებრივზე უფრო ხასხასა ჰქონდა, რადგან მათ ჯერ კიდევ ეტყობოდათ ახალი სისხლის წვეთები, რაც პირის კუთხეებიდან მოწვეთავდა და ნიკაპსა და ყელზე ჩასდიოდა. ტანში ჟრუანტელმა დამიარა, როცა მისკენ დავიხარე. გასაღები უნდა მეპოვა, თორემ დავიღუპე-

ბოდი. შესაძლოა, მომდენვო ღამეს ჩემი სხეული სამი შემზარავი კუ-
დიანის სისხლიან ნადიმად ქცეულიყო. მთელი ტანი მოვუჩხრიკე,
მაგრამ ვერავითარი გასაღები ვერ ვნახე. მაშინ შევჩერდი და გრაფს
დავხედე. გასისხლიანებულ სახეზე ირონიული ღიმილი დასთამა-
შებდა, რაც ჭკუიდან მშლიდა. არავითარი სასიკდვილო იარაღი არ
მქონდა. ნიჩაბს ხელი დავავლე, რომლითაც მუშები ყუთებს მიწით
ავსებდნენ, მოვიქნიე და ბასრი პირით საძულველ სახეს ჩავცხე. მან
ოდნავ მოაბრუნა თავი და თვალებით, რომლებშიც ბასილისკოს სი-
ძულვილი კიაფობდა, მომაშტერდა. მათმა მზერამ მომნუსხა, ნიჩაბი
გამივარდა და შუბლის გვერდით ხეში ჩაერჭო. იარაღი ხელთ აღარ
მქონდა, როდესაც მისი აღება ვცადე, სახურავს წამოედო და ისიც
ძველ ადგილზე დაეცა. ისევ გრაფისკენ გამექცა თვალი, - გაბერი-
ლი, სისხლით სავსე სახე საშინელ ზიზღს გამოხატავდა ყოველი
ცოცხალის მიმართ და ჯოჯოხეთური ალით ღაჟღაჟებდა...

ვერ მომეფიქრებინა, ახლა რა უნდა მექნა, სასოწარკვეთილი ვი-
დექი და არც ვიცოდი, რას ველოდი. ამ დროს მომესმა მრავალხმია-
ნი ბოშური სიმღერა, მისი თანმხლები მათრახების სტვენა და მძიმე
ბორბლების ჭრიალი: ეს ბოშები და სლოვაკები მოდიოდნენ, რომ-
ლებზეც გრაფი საუბრობდა. უკანასკნელად მოვავლე თვალი ყუთს,
რაშიც გრაფი განისვენებდა, მიწისქვეშეთი დავტოვე და როდესაც
გრაფის ოთახს მივაღწიე, თავდასხმის მოსაგერიებლად გავემზადე,
როცა კარი გაიღებოდა. სმენად ვიქეცი და ბოლოს ყური მოვკარი
გასაღებების ჩხარუნს, საკეტის ჭრიალსა და ბოლოს, გაღებული კა-
რის ხმას. როგორც ჩანს, რაღაც სხვა შემოსასვლელიც არსებობდა,
ანდა ვიღაც სხვასაც ჰქონდა გასაღები. შემდეგ გავიგონე მრავალი
ფეხის ბრაგუნი, რომელიც რაღაც გვერდით გალერეაში მიყუჩდა
დახანგრძლივი ექო დატოვა. დავაპირე, ისევ ქვევით ჩამერბინა, რა-
თა მომეძებნა ეს ახალი გასასვლელი, მაგრამ ქარმა ძლიერად და-
უბერა და ხვეული კიბისაკენ გამავალი კარი გაიჯახუნა. მისი გაღება

ვცადე, მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ ეს უშედეგო იყო. მე ისევ ტუ-საღი ვიყავი, ბედისწერის ჯაჭვებით შებორკილი.

სანამ ამ სტრიქონებს ვწერ, ქვემოდან ფეხების ბრაგუნი და სიმ-ძიმეების გადაზიდვისხმა ისმის, რაც, უთუოდ, მიწიანი ყუთებია. მეს-მის ჩაქუჩის კაკუნი - სახურავს აჭედებენ, მძიმე ნაბიჯები ჰოლში, ხო-ლო მის კვალდაკვალ - მრავალი ფეხის ბრაგუნი.

კარს კეტავენ და ჯაჭვებსაც აჩხრიალებენ, საკეტში გასაღები გა-დაატრიალეს. მესმის როგორ გამოაძვრეს იგი, შემდეგ სხვა კარი იღება და ისევ იკეტება, ჩხარუნობენ საკეტები და ურდულები.

ჩუმად! ჯერ ეზოდან, ხოლო შემდეგ ქვევით, გზაზე, მიმავალი ფორნების ხმაური ისმის, მათრახების ზუზუნი და ბოშების საუბარი თანდათან ყუჩდება.

ციხესიმაგრეში მარტო მე ვარ... და ეს კოშმარული ქალები. ფუჰ! მინაც ქალია, მაგრამ რამხელა უფსკრულია მათ შორის! ესენი ნამ-დვილი ჯოჯოხეთის მოციქულები არიან!

აქ დარჩენა შეუძლებელია; უნდა ვცადო კედლით ადრინდელზე უფრო დაბლა დავეშვა. ოქროების წაღებაც არ უნდა დამავიწყდეს - შემდგომ გამომადგება. ამ კოშმარიდან გამოსავალი უნდა ვიპოვო! შემდეგ კი - შინისაკენ! პირველივე მატარებლით, რაც შეიძლება შორს ამ საშინელი ადგილიდან, ამ წყეული მიწიდან, სადაც ეშმაკი თავის შეგირდებთან ერთად გზებზე დაეხეტება!

სჯობს, უფლის წყალობის იმედად ვიყო, ვიდრე ამ ურჩხულებს ჩავუვარდე თათებში. უფსკრული შემზარავი და ღრმაა, მაგრამ ადამიანი იქაც შეიძლება ადამიანად დარჩეს! ყველანი მშვიდობით ბრძანდებოდეთ! მინა!..

თავი მეხუთე

მის მინა მიურეის წერილი მის ლუსი ვესტენრასადმი

9 მაისი.

ძვირფასო ლუსი!

ბოდიშს გიხდი ასეთი ხანგრძლივი დუმილისათვის, მაგრამ უბრალოდ ყელამდე ვიყავი სამუშაოში ჩაფლული. საბავშვო სკოლის სასწავლო ნაწილის უფროსის ცხოვრება ზოგჯერ საშინლად დამღლელია. ძალიან მინდა შენი ნახვა, მენატრება ჩვენი კუთხე ზღვასთან, სადაც ვერთობოდით და საჰაერო კოშკებს ვაგებდით. გაძლიერებით ვმეცადინეობ სტენოგრაფიაში, რადგან შემდეგ ჯონათანს მინდა, დავეხმარო მუშაობაში. ჩვენ ზოგჯერ სტენოგრაფიულად ვწერთ ერთმანეთს. იგი მთელ თავის დღიურს საზღვარგარეთ მოგზაურობის შესახებ სტენოგრაფიულად წერს. ახლახან მივიღე რამდენიმე ნაჩქარევი სტრიქონი ჯონათანისგან, ტრანსილვანიიდან. ის, მადლობა ღმერთს, კარგად გრძნობს თავს და დაახლოებით ერთ კვირაში დაბრუნდება. მოუთმენლად ველოდები მისგან ახალ ამბებს. ეს, ალბათ, ძალიან საინტერესოა, - უცხო ქვეყნების ნახვა. არა მგონია, რომ ჩვენ - მინდა ვთქვა მე და ჯონათანმა - მოვახერხოთ

ოდესმე მათი ერთად მონახულება. აი, საათმა უკვე ათი ჩამოჰკრა. ნახვამდის!

სიყვარულით

მინა.

P.S. ყოველი ახალი ამბავი მომწერე. უკვე დიდი ხანია, არაფერი მოგიწერია. რაღაც ხმები დადის შენზე და განსაკუთრებით ვიღაც მაღალ ლამაზ ხუჭუჭთმიან ადამიანზე!

ლუსი ვესტენრას წერილი მინა მიურეისადმი

ჩეთამ-სთრითის N17. ოთხშაბათი.

ჩემო ძვირფასო მინა,

ძალიან უსამართლოდ მსაყვედურობ, როდესაც ცუდ კორესპონდენტს მიწოდებ: მე ორჯერ მოგწერე მას შემდეგ, რაც დავშორდით, ხოლო შენი უკანასკნელი წერილი მხოლოდ მეორე იყო. გარდა ამისა, სათქმელიც არაფერი მაქვს ისეთი, რომ შენ დაგაინტერესოს. ქალაქი ახლა გამოცოცხლდა, ჩვენ ვათვალიერებთ სურათების გალერეებს, უსასრულოდ ვსეირნობთ პარკში და ცხენებით ვჯირითობთ. რაც შეეხება მაღალ ხუჭუჭთმიან ადამიანს, ეს, ალბათ, სწორედ ის არის, რომელიც ჩემთან ერთად იყო ბოლოს სანადიროდ. როგორც ჩანს, ვიღაცას ჭორაობა მოუნდა! ეს ახალგაზრდა - ვინმე მისტერ ჰოლმვუდია. იგი ხშირად არის ჩვენთან, დედას და მას ძალიან უყვართ ერთმანეთში საუბარი მათ შორის ბევრი საერთოა, და ამიტომ ისინი უამრავ სასაუბრო თემას პოულობენ... მართლა, ახლახან

ერთ ბატონს შევხვდით, რომელიც შენთვის ძალზე შესაფერი იქნებოდა, შენ რომ, ცხადია, ჯონათანის საცოლე არ იყო. იგი საკმაოდ ჭკვიანია, პროფესიით - ექიმი. რა უცნაურია, რომ ის მხოლოდ ოცდაცხრა წლისაა, მაგრამ მისი უშუალო ზედამხედველობის ქვეშ უკვე სულით ავადმყოფთა უზარმაზარი საავადმყოფო ფუნქციონირებს. იგი მისტერ ჰოლმვუდმა გაგვაცნო - ხშირად არის ხოლმე ჩვენთან. ჩემი აზრით, მეტად გაბედული და ძლიერი ნებისყოფის მქონე ადამიანია. წარმომიდგენია, რა გავლენას ახდენს იგი თავის პაციენტებზე. ექიმმა განმიცხადა, საინტერესო ფსიქოლოგიური ტიპი ხართო. ჩემი მოკრძალების მიუხედავად ვფიქრობ, რომ ის მართალია... მინა! ჩვენ ბავშვობიდანვე ვუმხელდით ერთმანეთს ჩვენს ყველა საიდუმლოს, ერთად გვეძინა, ერთად ვჭამდით, ერთად ვტიროდით და ვიცინოდით; და ახლა, რადგან უკვე ვახსენე, მინდა ჩემი საიდუმლო გაგანდო. მინა! ნუთუ ვერ ხვდები? მე მიყვარს ართური! ვწითლდები, როცა ამას ვწერ, თუმცა იმედი მაქვს, რომ მასაც ვუყვარვარ, თუმცა ჩემთვის ეს ჯერ არ უთქვამს. მაგრამ, მინა, მე ხომ მიყვარს? მე ის მიყვარს! აი, ახლა შვებით ამოვისუნთქე. როგორ მინდა ამ წუთებში შენთან ერთად ვიყო, ჩემო ძვირფასო! ბუხართან ვისხდეთ, როგორც ყოველთვის. აი, მაშინ დაწვრილებით გიამბობდი ყველაფერს, რასაც განვიცდი. არ მესმის, როგორ მეყო ძალა იმისა, რომ ეს თუნდაც შენთვის მომეწერა! ძალიან მინდა, რომ გამიგო. დღესვე მიპასუხე და ყველაფერი მითხარი, რასაც ამაზე ვფიქრობ! ღამე მშვიდობისა, მინა! მომიხსენე შენს ლოცვებში; ილოცე, მინა, ჩემი ბედნიერებისათვის.

ლუსი.

P.S. ცხადია, არ მჭირდება შენთვის იმის თქმა, რომ ეს საიდუმლოა. კიდევ ერთხელ, ღამე მშვიდობისა.

ლ.

ლუსი ვესტენრას წერილი მინა მიურეისადმი

24 მაისი.

ჩემო ძვირფასო მინა!

მადლობელი ვარ, უსაზღვროდ მადლობელი მოულოდნელი წერილისათვის! როგორ მესიამოვნა, როცა ჩემი განცდები გაგიზიარე და შენგან ასეთი სითბო ვიგრძენი. ჩემო ძვირფასო, ცხოვრება მართლაც მოულოდნელი სიურპრიზებითაა აღსავსე. ექვს სექტემბერს ოცი წელი მისრულდება, და დღემდე ჩემთვის ხელი არავის უთხოვია, დღეს კი - სამმა ერთად. წარმოგიდგენია? სამმა ერთ დღეში. რა საშინელებაა! მათგან ორი ძალზე გულნატკენი დარჩა და მე ძალიანაც მეცოდებიან ეს საბრალოები. მინა! ძვირფასო! ისეთი ბედნიერი ვარ! სამივეზე გიამბობ, მაგრამ ეს ყველასაგან საიდუმლოდ უნდა შემინახო, ჩემო ძვირფასო, ჯონათანის გარდა. მას, ცხადია, ეტყვი, რადგან შენს ადგილზე რომ ვიყო, ართურს, ალბათ,ყველაფერს ვუამბობდი. ამრიგად, ჩემო ძვირფასო, მისმინე: პირველი საუზმემდე მოვიდა. მე უკვე ნათქვამი მაქვს შენთვის მის შესახებ - ეს დოქტორი სიუარდია, ფსიქიატრიული კლინიკის მთავარი ექიმი. იგი ძალზე თავშეკავებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ მაინც შევნიშნე, რომ ნერვიულობდა. მეუბნებოდა, თუ როგორი ძვირფასი გავხდი მისთვის ჩვენი ხანმოკლე ნაცნობობის მიუხედავად; რომ მე მისი ზნეობრივი საყრდენიდა სიცოცხლის სიხარული ვიქნებოდი. შემდეგ მითხრა, როგორი უბედური იქნება, თუ მის გრძნობებს უპასუხოდ დავტოვებ; მაგრამ როცა ჩემი ცრემლები დაინახა, მაშინვე შეწყვიტა ამ თემაზე საუბარი, საკუთარ თავს ცხოველი უწო-

და და აღმითქვა, არავითარ შემთხვევაში აღარ მსურს თქვენი შეწუ-ხებაო. შეწყვიტა თავის გრძნობათა გაზიარება და მკითხა, მომა-ვალში მაინც ხომ შეძლებთ ჩემს შეყვარებასო? ამის საპასუხოდ უარყოფის ნიშნად თავი გავაქნიე, მას ხელები აუკანკალდა, მცირე ყოყმანის შემდეგ მკითხა, ვინმე სხვა ხომ არ გიყვართო? ჩავთვალე, რომ აუცილებლად სიმართლე უნდა მეთქვა. როდესაც პასუხი მოის-მინა, ადგა, ჩემი ხელები ჩაბღუჯა და საზეიმო და სერიოზული ტონით განმიცხადა, იმედი მაქვს, ბედნიერი იქნებითო. გარდა ამისა, მთხო-ვა დამემახსოვრებინა, რომ თუ მეგობარი დამჭირდება, იგი ნების-მიერ დროს ჩემს განკარგულებაში იქნებოდა. ოჰ, ძვირფასო მინა, ცრემლებს ვერ ვიკავებ და უნდა მაპატიო, რომ ეს წერილი ლაქები-თაა დაფარული. რასაკვირველია, ძალზე სასიამოვნოა ასეთი წინა-დადებების მოსმენა, ეს ყველაფერი ძალზე საამურია, მაგრამ ძალი-ან ძნელია, ხედავდე უბედურ ადამიანს, რომელმაც სულ ახლახან გითხრა პირდაპირ და პატიოსნად, მიყვარხარო - და გაბზარული გუ-ლით მიდის შენგან. ჩემო ძვირფასო, წერილი უნდა შევწყვიტო, რადგან თავს საზიზღრად ვგრძნობ, მიუხედავად იმისა, რომ უზო-მოდ ბედნიერი ვარ.

საღამოს.

ახლახან წავიდა ართური, და ახლა უფრო მშვიდად ვგრძნობ თავს, ვიდრე მაშინ, როცა ეს წერილი შევწყვიტე; ასე რომ, შემიძ-ლია, თხრობა განვაგრძო. მაშ ასე, ჩემო ძვირფასო, ნომერი ორი სა-უზმის შემდეგ მოვიდა. ეს არის ამერიკელი, ტეხასიდან, ძალიან სიმ-პათიური ყმაწვილი, იგი იმდენად ჭაბუკურად გამოიყურება, რომ უბ-რალოდ ძნელი დასაჯერებელია მისი ნაამბობი უამრავ ქვეყანაში მოგზაურობისა და იქ განცდილი თავგადასავლების შესახებ. როდე-საც მისტერ ქვინსი პ. მორისი მოვიდა, მე მარტო ვიყავი. უპირველეს ყოვლისა უნდა გაგაფრთხილო, რომ მისტერ მორისი ყოველთვის

ამერიკულ სლენგს არ იყენებს, ანუ ის საკმარისად კარგად აღზრდილი და განათლებულია და უცხო ადამიანებთან ასე არ საუბრობს. მაგრამ როდესაც ჩვენ მარტონი ვართ, ჩვენს ინტიმურ წრეში, მაშინ ჩემი გართობის მიზნით იგი ძალზე სახალისოდ ლაქლაქებს თავის სასაცილო კილოზე და საოცრად კურიოზულ გამონათქვამებს იყენებს. ჩემი აზრით, უბრალოდ, იგონებს მათ და საკმაოდ კარგადაც გამოსდის. ამრიგად, ვაგრძელებ: მისტერ მორისი ჩემ გვერდით მოკალათდა, როგორც ყოველთვის, ხალისიანი და მხიარული, მაგრამ ეტყობოდა, რომ ისიც ნერვიულობდა. ხელზე ხელი დამადო და ნაზად წარმოთქვა:

„მის ლუსი, კარგად ვიცი, რომ იმისი ღირსიც არა ვარ, თქვენს ფეხსაცმელებზე ზონრები გამოვნასკვო, მაგრამ მჯერა, რომ თუ მოიცდით, სანამ თქვენთვის ღირსეულ ქმარს იპოვით, მაშინ მოგიწევთ წახვიდეთ და შეუერთდეთ შვიდ სახარებისეულ ქალწულს. ხომ არ ისურვებდით, ჩემ გვერდით იჩანჩალოთ, გაიაროთ ხანგრძლივი ამქვეყნიური გზა და ცხოვრების ჭაპანიც ერთად ვზიდოთ?“

ამ დროს იგი ისე იუმორისტულად იყო განწყობილი, რომ გაცილებით გამიადვილდა მისთვის უარის თქმა, ვიდრე ექიმ სიუარდისთვის; იმდენად გარკვევით ვუპასუხე, რამდენადაც შემეძლო, ჩანჩალზე რა მოგახსენოთ, მაგრამ არავითარი ჭაპანის ზიდვას არ ვაპირებ-მეთქი. მაშინ მან თქვა, ჩემთვის ყველაფერი ნათელიაო. შემდეგ, ჩემო ძვირფასო, სიტყვის თქმაც ვერ მოვასწარი, რომ მან სიყვარულის გუდას მოხსნა თავი და სული და გული გადმომიშალა. ამჯერად ისეთი სერიოზული სახე ჰქონდა, რომ აღარასოდეს გავიფიქრებ, თითქოს უზრუნველი მამაკაცები ყოველთვის ხუმარები არიან - არა, ზოგჯერ ისინი სერიოზულებიც ხდებიან. მე მგონი, მან რაღაც ისეთი შენიშნა ჩემი სახის გამომეტყველებაში, რამაც ძლიერ აააღელვა, რადგან წუთით დადუმდა, ხოლო შემდეგ კიდევ უფრო მეტი

გზნებით ალაპარაკდა, ისე მგზნებარედ, რომ მხოლოდ ამისთვის ღირდა მისი შეყვარება, ჩემი გული თავისუფალი რომ ყოფილიყო:

„ლუსი, თქვენ უმანკო გულის გოგონა ბრძანდებით, მე ეს ვიცი. აქ არ ვიქნებოდი და არ გეტყოდით იმას, რასაც ახლა გეუბნებით, რომ არ ვიცოდე, როგორი პირდაპირი, გაბედული და სულის სიღრმემდე ალალ-მართალი ბრძანდებით. ამიტომ გთხოვთ, პირდაპირ მითხრათ, როგორც პატიოსანი ადამიანი ეტყოდა თავის მეგობარს - ვინმემ თუ დაიპყრო თქვენი გული, ვინც გიყვართ? თუ ასეა, პირობას გაძლევთ, რომ არასოდეს შევეხები ამ საკითხს და დავრჩები, თუ ნებას დამრთავთ, მხოლოდ თქვენს ერთგულ მეგობრად“.

„დიახ, მე სხვა მიყვარს, თუმცა მას აქამდე ჯერ კიდევ არ გაუმხელია ჩემთვის სიყვარული...“ სწორად მოვიქეცი, გულწრფელად რომ ვუთხარი, რადგან ჩემი აღიარების შემდეგ ის თითქოს გარდაიქმნა, ჩემი ხელები ნაზად ჩაბღუჯა და ძალზე ალერსიანად წარმოთქვა:

„გმადლობთ, მამაცო გოგონავ. სჯობს თქვენ გაგიმხილოთ დაგვიანებით გულისნადები, ვიდრე ნებისმიერი სხვა გოგონას გული მოვიგო დროულად. არ იტიროთ, ძვირფასო! ჩემი გულისთვის არ ღირს თქვენი დადარდიანება, მეარ დავიკარგები, და მედგრად გადავიტან ჩემს მარცხს. მაგრამ თუ ის ჭაბუკი, რომელსაც წარმოდგენაც არააქვს თავის ბედნიერებაზე, კიდევ დიდხანს ვერ მიხვდება ამას, მაშინ ჩემთან ექნება საქმე. საყვარელო ბავშვო, თქვენმა გულწრფელობამ და სიალალემ მე თქვენს მეგობრად მაქცია; მხედველობაში იქონიეთ, მეგობარი უფრო იშვიათობაა, ვიდრე შეყვარებული, ყოველ შემთხვევაში, მეგობარი ნაკლებ ეგოისტია. ძვირფასო! მე საკმაოდ ხანგრძლივი, ნაღვლიანი მოგზაურობა მელოდება, სანამ წინაპრებთან არ გავემგზავრები, ამიტომ ძალიან გთხოვთ ერთი ამბორი მაჩუქოთ -ეს გააცისკროვნებს ჩემს პირქუშ ცხოვრებას,

ამით, შეგიძლიათ, გამაბედნიეროთ, თუკი, ცხადია, მოისურვებთ, ძვირფასო, იმ შესანიშნავ ყმაწვილს ხომ - ის შესანიშნავი უნდა იყოს, სხვაგვარად არ შეიყვარებდით - ჯერ თქვენთვის სიყვარული არ აუხსნია". ამით მან საბოლოოდ მომხიბლა. მინა, ეს ხომ მეტოქის მხრიდან ფაქიზი და კეთილშობილური ნაბიჯი იყო - ხომ მართალია? და ისეთი სევდიანი სახე ჰქონდა... მისკენ გადავიხარე და ვაკოცე. იგი ადგა, ჩემი ხელები კვლავინდებურად ეკავა, და როდესაც თვალებში ჩამხედა, საშინლად გავწითლდი. შემდეგ მან მითხრა:

„ძვირფასო გოგონა, აი, თქვენი ხელები მიკავია, თქვენ მე მაკოცეთ. თუ ამ ყველაფრის შემდეგ ჩვენ გულითადი მეგობრები არ გავხდებით, სხვა შემთხვევა აღარ მოგვეცემა. მადლობას მოგახსენებთ თქვენი სიფაქიზისა და გულწრფელობისათვის ჩემ მიმართ და... ნახვამდის". მან ხელი გამიშვა, ქუდი აიღო და უკანმოუხედავად გაემართა კარისკენ, ცრემლების, ყოყმანისა და ყოველგვარი მღელვარების გარეშე; მე კი ბავშვივით ვტირი. ჩემო ძვირფასო, ისეთი აღელვებული ვარ, რომ წერის თავიც არა მაქვს; არ მინდა ნომერ სამზე ლაპარაკი, სანამ ბედნიერება სრული არ იქნება. მარად შენი მოსიყვარულე ლუსი.

P.S. ნომერ სამზე აღარც ვიცი, რა მოგწერო. ყველაფერი ისე უწესრიგოდ მოხდა; მომეჩვენა, რომ ის ერთ წამში ჩაეტია; მან, მე მგონი, ოთახში შემოსვლაც ვერ მოასწრო, რომ მისმა ხელებმა შემბოჭეს და კოცნით ამავსო. ძალიან, ძალიან ბედნიერი ვარ და წარმოდგენაც არა მაქვს, რითი დავიმსახურე ეს ბედნიერება.

ნახვამდის.

ექიმ სიუარდის დღიური

(ჩაწერილია ფონოგრაფიულად)

25 აპრილი.

სრული უმადობა. ჭამა არ შემიძლია, არც დასვენება, ასე რომ, ყველაფრის მაგივრობას ეს დღიური მიწევს. გუშინდელი უარის შემდეგ რაღაც სიცარიელეს ვგრძნობ; ჩემს ამჟამინდელ მდგომარეობაში ერთადერთი შვება მუშაობაა, ამიტომ მივაშურე კიდეც ჩემს ავადმყოფებს. განსაკუთრებით დიდხანს ვიჯახირე ერთ პაციენტთან, რომელიც ჩემში დიდ ინტერესს იწვევს. მას ძალზე უცნაური იდეები აქვს. იმდენად განსხვავდება ჩვეულებრივი შეშლილისგან, რომ მე მტკიცედ გადავწყვიტე, დაწვრილებით შევისწავლო იგი. დღეს, ვიდრე მანამდე, მოვახერხე, უფრო ახლოს მივსულიყავი მისი საიდუმლოს არსთან. უამრავი კითხვა დავუსვი, გამოვკითხე მისი ჰალუცინაციების ყოველგვარი მიზეზის შესახებ; რა თქმა უნდა, ეს სასტიკი საქციელი იყო ჩემი მხრიდან. ახლა ვხედავ ამას. ვცდილობდი, დამეჭირა მისი არანორმალურობის ცენტრალური წერტილი - ის, რასაც გავურბივარ სხვა პაციენტებთან. აი მისი CURICULUM VITAE:

რ.მ. რენფილდი, 59 წლის. - სანგვინიკური ტემპერამენტი; დიდი ფიზიკური ძალა; ავადმყოფურად აღგზნებადი; პერიოდულად განიცდის შავი მელანქოლიის შეტევებს. მე ვფიქრობ, სანგვინიკური ტემპერამენტი პაციენტს სრულ გონებრივ შეშლილობამდე მიიყვანს; შესაძლოა, სახიფათოც იყოს; სავსებით დასაშვებია, რომ ეს საშიში, თუმცა კი უანგარო ადამიანია. ჩემი აზრი ამის შესახებ ასეთია: თუ „მე“ არის სიგიჟის წერტილი, მაშინ ცენტრისკენულ ძალას აწონასწორებს ცენტრიდანული; თუ სახლი ან საქმე და ა.შ. - სიგიჟის

წერტილია, მაშინ უკანასკნელი ძალა ჭარბობს და შეიძლება გაწონასწორდეს მხოლოდ რაიმე შემთხვევით ან შემთხვევათა მთელი სერიით.

ქვინსი მორისის წერილი პატივცემულ ართურ ჰოლმვუდს

25 მაისი.

ჩემო ძვირფასო ართ!

ჩვენ ერთმანეთს ვუამბობდით პრერიებში გადატანილ სამხედრო ისტორიებს, ერთმანეთს ჭრილობებს ვუხვევდით მარკიზებზე გადასახდომის მცდელობის შემდეგ და ვსვამდით ჩვენი საერთო ჯანმრთელობის სადღეგრძელოებს ტიტიკაკას ნაპირებზე. ახლა უფრო მეტი მასალა გვექნება მოსაყოლად, სხვა ჭრილობები, რომლებიც უნდა მოვირჩინოთ და კიდევ სხვა, რომლის სადღეგრძელოც უნდა შევსვათ. ხომ არ ინებებთ ხვალ საღამოს მობრძანდეთ ჩემთან? გეპატიჟებით, რადგან ნამდვილად ვიცი: ხვალ თავისუფალი იქნებით, ვინაიდან ჩემთვის ცნობილია, რომ ერთი ლედი ხვალ სადილად არის დაპატიჟებული. ჩვენ შემოგვიერთდება მხოლოდ ერთი პიროვნება - ჩვენი ძველი ამხანაგი ჯონ სიუარდი, და ჩვენ შევსვამთ მოკვდავთაგან უბედნიერესის სადღეგრძელოს, რომელიც უყვარს უკეთილშობილეს და ღირსეულ გულს. ჩვენ გპირდებით გულთბილ გამასპინძლებას და სიყვარულს და მხოლოდ თქვენი ჯანმრთელობის სადღეგრძელოს შევსვამთ, რასაც ფიცით ვადასტურებ. გარდა ამისა, მზად ვართ, შემოგფიცოთ, რომ პირადად მიგიყვანთ სახლში, თუკი ამას გარდაუვალი ვითარება მოითხოვს. ამრიგად, გელით.

მარად და უცვლელად თქვენი ქვინსი მორისი.

დეპეშა ქვინსი პ. მორისს ართურ ჰოლმვუდისაგან

26 მაისი.

ყოველი შემთხვევისთვის ჩემი იმედი გქონდეთ. მე ახალი ამბავი მაქვს, რასაც გატაცებით მოისმენთ.

ართი.

თავი მეექვსე
მინა მიურეის დღიური

24 ივლისი. უაითბი.

ლუსი ვაგზალზე დამხვდა, საიდანაც პირდაპირ მის სახლში წავედით, ქრესშენდში. მშვენიერი, წარმტაცი ადგილია. პატარა მდინარე ესქი მიედინება აქ ღრმა ხეობაში, რომელიც ნავსადგურთან ახლოს ფართოვდება. ხეობა მწვანეშია ჩაფლული, რაც არემარეს საოცრად ალამაზებს. სახლები ძველ ქალაქში წითელი სახურავებითაა გადახურული და ერთმანეთის მიყოლებით არიან ჩამწკრივებული, როგორც ნიურნბერგში. ქალაქის ბოლოში დანიელების მიერ ხელყოფილი უაითბის სააბატოს ნანგრევები მოსჩანს. ნანგრევებსა და ქალაქს შორის სამრევლო ეკლესია აუგიათ, რომლის ეზოშიც ბევრი საფლავი და ძეგლია - ეზოს ირგვლივ სასაფლაოა, რომელსაც ზღუდე აქვს შემოვლებული. ჩემი აზრით, ეს ყველაზე ლამაზი ადგილია მთელ უაითბიში, რადგანაც იგი ქალაქის ზემოთაა განლაგებული და აქედან ნავსადგურისა და უბის მშვენიერი ხედი იშლება;

აქ მდებარეობს ასევე ქეთლენესის კონცხი, რომელიც ღრმად იჭრება ზღვაში. კონცხი ისე ციცაბოდ ეშვება ნავსადგურში, რომ გზა სანაპიროს მცირე მონაკვეთზეა გაყვანილი. ეკლესიის გალავანთან სკამები დგას; აქ უამრავი ხალხი სეირნობს და თითქმის მთელ დღეებს აქ ატარებს, ლამაზი ხედით და მშვენიერი ჰაერით ტკბება. მე თვითონ აქ ძალზე ხშირად მოვალ და ვიმუშავებ. აი, ახლაც აქ ვზივარ, რვეული მუხლებზე მიდევს და სამი მოხუცის საუბარს ვუგდებ ყურს, რომლებიც ჩემ გვერდით სხედან. ისინი, როგორც ჩანს, მთელი დღეები არაფერს აკეთებენ, სხედან აქ და ლაქლაქებენ.

ნავსადგური ზუსტად ჩემ ქვემოთ არის განლაგებული. აქ გრანიტის კედელი ღრმად შედის ზღვაში და ბოლოს იღუნება, სადაც შუქურა მდებარეობს. ამ შვერილს ორი მხრიდან აკრავს წყალი. მეორე მხარეს კიდევ ერთი შუქურაა.

ნავსადგურს თითქმის მთელ სიგრძეზე მიუყვება დიდი კლდე, რომელიც განსაკუთრებით ციცაბოდ ეშვება სამხრეთ შუქურასთან. კლდის ძირში ტივტივას შეამჩნევთ, რომლის ზარის სევდიან ჰანგებსაც ქარი ავრცელებს ხოლმე.

აქეთ საკმაოდ სახალისო მოხუცი მოემართება! ის, ალბათ, ძალზე ასაკოვანია, რადგან მთელი სახე ნაოჭებით აქვს დაფარული ხის ქერქივით. მითხრა, დაახლოებით ასი წლისა ვარ და თევზსაჭერი ფლოტის მეზღვაური ვიყავი გრენლანდიაში ვატერლოოსთან ბრძოლის დროსო.

როგორც ჩანდა, მისგან ბევრი საინტერესო ამბის გაგება შეიძლებოდა, ამიტომ ვკითხე, ჩემთვის რამეს მოყოლას ხომ არ ისურ-

ვებდა წარსულ დროს ვეშაპებზე ნადირობის შესახებ. ის-ის იყო ჩამოჯდა, რათა მოყოლა დაეწყო, რომ საათმა ექვსი ჩამოჰკრა და ისიც მყისვე წამოდგა და წასვლა დააპირა, მხოლოდ ეს თქვა:

- შინ უნდა წავიდე, მის. ჩემს შვილიშვილს ლოდინი არ უყვარს, როდესაც ჩაი მზადა აქვს, მე კი დიდი დრო დამჭირდება ამდენ საფეხურზე დასაშვებად. თანაც, მის, მეც დროულად მიყვარს ჭამა.

მან კოჭლობით განაგრძო გზა, დავინახე, როგორ აჩქარებით დაეშვა საფეხურებზე - რის საშუალებასაც ძალ-ღონე აძლევდა.

ახლა მეც შინ წავალ. ლუსი დედასთან ერთად საქმიან ვიზიტზე იმყოფება, მე არ წავსულვარ მათთან ერთად, ახლა, მგონი, უკვე შინ იქნებიან.

1-ლი აგვისტო.

დღეს მე და ლუსი ისევ ჩვენს საყვარელ ადგილზე ვისხედით, გალავანთან. მალე მოხუციც შემოგვიერთდა. იგი დიდი სკეპტიკოსი აღმოჩნდა და გვიამბო, რომ საფლავთა ფილებს ქვემოთ შესაძლოა სულაც არ იყვნენ დაკრძალული ის პირები, რომელთა სახელებიც ქვებზეა აღნიშნული, რადგან მეზღვაურები მეტწილად ზღვაში იღუპებიან. ლუსი ძალიან გააღიზიანა ამ ცარიელი სასაფლაოს იდეამ. მალე შინ დავბრუნდით.

მოგვიანებით.

აქ მარტო მოვედი, რადგან ძალზე მოწყენილი ვარ. არავითარი წერილი არ ჩანს. იმედი მაქვს, რომ ჯონათანს არაფერი მოსვლია.

ახლახან ჩამოკრა ცხრა საათმა. ვხედავ, როგორ არის ქალაქის ქუ-ჩები ჩირაღდნებით განათებული. ჩირაღდნები პირდაპირ მდინარე ესკისა და ხეობის კლაკნილს მიუყვებიან და მარტოსულად ციმციმე-ბენ. მარცხენა მხარეს ხედი ჩემგან თითქოს შავი ზოლითაა დაფარუ-ლი - სააბატოს მეზობლად მდებარე სახლის სახურავით. უკან, მინ-დვრებში ცხვრებისა და ბატკნების ბღავილი ისმის, ხოლო ქვევით, მოკირწყლულ გზაზე - სახედრის ფლოქვების ბრაგუნი. ორკესტრი ჯებირზე რაღაც ვალსს უკრავს, ხოლო ოდნავ მოშორებით, სანაპი-როზე, ერთ-ერთ განცალკევებულ ქუჩაზე, ხსნის არმიას მიტინგი აქვს მოწყობილი. ამ ჯგუფებს ერთმანეთის არ ესმით, მე კი ორივეს ვხედავ. წარმოდგენა არა მაქვს, სად შეიძლება იყოს ჯონათანი, ჩემ-ზე თუ ფიქრობს. როგორ მინდა, რომ აქ იყოს!

ექიმ სიუარდის დღიური

5 ივნისი.

რენფილდის არანორმალურობა სულ უფრო საინტერესო ხდება. ხასიათის ზოგიერთი თვისება მას განსაკუთრებით ძლიერ აქვს გან-ვითარებული: ეგოიზმი, გულჩახვეულობა, სიჯიუტე.

ამ უკანასკნელის საფუძველი მინდა გავიგო. მას თითქოს თავისი განსაღვრული გეგმა აქვს, მაგრამ როგორი - ჯერ კიდევ არ ვიცი. ცხოველთამიმართ განსაკუთრებულ ინტერესს ამჟღავნებს, თუმცა, არსებითად, ამას ისე უცნაურად გამოხატავს, რომ ზოგჯერ მეჩვენე-ბა, თითქოს არანორმალურად სასტიკია მათ მიმართ. მისი ალერსი ძალზე უცნაური ხასიათისაა. ახლა, მაგალითად, ბუზების ჭერა აქვს აკვიატებული. იმდენი დააგროვა, რომიძულებული გავხდი, მის-თვის საყვედური გამომეცხადებინა. ჩემდა გასაოცრად, ის არ აღ-

შფოთებულა, როგორც მოველოდი, არამედ ამ საქმეს სერიოზულად მოეკიდა. მცირე ფიქრის შემდეგ მითხრა, სამი დღის ვადა მომეცით - ყველაფერს მივალაგებო. მე დავთანხმდი.

18 ივნისი.

ახლა მას ობობების მიმართ გაუღვივდა ინტერესი; კოლოფში რამდენიმე ძალიან დიდი ობობა ჰყავს. მათ ბუზებით კვებავს. ამ უკანასკნელთა რაოდენობა საკმაოდ შემცირდა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ეზოდან ბუზების შემოტყუებას დიდ დროს ანდომებს.

1-ლი ივლისი.

დღეს ვუთხარი, ობობებსაც უნდა დაემშვიდობო-მეთქი. რაკი ამან ძალიან გაანაწყენა, შევთავაზე, მათი ნაწილი მაინც გაანადგურე-მეთქი. ამაზე სიხარულით დამთანხმდა, და ამისათვის იგივე ვადა დავუთქვი. ახლა, როცა მასთან მივდივარ, ზიზღს მგვრის, ვინაიდან სულ ახლახან დავინახე, როგორ დააჯდა საშინელი მსუქანი ბუზი, რომელიც, ალბათ, რაღაც მძორით გამძღარიყო. მან დაიჭირა იგი და ათვალიერებდა, თითებით ეჭირა, სანამ გონს მოვიდოდი, პირში ჩაიდო და შეჭამა. ლანძღვა დავუწყე, მაგრამ ძალზე მშვიდად მიპასუხა, ეს საკმაოდ გემრიელია, სასარგებლოა და სასიცოცხლო ძალას მმატებსო. ამან მაფიქრებინა, ან უფრო სწორად, მიკარნახა, რომ თვალყური მედევნებინა, თუ რა გზით იშორებს თავიდან თავის ობობებს. მას, აშკარად, დიდი საფიქრალი აქვს, რადგან ყოველთვის თან დაატარებს პატარა უბის წიგნაკს, სადაც რაღაც-რაღაცებს იწერს ხოლმე. მასში მთელი გვერდები უამრავი ფორმულებითაა აჭრელებული, რომლებიც უმეტესად ერთნიშნა რიცხვებისგან შედგება. ამ რიცხვებს ერთმანეთს უმატებს, შემდეგ მიღებულ რიცხვებს ისევ კრებს, თითქოს ამით რაღაც დასკვნები გამოაქვს.

8 ივლისი.

ჩემი ძირითადი ვარაუდი მის სიგიჟეში არსებული რაღაც სისტემის შესახებ - დასტურდება. მალე, როგორც ჩანს, ერთიან მწყობრ კონცეფციას მივიღებ. რამდენიმე დღით მივატოვე ჩემი პაციენტი, ასე რომ, ახლა ისევ შემიძლია აღვნიშნო ცვლილებები, რომლებიც ამ პერიოდში მოხდა. ყველაფერი ძველებურად დარჩა, გარდა იმისა, რომ მან ზოგიერთ ახირებას თავი დაანება - სამაგიეროდ ახლებს მიჰყო ხელი. მან როგორღაც მოახერხა ბეღურის დაჭერა და ნაწილობრივ მოათვინიერა კიდეც. მისი მოთვინიერების ხერხები მარტივია, რადგან ობობები უკვე ცოტა დარჩა. რომლებიც, როგორც ჩანს, კარგად იკვებებიან, ვინაიდან ბუზებს კვლავ თავისთან იტყუებს და იჭერს.

19 ივლისი.

პროგრესის გზაზე ვდგავართ. ჩემს „მეგობარს“ ახლა ბეღურების მთელი კოლონია ჰყავს, ხოლო ობობებისა და ბუზების კვალიც აღარ დარჩა. როცა ოთახში შევედი, მან ჩემთან მოირბინა და მითხრა, დიდი სათხოვარი მაქვსო - „ძალიან, ძალიან დიდი თხოვნა“. ამ დროს ერთგული ძაღლივით მელაქუცებოდა. ვკითხე, რა ხდებამეთქი? მაშინ მან რაღაც აღტაცებით მომიგო: „კნუტი, პატარა, საყვარელი, ფაფუკი, ცოცხალი, რომელსაც შეიძლება ვეთამაშო, ვასწავლო და ვკვებო, და ვკვებო და ვკვებო“. ვერ ვიტყვი, რომ ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო, რადგან უკვე შევნიშნე, მისი ახირება რა სწრაფად პროგრესირებდა ზომებში, მაგრამ არ მჯეროდა, რომ მოშინაურებული ბეღურების მთელი ოჯახი შეიძლებოდა ისეთივე ხერ-

ხით განადგურებულიყო, როგორც ბუზები და ობობები, თუმცა კნუტის მოძებნას შევპირდი და ვკითხე, კნუტს კატა ხომ არ აჯობებდა-მეთქი? იგი გამომიტყდა:

- ოჰ, დიახ, ცხადია, მე კატა მინდოდა, მაგრამ მხოლოდ კნუტი გთხოვეთ, რადგან მეშინოდა, რომ კატაზე უარს მეტყოდით.

მე თავი დავუქნიე, ვუთხარი, ისე, კაცმა რომ თქვას, კატის მოძებნა ძნელი იქნება, მაგრამ ვეცდები-მეთქი. მას სახე მოეღუშა და თვალები გაშმაგებით წამოენთო უეცრად აფეთქებული მრისხანებით, რაც მკვლელობის წყურვილს გამოხატავდა. ეს ადამიანი კაცისმკვლელი მანიაკია.

20 ივლისი.

რენფილდი ადრიანად მოვინახულე, მანამდე სანამ მორიგე შემოვლას ჩაატარებდა. იგი უკვე ამდგარიყო და რაღაც სიმღერას ღიღინებდა. გადანახულ შაქრის ნამცეცებს ფანჯარაზე აფრქვევდა და ისევ ბუზების ჭერას შეუდგა, თანაც ამას ძალზე მხიარულად და ხალისით აკეთებდა. მისი ჩიტები არსად ჩანდა და ვკითხე, სად გყვანან-მეთქი? იგი არც შემობრუნებულა, ისე მიპასუხა, ყველანი გაფრინდნენო. ოთახში ჩიტის რამდენიმე ბუმბული შევნიშნე, ხოლო მის ბალიშს სისხლის წვეთი აჩნდა. მისთვის არაფერი მითქვამს და წასვლისას მორიგეს დავავალე, ეცნობებინა ჩემთვის, თუკი დღის მანძილზე რენფილდს რაიმე უცნაურობა შეემთხვეოდა.

დღის 11 საათი.

მსახური მოვიდა და შემატყობინა, რენფილდს ბუმბულები აღებინაო. „მე მგონი, ექიმო, - მითხრა მან, - თავისი ჩიტები გადასანსლა - იღებდა და ცოცხლად ყლაპავდა“.

საღამოს 11 საათი.

რენფილდს ნარკოტიკის ძლიერი დოზა მივეცი და მისი უბის წიგნაკი წამოვიღე თვალის გადასავლებად. აზრი, რომელიც ბოლო ხანებში გამიჩნდა,ახლა გამართლდა. ჩემი მომაკვდინებელი პაციენტი განსაკუთრებული ტიპის მანიაკია. ახალი კლასიფიკაცია უნდა გამოვიგონო და მას ზოოფაგუსი (ცხოველთა შთამთქმელი) დავარქვა, მას სწყურია რაც შეიძლება მეტი სიცოცხლე გაანადგუროს და გადაწყვიტა, ეს აღმავალი ხაზით აღასრულოს. ერთ ობობას რამდენიმე ბუზი მისცა შესაჭმელად, რამდენიმე ობობა - ერთ ჩიტს და შემდეგ კატა მოუნდა,რათა მას ჩიტები შეეჭამა. მისი ბოლო საფეხური რა იქნებოდა, ნეტავ? ალბათ ღირდა ცდების გაგრძელება. ეს შესაძლებელი იქნებოდა, ამისათვის საკმარისი საფუძველი რომ შექმნილიყო. ხალხი დასცინის ვივისექციას, მაგრამ, ნახეთ, რა შედეგებს მიაღწია! რატომ არ უნდა დავეშუროთ მეცნიერებას და არ მივიყვანოთ იგი ყველაზე რთულ ამოცანამდე: ტვინის შემეცნებამდე. ამ დარგის ერთ-ერთი საიდუმლოების ცოდნით, თუკი მეცოდინებოდა თუნდაც ერთი შეშლილის ფანტაზიის წყარო, მეცნიერების მთელ ამ დარგს ისეთ დონემდე ავიყვანდი, რომ მასთან შედარებით თანამედროვე ფიზიოლოგიის უდიდესი მიღწევები არარაობად მოგეჩვენებოდათ. მაგრამ ამაზე ხშირად არ უნდა ვიფიქრო, თორემ ძალზე დიდი იქნება ცდუნება; წაქეზებამ შეიძლება ჩემში საღი აზრი დაამარცხოს, რადგან სულაც არ არის გამორიცხული, რომ მეც განსაკუთრებულად მოწყობილი ტვინის მქონე ადამიანი ვარ.

რა კარგად მსჯელობდა ეს ადამიანი! არანორმალური ყოველთვის თავისი საკუთარი მიზნიდან გამოდის. ნეტავ, ვიცოდე, ადამიანის სიცოცხლეს რამდენად აფასებს?

მინა მიურეის დღიური

26 ივლისი.

ძალიან ვღელავ, და ერთადერთი, რაც ჩემზე სასიკეთოდ მოქმედებს, ჩემი დღიურის შევსებაა; მასში თითქოს გულისნადებს ვაქსოვ და ამავე დროს საკუთარ თავს ვუსმენ. ბოლოს და ბოლოს, რაღაც ცნობა მივიღე ჯონათანისაგან. ეს ცნობა სულ ერთ სტრიქონში ეტევა: იტყობინებიან, რომ ჯონათანი სულ ახლახან გამოემგზავრა შინისაკენ. ეს არ ჰგავს ჯონათანის საქციელს. მე არ მესმის ეს ლაკონურობა, ის მე მაშინებს. და კიდევ ლუსი... მიუხედავად სრულიად ჯანსაღი შესახედაობისა, ისევ დაიწყო თავისი ძველი ჩვეულებით ძილში სიარული. მე და ლუსის დედამ ვიმსჯელეთ ამაზე და გადავწყვიტეთ, რომ ამიერიდან ღამით ჩვენი საძინებლის კარს გასაღებით ჩავკეტავ. მისის ვესტენრი ამბობს, რომ მთვარეულები ყოველთვის სახლების სახურავებზე დადიან, ზოგჯერ უეცრად იღვიძებენ და სულგამყინავი ყვირილით, რაც ექოდ ვრცელდება გარშემო, ქვევით ცვივიან. იგი ძალზე შიშობს შვილის გამო და ამბობს, ეს თვისება მამისგან ერგოო მემკვიდრეობით. შემოდგომაზე ლუსის ქორწილია, ოცნებობს, თუ როგორ მოაწყობს ყველაფერს თავის სახლში. მისი ძალზე კარგად მესმის, რადგან მეც იმავეზე ვოცნებობ; მხოლოდ, მე და ჯონათანს მოგვიწევს ძალზე მოკრძალებულად დავიწყოთ ახალი ცხოვრება და დიდი გარჯით გავიტანოთ თავი. მისტერ ჰოლმვუდი, უფრო სწორად დიდად პატივცემული სერ ართურ ჰოლმვუდი - ლორდ ჰოლმვუდის ერთადერთი ვაჟი - აქ მაშინვე მოვა, როგორც კი ქალაქის დატოვებას შეძლებს. მას მხოლოდ მამის ავადმყოფობა

აფერხებს. საყვარელი ლუსი, ალბათ, დღეებს ითვლის მის მოსვლამდე. მას სურს, რომ კლდეზე შეფენილ სასაფლაოს ჩვენ მიერ ამოჩემებულ სკამთან მოიყვანოს იგი, რათა აქედან უჩვენოს, რა მშვენიერია უაითბი. დარწმუნებული ვარ, ეს მოლოდინი ძალზე აღელვებს. ლუსი, ალბათ, სრულიად მომჯობინდება, როგორც კი ის ჩამოვა.

27 ივლისი.

ჯონათანისგან არაფერი ისმის. მასზე ძალიან ვწუხვარ, თუმცა, სწორად რომ ვთქვა, არ ვიცი, რატომ: კარგი იქნებოდა, ერთი სტრიქონი მაინც მომწეროს. ლუსი ადრინდელთან შედარებით ახლა უფრო მეტად იტანჯება ლუნატიზმით, მე კი ყოველღამე ოთახში მისი სიარულისაგან ვიღვიძებ. საბედნიეროდ, ისე ცხელა, რომ ის არ გაცივდება, მაგრამ მაინც, მღელვარებასა და უძილობას თავისი გააქვს. ნერვული გავხდი და ცუდად მძინავს. მადლობა ღმერთს, რომ სხვა მხრივ მაინც ის სრულიად ჯანმრთელია.

3 აგვისტო.

კიდევ ერთი კვირა გავიდა და ჯონათანისგან არაფერი ისმის, მისტერ ჰაუკინსმაც კი არაფერი იცის. მე იმედი მაქვს, რომ არ ავადმყოფობს, თორემ, ალბათ, მომწერდა. ისევ და ისევ მის ბოლო წერილს ვკითხულობ, მაგრამ ის სტრიქონი არ მაკმაყოფილებს. იგი რაღაც არ ჰგავს ჯონათანისას, თუმცა ხელნაწერი, უეჭველად, მისია. ამაში დაეჭვება შეუძლებელია. უკანასკნელ კვირას ლუსი არც ისე ბევრს სეირნობდა ღამღამობით, მაგრამ მას რაღაც უცნაურობა ემართება, რაც მე არ მესმის: იგი თითქოს მითვალთვალებს, ძილშიც კი; კარს ამოწმებს და როდესაც დაკეტილი ხვდება, მთელ ოთახში გასაღებს დაეძებს.

6 აგვისტო.

მორიგი სამი დღეც ყოველგვარი შეტყობინების გარეშე გავიდა. ეს დუმილი უკვე აუტანელია. რომ ვიცოდე, სად მივწერო ან სად წავიდე, გაცილებით უკეთ ვიგრძნობდი თავს, მაგრამ არავის არაფერი გაუგია ჯონათანზე მისი უკანასკნელი წერილის შემდეგ. უნდა ვილოცო. ლუსი ადრინდელზე მეტადაა გაღიზიანებული, მაგრამ, საერთო ჯამში, ჯანმრთელია. გუშინ ღამით ამინდი ძალიან აირია და მეთევზეები ამბობენ, შტორმია მოსალოდნელიო. დღეს მოღრუბლული ამინდია, ცა დიდი ღრუბლებითაა დაფარული. ყველაფერს რუხი ფერი ადევს, მწვანე ბალახისგარდა, რომელიც ზურმუხტს მოგაგონებთ. ზღვა მუქ ნისლშია გახვეული. ზვირთები ღრიალით ეხეთქება მეჩეჩებსა და სანაპირო ქვებს. ბუნებაში თითქოს მოახლოებული ბედისწერის ხმა ისმის. ნისლში, ზღვის ნაპირზე, აქა-იქ შავი მოძრავი ფიგურები მოჩანს. მეთევზეები ნავებით შინისაკენ მიიჩქარიან; ნავსადგურთან მიახლოებისას ისინი ხან გამოჩნდებიან, ხან ისევ გაშმაგებულ ზვირთებში უჩინარდებიან. აი, ბებერი სველზი მოდის. პირდაპირ ჩემკენ მოემართება, მოწიწებით მიკრავს თავს და ვხედავ, რომ ჩემთან სურს საუბარი...

ჩემზე ძალზე იმოქმედა იმ ცვლილებამ, რომელიც მოხუცში მოხდა. ჩემ გვერდით ჩამოჯდა და ალერსიანად მომმართა:

- რაღაც მინდა გითხრათ, მის.

დავინახე, რომ რაღაც აწუხებდა, ამიტომ ბებრულ, ნაოჭებიან ხელზე ხელი დავადე და თბილად ვთხოვე, ყველაფერი ეთქვა. მას ხელი არ აუღია, წუთით შეყოყმანდა და მითხრა:

- ვშიშობ, ჩემო ძვირფასო, რომ შეურაცხყოფა მოგაყენეთ ყველა იმ საშინელებით, რასაც მიცვალებულებსა და მსგავს რაღაცებზე გასულ კვირას თქვენთან საუბარში შევეხე. მაგრამ ეს სულაც არ მინდოდა, აი, ამის სათქმელად მოვედი თქვენთან, სანამ ჯერ კიდევ სული მიდგას. მაგრამ მე, მის, სიკვდილის არ მეშინია, ოდნავადაც კი არა. ჩემი აღსასრული, ალბათ, უკვე ახლოსაა, რადგან ბებერი ვარ და ასი წელი ყოველი ადამიანისათვის მეტისმეტად დიდი ვადაა. ჩემი აღსასრული კი იმდენად ახლოსაა, რომ „დედაბერი“ უკვე თავის ცელს ლესავს. ერთ მშვენიერ დღეს სიკდვილის ანგელოზი თავისი ნაღარით მომიხმობს. ნუ იდარდებთ და ნუ ტირით, ჩემო ძვირფასო, - მითხრა მან, როცა ჩემი ცრემლები შენიშნა. - თუ ის ამაღამ მომაკითხავს, მაშინ მეც ვუპასუხებ მის ძახილს, რადგან, საერთოდ, სიცოცხლე სხვა არაფერია, თუ არა რაღაც დიდის მოლოდინი, გაცილებით დიადის, ვიდრე ჩვენი ამქვეყნიური ამაოებაა, და სიკვდილი ერთადერთია, რისი იმედიც ნამდვილად გვაქვს; მაგრამ მე მაინც კმაყოფილი ვარ, ჩემო ძვირფასო, რომ ის მიახლოვდება, და თანაც, ასე სწრაფად. ის ახლაც შეიძლება მომწვდეს, სანამ აქ ვსხედვართ და ერთმანეთით ვხარობთ. შეხედეთ, შეხედეთ, - დაიყვირა მან მოულოდნელად, - შესაძლოა, ამ ქარს ზღვიდან უკვე მოაქვს ბედისწერა და დაღუპვა, სასოწარკვეთა და გულის დარდი. სიკვდილის სუნია! მე ვგრძნობ მის მოახლოებას! ღმერთმა მომცეს ძალა, მორჩილად ვუპასუხო მის ძახილს!

მან მოწიწებით აღაპყრო ხელები და ქუდი მოიხადა. ტუჩებს ისე ამოძრავებდა, თითქოს ლოცვას ჩურჩულებსო. რამდენიმე წუთს დადუმდა, შემდეგ ადგა, ნაზად ჩამომართვა ხელი და დამლოცა, მერე დამემშვიდობა და კოჭლობით დაადგა შინისაკენ მიმავალ გზას. ამან ძალიან შემძრა. გამიხარდა, როცა დავინახე ჩემკენ მომავალი

სანაპირო გუშაგი იღლიაში ამოჩრილი ჭოგრიტით. იგი, რგორც ყოველთვის, ჩემთან სასაუბროდ გაჩერდა და ამასთან, რაღაც უცნაურ ხომალდს თვალს არ აშორებდა.

- ვერ ვარჩევ, ეს რა გემია, როგორც ჩანს, რუსული უნდა იყოს. შეხედეთ, რა საშინლად ირხევა! გემზე, ალბათ, არავინ იცის, რა გააკეთოს: ეტყობა, შტორმის მოახლოებას ამჩნევენ, მაგრამ ვერაფრით გადაუწყვეტიათ - ჩრდილოეთით წავიდნენ, ღია ზღვაში დარჩნენ თუ აქ შემოვიდნენ. აი, ისევ, შეხედეთ! ის სრულიად უმართავია, მგონი ისიც არ იციან, საჭე როგორ გამოიყენონ. გემი ქარის ყოველ დაბერვაზე იცვლის მიმართულებას. ხვალ ამ დროისათვის მასზე რაღაცას გავიგებთ! ხვალ კიდევ შევიტყობთ მის შესახებ!

თავი მეშვიდე

ამონაჭერი 8 აგვისტოს „THE DAILYGRATH“-იდან

(ჩაკრულია მინა მიურეის დღიურში)

საკუთარი კორესპონდენტისაგან. უაითბი.

ამ დღეებში აქ მოულოდნელად საშინელი ქარიშხალი ამოვარდა, რასაც უცნაური და მეტად იშვიათი შედეგები მოჰყვა. ოდნავ ცხელი ამინდი იდგა, რაც ბუნებრივი მოვლენაა აგვისტოში. განსაკუთრებით კარგი დარი იყო შაბათ საღამოს; ირგვლივ მდებარე ტყეები და კუნძულები მოსეირნე ადამიანებით იყო სავსე. თბომავალი „ემა ენდ სკერბარო“ მრავალრიცხოვან რეისებს ასრულებდა წინ და უკან სანაპიროს გასწვრივ, მასზე უჩვეულოდ ბევრი მგზავრი იმყოფებოდა, ისინი მიიჩქაროდნენ უაითბიში და უკუმიმართულებით. მთელი

დღე, საღამომდე, კარგი ამინდი შენარჩუნდა, საღამოს სუსტმა ნიავმა დაუბერა, რომელიც ბარომეტრით აღინიშნა როგორც „მსუბუქი ბრიზი“. სანაპირო გუშაგმა, რომელიც თავის პოსტზე იმყოფებოდა, და მოხუცმა მეთევზემ, რომელიც უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია აღმოსავლეთ კლდიდან აკვირდება ამინდის ცვალებადობას, განაცხადეს, ეს შტორმის ნიშანიაო. ნაირფერი ღრუბლების მასა მოახლოებულ დაისში ისეთი წარმტაცი და დიდებული იყო, რომ უზარმაზარი ბრბო შეიკრიბა კლდესთან, სასაფლაოსკენ ამავალ გზაზე, რათა ბუნების სილამაზით დამტკბარიყო. ბევრმა კაპიტანმა მაშინ ნავსადგურში დარჩენა გადაწყვიტა, რათა შტორმი აეცილებინა „რიყის ქვებისა“ და „ჯორებისათვის“ - ასე კაპიტნები თავიანთ კარჭაპებსა და ორჩხომელებს უწოდებენ. საღამოს ქარი საბოლოოდ დაცხრა, ხოლო შუაღამით ყველგან სამარისებური სიჩუმე და დიდი სიცხე ჩამოწვა - ამას კი თან ის დაძაბულობა მოჰყვა, რაც ჭექა-ქუხილის მოახლოებისას ასე უცნაურად მოქმედებს ყოველ მგრძნობიარე ადამიანზე. ზღვაზე სულ რამდენიმე გემი ჩანდა: სანაპირო ხომალდი, რომელიც, ჩვეულებრივ, სანაპიროს გასწვრივ დადის ხოლმე, მეთევზეთა რამდენიმე ნავი და კიდევ უცხოური აფრიანი გემი, რომელიც დასავლეთის მიმართულებით მიდიოდა გაშლილი იალქნებით. მისი მეზღვაურების უგუნური გაბედულება თუ სრული უმეცრება ნოყიერ საჭორაო თემად იქცა. სცადეს, გემისთვის აფრების დაშვების სიგნალი მიეწოდებინათ მოახლოებული საფრთხის გამო. იგი დაღამებამდე მოჩანდა ფუჭად აფრიალებული იალქნებით. გემი ნაზად ირწეოდა ზღვის ტალღებზე.

ათი საათისათვის უკვე სრული შტილი დამყარდა და ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ გარკვევით ისმოდა ცხვრების ბღავილი მინდორში და ძაღლების ყეფა ქალაქად, ხოლო კაშხალზე განლაგებულ ბრბოს თავისი მხიარული სიმღერებით ერთგვარი დისონანსი

შეჰქონდა ბუნების მდუმარე ჰარმონიაში. შუაღამის შემდეგ ზღვის მხრიდან რაღაც უცნაური ხმა გაისმა.

შემდეგ ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ამოვარდა ქარიშხალი. ჯერ დაუჯერებელი, ხოლო შემდეგ უკვე შეუძლებელი სისწრაფით იცვალა ბუნებამ სახე. ტალღები სულ უფრო მეტი გაშმაგებით დგებოდნენ ყალყზე, ამასთან ყოველი მათგანი თავის წინამორბედს აღემატებოდა, ვიდრე საბოლოოდ, სულ რაღაც რამდენიმე წუთში, ზღვა, რომელიც ახლახან სარკესავით გლუვი იყო, გაშმაგებულ და ყველაფრის შთანმთქმელ ურჩხულს არ დაემსგავსა. თეთრი ქოჩრებით მორთული ზვირთები გაშმაგებით ეხეთქებოდნენ ქვიშიან ნაპირსა და ციცაბო კლდეებს, ზოგიერთი ჯებირებზეც გადადიოდა და თავიანთი ქაფით შუქურას ლამპიონებს რეცხავდა, რომლებიც უაითბის ნავსადგურის ყოველი პირსის ბოლოში იდგა. ქარი მეხივით ქუხდა და ისეთი ძალით უბერავდა, რომ ძლიერ ადამიანსაც უჭირდა თავის შემაგრება და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რკინის მოაჯირს ჩაეჭიდებოდა. ნავსადგური მთლიანად დაცალეს მაყურებელთა ბრბოსგან, თორემ უარესის ხილვა გახდებოდა შესაძლებელი. ყველა ამ სირთულესა და საშიშროებასთან ერთად, ზღვიდან ნაპირისკენ ნისლი - მოჩვენებებივით მოფარფატე თეთრი ნესტიანი ღრუბლები დაიძრა, ისეთი მკრთალი, სველი და ცივი, რომ სრულიად მწირი ფანტაზიაც კი საკმარისი იყო იმის წარმოსადგენად, რომ ეს ზღვაში დაღუპულთა სულები ეხვეოდნენ თავიანთ ცოცხალ ძმებს სიკვდილის მტკიცე ხელებით. დროდადრო ნისლი იფანტებოდა და მცირე მანძილიდან მოჩანდა ზღვა, ელვისაგან თვალისმომჭრელად გაკაშკაშებული, რაც ერთმანეთს ენაცვლებოდა და ჭექა-ქუხილის ისეთი მოულოდნელი გრგვინვა ახლდა, რომ თითქოს მთელი ზეცა ცახცახებდა შტორმისაგან. ამ მოვლენათაგან ზოგიერთი თავისებურად მიმზიდველი იყო, ხოლო ზღვა - განსაცვიფრებლად საინტერე-

სო; აქა-იქ გაშმაგებით დაეხეტებოდა, რაღაც ძონძებით - რაც იალ-ქნისგან დარჩენილიყო, - მეთევზეთა ნავი თავშესაფრის ძიებაში. აღმოსავლეთ კლდის მწვერვალზე უკვე გაემზადებინათ ახალი პროჟექტორი, მაგრამ მისი გამოყენება მაინც ვერა და ვერ მოეხერ-ხებინათ. მაგრამ ოფიცრებმა, რომლებსაც პროჟექტორი ჰქონდათ ჩაბარებული, ახლა შეძლეს მისი ამოქმედება და სხივებით ანათებ-დნენ ზღვის ზედაპირს. მათ გარჯას ფუჭად არ ჩაუვლია. ნახევრად ჩაძირული მეთევზეთა ნავი ჯიუტად მიიწევდა ნავსადგურისკენ და მხოლოდ პროჟექტორის მაშველი შუქის წყალობით აიცილა თავი-დან მეჩეჩებზე დამსხვრევა. ყოველთვის, როდესაც რომელიმე ნავი ნავსადგურში სამშვიდობოს აღმოჩნდებოდა, ნაპირზე მყოფი ბრბო სიხარულით გუგუნებდა. საზეიმო შეძახილები წამით კვეთდა ქარიშ-ხლის ღრიალს და მასთან ერთად ინთქმებოდა. მალე პროჟექტორ-მა შორს მყოფი აფრებგაშლილი ხომალდი გაანათა, სწორედ ის შხუნა, რომელიც უფრო ადრე, ჯერ კიდევ საღამოს იქნა შემჩნეული. ამ დროისმანძილზე ქარს იგი აღმოსავლეთით მიეტრიალებინა. კლდეზე მდგომ ადამიანებს ჟრუანტელმა დაუარა, როდესაც იმ სა-შინელ საფრთხეს ჩასწვდნენ, რაშიც ახლა გემი აღმოჩნდა. ხომალ-დსა და პორტს შორის დიდიბრტყელი რიფი მდებარეობდა, რომლის გამოც უამრავი გემი იყო დაზიანებული. ქარის პირობებში კი, რომე-ლიც უჩვეულო ძალით ქროდა, გემს ნავსადგურში შესვლის არავი-თარი შესაძლებლობა აღარ რჩებოდა. მოქცევა პიკს აღწევდა, ტალ-ღები უკვე ისეთ სიმაღლეზე ადიოდნენ, რომ თოლიები ზუსტად მათ თავზე დაფრინავდნენ, და ამ დროს გემი გაშლილი აფრებით, დაუჯე-რებელი სისწრაფით მოქროდა. შემდეგ კიდევ უფრო სქელი და მკვრივი ნისლი ჩამოწვა. პროჟექტორის სხივები ახლა ნავსადგუ-რის შესასვლელისკენ, აღმოსავლეთი ჯებირის მხარეს მიემართათ, იქითკენ, სადაც კატასტროფა იყო მოსალოდნელი. ბრბო სულგანა-ბული იცდიდა. ქარმა უეცრად ჩრდილო-აღმოსავლეთით დაუბერა

და ნისლის ნარჩენები გაფანტა. და მაშინ – MIRABILE DICTU - ჯე-ბირებს შორის უცნაური გემი გამოჩნდა და ტალღებზე რწევითა და თავბრუდამხვევი სისწრაფით აფრებგაშლილი შევიდა ნავსადგურ-ში. პროჟექტორმა მკვეთრად გაანათა იგი და მაშინ ამ მოვლენის ყველა მომსწრე ერთიანად აცახცახდა, რადგან აღმოჩნდა, რომ სა-ჭესთან ვიღაცის ცხედარი იყო მიბმული, რომელსაც აქეთ-იქით უვარდებოდა თავი გემის ყოველ გადახრაზე. გემბანზე სხვა არავინ ჩანდა. ყველა შიშმა აიტანა, რადგანაც აღმოჩნდა, რომ გემი ნავსად-გურში მართლაც სასწაულებრივად მოხვდა, მკვდრის ხელით მარ-თული. ამ ყველაფერს გაცილებით ნაკლები დრო დასჭირდა, ვიდრე ამ სტრიქონის დაწერაა შესაძლებელი. ხომალდი ნავსადგურში შე-იჭრა და ქვიშისა და ხრეშის მასაში ჩაეფლო, რაც უამრავ მოქცევასა და შტორმს დაეგროვებინა, - კაშხლის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხა-რეს, რომელიც აღმოსავლეთ კლდის ქვეშ მდებარეობდა. ეს ადგი-ლი აქ „თეთ ჰილ პირის“ სახელითაა ცნობილი.

რა თქმა უნდა, როდესაც გემი ქვიშის გროვაზე გაირიყა, ამან დი-დი აურზაური გამოიწვია. ყველა ანძა და ძელი განადგურდა და ჭა-ხანით დაიმსხვრა, მაგრამ ყველაზე უცნაური იყო ის, რომ როგორც კი გემი ნაპირს შეეხო, გემბანზე უზარმაზარი ძაღლი გამოვარდა, აქეთ-იქით მიაწყდა და ნაპირზე გადმოხტა, მერე ციცაბო კლდისა-კენ გაემართა, რომელზეც სასაფლაო მდებარეობს და წყვდიადში გაუჩინარდა.

ისე მოხდა, რომ ამ დროს თეთ ჰილ პირზე არავინ იყო, რადგან ყველას, ვისი სახლიც მეზობლად მდებარეობდა, ან უკვე ეძინა, ან კლდეებზე იმყოფებოდა. ამგვარად, სანაპირო გუშაგი, რომელიც ამ დროს ნავსადგურის აღმოსავლეთ მხარეს იყო და მაშინვე დაეშვა მცირე კაშხლისაკენ, პირველი აძვრა ბორტზე. მან გემის კიჩოსთან

მიირბინა, დაიხარა და საჭეს მოავლო თვალი, მაგრამ მაშინვე შეცბუნებულმა დაიხია უკან. ამან საყოველთაო ინტერესი გამოიწვია და ხალხის მთელი მასა მიაწყდა იქითკენ. დასავლეთი კლდიდან თეთ ჰილ პირამდე საკმაო მანძილია, მაგრამ თქვენი კორესპონდენტი საკმაოდ სწრაფად დარბის და ამიტომ თავის თანამგზავრებზე ადრე მიირბინა. მიუხედავად ამისა, როცა იქ მივედი, კაშხალზე უკვე მთელი ბრბო შეკრებილიყო, რადგან პოლიცია ბორტზე ასვლის ნებას არავის აძლევდა. სანაპირო გუშაგის თავაზიანობის წყალობით, მე, როგორც კორესპონდენტს და კიდევ მცირე ჯგუფს, რომელსაც უკვე ნანახი ჰყავდა ბორბალზე მიბმული მკვდარი მეზღვაური, გემბანზე ასვლის ნება დაგვრთეს.

არაფერია საოცარი იმაში, რომ სანაპირო გუშაგი განცვიფრებული და შეშინებულიც კი იყო, რადგან ასეთი სცენები მეტად იშვიათია. ადამიანი ხელებით იყო მიბმული საჭის ბორბალზე, ამასთან ხელები ერთმანეთზე ჰქონდა შებორკილი. ხელებსა და ბორბალს შორის ჯვარი ჩაემაგრებინათ, ხოლო კრიალოსანი, რომლითაც ეს ჯვარი იყო დამაგრებული, ხელის მტევნებისა და ბორბლის გარშემო შემოეხვიათ და ეს ყველაფერი თოკით შეეკრათ. ალბათ, გემის რხევამ გამოიწვია ის, რომ თოკები, რომლითაც ეს საბრალო იყო მიბმული, ძვლებამდე ჩაესო ხორცში. ყველაფრის შესახებ ზუსტი ჩანაწერები გაკეთდა და ექიმმა, სერ ჯ. მ. კაფინმა, რომელიც ჩემ კვალდაკვალ გამოცხადდა, ხანმოკლე დათვალიერების შემდეგ განაცხადა, ეს ადამიანი, უკიდურეს შემთხვევაში, უკვე ორი დღის გარდაცვლილიაო. ჯიბეში მას ცარიელი, მჭიდროდ თავდაცობილი ბოთლი ჰქონდა, რომელშიც ქაღალდის გრაგნილი აღმოჩნდა. როგორც გაირკვა, გრაგნილი გემის ჟურნალის დანამატი იყო. სანაპირო გუშაგის აზრით, მეზღვაურმა, ალბათ, თვითონ შეიკრა ხელები. შემდეგ

განსვენებული შტურმანი მოკრძალებით გადმოასვენეს იმ ადგილიდან, სადაც თავის უკანასკნელ ვახტზე იდგა, და ახლა, გარდაცვლილთა სიაში შეტანილი, ძიებას ელოდება.

უეცრად ამოვარდნილი შტორმი უკვე ცხრება, მისი მძვინვარება იკლებს, ღრუბლები იფანტება, და ცა უკვე მეწამულ ელფერს იღებს იორქშირის მინდვრების თავზე. მომავალი ნომრისთვის შემდგომ დეტალებს გამოგიგზავნით მიტოვებული ხომალდის შესახებ, რომელმაც ასე საოცრად გაიკვალა გზა ქარიშხალში ნავსადგურისაკენ უაითბი.

9 აგვისტო.

ვითარება, რაც შტორმში გემის გუშინდელი უცნაური გამოჩენის შემდეგ გაირკვა, კიდევ უფრო საშინელია, ვიდრე თავად ფაქტი. იგი აღმოჩნდა რუსული აფრიანი ხომალდი „დიმიტრი“, ვარნიდან. გემის ტვირთს თითქმის მთლიანად ვერცხლისფერი ქვიშა შეადგენს, გარდა ამისა, შედარებით მცირე რაოდენობით, ხის დიდი ყუთები, რომლებიც შავი მიწითაა სავსე. ეს ტვირთი განკუთვნილი იყო ადვოკატ ს. ფ. ბილინგთონ-ქრესინისათვის უაითბიში,რომელიც დღეს დილით გამოცხადდა გემზე და ოფიციალურად ჩაიბარა მისთვის განკუთვნილი ბარგი. რუსეთის კონსულმა მოვალეობის თანახმად ხომალდი თავის საკუთრებად გააფორმა და ყველა საპორტო ხარჯი დაფარა. აქ ბევრს საუბრობენ ძაღლის შესახებ, რომელიც მაშინვე ხმელეთზე გადახტა, როგორც კი გემი ნაპირს მიადგა. მას ვერსად მიაგნეს, შესაძლოა, შეშინებულმა ჭაობებს მიაშურა, სადაც ჯერ კიდევ იმალება.

დღეს, ადრიანად, ნახშირით მოვაჭრის ვეება ნაგაზი მკვდარი იპოვეს თეთ ჰილ პირთან ახლოს, გზაზე, თავისი პატრონის ეზოსთან. იგი, როგორც ჩანს, მძვინვარე მეტოქეს წაეჩხუბა, რადგანაც ყელი ჰქონდა გამოღადრული, ხოლო მუცელი - გაფატრული, როგორც ჩანდა, უზარმაზარი ბრჭყალებით.

მოგვიანებით.

ვაჭრობის სამინისტროს ინსპექტორის დახმარებით მე ნება დამრთეს დამეთვალიერებინა „დიმიტრის“ საბორტო ჟურნალი, რომელიც უკანასკნელ სამ დღემდე სრულ წესრიგში გახლდათ, თუმცა მასში განსაკუთრებული არაფერი აღმოჩნდა, გარდა ადამიანთა გაუჩინარების ფაქტისა. გაცილებით დიდ ინტერესს იწვევს ბოთლში ნაპოვნი ქაღალდი, რაც დღეს გამოსაკვლევად წაიღეს; ორივე დოკუმენტის შეჯერებით მივედი დასკვნამდე, რომ ჩემთვის შეუძლებელია ამ საიდუმლოს ამოხსნა. ვინაიდან რაიმეს დაფარვის არავითარი მიზეზი არ არსებობდა, მე ამ დოკუმენტების გამოყენების ნება დამრთეს, ასე რომ, გიგზავნით მათ ასლებს.

როგორც ჩანს, ზღვაში გასვლის წინ კაპიტანს რაღაც იდეა ჰქონდა აკვიატებული, რაც მთელი მოგზაურობის განმავლობაში მწვავდებოდა. მე ვწერ რუსეთის კონსულის მდივნის კარნახით, რომელიც იმდენად თავაზიანი აღმოჩნდა, რომ თარგმნა ჟურნალის ჩანაწერები.

ხომალდ „დიმიტრის“ ჟურნალი

ვარნა-უაითბი

ჩაწერილია 18 ივლისს.

ისეთი უცნაურობები ხდება, რომ მე ამიერიდან აკურატულად ჩავიწერ ყველაფერს, სანამ დანიშნულების ადგილამდე მივალთ.

6 ივნისი.

დავამთავრეთ ტვირთის მიღება - ვერცხლისფერი ქვიშისა და მიწით სავსე ყუთების. შუადღეს აფრები გავშალეთ. ცივი აღმოსავლეთის ქარი ქრის, ეკიპაჟს შეადგენს ხუთი მეზღვაური, ორი თანაშემწე, მზარეული და მე.

11 ივლისი.

ნისლი. ბოსფორში შევედით. ბორტზე მივიღეთ თურქული საბაჟოს ოფიცრები. ძღვენი. ყველაფერი რიგზეა. გავედით დღის ოთხ საათზე.

13 ივლისი.

გავიარეთ მატაპანის კონცხი. ეკიპაჟი რაღაცით უკმაყოფილოა. შეშინებულიც ჩანდა, თუმცა არ მოისურვა, ეთქვა, რა ხდებოდა.

14 ივლისი.

ეკიპაჟს რაღაც ცუდი შეემთხვა. ყველა კარგი ჯეელია, ჩემთან ერთად ადრეც დაცურავდნენ. თანაშემწემ ვერაფრით მოახერხა, გაეგო, რა მოხდა, მას მხოლოდ ის უთხრეს, რომ რაღაც შეემთხვათ, და პირჯვარი გადაიწერეს.

16 ივლისი.

მეზღვაურმა შემატყობინა, რომ დილით ერთი მატროსი - პეტროვსკი დაიკარგა. ამას ვერ წარმოვიდგენდი. ხომალდზე გუშინ რვა გუშაგი შეიცვალა. პეტროვსკი აბრამოვმა შეცვალა. ხალხი ძალიან დათრგუნვილია. თანაშემწე მათ უხეშად ექცევა, მოსალოდნელია უსიამოვნებები.

17 ივლისი.

გუშინ ერთი მეზღვაური, ოლგარენი, ჩემთან კაიუტაში შემოვიდა და შეშინებული სახით მითხრა, რომ, მისი აზრით, გემზე ვიღაც უცხო ადამიანი იმყოფება. მან თქვა, როცა საგუშაგოზე ვიდექი, მცირე ხნით კაიუტას შევაფარე თავი, რადგან ძალზე ცუდი ამინდი იყო და ძლიერი წვიმა ასხამდაო. და უცებ დავინახე, რომ მაღალი ფერმკრთალი კაცი, რომელიც ეკიპაჟის წევრებიდან არავის ჰგავდა, გამოვიდა გემბანზე, გაიარ-გამოიარა და შემდეგ სადღაც გაქრაო. ოლგარენი ფრთხილად გაჰყოლია უკან, გემის ბორტამდე მისულა, მაგრამ ვერავინ აღმოუჩენია, ყველა ლუქი დაკეტილი ყოფილა. იგი პანიკურმა ცრუმორმუნეობრივმა შიშმა აიტანა და მე ვშიშობ, რომ პანიკა გავრცელდება. მის აღმოსაფხვრელად, ვბრძანებ, ხვალ მთელი გემი კარგად გაჩხრიკონ, ცხვირიდან კიჩომდე.

ოდნავ მოგვიანებთ მთელი ეკიპაჟი შევკრიბე და ვუთხარი, რომ რადგანაც ეჭვია, თითქოს ხომალდზე უცნობი ადამიანი იმყოფება, მთელ გემზე - ცხვირიდან კიჩომდე ჩხრეკას ჩავატარებთ. პირველი თანაშემწე განაწყენდა, მომახალა, ეს უგუნურებაა და ასეთი გიჟური იდეების ატაცება ხალხის დემორალიზებას გამოიწვევსო; თან დასძინა, ამათ ყოველგვარი შიშისაგან ერთი საშუალებით გავათავისუფლებო, მაგრამ მე ვუბრძანე საჭესთან დამდგარიყო, სხვები კი

საფუძვლიან ჩხრეკას შეუდგნენ; ყველანი ერთმანეთის გვერდიგვერდ დააბიჯებდნენ, ფარნებით ხელში; არც ერთი კუთხე-კუნჭული არ გამოგვიტოვებია. რადგანაც ტრიუმში მხოლოდ ხის ყუთები ეწყო, იქ საეჭვოც არაფერი აღმოჩნდა, რომ ვინმე დამალულიყო. ჩხრეკის შემდეგ ხალხი დაწყნარდა და ისევ მშვიდად შეუდგა მუშაობას. პირველი თანაშემწე იღუშებოდა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

24 ივლისი.

გემს თითქოს რაღაც ავი ბედისწერა დაჰყვება. ჩვენს ეკიპაჟს ისედაც ერთი ადამიანი გამოაკლდა. ბისკაის უბეში უნდა შევიდეთ, საშინელი ამინდია მოსალოდნელი, ხოლო გუშინ კიდევ ერთი ადამიანი გაქრა. ისევე, როგორცპირველი, ისიც მორიგეობისას გაუჩინარდა და აღარავის უნახავს. ხალხი ისევ პანიკაშია. ყველა გამოვკითხე, ხომ არ აჯობებს, საგუშაგო გავალძიეროთ-მეთქი, რადგან მარტო დარჩენის ეშინიათ. თანაშემწე ისევ უარზეა.

ვშიშობ, რომ უსიამოვნება არ აგვცდება: ან ის, ან სხვები რაღაც ცუდს ჩაიდენენ.

28 ივლისი.

ოთხი ჯოჯოხეთური დღე: გამუდმებით რაღაც მორევში ვტრიალებთ; ქარიშხალი არ ცხრება. ძილისთვისაც კი ვერ ვიცლით. ხალხს ძალა გამოელია. აღარ ვიცი, ვინ დავაყენო საგუშაგოზე, ყველას ქანცი აქვს გაწყვეტილი. მეორე თანაშემწე საჭესთან დადგა და ბიჭებს საშუალება მისცა, ნახევარი საათით მაინც გამოეძინათ. ქარიცხრება, ტალღები ისევ ბობოქრობენ, მაგრამ ადრინდელთან შედარებით დაპატარავდნენ, რადგან ვგრძნობ, რომ გემი უფრო მტკიცედ ადგას გზას.

29 ივლისი.

ახალი ტრაგედია. ღამით საგუშაგოზე სულ ერთი მეზღვაური იყო, ვინაიდან ეკიპაჟი ძლიერ გადაიქანცა და ორი ადამიანის დაყენების საშუალება არ იყო. როდესაც დილის მორიგე მოვიდა შესაცვლელად, ვერავინ ნახა. ახლა მე უკვე მეორე თანაშემწის გარეშე ვარ და ეკიპაჟი ისევ პანიკაშია; თანაშემწემ და მე გადავწყვიტეთ, პისტოლეტები მუდამ დატენილი გვქონდეს, სანამ ამ საიდუმლოს გავარკვევდეთ.

30 ივლისი.

გვიხარია, რომ ინგლისს ვუახლოვდებით. მშვენიერი ამინდია, აფრები გავშალეთ. დაღლილობისგან ფეხზე ძლივს ვდგავარ. ღრმად ჩაძინებული ვიყავი, როდესაც თანაშემწემ გამაღვიძა და შემატყობინა, რომ საგუშაგოდან ორივე მეზღვაური და მესაჭე გაუჩინარებულიყვნენ. გემზე მხოლოდ ორი მატროსი, მე და თანაშემწე ვიყავით დარჩენილი.

1-ლი აგვისტო.

ორი დღეა ნისლში მივცურავთ - გზად არავინ დაგვინახავს. იმედი მქონდა, რომ ინგლისურ არხში შევძლებდი სიგნალის გაგზავნას დახმარების თაობაზე ანდა სადმე შევიდოდით. ჩვენ, მგონი, რაღაც საშინელი ბედისწერის ტყვეობაში ვართ. ყველაზე მეტად თანაშემწეა დემორალიზებული. ხალხს ეშინია, მაგრამ მაინც მოთმინებითა და მორჩილად შრომობს. ისინი ხომ რუსები არიან, თანაშემწე კი - რუმინელი.

2 აგვისტო.

ხუთწუთიანი ძილის შემდეგ ყვირილმა გამაღვიძა, რომელიც ზუსტად ჩემს კართან გაისმა. გემბანზე გავვარდი და თანაშემწესთან მივირბინე. მითხრა, მეც გავიგონე ყვირილი და მისაშველებლად გავიქეციო, მაგრამ საგუშაგოზე აღარავინ დახვედრია. კიდევ ერთი ადამიანი დაიკარგა. ღმერთო, გვიშველე!

3 აგვისტო.

შუაღამით საჭესთან ვიღაც ადამიანი შევნიშნე, მაგრამ ახლოს მისვლისას იქ არავინ აღმოჩნდა. ძლიერი ქარი ქროდა, და რადგან ქარის მიმართულებით მივდიოდით, დაძახებას აზრი არ ჰქონდა. საჭის დატოვება ვერ გავბედე და ამიტომ მხოლოდ შევძახე თანაშემწეს. რამდენიმე წუთში იგი საცვლისამარა გამოვარდა გემბანზე, საშინლად გამოიყურებოდა, მე ძალზე მაშფოთებს მისი სულიერი მდგომარეობა. იგი მომიახლოვდა და ყურში ჩამჩურჩულა, თითქოს ეშინოდა, ქარს არ გაეგონა: „ის აქ არის. ახლა ვიცი. გუშინ ღამით აქ ვნახე, მაღალი, ტანადი და ძალზე ფერმკრთალი კაცის სახე. კიჩოზე იდგა და ცას გაჰყურებდა. მასთან მივცოცდი და დანა დავარტყი, მაგრამ დანამ მასში ისე გაიარა, როგორც ჰაერში. თუმცა აქ არის, და მე ვიპოვე. შესაძლოა, ერთ-ერთ ამ ყუთშია. მათ რიგრიგობით გავხსნი, ერთმანეთის მიყოლებით და ვნახავ. თქვენ კი გემი მართეთ!“ და მრისხანე სახით დაეშვა ქვემოთ. ძლიერი ქარი ამოვარდა, ასე რომ, საჭის დატოვება არ შემეძლო. დავინახე, თანაშემწე კვლავ როგორ ამოვიდა გემბანზე ინსტრუმენტების ყუთითა და ფარნით, და როგორ ჩაეშვა წინა ლიუქში. იგი საბოლოოდ შეირყა ჭკუაზე და აღარც ღირს, მისი შეჩერება ვცადო. ამ ყუთებს ვერ გააფუჭებს; ისინი ზედნადებში „თიხადაა“ ჩაწერილი და მათი გადაადგილებაც სრულიად უსაფრთხოა.

დიდი დრო გავიდა. იმედი მომეცა, რომ თანაშემწე უფრო დამშვიდებული დაბრუნდებოდა, რადგან მესმოდა, რაღაცას როგორ აკაკუნებდა ტრიუმში, შრომა კი მისთვის სასარგებლოა, - მაგრამ უცებ საშინელი ყვირილი გაისმა, რისგანაც სისხლი ამივარდა თავში, და გემბანზე გაცოფებული შეშლილი ამოვარდა - ანთებული თვალებითა და შიშისაგან დამახინჯებული სახით: „მიშველეთ, მიშველეთ!“ - ყვიროდა იგი, შემდეგ მისი შიში სასოწარკვეთაში გადაიზარდა და მან გადამწყვეტი ტონით თქვა: „ჯობდა, თქვენც მოსულიყავით, კაპიტანო, სანამ გვიან არ არის. ის იქაა! ახლა ვიცი, საქმის არსი. ზღვა გადამარჩენს! ღმერთი შემეწიოს!“ და სანამ სიტყვის თქმას ან მისკენ ნაბიჯის გადადგმას მოვასწრებდი, რათა ხელი მეტაცა, იგი ზღვაში გადაეშვა. მგონი, ახლა მეც ვიცი, რა ხდება: ეს მან, ამ შეშლილმა გაანადგურა ხალხი ერთმანეთის მიყოლებით, ახლა კი თვითონაც მიჰყვა მათ. ღმერთო, მიშველე! რა შემიძლია ვთქვა მთელ ამ საშინელებაზე, როცა პორტში მივალ?.. ოდესმე თუ მოხდება ეს?..

4 აგვისტო.

ყველაფერი ნისლშია გახვეული, რომელშიც ამომავალი მზე ვერ აღწევს. მზის ამოსვლას მხოლოდ ინსტინქტურად ვგრძნობ, როგორც ყველა მეზღვაური. ვერ გავბედე ქვემოთ ჩასვლა - საჭე ვერ დავტოვე, ასე რომ, აქ მთელი ღამე დავრჩი - და ღამის წყვდიადში ის დავინახე!.. შემინდოსუფალმა! თანაშემწე მართალი იყო, გემიდან რომ გადახტა. ჯობს ღირსეულად მოვკვდე, როგორც ნამდვილ მამაკაცს შეშვენის და ლურჯ ზღვაში გადავეშვა. მაგრამ მე კაპიტანი ვარ და ჩემი ხომალდის დატოვების უფლება არა მაქვს. მე დავამარცხებ ამ მტერსა თუ ურჩხულს, ხელებს საჭეზე მივიბამ. როდესაც ძალა

ნელ-ნელა გამომეცლება, ხელებთან ერთად მასაც მივაბამ, რის შეხებასაც იგი ვერ გაბედავს, და ამით ჩემს სულსა და ღირსებას გადავარჩენ. სულ უფრო ვსუსტდები, ღამე კი ახლოვდება. თუ იგი კვლავ თვალებში ჩამხედავს, შესაძლოა მოქმედების ძალა აღარ შემრჩეს... თუ დავიღუპები, შესაძლოა ვინმემ ეს ბოთლი იპოვოს დამიხვდეს... თუ არა... დაე, მაშინ მთელმა მსოფლიომ გაიგოს, რომ მე ბოლომდე ერთგულად შევასრულე ჩემი მოვალეობა. შეეწიოს უფალი, წმინდა ქალწული და ყველა წმინდანი საბრალო, უმანკო სულს, რომელიც თავისი მოვალეობის აღსრულებას ცდილობდა...“

რა თქმა უნდა, სასამართლოს გადაწყვეტილება ღია დარჩა. ზუსტად ვერაფერი გაირკვა, უცნობია, ვინ ჩაიდინა ეს მკვლელობები. კაპიტანს აქ ყველა გმირად მიიჩნევს და პატივით მიაბარებენ მიწას. გადაწყვეტილია, რომ მის ცხედარს ნავების ფლოტილია გააცილებს ჯერ მდინარის ზემო წელში, შემდეგ უკან, თეთ ჰილ პირისაკენ და საბოლოოდ, სააბატოს კიბით აასვენებენ და კლდეზე მდებარე სასაფლაოზე დაკრძალავენ.

უზარმაზარი ძაღლის ვერავითარ კვალს ვერ მიაგნეს. ადგილობრივ მცხოვრებთა აზრით, ეს დიდი დაუდევრობაა ხელისუფალთა მხრიდან.

მინა მიურეის დღიური

8 აგვისტო.

ლუსი ძალზე შფოთავდა, და ამ ღამეს მეც ვერ დავიძინე. საშინელი შტორმი მძვინვარებდა და ქარის ყოველ დაბერვაზე ვცახცახებდი. ზოგჯერ ისეთი მკვეთრი ხმები ისმოდა, თითქოს სადღაც მოშო-

რებით ქვემეხებს ისროდნენ. საკმაოდ უცნაურია: ლუსის არ გაღვიძებია, მაგრამ ორჯერ ადგა და ჩაცმა დაიწყო. საბედნიეროდ, ორივეჯერ დროულად გამეღვიძა და ისევ საწოლში დავაწვინე.

დილით ადრე ავდექით და ნავსადგურისკენ გავემართეთ. იქ ძალზე ცოტა ხალხი დაგვხვდა და მიუხედავად იმისა, რომ მზე ანათებდა, ხოლო ჰაერი ძალზე სუფთა და წმინდა იყო, დიდი ტალღები, ძალზე მუქი რომ მოჩანდნენ თოვლივით თეთრ ქაფთან შედარებით, ვიწრო გასასვლელით ნავსადგურში მიძვრებოდნენ, როგორც ადამიანი, რომელიც ბრბოში მიიკვლევს გზას. ბედნიერი ვიყავი იმის გაფიქრებაზე, რომ ჯონათანი გუშინ ზღვაში კი არა, ხმელეთზე იმყოფებოდა. მაგრამ არის კი ხმელეთზე? იქნებ, ზღვაშია? სად არის და როგორ გრძნობს თავს? მასზე ძალიან ვღელავ. რომ ვიცოდე, რა უნდა ვიღონო, ყველაფერს გავაკეთებდი!

10 აგვისტო.

საბრალო კაპიტნის დაკრძალვა ძალზე ამაღელვებელი იყო. მგონი, პორტის ყველა ნავი ესწრებოდა, ხოლო კაპიტნებს მთელი გზა თეთ ჰილ პირიდან სასაფლაომდე მისი კუბო ხელით მიჰქონდათ. მე და ლუსი ადრიანად გავემართეთ ჩვენს ძველ ადგილას იმ დროს, როდესაც ნავების პროცესია მდინარეს აღმა მიუყვებოდა. აქედან ყველაფერი მშვენივრად ჩანდა, ასე რომ, მთელი პროცესიისათვის შეგვეძლო თვალყური გვედევნებინა. საბრალო კაპიტანი საფლავში ჩვენგან საკმაოდ ახლოს ჩაუშვეს. ლუსი ძალიან ღელავდა. იგი გამუდმებით შფოთავდა; ჩემი აზრით, მასზე გასული ღამის სიზმარი მოქმედებდა, თუმცა არაფრით სურდა აღიარება, რა იყო მისი მოუსვენრობის მიზეზი... ის, რომ მისტერ სველზი დღეს დილით ჩვენს სკამთან მკვდარი იპოვეს, მას კისერი ჰქონდა გადამსხვრეული - ძალზე უცნაურია. იგი, ალბათ, როგორც ექიმი ამბობდა, შიშით

გადავარდა სკამიდან გულაღმა, სახეზე საშინელება და შიში შეჰყინ-ვოდა. ამბობდნენ, მის დანახვაზე ჟრუანტელი გვივლისო. საბრა-ლო, სათნო მოხუცი! შესაძლოა, სიკვდილი დაინახა კიდეც! ლუსი ისეთი მგრძნობიარეა, რომ ყველაფერს სხვებზე გაცილებით მეტად განიცდის. ახლახან იგი ძალიან აღელდა რაღაც წვრილმანის გამო, რასაც მე ყურადღებაც არ მივაქციე, თუმცა მეც ძალიან მიყვარს ძაღ-ლები: მოვიდა ვიღაც ბატონი, რომელიც ადრეც ხშირად მოდიოდა აქ ნავით გასასეირნებლად, თავისი ძაღლის თანხლებით. ორივე ძალზე მშვიდი არსებაა: ეს ადამიანი არასდროს მინახავს გაბრაზე-ბული, არც ამ ძაღლისგან გამიგია ყეფა. კაპიტნის დაკრძალვის დროს ძაღლს არაფრით არ უნდოდა თავის პატრონთან მოსულიყო, რომელიც ჩვენთან ერთად იდგა, იგი მისგან რამდენიმე იარდში ატუზულიყო და ყმუოდა. პატრონმა ჯერ დაუყვავა, შემდეგ მკაცრად მიმართა და, ბოლოს, გაბრაზებით დაუძახა, მაგრამ ძაღლი თავისას არ იშლიდა, რაღაც აცოფებდა: თვალები ავად უელავდა, ბეწვი ყალ-ყზე დაუდგა. საბოლოოდ მისი პატრონი ძალიან გაბრაზდა, მიუახ-ლოვდა და ძაღლს წიხლი ჩასცხო, შემდეგ ქეჩოში ჩაავლო ხელი, გაათრია და საფლავის ქვას მიანარცხა, ჩვენგან სულ ახლოს. საბ-რალო ცხოველი მაშინვე გაყუჩდა და აცახცახდა. ჩაჯდა, საწყლად მოიბუზა და აკანკალდა. ისეთ საშინელ დღეში იყო, რომ ყველანაი-რად ვცდილობდი მის დამშვიდებას, მაგრამ ამაოდ. ამ სცენებმა ლუ-სი ისე ააღელვა, რომ მე ვაიძულე, ძილის წინ ხანგრძლივად გვესე-ირნა, რათა ადვილად და ღრმად ჩასძინებოდა.

თავი მერვე

მინა მიურეის დღიური

იგივე დღე.

საღამოს თერთმეტი საათია - ძალიან დავიღალე! მტკიცედ რომ არ მქონდეს გადაწყვეტილი დღიურის ყოველდღიური წარმოება, ამ ღამით არც გადავშლიდი. საოცარი ხანგრძლივი გასეირნება მოვაწყვეთ. ლუსი საშინლად დაიქანცა და ერთი სული გვქონდა, დასაძინებლად როდის დავწვებოდით. ამ დროს ახალგაზრდა ქორეპისკოპოსი მოვიდა და მისის ვესტენრმა იგი ვახშმად მიიწვია, ასე რომ, მე და ლუსის ძილთან გაავებული ბრძოლა მოგვიხდა: ეს საშინელი ბრძოლა იყო - ჩემი თავი გმირად მიმაჩნია... ლუსიმ დაიძინა და მშვიდად სუნთქავს, ლოყები ჩვეულებრივზე მეტად უღაჟღაჟებს, ძალიან ლამაზია. წარმომიდგენია, რას იტყოდა მისტერ ჰოლმვუდი, ასე რომ დაენახა. დღეს ძალიან ბედნიერი ვარ - ლუსი, როგორც ჩანს, უკეთაა. მჯერა, რომ მომჯობინდება და მშფოთვარე ღამეებიც აღარ განმეორდება. უზომოდ ბედნიერი ვიქნებოდი, ჯონათანის ამბავი რომ ვიცოდე... ღმერთმა დალოცოს და დაიფაროს!

11 აგვისტო. დილის 3 საათი.

ისევ დღიურს ჩავუჯექი. ვერ ვიძინებ და სჯობს ვწერო. ძალიან აღელვებული ვარ და ძილი არ მეკარება. რაღაც დაუჯერებელი გადაგვხდა, კოშმარი. ღამით ჩემი დღიურის დახურვაც ვერ მოვასწარი, რომ მაშინვე ჩამეძინა... უცებ გავიღვიძე და საწოლზე წამოვჯექი. შიშის საშინელმა შეგრძნებამ დამიარა - ირგვლივ რაღაც სიცარიელე ვიგრძენი. ოთახში ბნელოდა, ასე რომ, ლუსის საწოლს ვერ ვხედავდი; ფრთხილად მივეპარე და ხელით მოვსინჯე; საწოლში არავინ იწვა. ასანთი ავანთე და დავინახე, რომ ლუსი ოთახში არ იყო. კარი მიხურულია, მაგრამ ჩაკეტილი არ არის, თუმცა მე ჩავკეტე. მომერიდა, ლუსის დედა გამეღვიძებინა, რადგან ბოლო დროს

ცუდად გრძნობდა თავს, ჩავიცვი და განვიზრახე, თვითონ მომეძებნა ლუსი. სანამ ოთახიდან გავიდოდი, გადავწყვიტე ჯერ გამეგო, რა ტანსაცმლით გავიდა, რათა მის განზრახვაზე მქონოდა წარმოდგენა. თუ კაბა ეცვა - მაშინ სახლში უნდა მომეძებნა, თუ კოსტიუმი - სახლის გარეთ. კაბა და კოსტიუმი თავიანთ ადგილზე აღმოჩნდა. „მადლობა ღმერთს, - გავიფიქრე მე, - ღამის პერანგით შორს ვერ წავიდოდა“. კიბეზე დავეშვი და სასტუმრო ოთახი დავათვალიერე - იქ არ იყო. მაშინ დანარჩენ ოთახებში დავიწყე მისი ძებნა, შიში თანდათან მიძლიერდებოდა. ასე მივედი შემოსასვლელ კარამდე... ღია აღმოჩნდა, ოდნავ იყო გაღებული. ჩვეულებრივ, მოახლე ღამით გულდასმით კეტავს ამ კარს და შემეშინდა, ლუსი ქუჩაში არ იყოს-მეთქი გასული. მაგრამ ფიქრის დრო არ იყო, მით უფრო, რომ შიში ყოველგვარი განსჯის უნარს მაკარგვინებდა. დიდი, მძიმე შალი მოვიხვიე და გარეთ გავედი. საათმა ღამის პირველი ჩამოკრა, როცა ქრესშენდი გადავკვეთე. ადამიანის ჭაჭანება არ იყო. ჩრდილოეთ ტერასას ჩავუარე, მაგრამ თეთრი ფიგურა, რომელსაც ვეძებდი, ვერ ვიპოვე. დასავლეთ კლდის ჯებირიდან აღმოსავლეთ კლდეს გავხედე, ჩვენს საყვარელ ადგილზე ლუსის დანახვის იმედს შიში ენაცვლებოდა. ბადრი მთვარე მკვეთრად ანათებდა არემარეს, ხოლო მისი გარემომცველი ღრუბლებისგან ზღვაზე სინათლე და ჩრდილები ცვლიდა ერთმანეთს. ერთხანს ვერაფერს ვხედავდი, რადგან წმინდა მარიამის ეკლესია და მთელი მისი შემოგარენი ჩაბნელებულიყო. შემდეგ, როცა ღრუბლები გაიფანტა, პირველ ყოვლისა საბატოს ნანგრევები დავინახე; ხოლო როდესაც სინათლის ვიწრო ზოლი კიდევ უფრო გაგრძელდა, ეკლესია და სასაფლაო გაანათა. ჩემი ვარაუდი გამართლდა: მთვარემ ნათელი მოჰფინა თოვლივით თეთრ ფიგურას, რომელიც ჩვენს საყვარელ სკამზე იჯდა. მაგრამ აქ ახალმა ღრუბელმა დააბნელა ყველაფერი და სხვა ვეღარაფერი დავინახე. მხოლოდ მომეჩვენა, რომ სკამის უკან, რომელზეც თეთრი ფიგურა იჯდა, რა-

ღაც შავი ლანდი აღმართულიყო, ოდნავ მისკენ დახრილი. ვერ გავარკვიე, ადამიანი იყო ეს თუ ცხოველი, მაგრამ აღარ დაველოდე, კიდევ როდის განათდებოდა არემარე და ხიდისაკენ გავიქეცი - ერთადერთი გზისკენ, რომელიც აღმოსავლეთ კლდესთან მიმიყვანდა. ქალაქი თითქოს სრულიად დაცლილიყო. ეს ძალიან მიხაროდა, რადგან არ მინდოდა, რომ ვინმე ლუსის საშინელი მდგომარეობის მოწმე გამხდარიყო. დრო და მანძილი თითქოს უსასრულოდ იწელებოდა, მუხლები მეკეცებოდა და სულშეხუთული მივიწევდი სააბატოსკენ მიმავალ საფეხურებზე. ალბათ, ძალიან სწრაფად მივდიოდი, რადგან ახლაც ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ფეხებში ტყვია ჩამასხეს და სახსრები გამიშეშდა. როდესაც ბოლო საფეხურს მივაღწიე, უკვე შემეძლო გამერჩია სკამი და თეთრი ფიგურა, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ბნელოდა. როგორც აღმოჩნდა, მე არ შევმცდარვარ - რაღაც გრძელი, შავი ლანდი დახრილიყო მობუზულ თეთრ ფიგურასთან. შეშინებულმა დავიყვირე „ლუსი! ლუსი!“, ლანდმა თავი ასწია და მე აშკარად გავარჩიე ფერმკრთალი სახე წითელი მოელვარე თვალებით. ლუსი არ მპასუხობდა და მე სასაფლაოს ჭიშკრისაკენ გავიქეცი. როცა შევედი, ეკლესია ჩემსა და სკამს შორის აღმოჩნდა, ასე რომ, წამით ლუსი მხედველობიდან დავკარგე. როდესაც ეკლესიას გავცდი, ღრუბლებისგან განთავისუფლებული მთვარე ისე მკვეთრად ანათებდა, რომ აშკარად დავინახე ლუსი, რომელსაც სკამის საზურგეზე გადაეგდო თავი. ახლა იგი სრულიად მარტო იყო. მის გვერდით ცოცხალი არსების ნიშანწყალიც არსად ჩანდა.

როცა მისკენ გავიხედე, დავინახე, რომ ისევ ეძინა. პირი ნახევრად ღია დარჩენოდა, მაგრამ თანაბრად კი არ სუნთქავდა, როგორც ყოველთვის,არამედ რაღაც მძიმედ, თითქოს ჰაერს ეჭიდებოდა. როდესაც მივუახლოვდი, მან გაუცნობიერებლად ასწია ხელი და თა-

ვისი ღამის პერანგის საყელო გაფხრიწა, რომელიც ყელს უფარავდა, ამ დროს შეკრთა, თითქოს სიცივე იგრძნო. მე ჩემი თბილი შალი მოვახვიე, რადგან მეშინოდა, არ გაცივებულიყო. მის უცებ გაღვიძებას მოვერიდე და ხელები რომ თავისუფალი მქონოდა, შალი კისერთან ინგლისური ქინძისთავით დავუმაგრე. მაგრამ, სიჩქარეში, როგორც ჩანს, გაუფრთხილებლად წამოვედე და ქინძისთავით კანი გავუფხაჭნე, რადგან მას შემდეგ, რაც თავისუფლად დაიწყო სუნთქვა, გამუდმებით ყელზე იდებდა ხელს და კვნესოდა. როდესაც კარგად შემოვახვიე, ფრთხილად დავიწყე მისი გაღვიძება. თავიდან რეაქცია არ ჰქონია, შემდეგ მძინარე აფორიაქდა, ოხრავდა და ქოშინებდა. საბოლოოდ, ენერგიულად შევუდექი მის გაღვიძებას. მან თვალები გაახილა და გამოფხიზლდა. ლუსის ჩემი დანახვა სულაც არ გაჰკვირვებია, მაშინვე ვერ მიხვდა, სად იმყოფებოდა. როცა ვუთხარი, ახლავე სახლში უნდა წამოხვიდე-მეთქი, მყისვე ადგა და პატარა ბავშვივით მორჩილად წამომყვა.

ძალიან გაგვიმართლა - შინ ისე მივედით, რომ გზაზე არავინ შეგვხვედრია. გული ისე მიცემდა, მეგონა გრძნობას ვკარგავდი. ლუსიმ ძალიან შემაშინა, მაშფოთებდა არა მარტო მისი ჯანმრთელობა, რომელიც ამ ღამის შემდეგ შეიძლებოდა გაუარესებულიყო, არამედ მისი რეპუტაციაც, თუკი ეს ისტორია გახმაურდებოდა. როდესაც საბოლოოდ შინ მივედით, პირველ რიგში მუხლი მოვიყარეთ და უფალს ჩვენი გადარჩენისთვის მადლობა შევწირეთ, შემდეგ ლუსი საწოლში ჩავაწვინე. სანამ დაიძინებდა, მან ძალიან მთხოვა და დამაფიცა, არავისთვის, დედამისისთვისაც კი არაფერი მეთქვა ამ თავგადასავლის შესახებ. ჯერ ვყოყმანობდი, პირობა მიმეცა თუ არა, მაგრამ როცა ლუსის დედის ჯანმრთელობის მდგომარეობა გამახსენდა, მივხვდი, რომ ამით საბრალო ქალი ძლიერ შეშინდებოდა და გა-

დავწყვიტე, სიტყვაც არ დამეძრა. იმედი მაქვს, სწორი არჩევანი გავაკეთე. კარი გასაღებით ჩავკეტე და გასაღები ხელზე მივიმაგრე, ასე რომ, ახლა, წესით, მშვიდად უნდა ვიყო.

იგივე დღე. შუადღით.

ყველაფერი კარგადაა. ლუსის ეძინა, სანამ მე არ გავაღვიძე. ძალიან ვწუხვარ, რომ ფაქიზად ვერ მოვიქეცი და ინგლისური ქინძისთავით კანი გავუჭერი. როგორც ჩანს, არც ისე უმნიშვნელო ჭრილობა მივაყენე, რადგან კანი კისერზე გაჭრილი აღმოჩნდა. ალბათ, შეკვრის დროს გავუხვრიტე, - ყელზე ორი მცირე ნახვრეტი აქვს, ნემსის ნაჩხვლეტივით, გარდა ამისა, ღამის პერანგსაც სისხლის წვეთები აჩნდა. როდესაც ამით შეშინებულმა ბოდიში მოვუხადე, მან გაიცინა და მომეფერა, მითხრა, არაფერი გამიგიაო. საბედნიეროდ, ეს განაკაწრი ნაიარევს არ დაუტოვებს, რადგან ძალზე უმნიშვნელოა.

12 აგვისტო.

ჩემი ვარაუდი მშვიდი ღამის თაობაზე არ გამართლდა, რადგან ღამით ორჯერ გამეღვიძა იმის გამო, რომ ლუსი წასვლას ცდილობდა. იგი ძილშიც კი აღშფოთებული ჩანდა იმით, რომ კარი ჩაკეტილი იყო და ძალზე უკმაყოფილო დაუბრუნდა ლოგინს. ალიონზე გამეღვიძა და ფანჯარასთან ჩიტების ჭიკჭიკი მომესმა. ლუსიმაც გაიღვიძა. მესიამოვნა, რომ თავს უკეთ გრძნობდა, ვიდრე წინა დილით. მას ისევ დაუბრუნდა მთელი თავისი ლაღი მხიარულება, ჩამეხუტა და ართურის შესახებ ყველაფერი მიამბო. მეც გავუზიარე მთელი ჩემი შეშფოთება ჯონათანთან დაკაშვირებით და იგი ჩემს დამშვიდებას შეეცადა.

13 აგვისტო.

ისევ მშვიდი დღე და ისევ ძილი ხელზე მიბმული გასაღებით. ღამით კვლავ გამეღვიძა და ლუსი ლოგინზე წამომჯდარი დავინახე, რომელიც ფანჯარას მიშტერებოდა, თუმცა ამ დროს ღრმა ძილში იყო. ავდექი, ფარდა გადავწიე და ფანჯარაში გადავიხედე. მთვარე მკვეთრად ანათებდა, მის სხივებში ზეცა და ზღვა თითქოს ერთიან, დიდ საიდუმლოდ შერწყმული, საოცრად ლამაზი იყო. ფანჯარასთან დიდი ღამურა დაფარფატებდა. მთვარის შუქით განათებული ხან გამოჩნდებოდა, ხან ისევ ქრებოდა. ერთხელ ფანჯარას ძალიან მოუახლოვდა, მაგრამ შემდეგ, ალბათ, ჩემს დანახვაზე დაფრთხა და საბატოსკენ გაფრინდა. როდესაც ფანჯარას მოვცილდი, ლუსი უკვე მშვიდად იწვა და ეძინა. იგი მთელი ღამის მანძილზე აღარ წამომდგარა.

14 აგვისტო.

მთელი დღე აღმოსავლეთ კლდეზე ვიჯექი და ვწერდი. ლუსის, ეტყობა, ჩემსავით შეუყვარდა ეს ადგილი. მას ძნელად თუ მოსწყვეტ აქაურობას სასაუზმოდ, ჩაის დასალევად ან სადილობისთვის. დღეს ძალზე უცნაური რამ აღმოაჩინა: სასადილოდ შინ ვბრუნდებოდით და სანამ კიბეზე დავეშვებოდით, შევჩერდით, რათა, როგორც ყოველთვის, მშვენიერი ხედით დავმტკბარიყავით. ჩამავლი მზის სხივები ანათებდა აღმოსავლეთ კლდესა და ძველ სააბატოს. ირგვლივ თითქოს ყველაფერი შესანიშნავ მეწამულ ელფერში ცურავდა. უხმოდ ვიდექით და ვტკბებოდით, როცა ლუსიმ უეცრად დაიჩურჩულა:

- კვლავ მისი წითელი თვალები, ისინი ყოველთვის ასეთია.

ამ უცნაურმა სიტყვებმა, რაც უნებურად მოსწდა მის ბაგეებს, საკმაოდ შემაშინა. მას ფრთხილად შევხედე, მინდოდა, კარგად შემეთვალიერებინა, მაგრამ ისე, რომ თავად არაფერი შეენიშნა, და დავინახე, რომ იგი ძილ-ღვიძილში იმყოფებოდა სახის ძალიან უცნაური, ჩემთვის გაუგებარი გამომეტყველებით. არაფერი მითქვამს, მაგრამ მისი მზერის მიმართულებას დავაკვირდი. იგი ჩვენს საყვარელ სკამს გასცქეროდა, რომელზეც ეულადიჯდა რაღაც ბნელი ფიგურა. ცოტა არ იყოს, შევშინდი, რადგან მომეჩვენა, რომ უცნობს დიდი თვალები ჰქონდა, რომლებიც ჩირაღდნებივით ელვარებდა, მაგრამ როცა მეორედ გავხედე, ილუზია გაიფანტა. ეს უბრალოდ მზის წითელი შუქი ირეკლებოდა წმინდა მარიამის ეკლესიის ფანჯრებში. ლუსის ამაზე მივუთითე, იგი შეკრთა და გონს მოეგო, მაგრამ მიანც რაღაცაზე წუხდა, შესაძლოა, ის საშინელი ღამეული თავგადასავალი გაახსენდა. ჩვენ მას არასოდეს ვიხსენებთ, ასე რომ, ახლაც არაფერი მითქვამს და შინისაკენ გზა განვაგრძეთ. ლუსის თავი ასტკივდა და ადრიანად დაწვა დასაძინებლად. მე ცოტა გავისეირნე და ტკბილი სევდა მომეძალა, რადგან ჯონათანზე ვფიქრობდი. შინ დაბრუნებისას მთვარე ისე მკვეთრად ანათებდა, რომ ქრესშენდის უბნის წინა ნაწილის გამოკლებით, რაც ჩვენთან ახლოს იწყებოდა, ყველაფერი კარგად ჩანდა. ჩვენს ფანჯარას გავხედე და დავინახე, რომ ლუსის თავი გამოეყო. ვიფიქრე, ალბათ, მე მიყურებს-მეთქი, ცხვირსახოცი ამოვიღე და ლუსის დავუქნიე. მან ამას არავითარი ყურადღება არ მიაქცია და ოდნავაც არ განძრეულა. ამ დროს მთვარემ სახლის კუთხე გაანათა და სხივები ფანჯარას დაეფინა, მაშინ აშკარად დავინახე, რომ ლუსი რაფაზე დამჯდარიყო და თავი უკან გადაეწია, მის გვერდით კი რაღაც დიდი ფრინველისმაგვარი იჯდა. შემეშინდა, არ გაცივებულიყო და კიბე სწრაფად ავირბინე, მაგრამ როცა საძინებელში შევედი, ლუსი უკვე საწოლში იწვა და ღრმად ეძინა,

მძიმედ სუნთქავდა, ხელი ყელზე ედო, თითქოს სიცივისაგან იცავ-სო. არ გამიღვიძებია, მხოლოდ უფრო თბილად შევფუთნე და კარი და ფანჯრები კარგად ჩავკეტე.

ლუსი მშვენივრად გამოიყურებოდა, თუმცა ჩვეულებრივზე ოდ-ნავ ფერმკრთალი იყო და თვალის უპეებზე რაღაც უცნაური ლაქები ჰქონდა, რაც არ მომეწონა.

15 აგვისტო.

ჩვეულებრივზე გვიან ავდექი. ლუსი ძალიან დაღლილი იყო და მანამდე ეძინა, სანამ სადილად არ დაუძახეს. აქ ჩვენ სასიამოვნო სიურპრიზი გველოდა. ართურის მამა მომჯობინებულიყო და ქორ-წილს აჩქარებდა. ლუსი ძალზე ბედნიერია, დედამისი კი ერთდროუ-ლად მოხარულიცაა და დამწუხრებულიც. ოდნავ მოგვიანებით მან ამიხსნა ამის მიზეზი. იგი ძალიან დარდობს, რომ ლუსისთან განშო-რება მოუწევს, მაგრამ კმაყოფილია, რადგან ლუსის ყურადღებიანი ადამიანი ეყოლება გვერდით. საბრალო, საყვარელი ლედი. გამიმ-ხილა, გულის მანკი მაწუხებსო. ამის შესახებ ლუსისთვის არაფერი ჰქონია ნათქვამი და მთხოვა, რომ ეს მეც საიდუმლოდ შემენახა; ექიმის სიტყვებით, მას სულ რამდენიმე თვის სიცოცხლე დარჩენია.

17 აგვისტო.

ორი დღეა დღიური აღარ დამიწერია. ამის განწყობა არ მქონდა. რაღაც შავი აჩრდილი თითქოს გარს ეხვევა ჩვენს ბედნიერებას. ჯო-ნათანისგან არაფერი ისმის. ლუსი სულ უფრო სუსტდება, ხოლო დე-დამისის დღეები დათვლილია. ლუსის მშვენივრად სძინავს და ჯან-საღი ჰაერით ტკბება; მაგრამ, ამის მიუხედავად, მისი ლოყების სი-

წითლე სულ უფრო ფერმკრთალდება, და ის ლამის ყოველდღიურად სუსტდება და დუნდება. მესმის, ღამღამობით როგორ უჭირს სუნთქვა. კარის გასაღები ყოველღამ მე მაქვს, მაგრამ ის დგება და ოთახში დადის ან ღია ფანჯარასთან ზის. წინა ღამეს, როცა გამეღვიძა, ისევ ღია ფანჯარასთან წავასწარი და როცა მისი გაღვიძება დავაპირე, ეს ვერაფრით მოვახერხე: გრძნობა ჰქონდა დაკარგული. როდესაც საბოლოოდ აზრზე მოვიყვანე, ძალზე სუსტად გრძნობდა თავს და ჩუმად ტიროდა, ცდილობდა, სული მოეთქვა. როდესაც ვკითხე, ფანჯარასთან როგორ აღმოჩნდი-მეთქი? მან თავი გააქნია და ზურგი შემაქცია. იმედი მაქვს, რომ მისი ავადმყოფობა ქინძისთავის იმ საბედისწერო ჩხვლეტით არ არის გამოწვეული. სანამ ეძინა, მისი კისერი შევათვალიერე. აღმოჩნდა, რომ პატარა ჭრილობები ჯერ არ შეხორცებულა, ისინი ჯერ კიდევ ღიაა და თითქოს გაფართოვდა კიდეც, ხოლო კიდეებზე მკრთალი ელფერი დასდებია. ნაკაწრები პატარა თეთრ წრეებს მოგვაგონებს წითელი ცენტრებით; თუ ეს ჭრილობები რამდენიმე დღეში არ შეხორცდება, დაჟინებით მოვითხოვ, რომ ისინი ექიმმა დაათვალიეროს.

„სემუელ ფ. ბილინგთონისა და ვაჟის“ წერილი ბატონებს ქართერ პატერსონსა და კ-ს, ლონდონი.

17 აგვისტო.

პატივცემულო ბატონებო!

საქონელს, რომელიც გამოგზავნილია ჩრდილოეთის დიდი რკინიგზით, თან ერთვის ზედნადები. საქონელი მიტანილ უნდა იქნეს კარფაქსში, პურფლიტთან ახლოს, ქინგ-ქროსის სადგურზე მიღებისთანავე. სახლი ამჟამად ცარიელია, მაგრამ თქვენ გეგზავნებათ გასაღებები, ისინი დანომრილია.

გთხოვთ, ყუთები, სულ ორმოცდაათი ცალი, რაც ამ ტვირთს შეადგენს, დააწყოთ სახლის დანგრეულ ნაწილში, რაც „ა“ ასოთია აღნიშნული გეგმაზე, რომელიც ტვირთს თან ერთვის. თქვენი აგენტისათვის ძნელი არ იქნება ამ ადგილის მოძებნა, რადგანაც ეს სახლის ძველი სამლოცველოა. საქონელს დღეს გამოგზავნიან, საღამოს 9 საათსა და 30 წუთზე, და იგი ქინგ-ქროსში ხვალ, დღის 4 საათსა და 30 წუთზე უნდა იყოს. ვინაიდან ჩვენს კლიენტს სურს, რაც შეიძლება მალე მიიღოს ტვირთი, თქვენ მოგიწევთ დანიშნული დროისათვის მოამზადოთ ფორნები, რათა ყუთები დაუყოვნებლივ მიიტანოთ დანიშნულებისამებრ. გადახდებთან შესაძლო შეფერხებების თავიდან აცილების მიზნით გიგზავნით ათი გირვანქის ჩეკს, რომლის მიღების შემდეგაც გთხოვთ, გასცეთ ქვითარი. თუკი ხარჯები უფრო ნაკლები იქნება, შესაძლებელია დარჩენილი თანხის დაბრუნება, ხოლო თუ მეტი - ჩვენ დაუყოვნებლივ გამოვწერთ დახარჯული ნამეტის ჩეკს. საქმის დასრულების შემდეგ გასაღებები სახლში დატოვეთ, სადაც პატრონი მათ თვითონ აიღებს. მას შესასვლელი კარის გასაღები აქვს. გთხოვთ მოგვიტევოთ, თუკი თავაზიანობის წესებს ვარღვევთ. დაბეჯითებით გთხოვთ, დააჩქაროთ მიწოდება.

გულწრფელად თქვენი, სემუელ ფ. „ბლინგთონი და ვაჟი“.

ქართერ პატერსონისა და კ-ს წერილი, ლონდონი, „ბილინგთონსა და ვაჟს“, უაითბი.

24 აგვისტო.

ჩვენ მივიღეთ 10 გირვანქა, გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ კიდევ 1 გირვანქის, 17 შილინგისა და 9 პენსის ჩეკი, რაც თქვენგან გვეკუთ-

ვნის თანდართული ანგარიშის მიხედვით. საქონელი მიტანილია ინ-სტრუქციის თანახმად, ხოლო გასაღებების ასხმა დატოვებულია, როგორც მითითებული იყო, წინკარში.

პატივისცემით, ქართერ პატერსონისა და კ-ის სახელით (ხელმო-წერა გაურკვეველია).

მინა მიურეის დღიური

18 აგვისტო.

დღეს ბედნიერი ვარ და ისევ ვწერ, სასაფლაოზე, ჩვენს სკამზე ვზივარ. ლუსი კვლავ გაცილებით უკეთაა. წუხელ მშვენივრად ეძინა და არც ერთხელ არ შეშფოთებულა. სიწითლე თანდათან ემატება, თუმცა ჯერ კიდევ ფერმკრთალია და ცუდად გამოიყურება. სის-ხლნაკლული რომ იყოს, მისი მდგომარეობა გასაგები იქნებოდა, მაგრამ ასე ხომ არ არის. იგი ხალისიანია, მხიარული და საყვარე-ლი. ყოველგვარი ავადმყოფობა გაქრა და მან ახლახან გაიხსენა, როგორ მოვაგენი მძინარეს ამავე ადგილზე.

მე ვისარგებლე მისი ხალისიანი განწყობით და ვკითხე, ამ ყვე-ლაფერს ძილში სჩადიოდა თუ ღვიძილში. მან ნაზი, ნათელი ღიმი-ლით შემომხედა, წუთით დადუმდა და იმ ღამის მოგონებებში ჩაიძი-რა:

„მე თითქოს ბურანში ვიყავი; მეჩვენებოდა, რომ ეს ყველაფერი ცხადად ხდებოდა. რატომღაც უცებ მომინდა, აქ მოვსულიყავი, მაგ-რამ რატომ, არ ვიცი. ბუნდოვნად მახსოვს, რომ ქუჩებში დავდიოდი და ხიდი გადავიარე. როდესაც კიბით ავდიოდი, იმდენი ძაღლის ყმუ-ილი გავიგონე, რომ მომეჩვენა, თითქოს მთელი ქალაქი ძაღლებით

იყო სავსე და ყველა ერთად ყმუოდა. შემდეგ ბუნდოვნად მახსოვს რაღაც გრძელი, ბნელი, წითელთვალება. მეჩვენებოდა, თითქოს ღრმა მწვანე წყალში ვიძირებოდი და გალობა ჩამესმოდა. გამიგია, რომ ასე მოსდით ადამიანებს დახრჩობის წინ; შემდეგ ყველაფერი დატრიალდა, თითქოს ჩემმა სულმა დატოვა ჩემი სხეული და სადღაც ჰაერში გაიქროლა; მახსოვს, მეჩვენებოდა, რომ აღმოსავლეთი შუქურა ზუსტად ჩემ ქვემოთ აღმოჩნდა; მერე რაღაც მტანჯველი გრძნობა მომეძალა, თითქოს მიწა იძრა, რის შემდეგაც გამოვფხიზლდი და შენ დაგინახე. ვხედავდი, როგორ მაღვიძებდი, მანამდე, სანამ ამას შევიგრძნობდი“.

მან გაიცინა. ეს არაბუნებრივი მომეჩვენა და ყურადღებით დავაკვირდი. მისი სიცილი სულაც არ მომეწონა, გადავწყვიტე, ჯობს, ამის შესახებ აღარაფერი ვუთხრა-მეთქი და სხვა თემაზე გადავედი. ლუსი კვლავ ძველებურად გამოიყურებოდა. შინისაკენ მიმავალი საამო ნიავმა გაახალისა და ლოყები გაუწითლდა. ლუსის დედამ შვილის დანახვაზე ძალიან გაიხარა და ის საღამო მშვენივრად გავატარეთ.

19 აგვისტო.

სიხარული! სიხარული! სიხარული! საბოლოოდ, როგორც იქნა, უწყება ჯონათანის შესახებ. საბრალო ავად ყოფილა; აი, რატომ არ მწერდა. უკვე აღარ მეშინია ამაზე ფიქრის და ლაპარაკის, როცა ყველაფერი ვიცი. მისტერ ჰაუკინსმა წერილი გადმომიგზავნა და თვითონაც მიაწერა რამდენიმე ამაღელვებელი წინადადება. დღეს ჯონათანთან უნდა გავემგზავრო, დავეხმარო, თუ საჭირო იქნება, მოვუარო და შინ დავაბრუნო. მისტერ ჰაუკინსი მწერს, ურიგო არ იქნება, მალე რომ დაქორწინდეთო. ამატირა იმ სათნო მოწყალების დის წერილმა. ჩემი მოგზაურობის გეგმა უკვე შემუშავებულია და ბარგი

ჩაწყობილი. მხოლოდ ერთი ხელი ტანსაცმელი მიმაქვს; ლუსი ყველაფერ დანარჩენს ლონდონში მომიტანს და თავისთან დაიტოვებს, სანამ წასაღებად კურიერს არ გავგზავნი, რადგან, შეიძლება მოხდეს, რომ... მაგრამ მეტის დაწერა არ არის საჭირო, ყველაფერს ჯონათანს, ჩემს ქმარს ვუამბობ. მისმა წერილმა უნდა დამამშვიდოს, სანამ ერთმანეთს შევხვდებით.

დაÁ აგათას წერილი, წმინდა იოსებისა და წმინდა მარიამის საავადმყოფო, მის ვილჰელმინა მიურეის.

12 აგვისტო. ბუდაპეშტი.

მოწყალეო ქალბატონო!

გწერთ მისტერ ჯონათან ჰარკერის სურვილის თანახმად, რომელიც ჯერ კიდევ არ გამოჯანმრთელებულა ისე, რომ თვითონ წეროს, თუმცა გაცილებით უკეთაა, ღვთისა და წმ. იოსებისა და წმ. მარიამის წყალობით. იგი ჩვენთან დაახლოებით ექვსი კვირა იწვა უძლიერესი ციებ-ცხელებით. მან მთხოვა დამემშვიდებინა მისი საცოლე და გადამეცა მისთვის, ისევე როგორც მისტერ პიტერ ჰაუკინსისთვის, რომელსაც ამავე ფოსტით უგზავნის წერილს, რომ ძალზე დამწუხრებულია თავისი შეყოვნებით და რომ ყველა საქმედასრულებული აქვს. იგი მთებში განლაგებულ ჩვენს სანატორიუმში კიდევ რამდენიმე კვირას დარჩება, შემდეგკი შინ გაემგზავრება. გარდა ამისა, მან მთხოვა თქვენთვის მეცნობებინა, რომ არ ჰყოფნის თანხა ყველა ანგარიშის გასასწორებლად, რასაც ძალზე განიცდის.

უფალმა დაგლოცოთ!

გულწრფელი პატივისცემით თქვენი დაÁ აგათა.

P.S. რადგან ჩემმა პაციენტმა დაიძინა, ისევ ვხსნი ამ წერილს, რათა კიდევ რაღაც შეგატყობინოთ. მან ყველაფერი მიამბო თქვენზე, არც ის დაუმალავს, რომ მალე მისი ცოლი გახდებით. ორივე უფალმა დაგლოცოთ. მან, როგორც ჩანს, რაღაც შემაძრწუნებელი დარტყმა განიცადა - ასე ამბობს ჩვენი ექიმი - და ციებ-ცხელების შეტევის დროს ყოველგვარ საშინელებას ბოდავს: ახსენებს მგლებს, შხამს და სისხლს, მოჩვენებებსა და დემონებს და ვშიშობ კიდეც დავასახელო, კიდევ რას, გაუფრთხილდით და თვალყური ადევნეთ, რომ არაფერმა შეაშფოთოს; ასეთი დაავადების კვალი მალე არ გაქრება. ჩვენ დიდი ხნის წინ შეგვეძლო მოგვეწერა, მაგრამ არაფერი ვიცოდით მის მეგობრებზე, მისი საუბრებიდან კი ვერაფერს ვიგებდით. იგი მატარებლით ჩამოვიდა კლაუზენბურგიდან, სადგურის უფროსმა განაცხადა, რომ ის ყვიროდა და ბილეთს მოითხოვდა შინისაკენ. რადგან ინგლისელი აღმოჩნდა, მას მისცეს ბილეთი ამ რკინიგზის ბოლო სადგურამდე. შეგიძლიათ, მშვიდად ბრძანდებოდეთ, ვინაიდან მას ყურადღებას არ აკლებენ. თავისი ალერსიანობითა და ზრდილობით მან ჩვენი გულები დაიპყრო. ახლა მართლაც გაცილებით უკეთაა და ეჭვი არ მეპარება, რომ რამდენიმე კვირაში იგი სრულიად მომჯობინდება, მაგრამ მისივე გადარჩენის მიზნით მასთან ძალზე ფრთხილად იყავით. მე ვილოცებ თქვენი ხანგრძლივი ბედნიერებისათვის უფლის, წმინდა იოსებისა და წმინდა მარიამის წინაშე.

მისტერ სიუარდის დღიური

19 აგვისტო.

გუშინ საღამოს რენფილდმა უცნაური და მოულოდნელი ცვლილება განიცადა. დაახლოებით რვა საათისათვის გაღიზიანდა და

აქეთ-იქით აწყდებოდა, როგორც ძაღლი ნადირობისას. სანიტარი ამან გააოცა და რადგან იცოდა, რომ მისით დაინტერესებული ვარ, რენფილდთან გასაუბრება სცადა. ჩვეულებრივ, რენფილდი პერსონალს პატივისცემით ექცევა, ზოგჯერ ხაზგასმული მაამებლობითაც კი, მაგრამ დღეს, სანიტრის თქმით, მასთან ქედმაღლურად ეჭირა თავი. არაფრით არ სურდა საუბრის გაბმა. აი, ყველაფერი, რაც მან განაცხადა:

„მე არ მსურს თქვენთან ლაპარაკი; თქვენ ახლა ჩემთვის აღარ არსებობთ; ახლა ჩემი ბატონი გვერდითაა“.

სანიტარი ფიქრობს, რომ რენფილდი უცებ რელიგიური მანიის შეტევამ მოიცვა. საღამოს ცხრა საათზე მე თვითონ მივედი მასთან. მას მეტად უმნიშვნელო მოეჩვენა სხვაობა ჩემსა და სანიტარს შორის. ეს რელიგიურ მანიას ჰგავს, და მალე, ალბათ, თავის თავს ღმერთად წარმოიდგენს.

ნახევარი საათის ან უფრო დიდი დროის მანძილზე რენფილდი სულ უფრო ღიზიანდებოდა. ისე მოვაჩვენე თავი, თითქოს არ ვუთვალთვალებდი, მაგრამ მაინც ძალზე ყურადღებით ვაკვირდებოდი; მის თვალებში უეცრად გაჩნდა ის ცბიერი გამომეტყველება, რასაც ჩვეულებრივ, ვამჩნევთ შეშლილს, რომელიც რაღაც გარკვეული იდეითაა შეპყრობილი. შემდეგ სწრაფად დამშვიდდა, საწოლზე ჩამოჯდა და მოელვარე თვალებით ჩააშტერდა სივრცეს. გადავწყვიტე, შემემოწმებინა, აპათიურად გვაჩვენებდა თავს თუ მართლაც ასეთი იყო და იმ თემაზე ჩამოვუგდე სიტყვა, რასაც ყოველთვის ინტერესით ეხმაურებოდა. თავიდან პასუხს არ მცემდა, შემდეგ კი ზიზღით თქვა:

- ერთი მაგათიც... ისინი სულაც არ მაინტერესებს.

- რა? - ვკითხე მე. - ამით იმის თქმა ხომ არ გინდათ, რომ ობობები არ გაინტერესებთ? (ახლა ობობებია მისი გატაცება და უბის წიგნაკი ამ მწერების ნახატებით აქვს სავსე).

ამაზე ორაზროვნად მიპასუხა:

- მეჯვარე ქალები პატარძლის მომლოდინეთა თვალებს იქამდე ახარებენ თავიანთი ბრწყინვალეებით, სანამ პატარძალი გამოჩდება, პატარძლის გამოჩენის შემდეგ კი არათუ ბრწყინავენ, ბჟუტვასაც ვეღარ ახერხებენ.

მას არ სურდა თავისი სიტყვების მნიშვნელობის ახსნა და მთელი იმ დროის მანძილზე, რაც მასთან ვიყავი, მდუმარედ იჯდა თავის ლოგინზე.

ჩემს ოთახში დავბრუნდი და დასაძინებლად გავემზადე.

ორ საათზე მორიგემ გამაღვიძა - მაცნობა, რენფილდი გაიქცაო. სასწრაფოდ ჩავიცვი და მაშინვე ქვემოთ დავეშვი; ჩემი პაციენტი მეტად საშიში ადამიანია და გარეთ არ უნდა დარჩეს. მისი იდეები შესაძლოა ძალზე ცუდად აისახოს უცნობ ადამიანებზე. სანიტარმა მითხრა, სულ ათი წუთის წინ დავინახე მძინარე რენფილდიო კარის საჭვრეტიდან. შემდეგ კი გატეხილი შუშის ხმა მომესმაო. როდესაც ოთახში შევარდნილა, რენფილდი იქ აღარ დახვედრია - ფანჯრიდან გადასულა ეტყობა. მორიგე მაშინვე ჩემთან გამოგზავნეს. ავადმყოფს მხოლოდ ღამის პერანგი ეცვა და ალბათ შორს ვერ გაიქცეოდა. მორიგე ძალზე მსუქანია და ფანჯრიდან ვერ გადავიდოდა, და რადგანაც მე გამხდარი ვარ, მისი დახმარებით ადვილად გადავძვე-

რი და მიწაზე ჩავხტი, რათა ზედმეტი დრო აღარ დაგვეკარგა. სანიტარმა თვალი მოჰკრა, რომ პაციენტმა მარცხნივ გადაუხვია გზიდან და მეც, როგორც შემეძლო, მის კვალდაკვალ გავიქეცი. მალე თეთრი ფიგურა დავინახე, რომელიც მაღალ კედელზე მიცოცავდა (იგი ჩვენს სამფლობელოს მეზობლებისგან ჰყოფს). მაშინვე უკან დავბრუნდი და მორიგეს ვუბრძანე, დაუყოვნებლივ გამოიძახე ოთხისანიტარი იმ შემთხვევისათვის, თუკი ავადმყოფი აღგზნებულ მდგომარეობაში იმყოფება და გაეკიდეთ-მეთქი. კიბე ავიღე და ლტოლვილის კვალდაკვალ კედელზე გადავძვერი. რენფილდს ზუსტად მაშინ მოვკარი თვალი, როცა ის-ის იყო სახლის უკან უნდა გამქრალიყო და მას გავეკიდე. დავინახე, როგორ მიეკრო იგი ეკლესიის რკინით მოჭედილ მუხის კარებს. იგი ვიღაცას ესაუბრებოდა. მეშინოდა მასთან მიახლოება, რათა არ დამეფრთხო, თორემ შეიძლებოდა კიდევ გაქცეულიყო. ფუტკრის გუნდის დევნა არაფერია ნახევრად ტიტველი შეშლილის დევნასთან შედარებით, როცა მოუვლის. მალე დავრწმუნდი, რომ ის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა გარშემომყოფთ და ნელ-ნელა დავიწყე მასთან მიახლოება, მით უფრო, რომ ჩემმა ხალხმაც მოახერხა კედელზე გადმოძრომა და იგი ალყაში მოაქცია. მესმოდა, როგორ ამბობდა: „მე აქ ვარ, ჩემო ბატონო, რათა ვისმინო თქვენი ბრძანება. თქვენი მონა ვარ და თქვენ დამაჯილდოებთ, რადგანაც თქვენი ერთგული ვიქნები. უკვე დიდი ხანია გელით. ახლა აქ ხართ, მე ველოდები თქვენს განკარგულებებს და იმედი მაქვს, რომ არ მიმატოვებთ, ჩემო ძვირფასო ბატონო, და თქვენს სიკეთეს არ მომაკლებთ.“

ასე იყო თუ ისე, ის უბრალოდ ბებერი ხარბი მათხოვარია. პურსა და თევზზე ფიქრობს, როცა დარწმუნებულია, რომ მის წინ ღმერთი დგას. მისი მანია რაღაც უცნაური კომბინაციაა. როცა დავიჭირეთ, ვეფხვივით იბრძოდა. საოცრად ღონიერია და ველურ მხეცს უფრო

ჰგავდა, ვიდრე ადამიანს. არასოდეს მინახავს ასე გაცოფებული შეშლილი და იმედი მაქვს, რომ აღარასოდეს ვნახავ. კიდევ კარგი, დროზე შევიპყარით. თავისი ძალითა და გააფთრებით მრავალი უბედურების ჩადენა შეეძლო. ახლა ის, ყოველ შემთხვევაში, უსაფრთხოა, რადგან დამამშვიდებელი პერანგი გადავაცვით და შევბოჭეთ, რის შემდეგაც ასეთი რამ გვითხრა:

„მე მოვითმენ, ჩემო უფალო. უკვე ვგრძნობ ამის მოახლოებას. დრო ახლოვდება - ახლოვდება - ახლოვდება!“

თავიდან მეტად აღელვებული ვიყავი და ვერაფრით დავიძინე, მაგრამ ამ დღიურმა დამამშვიდა და ვგრძნობ, რომ ძილი აღარ გამიკრთება.

თავი მეცხრე

მინა მიურეის წერილი ლუსი ვესტენრასადმი

24 აგვისტო.

ბუდაპეშტი.

ჩემო ძვირფასო ლუსი,

მე ვიცი, რომ შენ ძალიან გინდა იცოდე ყველაფერი, რაც მას შემდეგ გადამხდა, როცა უაითბის ვაგზალზე დავშორდით. გზას საერთოდ ვერ ვამჩნევდი, რადგან საშინლად ვღელავდი იმის გაფიქრებაზე, თუ როგორი დამხვდებოდა ჯონათანი.

საბრალო საშინელი სანახავი იყო - სრულიად გამხდარი, ფერმკრთალი და საშინლად დასუსტებული. მის თვალებს მთლად დაეკარგათ ჯონათანისთვის დამახასიათებელი გამბედავი გამომეტყველება და ის განსაცვიფრებელი სიმშვიდე, რაც, როგორც ხშირად მითქვამს შენთვის, განსაკუთრებით უხდებოდა მის სახეს. მისგან მხოლოდ ლანდიღა დარჩა, და არაფერი ახსოვს, რაც ბოლო ხანებში გადახდა. ყოველ შემთხვევაში, უნდა, რომ მე ასე ვიფიქრო. როგორც ჩანს, მან საშინელი ნერვიული დაძაბულობა გადაიტანა, და ვშიშობ, რომ თუ მაინც გაიხსენებს, ეს მის გონებაზე აისახება. დაÁ აგათა - კეთილი არსება და სულით ხორცამდე მომვლელი - მიამბობდა, რომ ბოდვის დროს იგი საშინელ რაღაცებს ახსენებდა. მაინც რას-მეთქი, ჩავეკითხე. მაგრამ მხოლოდ პირჯვარი გადაიწერა და მიპასუხა, ვერასოდეს გადმოგცემთ, რადგან სნეულის ბოდვა ყველასათვის საიდუმლოა, და თუკი მოწყალების დას უწევს კიდეც, მოისმინოს რაღაც საიდუმლო თავისი მოვალეობის შესრულებისას, მას არა აქვს მისი გამხელის უფლებაო... მას სძინავს... მე მის ლოგინთან ვზივარ და ვუმზერ. აი, იღვიძებს... გაღვიძებულმა ითხოვა, კოსტიუმი მომიტანეთ, რადგან ჯიბიდან რაღაც უნდა ამოვიღოო. დაÁ აგათამ ჯონათანის ყველა ნივთი მოიტანა. მათ შორის უბის წიგნაკს მოვკარი თვალი. ძალიან მინდოდა მისი წაკითხვა, რადგან მივხვდი, რომ იქ მისი ყველა საიდუმლოს ამოხსნას ვიპოვიდი. იგი აშკარად მიმიხვდა ამ სურვილს, რადგანაც უცებ მთხოვა, ფანჯარასთან მიდიო, მერე მითხრა, მცირე ხნით მარტო მინდა დავრჩეო. ჯონათანმა მალე მომიხმო, როცა მივედი, მან, უბის წიგნაკით ხელში, ძალზე სერიოზული სახით მომმართა: „ვილჰელმინა, შენ იცი, ძვირფასო, ჩემი შეხედულება იმ გულწრფელობაზე, რომელიც ქმარსა და ცოლს შორის უნდა არსებობდეს: მათ შორის არავითარი საიდუმლო არ უნდა იყოს, არავითარი გაუგებრობა. მე დიდი ზნეობრივი რყევა გადავიტანე. როდესაც მომხდარს ვიხსენებ, ვგრძნობ, რომ თავბრუ

მესხმის და დანამდვილებით არც ვიცი, მართლა გადამხდა თუ შეშლილის ბოდვაა ეს ყველაფერი. შენ იცი, რომ მე ტვინის ანთება გადავიტანე, იცი, რომ ახლოს ვიყავი სიგიჟესთან. ჩემი საიდუმლო ამ რვეულშია, მაგრამ მისი გახსენებაც აღარ მინდა... მსურს, შეგახსენო, ჩემო ძვირფასო, რომ ჩვენ დაქორწინება გადავწყვიტეთ, როგორც კი ყველა ფორმალობა დასრულდება. გინდა, ვილჰელმინა, ჩემთან ერთად გაიზიარო ჩემი დანიშნულება? აი, ჩემი რვეული. შეინახე, წაიკითხე, თუ გინდა, მაგრამ არასოდეს მესაუბრო ამის შესახებ“.

იგი უღონოდ გადაწვა საწოლზე, რვეული ბალიშის ქვეშ ამოვუდე და ვაკოცე. დაÁ აგათას კი ვთხოვე, დირექტორთან მისულიყო და ეთხოვა, რომ ჩვენი ქორწილი ამ საღამოს დაენიშნა, და აი, ვზივარ და პასუხს ველოდები...

აგათა ეს-ეს არის დაბრუნდა და მითხრა, ინგლისური მისიის მღვდელთან მაცნე გაგზავნესო. ჩვენ ერთ საათში ვიწერთ ჯვარს, ანუ როგორც კი ჯონათანი გაიღვიძებს...

ძვირფასო ლუსი, აი, ასრულდა! საზეიმო განწყობა მაქვს და ძალიან, ძალიან ბედნიერი ვარ. ჯონათანმა ერთი საათის წინ გაიღვიძა, ცოტა ადრეც კი, როცა უკვე ყველაფერი გამზადებული იყო. იგი ლოგინზე დასვეს და ბალიშები შემოუწყვეს, მან ძალზე მტკიცედ და გადაჭრით წარმოთქვა თავისი „დიახ, თანახმა ვარ“, მე ლამის მეტყველების უნარი დავკარგე. გული ამოვარდნაზე მქონდა და ძლივს წარმოვთქვი ეს რამდენიმე სიტყვა. ჩემი საქორწილო საჩუქრის შესახებ უნდა გაცნობო. როდესაც მღვდელმა და ჩვენმა დაიკომ მარტო დაგვტოვეს, ბალიშის ქვეშიდან დღიური გამოვიღე, დავბეჭდე, ქმარს ვუჩვენე და ვუთხარი, ეს დღიური ერთმანეთისადმი რწმენის

საწინდარი იქნება და მე არასოდეს გავხსნი მას, თუკი რაიმე გადაუდებელი მოვალეობის აღსრულება არ მაიძულებს-მეთქი.

მაშინ მან მაკოცა და თავისი სუსტი ხელებით მომეხვია, და თითქოს ეს იყო ჩვენი მომავალი ცხოვრების საზეიმო საწინდარი...

იცი, ძვირფასო ლუსი, რატომ გიამბობ ამ ყველაფერს? არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ასე ახლოსაა ჩემს სულთან, არამედ იმიტომაც, რომ შენ ყოველთვის ძვირფასი იყავი ჩემთვის. ძალიან მინდა, მალე გნახო, ახლა, როცა ასეთი ბედნიერი ვარ. მინდა, რომ შენც ჩემსავით ბედნიერი იყო. ჩემო ძვირფასო, ბედნიერი გამყოფოს ყოვლისშემძლე უფალმა მთელი ცხოვრების მანძილზე, დაე, მთელი შენი ცხოვრება უღრუბლო, ნეტარებით აღსავსე იყოს! მარად შენი მოსიყვარულე

მინა ჰარკერი.

ლუსი ვესტენრას წერილი მინა ჰარკერს

უაითბი, 30 აგვისტო.

უძვირფასესო მინა,

სიყვარულის ოკეანესა და მილიონ ამბორს გისურვებ, დაე, შენ და შენი ქმარი მალე დაბრუნებულიყავით სახლში. იმედი მაქვს, შინ დაბრუნებულები ჩვენც გვეწვევით. აქაური ჰაერი მალე მოაკეთებდა ჯონათანს. მე, პირადად,მიშველა. მადაც ისეთიგამეხსნა, ძღომას ვეღარ ვიგებ, თან გემრიელად მძინავს. ვიცი გაგიხარდება, ძილის დროს სიარულს მოვეშვი. უკვე კვირაზე მეტია საწოლი აღარ დამი-

ტოვებია უაზროდ. ართური მეუბნება, სუქდებიო. ჰო მართლა, დამავიწყდა მეთქვა, ართური აქ არის. იმდენ დროს ვატარებთ ერთად: დავდივართ ფეხითაც და ეტლითაც, ცხენებსაც ვაჭენებთ, ნავითაც დავცურავთ, ვთევზაობთ და ჩოგბურთითაც ვიქცევთ თავს. ისე მიყვარს, რომ ვერც კი აგიწერ. თვითონაც მეუბნება, წინანდელზე მეტად მიყვარხარო, მაგრამ ვეჭვობ, რადგან, ადრე მითხრა, ისე მიყვარხარ, ამაზე მეტი სიყვარული ვეღარ წარმომიდგენიაო. ვიცი, სისულელეა. აი, ისიც, მეძახის უკვე. ასე რომ, აქ გავწყვეტ წერას. შენი მოყვარული ლუსი.

P.S. დედამ, სიყვარულით მომიკითხეო. საწყალმა მოიკეთა.

P.S. 28 სექტემბერს ვქორწინდებით.

ექიმ სიუარდის დღიური

20 აგვისტო.

რენფილდის ავადმყოფობა სულ უფრო საინტერესოდ მიმდინარეობს. ის ახლა იმდენად დაწყნარდა, რომ მის მანიაში სასიამოვნო სიახლე შეიმჩნევა. იმ საშინელი შეტევის შემდეგ პირველმა კვირამ სასწაულად ბობოქარ მდგომარეობაში ჩაიარა. კვირის ბოლოს, ღამით, ზუსტად სავსე მთვარის დროს ის უცებ დამშვიდდა და თავისთვის დაიწყო დუდუნი: „ახლა შემიძლია მოვიცადო. ახლა შემიძლია მოვიცადო“. სანიტარმა ყველაფერი შემატყობინა და მეც დაუყოვნებლივ მივაშურე მის სამყოფს: რენფილდს ისევ დამაწყნარებელი პერანგი ეცვა და შმაგების ოთახში იმყოფებოდა, სადაც კედლებზე ქეჩა იყო გადაკრული. სახეზე მშვიდი იერი დასდებოდა. მისი გამომეტყველებით კმაყოფილი დავრჩი და მაშინვე გავეცი ჩემი პაციენტის განთავისუფლების განკარგულება. სანიტრები ყოყმანობდნენ,

მაგრამ საბოლოოდ მაინც შეასრულეს ბრძანება. რენფილდი მომიახლოვდა და მიჩურჩულა, თან მალულად მათკენ იყურებოდა:

- ეშინიათ, თქვენ არ დაგარტყათ! აბა ეს როგორ უნდა გაიფიქრონ - მე რომ თქვენ დაგარტყათ! აი სულელები!

ამ საღამოს სხვა აღარაფერი უთქვამს. კნუტის ან დიდი კატის თემამაც ვერ აცდუნა. მან ასე მიპასუხა:

- მე არ ვიღებ ქრთამს კატების სახით. საფიქრალი სხვაც ბევრი მაქვს, და შემიძლია მოვიცადო. დიახ, შემიძლია მოვიცადო.

მალე მე ის დავტოვე. სანიტარი ამბობს, რომ იგი გარიჟრაჟამდე წყნარად იყო, შემდეგ უცებ აღელდა და საბოლოოდ ძალიან გაცხარდა, რამაც პაროქსიზმს მიაღწია და ლეთარგიულ ძილში გადაიზარდა.

სამი ღამეა იგივე ემართება: შმაგი მდგომარეობა მთელი დღის მანძილზე, შემდეგ სიმშვიდე მთვარის ამოსვლიდან მზის ამოსვლამდე. როგორ მინდა, ამოვხსნა ეს მოვლენა! თითქოს რაღაც სისტემატურად მოქმედებს მის მდგომარეობაზე... სწორი აზრია! ამ ღამით მახეს ვუმზადებთ ჩვენს შეშლილს. ადრე იგი გაიქცა ჩვენი ნების საწინააღმდეგოდ. ახლა კი ჩვენ თვითონ ვეხმარებით ამაში. გაქცევის საშუალებას მივცემთ, მაგრამ ჩვენი ხალხი უკან გაჰყვება რაიმე უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად.

23 აგვისტო.

მოულოდნელს ელოდეო, ნათქვამია. როდესაც ჩვენმა ჩიტუნამ თავისი გალია ღია დაინახა, გაფრენა აღარ მოისურვა, ასე რომ ჩვენი დახვეწილი გეგმა ჩაიფუშა. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია, კერძოდ: რომ მისი მშფოთვარე პერიოდი საკმაოდ ხანგრძლივია, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია, მომავალში იგი მხოლოდ რამდენიმე საათით გავათავისუფლოთ. მორიგეს ვუბრძანე მზის ამოსვლამდე ერთი საათით ადრე რენფილდი ქეჩაგადაკრულ ოთახში მოეთავსებინა: დაე, ამ საბრალო ავადმყოფის თუნდაც სხეული დატკბეს სიმშვიდით, რაც არ ძალუძს მის სულს. ჩუმად, ისევ რაღაც მოულოდნელობაა, მეძახიან, ავადმყოფი კვლავ გაიქცაო!

მოგვიანებით.

კიდევ ერთი ღამეული თავგადასავალი. რენფილდი დაელოდა მომენტს და როდესაც მორიგე შებრუნდა, ამით ისარგებლა და შეუმჩნევლად გაიპარა. სანიტრებს ვუბრძანე, მის მოსაძებნად წასულიყვნენ. რენფილდს ძველ ადგილზე წავაწყდით, ძველი ეკლესიის მუხის კარებთან. ჩემ დანახვაზე ძალიან გაცოფდა. სანიტრებს დროზე რომ არ ეტაცათ ხელი, ალბათ, მომკლავდა. იმ დროს, როცა ის დავიჭირეთ, რაღაც უცნაური რამ მოხდა. იგი გააფთრებით იბრძოდა, უნდოდა, თავი დაეხსნა, მაგრამ უცებ სრულიად მიყუჩდა. საეჭვო ვერაფერი შევნიშნე და მაშინ ავადმყოფის მზერას გავაყოლე თვალი: აღმოჩნდა, რომ მთვარით განათებულ ზეცას არ აშორებდა თვალს. ცაში დიდი ღამურა შევამჩნიე, რომელიც დასავლეთით მიფრინავდა. ჩვენი ავადმყოფი სულ უფრო მშვიდდებოდა და, საბოლოოდ, წარმოთქვა:

- ჩემი გაკოჭვა არ გჭირდებათ. ისედაც ყველაფერში დაგემორჩილებით.

სახლამდე სრულიად მშვიდად მივედით. ვგრძნობ, რომ ამ სიმშვიდეში რაღაც ავბედითი იმალება... ამაღამ არ დავივიწყებ...

ლუსი ვესტენრას დღიური

გილინჰემი, 24 აგვისტო.

აუცილებლად მინას მაგალითს უნდა მივბაძო და ყველაფერი ჩავიწერო, მერე კი, როცა შევხვდები, შეგვეძლება, ერთმანეთს დღიურები გავუცვალოთ. მინდა, ვიცოდე, ეს როდის იქნება. მინდა, რომ ისევ ჩემთან იყოს! თავს ძალიან უბედურად ვგრძნობ. წუხელ იგივე დამესიზმრა, რაც მაშინ უაითბიში. იქნებ, ეს ჰავის შეცვლის გამოა, ანდა შინ დაბრუნებამ ისე იმოქმედა ჩემზე,რომ ყველაფერი ამერია, ვერაფერს ვიხსენებ, მაგრამ ამოუცნობ შიშსა და უცნაურ სისუსტეს ვგრძნობ. ართური საუზმობის დროს მოვიდა და ჩემ დანახვაზე თავზარი დაეცა, მე კი ძალა არმეყო, მხიარულად მომეჩვენებინა თავი. ამაღამ დედას საძინებელში მინდა, დავწვე. ბოდიშს მოვუხდი და ვეცდები დავითანხმო.

25 აგვისტო.

ისევ ძალიან ცუდი ღამე. დედამ უარი მითხრა ჩემს თხოვნაზე. თვითონაც ძალიან ცუდადაა, და, უთუოდ, ეშინია, ძილს დაგიფრთხობო. მე ვცდილობდი, ფხიზლად ვყოფილიყავი და რამდენიმე ხანს მოვახერხე კიდეც, არ დამძინებოდა. მაგრამ შუაღამით საათის რეკვასთან ერთად ჩავთვლიმე. ფანჯარასთან რაღაც ხმაურობდა - თითქოს დიდი ფრთების შრიალი ისმოდა. რამდენადაც მახსოვს, ამას ყურადღება არ მივაქციე. მალე, როგორც ჩანს, დამეძინა. გამუდმებული კოშმარები. გავიხსენო მაინც - რა! დღეს ძალზე სუსტად

ვარ. მოჩვენებასავით ფერმკრთალი სახე მაქვს. გარდა ამისა, კისერი მტკივა. ალბათ, ფილტვებზე რაღაც დამემართა, რადგან ჰაერი არ მყოფნის. მე მაინც ვეცდები როგორმე დავუმალო ართურს ჩემი მდგომარეობა, თორემ ჩემი გარეგნობა ძალიან აწუხებს.

ართურ ჰოლმვუდის წერილი ექიმ სიუარდისადმი

სასტუმრო „ალბემარლი“, 31 აგვისტო.

ძვირფასო ჯეკ!

ძალიან გთხოვ, დამეხმარო. ლუსი მეტად ავადაა. გარკვევით ვერაფერს ვამბობ, მაგრამ საშინლად გამოიყურება და საქმე ყოველდღიურად სულ უარესდება. მაინტერესებს - რა სჭირს. ლუსის დედას არ მინდა, ამაზე ვესაუბრო, რადგან მისი აღელვება არ შეიძლება, ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით. ამას მისთვის საბედისწერო შედეგები შეიძლება, მოჰყვეს. მისის ვესტენრამ აღიარა, რომ მისი ბედი გადაწყვეტილია - მას გულის უძლიერესი მანკის მძიმე ფორმა აქვს. ამასთან, ვგრძნობ, რომ ლუსის ჯანმრთლეობას რაღაც ემუქრება, - არ შემიძლია, ამას მშვიდად ვუყურო. შენზე ვუთხარი, ვთხოვ, მოგისმინოს-მეთქი. თავიდან ეს არ უნდოდა, ვხვდები, რატომაც, ჩემო კარგო. მაგრამ საბოლოოდ მაინც დამთანხმდა. მესმის, ჩემო მეგობარო, რა მძიმე იქნება შენთვის, მაგრამ მისი გადარჩენისათვის მკურნალობა შენ უნდა იკისრო. ხვალ 2 საათზე ჩამოდი ჰილინგთონში, სადილობისას, რათა მისის ვესტერნამ არაფერი იეჭვოს. საუზმის შემდეგ ლუსი რაიმე მიზეზს გამონახავს და შენთან მარტო დარჩება. მე მოგვიანებით შემოვივლი, როდესაც ჩაის სმის დრო დადგება და ერთად გასვლას შევძლებთ. მისი ავადმყოფობა ძალიან მაღელვებს და გასინჯვის შემდეგ სრული სიმართლე მსურს, შევიტყო. აუცილებლად ჩამოდი.

შენი ართური.

ართურ ჰოლმვუდის დეპეშა სიუარდს

1-ლი სექტემბერი.

მამა ცუდად არის. მასთან ვარ გამოძახებული. გთხოვ, შედეგები დაწვრილებით დააფიქსირო. თუ საჭიროა, აუცილებლად ჩამოვალ.

ექიმ სიუარდის წერილი ართურ ჰოლმვუდისადმი

2 სექტემბერი.

ძვირფასო მეგობარო! რაც შეეხება მის ვესტენრას ჯანმრთლეობას, ძალიან ვჩქარობ, გაუწყო, რომ საშიში ვერაფერი ვნახე, რაიმე ავადმყოფობის ოდნავი მინიშნებაც კი არ ჩანს. მაგრამ ამავე დროს მეტისმეტად უკმაყოფილო ვარ იმ ცვლილებით, რაც მან ჩვენი ბოლო შეხვედრის შემდეგ განიცადა. მე ვერ მოვახერხე მისი საფუძვლიანი გასინჯვა, ამაში ჩვენი მეგობრული და საზოგადოებრივი ურთიერთობა გვიშლის ხელს. ამიტომ გადავწყვიტე, დაწვრილებით აღვწერო ის, რაც მოხდა, დასკვნები კი შენ თვითონ გამოიტანე და სათანადო ზომებიც მიიღე. მაშ ასე, მომისმინე, რა გავაკეთე და რის გაკეთებას ვაპირებ:

მის ვესტენრა მოჩვენებით მხიარულ განწყობაზე იყო. მალე მივხვდი, რომ ყოველნაირად ცდილობდა დედამისის მოტყუებას, რომელიც იქვე იმყოფებოდა, რათა იგი მღელვარებისგან დაეცვა. სა-

უზმის შემდეგ მისის ვესტენრა დასასვენებლად გავიდა და მე და ლუსი მარტონი დავრჩით. როგორც კი კარი დაიხურა, მან ჩამოიშორა მხიარულების ნიღაბი, ღონემიხდილი ჩაესვენა სავარძელში და სახეზე ხელები აიფარა. როცა დავინახე, რომ მთელი მისი მხიარული განწყობა გაქრა, მაშინვე ვისარგებლე ამით, რათა გამოკვლევა დამეწყო. მალე დავრწმუნდი, რომ იგი სისხლნაკლებობით იტანჯება, თუმცა ამან გამაოცა კიდეც, რადგან ავადმყოფობის ჩვეულებრივი ნიშნები არ აღმოაჩნდა, გარდა ამისა, მე სრულიად შემთხვევით მოვახერხე მისი სისხლის შემადგენლობის გამოკვლევა, რადგანაც ლუსიმ, ფანჯრის გაღების მცდელობისას, გატეხილი შუშით ხელი გაიჭრა. ჭრილობა, თავისთავად, უმნიშვნელო იყო, მაგრამ ამან საშუალება მომცა შემეგროვებინა სისხლის რამდენიმე წვეთი და მათი ანალიზი ჩამეტარებინა, - სისხლის შემადგენლობა ნორმალური აღმოჩნდა. მე ვიტყოდი, რომ სისხლის შემადგენლობის მიხედვით მას შესაშური ჯანმრთლეობა აქვს. მე კმაყოფილი დავრჩი ლუსის ფიზიკური მდგომარეობით, ასე რომ, ამ მხრივ საგანგაშო არაფერია, მაგრამ რადგანაც მისი ავადობის მიზეზი სადღაც უნდა იმალებოდეს, დავრწმუნდი, რომ აქ საქმე ფსიქოლოგიურ ფაქტორებშია. ლუსი უჩივის გაძნელებულ სუნთქვას, რაც, საბედნიეროდ, მას მხოლოდ დროდადრო ტანჯავს. გარდა ამისა, აწუხებს მძიმე, ლამის ლეთარგიულ ძილს კოშმარული სიზმრებით, რომლებიც მას აშინებს, მაგრამ რაც მას არასოდეს ახსოვს. ის ამბობს, რომ ბავშვობისასძილში სიარულის ჩვეულება ჰქონდა, და რომ უაითბიში ეს ჩვევა ისევ განუახლდა. ერთხელ იგი აღმოსავლეთ კლდეზე ამძვრალა, სადაც მის მიურიეს მიუგნია. მაგრამ ის მარწმუნებს, რომ ეს აღარ მოსდის. მე საგონებელში ვარ ჩავარდნილი, ამიტომ ასეთი რამ გადავწყვიტე: მე წერილი მივწერე ჩემს მასწავლებელსა და კეთილ მეგობარს, პროფესორ ვან ჰელსინკს ამსტერდამში,რომელიც შესანიშნავად ერკვევა საეჭვო შემთხვევებში, ხოლო რადგანაც გამაფ-

რთხილე, რომ ყველაფერს ჩემს თავზე ავიღებო, საჭიროდ ჩავთვალე, მისთვის გამემხილა შენი დამოკიდებულება მის ვესტენრასადმი. ეს მხოლოდ და მხოლოდ შენი სურვილებიდან გამომდინარე მოვიმოქმედე, რადგან მე თვითონ ამაყი და ბედნიერი ვიქნებოდი, მისთვის ყველაფერი გამეკეთებინა. ვან ჰელსინკი ჩვენი ურთიერთობიდან გამომდინარე მზად არის, დასახმარებლად ჩამოვიდეს და ყველაფერი გააკეთოს, რაც კი შესაძლებელია. ამასთან, ჩვენ მზად უნდა ვიყოთ მისი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. იგი თავის თავში მეტად დარწმუნებულია, რასაც განაპირობებს, რომ ის მართლაც არაჩვეულებრივი ექიმია. იგი ფილოსოფოსი და მეტაფიზიკოსია და ამასთან ერთად, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მეცნიერი. ის ძალზე გონიერი ადამიანია, უჩვეულოდ გამბედავი, რკინის ნერვები აქვს, ძლიერი ნებისყოფა და დიდი მოთმინების უნარიც არ აკლია, ამასთან, ძალზე კეთილი ადამიანია, რომელსაც ყველამ შეიძლება დასახმარებლად მიმართოს და თანაც - ნებისმიერ დროს. ამას იმიტომ გწერ, რომ მიხვდე, ასე რატომ ვენდობი ამ ადამიანს. მას ვთხოვე, რომ სასწრაფოდ ჩამოვიდეს. ხვალ ისევ ვნახავ მის ვესტენრას.

მარად შენი, ჯონ სიუარდი.

აბრაამ ვან ჰელსინკის წერილი ექიმ სიუარდს

2 სექტემბერი.

ძვირფასო მეგობარო! შენი წერილის მიღებისთანავე გადავწყვიტე გამომგზავრება. საბედნიეროდ, ამით არავითარ ზიანს არ მივაყენებთ ჩემს პაციენტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ გულნატკენი დავტოვებდი. როგორც ხედავ, დაუყოვნებლივ ვეხმაურები შენს მოწვევას და მოვდივარ მეგობართან, რათა დავეხმარო მას, ვინც მისთვის ძვირფასია. აუხსენი შენს მეგობარს, რომ როდესაც ჩემი

ჭრილობიდან შხამი ამოწოვე, რაც ჩვენი საერთო ნერვიული მეგობრის ჭუჭყიანი დანის დარტყმის შედეგად გამიჩნდა, ამ საქციელით ერთხელ და სამუდამოდ მოიპოვე ჩემი სრული მზადყოფნა, დაგეხმარო შენ და შენს ყველა ახლობელს. გთხოვ, ოთახი გამიმზადო აღმოსავლეთ სასტუმროში, რათა ავადმყოფთან ახლოს ვიყო. გარდა ამისა, ისე მოაწყვე, რომ ხვალვე შევძლო ახალგაზრდა ლედის ნახვა და თანაც არცთუ გვიან, რადგანაც დიდი შანსია, რომ იმავე ღამეს მომიწიოს შინ დაბრუნებამ. თუ საჭირო იქნება, მოვახერხებ, სამი დღის შემდეგ დავბრუნდე და მაშინ შევძლებ უფრო დიდხანს დავრჩე თქვენთან, ჯერჯერობით კი ნახვამდის, ჩემო მეგობარო.

ვან ჰელსინკი.

ექიმ სიუარდის წერილი ართურ ჰოლმვუდს

2 სექტემბერი

ჩემო ძვირფასო ართ! ვან ჰელსინკი უკვე იყო აქ და წავიდა. ჩვენ ერთად გავემგზავრეთ გილინჰემში. ლუსის სიფრთხილის წყალობით დედამისი შინ არ იმყოფებოდა. იგი მარტო იყო. ვან ჰელსინკმა ძალზე ყურადღებით გასინჯა პაციენტი, შემდეგ ყველაფერი დაწვრილებით მიამბო. გიგზავნი მოხსენებას. მე ხომ თავიდან ბოლომდე არ დავსწრებივარ ავადმყოფის გამოკვლევას. გასინჯვის შემდეგ პროფესორი ძალზე აფორიაქებული იყო და მითხრა, უნდა დავფიქრდეო. როცა ვაცნობე იმ დიდი მეგობრობის შესახებ, რაც ჩვენ ერთმანეთთან გვაკავშირებს და ის, თუ როგორ მენდობი, მითხრა: „მას ყველაფერი უნდა აუწყო, რასაც ამ საკითხზე ფიქრობო. ჩემი აზრიც გადაეცი, თუ ამას საჭიროდ მიიჩნევ. არა, მე არ ვხუმრობ. ეს ხუმრობა კი არ არის, არამედ ბრძოლა სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის, და კიდევ უფრო მეტიცო“. მე ვკითხე, რა გინდა ამით თქვა-მეთქი?

რადგან ძალზე სერიოზულად ლაპარაკობდა. მას არავითარი მინიშნება არ გაუკეთებია, მაგრამ ამაზე არ უნდა გაბრაზდე, ართ, რადგან ეს დუმილი იმის მანიშნებელია, რომ მისი ტვინი გამალებით მუშაობს, რათა ყველაფერში გაერკვეს და ლუსის დაეხმაროს. იგი ყველაფერს დაწვრილებით აგვიხსნის, როცა დრო დადგება, ამაში შეგიძლია დარწმუნებული იყო.

აი, ჩვენი სტუმრობის დაწვრილებითი ანგარიში. ლუსი უფრო ხალისიანი იყო, ვიდრე მაშინ, როცა ის პირველად ვნახე, და აშკარად უკეთ გამოიყურებოდა. არსად ჩანდა ის საშინელი იერი, რამაც ასე აგაღელვა, სუნთქვაც ნორმალური ჰქონდა. იგი ძალზე თავაზიანი იყო პროფესორთან და ცდილობდა, ყველაფერი გაეკეთებინა, რაც შეეძლო, რათა პროფესორს თავისუფლად და კარგად ეგრძნო თავი, თუმცა ამას დიდი ძალისხმევით აღწევდა.

მგონი, ვან ჰელსინკმა შენიშნა ეს, - ამის შესახებ მისი ხშირი წარბებიდან გამომავალმა ჩემთვის კარგად ნაცნობმა ალმაცერმა მზერამ მიმახვედრა. შემდეგ მათ გარეშე მოვლენებზე დაიწყო საუბარი, ანუ ყველაფერზე ლაპარაკობდა, გარდა ავადმყოფობისა და ისე ოსტატურად გაართო, რომ ლუსის მოჩვენებითი მხიარულება მალე გულწრფელ ლხენაში გადაიზარდა. ნელ-ნელა, სრულიად შეუმჩნევლად, მან თემა შეცვალა, საუბარი თავისი ჩამოსვლის მიზეზზე გადაიტანა და ფაქიზად და ალერსიანად უთხრა:

„ჩემო ძვირფასო მის! ჩემთვის ძალზე სასიამოვნოა იმის დანახვა, რომ თქვენ ასე უყვარხართ. ეს ცხოვრებაში ძალიან ბევრს ნიშნავს. მან თქვენზემითხრა, ცუდ განწყობაზე ბრძანდება და ფერიც არ ადევსო. მაგრამ ახალგაზრდა ქალბატონებისა რა გაეგება? იგი თავისი შეშლილებითაა გატაცებული და დაკავებულია იმით, რომ მათ

შეძლებისდაგვარად უბრუნებს ჯანმრთელობას, ხოლო მათ ახლობლებს - ბედნიერებას. ეს დიდ შრომას მოითხოვს, სამაგიეროდ ჩვენ სიხარულისა და კმაყოფილების გრძნობა გვიჩნდება,რომ შეგვიძლია ასეთი სიხარული გავცეთ. ახალგაზრდა ქალბატონებში კი იგი საერთოდ ვერ ერკვევა - მას არც ცოლი ჰყავს, არც ქალიშვილი. და საერთოდ, ახალგაზრდების განსჯა ახალგაზრდის საქმე არ გახლავთ, ეს ჩემნაირი ბებრების საქმეა, რომლებმაც დიდი ხანია, ეს მიჯნა გადალახეს. ამრიგად, ჩემო ძვირფასო, მოდით, ის ბაღში გავგზავნოთ, სიგარის მოსაწევად, ჩვენ კი ცოტა ვიმუსაიფოთ“. მე მივხვდი მინიშნებას და გარეთ გავედი. ცოტა ხანში პროფესორმა ფანჯრიდან დამიძახა. ძალზე მკაცრი სახე ჰქონდა. თქვა: „მე მას კარგად მოვუსმინე და გავსინჯე, და ვერავითარი ავადმყოფური პროცესი ვერ აღმოვაჩინე. გეთანხმებით, რომ მან ბევრი სისხლი დაკარგა, მაგრამ ეს ადრე იყო. ყოველ შემთხვევაში, ის სისხლნაკლული სულაც არ არის. ვთხოვე მოახლისთვის დაეძახა, რომელსაც რამდენიმე კითხვა მინდა დავუსვა, რათა ჩემთვის რაღაც-რაღაცები გავარკვიო, ვინაიდან ამ შემთხვევაში ყველაფერი უნდა ვიცოდეთ. რაღაც მიზეზი ხომ უნდა არსებობდეს. უმიზეზოდ არაფერი ხდება. შინ ყველაფერი კარგად უნდა განვსაჯო. გთხოვ, ყოველდღე გამომიგზავნო დეპეშა. თუ საჭირო იქნება, ისევ მოვალ. ავადმყოფობა ძალზე მაინტერესებს, ამ პატარა ლედიმ კი უბრალოდ მომაჯადოვა, და მეც აუცილებლად მოვალ, როცა საჭირო იქნება“.

როგორც გითხარი, სხვა არფერი უთქვამს და ალბათ არც არაფერს დაამატებდა, მარტონიც რომ ვყოფილიყავით. ახლა, ართ, შენც იმდენივე იცი, რამდენიც მე. ჩვენს პაციენტს ფხიზლად მივადევნებ თვალს. იმედი მაქვს, რომ მამაშენი მომჯობინდება. კარგად მესმის, ჩემო მეგობარო, შენი მდგომარეობა: ორი ადამიანია ავად, რომლებიც შენთვის ერთნაირად ძვირფასია. მე ვიცი შენი შეხედუ-

ლება შვილის მოვალეობის შესახებ - და მართალი ხარ, მას რომ ასრულებ. მაგრამ მაინც, თუ საჭირო გახდება, მე დაუყოვნებლივ მოგწერ, რათა ლუსისთან ჩამოხვიდე, ასე რომ, სანერვიულო არაფერია, მე თუ არ გამოგიძახებ.

შენი ჯონ სიუარდი.

ექიმ სიუარდის დღიური

4 სექტემბერი.

პაციენტი ზოოფაგოსი ისევ ჩემს დიდ ინტერესს იწვევს. მას სულ ერთი შეტევა ჰქონდა. ეს მოხდა გუშინ, ჩვეულებრივ დროს. ზუსტად მზის ჩასვლის წინ ის აფორიაქდა. სანიტარისთვის ნაცნობი იყო ეს სიმპტომები და მაშინვე სხვები მოიხმო დასახმარებლად. საბედნიეროდ, დროზე მოირბინეს, რადგან მთვარის ამოსვლასთან ერთად იგი ისე აბობოქრდა, რომ მის გასაკავებლად დიდი ძალისხმევა გახდა საჭირო. მაგრამ ხუთი წუთის შემდეგ ნელ-ნელა დამშვიდება დაიწყო და საბოლოოდ, ერთგვარ მელანქოლიაში ჩავარდა, რომელშიც ამჟამადაც იმყოფება.

მოგვიანებით.

ახალი ცვლილება ჩემს ავადმყოფში. ხუთ საათზე მასთან შევიხედე და ისეთივე ბედნიერი და კმაყოფილი დამხვდა, როგორც ყოველთვის. ისევ იჭერდა და ყლაპავდა ბუზებს და ყოველ ჯერზე ფრჩხილით აღნიშვნას აკეთებდა კედელზე. როცა დამინახა, მომიახლოვდა და ბოდიში მოიხადა თავისი ცუდი საქციელის გამო, შემდეგ უმორჩილესად მთხოვა, რომ ისევ თავის ოთახში გადამეყვანა

და მისთვის უბის წიგნაკი დამებრუნებინა. გადავწყვიტე, რომ უპრიანი იყო, ავადმყოფი გამემხნევებინა, ამიტომ განკარგულება გავეცი, რენფილდი თავის პალატაში გადაეყვანათ. მან ისევ მოაბნია შაქარი რაფაზე და უამრავი ბუზი დაიჭირა.

იგი მათ კი აღარ ჭამს, არამედ კოლოფში აგროვებს ადრინდელივით და ოთახის ყოველ კუთხეს ათვალიერებს ობობების მოსაძებნად.

შუაღამე.

მასში ისევ ცვლილებაა. მე ლუსი ვინახულე. იგი კარგად გრძნობდა თავს და უკან დაბრუნებისას, ჭიშკართან გავჩერდი, რათა მზის ჩასვლისათვის შემეხედა. უცებ რენფილდის გოდება მომესმა. მისი ოთახი ამ მხარეს გამოდის და ამიტომ აშკარად ისმოდა ეს დაუნაწევრებელი ბგერები. ჩემს ნერვებზე ძალზე იმოქმედა ამ გადასვლამ დაისის ელვარე მშვენიერებიდან ჩემი ქვის შენობის საშინელ, მკაცრ სინამდვილეში, რომელიც აღსავსე იყო მთრთოლარე კაეშნითა და იმ ყველაფრით, რაც ასე მიმძიმებს სულს. მზის ჩასვლის კვალად რენფილდის სიშმაგე თანდათან ცხრებოდა. როდესაც ჩამავალი მზე მთლიანად მიეფარა ჰორიზონტს, ავადმყოფი უღონოდ ჩაიკეცა იატაკზე, თუმცა ორიოდე წუთში ისევ ფეხზე იდგა და წყნარად იყურებოდა აქეთ-იქით. სანიტრებს ვანიშნე, აღარ გაეკავებინათ, რადგან მაინტერესებდა, რას იზამდა. იგი ფანჯარასთან მივიდა და შაქრის ნარჩენები გადაყარა. შემდეგ თავისი ბუზებიანი კოლოფი აიღო, „ტყვეები“ გაათავისუფლა და კოლოფი ფანჯრიდან მოისროლა. შემდეგ დახურა ფანჯარა და საწოლზე ჩამოჯდა. ამ ყველაფერმა გამაოცა და ვკითხე: „ნუთუ ბუზებს აღარ მოაშენებთ?“ „არა, - მიპასუხა მან, - მომბეზრდა მთელი ეს სისაძაგლე!“ აი საოცარი ტიპი! მინდა, როგორმე გავერკვე მისი გონების მიმართულებაში

ანდა ჩავწვდე უეცარი ცვლილებების მიზეზს. სდექ! მგონი, უკვე მივაგენი - რატომ ჰქონდა პაროქსიზმი სავსე მთვარისა და მზის ჩასვლის დროს... ნუთუ მზე გარკვეულ პერიოდებში ცუდად ან, უფრო სწორად, აღმგზნებად მოქმედებს ზოგიერთ ნატურაზე - ისევე, როგორც მთვარე? ვნახოთ!..

სიუარდის დეპეშა, ლონდონი, ვან ჰელსინკს, ამსტერდამი

4 სექტემბერი.

პაციენტი დღეს გაცილებით უკეთაა.

სიუარდის დეპეშა, ლონდონი, ვან ჰელსინკს, ამსტერდამი

5 სექტემბერი.

ავადმყოფი გაცილებით უკეთაა. კარგიმადა აქვს, მშვიდად სძინავს. მხიარულია. ფერი უბრუნდება.

სიუარდის დეპეშა, ლონდონი, ვან ჰელსინკს, ამსტერდამი

6 სექტემბერი.

საშინელი ცვლილება უარესობისკენ. დაუყოვნებლივ ჩამოდი. ჰოლმვუდს არაფერს შევატყობინებ, სანამ არ გნახავ.

თავი მეათე

ექიმ სიუარდის წერილი ართურ ჰოლმვუდისადმი

6 სექტემბერი.

ჩემო ძვირფასო ართ! ჩემი დღევანდელი უწყებანი არცთუ სასიამოვნოა. ლუსი დღეს დილით შესამჩნევად ჩამოჭკნა. ერთის მხრივ, ეს ცუდი არ ყოფილა, კერძოდ: ლუსის გარეგნობით შეშინებულმა მისის ვესტენრამ რჩევისთვის მომმართა. მე კი ვისარგებლე ამით და ვუთხარი, ვან ჰელსინკი, ჩემი მოხუცი მასწავლებელი, ცნობილი დიაგნოსტიკოსი, ჩემთან სტუმრად ჩამოდის და ამ შემთხვევაში მასთან ერთად მივხედავ ლუსის ჯანმრთელობას-მეთქი. ასე რომ, ახლა შეგვიძლია, თავისუფლად ვიმოქმედოთ, ყოველგვარი ეჭვების აღძვრის გარეშე, რაც მისი სახიფათო მდგომარეობის გამო შესაძლოა, კატასტროფით დამთავრებულიყო. ავადმყოფი ლუსისათვის კი ეს სავალალო იქნებოდა. თუ რამე გაუთვალისწინებელი მოხდება, მაშინვე მოგწერ, ამიტომაც ჩემი დუმილი იმის ნიშნად ჩათვალე, რომ ყველაფერი რიგზეა.

მარად შენი ჯონ სიუარდი.

ექიმ სიუარდის დღიური

7 სექტემბერი.

ვან ჰელსინკი ისევ მოვიდა. პირველ რიგში მკითხა, შევატყობინე თუ არა ართურს ლუსის ავადმყოფობის ყველა სიმპტომი. ვუპასუხე, არა-მეთქი. მან მოიწონა ჩემი საქციელი, შემდეგ შემომთავაზა, რომ გულდასმით ჩავიწერო ავადმყოფობის მთელი შემდგომი მიმდინა-

რეობა, თქვა, რომ ლუსის შემთხვევა, შესაძლოა, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო იყოს მსოფლიო მედიცინაში, მაგრამ დეტალების დასახელებაზე უარი განაცხადა, რაც იმით ახსნა, რომ ბევრი რამ მისთვისაც უცნობია და რომ დიაგნოზშიც არ არის ბოლომდე დარწმუნებული.

როდესაც მივედით, მისის ვესტენრა მაშინვე გამოგვეგება. იგი შეშფოთებული ჩანდა, მაგრამ არა იმდენად, როგორც ველოდი. ლუსის ოთახში შეგვიძღვა. თუ მისმა გუშინდელმა სახემ შემაცბუნა, დღევანდელმა თავზარი დამცა. იგი მოჩვენებასავით ფერმკრთალი იყო. ტუჩები და ღრძილებიც კი გაფითრებოდა, ლოყები ჩავარდნოდა, ხოლო ყვრიმალები მკვეთრად გამოჩროდა. საშინელი დასანახი და მოსასმენი იყო, როგორ უჭირდა სუნთქვა, გაუნძრევლად იწვა და ეტყობოდა ან ძალიან გამოჰკვეთოდა, რომ ლაპარაკის ძალაც არ შესწევდა, ასე რომ, რამდენიმე ხანს ყველანი ვდუმდით. შემდეგ ფრთხილად გამოვედით ოთახიდან. როგორც კი კარი დაიხურა, ვან ჰელსინკმა მაშინვე მიაშურა მომდევნო კარს, რომელიც ღია აღმოჩნდა. ჩვენ იქ შევედით. მან გაცხარებით მიიხურა კარი და შესძახა: „ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა! არც ერთი წამის დაკარგვა არ შეიძლება. მოკვდება! ისე ცოტა სისხლი აქვს, რომ სასწრაფოდ გადასხმა ესაჭიროება. რომელი გავიღებთ მსხვერპლს - შენ თუ მე?“

- მე უფრო ახალგაზრდა და ჯანმრთელი ვარ, პროფესორო.

- მაშინ ახლავე გაემზადე. ჩემს ჩანთას მოვიტან.

- მზად ვარ.

როდესაც კიბეზე დავეშვით, კარზე კაკუნი გაისმა წინკარს რომ მივაღწიეთ, დავინახეთ, მოახლემ კარი გააღო და ართური შემოვიდა. იგი მომიახლოვდა და მუთმენლად მომმართა:

- ჯონ, ძალიან ვღელავდი. შენმა წერილმა ყველაფერს მიმახვედრა და კინაღამ აგონიაში ჩავვარდი, რადგანაც მამა უკეთაა, აქეთ გამოვიქეცი, რომ თვითონ ვნახო, რა ხდება. ეს ჯენტლმენი ექიმი ვან ჰელსინკია? თქვენი დიდად მადლობელი ვარ, სერ.

პროფესორი თავიდან გაბრაზდა, რომ ასეთ მომენტში შეუშალეს ხელი, მაგრამ შემდეგ, როცა ართურს დაუკვირდა და დაინახა, როგორი მტკიცე აგებულებისა და საუცხოო ჯანმრთელობისა იყო, მრისხანება გაუნელდა, ხელი მაგრად ჩამოართვა და ძალზე სერიოზული სახით მიმართა:

- სერ! სწორედ რომ დროულად მობრძანდით. თქვენ ჩვენი ძვირფასი ლედის საქმრო ბრძანდებით? იგი ცუდადაა, ძალიან, ძალიან ცუდად... არა, ჩემო კარგო, ასე არ შეიძლება, - გააქნია თავი პროფესორმა, როცა დაინახა, რომ ართური უცებ გაფითრდა და კინაღამ გულწასული ჩაიკეცა სავარძელში, - უნდა დაეხმაროთ. თქვენ გაცილებით მეტი შეგიძლიათ გააკეთოთ, ვიდრე რომელიმე ჩვენგანმა, თქვენი სიმამაცე საუკეთესო დახმარებაა.

- მითხარით, რა შემიძლია - ხრინწიანი ხმით წარმოთქვა ართურმა, - ჩემი სიცოცხლე მას ეკუთვნის და მზად ვარ მისთვის ჩემი სისხლი გავიღო, უკანასკნელ წვეთამდე.

- ჩემო ძვირფასო სერ, ასე ბევრს არ ვითხოვ თქვენგან, - ღიმილით შეიცხადა პროფესორმა.

- მაშ, რა მექნა?

ვან ჰელსინკმა მხარზე დაჰკრა ხელი.

- წავიდეთ, - თქვა მან. - თქვენ ახალგაზრდა და, მადლობა ღმერთს, ძალიან ჯანსაღი ადამიანი ხართ, ჩემზე და ჩემს მეგობარ ჯონზე ჯანმრთელი. ახალგაზრდა ლედი ცუდადაა, მას სისხლი სჭირდება, სხვაგვარად მოკვდება. მე და ჯონმა ეს-ესაა გადავწყვიტეთ სისხლის ტრანსფუზია ჩავატაროთ. ჯონი თავისი სისხლის გაცემას აპირებდა, რადგან ჩემზე ახალგაზრდა და ძლიერია. მაგრამ ახლა აქ თქვენ ხართ, ჩვენზე - მოხუცზეც და ახალგაზრდაზეც უკეთესი, რომლებსაც ასეთი თავაუღებელი გონებრივი შრომა გვიწევს. ჩვენი ნერვები არც ისე მტკიცეა, ხოლო სისხლი - არც ისე ხასხასა, როგორც თქვენი.

ართურმა უპასუხა:

- რომ იცოდეთ, რა დიდი სიამოვნებით გავიღებდი მისთვის ჩემს სიცოცხლესაც კი, მიხვდებოდით, რომ...

ის გაჩუმდა, მღელვარებისგან ხმა ჩაუწყდა.

- ძვირფასო მეგობარო, - მიუგო ვან ჰელსინკმა, - სულ მალე ძალზე ბედნიერი იქნებით იმის გამო, რაცგააკეთეთ იმ ადამიანის გადასარჩენად, ვინც გიყვართ. წავიდეთ და დამშვიდდით. შეგიძლიათ ერთხელ კიდევ აკოცოთ მას, მაგრამ შემდეგ უნდა დატოვოთ - მე განიშნებთ.

ლუსის ოთახისკენ გავემართეთ. ართური გარეთ დარჩა. ლუსიმ შემოგვხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს. მას არ ეძინა, უბრალოდ ძალიან სუსტად იყო. მხოლოდ მისი თვალები მეტყველებდა. ვან ჰელსინკმა თავისი ჩემოდნიდან რამდენიმე საგანი ამოიღო და პატარა მაგიდაზე დააწყო. შემდეგ საძილე საშუალება გაამზადა, საწოლთან მივიდა და ალერსიანად უთხრა:

- აი, საყვარელო მის, თქვენი წამალი... დალიეთ და კარგი გოგონა იქნებით. წამოჯექით, მიღება რომ გაგიადვილდეთ. აი, ასე!

ლუსიმ გაჭირვებით გადაყლაპა წამალი - იგი დიდხანს არ მოქმედებდა. ამის მიზეზი, როგორც ჩანდა, მეტისმეტი სისუსტე იყო. დრო ძალიან იწელებოდა, სანამ, საბოლოოდ, ძილი არ მოერია. ლუსიმ დაიძინა. პროფესორი ფრიად კმაყოფილი დარჩა და ართური მოიხმო, სთხოვა, სერთუკი გაიხადეო, შემდეგ კი უთხრა:

- შეგიძლიათ, აკოცოთ, სანამ მაგიდას გადავიტან. ჯონ, მეგობარო, მომეხმარე.

ასე რომ, არავის დაგვინახავს, როგორ ეამბორა ართური ლუსის.

ამის მერე ვან ჰელსინკი ოპერაციას შეუდგა და უჩვეულო სისწრაფით ჩაატარა. ტრანსფუზიის დროს თითქოს ხელახლა უბრუნდებოდა სიცოცხლე საბრალო ლუსის, ართური კი სულ უფრო კარგავდა ფერს, თუმცა აღუწერელი სიხარულით იყო ანთებული.

მაგრამ, ალბათ, რა საშინელი გარდატეხა მოხდა ლუსის ჯანმრთელობაში, რადგან, რამაც ართური საბოლოოდ დაასუსტა, მას მხოლოდ უმნიშვნელო შვება მოჰგვარა. პროფესორი ყურადღებით

და ფხიზლად აკვირდებოდა ლუსისა და ართურს. მე საკუთარი გულისცემა მესმოდა. მცირე ხნის შემდეგ პროფესორმა ჩუმად ჩაილაპარაკა:

- საკმარისია. მიეხმარე, მე კი ლუსის მივხედავ.

ართურს ჭრილობა შევუხვიე და მხარზე ხელი მოვხვიე. ვან ჰელსინკმა, ისე რომ ჩვენკენ არც შემობრუნებულა, თქვა (ამ ადამიანს თვალები, მგონი, ზურგზეც აქვს):

- მამაცი ჭაბუკი! მგონი, მან კიდევ ერთი კოცნა დაიმსახურა, რასაც ახლავე მიიღებს.

ოპერაციის დამთავრების შემდეგ მან პაციენტს ბალიში გაუსწორა, თან ოდნავ გადასწია შავი ხავერდის ლენტი, რაც ლუსის მუდმივად ჰქონდა მოხვეული ყელზე და ბრილიანტის ბალთით - საქმროს ნაჩუქრით - ჰქონდა მიმაგრებული. პროფესორმა ლუსის ყელზე პატარა წითელი ნიშნები მიჩვენა და მძიმედ ამოიოხრა. შემდეგ მომიბრუნდა და თქვა:

- ახლა ჩვენი მამაცი ჭაბუკი გაიყვანეთ, მიეცით მას პორტვეინი, ცოტა დაისვენოს. შემდეგ შინ წავიდეს, კარგად დანაყრდეს და დაიძინოს, რათა ისევ აღიდგინოს ძალები თავისი საცოლისთვის გაღებული მსხვერპლის შემდეგ. აქ ნუღარ დარჩება... მოიცათ, ერთი წუთით! თქვენ, სერ, ალბათ, შედეგზე ნერვიულობთ, მაშ, იცოდეთ, რომ ოპერაცია წარმატებით ჩატარდა. ამჯერად თქვენ მას სიცოცხლე შეუნარჩუნეთ შეგიძლიათ მშვიდად წაბრძანდეთ შინ და დაისვენოთ იმის შეგნებით, რომ ყველაფერი გააკეთეთ, რაც თქვენს

ძალ-ღონეს არ აღემატებოდა. მას ყველაფერს ვუამბობ, როცა გაიღვიძებს და კიდევ უფრო მეტად შეგიყვარებთ იმის გამო, რაც მისთვის გააკეთეთ. მშვიდობით!

როცა ართური წავიდა, ისევ ოთახში დავბრუნდი. ლუსის მშვიდად ეძინა და ღრმად სუნთქავდა. ვან ჰელსინკი მის საწოლთან იჯდა და თვალს არ აშორებდა. წითელ ნიშანს ისევ ხავერდი ფარავდა. პროფესორს ჩურჩულით ვკითხე:

- ამ ნიშანს რას გაუკეთებთ?

- რას გავუკეთებ? - გაიმეორა პროფესორმა.

ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რა ნიშანი იყო ეს, ამიტომ ლენტი გადავწიე. ყელის შიდა ვენასთან ორი პატარა ავბედითი წერტილი ჩანდა. ამ იარებს ავადმყოფური პროცესები არ ეტყობოდა, თუმცა კიდეები მკრთალი და თითქოს დახეთქილი ჰქონდა. ჯერ ვიფიქრე, ეს ჭრილობები დიდი რაოდენობით სისხლის დაკარგვისაგან გაჩნდებოდა-მეთქი, მაგრამ მაშინვე უკუვაგდე ეს აზრი, რადგანაც აბსოლუტურად შეუძლებელი იყო. ოპერაციამდე ლუსის სიფერმკრთალიდან გამომდინარე, ალბათ, იმდენი სისხლი დაკარგა, რომ მთელი მისი საწოლი სისხლით უნდა ყოფილიყო გაჟღენთილი.

- აბა? - იკითხა ვან ჰელსინკმა.

- დიახ, - ვუპასუხე მე. - აქ რაიმეს გაკეთება შეუძლებელია.

პროფესორი ადგა.

- დღესვე უნდა დავბრუნდე ამსტერდამში, - მითხრა მან. - იქ მაქვს წიგნები და ის რაღაც-რაღაცები, რაც ძალიან მჭირდება. აქ მთელი ღამით დარჩენა მოგიწევს, თვალი არ უნდა მოაშორო.

- მომვლელი არ გვჭირდება? - ვიკითხე მე.

- თვითონ ვართ საუკეთესო მომვლელები. თვალყური ადევნე, რომ კარგად იკვებოს და არაფერზე ინერვიულოს. მთელი ღამე მასთან უნდადარჩე. გამოძინებას მერე მოვახერხებთ. ვეცდები, რაც შეიძლება მალე დავბრუნდე და მაშინ შევძლებთ მკურნალობის დაწყებას.

- დაწყებას? - ვკითხე მე. - ამით რისი თქმა გნებავთ?

- ნახავ, - მიპასუხა მან და სასწრაფოდ გავიდა. ორიოდე წუთში ისევ დაბრუნდა, კარში თავი შემოყო, თითი დამიქნია და მითხრა:

- გახსოვდეს, რომ მასზე შენ უნდა იზრუნო. თუკი თუნდაც ერთი წუთით მიატოვებ და რამე დაემართება, მშვიდად ვეღარასოდეს დაიძინებ.

ექიმ სიუარდის დღიური

8 სექტემბერი.

მთელი ღამე ლუსის გვერდით მჯდომმა გავატარე. გარიჟრაჟზე საძილე საშუალების მოქმედება შეწყდა და მან გაიღვიძა. ოპერაციის შემდეგ სრულიად შეიცვალა. მშვენიერ გუნებაზე დადგა. სიცოცხლით იყო აღსავსე. მისის ვესტენრას ვუთხარი, ექიმმა ვან ჰელსინ-

კმა დამიბარა, რომ მთელი ღამე პაციენტის გვერდით ვყოფილიყავი-მეთქი, მაგრამ მან ამაზე კატეგორიული უარი განაცხადა და დაიჟინა, ჩემი გოგონა უკვე საკმაოდ მომჯობინდა და კარგად გრძნობს თავსო. მაგრამ მე მაინც ჩემი გავიტანე და მოვამზადე ყველაფერი, რაც მჭირდებოდა. სანამ მოახლე ღამის თადარიგს დაიჭერდა, სავახშმოდ გავედი, შემდეგ დავბრუნდი და საწოლის გვერდით მოვკალათდი. ლუსის არავითარი პროტესტი არ გამოუთქვამს, პირიქით, თითქოს ჩემი მადლიერიც იყო. შემდეგ ნელ-ნელა ძილი მოერია, მაგრამ როგორღაც თავს იკავებდა, თითქოს ებრძოდა. ეს რამდენჯერმე განმეორდა. აშკარა იყო, რომ რატომღაც არ უნდოდა დაძინება და მეც გავესაუბრე:

- არ გინდათ, დაიძინოთ?

- დაძინების მეშინია!

- დაძინების გეშინიათ? რატომ? ეს ხომ ისე სიკეთეა, რაც ყველას გვწყურია.

- დიახ, მაგრამ ჩემს ადგილზე რომ იყოთ, ძილი თქვენთვის საშინელების მომასწავებელი რომ იყოს...

- საშინელების მომასწავებელი? არ მესმის, რას ამბობთ!

- არ ვიცი, თვითონაც არ ვიცი! და ესაა ყველაზე საშინელი. ჩემი სისუსტე მარტოოდენ ამ სიზმრებისგანაა. მათზე ფიქრიც კი მაშინებს.

- მაგრამ, ჩემო ძვირფასო, დღეს მშვიდად შეგიძლიათ, დაიძინოთ! მე აქ ვიქნები და გპირდებით, რომ არაფერი მოხდება.

- ოჰ, ვიცი, რომ თქვენი იმედი შემიძლია, მქონდეს!

შემთხვევით ვისარგებლე და ვუთხარი:

- გპირდებით, რომ როგორც კი კოშმარის რამე ნიშნებს შევნიშნავ, დაუყოვნებლივ გაგაღვიძებთ.

- მართლა? ამას ნამდვილად გააკეთებთ? რა კეთილი ბრძანდებით! ოჰ, მაშინ დავიძინებ!

ამ სიტყვებზე შვებით ამოისუნთქა, თვალები დახუჭა და დაიძინა.

მის გვერდით მთელი ღამე ვიმორიგეევ. იგი არ განძრეულა და ღრმად ეძინა მშვიდი, ჯანმრთელი ძილით. უთენია მოახლე შემოვიდა, მას ჩემი ადგილი დავუთმე და შინ წავედი, რადგან ბევრი სხვა საქმეც მქონდა. ვან ჰელსინკსა და ართურს მივწერე და შევატყობინე ოპერაციის კარგი შედეგი. ჩემს საქმეებს მთელი დღე დასჭირდა და უკვე ბნელოდა, როცა მოვახერხე ჩემი პაციენტის - ზოოფაგუსის მონახულება. კარგი ამბები დამხვდა: იგი სრულიად წყნარად იყო უკანასკნელი დღე-ღამის მანძილზე. სადილობისას დეპეშა მივიღე ვან ჰელსინკისგან, ამსტერდამიდან. იგი მთხოვდა, რომ ღამით ჰილინჰემში მივსულიყავი, ასე მასთან უფრო ახლოს ვიქნებოდი, ის ღამით გამოჰყვებოდა საფოსტოს და ჩემთან დილით ადრე იქნებოდა.

9 სექტემბერი.

ჰილინჰემში დაღლილ-დაქანცული მივედი. თითქმის ორი ღამე არ მეძინა და უკვე ტვინიც აღარ მიმუშავებდა. ლუსიმ გაიღვიძა, მხიარულ გუნებაზე იყო: მისალმებისას სერიოზულად შემომხედა და მომმართა:

- დღეს არ შეიძლება თქვენი მორიგეობა. გადაქანცული ხართ. მე ისევ კარგად ვარ. სერიოზულად, ძალიან ჯანმრთელად ვგრძნობ თავს და თუ ჩვენ ორიდან ვინმემ აუცილებლად უნდა იფხიზლოს, ჯობს მე ვუდარაჯო თქვენს სიმშვიდეს.

მასთან კამათი არ მინდოდა და სავახშმოდ გავედი. გემრიელად გეახელით და ნატიფი ღვინოც დავაყოლე. შემდეგ ლუსი ჩემთან ჩამოვიდა და ერთ-ერთ ოთახში ამიყვანა, რომელიც მისი საძინებლის გვერდით იყო. იქ ბუხარი ენთო.

- ახლა, - თქვა მან, - თქვენ აქ მოეწყვეთ. ამ კარს ღიას დავტოვებ. ტახტზე დაწექით, რადგანაც ვიცი, რომ მორიგეობის დროს თქვენ - ექიმებს - ვერაფერი გაიძულებთ საწოლში დაწოლას, თუკი თქვენს გვერდით პაციენტი იმყოფება. თუ რამე დამჭირდება, დაგიძახებთ და მაშინვე შეგიძლიათ ჩემთან მოხვიდეთ.

იძულებული გავხდი, დავმორჩილებოდი, მით უფრო, რომ საშინლად დაღლილი ვიყავი და სიფხიზლის თავი აღარ მქონდა, ძალიანაც რომ მდომებოდა. მან კიდევ ერთხელ გაიმეორა, დაგიძახებ, თუ რამე დამჭირდებაო. მე ტახტზე წამოვწექი და ყველაფერი გადამავიწყდა.

ლუსი ვესტენრას დღიური

9 სექტემბერი.

დღეს საღამოს ძალიან ბედნიერად ვგრძნობ თავს. მთელი ეს პერიოდი ძლიერ სუსტად ვიყავი, დღეს კი შემიძლია ვიმოძრაო, ვისაუბრო და ვიფიქრო, ჩემს სულში თითქოს მზემ გამოანათა მოღრუბლული დღეებისშემდეგ. მეჩვენება, რომ ართური ჩემთან ძალიან, ძალიან ახლოსაა - მე მის ყოფნას ვგრძნობ. ვიცი, სად დაფრინავს ჩემი ფიქრები. ართურმაც რომ იცოდეს! ჩემო ძვირფასო, ძვირფასო! ალბათ, ჩემი ხმა გამუდმებით გესმის. ოჰ, წინა ღამის სანატრელო სიმშვიდევ! რა კარგად მეძინა მაშინ, როცა ეს სათნო ექიმი სიუარდი მორიგეობდა ჩემ გვერდით. არც დღეს შემეშინდება დაძინების, რადგან ის ასე ახლოსაა, მას ხომ ყოველ წუთს შემიძლია დავუძახო. ყველას უსაზღვრო მადლობა ამ სიკეთისათვის. გმადლობ, უფალო. ღამე მშვიდობისა, ართურ!

ექიმ სიუარდის დღიური

10 სექტემბერი.

თავზე პროფესორის ხელი ვიგრძენი, მაშინვე გავიღვიძე და წამოვხტი. ამას საავადმყოფოში მივეჩვიეთ.

- აბა, როგორ არისჩვენი პაციენტი?

- კარგად იყო, როცა დავტოვე, ან, უფრო სწორად, როცა დამტოვა, - ვუპასუხე მე.

- წავიდეთ, ვნახოთ, - მითხრა მან და ჩვენ ერთად შევედით მის ოთახში.

ფარდა დაშვებული იყო, მე მის გადასაწევად გავემართე, ამასობაში კი ვან ჰელსინკი ჩუმად, ფეხის წვერებზე მიუახლოვდა საწოლს. როცა ფარდა გადავწიე და ოთახს მზის სინათლე მოეფინა, პროფესორის ოხვრა შემომესმა. უკვე ვიცოდი ამ ოხვრის მიზეზი და თავზარი დამეცა. როცა მივუახლოვდი, მკაცრი სახე დაემანჭა და გაუფითრდა. ვგრძნობდი, როგორ ამიცახცახდა მუხლები.

საბრალო ლუსი საწოლში იწვა, როგორც ჩანდა, გულწასული, ადრინდელზე კიდევ უფრო ფერმკრთალი და უსიცოცხლო სახით. ტუჩებიც კი გაფითრებოდა.

- სწრაფად, - დამავალა ვან ჰელსინკმა, - არაყი მოიტანე.

სასადილოში გავვარდი და გრაფინით დავბრუნდი. არაყით ტუჩები დავუსველეთ და ხელისგულები და გულმკერდი დავუზილეთ. მან ლუსის გულისცემა გაუსინჯა და რამდენიმე საგანგაშო წუთის შემდეგ თქვა:

- ჯერ კიდევ არ არის გვიან. გული უცემს, თუმცა კი სუსტად. მთელი ჩვენი შრომა წყალში ჩაგვეყარა, თავიდან მოგვიწევს დაწყება. ჭაბუკი ართური, სამწუხაროდ, აქ არ არის, ამჯერად მომიწევს, შენ მოგმართო, მეგობარო ჯონ.

ამ სიტყვების შემდეგ თავისი ჩემოდნის ქექვას შეუდგა და იქიდან ინსტრუმენტები ამოიღო ტრანსფუზიისათვის. სერთუკი გავიხადე და პერანგის სახელოები ავიკაპიწე. საძილე პრეპარატის გამოყენების არავითარი საშუალება არ იყო და, არსებითად, ის არც გვჭირდებოდა, ამიტომ დაუყოვნებლივ შევუდექით ოპერაციას. რამდენიმე ხნის შემდეგ ვან ჰელსინკმა ხელი ასწია და გაფრთხილების ნიშნად თითი დამიქნია:

- წყნარად, არ გაინძრე, - დაიჩურჩულა მან, - ვშიშობ, რომ ძალებისა და სიცოცხლის მოზღვავების წყალობით წუთი წუთზე მოვა გონს, მაშინ კი საფრთხე გვემუქრება, საშინელი საფრთხე. თუმცა, უსაფრთხოების ზომებს მივიღებ. კანქვეშ მორფიუმს შევუშხაპუნებ.

და იგი ფრთხილად შეუდგა თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანას. მორფიუმმა კარგად იმოქმედა ჩვენს პაციენტზე. მისი წყალობით ლუსის გულყრა ნელ-ნელა ძილში გადავიდა. სიამაყის გრძნობამ მომიცვა, როცა დავინახე, როგორ უბრუნდებოდა ნაზი ელფერი მის ფერმკრთალ ლოყებსა და ტუჩებს. სასიამოვნოა იმის შეგნება, რომ თუნდაც მცირე სარგებელი მოუტანე საყვარელ ქალს. პროფესორი ყურადღებით მადევნებდა თვალს.

- საკმარისია! - თქვა მან.

- უკვე? - გამიკვირდა მე. - ართურისგან უფრო მეტი ამოიღეთ!

პასუხის ნიშნად სევდიანად გაიღიმა:

- ის მისი სატრფოა, მისი საქმრო! შენ კიდევ ბევრჯერ მოგიწევს სიცოცხლის გაწირვა როგორც მისთვის, ისე სხვებისთვის, ახლა კი - კმარა.

როდესაც ოპერაცია დამთავრდა, იგი ლუსის მიუბრუნდა. მე კი იმის მოლოდინში, როდის განთავისუფლდებოდა, რათა მე დამხმარებოდა, ტახტზე წამოვწექი, რადგან სუსტად ვგრძნობდი თავს. მალე მეც შემიხვია ჭრილობა და ჭიქა ღვინის დასალევად ჩამგზავნა ქვევით. როცა ოთახიდან გავდიოდი, დამეწია და ჩამჩურჩულა:

- გახსოვდეს, სიტყვა არავისთან დაძრა, ართურსაც ნურაფერს ეტყვი, თუ აქ მოვა მოულოდნელად. ამან შეიძლება შეაშინოს და დააეჭვოს კიდეც. არც ერთი არ გვჭირდება. ჯერჯერობით - სულ ესაა.

დღისით ლუსის მშვენივრად ეძინა და როცა გაიღვიძა, კარგად გამოიყურებოდა, თითქოს ცოტა მომჯობინდა კიდეც, თუმცა გუშინდელივით კარგად მაინც ვერ გრძნობდა თავს. მისმა შესახედაობამ დააკმაყოფილა ვან ჰელსინკი და სასეირნოდ გავიდა, თან მკაცრად დამიბარა, ლუსისთვის თვალი არ მომეცილებინა. გავიგონე, როგორ იკითხა წინკარში, ტელეგრაფში უმოკლესი გზით როგორ მივალო?

ლუსი გულთბილად მესაუბრებოდა და ეტყობოდა, რომ წარმოდგენაც არ ჰქონდა იმის შესახებ, რაც სულ ახლახან გადახდა თავს. მე მის გართობას ვცდილობდი. როცა მისის ვესტენრა შემოვიდა ოთახში, როგორც ჩანს, ქალიშვილს ვერავითარი ცვლილება ვერ შეატყო და მითხრა:

- თქვენი როგორი მადლიერები ვართ, ექიმო სიუარდ, ყველაფრისათვის, რაც ჩვენთვის გააკეთეთ, მაგრამ ძალიან გთხოვთ, ნუ გადაიღლებით. თქვენ თვითონ ფერმკრთალი ხართ და ჩამომხმარი. ცოლი გჭირდებათ, რომელიც მოგივლით, ეს თქვენთვის აუცილებელია.

ამ სიტყვებზე ლუსი გაწითლდა, თუმცა სულ რაღაც ერთი წამით, რადგანმის დაცლილ ვენებს დიდი ხნით არ შეეძლოთ სისხლის ასე მოულოდნელი მიმოქცევა. რეაქციამ არ დააყოვნა: ლუსი უჩვეულოდ გაფითრდა. გავიღიმე და უარყოფის ნიშნად გავაქნიე თავი, თითი ტუჩებზე დავიდე, რათა ავადმყოფისათვის მენიშნებინა, რომ

ლაპარაკის უფლება ჯერ არ ჰქონდა. ვან ჰელსინკი ორ საათში დაბრუნდა და მითხრა:

- ახლა - სწრაფად შინისაკენ, ისადილე, ღვინო დალიე და კარგად გამოიძინე. ღამით აქ მე დავრჩები პატარა ლედისთან. მის ავადმყოფობას ჩვენ უნდა ვადევნოთ თვალყური - სხვებმა ეს არც უნდა იცოდნენ. ამისათვის ჩემი მიზეზები მაქვს. მათზე ნურაფერს მკითხავ, იფიქრე, რაც გინდა. ყველაზე შეუძლებელიც შეგიძლია წარმოიდგინო! ძილი ნებისა.

წინკარში ორი მოახლე მომიახლოვდა და ერთ-ერთმა მკითხა, საჭირო ხომ არ არის, რომელიმე ჩვენგანი მის ლუსისთანდარჩესო? მემუდარებოდნენ, მათთვის ამის ნება დამერთო. როცა ვუთხარი, რომ ექიმ ვან ჰელსინკს სურს, თავად იგი ან მე ვიჯდეთ-მეთქი ავადმყოფის საწოლთან, მათ თხოვნა დამიწყეს, იქნებ უცხოელი მაინც დაითანხმოთო. მათმა სათნოებამ ძალიან ამაღელვა. საავადმყოფოში საღამოს დავბრუნდი, მოვიარე აქაურობა - ყველაფერი რიგზეა. წამოვწექი. ძალიან მეძინება.

17 სექტემბერი.

დღეს საღამოს ისევ ვიყავი ჰილინჰემში. ვან ჰელსინკი კარგ გუნებაზე დამხვდა. ლუსი გაცილებით უკეთაა. თითქმის ჩემი მისვლისთანავე ვან ჰელსინკს რაღაც პაკეტი მოუტანეს. მან მოუთმენლად გახსნა და თეთრი ყვავილების მთელი გროვა გვიჩვენა.

- ეს თქვენ, მის ლუსი, - თქვა მან.

- ოჰ, ექიმო, რა თავაზიანი ბრძანდებით!

- დიახ, ჩემო ძვირფასო, ეს თქვენთვისაა, მაგრამ არა გასართობად. ეს წამალია.

ლუსის სახეზე უკმაყოფილება აღებეჭდა.

- არა, ნუ ღელავთ. თქვენ არ მოგიწევთ მისი მიღება ნახარშის ან რაიმე სხვა სახით, ასე რომ, ნუ ჩამოუშვებთ თქვენს მომხიბლავ ცხვირს, თორემ ჩემი მეგობარი ართური ძალიან დაღონდება. დიახ, ჩემო ძვირფასო მის! ოოჰ, ახლა კი გასწორდა თქვენი ცხვირი. ამრიგად - ყვავილები სამკურნალო საშუალებაა, თუმცა ყველას არ ესმის, როგორი. თქვენს ფანჯარასთან დავაწყობ, ლამაზ გვირგვინს გავაკეთებ და კისერზე ჩამოგკიდებთ, კარგად რომ გეძინოთ. ოჰ, დიახ, ისინი ლოტოსივით დაგავიწყებენ ყოველგვარ სევდას. მათ სიჭაბუკის ელექსირის სურნელი ასდით, თვით უდიდესი კონკისტადორი ეძებდა მათ ფლორიდაში და იპოვა კიდეც, მაგრამ სამწუხაროდ, მეტისმეტად გვიან.

სანამ ის ლაპარაკობდა, ლუსი თვალს არ აშორებდა ყვავილებს და მათ არომატს შეისუნთქავდა. შემდეგ თავი ანება და ნაძალადევი ღიმილით წარმოთქვა:

- ოჰ, პროფესორო, იმედი მაქვს, რომ ეს ლამაზი ხუმრობაა თქვენი მხრიდან. ეს ხომ უბრალო ნიორია!

ჩემდა გასაოცრად, ვან ჰელსინკი ადგა და სრულიად სერიოზულად მიუგო:

- ძალიან გთხოვთ, მის ლუსი. მე არასოდეს არავის დავცინი. უსაფუძვლოდ არაფერს ვაკეთებ და გთხოვთ, წინააღმდეგობას ნუ გამიწევთ. ფრთხილად იყავით, თუ პირადად თქვენთვის არა, სხვებისთვის მაინც.

შემდეგ, როცა დაინახა, რომ ლუსი შეშინდა, რაც სრულიად გასაგები იყო, უფრო ალერსიანად განაგრძო:

- ოჰ, ჩემო ძვირფასო პატარა მის, ჩემი ნუ შეგეშინდებათ. მე ხომ თქვენთვის მხოლოდ სიკეთე მსურს ამ უბრალო ყვავილებს თქვენთვის დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია. აი, შეხედეთ, - თვითონ დავაწყობ მათ თქვენთან, ოთახში, თვითონ გაგიკეთებთ გვირგვინს. მაგრამ - ფრთხილად! არავისთან არც ერთი სიტყვა, რათა ვინმეს ზედმეტად ცნობისმოყვარეობა არ გავუღვივოთ. ამგვარად, ჩემო პატარავ, უსიტყვოდ უნდა დამემორჩილოთ, დუმილი ამ მორჩილების ნაწილია, მორჩილებამ კი ძლიერი და ჯანმრთელი უნდა დაგაბრუნოთ მის ალერსში, ვისაც უყვარხართ და გელით. ახლა ცოტა ხნით წყნარად იჯექით. წამომყევი, მეგობარო ჯონ ოთახში ნიორი დავყაროთ, რომელიც ჰარლემიდანაა გამოგზავნილი. ჩემს მეგობარ ვანდერპულს ეს ყვავილები სათბურებში მთელი წლის მანძილზე მოჰყავს. გუშინ მას დეპეშა გავუგზავნე - აქ მათ შოვნაზე ვერც ვიოცნებებდი.

ჩვენ ყვავილები წავიღეთ და ოთახში შევედით. პროფესორი, მართლაც მეტისმეტად უცნაურად იქცეოდა, ამას ვერავითარ სამედიცინო წიგნში ვერ ვნახავდი: ჯერ ყველა ფანჯარა დაკეტა და ურდულებით ჩარაზა, შემდეგ ყვავილების მთელი ბღუჯა აიღო და ამ მასით ყველა ჭუჭრუტანა ამოქოლა. ამის შემდეგ ამ ყვავილების კონა

ენერგიულად გადაუსვა კარის ყველა წირთხლს. იგივე გაუკეთა ბუხარსაც. ეს ყველაფერი არაბუნებრივად მომეჩვენა და გაოგნებულმა ვუთხარი:

- მე ყოველთვის მჯეროდა, პროფესორო, რომ თქვენ უსაფუძვლოდ არაფერს აკეთებთ, მაგრამ კარგია, რომ აქ ვინმე სკეპტიკოსი არ არის, თორემ იტყოდა, უწმინდური ძალის წინააღმდეგ აკეთებს ჯადოსო.

- შესაძლოა, ასეც არის, - მშვიდად მიპასუხა მან და ლუსისთვის გვირგვინის დამზადებას შეუდგა.

დავიცადეთ, სანამ ლუსი ძილისათვის მოემზადებოდა. შემდეგ პროფესორმა კისერზე გვირგვინი ჩამოაცვა. მისი ბოლო სიტყვები იყო:

- ფრთხილად იყავით, არ დაგლიჯოთ და არც ფანჯრები გააღოთ, არც კარი, ოთახი ძალიანაც რომ დაიხუთოს.

- გპირდებით, - აღუთქვა ლუსიმ, - და უსაზღვრო მადლობა ორივე თქვენგანს ამხელა თავდადებისათვის. რით დავიმსახურე ასეთი ადამიანების მეგობრობა?

შემდეგ ჩემი ეტლით წავედით, რომელიც მიცდიდა. ვან ჰელსინკმა თქვა:

- დღეს შემიძლია მშვიდად დავიძინო, ეს ძალიან მჭირდება, - მგზავრობის ორი ღამე, შუალედში დღისით - უამრავი საკითხავი, მეორე დღეს კი - უამრავი დარდი. ღამით ისევ მომიწია მორიგეობამ,

ასე რომ, თვალი არ მომიხუჭავს. ხვალ დილით ადრე მოხვალ ჩემთან და ერთად წავალთ ჩვენს საყვარელ ლედისთან, რომელიც, იმედი მაქვს, გამოკეთდება იმ „ჯადოს“ წყალობით, რაც მე მოვაწყვე. - ოჰ-ჰო, ჰო!

იგი იმდენად იყო დარწმუნებული, რომ დაუძლეველმა შიშმა ამიტანა, რადგან გამახსენდა, როგორი თავდავიწყებით მჯეროდა კეთილი დასასრულის და რა სამწუხარო აღმოჩნდა შედეგები. ჩემისისუსტე ნებას არ მაძლევდა, მეღიარებინა ეს მეგობრის წინაშე და ამის გამო სულის სიღრმეში კიდევ უფრო მეტად ვიტანჯებოდი.

თავი მეთერთმეტე
ლუსი ვესტენრას დღიური

12 სექტემბერი.

რა კეთილები არიან ჩემ მიმართ! ძალიან მიყვარს ექიმი ვან ჰელსინკი. მიკვირს, ასე რატომ ღელავდა ამ ყვავილების გამო. თუმცა, ის, ალბათ, მართალია - მათთან ერთად რაღაც უკეთ გავხდი. რაც არ უნდა იყოს, მე უკვე არ მეშინია მარტოობის და შემიძლია, უშიშრად წავიდე დასაძინებლად. ყურადღებას აღარ მივაქცევ ფანჯარასთან ფრთების ფართხუნს. რა საშინელი ბრძოლის ფასად მიჯდებოდა ძილი ბოლო დროს! როგორი ბედნიერები არიან ისინი, ვინც შიშისა და საშინელებათა გარეშე ცხოვრობენ, ვისთვისაც ძილი ღამეული ნეტარებაა და მხოლოდ ტკბილ სიზმრებს ხედავენ. აი, ვწევარ ძილის მოლოდინში, როგორც ოფელია დრამაში, თავზე გვირგვინით და მთლიანად ყვავილებში. ადრე არასოდეს მყვარებია

ნივრის სუნი, მაგრამ ახლა ეს სუნი მსიამოვნებს! მასში არის რაღაც დამამშვიდებელი - ვგრძნობ, რომ უკვე ძილი მერევა. ღამე მშვიდობისა ყველას!

ექიმ სიუარდის დღიური

13 სექტემბერი.

ბერკერლიში გამოვცხადდი. ვან ჰელსინკი უკვე ფეხზე იყო - დროულად, როგორც ყოველთვის. სასტუმროში შეკვეთილი ეტლი უკვე კართან იცდიდა. პროფესორმა თავისი ჩემოდანი წამოიღო, რომელსაც ახლა არასოდეს იცილებს. ჰილინჰემში დილის რვა საათზე მივედით. სახლში შესვლისას მისის ვესტენრა შეგვხვდა, რომელიც თავისი ოთახიდან გამოდიოდა. იგი გულთბილად მოგვესალმა და გვაუწყა:

- ვიცი, ძალზე გაგიხარდებათ, რადგან ლუსი უკეთაა. ჯერ კიდევ სძინავს, მასთან ოთახში შევიხედე, მაგრამ არ შევსულვარ, რომ არ შემეწუხებინა.

პროფესორმა გაიღიმა და მიუგო:

- დიახ! მგონი, სწორი დიაგნოზი დავსვი. ჩემი წამალი მოქმედებს.

- ამაზე მისის ვესტენრამ უპასუხა:

- ყველაფერი არ უნდა მიიწეროთ, ექიმო. ლუსის სიმშვიდეში ნაწილობრივ მეც მიმიძღვის წვლილი.

- ამით რისი თქმა გსურთ, ქალბატონო? - ჰკითხა პროფესორმა.

- ბავშვზე ვღელავდი და მასთან შევედი ოთახში. ღრმად ეძინა, ისე მაგრად, რომ ჩემმა მისვლამაც არ გააღვიძა. მაგრამ ოთახი ძალიან იყო დახუთული და ფანჯარა გამოვაღე. იქ ყველგან ეწყო ეს საშინელი სუნის ყვავილები, ყელზეც კი ჰქონდა შემოხვეული მთელი ბღუჯა, ვიფიქრე, ეს მძაფრი სუნი ძალიან მავნეა საყვარელი ბავშვისათვის, რომელიც ჯერ კიდევ სუსტადაა-მეთქი, ასე რომ, ყვავილები მივალაგე და ფანჯარა ოდნავ გავაღე, რათა ოთახში ჰაერი გამეწმინდა. თქვენ ძალზე კმაყოფილი იქნებით ლუსის მდგომარეობით, დარწმუნებული ვარ.

ის თავის ოთახში გავიდა, სადაც, ჩვეულებრივ, საუზმობდა. პროფესორს თვალს არ ვაცილებდი და დავინახე, რომ სახეზე მკვდრისფერი დაედო, ცდილობდა, თავი შეეკავებინა საბრალო ლედის თანდასწრებით, რადგან ყველაფერს კარგად ხვდებოდა, - იღიმებოდა კიდეც, - მაგრამ როგორც კი გავიდა მისის ვესტენრა, სასადილოსკენ მიბიძგა და კარი ჩაკეტა.

აქ მე პირველად ვნახე სასოწარკვეთილი ვან ჰელსინკი. შეძრწუნებულმა ხელი ასწია და იყვირა:

- ღმერთო, ღმერთო, ღმერთო! ასეთი რა ჩავიდინეთ, ან რა დაეშავა ამ საბრალო ბავშვმა, რომ უბედურება არ გველევა? ნუთუ სატანის წყევლა გვიმძიმებს სულს, რადგან ასეთი რაღაცები ხდება? ამ საწყალ დედას უნდა, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ შეატრიალოს და სრულიად გაუაზრებლად ისეთ რამეს აკეთებს, რაც მისი ქალიშვილის სულსა და სხეულს ღუპავს! ოჰ, რა საშინელებაა! როგორ გვებრძვის ეშმაკეული!

- წავიდეთ, - მითხრა მან წუთიერი პაუზის შემდეგ, - წავიდეთ, ვნახოთ და ვიმოქმედოთ, სულ ერთია, ერთი ეშმაკია თუ მთელი ლეგიონი, მაინც დავამარცხებთ.

იგი წინკარში გავარდა ჩემოდნისათვის და ჩვენ ერთად ავედით ლუსის ოთახში.

მე ფარდები გადავწიე, სანამ ვან ჰელსინკი საწოლთან მივიდოდა. ამჯერად ის არ შეცბუნებულა, როდესაც თვალი შეავლო ისევ ცვილივით გაფითრებულ, საბრალო სახეს.

- ასეც ვიცოდი, - ჩაიბუზღუნა მან. შემდეგ ხმის ამოუღებლად მიხურა კარი და ინსტრუმენტების ამოლაგება დაიწყო სისხლის გადასხმის ახალი ოპერაციისათვის. მე უკვე დიდი ხანია მივხვდი ამის აუცილებლობას და სერთუკის გახდა დავიწყე, მაგრამ მან ხელის ჟესტით შემაჩერა.

- არა, - თქვა მან, - დღეს თქვენ გააკეთებთ ოპერაციას. ობიექტი მე ვიქნები. თქვენ ძალიან ბევრი სისხლი დაკარგეთ.

ისევ ოპერაცია, ისევ საძილე საშუალებათა გამოყენება, ისევ ელფერის დაბრუნება მონაცრისფრო ლოყებზე და ჯანსაღი ძილისთვის დამახასიათებელი რეგულარული სუნთქვა. ამჯერად მე ვდარაჯობდი, სანამ ვან ჰელსინკი ისვენებდა და ძალას იკრებდა.

მან პირველივე შემთხვევით ისარგებლა და მისის ვესტენრას სთხოვა, ჩემთან შეუთანხმებლად ლუსის ოთახიდან ნურაფერს გაიტანთო. აუხსნა, რომ ყვავილები სამკურნალოა და რომ მათი არომატის შესუნთქვა მკურნალობის გეგმაში შედის. მერე ისიც დასძინა,

ამ ღამეს და მომდევნო ღამესაც ავადმყოფის საწოლთან გავატარებო. მე კი მითხრა, როდესაც გიხმობ,მაშინვე გამოცხადდიო.

ორსაათიანი ძილის შემდეგ ლუსიმ ხალისიანმა და მხიარულმა გაიღვიძა, თავს უარესად სულაც არ გრძნობდა საშინელი განსაცდელის შემდეგ.

რას ნიშნავს ეს ყვლეაფერი? მე უკვე მეშინია,ხომ არ აისახება ჩემს ტვინზე ხანგრძლივი ყოფნა შეშლილთა შორის.

ლუსი ვესტენრას დღიური

17 სექტემბერი.

ოთხი წყნარი დღე და ღამე. ძალა ისე მემატება, რომ თავს ვეღარ ვცნობ. მეჩვენება, თითქოს ხანგრძლივი კოშმარის შემდეგ ვიღვიძებ.

ეს-ეს არის გავახილე თვალები, მშვენიერი მზე ანათებს და დილის მაცოცხლებელ ჰაერს ვსუნთქავ. ბუნდოვნად მახსენდება რაღაც საშინელების ხანგრძლივი, სევდიანი მოლოდინი. წყვდიადი, რომელშიც გადარჩენის არავითარი იმედი არ იყო, ხოლო შემდეგ - უსასრულო თავდავიწყება და სიცოცხლესთან დაბრუნება, იმ მყვინთავივით, რომელიც წყლის სიღრმიდან დღის სინათლეზე ამოდის. მას შემდეგ, რაც ექიმი ვან ჰელსინკი ჩემთანაა, მთელი ეს საზარელი სიზმრები, მგონი, გაქრა. ბგერები, რომლებსაც ჭკუიდან გადავყავდი, - ფანჯრების მიღმა ფრთების ტყლაშუნი, შორეული ხმები, რაც ასე ახლობელი მეჩვენებოდა, მკვეთრი ბგერა, რომელიც არც ვიცი, საიდან მოდიოდა და რას ითხოვდა ჩემგან, - ეს ყველაფერი ახლა შეწყდა. ამჟამად სულაც არ მეშინია დაძინების. არც ვცდილობ, რომ

არ დამეძინოს. ნიორი შემიყვარდა და ჰარლემიდან ყოველდღე მიგზავნიან კალათებით. დღეს ექიმი ვან ჰელსინკი მიემგზავრება, რადგან რამდენიმე დღით ამსტერდამში უნდა ჩავიდეს. მაგრამ მე ხომ თვალყურის დევნება არ მჭირდება, საკმაოდ კარგად ვგრძნობ თავს და მარტოც შემიძლია დავრჩე. უფალს მადლობას ვწირავ დედაჩემისთვის, ძვირფასი ართურისა და ჩვენი ყველა მეგობრისათვის, რომლებიც ასეთი კარგი ადამიანები არიან. გუშინ ღამით ექიმ ვან ჰელსინკს დიდხანს ეძინა თავის სავარძელში. იგი ორჯერ ვნახე მძინარე, სანამ საბოლოოდ გამოვფხიზლდებოდი. მაგრამ არ შემშინებია ისევ დამეძინა, მიუხედავად იმისა, რომ ხის ტოტები და ღამურები ძლიერ ეხეთქებოდნენ ფანჯრის ჩარჩოს.

თავდაღწეული მგელი

18 სექტემბრის „PALL MALL GAZETTE“

ჩვენი ინტერვიუერის სახიფათო თავგადასავალი. ინტერვიუ ზოოლოგიური ბაღის დარაჯთან.

ხანგრძლივი გამოკითხვისა და პაროლის სახით „Pall Mall Gazette“-ის გამუდმებული ხსენების შემდეგ მე საბოლოოდ მოვახერხე, მეპოვნა ზოოლოგიური ბაღის იმ განყოფილების მეთვალყურე, სადაც მგლები ჰყავთ. თომას ბილდერი ერთ-ერთ იმ სახლში ცხოვრობს, რომელიც სპილოების საცხოვრებელთან მდებარეობს. იგი ჩაის დასალევად ემზადებოდა, როდესაც კარზე დავაკაკუნე. თომასი და მისი მეუღლე ძალიან სტუმართმოყვარე ადამიანები არიან და თუ ის სტუმართმოყვარეობა, რაც ჩემდამი გამოიჩინეს, მათთვის ჩვეულებრივი მოვლენაა, მაშინ მათი ცხოვრება, ალბათ, საკმაოდ კომფორტულადაა აწყობილი. დარაჯმა ყოველგვარ საქმეზე უარი განაცხადა, სანამ არ ივახშმებდა, რისი წინააღმდეგი არც მე

ვყოფილვარ. შემდეგ, როცა მაგიდა აალაგეს და მან თავისი ჩიბუხი გააბოლა, მითხრა:

- ახლა, სერ, შეგიძლიათ მკითხოთ, რაც გნებავთ. მაპატიეთ, რომ თქვენთან საუბარზე ჭამამდე უარი განვაცხადე. მე მგლებს, ტურებსა და აფთრებს ჯერ „ჩაის“ ვაძლევ და შემდეგ გადავდივარ მათ გამოკითხვაზე.

- რა გაქვთ მხედველობაში? - ვკითხე მე. ვცდილობდი, მასთან საუბარი გამება.

- მათთვის ჯოხის თავში ჩარტყმა - ეს ერთი ხერხია. ყურებს უკან მოფხანა - მეორე. ისე კი მე პირველი მომწონს - თავში ჯოხის ჩარტყმა, სანამ სადილს დავურიგებ. ვამჯობინებ, მოვიცადო, სანამ, ასე ვთქვათ, თავიანთ ხერესსა და ყავას დალევენ, რათა ყურებს უკან მოვფხანო. თქვენ თუ შეგინიშნავთ, - დაამატა მან ფილოსოფიურად, - რომ ყოველი ჩვენგანის ბუნებაში არის რაღაც მათეული - ამ მხეცების მსგავსი. აი, თქვენ მოხვედით აქ და კითხვებს მისვამთ ჩემი მოვალეობების თაობაზე, მე კი, ბებერი ბუზღუნა, მანამდე ვისურვებდი თქვენს აქედან გაგდებას, სანამ ჩემთან საუბრის დაწყებას მოასწრებდით. საწყენად არ ვამბობ - არ მითქვამს თქვენთვის, ჯანდაბამდეც გზა გქონიათ-მეთქი?

- დიახ, მითხარით.

- ხოლო როცა თქვენ მიპასუხეთ, რომ ბილწსიტყვაობის გამო პასუხისგებაში მიმცემდით, თითქოს ცულის ყუა დამკრეს თავში. იმ ნახევარმა გირვანქამაც ყველაფერი მოაგვარა. ჭიდილს არ ვაპირებ-

დი, უბრალოდ ვახშამს ველოდი და ჩემი ბუზღუნით იგივე გამოვხატე, რასაც მგლები, ლომები და ვეფხვები გამოხატავენ თავიანთი ბრდღვინვით.

ახლა კი, გიშველოს ღმერთმა, მას შემდეგ, რაც ბებრუხუნა დედაკაცმა თავისი კექსის ნაჭერი ჩამიტენა და ძველი ჩაიდნიდანაც მიწილადა რაღაც, მე კი ჩემს ჩიბუხს მოვუკიდე, შეგიძლიათ ყურებს უკან მომფხანოთ, რადგანაც ჩემგან ვეღარაფერს ეღირსებით. დაიკარგეთ აქედან თქვენი კითხვებიანად! ვიცი, რისთვისაც მოხვედით - გაქცეული მგლის გამო!

- მართალი ბრძანდებით! თქვენი აზრი მინდა გავიგო. მითხარით მხოლოდ ეს როგორ მოხდა. ხოლო როცა ფაქტებს გავიგებ, კიდეც გათქმევინებთ, რატომ მოხდა ეს და როგორ ფიქრობთ, რითი დამთავრდება.

- კეთილი, უფროსო! ეგრე იყოს. ეს მგელი, რომელსაც ბერსიკრი ჰქვია, ერთ-ერთია ნორვეგიიდან ჩამოყვანილ იმ სამ რუხ მგელთაგან, რომლებიცოთხი წლის წინ ვიყიდეთ. ეს ძალიან კარგი, თვინიერი მგელი იყო, არავის არაფერს უშავებდა. ძალიან მიკვირს, რომ სწორედ ის გაიქცა და არა სხვა ნადირი. და აი, ახლა აღმოჩნდა, რომ თურმე მგლებსუფრო ნაკლებად შეიძლება ვენდოთ, ვიდრე ქალებს.

ეს გუშინ მოხდა, სერ. გუშინ, მათი გამოკვებიდან დაახლოებით ორი საათის შემდეგ რაღაც ხმაური მომესმა. ახალგაზრდა პუმას საფენს ვუმზადებდი, რომელიც ცოტა უქეიფოდაა, მაგრამ როგორც კი წკმუტუნი და ღმუილი გავიგონე, მაშინვე გარეთ გავვარდი და ბერსიკრი დავინახე, გაცოფებით რომ ეხეთქებოდა გისოსებს, თითქოს გათავისუფლებას ლამობსო. იმ დღეს ჩვენთან ცოტა ხალხი იყო და

გალიასთან მხოლოდ ერთი ტანმაღალი ბატონი იდგა, კაუჭა ცხვი-რითა და წაწვეტებული, ჭაღარაშერეული წვერით. მკაცრი და ცივი გამოხედვა ჰქონდა. რაღაც არ მომეწონა, რადგან მომეჩვენა, რომ მხეცებს აღიზიანებდა. მას თეთრი ლაიკის ხელთათმანი ეცვა. მხე-ცებზე მიმითითა და მითხრა, შეხედეთ, ეს მგლები, როგორც ჩანს, რაღაცამ შეაშფოთაო.

- შესაძლოა ასეც იყოს, - უხალისოდ ვუპასუხე მე, რადგანაც არ მომეწონა ტონი, რომლითაც მელაპარაკებოდა. ის არ გაბრაზებუ-ლა, თუმცა ამას ველოდი. კეთილი, პირმოთნე ღიმილით გაიღიმა, პირი დააღო და თეთრი, ბასრი კბილები გამოაჩინა.

- ოჰ, არა, მათ ვუყვარვარ, - თქვა მან.

- ოჰ, დიახ, უყვარხართ, - გამოვაჯავრე მე, - მათ ყოველთვის უყ-ვართ სადილობის დროს კბილები ძვლებზე გაილესონ, რაც თქვენ ასე ბევრი გაქვთ.

უცნაური იყო, რომ როგორც კი მხეცებმა ჩვენს საუბარს მოჰკრეს ყური, მაშინვე მშვიდად წამოწვნენ და როცა ბერსიკრს მივუახლოვ-დი, როგორც ყოველთვის, ნება დამრთო მისთვის თავზე გადამესვა ხელი. ეს ბატონიც მივიდა მასთან, თქვენ წარმოიდგინეთ, გალიაში ხელი შეყო და ყურებზე მოეფერა.

- ფრთხილად, - ვუთხარი მას, - ბერსიკრი მარჯვე ყმაწვილია!

- არაფერია, - მიპასუხა მან, - მაგათ მიჩვეული ვარ.

- თქვენც მათთან მუშაობთ? - ვკითხე მე და ქუდი მოვიხადე ადამიანის წინაშე, რომელიც მგლებით ირჩენდა თავს. დარაჯს ხომ ყოველთვის სიამოვნებს მომთვინიერებელი.

- არა, - მომიგო მან, - მთლად ასე არ არის, როგორც თქვენ ფიქრობთ, მაგრამ ერთ დროს ბევრი მყავდა.

ამ სიტყვებზე ისე თავაზიანად მოიხადა ქუდი, რომ ლორდი გეგონებოდათ და იქაურობას გაეცალა. ბებერმა ბერსიკრმა მზერა გააყოლა, სანამ ის თვალს არ მიეფარა, შემდეგ კუთხეში წამოწვა და მთელი საღამო აღარ ამდგარა. ღამით კი, როცა მთვარე ამოვიდა, ყველა მგელი ერთხმად აყმუვლდა. თითქოს ამის მიზეზი არც ჰქონდათ. მახლობლად არავინ იყო, ვიღაც სუბიექტის გარდა, რომელიც დიდი მონდომებით ეძახდა შორს წასულ თავის ძაღლს. მე რამდენჯერმე გავედი დასახედად, ყველაფერი რიგზე იყო თუ არა, და განსაკუთრებული ვერაფერი შევნიშნე. შემდეგ ყმუილი შეწყდა. დაახლოებით თორმეტზე ისევ გავედი ბაღის დასათვალიერებლად, სანამ დასაძინებლად წავიდოდი, მაგრამ როცა ბერსიკრის გალიასთან მივედი, გისოსები გატეხილი დამხვდა, ხოლო გალია - ცარიელი. აი, ყველაფერი, რაც დანამდვილებით ვიცი.

- ვინმეს რამე ხომ არ დაუნახავს?

- ერთი დარაჯი დაახლოებით ამ დროს თურმე შინ ბრუნდებოდა საღამოს წვეულებიდან და თვალი მოუკრავს რაღაც დიდი, რუხი ძაღლისთვის, რომელიც ბაღის ღობეზე გადამხტარა. ყოველ შემთხვევაში, ასე თქვა, მაგრამ მე არ მჯერა. მე ვფიქრობ, რომ ეს მის ტვინში დახტოდნენ ეშმაკები წვეულების შემდეგ.

- მითხარით, მისტერ ბილდერ, შეგიძლიათ რამეთი დაასაბუთოთ მგლის გაქცევა? - ვკითხე მე და კიდევ ერთი მონეტა ვაჩუქე.

- ჩემი აზრით, მგელი სადღაც ახლოს იმალება. ვიღაც მებაღემ თქვა, მგელი დავინახე, რომელიც დაოთხილი ჩრდილოეთისკენ ცხენზე სწრაფად მიქროდაო, მაგრამ მე ეს არ მჯერა, რადგანაც, და ეს თვითონაც იცით, მგელი არ შეიძლება დაოთხილი მიქროდეს, ისევე როგორც ძაღლი, - ისინი სხვაგვარად არიან მოწყობილი. ეს მარტო ზღაპრებშია მგელი ასეთი ყოჩაღი - იქ, როცა განრისხდება, შეუძლია ათასი უბედურება დაატრიალოს, მაგრამ სინამდვილეში მგელი, მადლობა ღმერთს, მხოლოდ და მხოლოდ პატარა ცხოველია: ძაღლი, მაგალითად, ორჯერ უფრო ჭკვიანი და მამაცი და ოთხჯერ უფრო მებრძოლია. ამას კი, მით უმეტეს, არც ბრძოლა შეუძლია, არც - თავდაცვა. უფრო მგონია, რომ სადღაც პარკის უკან იმალება და შიშისაგან ცახცახებს, და თუ რამეზე ფიქრობს, მხოლოდ იმაზე, საკბილო სად იშოვოს. ანდა, შესაძლოა, ახლა სადმე ეზოში შეეხეტა და სარდაფში ზის. საჭმელი თუ ვერ იშოვა, მის საძებრად მოუწევს წასვლა, და მაშინ შეიძლება ვინმე ყასბის ფარდულს შეეჩვიოს. თუ ყასბის ფარდულს ვერ ნახავს, და ამ დროს რომელიმე ძიძა, თავის ჯარისკაცთან სეირნობისას ბავშვს უყურადღებოდ მიატოვებს ეტლში, - ჰოო, მაშინ არ გამიკვირდება, თუ ამის შედეგად ქვეყანაზე ერთი ბიჭით ნაკლები იქნება. აი, სულ ესაა.

ამ მომენტში ფანჯარასთან ვიღაცამ მოირბინა და მისტერ ბილდერის სახე გაოცებისაგან თავის ბუნებრივ ზომაზე ორჯერ მეტად გაიწელა.

- ღმერთო! - შესძახა მან. - ბებერი ბერსიკრი ხომ არ დაბრუნდა?

იგი კართან მივიდა და გამოაღო. ეს სრულიად ზედმეტი მომეჩვენა. ყოველთვის ვფიქრობდი, ველური მხეცი კარგად მხოლოდ მაშინგამოიყურება, როდესაც ჩვენსა და მათ შორის რაღაც ძალზე მტკიცე წინაღობა არსებობს-მეთქი. ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ კიდევ უფრო მეტად დამარწმუნა ამ აზრის სისწორეში. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ჩვეულება ხომ რჯულზე უმტკიცესია, ვინაიდან ბილდერისა და მისი მეუღლისათვის მათ გვერდით მგლის ყოფნა ისევე არაფერს ნიშნავდა, როგორც ჩემთვის - ფინია ძაღლის მეზობლობა.

მთელი ეს სცენა სხვა არაფერი იყო, თუ არა კომედიისა და დრამის ნარევი. სწორედ ის ბოროტი მგელი, რომლის გამოც ლამის მთელი ლონდონი იქნა პარალიზებული ერთი დღე-ღამის მანძილზე და რომლის შიშითაც ყველა ბავშვი ცახცახებდა, ჩვენს წინ ატუზულიყო მონანიე ცოდვილივით და ისიც გულთბილად მიიღეს და დაბრუნებული უძღები შვილივით მიუალერსეს. ბებერმა ბილდერმა ყურადღებითა და დიდი მზრუნველობით გასინჯა იგი და შემდეგ თქვა:

- ესეც ასე, ასეც ვიცოდი, რომ საწყალი მხეცუნა რაიმე ისტორიაში გაყოფდა თავს, ამას არ გეუბნებოდით? შეხედეთ, თავი ჭრილობებით აქვს დაფარული. უმსგავსობაა, რომ ადამიანებს ნებას რთავენ ღობეები ბოთლების ნამსხვრევებით მოაპირკეთონ! აი რა მოსდევს ამას. მოდი აქ, ბერსიკრ!

მან მგელი გაიყვანა, გალიაში ჩაკეტა, ხორცის კარგა დიდი ნაჭერი მისცა და თხრობაც შეწყვიტა.

მეც ვამთავრებ ჩემს რეპორტაჟს. სულ ეს არის, რისი მოპოვებაც მოვახერხე ზოოლოგიური ბაღიდან მგლის უცნაური გაქცევის შესახებ.

ექიმ სიუარდის დღიური

17 სექტემბერი.

სადილის შემდეგ წიგნებს ვალაგებდი, რომლებიც, იმის წყალობით, რომ ათასი საქმით ვიყავი დაკავებული და ხშირად მიხდებოდა ლუსის მონახულება, საშინლად არეულ-დარეულიყო. უცებ კარი გაიღო და ოთახში ჩემი პაციენტი შემოვარდა. მრისხანებისა და აღგზნებისაგან სახე საშინლად ჰქონდა დამანჭული. ამის დანახვაზე ელდა მეცა, რადგან ეს დაუჯერებელი შემთხვევაა, რომ პციენტი თავისივე ნება-სურვილით, დარაჯების გარეშე გამოცხადდეს ექიმის ოთახში. იგი პირდაპირ ჩემკენ მოიწევდა, ისე, რომ სიტყვაც არ უთქვამს. ხელში სუფრის დანა ეჭირა. როცა გავიაზრე, რა საფრთხე მელოდა, ვცადე ისე დავმდგარიყავი, რომ ჩვენ შორის გამუდმებით მაგიდა ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, ის უფრო მარჯვე და ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე მოველოდი და საკმაოდ სერიოზულად დამჭრა ხელში, მაგრამ სანამ მეორედ მოასწრებდა დარტყმას, გონს მოვეგე - და ის უკვე გულაღმა ფართხალებდა იატაკზე. ჭრილობიდან სისხლი მომთქრიალებდა და ხალიჩაზე პატარა გუბე გაჩნდა. როცა დავინახე, რომ თავდამსხმელი შეტევას აღარ აპირებდა, ხელის შეხვევა დავიწყე, თანაც თვალს არ ვაშორებდი იატაკზე გაშხლართულ სხეულს. როცა სანიტრებმა მოირბინეს, პაციენტის შემყურე ლამის ყველანი ცუდად გავხდით. იგი მუცელზე იწვა და ძაღლივით ლოკავდა ჩემი ჭრილობიდან გამოჟონილ სისხლს. ის ადვილად დააშოშმინეს და, ჩემდა გასაოცრად, სრულიად მშვიდად გაჰყვა სანიტრებს, ამასთან, განუწყვეტლივ იმეორებდა: „სისხლი სიცოცხლეა, სისხლი სიცოცხლეა...“

ჩემთვის სისხლის დაკარგვა აღარ შეიძლება, ბოლო ხანებში ჩემს ჯანმრთელობას დიდი ზიანი მიადგა, ლუსის გახანგრძლივებული ავადმყოფობაც მისი საშინელი ფაზებით არანაკლებ მოქმედებს ჩემზე. ძალზე განერვიულებული ვარ და დავიღალე, სიმშვიდე მჭირდება, სრული სიწყნარე. საბედნიეროდ, ვან ჰელსინკს დღეს არ დაუძახია ჩემთვის, ასე რომ, შემიძლია დავისვენო, თორემ ამის გარეშე დღეს ძალიან გამიჭირდება.

დეპეშა ვან ჰელსინკისგან, ანტვერპენი, სიუარდს კარფაქსი

(იმის გამო, რომ ქვეყანა არ იყო მითითებული, გადაცემულია ოცდაოთხი საათით გვიან).

17 სექტემბერი.

ღამით ჰილინჰემში დარჩით. თუ გამუდმებით ვერ შეძლებთ დარაჯობას, შეძლებისდაგვარად ადევნეთ თვალყური, რომ ყვავილები ადგილზე იყოს. ვეცდები, რაც შეიძლება მალე ჩამოვიდე.

ვან ჰელსინკი.

ექიმ სიუარდის დღიური

18 სექტემბერი.

ლონდონში გავედი.

ვან ჰელსინკისაგან მიღებულმა დეპეშამ სასოწარკვეთილებაში ჩამგადო. მთელი ღამე დაიკარგა, მე კი მწარე გამოცდილებით ვიცი,

რა შეიძლება მოხდეს ღამის განმავლობაში. რა თქმა უნდა, შესაძ-ლოა, ყველაფერი კარგად იყოს, მაგრამ ღმერთმა უწყის, რა შეიძ-ლებოდა მომხდარიყო. ალბათ, რაღაც საშინელი ბედისწერა დაგ-ვდევს, რადგან ყველაფერი ჩვენ აგვიმხედრდა და გასაქანს არ გვაძ-ლევს, რაც უნდა ვცადოთ. ამ ცილინდრს თან წავიღებ და მაშინ შევ-ძლებ ლუსის ფონოგრაფზე ამ ჩანაწერის დამთავრებას.

ლუსი ვესტენრას მიერ დატოვებული მემორანდუმი

17 სექტემბერი.

ღამეა. მე ვწერ ამას და ღიად ვტოვებ, რათა ჩემზე არავინ იდარ-დოს. აი, იმის ზუსტი აღწერა, რაც ამ ღამით მოხდა. ვგრძნობ, რომ სისუსტით ვკვდები, ძლივს მყოფნის ძალა, რათა ვწერო, მაგრამ რომც მოვკვდე, ეს უნდა გავაკეთო.

დასაძინებლად ჩვეულებრივ დავწექი, წინასწარ ვიზრუნე, რომ ყვავილებიიმ ადგილას ყოფილიყო, სადაც ისინი ექიმმა ვან ჰელ-სინკმა მოათავსა, და მალე დამეძინა.

ფანჯარაზე ფრთების ფართხუნმა გამაღვიძა, რაც მას შემდეგ და-იწყო, როცა უაითბიში მძინარემ დავიწყე კლდეებზე სიარული. არ შევშინებულვარ, მაგრამ ძალიან მინდოდა, ექიმი სიუარდი მეზო-ბელ ოთახში ყოფილიყო. ექიმი ვან ჰელსინკიამბობდა, მოვაო - მა-შინ მის დაძახებას შევძლებდი. ვცდილობდი, დამეძინა, მაგრამ არ შემეძლო. ისევ მომეძალა ძველი შიში დაძინების მიმართ, და გა-დავწყვიტე, ფხიზლად ვყოფილიყავი. ჭირვეული ძილქუში სწორედ მაშინ მიტევდა, როცა დაძინებისა მეშინოდა, ასე რომ, მარტოობის-გან შეშინებულმა კარი გავაღე და დავიძახე: „არის აქ ვინმე?“ პასუხი არავის გაუცია. მეშინოდა, დედა არ გამეღვიძებინა, ამიტომ კარი

ისევ დავკეტე. შემდეგ ბუჩქებიდან რაღაც ღმუილი მომესმა, ძაღლივით, ოღონდ უფრო ჩუმი და ყრუ. ფანჯარასთან მივედი და გადავიხედე, მაგრამ ვერაფერი დავინახე დიდი ღამურას გარდა, რომელიც, ალბათ, თავისი ფრთებით ფანჯარას ეხეთქებოდა. მაშინ ისევ ჩავწექი საწოლში, მაგრამ გადავწყვიტე, არ დამეძინა. მალე ჩემი ოთახის კარი გაიღო და დედამ შემოიხედა. როცა დაინახა, რომ არ მეძინა, შემოვიდა, ჩემ გვერდით ჩამოჯდა და ნაზად მითხრა:

- შენზე ძალიან ვდარდობდი, ძვირფასო, და მოვედი გამეგო, თავს როგორ გრძნობ.

მეშინოდა, არ გაცივებულიყო და შევთავაზე, დასაძინებლად ჩემთან ერთად დაწექი-მეთქი. ის ლოგინში ჩამიწვა, მაგრამ ხალათი არ გაუხდია, რადგან გადაწყვიტა, ჩემთან ცოტა ხნით დარჩენილიყო და შემდეგ თავის ოთახში გასულიყო დასაძინებლად.

როცა ერთმანეთთან ჩახუტებულები ვიწექით, ისევ გაისმა კაკუნი და ფანჯარაზე ფრთების ფართხუნი. ის ოდნავ შეკრთა, შეშინდა და იკითხა: ეს რა არისო? ვცდილობდი, დამემშვიდებინა, რაც საბოლოოდ მოვახერხე კიდეც. ის ჩუმად იწვა, მაგრამ მესმოდა, რა გამალებით უცემდა გული. მალე ისევ გაისმა ყრუ ღმუილი ბუჩქებიდან, რასაც მალე მოჰყვა ფანჯარაზე ჭახანი და იატაკზე გატეხილი შუშის ნამსხვრევები გაიფანტა. შემოჭრილმა ქარმა ფარდები გადასწია და ფანჯარაში მგლის დიდი თავი გამოჩნდა. დედამ შიშით შეჰყვირა, საწოლზე წამოჯდა და ყველაფერს ებღაუჭებოდა, რაც ხელში მოხვდებოდა. სხვათა შორის, მან ყვავილების გვირგვინსაც სტაცა ხელი, რომელიც ყელიდან ჩამომგლიჯა, არადა, ექიმმა ვან ჰელსინკმა მითხრა, ყელიდან არ მოიცილოო. რამდენიმე წამის მანძილზე დედა საწოლზე იჯდა და შიშისაგან აცახცახებული მგლისკენ იშვერდა ხელს. შემდეგ გულაღმა გადავარდა, თითქოს მეხმა განგმირაო,

ზედ დამეცა და ისე დამარტყმევინა თავი, რომ წამით ყველაფერი ჩემ წინ დატრიალდა. ფანჯარას მივაშტერდი, მგელი უცებ გაქრა და მომეჩვენა, რომ გატეხილი ფანჯრიდან ქინქლების მთელი მირიადები შემოიჭრა ოთახში ქართან ერთად და მტვრის სვეტივით დატრიალდა. მოგზაურთა აღწერით, მსგავსი რამ უდაბნოში ქვიშისაგან იქმნება ხოლმე ხორშაკის დროს. ხელის განძრევა ვცადე, მაგრამ თითქოს ჯადოს ზემოქმედების ქვეშ ვიმყოფებოდი, და გარდა ამისა, ჩემი ძვირფასი, უბედური დედიკოს სხეული, რომელიც, მომეჩვენა რომ, უკვე ცივდებოდა, რადგანაც მისი გული აღარ ძგერდა, მთელი თავისი სიმძიმით მაწვებოდა და დროებით გრძნობა დავკარგე.

ეს დიდხანს არ გაგრძელებულა, თუმცა ძალიან შევშინდი. საბოლოოდ, ისევ გონს მოვეგე. სადღაც ახლოს ზანზალაკის ხმა გაისმა სავალ გზაზე. მეზობლად ძაღლები აყეფდნენ. და ბუჩქებში, თითქოს სულ ახლოს, ბულბულმა დაიწყო გალობა. მე საშინლად თავზარდაცემული და დადამბლავებული ვიყავი ტანჯვის, შიშისა და სისუსტისაგან, მაგრამ ბულბულის გალობა განსვენებული დედაჩემის ხმად მეჩვენებოდა, რომელიც თითქოს ჩემ დასამშვიდებლად დაბრუნებულიყო. ამ ხმებმა, როგორც ჩანს, მოახლეებიც გააღვიძა, რადგანაც ჩემს კართან მათი შიშველი ფეხების ტყაპუნი მომესმა. დავუძახე. ისინიც შემოვიდნენ და როცა დაინახეს, რა მოხდა და ვინ იწვა ჩემს ლოგინში, ხმამაღლა დაიკივლეს. ქარი გატეხილ ფანჯარაში შემოიჭრა და კარი აამოძრავა. ისინი ადგომაში მომეხმარნენ და როგორც კი ფეხზე დავდექი, ჩემი ძვირფასი დედიკო აიყვანეს, ლოგინზე დააწვინეს და ზეწარი გადააფარეს. იმდენად იყვნენ შეშინებულები და ისე ღელავდნენ, რომ ვუბრძანე, სასადილოში ჩასულიყვნენ და თითო ჭიქა ღვინო დაელიათ. კარი წამით გაიღო და შემდეგ ისევ დაიხურა. გოგონებმა შეჰკივლეს და მომეჩვენა, რომ ვიღაც შევიდა სასადილოში. ყველა ყვავილი, რაც კი მქონდა, ჩემს ძვირფას

დედას დავაწყვე მკერდზე. უცებ გამახსენდა, რასაც ექიმი ვან ჰელ-სინკი მეუბნებოდა, მაგრამ აღარ მინდოდა მათი ხელის ხლება, გარ-და ამისა, ვიფიქრე, რომ ერთ-ერთი მოახლე დარჩებოდა ჩემთან. ძალიან გამიკვირდა, აქამდე რატომ არ ბრუნდებოდნენ გოგონები. დავუძახე მათ, მაგრამ პასუხი არ მიმიღია, ასე რომ, თვითონ ჩავედი სასადილოში იმის გასარკვევად, თუ რა სჭირდათ.

კინაღამ გული გამიჩერდა, როცა დავინახე, რა მომხდარიყო. ოთხივე გოგონა უმწეოდ იწვა იატაკზე და მძიმედ სუნთქავდა. ხერე-სით ნახევრად შევსებული გრაფინი მაგიდაზე იდო, მაგრამ მას რა-ღაც უცნაური, მძაფრი სუნი ასდიოდა. ეს საეჭვოდ მომეჩვენა და გრაფინს დავაკვირდი - ოპიუმის სუნი ჰქონდა. ბუფეტს მოვავლე თვალი და დავინახე, რომ ბოთლი, რომლიდანაც ექიმი დედაჩემს წამალს აძლევდა, ცარიელი იყო. რა ვქნა? რა გავაკეთო? მას ვერ დავტოვებ, არადა, მარტო ვარ - მოახლეები უგონოდ წვანან, რაღა-ცით მოწამლულები. მარტო ვარ სიკვდილის წინაშე! მეშინია იქ შეს-ვლის,რადგანაც გატეხილი ფანჯრიდან მგლისყრუ ყმუილი მესმის...

ჰაერი მოფარფატე ქინქლებითაა სავსე, რომლებიც მქრქალი ლურჯი ციალით ანათებენ. რა ვქნა? ღმერთო, დამიფარე ყოველი უბედურებისაგან ამაღამ! ფურცელს მკერდში დავმალავ. დედაჩემი მოკვდა! ახლა ჩემი ჯერია! მშვიდობით, ძვირფასო ართურ, თუკი ამ ღამეს ვერ გადავიტან! ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, ჩემო ძვირ-ფასებო, უფალი შემეწიოს!

თავი მეთორმეტე

ექიმ სიუარდის დღიური

18 სექტემბერი.

დეპეშის მიღების შემდეგ დაუყოვნებლივ გავემგზავრე ჰილინ-ჰემში და იქ დილით ადრე ჩავედი. ჩემი ქები ჭიშკართან დავტოვე და ბილიკს დავადექი. ფრთხილად დავაკაკუნე და რაც შეიძლებოდა, ჩუმად დავრეკე, რადგან მეშინოდა, ლუსი და დედამისი არ შეშფოთებულიყვნენ, იმედი მქონდა, რომ მხოლოდ მოახლეს გავაღვიძებდი. მაგრამ არავინ გამოსულა, ისევ დავაკაკუნე და ზარი დავრეკე, პასუხი კვლავ იგვიანებდა. სიზარმაცისათვის წყევლა-კრულვა შევუთვალე მოახლეს, რომელიც, ჩემი აზრით, ასე გვიანაც ლოგინში ნებივრობდა. არადა, უკვე ათი საათი იყო და მოუთმენლად დავაკაკუნე და დავრეკე კიდევ ერთხელ, მაგრამ პასუხი მაინც არავის გაუცია. აქამდე მხოლოდ მოახლეს ვადანაშაულებდი, მაგრამ ახლა უკვე საშინელმა შიშმა შემიპყრო. არ ვიცოდი, რამ გამოიწვია ეს უცნაური მდუმარება: სასოწარკვეთამ შეუბრალებელი ბედისწერის წინაშე, რომელიც მტკიცედ გვბორკავდა, თუ იმან, რომ ეს სიკდვილის სახლი იყო, სადაც ძალზე გვიან მივედი? ვიცოდი, რომ დაგვიანებული წუთი და წამიც კი ლუსისთვის ტანჯვის საათებს გაუტოლდებოდა, თუ მას ისევ გაუმეორდებოდა საშინელი შეტევა. სახლს გარშემო შემოვუარე რაიმე შემთხვევითი შესასვლელის პოვნის იმედით.

შესაძვრომიც კი ვერსად ვნახე. ყველა ფანჯარა და კარი დაკეტილი იყო, და გაგულისებული ისევ სადარბაზო კარს დავუბრუნდი. უცებ სწრაფად მომავალი ცხენის ბრაგუნი მომესმა. ეს ხმა ჭიშკართან შეწყდა და რამდენიმე წამში ექიმი ვან ჰელსინკი დავინახე, რომელიც ბილიკზე მორბოდა. ჩემ დანახვაზე შესძახა:

- ეს თქვენა ხართ? ახლახან მოხვედით? როგორ არის? ხომ არ დავიგვიანეთ? მიიღეთ ჩემი დეპეშა?

მე ისე სწრაფად და გარკვევით ვუპასუხე, როგორც შემეძლო: დეპეშა დილით ადრე მივიღე და ეგრევე აქეთ გამოვეშურე, მაგრამ არავინ მაგონებს-მეთქი. იგი საგონებელში ჩავარდა და მითხრა:

- მაშინ, ვშიშობ, რომ დავიგვიანეთ. დაე, აღსრულდეს უფლის ნება. მაგრამ თუ ვერსად ვიპოვით ღია შესასვლელს, თვითონ მოგვიწევს მისი მოწყობა. ახლა დრო ძალზე ძვირად გვიღირს.

სახლის უკანა მხარესთან მივედით, სადაც სამზარეულოს ფანჯარა გამოდიოდა. პროფესორმა ჩემოდნიდან ქირურგის ხერხი ამოიღო და მომაწოდა, თან ფანჯრის რკინის ცხაურზე მიმითითა. მე საქმეს შევუდექი და მალე სამი გისოსი გადავხერხე. შემდეგ გრძელი დანის მეშვეობით ფანჯარა გავაღეთ. პროფესორს გადასვლაში მივეხმარე და მეც უკან მივყევი. სამზარეულოში არავინ იყო. ყველა ოთახი მოვიარეთ და როცა, საბოლოოდ, სასადილოში მივედით, რომელიც ბუნდოვნად იყო განათებული ფარდებიდან შემოსული სინათლით, იატაკზე მწოლიარე ოთხი მოახლე დავინახეთ. ისინი აშკარად ცოცხლები იყვნენ, რადგან მათი მძიმე სუნთქვა და ოთახში ოპიუმის მძაფრი სუნი ყველაფერზე მეტყველებდა. ვან ჰელსინკმა შემომხედა, შემდეგ შეუჩერებლად განაგრძო გზა და მითხრა:

- მათ მოგვიანებით შეიძლება დავუბრუნდეთ.

შემდეგ ლუსის ოთახთან მივედით. წამით კართან გავჩერდით და ყური დავუგდეთ, მაგრამ არაფერი გაგვიგონია. უცნაური წინათგრძნობისაგან აცახცახებულებმა და გაფითრებულებმა ნელა გავაღეთ კარი და შევედით.

როგორ აღვწერო, რაც იქ დავინახეთ! საწოლზე ორი ქალი იწვა, ლუსი და მისი დედა. მისის ვესტენრა ჩვენგან მოშორებით იწვა და თეთრი ზეწარი ჰქონდა გადაფარებული, რომლის კუთხეც გატეხილი ფანჯრიდან შემოჭრილი ქარისგან იყო აკეცილი. ფერმკრთალ, დამახანიჯებულ სახეზე გადატანილი შიშის ანაბეჭდი აჩნდა. მის გვერდით ლუსი იწვა ფერწასული და კიდევ უფრო დამახინჯებული სახით. ლუსის დედას ყვავილები მკერდზე ეწყო, თავად მას კისერი მოშიშვლებოდა და ორი პატარა ჭრილობა აჩნდა, ისეთივე, როგორიც ადრე, მაგრამ მათი კიდეები ძალზე თეთრი და ჩაჭრილი იყო. პროფესორმა ლუსის უსიტყვოდ დაადო მკერდზე თავი, შემდეგ გაირინდა, თითქოს რაღაცას უგდებდა ყურს, წამოხტა და იყვირა:

- ჯერ კიდევ არ არის გვიან! ჩქარა, ჩქარა! არაყი მომიტანეთ!

მაშინვე გავიქეცი და არაყი მოვიტანე, თან სიფრთხილის მიზნით დავყნოსე და ოდნავ მოვსვი, მეშინოდა, ისიც მოწამლული არ ყოფილიყო, როგორც ხერესი იმ გრაფინში, რომელიც მაგიდაზე ვიპოვე. მოახლეებს ისევ ეძინათ, თუმცა მათმა სუნთქვამ, ცოტა არ იყოს, შემაშფოთა - როგორც ჩანდა, საძილე საშუალება თავის ძალას კარგავდა. ამაში დასარწმუნებლად არ გავჩერებულვარ და ვან ჰელსინკთან დავბრუნდი. მან ლუსის არყით დაუზილა ტუჩები, ღრძილები, მტევნები, ხელისგულები და თქვა:

- აქ ჯერჯერობით სხვას ვერაფერს გავაკეთებთ! წადით და მოახლეები მოასულიერეთ. სახე სველი პირსახოცით დაუზილეთ. ცეცხლი დაანთონ და ცხელი აბაზანა გაამზადონ. ეს საბრალო ისეთივე ცივია, როგორც დედამისი. ჯერ უნდა გათბეს, სანამ სხვა რამეს მოვიმოქმედებდეთ.

მაშინვე დავეშვი და სამი მათგანი ადვილად გამოვაფხიზლე. მეოთხე ძალზე ახალგაზრდა იყო და საწამლავმა მასზე ყველაზე ძლიერად იმოქმედა, ასე რომ, დივანზე დავაწვინე გამოსაძინებლად. დანარჩენები ჯერ გაბრუებულები იყვნენ, ხოლო როცა გონება დაეწმინდათ, ისტერიკული ტირილი მორთეს. ვუთხარი, ერთი ადამიანის სიკვდილიც სავსებითსაკმარისია და თუ არ დაუჩქარებთ, ლუსიც დაიღუპება-მეთქი. ტირილითადა ქვითინით, ნახევრადჩაცმულები შეუდგნენ საქმეს, ცეცხლი დაანთეს და წყალი აადუღეს. ჩვენ აბაზანა გავამზადეთ და ლუსი ხელში აყვანილი გამოვიყვანეთ. როდესაც კიდურები დავუზილეთ, კარზე კაკუნი გაისმა. ერთ-ერთმა მოახლემ რაღაც სამოსი მოიცვა და კარის გასაღებად გაიქცა, შემდეგ დაბრუნდა და ჩურჩულით გვითხრა, ვიღაც ბატონია მოსული მისტერ ჰოლმვუდის დავალებითო. მოახლეს ვუბრძანე, გადაეცი, დაგველოდოს-მეთქი, რადგან ძალზე დაკავებულები ვიყავით. მოახლე გავიდა და სამუშაოში ჩაფლულს უცნობი სტუმარი აღარც გამხსენებია.

საბოლოოდ შევნიშნეთ, რომ სითბო დადებით გავლენას ახდენდა ლუსიზე. სტეტოსკოპიური გამოკვლევისას გულისცემა უკვე მკაფიოდ ისმოდა, ხოლო სუნთქვა ოდნავ უფრო საგრძნობი გაუხდა.

სააბაზანოდან გამოვიყვანეთ და სხვა ოთახში შევიყვანეთ, რომელიც ამასობაში გაემზადებინათ, საწოლზე დავაწვინეთ და პირში არყის რამდენიმე წვეთი ჩავასხით. დავინახე, რომ ვან ჰელსინკმა ლუსის ყელზე აბრეშუმის რბილი ცხვირსახოცი შემოახვია. იგი კვლავ უგონოდ იყო. ვან ჰელსინკმა ერთ-ერთ მოახლეს დაუძახა და უბრძანა, ლუსისთან დარჩენილიყო და მისთვის თვალი არ მოეცილებინა, სანამ ჩვენ არ დავბრუნდებოდით, შემდეგ ერთად გავედით ოთახიდან.

- უნდა მოვილაპარაკოთ, როგორ მოვიქცეთ! - მითხრა მან, როცა კიბეზე ვეშვებოდით.

წინკარიდან სასადილოში შევედით და კარი ჩავიკეტეთ. დარაბები ღია იყო, მაგრამ ფარდები უკვე ჩამოეშვათ სიკვდილის წინაშე იმ მოწიწების ნიშნად, რაც ასე დამახასიათებელია დაბალი წრის ბრიტანელი ქალებისათვის, ამიტომ ოთახში ნახევრად ბნელოდა. მიუხედავად ამისა, ჩვენთვის საკმარისი სინათლე იყო. ვან ჰელსინკს აშკარად რაღაც აშფოთებდა. მცირე პაუზის შემდეგ მან თქვა:

- ახლა რა ვქნათ? ვის მივმართოთ დასახმარებლად? მისთვის აუცილებლად უნდა ვიშოვოთ სისხლის ახალი დოზა და რაც შეიძლება მალე, რადგან ამ საბრალოს სიცოცხლე ბეწვზე კიდია, საათზე მეტს ვეღარ გაძლებს. ამ ქალებს ვერ ვენდობი, ოპერაციაზეც რომ დაგვთანხმდნენ. როგორ ვიპოვოთ ვინმე, ვინც თანახმა იქნება მისთვის ვენები გადაიხსნას?

- მე არ გამოგადგებით?

ეს ხმა ოთახის მეორე ბოლოში გაისმა და შვება და სიხარული მომგვარა, რადგან ეს ქვინსი მორისის ხმა იყო. მის გაგონებაზე ვან ჰელსინკი ჯერ მოიღუშა, მაგრამ შემდეგ სახე გაებადრა და თვალები ალერსით აუციმციმდა, როცა მე შევძახე: „ქვინსი მორის!“ და სიხარულით გადავეხვიე.

- აქ როგორ მოხვდით?! - შევძახე განცვიფრებულმა.

- მგონი, ართურის მიზეზით!

მან დეპეშა გადმომცა: „უკვე სამი დღეა, რაც სიუარდისგან არაფერი ისმის, ძალიან ვღელავ. წასვლას ვერ ვახერხებ. მამა იმავე მდგომარეობაშია. მომწერეთ, როგორ არის ლუსი. ნუღარ დააყოვნებთ. ჰოლმვუდი."

- მგონი, დროზე მოვედი. ხომ იცით, რომ ჩემთვის თქვენი ერთი სიტყვაც საკმარისია.

ვან ჰელსინკი მიუახლოვდა, ხელზე ხელი მოუჭირა, თვალებში ჩახედა და უთხრა:

- მამაცი ადამიანის სისხლი ქვეყნად საუკეთესო რამაა, როცა ქალი საფრთხეშია. თქვენ ნამდვილი მამაკაცი ხართ, უეჭველად. მშვენიერია, დაე, ეშმაკმა რაც უნდა, ის ქნას, ღმერთი გვიგზავნის ადამიანებს, როცა ისინი ასე გვჭირდება.

და ჩვენ ისევ გადავიტანეთ ეს საზარელი ოპერაცია. ძალა არ მყოფნის, რათა დაწვრილებით აღვწერო იგი. ლუსიმ, როგორც ჩანს, საშინელი ნერვული შერყევა განიცადა და იგი ახლა მასზე ადრინდელთან შედარებით უფრო ძლიერ აისახა - მიუხედავად იმისა, რომ ვენებში საკმაოდ დიდი რაოდენობით სისხლი შევუყვანეთ, მისი სხეული მკურნალობას წინანდებურად არ ექვემდებარებოდა. მძიმე სანახავი იყო, როგორ უბრუნდებოდა სიცოცხლეს. მაგრამ, ასე იყო თუ ისე, გულისა და ფილტვების მუშაობა გაუუმჯობესდა. ვან ჰელსინკმა კანქვეშ შეუშხაპუნა. გულყრა ღრმა ძილში გადავიდა. პროფესორი სადარაჯოდ დარჩა, სანამ მე და ქვინსი მორისი ქვევით დავეშვით. ერთ-ერთ მოახლეს დავავალე, მეეტლე გაეშვა, რომელიც აქამდე გველოდებოდა. ქვინსი დასასვენებლად დავტოვე, ჭიქა ღვინო დავალევინე და მზარეულს ვუბრძანე, ნოყიერი საუზმე მოემ-

ზადებინა. უცებ თავში ერთი აზრი მომივიდა და ოთახს მივაშურე, სადაც ლუსი იწვა. ვან ჰელსინკს ხელში ქაღალდის რამდენიმე ფურცელი ეკავა. ისინი, აშკარად, უკვე წაკითხული ჰქონდა, ახლა მაგიდასთან იჯდა ფიქრებში ჩაძირული. სახეზე ოდნავი კმაყოფილი გამომეტყველება შერჩენოდა, თითქოს წარმატებით გადაჭრაო რაღაც საეჭვო საკითხი. ფურცლები გამომიწოდა.

- ეს ლუსის მკერდიდან ჩამოუვარდა, როცა სააბაზანოში მიმყავდა.

წაკითხვის შემდეგ პროფესორს მივაშტერდი და მცირე დუმილის მერე ვუთხარი:

- ღვთის გულისათვის, ეს რას ნიშნავს? ადრე იყო ფსიქიკურად დაავადებული თუ ახლა შეიშალა, თუ ის, რაც აქ წერია, სიმართლეა და ამაში რაღაც საშინელი საფრთხე იმალება?

ვან ჰელსინკმა მიპასუხა:

- ახლა ამაზე ნუ იფიქრებთ. ყველაფერს თავის დროზე გაიგებთ და მიხვდებით, მაგრამ მოგვიანებით. ახლა კი მითხარით, რა უნდა გეთქვათჩემთვის?

ამან საქმესთან დამაბრუნა და ისევ გონს მოვეგე.

- იმის თქმა მინდოდა, რომ მისის ვესტენრას გარდაცვალების მოწმობა უნდა დაიწეროს.

ისევ ჩავედი ქვევით და წინკარში ქვინსი მორისი ვნახე, რომელსაც ართურისადმი მიწერილიდეპეშა ეჭირა. მორისი ატყობინებდა

მისის ვესტენრას გარდაცვალებას, აგრეთვე ლუსის ავად გახდომასა და მომჯობინებას, იმასაც აღნიშნავდა, რომ ახლა ვან ჰელსინკი და მე ლუსისთან ვიყავით.

შემდეგ მან მკითხა:

- შეიძლება, დაგელაპარაკოთ, ჯონ, როცა დაბრუნდებით?

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე და გავედი. რეესტრში გატარებისას არავითარი სირთულე არ შემხვედრია და მეკუბოეს ვუბრძანე, საღამოს მოსულიყო კუბოს ზომის ასაღებად.

ქვინსი მოუთმენლად მელოდა. ვუთხარი, დაგელაპარაკებით, როგორც კი ლუსის მდგომარეობას გავიგებ-მეთქი და ამ უკანასკნელის ოთახს მივაშურე. ლუსის ისევ ეძინა, პროფესორი კი გაუნძრევლად იჯდა. მან ტუჩებზე თითი მიიდო და მე მივხვდი, რომ ლუსი უკვე მალე გაიღვიძებდა.

როცა ქვინსისთან დავბრუნდი, შემომხედა და წარმოთქვა:

- არ მიყვარს იქ ყოფნა, სადაც ამის უფლება არა მაქვს, მაგრამ აქ განსაკუთრებული შემთხვევაა. თქვენ იცით, როგორ მიყვარს ეს გოგონა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი უკვე წარსულია, არ შემიძლია, მშვიდად ვიყო. მითხარით, რა მოხდა: დანიელი ძალიან ღირსეული ბატონია, თქვენი შემოსვლისას მითხრა, სისხლის ახალი ტრანსფუზიაა საჭირო, მაგრამ ბატონები მეტად გადაღლილები არიანო. ვხვდები, რომ თქვენ არაერთხელ გექნებათ უკვე სისხლი გაღებული, ხომ ასეა?

- დიახ, ასეა.

- იმასაც ვხვდები, რომ ართურმაც თავი გაწირა. როცა ოთხი დღის წინ შევხვდი, ძალზე ცუდად გამოიყურებოდა. მას შემდეგ, რაც ერთ ღამეს პამპასებში ფაშატი დამეღუპა, არასდროს მინახავს სხვა-გან ასეთი სწრაფი ცვლილება. საწყალ ცხენს ღამით დიდი ღამურა დაესხა თავს, რომელსაც იქ ვამპირს ეძახიან და ყელიდან და ღია ჭრილობებიდან იმდენი სისხლი გამოსწოვა, რომ საბრალო ცხოვე-ლი უკვე ვეღარ გამოკეთდებოდა და იძულებული გავხდი, ჩემი ხე-ლით დამეხალა ტყვია, მისივე სიბრალულის გამო. გულწრფელად მითხარით, ჯონ, ართური პირველი იყო, ასე არ არის?

მე დავფიქრდი, რადგან ვხვდებოდი, რომ არ უნდა გამემხილა ის, რასაც პროფესორი საიდუმლოდ ინახავდა, მაგრამ მორისმა უკვე ძალზე ბევრი რამ იცოდა და ბევრსაც ხვდებოდა, ასე რომ, აზრი არ ჰქონდა მისთვის რამეს დამალვას, ამიტომ იმავე ფრაზით ვუპასუხე: „დიახ, ასეა-მეთქი“.

- რამდენი ხანია, ასე გრძელდება?

- ათი დღეა.

- ათი დღე? მაშასადამე, ამ საწყალი არსების ვენებში, რომელიც ყველას ასე ძალიან გვიყვარს, ამ ხნის მანძილზე ოთხი ჯანმრთელი ადამიანის სისხლს ტუმბავდნენ. ღმერთო, შემიწყალე, მისი სხეული ამას ვერ გაუძლებდა! რა იქნა, სად წავიდა მთელი ეს სისხლი?

მე თავი გავაქნიე.

- რა იქნა? - გავიმეორე მე. - ვერაფერს ვიტყვი, წარმოდგენა არ მაქვს. აქ წვრილმან გარემოებათა მთელმა სერიამ დიდად აურ-

დაურია ლუსის დაცვის მთელი ჩვენი სისტემა. მაგრამ ეს აღარ მოხდება. ჩვენ აქ დავრჩებით, სანამ ეს ყველაფერი არ დამთავრდება, - ავად თუ კარგად, როგორც უფალი ინებებს!

როდესაც ლუსიმ გვიან საღამოს გაიღვიძა, უპირველესად მკერდზე იტაცა ხელი, და ჩემდა გასაოცრად, ის ფურცლები ამოიღო, რაც ვან ჰელსინკმა მომცა წასაკითხად. წინდახედულმა პროფესორმა ისინი ისევ თავის ადგილს დაუბრუნა, რათა ლუსის გაღვიძებისას არ ენერვიულა. შემდეგ ლუსიმ გარშემო მიმოიხედა და როცა შენიშნა, სად იმყოფებოდა, შეკრთა, ხმამაღლა შეჰკივლა და ფერმკრთალ სახეზე ასევე ფერმკრთალი, გალეული ხელები აიფარა. ჩვენ ორივე მივხვდით ამ საქციელის მნიშვნელობას - მას დედის სიკდვილი გაახსენდა. ყოველი ღონე ვიხმარეთ მის დასამშვიდებლად. როცა დაბნელდა, ისევ აცახცახდა, მაგრამ აქ უცნაური რაღაც მოხდა. ძილში მან ხელი სტაცა ფურცლებს და დახია. ვან ჰელსინკი ადგა და გამოართვა, ის კი განაგრძობდა წარმოსახვითი ქაღალდების ფხრეწას. საბოლოოდ, ხელები გაშალა, თითქოს დარჩენილ ნაგლეჯებს ისროდა. ვან ჰელსინკი განცვიფრდა და მოიღუშა, რაღაცას ფიქრობდა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

19 სექტემბერი.

წინა ღამით მას ძალზე შფოთიანად ეძინა, დაძინებისა ეშინოდა კიდეც, და როცა გაიღვიძა, ოდნავ სუსტად გრძნობდა თავს. პროფესორი და მე რიგრიგობით ვდარაჯობდით და ერთი წუთითაც არ ვტოვებდით. ქვინსი მორისი არაფერს ამბობდა თავის განზრახვებზე, მაგრამ ვიცოდი, რომ მთელი ღამე გარს უვლიდა სახლს და ყარაულობდა, მეორე დღეს, დღის სინათლეზე, დავინახეთ, რამდენად დასუსტებულიყო ჩვენი საბრალო ლუსი, - იგი ძლივს ამოძრავებდა

თავს და საკვების ის უმნიშვნელო რაოდენობა, რისი მიღებაც შეეძლო, სულაც ვერ შველოდა.

დროდადრო კანკალებდა, და ჩვენ - ვან ჰელსინკმა და მე, შევნიშნეთ, რა დიდი განსხვავება იყო მის ძილსა და ღვიძილს შორის. ძილში იგი უფრო ჯანსაღად გამოიყურებოდა, თუმცა ოდნავ ფერმკრთალი იყო, და სუნთქვაცთანაბარი ჰქონდა. ღია პირი აშიშვლებდა უფერულ, უსისხლო ღრძილებს, ამასთან კბილები თითქოს უფრო გრძელი და ბასრი მოუჩანდა, ვიდრე ჩვეულებრივ, როცა ფხიზლობდა. ნაზი გამოხედვა სახის გამომეტყველებას უცვლიდა - ლუსი ისევ თავის თავსემსგავსებოდა, თუმცა ძალზე გამოიფიტა და ისე შეიცვალა, თითქოს სადაც არის, მოკვდებაო. საღამოს ართური მოიკითხა და ის დეპეშით გამოვიძახეთ. ქვინსი სადგურზე გავიდა მის შესახვედრად.

ართური საღამოს ექვსი საათისთვის ჩამოვიდა. როცა ლუსი დაინახა, გული აუჩუყდა, ჩვენ სიტყვაც ვერ დავძარით. დღის მანძილზე ძილი სულ უფრო მეტად ერეოდა, ასე რომ, მასთან დალაპარაკების საშუალებაც არ გვქონდა. ართურის ჩამოსვლამ მასზე დადებითად იმოქმედა: ოდნავ გაიცინა და უფრო მხიარულად დაგველაპარაკა, ვიდრე ართურის მოსვლამდე. ისიც ოდნავ გახალისდა. ახლა დაახლოებით ღამის პირველი საათია, ართური და ვან ჰელსინკი ისევ მასთან არიან. თხუთმეტ წუთში ისინი მე უნდა შევცვალო. ამ ყველაფერს ახლა ლუსის ფონოგრაფზე ვიწერ. ექვს საათამდე შეუძლიათ დაისვენონ. ვშიშობ, ხვალ არ დამთავრდეს ყველაფერი, რადგანაც ნერვული შერყევა მეტისმეტად ძლიერი იყო - საბრალო ბავშვი ამას ვერ გადაიტანს. ღმერთო, გვიშველე!

მინა ჰარკერის წერილი ლუსი ვესტენრასადმი

(ადრესატის მიერ გაუხსნელი)

7 სექტემბერი.

ჩემო ძვირფასო ლუსი!

მგონი, მთელი საუკუნეა, შენგან არაფერი გამიგია ან, უფრო სწორად, შენთვის არაფერი მომიწერია. ვიცი, რომ შემინდობ ამ ცოდვას, როცა ჩემს სიახლეებს წაიკითხავ. ჩემი ქმარი მშვიდობით დაბრუნდა. როცა ექსტერში ჩავედით, უკვე ეტლი გველოდებოდა. მასში მისტერ ჰაუკინსი იჯდა, რომელიც ჩვენს შესახვედრად მოვიდა, მიუხედავად იმისა, რომ ისევ ძლიერ იტანჯება ნიკრისის ქარისაგან. მან თავისთან წაგვიყვანა, სადაც ჩვენთვის გამზადებული იყო მოსახერხებელი და მყუდრო ოთახები, და ყველამ ერთად ვისადილეთ. სადილის შემდეგ მისტერ ჰაუკინსმა გვითხრა:

- ჩემო ძვირფასებო, თქვენი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის სადღეგრძელოს ვსვამ და უსაზღვრო ბედნიერებას გისურვებთ. მე არავინ მყავს და გადავწყვიტე, ყველაფერი თქვენ დაგიტოვოთ.

ძვირფასო ლუსი, ავტირდი, როცა ჯონათანმა და ამ მოხუცმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. ეს ძალიან, ძალიან ბედნიერი საღამო იყო ჩვენთვის.

ამრიგად, ჩვენ ახლა ამ შესანიშნავ ძველ სახლში დავსახლდით. მე ძალზე დაკავებული ვარ ბინისა და მეურნეობის მოწყობით. ჯონათანსა და მისტერ ჰაუკინსს მოცლა არა აქვთ, ვინაიდან მისტერ ჰაუკინსმა ჯონათანი კომპანიონად აიყვანა და სურს, თავისი კლიენტები ყველა საქმის კურსში ჩააყენოს.

როგორ არის შენი საყვარელი დედიკო? მინდოდა, თქვენთან ჩამოვსულიყავი, ჩემო ძვირფასებო, მაგრამ ვერ გადამიწყვეტია, რადგან ძალიან ბევრი საქმე მაქვს. ჯონათანს კი დიდი მოვლა სჭირდება. იგი ოდნავ მომჯობინდა, მაგრამ მაინც საშინლად არის დასუსტებული ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ.

ამით ჩემი ყველა სიახლე გაგიმხილე, შენიც მინდა მოვისმინო. როდის არის შენი ქორწილი? სად და ვინ დაგწერთ ჯვარს, და რას ჩაიცვამ, მოკრძალებული ქორწილი გექნებათ თუ არა? ყველაფერი მიამბე, ძვირფასო, რადგან არაფერია ისეთი, მე რომ არ მაინტერესებდეს და ჩემთვის ძვირფასი არ იყოს.

ჯონათანი სალამს გითვლის. მშვიდობით, ჩემო ძვირფასო, ღმერთმა დაგლოცოს.

შენი მინა ჰარკერი.

პატრიკ ჰენესის ანგარიში ჯონ სიუარდს

20 სექტემბერი.

ძვირფასო სერ, თქვენი სურვილის თანახმად გიგზავნით ანგარიშს ყველა საქმის შესახებ, რაც მე მაქვს მონდობილი. რაც შეეხება პაციენტ რენფილდს, მასთან დაკავშირებით მრავალი სიახლეა. მას ახალი შეტევა ჰქონდა, რაც შეიძლებოდა, ძალიან ცუდად დამთავრებულიყო, მაგრამ რასაც, საბედნიეროდ, არავითარი გართულება არ მოჰყოლია. გუშინ სადილის შემდეგ ორბორბლიანმა ფორანმა ცარიელ სახლთან, რომელიც ჩვენ გვესაზღვრება, ორი ბატონი მიიყვანა. სწორედ იმ სახლთან, სადაც, როგორც გახსოვთ, ორჯერ გაიქცა პაციენტი. ეს ბატონები ჩვენს ჭიშკართან გაჩერდნენ, რათა

ეკითხათ, იქ როგორ მივიდეთო? ისინი, აშკარად, უცხოელები იყვნენ. მე კაბინეტის ფანჯარასთან ვიდექი და ნასადილევს ვეწეოდი. დავინახე, ერთ-ერთი მათგანი როგორ უახლოვდებოდა სახლს. როცა მან რენფილდის ფანჯარას ჩაუარა, პაციენტმა მას ლანძღვა-გინება დაუწყო და უხამსი სიტყვებით შეამკო, ხოლო ბატონი, რომელიც ძალზე წესიერი კაცი ჩანდა, მხოლოდ ამ პასუხით შემოიფლანგა: „ხმა ჩაიწყვიტე, საცოდავო მათხოვარო!“ შემდეგ ჩვენმა პაციენტმა მას ბრალი დასდო: მქურდავდი და ჩემი მოკვლა გინდოდაო! თან დასძინა, თუ კიდევ გაგიბედავს ამის გაკეთება, დედას გიტირებო! მე ფანჯარა გამოვაღე და ბატონს ვანიშნე, ავადმყოფის სიტყვებს ყურადღება არ მიაქციოთ-მეთქი. ბატონმა მხოლოდ გარშემო მიმოიხედა, თითქოს უნდოდა, გაეგო, სად მოხვდა, და ამომძახა, ღმერთმა დამიფაროს, უბედური გიჟის ყვირილს ყურადღება მივაქციოო. ძალიან მებრალებით თქვენ და მმართველი, რომელსაც ერთ ჭერქვეშ უწევს ცხოვრება ისეთ ველურ მხეცთან, როგორიც ეს სუბიექტიაო. შემდეგ მან ძალზე თავაზიანად მკითხა,ცარიელ სახლში როგორ შევიდეო? მე კი ჭიშკარი დავანახვე. ის წავიდა, ხოლო რენფილდმა კვალდაკვალ მუქარა, წყევლა-კრულვა და ლანძღვა-გინება გააყოლა. მასთან მივედი, რათა ამ გაბოროტების მიზეზი გამეგო, რადგან ის ყოველთვის წესიერად იქცეოდა და მსგავსი არასოდეს არაფერი მოსვლია, თუკი სიშმაგის შეტევები არ წამოუვლიდა. ჩემდა დიდად გასაოცრად იგი სრულიად დამშვიდებული და მხიარულიც კი დამხვდა. ვეცადე,ამ ინციდენტზე გამება საუბარი, მაგრამ მან მორცხვად მკითხა, ამით რისი თქმა გნებავთო? მერე განაცხადა, აქ სრულიად არაფერ შუაში ვარო. და მაინც, როგორი სამწუხაროც უნდა იყოს ეს, სხვა არაფერი აღმოჩნდა, თუ არა ცბიერება, რადგან ნახევარ საათსაც არ გაევლო, რომ ისევ შემახსენა თავი. ამჯერად კვლავ ფანჯარა გატეხა თავის ოთახში, გადახტა და გაიქცა. დარაჯს დავუყვირე, მომყევი-მეთქი და რენფილდს გავეკიდე, რადგან მეშინოდა რაიმე უბედურება არ მომხდარიყო. ჩემი შიში გამართლდა:

ხის დიდი ყუთებით დატვირთულ ფორანთან, რომელმაც ადრე ჩაიარა, რამდენიმე კაცი იდგა აჭარხლებული სახეებით - ისინი მძიმე სამუშაოსგან გაოფლიანებულ შუბლებს იწმენდდნენ. სანამ მივუახლოვდებოდი, მათ ჩვენი პაციენტი ეკვეთა, ერთი მათგანი ფორანიდან გადმოათრია და მიწაზე თავი დაარტყმევინა რამდენჯერმე. დროზე რომ არ დამეჭირა, რენფილდი იქვე მოკლავდა. მისმა ამხანაგმა მძიმე მათრახს დაავლო ხელი და რენფილდს ტარით დაუშინა თავში. ეს საშინელი დარტყმები იყო, მაგრამ რენფილდმა თითქოს ვერაფერი იგრძნო - ეცა მას და სამივეს ერთად შეგვებრძოლა, კატის კნუტებივით მოგვისროლა აქეთ-იქით. იცით, რომ საკმაოდ ზორბა ვარ, და ის ორიც ჩასკვნილი ბიჭები იყვნენ. თავიდან მას დიდი თავგამეტებით არ უჩხუბია, მაგრამ როცა მიხვდა, რომ ვერეოდით და დარაჯები დამაწყნარებელ პერანგს აცვამდნენ, ყვირილი მორთო: „ისინი უნდა გავანადგურო! რომ ვეღარ გაბედონ ჩემი გაძარცვა! ჩემი ნელ-ნელა მოკვდინება! მე ჩემი ლორდისა და პატრონისთვის ვიბრძვი!“ და კიდევ უამრავ აბდაუბდას გაჰკიოდა. დიდი ჯაფა დაგვჭირდა საავადმყოფოში მის დასაბრუნებლად და ქეჩაგაკრულ ოთახში მოსათავსებლად. ერთ-ერთმა დარაჯმა, ჰარდიმ, ამ გაწამაწიაში თითი მოიტეხა, მაგრამ შევუხვიე და მალე მოურჩება.

მინა ჰარკერის წერილი ლუსი ვესტენრასადმი

(ადრესატის მიერ გაუხსნელი)

18 სექტემბერი.

ჩემო ძვირფასო ლუსი! როგორი დარტყმა გადავიტანეთ! მისტერ ჰაუკინსი მოულოდნელად გარდაიცვალა! ბევრმა შეიძლება იფიქროს, რომ ეს ჩვენთვის არც ისე სამწუხაროა, მაგრამ ორივეს ისე

შეგვიყვარდა იგი, რომ ისეთი გრძნობა გვაქვს, თითქოს მამა დაგვეკარგოს. ჯონათანი ძალზე განიცდის: დამწუხრებულია, ღრმად დამწუხრებული, არა მარტო იმით, რომ ეს კეთილი მოხუცი აღარ ჰყავს, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე ასე კარგად ექცეოდა, მშობელ მამასავით ზრუნავდა მასზე და, ბოლოს და ბოლოს, ასეთი ქონება დაუტოვა, რაც ჩვენ, მოკრძალებულ ადამიანებს, ჩვეულებრივ, აუხდენელ ოცნებად გვეჩვენება. ამ დანაკარგს იგი სხვა მხრივაც განიცდის. ამბობს, რომ პასუხისმგებლობა, რაც ახლა მთლიანად მას ეკისრება, ძალზე ანერვიულებს. თავის თავში ეჭვი ეპარება. მე მის გამხნევებას ვცდილობ და ეს ძალზე კეთილად მოქმედებს მასზე. ჯონათანს ჯერ კიდევ ვერ დაუღწევია თავი იმ ელდისაგან, რაც ცოტა ხნის წინ გადაიტანა. მაპატიე, ძვირფასო, ჩემი დარდებით რომ გაწუხებ იმ დღეებში, როცა შენ ასეთი ბედნიერი ხარ, მაგრამ, ძვირფასო ლუსი, მე იძულებული ვარ, მამაცი და მხიარული ვიყო ჯონათანთან, ეს კი დიდი ძალისხმევის ფასად მიჯდება და გულისნადებს ვერავის ვუზიარებ. ზეგ ლონდონში მომიწევს ყოფნა, რადგან მისტერ ჰაუკინსმა სიკვდილის წინ სურვილი გამოთქვა, მამაჩემის გვერდით დამკრძალეთო. რადგანაც მას არც ერთი ნათესავი არ დარჩა, ჯონათანმა თვითონ გაიღო მისი დაკრძალვის ხარჯები. ვეცდები, შემოგირბინო, ძვირფასო, თუნდაც რამდენიმე წუთით. მაპატიე, რომ აგაფორიაქე. ღმერთმა დაგლოცოს!

შენი მოყვარული მინა ჰარკერი.

ექიმ სიუარდის დღიური

20 სექტემბერი.

ლუსისთან ვან ჰელსინკი შევცვალე. გვინდოდა, რომ ართურსაც დაესვენა, მაგრამ იგი უარზე დადგა და მხოლოდ მაშინ დაგვთანხმდა, როცა ვუთხარი, დღისით დაგვჭირდები და ცუდი იქნება, თუკი ყველანი ერთდროულად დაღლილები ვიქნებით, რადგან ამით შესაძლოა, ლუსი დაზარალდეს-მეთქი.

ართური ვან ჰელსინკთან ერთად წავიდა. წასვლის წინ ლუსის ფერმკრთალ სახეს დააშტერდა, რომელიც იმ ბალიშზე უფრო თეთრი ჩანდა, რომელზეც თავი ედო. ლუსი სრულიად მშვიდად იწვა და ოთახს ისე მოავლო თვალი, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ იქ ყველაფერი რიგზე იყო. პროფესორმა ისევ ნივრის ყვავილები მიამაგრა ყველგან - გატეხილ ფანჯარაში ნახვრეტი ნივრით ამოავსო და ლუსის ამავე კეთილსურნელოვანი ყვავილების გვირგვინი გაუკეთა. ლუსი მძიმედ სუნთქავდა და გაცილებით უარესად გამოიყურებოდა, ნახევრად ღია პირიდან ღრძილები მოუჩანდა. კბილები ბინდბუნდში კიდევ უფრო გრძელი უჩანდა, ვიდრე დილით. სინათლის თამაშის გამო გეგონებოდათ, თითქოს მას გრძელი და ბასრი ეშვები გაეზარდა. მე საწოლზე ჩამოვჯექი, ლუსი ისე შეირხა, თითქოს უხერხულად იგრძნო თავი. ამ დროს ყრუ ხმაური გაისმა, თითქოს ფანჯარაზე რაღაც რბილი საგნით დააკაკუნეს. ფრთხილად მივედი და ფარდის გადაკეცილი კიდიდან გავიხედე. სავსე მთვარე ანათებდა და დავინახე, რომამ ხმაურს დიდი ღამურა იწვევდა, რომელიც ფანჯარასთან დაფარფატებდა - იგი, აშკარად, სინათლემ მოიზიდა, თუმცა კი ბუნდოვანმა, - და გამუდმებით ეხეთქებოდა ფრთებით ფანჯარას. როცა ჩემს ადგილზე დავბრუნდი, შევნიშნე, რომ ლუსიმოდნავ გაიწია და კისრიდან ნივრის გვირგვინი ჩამოიგლიჯა. მე შევუსწორე და ყარაულობა განვაგრძე.

შემდეგ მან გაიღვიძა და მე საჭმელი მივუტანე, როგორც ვან ჰელსინკმა გამოუწერა. ლუსიმ ძალზე ცოტა და უხალისოდ შეჭამა.

მასში აღარ იგრძნობოდა სიცოცხლისათვის ის გაუცნობიერებელი ბრძოლა, რაც აქამდე მისი ორგანიზმის სიმტკიცეზე მიგვანიშნებდა. როგორც კი ლუსი გამოფხიზლდა, მაშინვე გაცხარებით მიიკრო მკერდზე ყვავილები. საოცარი იყო, რომ როცა თავის უცნაურ, თითქმის ლეთარგიულ ძილში ჩაიძირებოდა, მაშინვე იშორებდა ყვავილებს, ხოლო გაღვიძებული ისევ გულზე იკრავდა. ამ მოვლენას შემთხვევითობით ვერ ავხსნიდი, რადგან ხანგრძლივი ღამეული საათების განმავლობაში, რომლებიც მის გვერდით გავატარე, იგი ხან იძინებდა, ხან იღვიძებდა და ყოველთვის იმავე მოძრაობებს იმეორებდა.

ექვს საათზე ვან ჰელსინკმა შემცვალა. როცა მან ლუსის სახე დაინახა, შეკრთა და ჩურჩულით თქვა: „ფარდები გადაწიეთ, სინათლე მჭირდება!“ შემდეგ დაიხარა და ლუსი ძალზე ყურადღებით შეათვალიერა. როდესაც ყვავილები მოაშორა და კისრიდან აბრეშუმის ცხვირსახოცი ჩამოხსნა, მოულოდნელად უკან დაიხია. მე დავიხარე და კისერზე დავაკვირდი. იმან, რაც დავინახე, მეც განმაცვიფრა: ჭრილობები სრულიად იყო შეხორცებული.

მთელი ხუთი წუთი ვან ჰელსინკი უხმოდ იდგა და კუშტად დაჰყურებდა ლუსის, შემდეგ ჩემკენ შემობრუნდა და მშვიდად თქვა:

- კვდება. ახლა ეს დიდხანს არ გაგრძელდება. დიდი მნიშვნელობა ექნება, სიფხიზლეში მოხდება ეს თუ ძილში ყოფნისას. გააღვიძეთ ჩვენი უიღბლო მეგობარი, დაე, მოვიდეს და უკანასკნელად ნახოს. მას ჩვენი იმედი ჰქონდა.

სასადილოში გავედი და ართური გავაღვიძე. თავიდან ის ბურანში იყო, მაგრამ როცა ფარდის ჭუჭრუტანიდან შემოსული მზის სხივი დაინახა, სწრაფად წამოხტა. მე ვუთხარი, ლუსის მთელი ამ დროის

მანძილზე მშვიდად ეძინა-მეთქი, მაგრამ, ამასთან, ფრთხილად მი-ვანიშნე მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. მან სახეზე ხელები აი-ფარა, ტახტის გვერდით მუხლი მოიყარა და ლოცვა დაიწყო.

როდესაც ლუსის ოთახში შევედით, დავინახეთ, რომ ვან ჰელ-სინკი ბალიშზე დაფენილ ქერა თმას ვარცხნიდა ლუსის. როცა ლუ-სიმ ართური დაინახა, ჩუმად ჩაილაპარაკა:

- ართურ! ოჰ, ჩემო საყვარელო, როგორ მიხარია, რომ მოხვედი.

იგი დაიხარა, რათა ლუსისთვის ეკოცნა, მაგრამ ვან ჰელსინკმა სწრაფად დასწია უკან.

- არა, - ჩასჩურჩულა ყურში, - ახლა არა! ხელი დაადეთ, ეს უფრო დაამშვიდებს.

ართურმა ლუსის ხელი ჩაავლო და მის წინ მუხლი მოიყარა, მან კი ალერსიანად შეხედა თავისი კეთილი, მშვენიერი, ანგელოზისე-ბური თვალებით, შემდეგ ნელა დახუჭა და ჩათვლიმა. მკერდი მძი-მედ აუდ-ჩაუდიოდა და დაღლილი ბავშვივით სუნთქავდა.

აქ მან ისევ განიცადა იგივე ცვლილება, რასაც არაერთხელ და-ვაკვირდი ღამით. სუნთქვა უფრო მძიმედ დაიწყო, ტუჩი აეწია და ფერმკრთალი ღრძილები გაუშიშვლდა, რის გამოც კბილები ად-რინდელზე გრძელი და მახვილი უჩანდა. ბურანში მყოფმა უაზროდ გაახილა თვალი, ახლა უკვე ამღვრეული და მკაცრი, და ისეთი უც-ნაური და ავხორცული ტონით წარმოთქვა, რაც მისგან არც ერთ ჩვენგანს არასოდეს არ გაუგია:

- ართურ, ჩემო სიყვარულო, ძალიან მიხარია, რომ მოხვედი! მაკოცე!

ართური სწრაფად დაიხარა, მაგრამ ვან ჰელსინკი, რომელიც ჩემსავით იყო განცვიფრებული ლუსის ამ უჩვეულო ტონით, მივარდა მას, ორივე ხელი საყელოში ჩაავლო და საშინელი, წარმოუდგენელი ძალით მოისროლა.

- თქვენი სიცოცხლისათვის, - თქვა მან, - თქვენი და მისი სულის გადასარჩენად! არ შეეხოთ!

ართურმა ჯერ არ იცოდა, რა გაეკეთებინა და რა ეთქვა, მაგრამ ვიდრე განრისხდებოდა, გაიაზრა, რა პირობებში იმყოფებოდა და მდუმარედ გაჩერდა კუთხეში.

ვან ჰელსინკმა და მე ლუსის გადავხედეთ და დავინახეთ, როგორ გაიელვა მის სახეზე საშინელი გააფთრების აჩრდილმა, ბასრმა კბილებმა ბრაზიანად დაიღრჭიალა.

ამის შემდეგ მალე გაახილა თვალი, თავისი მკრთალი, გალეული ხელი გაიშვირა და ვან ჰელსინკს დიდ, გარუჯულ ხელზე მოუჭირა, ტუჩებთან მიიტანა და აკოცა.

- ჩემო ერთგულო, ძვირფასო მეგობარო, - წარმოთქვა მან მისუსტებული ხმით. - ჩვენო ერთგულო მეგობარო. გაუფრთხილდით მას და მომეცით დამშვიდების იმედი!

- გეფიცებით, - უპასუხა პროფესორმა დამაჯერებლად და ხელი ასწია, თითქოს სასამართლოში დებდა ფიცს. შემდეგ ართურს მიუბრუნდა და მიმართა:

- მოდით აქ, ჩემო კარგო, ხელები დაუჭირეთ და შუბლზე აკოცეთ, მაგრამ მხოლოდ ერთხელ.

მათი თვალები შეხვდა ერთმანეთს და არა ტუჩები: ასე დაშორ-დნენ.

ლუსიმ თვალები დახუჭა. ვან ჰელსინკმა, რომელიც მის გვერ-დით იდგა,ართურს ხელი ჩაავლო და გვერდზე გაიყვანა.

შემდეგ ლუსის სუნთქვა ისევ საგანგაშო გაუხდა და უცებ საერ-თოდ შეუწყდა.

- ყველაფერი დამთავრდა, - თქვა ვან ჰელსინკმა, - ის მოკვდა.

ართური სასტუმრო ოთახში გავიყვანე, იქ კი ისე აქვითინდა, რომ მასთან დარჩენა აღარ შემეძლო. გარდაცვლილის ოთახში დავბრუნდი, სადაც ვან ჰელსინკი დამხვდა. იგი ლუსის უჩვეულო ცნობისწადილით დაჰყურებდა, მასში რაღაც ცვლილება მოხდა: სიკვდილმა წარსული სილამაზის ნაწილი დაუბრუნა, სახის ნაკვთე-ბი შეეცვალა. ტუჩებიც აღარ ჰქონდა ისეთი ფერმკრთალი. თითქოს მთელი სისხლი, რაც გულს აღარ სჭირდებოდა, სახეს მოაწვა და ცდილობდა, შეძლებისდაგვარად შეერბილებინა სიკვდილის ამაზ-რზენი ნამოქმედარი.

მე ვან ჰელსინკის გვერდით ვიდექი და ჩუმად ვუთხარი:

- საბრალო. მოისვენა საწყალმა! ყველაფერი დამთავრდა!

იგი ჩემკენ მობრუნდა და ომახიანად განაცხადა:

- ვაი რომ, არა! ყველაფრის დამთავრებამდე ჯერ კიდევ შორია! ეს მხოლოდ დასაწყისია!

როდესაც ვკითხე, ამით რისი თქმა გსურთ-მეთქი, მხოლოდ თავი გააქნია და მიპასუხა:

- ჯერჯერობით არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია. დავიცადოთ და ვნახავთ.

თავი მეცამეტე

დაკრძალვა მეორე დღეს დაინიშნა, ასე რომ, ლუსი დედასთან ერთად მიაბარეს მიწას.

ვან ჰელსინკი გამუდმებით მოვლენათა ცენტრში იმყოფებოდა. შესაძლოა, ამის მიზეზი სახლში გამეფებული უწესრიგობაც იყო. გარდაცვლილებს არც ერთი ნათესავი არ დარჩენიათ, ასე რომ, გადავწყვიტეთ, თვითონ მოგვეძია ყველა საბუთი, მით უფრო, რომ ართურს მეორე დღეს მამის დაკრძალვაზე მოუხდა გამგზავრება.

ვან ჰელსინკს სურდა, აუცილებლად თვითონ გასცნობოდა ყველა ჩანაწერს. ვფიქრობდი, უცხოელია და აქაურ კანონ-წესებში გარკვევას ვერ შეძლებს-მეთქი, ამიტომაც ვკითხე, რატომ ცდილობდა მარტოდმარტო გარკვევას, რაზეც მომიგო:

- შენ გავიწყდება, რომ მე ისეთივე იურისტი ვარ, როგორიც ექიმი. მაგრამ ამ შემთხვევაში არ შეიძლება მხოლოდ იმას გავუწიოთ

ანგარიში, რასაც კანონი მოითხოვს. აქ, ალბათ, სხვა ქაღალდებიც მოიძებნება, რომლებიც არავის არ უნდა გავუმხილოთ.

მან თავისი საფულიდან ჩანაწერები ამოიღო, რომლებიც ლუსის მკერდზე ედო და ძილში დახია.

- თუ ამ ქაღალდებში რაიმეს ნახავ მისის ვესტენრას ვექილის შესახებ, - განაგრძო მან, - ყველაფერი დაბეჭდე და დღესვე მისწერე. მე მთელი ღამე აქ დავრჩები სადარაჯოდ, ლუსის ოთახში, მინდა ვნახო, რა იქნება. ცუდია, თუ ვინმე უცხო გაიგებს მის აზრებს.

მუშაობა გავაგრძელე, მალე ვიპოვე მისის ვესტენრას ვექილის სახელი და მისამართი და მივწერე მას. ყველა საბუთი წესრიგში აღმოჩნდა, იქ ისიც კი იყო ზუსტად აღნიშნული, სად უნდა დაკრძალულიყვნენ მიცვალებულები. ის იყო წერილი დავბეჭდე, რომ ჩემდა გასაოცრად, ვან ჰელსინკი შემოვიდა.

- ხომ არ შემიძლია მოგეხმარო, ჯონ? მე თავისუფალი ვარ და მთლიანად შენს განკარგულებაში.

- იპოვე, რასაც ეძებდი? - ვკითხე მე.

- გარკვევით არაფერი მიძებნია. ის ვიპოვე, რასაც ვიმედოვნებდი: - მიპასუხა მან - რამდენიმე წერილი, ჩანაწერი და ახლად დაწყებული დღიური. აი, ისინი, მაგრამ ამას არავის გავუმხელთ. ხვალ ჩვენს საბრალო მეგობარს ვნახავ და მისი თანხმობით ჩემ მიერ ნაპოვნი რამდენიმე მონაცემით ვისარგებლებთ.

სანამ დასაძინებლად წავიდოდით, კიდევ ერთხელ გავემართეთ ლუსის სანახავად. აგენტმა ყველაფერი კარგად მოაწყო, მან ოთახი

პატარა ორანჟერეად აქცია. ყველაფერი საუცხოო თეთრ ყვავილებში ეფლობოდა და სიკვდილიც აღარ იწვევდა თავზარდამცემ შთაბეჭდილებას. მიცვალებულს სუდარა ჰქონდა გადაფარებული. პროფესორი მივიდა და გადახადა. ჩვენ გაგვაოცა იმ სილამაზემ, რაც თვალწინ დაგვიდგა. თუმცა ცვილის სანთლები საკმაოდ ცუდად ანათებდა ოთახს, მაინც საკმაო სინათლე იყო იმისათვის, რათა დაგვენახა, რომ ლუსის მთელი ადრინდელი სახე დაბრუნებოდა და რომ სიკვდილს განადგურების ნაცვლად იმდენად აღედგინა ეს სილამაზე, რომ მომეჩვენა, თითქოს კი არ მომკვდარა, არამედ მხოლოდ მიძინებულია.

პროფესორს ძალზე მკაცრი სახე ჰქონდა. მას ჩემსავით არ ჰყვარებია ეს გოგონა. სრულიად ბუნებრივია, რომ სატირალიც არაფერი ჰქონდა. მან მითხრა:

- აქ დარჩი ჩემ მოსვლამდე, - და გავიდა.

იგი მალე დაბრუნდა თეთრი ნივრის უამრავი ყვავილით, ისინი ყუთიდანაც ამოიღო, რომელიც აქამდე არავის გაეხსნა და მთელ ოთახში მოაფრქვია. შემდეგ პატარა ოქროს ჯვარი მოიხსნა, ლუსის ტუჩებზე დაადო, სუდარა ისევ გადააფარა და ოთახიდან გავედით.

მე ჩემს ოთახში ვიცვლიდი ტანსაცმელს, როდესაც ვან ჰელსინკმა კარზე მომიკაკუნა, შემოვიდა და მითხრა:

- გთხოვ, ხვალ საღამომდე ორი დანა მომიტანო გაკვეთისათვის.

- გაკვეთის ჩატარება იქნება საჭირო? - ვკითხე მე.

- ასეა თუ ისე, ოპერაცია მინდა ჩავატარო, მაგრამ ისეთი არა, როგორსაც შენ ფიქრობ. ახლა აგიხსნი საქმის ვითარებას, მაგრამ - არავისთან არც ერთი სიტყვა! მინდა, მას თავი მოვკვეთო და გული ამოვუღო. ოჰ-ოჰ-ოჰ! შენ ექიმი ხარ და ასეთი ელდა გეცა! არადა, მინახავს, როგორ უყოყმანოდ დათანხმებულხარ ისეთ ოპერაციას, რაზეც სხვა ქირურგები უარს ამბობდნენ. დიახ, ცხადია, ჩემო კარ-გო, არ უნდა დავივიწყო, რომ შენ ის გიყვარდა. ეს არც დამვიწყებია: მე გადავწყვიტე, თვითონ გავაკეთო ოპერაცია, შენ მხოლოდ ჩემი დახმარება მოგიწევს. დღეს მინდოდა ამის გაკეთება, მაგრამ არ-თურს უნდა დაველოდოთ, იგი მხოლოდ ხვალ განთავისუფლდება მამის დაკრძალვის შემდეგ, და ალბათ, სურვილი ექნება, კიდევ ერ-თხელ დახედოს ლუსის. მერე კი, მას შემდეგ, რაც კუბოში ჩაასვენე-ბენ, აქ მოვალთ, - როცა ყველას ეძინება, - კუბოს თავსახურს ავ-ხდით და ოპერაციას გავაკეთებთ, შემდეგ კი ყველაფერს თავის ად-გილზე დავდებთ, რათა ჩვენ გარდა ვერავინ ვერაფერი გაიგოს.

- მაგრამ ეს რისთვის უნდა გავაკეთოთ? - ვკითხე მე. - გოგონა გარდაიცვალა. ტყუილუბრალოდ რატომ უნდა გავტანჯოთ მისი საბ-რალო სხეული? და თუ ამით სიცოცხლეს ვერ დავუბრუნებთ, თუ ეს არავითარ სარგებელს არ მოუტანს არც მას, არც ჩვენ, არც მეცნიე-რებას, არც კაცობრიობას, მაშინ რა საჭიროა ამის გაკეთება? უამი-სოდაც საშინელიაყველაფერი!

ჩემი სიტყვების პასუხადმან მხარზე ხელი დამადო და ალერსია-ნად შემომხედა:

- მებრალები, ჯონ, როცა ვხედავ, რომ გულზე ცეცხლი გედება და ამის გამო უფრო მეტად მიყვარხარ. რომ შემეძლოს, შენს სულს ყვე-ლა ტვირთს ჩამოვაშორებდი. არის ისეთი რამ, რაც შენ არ იცი, მაგ-რამ რასაც უთუოდ გაიგებ. გიხაროდეს, რომ ჯერჯერობით მხოლოდ

მე ვიცი ის, რადგან არც ისე სასიამოვნოა. ჯონ, ჩემო შვილო, შენთან უკვე მრავალი წელია ვმეგობრობ, დაფიქრდი, გაიხსენე და მითხარი, უსაფუძვლოდ განა რამე გამიკეთებია? შესაძლოა, ვცდები, მე ხომ მხოლოდ ერთი უბრალო ადამიანი ვარ, მაგრამ მჯერა იმისა, რასაც ვაკეთებ. განა ამის გამო არ მიხმე, როცა ეს უბედურება მოხდა? ამის გამო - ხომ მართალია? განა არ გაგაოცა, არ აგაღელვა იმან, რომ ართურს ნება არ მივეცი, თავისი სატრფოსთვის ეკოცნა და მისგან შორს მოვისროლე, მიუხედავად იმისა, რომ გოგონა კვდებოდა? ცხადია, ასე იყო! მაგრამ, ხომ ნახე, შემდეგ როგორ მემადლიერებოდა ლუსი თავისი ალერსიანი მზერით, თავისი სუსტი ხმით; როგორ მაკოცა ბებერ, უხეშ, ხელზე და როგორ დამლოცა? განა არ გესმოდა, როგორ შევფიცე, ამესრულებინა მისი სურვილი, ისე რომ, მან მშვიდად დახუჭა თვალები? ამდენად, საკმაო მიზეზი მაქვს იმისათვის, რასაც ვაკეთებ. შენ მრავალი წლის მანძილზე გჯეროდა ჩემი. გჯეროდა მაშინ, როცა რამდენიმე კვირის წინ უცნაური ამბები მოხდა, რაც გაუგებარი იყო შენთვის. ცოტა ხნით კიდევ მენდე, ჯონ. თუ არ მენდობი, მაშინ მომიწევს, გაგიმხილო რასაც ვფიქრობ, ეს კი შეიძლება ცუდად დამთავრდეს. ხოლო თუ ჩემი მეგობრის ნდობის გარეშე მომიწევს მუშაობა, თავს მარტოსულად ვიგრძნობ, დახმარება და მხარდაჭერა კი შესაძლოა, ძალიან დამჭირდეს!

ხელზე ხელი მოვუჭირე და დახმარება აღვუთქვი...

ალბათ, დიდხანს და მაგრად მეძინა, რადგან უკვე გვიანი იყო, როცა ვან ჰელსინკმა თავისი მოსვლით გამაღვიძა. იგი თავზე დამადგა და მითხრა:

- დანებზე შეგიძლია აღარ შეწუხდე - ამას აღარ გავაკეთებ.

- რატომ?

- იმიტომ, რომ, - მიპასუხა მან, - მეტისმეტად გვიანია ან მეტისმეტად ადრეა. შეხედე! - მან თავისი ოქროს ჯვარი მიჩვენა. - ეს ღამით მოიპარეს!

- როგორ თუ მოიპარეს? - ვიკითხე გაკვირვებულმა. - ახლა ხომ შენ გაქვს?

- აი ასე! ჯვარი უღირს მოახლეს წავართვი, რომელიც მკვდრებსაც ქურდავს და ცოცხლებსაც. ის, რასაკვირველია, სამაგალითოდ დაისჯება, მაგრამ არა ჩემგან, რადგან არ იცოდა, რას აკეთებდა და ქურდობა არცოდნით ჩაიდინა. ახლა მოცდა მოგვიწევს.

და ის წავიდა ისე, რომ ახალი თავსატეხი დამიტოვა და ისევ ამირ-დამირია ფიქრები.

დღე სევდიანად მიიწურა. საღამოს ვექილი მოვიდა, მისტერ მარკანი. ეს იყო ნიჭიერი და თვითდაჯერებული ბატონი. მან თავის თავზე აიღო ყველა ჩვენი წვრილმანი საზრუნავი.

სადილის დროს გვიამბო, რომ მისის ვესტენრა უკვე რამდენიმე ხანია, ავადმყოფობის გამო სიკვდილს ელოდა და ამიტომ თავისი ყველა საქმე სრულ წესრიგში ჰქონდა მოყვანილი. შემდეგ მან გვაცნობა, რომ მთელ ქონებას, - ლუსის მამის საკუთრების გარდა, რაც ახლა პირდაპირი მემკვიდრეობის არარსებობის გამო თანამდევ გვაროვნულ ხაზზე გადავა, - როგორც მოძრავს, ასევე უძრავს, - ართურ ჰოლმვუდი მიიღებს.

ართურს ხუთი საათისათვის ველოდებოდით, ასე რომ, საცხედრეში თავისუფლად მოვასწრებდით შევლას. ამ შემთხვევაში ოთახი სავსებით ამართლებდა თავის დანიშნულებას, რადგან იქ ახლა დედაც განისვენებდა და შვილიც.

საბრალო ართური - ძალზე ნაღვლიანი იყო, თითქოს მისი საოცარი სიმამაცეც გამქრალიყო ასეთი მძიმე განცდების შემდეგ. ვიცი, რომ მას ძალზე უყვარდა მამა და მისი დაკარგვა, თანაც ასეთ დროს, მძიმე დარტყმა იქნებოდა მისთვის. ჩემთან იგი, როგორც ყოველთვის, ძალზე გულწრფელი იყო, ხოლო ვან ჰელსინკთან - მეტად თავაზიანი. მიმძიმდა იმის დანახვა, თუ როგორ იტანჯებოდა. ეს პროფესორმაც შეამჩნია და მანიშნა, ზემოთ აიყვანეო. ასეც მოვიქეცი და ართური ოთახის კართან დავტოვე, რადგან ვგრძნობდი, რომ ლუსისთან მარტოს უნდოდა დარჩენა, მაგრამ მან ხელი მომკიდა, ოთახში შემიყვანა და ჩახლეჩილი ხმით წამოიწყო:

- ის შენც გიყვარდა, ჩემო მეგობარო, მან ყველაფერი მიამბო, და შენზე უკეთესი მეგობარი არც ჰყოლია. მე არ ვიცი, მადლობა როგორ გადაგიხადო იმ ყველაფრისათვის, რაც მისთვის გააკეთე, იმასაც ვერ ვფიქრობ... - აქ ძალამ უმტყუნა, გადამეხვია, მხარზე დამადო თავი და ატირდა - ოჰ, ჯონ! ჯონ! რა ვქნა? მგონია, რომ სიცოცხლემ აზრი დაკარგა და აღარც ღირს!

მე დავამშვიდე, როგორც შემეძლო. ასეთ შემთხვევებში მამაკაცებს სიტყვები ნაკლებად სჭირდებათ. ხელის ჩამორთმევა, მოხვევა, ერთობლივი ძუნწი ცრემლები - აი, მამაკაცისთვის გრძნობათა გამოხატვა. მე წყნარად ვიდექი და ვიცდიდი, სანამ თავს ხელში აიყვანდა და მწუხარებას ჩაიხშობდა, შემდეგ ალერსიანად მივუგე:

- მოდი, დავხედოთ.

ჩვენ ერთად მივუახლოვდით საწოლს, ლუსის სახიდან სუდარა გადავხადე. ღმერთო ჩემო! რა ლამაზი იყო! მისი სილამაზე თითქოს ყოველ საათს იფურჩქნებოდა. ეს რაღაცით მაშინებდა და მაცვიფრებდა. ართურსრაც შეეხება, იგი ციებიანივით ცახცახებდა და ეჭვები ეძალებოდა. საბოლოოდ, ხანგრძლივი დუმილის შემდეგ, ჩუმად დაიჩურჩულა:

- ჯონ, ის ნამდვილად მოკვდა?

სევდიანად ვუპასუხე, ეს მართლაც ასეა-მეთქი და მისი დარწმუნება განვაგრძე, რადგან აუცილებელი იყო ამ საშინელი ეჭვის გაფანტვა. შემდეგ ვუთხარი, უნდა დავემშვიდობოთ-მეთქი, ვინაიდან დაკრძალვისათვის მომზადება იყო საჭირო. იგი ხელზე ეამბორა, შემდეგ დაიხარა და შუბლზე აკოცა. წასვლისას ლუსის ისეთივე ხანგრძლივი, გამჭოლი მზერა შეავლო, როგორც ოთახში შემოსვლის დროს.

იგი სასტუმრო ოთახში დავტოვე და ვან ჰელსინკს ვუთხარი, რომ ართური უკვე დაემშვიდობა ლუსის. ვან ჰელსინკი სასადილოში გავიდა, რათა აგენტისთვის ეთქვა, აჩქარდიო. როცა ართური ოთახიდან გამოვიდა, ვან ჰელსინკს გადავეცი, რაც მან მკითხა. პროფესორმა მიპასუხა:

- ეს სულაც არ მაკვირვებს - სულ ახლახან ამან მე თვითონ დამაეჭვა.

ყველანი ერთად ვსადილობდით და შევნიშნე, რომ საბრალო ართური საშინლად ღელავდა. ვან ჰელსინკი დუმდა. მხოლოდ მაშინ დაილაპარაკა, როცა სიგარები გავაბოლეთ.

- ლორდო, - დაიწყო მან, მაგრამ ართურმა შეაწყვეტინა:

- არა, არა, ეს არ გინდათ, ღვთის გულისათვის! ყოველ შემთხვევაში - ახლა არა. მაპატიეთ, სერ, თქვენი გაბრაზება არ მინდოდა, მაგრამ ამ ტიტულის გაგონებაც არ შემიძლია, ჩემი ჭრილობა ჯერ არ შეხორცებულა!

პროფესორმა ძალზე ალერსიანად უპასუხა:

- ასე მხოლოდ იმიტომ გიწოდეთ, რომ ვერ გადამეწყვიტა, როგორ მომემართა თქვენთვის. არ შემიძლია „მისტერი“ გიწოდოთ, შემიყვარდით, დიახ, ჩემო ძვირფასო ბიჭო, მე შემიყვარდით, როგორც ართური.

ართურმა ხელი გაუწოდა და მხურვალედ ჩაბღუჯა მოხუცის ხელისგული.

- მიწოდეთ, როგორც გსურთ, - უთხრა მან. - იმედი მაქვს, რომ ყოველთვის სიამაყით ვატარებ თქვენი მეგობრის წოდებას. ნება მიბოძეთ, გითხრათ, რომ სიტყვებს ვერ ვპოულობ, რათა ჩემი მადლიერება გამოვხატო ყველაფრისათვის, რაც თქვენ გააკეთეთ ჩემი საბრალო, ძვირფასი ლუსისათვის. თუ მე გავფიცხდი ან უკმაყოფილება, ანდა უნდობლობა გამოვხატე, გთხოვთ მაპატიოთ.

პროფესორმა ალერსიანად უპასუხა მას:

- მე ვიცი, რა ძნელი იყო მაშინ თქვენთვის ჩემდამი სრული ნდობის გამოხატვა. ჩემი აზრით, ბოლომდე ახლაც არ გჯერათ ჩემი, და ეს არც შეგიძლიათ, რადგან ჯერ კიდევ არ იცით საქმის ვითარება.

მაგრამ დადგება დრო, როდესაც ჩემი სრული ნდობა გექნებათ, და როდესაც ყველაფერს გაიგებთ, ჩემი მადლიერი იქნებით, თქვენ გამო, სხვების გულისთვისაც და იმისთვის, რომლის დაცვის ფიციც დავდე.

- დიახ, ცხადია, სერ, - მხურვალედ წარმოთქვა ართურმა, - მე ყველაფერში გენდობით. ვიცი და მჯერა თქვენი კეთილშობილების, თქვენ ხომ ჯონის მეგობარი ხართ. გააკეთეთ ყველაფერი, რაც გსურთ!

- რაღაც კითხვები მინდოდა თქვენთვის დამესვა!

- დიდი სიამოვნებით.

- თქვენთვის ცნობილია, რომ მისის ვესტენრამ მთელი თავისი ქონება დაგიტოვათ?

- არა! ამაზე არასდროს მიფიქრია.

- რადგან ახლა ყველაფერი თქვენ გეკუთვნით, უფლება გაქვთ თქვენი შეხედულებისამებრ მოიხმაროთ ეს საკუთრება. მე მინდა, რომ ნება დამრთოთ, ლუსის ყველა საბუთი და წერილი წავიკითხო. მერწმუნეთ, ეს არ გახლავთ ამაო ცნობისმოყვარეობა. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ამისათვის ძალზე მნიშვნელოვანი საფუძველი მაქვს. აი, ყველა ქაღალდი. ისინი მანამდე ავიღე, სანამ გავიგებდი, რომ ეს ყველაფერი თქვენია, იმისათვის, რათა მათ უცხო ხელი არ შეხებოდა, მის სულში უცხო მზერას არ შეეღწია. მე შევინახავ მათ, თუ თქვენ არაფერი გაქვთ საწინააღმდეგო, თქვენთვისაც არ მინდოდა მათი ჩვენება, თვალისჩინივით გავუფრთხილდები. არაფერი არ დაიკარგება, ხოლო როცა დადგება დრო, დაგიბრუნებთ. თითქმის

შეუძლებელს გთხოვთ, მაგრამ ხომ გააკეთებთ ამას? ასე არ არის? ლუსის გულისათვის.

- გააკეთეთ ყველაფერი, რაც გნებავთ, ექიმო. ვგრძნობ, რომ ამის თქმით ლუსის სურვილს ვასრულებ. შეკითხვებით არ შეგაწუხებთ, სანამ დრო არ დადგება.

- მართალი ბრძანდებით, - უპასუხა პროფესორმა. - ჩვენ ყველას მრავალი უბედურების გადატანა მოგვიწევს. სულით არ უნდა დავეცეთ, არც ეგოისტებად უნდა ვიქცეთ. მოვალეობა გვიხმობს. მჯერა, ყველაფერი კეთილად დამთავრდება!

ამ ღამეს დივანზე მეძინა ართურის ოთახში. ვან ჰელსინკი საერთოდ არ დაწოლილა, წინ და უკან დადიოდა, თითქოს სახლს ყარაულობდა. იმ ოთახს, სადაც კუბოში ლუსი იწვა, თვალს არ აცილებდა. გოგონას ნივრის თეთრი ყვავილები ეყარა, რომელთა სურნელიც ღამის ჰაერში ვარდებისა და შროშანების არომატს ერთვოდა.

მინა ჰარკერის დღიური

22 სექტემბერი. ექსეტერისკენ მიმავალ მატარებელში.

ჯონათანს სძინავს.

დაკრძალვამ საკმაოდ მოკრძალებულად ჩაიარა. კუბოს მივყვებოდით ჩვენ, მოახლე, ერთი-ორი მეგობარი ექსეტერიდან, ლონდონელი აგენტი დაერთიბატონი, სერ ჯონ პაქსთონის - კანონთა საზოგადოების პრეზიდენტის მოადგილე. ჯონათანი და მე ხელიხელგაყრილი ვიდექით და ვგრძნობდით, რომ დავკარგეთ ძვირფასი და ახლობელი ადამიანი. აუჩქარებლად დავბრუნდით ქალაქში, ჰაიდ-

პარკამდე ომნიბუსით მივედით. შემდეგ პიკადილიზე ფეხით გავიარეთ. ჯონათანი ხელჩაკიდებული მომყვებოდა. მე მეტად ლამაზ გოგონასაკენ გამექცა თვალი, რომელსაც დიდი მრგვალი ქუდი ეხურა და ეტლში იჯდა. უცებ ჯონათანმა ხელი ისე ძლიერ მომიჭირა, რომ ძალიან მეტკინა, და შესძახა: „ღმერთო!“ ჯონათანის გამო მუდმივად დაძაბული ვარ, რადგან მეშინია, ისევ არ გაუმეორდეს ნერვული შეტევა, ასე რომ, მაშინვე მას მივუბრუნდი და ვკითხე, რა მოხდა-მეთქი.

ის ძალზე ფერმკრთალი იყო, თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა და შიშით შეჰყურებდა ვიღაც მაღალ, გამხდარ ბატონს, რომელსაც კეხიანი ცხვირი, შავი, პატარა ულვაში და წაწვეტებული წვერი ჰქონდა. ისიც ჩემსავით შესცქეროდა იმ ლამაზ გოგონას, თანაც ისეთი დაჟინებით, რომ ჩვენ საერთოდ ვერ გვამჩნევდა და მე მოვახერხე კარგად შემეთვალიერებინა უცნობი. მას არ ჰქონდა კეთილი გამომეტყველება, უფრო მკაცრი და კუშტი ეთქმოდა, ხოლო დიდი, თეთრი კბილები, რომლებიც კიდევ უფრო მეტად ქათქათებდა ხასხასა წითელი ტუჩების ფონზე, ცხოველის ეშვებს უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანის კბილებს. ჯონათანი თვალს არ აშორებდა და მე შემეშინდა კიდეც, უცნობს ეს არ დაენახა. მეშინოდა, ამას არ გაებრაზებინა, რადგან ბოროტი სახე ჰქონდა. ჯონათანს ვკითხე, ასე რატომ ღელავ-მეთქი. ალბათ, ეგონა, რომ იმდენივე ვიცოდი, რამდენიც მან, ამიტომაც მიპასუხა:

- იცი, ეს ვინ არის?

- არა, ძვირფასო, - ვუპასუხე მე, - არ ვიცი, ვინ არის?

პასუხმა განმაცვიფრა, რადგან მას ეტყობა, სულ დაავიწყდა, რომ ჩემთან საუბრობდა.

- ეს სწორედ ის არის!

საბრალო ჯონათანი, როგორც ჩანდა, რაღაცამ ძალიან ააღელვა. დარწმუნებული ვარ, რომ არ შემეკავებინა, ალბათ დაეცემოდა. უცნობს თვალს არ აშორებდა. მაღაზიიდან ვიღაც ბატონი გამოვიდა პაკეტით ხელში, გადასცა იგი ეტლში მყოფ ლედის და მაშინვე ორივე წავიდა. პირქუში უცნობი ქალს თვალს არ აცილებდა, როდესაც ის წავიდა, დიდხანს გაჰყურებდა, შემდეგ ეკიპაჟი დაიქირავა და უკან გაჰყვა. ჯონათანს მისთვის თვალი არ მოუცილებია, და ბოლოს, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

- მე მგონი, ეს გრაფია, მაგრამ თითქოს გაახალგაზრდავებულა. ღმერთო ჩემო, ეს თუ სიმართლეა! ოჰ, ღმერთო, ღმერთო ჩემო! რომ ვიცოდე! რომ ვიცოდე!

ისეთი შეშფოთებული იყო, რომ შემეშინდა, რამე მეკითხა. სახელოზე ოდნავ მოვქაჩე და გზა გავაგრძელეთ. ცოტა გავიარეთ, შემდეგ გრინპარკში შევედით და ჩამოვსხედით. შემოდგომის ცხელი დღე იყო, ასე რომ, ჩრდილში დასვენება გვესიამოვნა. ჯონათანი დიდხანს გასცქეროდა შორეთს, შემდეგ თვალები დახუჭა, თავი მხარზე დამადო და ჩაეძინა. არ მინდოდა, გამეღვიძებინა, რადგან ძილი მისთვის საუკეთესო წამალია. ოციოდე წუთის შემდეგ გაიღვიძა და ალერსიანად თქვა:

- რა არის, მინა, ნუთუ მეძინა? ოჰ, მაპატიე ასეთი მოურიდებლობა. სადმე შევიდეთ და ჩაი დავლიოთ.

მას, როგორც ჩანს, სრულიად დაავიწყდა ის პირქუში ბატონი, ისევე როგორც თავისი ავადმყოფობის დროს არაფერი ახსოვდა

იმის შესახებ, რაც მანამდე გადახდა თავს. არ მომწონს ეს გულმავიწყობა. გამოკითხვას არ დავუწყებ, რადგან მეშინია, რომ ეს სარგებელზე მეტად ზიანს მოუტანს, მაგრამ მაინც საჭიროა იმის გაგება, რა შეემთხვა მოგზაურობის დროს. ვშიშობ, რომ დადგა დრო, გავხსნა ის პაკეტი და ვნახო, იქ რა წერია. ოჰ, ჯონათან, შენ მაპატიებ, თუ ასე მოვიქცევი, ამას მხოლოდ შენს სასიკეთოდ ვაკეთებ!

მოგვიანებით.

შინ დაბრუნება ყოველმხრივ დარდის მომგვრელია - სახლი დაიცალა, იქ აღარ არის ჩვენი მეგობარი. ჯონათანი ჯერ კიდევ ფერმკრთალია და სუსტად გრძნობს თავს შეტევის შემდეგ, თუმცა მძიმე ფორმით არ ჰქონია... აქ კი დეპეშა ვან ჰელსინკისგან, ეს რა უნდა იყოს?

„თქვენთვის, ალბათ, მძიმე მოსასმენი იქნება, რომ მისის ვესტენრა ხუთი დღის წინ გარდაიცვალა და რომ მესამე დღეს ლუსიმაც სული განუტევა. დღეს ორივეს ვკრძალავთ“.

რამხელა უბედურებას იტევს ეს რამდენიმე სიტყვა, საბრალო მისის ვესტენრა! საბრალო ლუსი! ისინი აღარ არიან, და აღარასოდეს დაბრუნდებიან! საბრალო, საბრალო ართური - ცხოვრებაში ყველაზე ძვირფასი დაკარგა! ღმერთმა შეგვაძლებინოს ამ დარდის გადატანა!

ექიმ სიუარდის დღიური

22 სექტემბერი.

ყველაფერი დასრულდა. ართური რინგს გაემგზავრა და ქვინსი მორისიც წაიყვანა. ვან ჰელსინკი ისვენებს, რადგან შორი გზა ელის. დღეს საღამოს ამსტერდამში მიდის, ამბობს, რომ ხვალ საღამოს ისევ დაბრუნდება, რადგან კიდევ რაღაცის გაკეთება უნდა, რასაც მხოლოდ ის თუ შესძლებს. ჩემთან გაჩერდა, რადგან, როგორც ამ-ბობს, ლონდონში საქმეები აქვს, რასაც საკმაო დრო დასჭირდება. საბრალო მოხუცი! ვშიშობ, რომ უკანასკნელი დროის შრომამ მასაც ძალ-ღონე გამოაცალა. დაკრძალვის დროს ეტყობოდა, რომ ფეხზე ძლივს იდგა. ახლა ყველანი სხვადასხვა მხარეს გავიფანტეთ დი-დიხნით. ლუსი თავის საგვარეულო აკლდამაში წევს, სიკვდილის მდიდრულ სახლში, ხმაურიანი ლონდონიდან შორს, განმარტოე-ბულ სასაფლაოზე, სადაც სუფთა ჰაერია, მზე ანათებს ჰელმსტეტ ჰილს და ველური ყვავილები ხარობს.

ამრიგად, შემიძლია დავამთავრო ჩემი დღიური, და მხოლოდ ღმერთმა იცის, ისევ განვაახლებ თუ არა. თუ ამის გაკეთება მომი-წევს ანდა ოდესმე გადავშლი, მხოლოდ იმისათვის, რომ სხვებს გა-ვუზიარო, რადგან ჩემი რომანი დამთავრდა, ისევ ჩემს სამუშაოს ვუბრუნდები და ჩემს დარდებს, და იმედდაკარგული ვამბობ: „FINIS“.

ჰემპსტედის საიდუმლოებები

25 სექტემბრის „ვესტმინსტერის გაზეთი“

ჰემპსტედის შემოგარენში ახლა მთელი რიგი მოვლენები ხდება, რაც ერთგვარად იმ ამბებს მოგვაგონებენ, რომლებიც კარგადაა ცნობილი იმ ავტორებისთვის, ვის კალამსაც ეკუთვნის „კენსინგთო-ნის საშინელებანი“, „ქალი-მკვლელი“, ან „ქალი შავებში“. ბოლო

დღეებში პატარა ბავშვები ჰითში სახლებიდან ქრებიან, ანდა სათამაშოდ გასვლის შემდეგ შინ აღარ ბრუნდებიან. ბავშვები იმდენად პატარები იყვნენ, რომ ვერ ერკვეოდნენ იმაში, რაც გადახდათ. მათ ერთი და იგივე პასუხი ჰქონდათ, რომ ისინი „BLOOFERLADY“-სთან იყვნენ. ისინი, ჩვეულებრივ, საღამოობით ქრებოდნენ - ორი მათგანი მეორე დილით იქნა ნაპოვნი. ვარაუდობენ, რომ პატარებმა პირველად გამქრალი ბავშვის ფრაზა აიტაცეს, თითქოს „blooferlady“ სასეირნოდ უხმობდა მათ. ეს უფრო გასაგები ხდება, თუ გავითვალისწინებთ ბავშვების საყვარელი თამაშის შინაარსს, რაც ერთმანეთის გატყუებაში მდგომარეობს. ერთი კორესპონდენტი წერს, რომ ეს ბავშვები ძალზე სასაცილოები არიან, როდესაც „blooferlady“-ის გამოსახავენ. ჩვენს კარიკატურისტებს, ამბობს იგი, არ აწყენდათ ამ ბავშვებისგან ესწავლათ საჭირო მიმიკების გამოსახვაო.

ეს საკითხი, შესაძლოა, სერიოზულ მიდგომასაც მოითხოვს, ვინაიდან ზოგიერთ ბავშვს კისერზე პატარა ჭრილობები აღმოაჩნდა. ასეთი ჭრილობები ვირთხის ან პატარა ძაღლის კბენის შემდეგ რჩება: საშიში არაფერია, მაგრამ ეტყობა, რომ ამ ცხოველს თავისი განსაკუთრებული სისტემა აქვს. პოლიციამ გასცა განკარგულება მოიძებნონ გზააბნეული ბავშვები და ძაღლები ჰემპსტედსა და მის შემოგარენში.

უჩვეულო თავგადასავალი

ჰემპსტედის საშინელება

25 სექტემბრის „ვესტმინსტერის გაზეთი“

ახლახან შეგვატყობინეს, რომ კიდევ ერთი ბავშვი დაიკარგა. იგი დილით უნახავთ მანანის ბუჩქებში ჰემპსტედის ჰითის შუტერ ჰილ-თან, ამ ადგილის ყველაზე ყრუ ნაწილში. მას ისეთივე ჭრილობები აღენიშნება კისერზე, როგორიც ადრე აღმოაჩნდათ სხვა ბავშვებს. ბავშვი დასუსტებული და არაქათგამოცლილი იყო. როცა ოდნავ მომჯობინდა, იმავე ისტორიის მოყოლა დაიწყო, თუ როგორ შეიტ-ყუა „blooferlady"-მ თავისთან.

თავი მეთოთხმეტე
მინა ჰარკერის დღიური

23 სექტემბერი.

ჯონათანი ღამით ძალიან ცუდად იყო. ახლა უკეთაა. მიხარია, რომ ძალიან დაკავებულია და თავის კოშმარზე ფიქრის დრო არა აქვს. დარწმუნებული ვარ, საკუთარ თავს არ უღალატებს და ვამა-ყობ იმით, რომ ჩემი ჯონათანი მოწოდების სიმაღლეზეა ამ საპასუ-ხისმგებლო ამპლუაში. ზოგჯერ რამდენიმე დღითაც უწევს გასვლა და შინ საუზმობასაც ვერ ახერხებს. სახლში ყველაფერი სრულ წეს-რიგში მოვიყვანე, ამიტომ ვაპირებ მისი დღიური ავიღო, - რომელ-საც საზღვარგარეთ წერდა - ჩემს ოთახში გასაღებით ჩავიკეტო და კითხვა დავიწყო...

24 სექტემბერი.

წუხელ წერის თავი არ მქონდა: ჯონათანის ამ საშინელმა ჩანაწე-რებმა შემაძრწუნა. ჩემი საბრალო! რამდენი რამ გადაიტანა! ეჭვი

მეპარება, რომ ეს მართლაც მოხდა. მთელი ეს ბოდვა მან ციებ-ცხელების დროს ჩაიწერა, თუმცა, შესაძლოა, რაღაც საფუძველი ჰქონდა. ალბათ, სიმართლეს ვერასოდეს გავიგებ, რადგან ვერასოდეს გავბედავ ამაზე ხმის ამოღებას... თანაც, ის კაცი, რომელსაც გუშინ შევხვდით! ჯონათანი დარწმუნებულია, რომ ეს ის არის... ჩემი საბრალო! მე მგონი, დაკრძალვამ ცუდად იმოქმედა მასზე და აზრობრივად ისევ დაუბრუნდა თავის საზარელ განცდებს...

ვან ჰელსინკის წერილი ქალბატონ ჰარკერისადმი

(საიდუმლოდ)

24 სექტემბერი.

მოწყალეო ქალბატონო, ძალიან ვწუხვარ, რომ იძულებული ვარ სამწუხარო ამბავი შეგატყობინოთ ლუსი ვესტენრას სიკვდილის შესახებ. ლორდმა გოდალმინგმა დიდსულოვნად დამრთო ნება, ყველა მის წერილსა და საბუთს გავცნობოდი. მათ შორის თქვენი წერილებიც ვნახე, საიდანაც შევიტყვე, რომ მისი დიდი მეგობარი იყავით და ძალიან გიყვარდათ. ამ სიყვარულის სახელით გემუდარებით, დამეხმაროთ. დამეხმარეთ, მივაღწიო სამართლიანობას და გავანადგურო ბოროტება, რომელიც გაცილებით შემზარავია, ვიდრე შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ. გთხოვთ, თქვენი ნახვის ნება დამრთოთ. შეგიძლიათ, მენდოთ. მე ექიმ სიუარდისა და ლორდ გოდალმინგის მეგობარი ვარ. ჩვენს შეხვედრას საიდუმლოდ შევინახავ. თუ დამთანხმდებით, დაუყოვნებლივ გეწვევით ექსეტერში, როცა კი თქვენ მიბრძანებთ. უმორჩილესად გთხოვთ, მაპატიოთ. მე წავიკითხე თქვენი წერილები ლუსის მიმართ და ვიცი თქვენი გულკეთილობა. ვიცი ასევე, როგორ იტანჯება თქვენი ქმარი, ასე რომ,

გთხოვთ, ნურაფერს ეტყვით, რადგან ამან შეიძლება ზიანი მოუტანოს. კიდევ ერთხელ გთხოვთ პატიებას.

ვან ჰელსინკი.

მისის ჰარკერის დეპეშა ვან ჰელსინკისადმი

25 სექტემბერი.

მობრძანდით დღეს მატარებლით 2:25 თუ მოასწრებთ. მთელი დღე შინ ვიქნები.

ვილჰელმინა ჰარკერი.

მინა ჰარკერის დღიური

25 სექტემბერი.

ძალიან ვღელავ ექიმ ვან ჰელსინკის მოლოდინში, რადგან ვგრძნობ, რომ იგი ყველაფერს ამიხსნის ჯონათანის ავადმყოფობასთან დაკავშირებით, იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომ ის ლუსისთან იყო მისი უკანასკნელი სნეულების დროს და მასზეც ყველაფერს მიამბობს. შესაძლოა, ის მხოლოდ ამის გამოც ჩამოდის, უნდა შეიტყოს ლუსისა და ძილში მისი სეირნობის შესახებ და არა ჯონათანზე. მაშ, ჭეშმარიტებას ვერ გავიგებ! რა სულელი ვარ! ამ საშინელმა დღიურმა ერთიანად შთანმთქა და თავს ვეღარ ვანებებ. ცხადია, ეს ვიზიტი ლუსის ეხება, როგორც ჩანს, მას დაუბრუნდა ძველი ჩვეულება და ის, ალბათ, იმ საშიენლი ღამის შემდეგ გახდა ავად, კლდეზე რომ აიპარა. ჩემს საქმეებში ჩაფლულს ეს სულ დამავიწ-

ყდა. ლუსიმ, ალბათ, უამბო მას იმ ღამით კლდეზე თავისი „გასეირნების“ შესახებ და უთხრა, რომ ეს ამბავი მეც ვიცი. და ახლა მას, ალბათ, უნდა, რომ წვრილმანები ვაცნობო.

დღიურზე არაფერს ვეტყვი, სანამ თვითონ არ მკითხავს. ძალიან მიხარია, რომ ჩემი დღიური საბეჭდ მანქანაზეა გადაბეჭდილი, ასე რომ, თუ ლუსის შესახებ მკითხავს, დღიურს გადავცემ, ეს კი თავიდან ამაცილებს ზედმეტ გამოკითხვას.

მოგვიანებით.

ის იყო და წავიდა. რა უცნაური შეხვედრაა და როგორი დომხალი მაქვს თავში! ყველაფერი სიზმარი მგონია. ნუთუ ეს სიმართლეა? ჯონათანის დღიური რომ არ წამეკითხა, ვერასოდეს დავიჯერებდი, რომ ეს შეიძლებოდა მომხდარიყო. ჩემი საბრალო, საყვარელი ჯონათანი! ალბათ, როგორ იტანჯებოდა! ღვთის შეწევნით საბოლოოდ დამშვიდდება. ყველაფრისგან დავიცავ. თუ ეცოდინება, რომ სმენა და მხედველობა არ ღალატობდა, ეს დაამშვიდებს და გაამხნევებს. მას, როგორც ჩანს, ეჭვები ეძალება, ასე რომ, თუ მათ გაფანტვას მოვახერხებთ, უფრო ადვილად გადაიტანს ამ დარტყმას. ექიმი ვან ჰელსინკი, როგორც ვატყობ, ძალზე საყვარელი და ჭკვიანი ადამიანია, ვინაიდან ართურისა და ექიმ სიუარდის მეგობარია და რადგანაც ჰოლანდიიდან მოიწვიეს ლუსის სამკურნალოდ. მან კეთილი, გულისხმიერი და კეთილშობილი კაცის შთაბეჭდილება დამიტოვა. ხვალ ისევ მოვა, მეჯონათანზე ვკითხავ და, ღვთის მადლით, მთელ ამ კაეშანს ბოლო მოეღება.

მანამდე კი ჯონათანის არყოფნით ვისარგებლებ, რათა დაწვრილებით ჩავიწერო ჩვენი დღევანდელი შეხვედრა.

ორის ნახევარზე ზარის ხმა გაისმა. მერიმ კარი გააღო და ექიმ ვან ჰელსინკის მოსვლის შესახებ მაცნობა.

ის საშუალო სიმაღლის ადამიანია, ჯანმრთელი, მხარბეჭიანი, სწრაფი მოძრაობები აქვს. ჩანს, რომ ძალიანჭკვიანია და დიდი ნებისყოფის მქონე. სახე სუფთად აქვს გაპარსული, მკვეთრი, კვადრატული ნიკაპი, დიდი მოძრავი პირი, საკმაოდ სწორი ცხვირი. შუბლი მაღალი და კეთილშობილური. ცოცხალი, მუქი ლურჯი თვალების გამომეტყველება ხან ალერსიანია, ხან - მკაცრი.

- მისის ჰარკერი ბრძანდებით?

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

- ყოფილი მის მინა მიურეი?

ისევ დავუქნიე თავი.

- მე მინა მიურეისთან მოვედი, ლუსი ვესტენრას ყოფილ მეგობართან, გარდაცვლილზე სალაპარაკოდ.

- სერ, - მივმართე მე, - მოხარული გახლავართ ლუსი ვესტენრას მეგობართან შეხვედრით, - და ხელი გავუწოდე.

მან ჩამომართვა და ალერსიანად წარმოთქვა:

- ოჰ, მადამ მინა, ვიცოდი, რომ იმ საბრალო გოგონას მეგობრები კარგები იქნებოდნენ, მაგრამ ის, რაც ვნახე...

მან სიტყვა თავის დაკვრით დაასრულა. მე ვკითხე, რად გნებავ-დათ-მეთქი ჩემი ნახვა, და მან უცებ დაიწყო:

- წავიკითხე თქვენი წერილები მის ლუსის მიმართ. მინდოდა რა-ღაც-რაღაცები გამეგო, მაგრამ სხვა ვერავინ დამეხმარებოდა. ვიცი, რომ მასთან ერთად ცხოვრობდით უაითბიში. ის ხანდახან დღიურს წერდა - ეს არ უნდა გაგიკვირდეთ, მადამ მინა - თქვენი გამგზავრე-ბის შემდეგ დაიწყო, თქვენივე მაგალითით. ლუსი აღწერს თავისი ცხოვრების ზოგიერთ მოვლენას და ამბობს, რომ ის თქვენ გადაარ-ჩინეთ. ამან ზოგიერთ ვარაუდამდე მიმიყვანა და მოვედი, რომ გთხოვოთ: ყველაფერი მიამბეთ, რაც გახსოვთ.

- ვფიქრობ, ექიმო, რომ ყველაფრის მოყოლას შევძლებ.

- ძალიან კარგი! ფაქტებსა და დეტალებს ადვილად იმახსოვ-რებთ? ეს არცთუ ხშირია ახალგაზრდა ქალბატონებში.

- არა, ექიმო, საქმე მეხსიერებას არ ეხება, უბრალოდ, მე ყველა-ფერს ვიწერდი და შემიძლია გიჩვენოთ, თუ გსურთ.

- ძალიან მადლობელი დაგრჩებით, ამით დიდ სამსახურს გამი-წევთ.

თავი ვერ შევიკავე ექიმის განცვიფრების ცდუნებისაგან - ჩემი აზრით, ეს თანდაყოლილი ქალური თვისებაა - და მას სტენოგრა-ფიულად ჩაწერილი ჩემი დღიური მივაწოდე,

პროფესორმა მოწიწებით გამომართვა, თავი დამიკრა და თქვა:

- ნებას მომცემთ, წავიკითხო?

- თუ გსურთ, - ვუპასუხე შემცბარმა. მან რვეული გადაშალა და სახის გამომეტყველება მაშინვე შეეცვალა.

- ვიცოდი, რომ ჯონათანი ძალზე განათლებული ადამიანია, მაგრამ მისი ცოლიც ძალზე გონიერი ქალი აღმოჩნდა. ძალიან თუ არ შეგაწუხებთ, იქნებ დღიური წამიკითხოთ? სამწუხაროდ, მე ვერ ვერკვევი სტენოგრაფიაში.

აქ მივხვდი, რომ ხუმრობა დამთავრდა და უხერხულად ვიგრძენი თავი. ჩემი ასლი ამოვიღე, საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილი, უჯრიდან და მას გადავეცი.

- მაპატიეთ, - მოვუბოდიშე მე, - უნებურად მომივიდა. ზედმეტი დრო რომ არ დაკარგოთ, - ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ თქვენთვის დრო, ვიცი, რომ ძვირად ფასობს, - შემიძლია მოგცეთ ჩემი დღიური, რომელიც საბეჭდ მანქანაზეა გადაბეჭდილი.

- შეიძლება, რომ ახლავე წავიკითხო? შესაძლოა თქვენთვის რაღაც-რაღაცების კითხვა დამჭირდეს.

- დიახ, სიამოვნებით, წაიკითხეთ, მე კი მანამდე საუზმეს მოვამზადებ. შეგიძლიათ, მკითხოთ, რაც მოგესურვებათ.

მან თავი დამიკრა, შემდეგ სავარძელში სინათლისკენ ზურგით ჩაჯდა და კითხვა დაიწყო, მე კი საუზმის გასამზადებლად გავედი, უფრო იმიტომ, რომ მისთვის ხელი არ შემეშალა. როცა დავბრუნდი, დავინახე, რომ ექიმი ოთახში ბოლთას სცემდა, სახეზე შეშფოთება ეტყობოდა.

აქ თავი ვეღარ შევიკავე. ჯონათანი ძალიან შემებრალა: ის საშინელება, რაც მან გადაიტანა, მისი დღიურის უცნაური იდუმალება და ის შიში, რაც მას შემდეგ არ მტოვებდა - ამ ყველაფერმა ერთად იჩინა თავი. მე, ალბათ, ავადმყოფურად გავნერვიულდი, რადგან მუხლებზე დავეცი და მისკენ ხელები გავიწოდე, ვემუდარებოდი, მოერჩინა ჩემი ქმარი. მან ხელები ჩამავლო, ამაყენა, დივანზე დამსვა და თვითონაც გვერდით მომიჯდა. შემდეგ ისე, რომ ხელი არ გაუშვია, ალერსიანად დაიწყო:

- მე მარტოხელა ვარ, ყოველთვის ისე ვიყავი დაკავებული ჩემი საქმეებით, რომ ძალიან მცირე დრო მრჩებოდა მეგობრებისთვის, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩემმა მეგობარმა ჯონ სიუარდმა აქ გამომიძახა, იმდენი კარგი ადამიანი გავიცანი, რომ ახლა, ყველაზე მეტად, ვიდრე ოდესმე, ვგრძნობ ჩემს სიმარტოვეს, რაც წლებთან ერთად სულ უფრო ძლიერდება. გარწმუნებთ ჩემს უსაზღვრო ერთგულებაში, მადლობელი ვარ იმისათვის, რომ თქვენ დამიმტკიცეთ საყვარელი ქალების არსებობა, რომლებიც ალამაზებენ სიცოცხლეს, - რომელთა ცხოვრება და რწმენა კარგი მაგალითია ბავშვებისათვის. მოხარული ვარ, ძალიან მოხარული, რომ თქვენთვის რაღაც სასარგებლო შემიძლია გავაკეთო, რადგან თუ თქვენი ქმარი იტანჯება, მაშინ მისი ავადმყოფობა ჩემი ცოდნის დარგს განეკუთვნება. გპირდებით, რომ ყველაფერს გავაკეთებ, რაც ჩემს ძალას არ აღემატება, რომ მას ჯანმრთელობა და გამბედაობა დაუბრუნდეს და რომ თქვენი ცხოვრება ბედნიერებით იყოს სავსე. ახლა კი რამე მიირთვით. ძალიან გატანჯული და აღელვებული ხართ. ჯონათანისთვის მძიმე ასატანი იქნება, თუკი ასეთ ფერმკრთალს დაგინახავთ, უნდა შეიცოდოთ, ამიტომ ჭამეთდა გაიცინეთ. ლუსის შესახებ უკვე ყველაფერი მითხარით, ამაზე მეტს ნურაფერს ვიტყვით - ეს ძალზე სამწუხაროა. ღამეს ექსეტერში გავათევ, რადგან ყველაფერი მინდა განვსაჯო,

რაც მითხარით, ხოლო შემდეგ, თუ ნებას მომცემთ, კიდევ რამდენიმე კითხვას დაგისვამთ. მაშინ კი მომიყვებით ჯონათანის ავადმყოფობაზე, მაგრამ ახლა არა - ახლა უნდა ჭამოთ.

საუზმის შემდეგ სასტუმრო ოთახში დავბრუნდით და მან მითხრა:

- ახლა კი ყველაფერი მიამბეთ მის შესახებ.

თავიდან ვშიშობდი, რომ ეს მეცნიერი სულელად ჩამთვლიდა, ხოლო ჯონათანს - გიჟად - მისი დღიური ხომ ასე უცნაურია - და ვერ ვბედავდი დაწყებას. მაგრამ ის ძალზე თავაზიანი იყო, დახმარებას შემპირდა, დავუჯერე და თხრობა დავიწყე.

- ჩემი ნაამბობი ძალზე უცნაური იქნება, მაგრამ არ უნდა დამცინოთ არც მე და არც ჩემს ქმარს. გუშინდელი დღიდან რაღაც ეჭვმა შემიპყრო, თუმცა თქვენ, იმედია, სულელად არ ჩამთვლით იმის გამო, რომ რაღაც უცნაური ამბები დავიჯერე.

- ოჰ, ჩემო ძვირფასო, - მიპასუხა მან, - რომ იცოდეთ, რა უცნაური მოვლენების გამო ვარ აქ, თქვენ თვითონ გაიცინებდით. მე ვისწავლე სხვისი რწმენის პატივისცემა, განურჩევლად იმისა, როგორია იგი. ყველაფერზე სათანადო შეხედულება მაქვს, და მათი შეცვლა მხოლოდ რაღაც უცნაურსა და არაჩვეულებრივს შეუძლია. ეს კი ზოგჯერ გვაეჭვებს კიდეც - სიგიჟეა თუ ჯანსაღი აზრის ნაყოფი.

- თქვენი მადლობელი ვარ, უსაზღვროდ მადლობელი! ამოცანა შემიმსუბუქეთ. თუ ნებას მომცემთ, ერთ რვეულს გადმოგცემთ. ის ძალიან გრძელია, მაგრამ მე საბეჭდ მანქანაზე გადავბეჭდე. ეს ჯონათანის საზღვარგარეთული დღიურის ასლია, იქ ყველაფერია აღწერილი, რაც მას გადახდა. მასზე არაფერს ვიტყვი, სანამ თვითონ

არ წაიკითხავთ და დასკვნებს არ გააკეთებთ. შემდეგ ჩვენ ისევ შევხვდებით და თქვენ მიამბობთ, რას ფიქრობთ ამის თაობაზე.

- გპირდებით, - თქვა მან, როცა რვეული გავუწოდე. - შემოვივლი, თქვენის ნებართვით, ხვალ დილით თქვენი და თქვენი ქმრის სანახავად.

- ჯონათანი თერთმეტის ნახევარზე იქნება შინ, საუზმისთვის მობრძანდით და მაშინ ნახავთ, სწრაფ მატარებელს შეგიძლიათ მიუსწროთ 3:44-ზე და პედინგთონში რვისთვის იქნებით.

მან ქაღალდები აიღო და წავიდა, მე კი ვზივარ აქ და ვფიქრობ - თვითონაც არ ვიცი, რას.

ვან ჰელსინკის წერილი მისის ჰარკერისადმი

25 სექტემბერი, 6 საათი.

ძვირფასო მადამ მინა, მე წავიკითხე თქვენი ქმრის საოცარი დღიური.

შეგიძლიათ მშვიდად იძინოთ! როგორი საშინელიც უნდა იყოს, ეს მაინც სიმართლეა! ამაზე მე ვაგებ პასუხს! თქვენთვის და თქვენი ქმრისათვის საშიში არაფერია. თქვენი მეუღლე ძალიან მამაცი ადამიანია და მინდა დაგარწმუნოთ - მე კარგად ვიცნობ ადამიანებს - რომ ის, ვისაც შეუძლია კედელზე დაეშვას, როგორც მან მოიმოქმედა, და თანაც ეყოს გამბედაობა მეორედ გააკეთოს იგივე - მისი ნერვული შერყევა არ შეიძლება ხანგრძლივი იყოს. ტვინი და გული ჯანმრთელი აქვს, ამაზე მე ვაგებ პასუხს, ყოველგვარი გამოკვლევის გარეშე. ამიტომ შეგიძლიათ დამშვიდდეთ. მისთვის ბევრი რამის

კითხვა მომიწევს. მოხარული ვიქნებოდი თქვენი ნახვის, რადგანაც იმდენი ახალი რამ გავიგე, რომ გონზე მოსვლა მიჭირს. თქვენთან შეხვედრის იმედი მაქვს.

თქვენი ერთგული აბრაამ ვან ჰელსინკი.

მისის ჰარკერის წერილი ვან ჰელსინკისადმი

25 სექტემბერი, 18:30.

ძვირფასო ექიმო ვან ჰელსინკ!

თქვენი უსაზღვროდ მადლიერი ვარ ასეთი გულთბილი წერილისათვის, რამაც მძიმე ტვირთი ჩამომხსნა. მაგრამ ნუთუ ეს სიმართლეა და ასეთი საზარელი ამბები სინამდვილეში შეიძლება მოხდეს. რა საშინელებაა, თუ ეს ბატონი, ეს ურჩხული მართლაც ლონდონშია! ამაზე ფიქრიც კი მზარავს! ახლახან მივიღე დეპეშა ჯონათანისაგან: იგი დღეს საღამოს 6:25-ზე გამოდის ლაუნსესთონიდან და აქ 20:18-ზე იქნება, ასე რომ, ამ საღამოს აღარ ვინერვიულებ. ამიტომ, გთხოვთ, ხვალ საუზმეზე გვეწვიოთ - რვა საათზე, თუ ეს ძალზე ადრე არ არის თქვენთვის. თუ ჩქარობთ, შეგიძლიათ 10:30-ზე გაემგზავროთ, მაშინ პედინგთონში 2:35-ზე იქნებით.

თქვენი ერთგული მეგობარი მინა ჰარკერი.

ჯონათან ჰარკერის დღიური

26 სექტემბერი.

იმედი მქონდა, რომ ამ დღიურში აღარაფერს ჩავწერდი, მაგრამ შევცდი.

როცა საღამოს შინ დავბრუნდი, მინას ვახშამი უკვე გაემზადებინა. ვახშმისშემდეგ მან ვან ჰელსინკის ვიზიტზე მიამბო, მითხრა, ორივე დღიური გადავეციო. არც ის დაუმალავს, რომ ჩემზე ღელავდა. მინამ ექიმის წერილი მიჩვენა, რომელშიც ვან ჰელსინკი ამბობს, ყველაფერი, რაც მოხდა - სიმართლეაო. ამან დიდი იმედი ჩამისახა. მე ეჭვი მეპარებოდა მომხდარის რეალურობაში - და ეს მთრგუნავდა, მაგრამ ახლა არაფრის მეშინია, აღარც გრაფის. მან, როგორც ჩანს, მაინც გადაწყვიტა ლონდონში ჩამოსვლა, და ის, ვინც მე ვნახე, უთუოდ დრაკულა იყო ოდნავ გაახალგაზრდავებული. მჯერა, რომ ვან ჰელსინკი იპოვის მას დანიღაბს ჩამოგლეჯს. ჩვენ გვიანობამდე ვისხედით და ვსაუბრობდით ამის შესახებ. მინა ტანსაცმელს იცვლის, მე კი ახლა სასტუმროში მივდივარ ვან ჰელსინკის სანახავად.

ჩემმა დანახვამ, მე მგონი, გააოცა. როცა მასთან ოთახში შევედი და მოვახსენე, ვინც ვიყავი, მხარზე მომკიდა ხელი, სინათლისკენ მიმატრიალა, ყურადღებით დამაკვირდა და თქვა:

- არა და მადამ მინამ თქვენზე მითხრა, ავად არის, რადგან დიდი ელდა გადაიტანაო.

ჩემთვის უცნაური მოსასმენი იყო, როცა ეს კეთილი, სერიოზული მოხუცი ჩემს ცოლს „მადამ მინას“ უწოდებდა. მე გავიღიმე და ვუპასუხე:

- მართლაც ავად ვიყავი, ნერვული შერყევა მქონდა, მაგრამ თქვენ უკვე მომარჩინეთ.

- როგორ?

- თქვენი გუშინდელი წერილით, რომელიც მინას გამოუგზავნეთ. მე დიდ ეჭვებში ვიყავი - და ყველაფერი არაბუნებრივი მეჩვენებოდა, არ ვიცოდი, რა მერწმუნა, საკუთარ გრძნობებსაც არ ვუჯერებდი. ასეთი უნდობლობის გამო არ ვიცოდი, რა მექნა და სულ იმაზე ვფიქრობდი, რაც მღუპავდა. აღსასრული გარდაუვალი ჩანდა, რადგანაც საკუთარი თავის აღარ მჯეროდა. თქვენ წარმოდგენაც არა გაქვთ, რას ნიშნავს ყველაფერში ეჭვი გეპარებოდეს, საკუთარ თავშიც კი.

- დიახ, - თქვა მან და გაიღიმა, - თქვენ ფიზიონომისტი ბრძანდებით. აქ ჩემთვის ყოველი საათი - მეცნიერებაა. მე სიამოვნებით გეახელით საუზმეზე. მაპატიეთ, სერ, მოხუც ადამიანს, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ თქვენ ძალზე ბედნიერი ადამიანი ბრძანდებით, რადგან არაჩვეულებრივი ცოლი გყავთ. მე ყველა მისი წერილი წავიკითხე საბრალო ლუსის მიმართ და ზოგიერთ მათგანში თქვენზე ისეა ნათქვამი, რომ თუმცა სულ რამდენიმე დღეა გიცნობთ, და ისიც სხვათა ნაამბობით, მაინც მეგობრობას გთავაზობთ.

ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით.

- ახლა კი, - განაგრძო მან, - ნება მიბოძეთ, გთხოვოთ, მცირე სამსახური გამიწიოთ. ძნელი ამოცანა მელის, მაგრამ არ ვიცი, საიდან დავიწყო. თქვენ შეგიძლიათ დამეხმაროთ. მიამბეთ, რა იყო ტრანსილვანიაში თქვენს გამგზავრებამდე? შემდგომ კიდევ რაღაც დამჭირდება, მაგრამ ჯერჯერობით ესეც კმარა.

- მომისმინეთ, სერ, - ვთქვი მე, - ის, რასაც თქვენ მეუბნებით, გრაფს ეხება?

- დიახ, - მიპასუხა მან.

- მაშინ მთლიანად თქვენს განკარგულებაში ვარ. რადგან მატარებლით მიემგზავრებით 10:30-ზე, დრო არ გექნებათ, ყველა საბუთს ახლა გაეცნოთ, მაგრამ მე ყველაფერს გადმოგცემთ, რაც ხელთა მაქვს, შეგიძლიათ წაიღოთ და მატარებელში წაიკითხოთ.

საუზმის შემდეგ ვაგზალზე გავაცილე. დამშვიდობებისას მან მითხრა:

- შეიძლება ქალაქში ცოლთან ერთად ჩამოხვიდეთ, თუკი ამას გთხოვთ?

- ორივე გეახლებით, როცა გნებავთ, - ვუპასუხე მე. დილის ადგილობრივი და გუშინდელი ლონდონის გაზეთები ვუყიდე, სანამ ვაგონის ფანჯარასთან ვიდექით მატარებლის გასვლის მოლოდინში. იგი მათ ფურცლავდა და ათვალიერებდა, უეცრად „ვესტმინსტერის გაზეთში“ რაღაცას დააშტერდა. ყურადღებით წაიკითხა, გაფითრდა და ჩუმად დაიკვნესა:

- Mein Gott! Mein Gott! ასე მალე! ასე მალე!

მგონი, მას სულ დავავიწყდი. ამ დროს სასტვენის ხმა გაისმა. ამან იგი გონს მოიყვანა, სასწრაფოდ დამემშვიდობა და ვაგონში ავიდა. მატარებელი დაიძრა. მან ფანჯარაში თავი გამოყო, ხელი დამიქნია და შესძახა: „სალამი გადაეცით მადამ მინას! მოგწერთ, როგორც კი მოვახერხებ!“

ექიმ სიუარდის დღიური

26 სექტემბერი.

დასასრულზე ძნელი მართლაც არაფერია. ერთი კვირაც არ გასულა, რაც ჩემს თავს ვუთხარი „FINIS“, მაგრამ აი, ისევ დაწყება მიწევს, უფრო სწორად, ჩემი ჩანაწერების გაგრძელება. დღევანდელ საღამომდე არ მქონდა საფუძველი, მომხდარზე მეფიქრა. ჩვენი ზრუნვის წყალობით რენფილდმა მეტისმეტად საღად დაიწყო აზროვნება, ბუზებს თავი ანება და ობობებზე გადავიდა, ასე რომ, არავითარ პრობლემას არ მიქმნის. ართურისაგან წერილი მივიღე, კვირას დაწერილი, საიდანაც ჩანს, რომ ის საოცრად მომჯობინდა. ქვინსი მორისი მასთანაა, ეს კი მისთვის დიდი ნუგეშია. ერთი-ორი სტრიქონი ქვინსიმაც მომწერა - მეუბნება, ართურს მისი ადრინდელი უდარდელობა უბრუნდებაო, ასე რომ, მათზე აღარ ვღელავ. მე რაც შემეხება, ისევ ძველებური აღმაფრენით შევუდექი მუშაობას და ახლა შემიძლია ვთქვა, რომ ჭრილობამ, რაც ლუსის გარდაცვალებამ მომაყენა, უკვე შეხორცება დაიწყო. ახლა ყველაფერი გაირკვა, და მხოლოდ ღმერთმა იცის, რითი დამთავრდება ეს ყოველივე. ვფიქრობ, რომ ვან ჰელსინკს მხოლოდ ეჩვენება, ყველაფერი ვიციო, თუმცა ცნობისმოყვარეობა არასოდესუნელდება. გუშინ ექსეტერში გაემგზავრა და ღამე იქ გაათია. დღეს ხუთის ნახევარზე დაბრუნდა, ჩემს ოთახში შემოიჭრა და გუშინდელი „ვესტმინსტერის გაზეთი“ მომაჩეჩა.

- ამაზე რას იტყვით? - მკითხა მან და ბოლთის ცემას მოჰყვა.

მე ინტერესით დავხედე გაზეთს, რადგან ვერ მივხვდი, ამით რისი თქმა სურდა. პროფესორმა ჰემპსტედში მოტაცებულ ბავშვებზე და-

წერილი სტატია მიჩვენა. ამან დიდად არ დამაინტერესა, სანამ საბოლოოდ არ წავიკითხე კისერზე წერტილებივით პატარა ჭრილობების აღწერილობა. რაღაც აზრმა გამიელვა და მას გავხედე.

- აბა? -მკითხა მან.

- თითქოს საბრალო ლუსის ჭრილობებს ჰგავს.

- ეს რას ნიშნავს?

- უბრალოდ იმას, რომ აქ მიზეზი ერთი და იგივეა. ლუსის ჯანმრთელობაც მან დააზიანა, ვინც ამ ბავშვების...

- თქვენ ასე ფიქრობთ?

მისი სერიოზულობა მართობდა კიდეც, ვინაიდან სრული დასვენების ოთხმა დღემ იმ მუდმივი შიშის შემდეგ სულის სიმხნევე დამიბრუნა, მაგრამ როცა მას დავაკვირდი, შევკრთი. პროფესორი ასეთი მკაცრი ჯერ არ მენახა, მაშინაც კი, როდესაც ლუსის სნეულებას ძალიან განვიცდიდით.

- ამიხსენი! - ვთხოვე მე. - არაფერი მესმის. არ ვიცი, რა ვიფიქრო, და არც არაფერი მაქვს ხელთ, რითაც მივხვდებოდი, რა ხდება.

- მაგრამ იმას ვერ იტყვი, ჯონ, რომ წარმოდგენაც არა გაქვს, რის გამო მოკვდა ლუსი, მრავალ ფაქტსა და ნიშანზე შეგეძლო დაკვირვება. სისხლის დიდი რაოდენობით დაკარგვამ ნერვული შერყევა განაპირობა...

- ანუ ეს როგორ - სისხლის დაკარგვამ? - მე თავი გავაქნიე. იგი მომიახლოვდა და განაგრძო:

- შენ ძალზე ჭკვიანი ხარ, ჯონ. კარგად მსჯელობ, სიმამაცე არ გაკლია, მაგრამ კონსერვატორული ბუნება გაქვს. არაბუნებრივის არც დანახვა გინდა, არც მოსმენა, და ის, რაც შენს ყოველდღიურ ცხოვრებას არ ეხება, არ გაღელვებს. არ ფიქრობ, რომ არსებობს ისეთი რაღაცები, რაც, შესაძლოა, არ გესმის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არსებობენ. რომ არის ხალხი, რომელიც ხედავს იმას, რასაც სხვა ვერ ამჩნევს, მაგრამ მხედველობაში იქონიე, რომ ნამდვილად არსებობს ის, რასაც უბრალო თვალით ვერ დაინახავ. სწორედ ეს არის ჩვენი მეცნიერების შეცდომა - მას ყველაფრის ახსნა სწადია, ხოლო თუ ამას ვერ ახერხებს, მაშინ ამბობს, რომ ეს საერთოდ აუხსნელია. და მაინც ყოველდღიურად იქმნება ახალი შეხედულებები, მაგრამ ისინი საფუძველში მაინც ძველია და მხოლოდ სიახლის პრეტენზია აქვთ. ვიმედოვნებ, რომ ამჟამად შენ გჯერა სხეულთა გარდაქმნის. - არა? მატერიალიზაციის? არა? ასტრალური სხეულების? არა? აზრების წაკითხვის? არა? ჰიპნოტიზმის?

- დიახ, - ვთქვი მე. - შარკომ საკმაოდ მარჯვედ დაამტკიცა.

მან გაიღიმა და განაგრძო:

- მაშ, შენ ეს გაკმაყოფილებს და შეგიძლია მიჰყვე დიდი შარკოს მოძღვრებას, რომელიც პაციენტის სულის სიღრმეებში აღწევს. - არა? მაგრამ, იქნებ, ამ შემთხვევაში მხოლოდ ფაქტებით კმაყოფილდები და არ ეძებ მათ ახსნას. - არა? მაშინ მითხარი - როგორ გწამს ჰიპნოტიზმი და უარყოფ აზრების წაკითხვას? ნება მიბოძე, ჩემო მეგობარო, შენი ყურადღება იმას მივაპყრო, რომ ელექტრობის დარგში ახლა არსებობს გამოგონებები, რასაც უწმინდურ ძალად

ჩათვლიდა ისიც კი, ვინც ელექტრობა აღმოაჩინა, და ამასთან, თავად მასაც კი, ეს ცოტა ადრე რომ ყოფილიყო, ჯადოქარივით დაწვავდნენ. ცხოვრებაში ყოველთვის არის საიდუმლოებები. რატომ იცოცხლა მათუსალამ ცხრაასი წელი, გლაზგოს ტაძრის მეზარემ, ბებერმა პერმა - ას სამოცდაცხრა, მაშინ, როცა საბრალო ლუსიმ ოთხი ადამიანის სისხლით ერთი დღეც ვერ გაძლო? ვინ უწყის სიცოცხლისა და სიკდვილის საიდუმლო? შენთვის ცნობილია შედარებითი ანატომიის არსი და თუ შეგიძლია, თქვა, რატომ ვერ ცოცხლობენ დიდხანს ობობები, თუმცა ერთი დიდი ობობაც იყო, რომელმაც ასობით წელი იცოცხლა ძველი ესპანური ეკლესიის კოშკში და გამუდმებით იზრდებოდა მანამდე, სანამ ეკლესიის კანდელების მთელი ზეთი არ შესვა? ხომ არ შეგიძლია მითხრა, რატომ გვხვდება პამპასებში და სამხრეთის ზღვების ზოგიერთ კუნძულზე ისეთი ღამურები, რომლებიც ღამღამობით მოფრინდებიან ხოლმე, ვენებს უჭრიან ცხენებსა და მსხვილ საქონელს და მათ სისხლს სწოვენ? მათი მნახველები ამბობენ, ისინი გიგანტური ქოქოსის კაკლის ზომის არიანო. ღამით, როცა მეზღვაურებს სიცხის გამო გემბანზე სძინავთ, ეკვეთებიან მათ და შემდეგ... შემდეგ, მეორე დილით მკვდარ ადამიანებს პოულობენ, ისეთივე ფერწასულებს, როგორიც ლუსი იყო.

- ღმერთო, მიშველე, პროფესორო! - შევძახე მე და წამოვხტი. - ხომ არ გინდა თქვა, რომ ლუსი ასეთივე ღამურამ დაკბინა და რომ ამგვარი რამ შეიძლება მოხდეს ჩვენთან, ლონდონში, მეოცე საუკუნეში...

მან ხელის ჟესტით გამაწყვეტინა და განაგრძო:

- ხომ ვერ ამიხსნი, რატომ ცოცხლობს კუ უფრო დიდხანს, ვიდრე ადამიანთა მთელი თაობა. ანდა რატომ შეუძლია სპილოს, რომ მთელ შთამომავლობას მოესწროს და რატომ კვდება თუთიყუში

მხოლოდ კატის ან ძაღლის ნაკბენითა და არა სხვა სატკივარით? ხომ ვერ ამიხსნი, რატომ სწამთ ადამიანთა მთელ თაობებს მარადიული ურიას არსებობა, ან, იქნებ, შეგიძლია, მითხრა, როგორ ხდება, როდესაც ინდოელი ფაკირინებაყოფლობით ეთხოვება სიცოცხლეს და მას ასაფლავებენ, მის საფლავზე ჭვავს თესავენ, ჭვავი მწიფდება, მას მკიან, ისევ მწიფდება, და ისევ მკიან, შემდეგ თხრიან საფლავს, კუბოს ხსნიან და იქიდან ცოცხალი ფაკირი ამოდის, რომელიც ძველებურად განაგრძობს ცხოვრებას ადამიანთა შორის?

აქ მას გავაწყვეტინე. მე საბოლოოდ ამებნა თავგზა - მან ბუნების საოცარი მოვლენებისა და შესაძლებელ შეუძლებლობათა მთელი სეტყვა დამიშინა, ასე რომ, ჩემი ტვინი აენთო და ადუღდა.

- პროფესორო, მე მზად ვარ, ისევ შენი დამჯერი მოსწავლე გავხდე. სანამ განაგრძობდე, ჯერ ამიხსენი შენი ნათქვამი. აქამდე გიჟივით მივყვებოდი შენს ფანტაზიას და ახლა თავი გამოუცდელ ახალბედად მიმაჩნია, რომელსაც ნისლის დროს ჭაობში გზა აბნევია და ბელტიდან ბელტზე დახტის თავის დაღწევის მიზნით, ისე, რომ თვითონაც არ იცის, საით მიემართება.

- ეს საკმაოდ თვალსაჩინოა, - მიპასუხა მან. - ჩემი სიტყვების არსი კი შემდეგში მდგომარეობს: მინდა, რომ გწამდეს.

- რა?

- გწამდეს ის, რისი დაჯერებაც არ შეგიძლია. მაგალითს მოგიყვან. ერთი ამერიკელისგან რწმენის ასეთი განმარტება მოვისმინე: ეს არის ის, რაც გვაძლევს საშუალებას, დავიჯეროთ იგი, რაც შესაძლებელია. ერთი მხრივ, მას ვეთანხმები. მას ამით უნდოდა ეთქვა, რომ ცხოვრებას ფართოდ გახელილი თვალებით უნდა უყურო და

არ უნდა დაუშვა, რომ პატარა უმნიშვნელო ჭეშმარიტებამ ჩაახშოს დიდი ჭეშმარიტება. თავიდან უმნიშვნელო ჭეშმარიტება გვჭირდება, მაგრამ არ უნდა ჩავთვალოთ, რომ ის მთელი სამყაროს ჭეშმარიტებაა.

- მაშ, შენ გეშინია, რომ ნაადრევმა გამომჟღავნებამ ჩემში შესაძლოა, ცრუ აზრი დაბადოს ზოგიერთი უცნაური მოვლენის მიმართ? სწორად გავიგე შენი აზრი?

- ოჰ, შენ მაინც ჩემი საყვარელი მოსწავლე ხარ! შენი სწავლება ნამდვილად ღირს. ვინაიდან გსურს, გაიგო, უკვე გადადგი კიდეც პირველი ნაბიჯი ჭეშმარიტებისაკენ: მაშასადამე, შენ ფიქრობ, რომ პატარა ჭრილობები ბავშვების კისერზე იმავეს მიერ არის გამოწვეული, რამაც მის ლუსის მიაყენა ეს იარები?

- ასე ვვარაუდობ, - ვუპასუხე მე.

- შეცდი. ოჰ, მართლაც ასე რომ იყოს! მაგრამ!... არა, უარესია, გაცილებით, გაცილებით უარესი!

- ღვთის გულისათვის, ვან ჰელსინკ, რისი თქმა გსურს? - შევძახე მე.

- ეს ჭრილობები თავად ლუსის ნახელავია! - სევდიანად თქვა მან.

თავი მეთხუთმეტე

ექიმ სიუარდის დღიური

(გაგრძელება)

საშინლად გავბრაზდი: ისეთი გრძნობა გამიჩნდა, თითქოს მან ცოცხალ ლუსის გააწნა სილა. მკვეთრი მოძრაობით გავწიე მაგიდა, ავდექი და მკაცრად წარმოვთქვი:

- თქვენ ჭკუიდან შეშლილხართ, ვან ჰელსინკ.

მან თავი ასწია და სევდიანად და უზომოდ ალერსიანად შემომხედა. მაშინვე დავწყნარდი.

- ძალიან მინდოდა, ეს მართლაც ასე ყოფილიყო, - თქვა მან. - სიგიჟე უფრო ადვილი ასატანია, ვიდრე ასეთი სინამდვილე. ოჰ, ჩემო მეგობარო, დაფიქრდი, რატომ მივდივარ ასეთი შემოვლითი გზებით და ამდენ ხანს რატომ არ მითქვამს ეს შენთვის? იმიტომ ხომ არა, რომ მძულხარ და მთელი ცხოვრება მძულდი? ანდა იმიტომ, რომ ამით შენთვის ტანჯვა მინდოდა მომეყენებინა? იქნებ იმიტომ, რომ ახლა მომინდა სამაგიერო გადაგიხადო იმისათვის, რომ ოდესღაც სიცოცხლე შემინარჩუნე და საშინელი სიკვდილი ამაცილე თავიდან? ოჰ, არა!

- მაპატიე, - ჩავიდუდუნე მე.

მან განაგრძო:

- ძვირფასო მეგობარო, ეს ყველაფერი იმის გამოა, რომ მებრალებოდი და ერთბაშად არ მინდოდა თავზარი დამეცა შენთვის, რადგან ვიცი, რომ გიყვარდა ეს სათნო გოგონა. მაგრამ ისიც ვიცი, რომ შენ არც ახლა გჯერა. მართლაც, ისე ძნელია დაიჯერო ასეთი განსაცვიფრებელი სინამდვილე, რომ უნებურად ეჭვი გეპარება მისი

არსებობის შესაძლებლობაში. როცა უარყოფას ხარ მიჩვეული, კიდევ უფრო ძნელი ხდება ისეთი სამწუხარო ჭეშმარიტების დაჯერება, რაც ნამდვილად შეემთხვა ლუსის. ამაღამ მინდა დავრწმუნდე. ჩემთან ერთად წამოსვლას თუ გაბედავ?

მან ყოყმანი შემატყო და დაამატა:

- ჩემი ლოგიკა ძალიან მარტივია: თუ ეს ტყუილია, მაშინ მტკიცებულება შვებას მოგვანიჭებს, ყოველ შემთხვევაში, არ გვავნებს. მაგრამ თუ ეს სიმართლეა!.. აი ეს არის მთელი საშინელება და თვით საშინელება დამეხმარება, რადგან სწორედ ის გადამარჩენს! წავიდეთ, ჩემს გეგმას გაგაცნობ. პირველ რიგში, საავადმყოფოში მივიდეთ და ის ბავშვი ვნახოთ. ექიმი ვინსენტი ჩრდილოეთ საავადმყოფოდან, სადაც გაზეთების მიხედვით ბავშვი იმყოფება, ჩემი დიდი მეგობარია. იგი ორ მეცნიერს ნებას დაგვრთავს, რომ ამ შემთხვევას დავაკვირდეთ. ვეტყვით, ვითომ წამეცადინება გვინდა, მერე კი...

მან ჯიბიდან გასაღები ამოიღო და მიჩვენა.

- მერე კი ორივე სასაფლაოზე გავათევთ ღამეს, სადაც ლუსია დაკრძალული. აი, მისი აკლდამის გასაღები. მეკუბოესგან მაქვს, მთხოვა, ართურისთვის გადამეცა.

გული შემეკუმშა, რადგან ვგრძნობდი, რომ საშინელი განსაცდელი გველოდა. და მაინც არაფრით შემეძლო უარის თქმა...

ბავშვმა უკვე გაიღვიძა. მან გამოიძინა, ჭამა და, საერთოდ, კარგად გრძნობდა თავს. ექიმმა ვინსენტმა კისრიდან სახვევი მოხსნა და ჭრილობები გვიჩვენა. არავითარი ეჭვი არ იყო ლუსის ჭრილობებთან მათ იდენტურობაში. მათ უბრალოდ უფრო მცირე ზომა

ჰქონდათ - განსხვავება სულ ეს იყო. ექიმ ვინსენტს ვკითხეთ, ეს რას უნდა გამოეწვიაო? ეს, ალბათ, რომელიღაც ცხოველის ნაკბენი იყო, სავარაუდოდ, ვირთხისო, გვიპასუხა მან, მაგრამ მისი პირადი აზრით, ეს ერთ-ერთი იმ ღამურას ნაკბენი უნდა ყოფილიყო, რომლებიც ძალზე ბევრნი არიან ლონდონის ჩრდილოეთ ნაწილში.

- შესაძლოა, - თქვა მან, - რომ უწყინართა მასაში რამდენიმე სამხრეთული ჯიშის ველური იმყოფება, მავნებელი ცხოველი. შეიძლება, ვიღაც მეზღვაურმა თავისთვის ჩამოიყვანა ერთ-ერთი მათგანი და შემდეგ გაუფრინდა, ანდა რომელიმე ნორჩი ღამურა გაფრინდა ზოოლოგიური ბაღიდან ან, ბოლოს და ბოლოს, რომელიმე მათგანი ვამპირმა აღზარდა. ასეთი რაღაცები, როგორც იცით, ხდება ხოლმე.

- იმედი მაქვს, ბავშვს ამაღამვე არ გაუშვებთ სახლში, თუ ასეა, მშობლები უნდა გააფრთხილოთ მკაცრად, რომ თვალი ეჭიროთ. ხომ გესმით, ერთი ღამეც რომ დარჩენილიყო ამისთანა ჭრილობით, ბავშვისთვის სავალალო შედეგით დასრულდებოდა ყველაფერი, - უთხრა ვან ჰელსინკმა.

- ცხადია, მესმის და სანამ ნაკბენები არ მოუშუშდება, კვირაზე მეტხანსაც რომ დამჭირდეს პალატაში დატოვება, დავტოვებ.

საავადმყოფოში ვიზიტმა უფრო მეტი დრო წაგვართვა, ვიდრე ვიმედოვნებდით.

- წავიდეთ, ვნახოთ, სად შეიძლება ვისადილოთ, შემდეგ კი გზას გავაგრძელებთ, - მითხრა პროფესორმა.

ჩვენ „ჯეკ სტრო ქასთლში“ ვივახშმეთ.

დაახლოებით ათი საათისათვის გამოვედით რესტორნიდან. ძალიან ბნელოდა და კანტიკუნტად ჩართული ფარნები კიდევ უფრო აძლიერებდნენ წყვდიადს, როცა სინათლის ზოლიდან გამოვდიოდით. პროფესორს, აშკარად, უკვე მონიშნული ჰქონდა გზა, რადგან დარწმუნებით მიდიოდა. მე რაც შემეხება, ორიენტირება ძალიან მიჭირდა. რაც უფრო ვაგრძელებდით გზას, მით უფრო ნაკლები ხალხი გვხვდებოდა, ასე რომ, გაგვიკვირდა კიდეც, როცა ღამის ცხენოსანი პატრული შეგვხვდა, რომელიც თავისი უბნისშემოვლას ატარებდა. საბოლოოდ სასაფლაოს კედელთან მივედით, რაც, ცოტა არ იყოს, გაჭირვებით გადავლახეთ, რადგან ძალზე ბნელოდა და ადგილიც სრულიად უცნობი იყო ჩვენთვის. ძლივს მივაღწიეთ ვესტენრების აკლდამას. პროფესორმა გასაღები ამოიღო, გააღო აკლდამის კარი, ოდნავ უკან დაიწია და თავაზიანად, მაგრამ სრულიად გაუცნობიერებლად მანიშნა ჯერ მე შევსულიყავი. რაღაც უცნაურიირონია იყო ამ თავაზიანობაში ასეთ საშინელ დროს. ჩემი კომპანიონი მაშინვე უკან გამომყვა და ფრთხილად მოიხურა კარი - იგი წინასწარ დარწმუნდა, რომ კარს უბრალო საკეტი ჰქონდა და არა ზამბარიანი. შემდეგ თავისი საკვოიაჟი მოქექა, ასანთი ამოიღო და სანთელი აანთო. აკლდამას დღისითაც პირქუში და შემზარავი იერი ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ საფლავი ყვავილებით იყო მოფენილი, ახლა კი, სინათლის სუსტ ციმციმზე იგი ისეთ საზარელ და მძიმე შთაბეჭილებას ახდენდა, რომლის წარმოდგენაც კი მიძნელდება. ყვავილები დამჭკნარიყო, გახუნებულიყო და მოყავისფრო ელფერი დასდებოდა. აურაცხელი ობობა და ხოჭო გაჩენილიყო - ეს მწერები თავს ისე გრძნობდნენ, როგორც საკუთარ სახლში. დრომ გააუფერულა ქვა, კირი მტვრით გაიჟღინთა, რკინა დაიჟანგა და ობით დაიფარა, სპილენძი გაიცრიცა და ვერცხლის დაფა ჩამუქდა. უნებურად გამიჩნდა აზრი, მხოლოდ ადამიანის სიცოცხლე როდიამეთქი ხანმოკლე.

ვან ჰელსინკი თანმიმდევრულად განაგრძობდა თავის საქმიანობას. მან საფლავის წარწერა სანთლით გაანათა და დარწმუნდა, რომ მის წინ ლუსის საფლავი იყო. შემდეგ ისევ მოჩხრიკა საკვოიაჟი და იქიდან სახრახნისი ამოიღო.

- რას აპირებთ? - ვკითხე მე.

- კუბოს გახსნას. ახლა დაგიმტკიცებთ, რომ მართალი ვარ.

და იგი ჭანჭიკების ამოძრობას შეუდგა, თავსახური მოხსნა და ჩვენ კუბოს თუთიის ზედაპირი დავინახეთ. ასეთი სანახაობა ჩემთვის მძიმე ასატანი იყო. ეს მიცვალებულის ისეთივე შეურაცხყოფა გახლდათ, როგორიც ჯერ კიდევ სიცოცხლეში, ძილის დროს მისი გაშიშვლება იქნებოდა! მე უნებურად ხელში ვეცი, მინდოდა შემეჩერებინა, მაგრამ მან მხოლოდ ეს მითხრა:

- თვითონ ნახავ!

საკვოიაჟიდან ამჯერად პატარა ხერხი ამოიღო. სახრახნისის ძლიერი დარტყმით თუთია გახვრიტა, შემდეგ კი ნახვრეტის გაფართოებას შეუდგა. იგი საკმაოდ დიდი გამოვიდა, ისე რომ მასში ხერხის ბოლო გაეტეოდა. მე უნებურად უკან დავიხიე, მთელი კვირის ნაწოლი სხეულისაგან გულისამრევ სუნს ველოდი, მაგრამ პროფესორი არ შეჩერებულა, მან კუბოს ზედაპირი კიდეების გასწვრივ სამ მხარეს გახერხა, განთავისუფლებულ კიდეს ხელები ჩაავლო და ამოზნიქა, შემდეგ სანთელი კუბოში ჩაყო და შემომთავაზა, ახლოს მივსულიყავი და ჩამეხედა.

მივედი და ჩავხედე... კუბო ცარიელი იყო! ამან განმაცვიფრა და თავზარი დამცა, მაგრამ ვან ჰელსინკი ოდნავაც არ შემცბარა.

- აბა, ახლა კმაყოფილი ხარ, ჩემო მეგობარო? - მკითხა მან.

საშინელი სიჯიუტე მომეძალა და ვუპასუხე:

- ვხედავ, რომ ლუსის სხეული არ არის კუბოში, მაგრამ ეს მხოლოდ ერთ რამეს ამტკიცებს.

- მაინც რას, ჯონ?

- უბრალოდ იმას, რომ აქ არ არის.

- კარგი ლოგიკაა. მაგრამ როგორ ფიქრობ, აქ რატომ არ არის?

- იქნებ, ეს ქურდმა ჩაიდინა, - ვთქვი მე, - ეგებ, ვინმე მეკუბოემ მოიპარა მისი სხეული!

ვგრძნობდი, რომ სისულელეს ვამბობდი, მაგრამ სხვა ვერაფერი მოვიფიქრე. პროფესორმა ამოიოხრა.

- მაშ, კარგი, - თქვა მან, - კიდევ გჭირდება მტკიცებულება? წავიდეთ!

მან თავსახური თავის ადგილზე დაუშვა, საკუთარი ინსტრუმენტები ისევ საკვოიაჟში ჩააწყო, სანთელი ჩააქრო და ისიც იქ ჩადო. კარი გავაღეთ და გავედით. შემდეგ პროფესორმა კარი გასაღებით ჩაკეტა, მე გადმომცა და მითხრა:

- გასაღები დაიტოვე, უფრო მშვიდად იქნები.

მე გამეცინა, მაგრამ ვაღიარებ, რომ ეს უადგილო სიცილი იყო და მისთვის გასაღების დაბრუნება მოვინდომე.

- გასაღებს დიდი მნიშვნელობა არა აქვს, - თქვა მან, - შეიძლება დუბლიკატიც არსებობდეს, და, გარდა ამისა, ასეთი საკეტის გახსნა ძალიან ადვილია.

მან აუღელვებლად გამომართვა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო. შემდეგ მითხრა, შენ სასაფლაოს ერთ ბოლოში უდარაჯე, მე კი მეორე ბოლოში ვუყარაულებო. ჩემი ადგილი დავიკავე ურთხმელის უკან, დავინახე როგორ მშორდებოდა მისი მუქი ფიგურა, სანამ ძეგლებისა და ხეების მიღმა არ გაუჩინარდა.

ეს მოსაწყენი ლოდინი იყო! როგორც კი ჩემი ადგილი დავიკავე, მომესმა, როგორ ჩამოჰკრა საათმა თორმეტი. დრო ნელა გადიოდა. გახდა პირველი საათი, ორი. გავითოშე, ავნერვიულდი და ვბრაზობდი პროფესორზე იმის გამო, რომ აქ მომათრია, და ჩემზეც, - იმის გამო, რომ წამოვყევი. ძალიან მციოდა და მეძინებოდა, ამიტომ ყურადღებიან მეთვალყურედ ვერ გამოვდგებოდი, თუმცა თავს ძალას ვატანდი და ვცდილობდი, ჩემს სადარაჯოზე ბოლომდე ღირსეულად ვმდგარიყავი.

უეცრად შემთხვევით მივბრუნდი და რაღაც თეთრი ფიგურა დავინახე,რომელიც ურთხმელის ხეებს შორის მოძრაობდა სასაფლაოს ბოლოში, საფლავებისგან მოშორებით. ამავე დროს პროფესორის მხარეს მიწიდან შავი მასა აღიმართა და მის შესახვედრად დაიძრა. მაშინ მეც დავიძარი, თუმცა საფლავების შემოვლა მიხდებოდა, რამდენჯერმე ფეხი წამოვკარი და დავეცი კიდეც. ცა ღრუბლებით იყო დაფარული და სადღაც შორს მამალმა დაიყივლა. მოშორებით, ღვიების რიგის უკან, რომლითაც ეკლესიისკენ მიმავალი გზა

იყო შემორაგული, აკლდამის მიმართულებით რაღაც ბნელი ფიგურაამოძრავდა. იმ მხარეს, სადაც პირველად დავინახე თეთრი ფიგურა, ხმაური გაისმა და როცა იქ მივედი, პროფესორი დავინახე ვიღაც გალეული ბავშვით ხელში. ჩემ დანახვაზე გამომიწოდა და მკითხა:

- ახლა კმაყოფილი ხარ?

- არა, - ვუპასუხე მე.

- ბავშვს ხომ ხედავ?

- დიახ, ვხედავ, მაგრამ აქ ვინ მოიყვანა? დაჭრილია? - ვკითხე მე.

- ვნახოთ, - თქვა პროფესორმა და სასაფლაოს გასასვლელისკენ გაემართა, თან მძინარე ბავშვი ხელში აყვანილი მიჰყავდა.

სასაფლაოდან გამოსვლისას ასანთი ავანთეთ და ბავშვი დავათვალიერეთ. მას არც ნაკაწრები აღმოაჩნდა, არც - ჭრილობები.

- ხომ მართალი ვიყავი? - განვაცხადე ამაყად.

- დროზე მოვედით, - თქვა ჩაფიქრებულმა პროფესორმა.

ახლა უნდა გადაგვეწყვიტა, რა გვექნა ბავშვისთვის. თუ მას პოლიციაში მივიყვანდით, მაშინ ჩვენს ღამეულ თავგადასავალზეც ანგარიში უნდა ჩაგვებარებინა. ყოველ შემთხვევაში, უნდა აგვეხსნა, როგორ ვიპოვეთ იგი. საბოლოოდ გადავწყვიტეთ, იგი თავშესაფარში მიგვეყვანა და თუ პოლისმენს შევნიშნავდით, ბავშვი ისე დაგვემალა, რომ მას აუცილებლად ეპოვა იგი, ჩვენ კი შინ წავსულიყავით, რაც შეიძლება სწრაფად. ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა.

თავშესაფართან ახლოს პოლისმენის მძიმე ნაბიჯები მოგვესმა და ბავშვი გზის პირას დავსვით. პოლისმენმა გზა ფარნით გაანათა და დაინახა იგი. გავიგონეთ, როგორ შეჰყვირა გაოცებისაგან. საბედნიეროდ, მალე ქები შეგვხვდა და შინ დავბრუნდით.

ვერ ვიძინებ, ამიტომ გადავწყვიტე ყველაფერი ჩავიწერო, თუმცა მაინც უნდა დავიძინო, რადგან ვან ჰელსინკი შუადღით შემომივლის. დაჟინებით მეუბნება, ისევ უნდა გამომყვე ექსპედიციაშიო.

27 სექტემბერი.

მხოლოდ ოთხი საათის შემდეგ მოგვეცა კიდევ ერთი მცდელობის შანსი. ამ დროისათვის შუადღეს დაწყებული ვიღაცის დაკრძალვის პროცესი დასრულდა და უკანასკნელმა ჭირისუფლებმაც დატოვეს სასაფლაო. ხეებს ამოფარებულებმა დავინახეთ, როგორ დაკეტა მესაფლავემ ჭიშკარი. ვიცოდით, რომ დილამდე აღარავინ შეგვაწუხებდა, თუმცა პროფესორმა თქვა, ორ საათზე მეტი არ დაგვჭირდებაო. ისევ განვიცადე სინამდვილის მთელი საშინელება, ზღაპარზე უფრო ფანტასტიკური. მე შეგნებული მქონდა ის საშიშროება კანონის წინაშე, რაშიც საკუთარ თავს ვაგდებდით ჩვენი შემბღალავი საქმიანობით. გარდა ამისა, მეჩვენებოდა, რომ ეს ყველაფერი ამაო იყო. აღმაშფოთებელი გახლდათ უკვე ის, რომ ჩვენ თუთიის კუბო გავხსენით, რათა დავრწმუნებულიყავით, რომ ერთი კვირის წინ გარდაცვლილი ქალი ნამდვილად მკვდარი იყო. ახლა კი სიგიჟის მწვერვალად მიმაჩნდა ისევ გაგვეხსნა საფლავი. მე ამის გაფიქრებაც კი მეჩოთირებოდა, თუმცა ვან ჰელსინკზე არავითარი შეგონება არ ჭრიდა. მან გასაღები აიღო, გააღო აკლდამა და ისევ თავაზიანად გამატარა. ამჯერად იქაურობა აღარ მომეჩვენა ისე შემზარავი, მაგრამ მისგან მიღებული შთაბეჭდილება მაინც მძიმე ასატანი იყო. ვან

ჰელსინკი ლუსის კუბოსთან მივიდა და მეც უკან მივყევი. იგი დაიხარა და კვლავ გადასწია თუთიის სახურავი - განცვიფრებამ და ელდამ საგონებელში ჩამაგდო.

კუბოში ლუსი იწვა, ზუსტად ისეთი, როგორიც დაკრძალვის წინა დღეს ვნახეთ. ჩვეულებრივზე ლამაზი ჩანდა და ვერაფრით ვიჯერებდი, რომ ცოცხალი აღარ იყო. მეწამული ტუჩები ჰქონდა, ადრინდელზე უფრო ხასხასა, ხოლო ლოყებზე ნაზი სიწითლე დასთამაშებდა.

- რა არის ეს - ჯადოქრობა? - ვიკითხე მე.

- ახლა დარწმუნდით? - თქვა პროფესორმა საპასუხოდ. მან ხელით მკვდარი ტუჩები გადაუწია და თეთრი კბილები გამოუჩინა. მე შევკრთი.

- ნახე, - მომმართა მან, - ხედავ, ახლა ადრინდელზე უფრო ბასრია. ამით და ამით, - მან ერთ-ერთ ზედა ეშვზე მიმითითა, შემდეგ ქვედაზე, - შეუძლია პატარა ბავშვები დაკბინოს. ახლა გჯერა, ჯონ?

ჩემში ისევ წინააღმდეგობრივმა სულმა იმძლავრა:

- იქნებ, ის აქ გუშინ მოათავსეს!

- მართლა? ეს ვინ გააკეთა?

- არ ვიცი, ვინმემ!

- მაგრამ ერთი კვირის წინ მოკვდა. ამხელა დროის შემდეგ ადამიანთა უმეტესობას სხვაგვარი გარეგნობა ექნებოდა.

ამას ვერაფერი დავუპირისპირე. ვან ჰელსინკი, მგონი, ვერ ამ-ჩნევდა ჩემს დუმილს. ყოველ შემთხვევაში, იგი არც იმედგაცრუებას გამოხატავდა, არც კმაყოფილებას. ყურადღებით დასცქეროდა მკვდარი ქალის სახეს, ქუთუთოები აუწია და თვალები შეათვალი-ერა, შემდეგ კიდევ ერთხელ გადაუწია ტუჩები და კბილებს მოავლო თვალი. მერე ჩემკენ მობრუნდა და თქვა:

- აქ ერთი რამაა სრულიად არაჩვეულებრივი. ლუსის ვამპირმა უკბინა,როცა ის უგონოდ დასეირნობდა ძილში. ოჰ, როგორი გან-ცვიფრებული ხარ, ეს არ იცი, ჯონ, მაგრამ შემდეგ ყველაფერს გა-იგებ, მოგვიანებით... სანამ ლუსი უგონოდ იყო, მას არაფერი უშლი-და ხელს გოგონასთვის სისხლი გამოეწოვა. იგი ისე გარდაიცვალა, რომ გონზე არ მოსულა, და ის „არამკვდარია“. აი, რატომ არის ეს განსაკუთრებული შემთხვევა. ჩვეულებრივ, როცა „არამკვდარს“ „სახლში“ სძინავს, - აქ მან ხელით ჟესტი გააკეთა, რითაც უნდოდა ეჩვენებინა, რა მნიშვნელობა აქვს „სახლს“ ვამპირისათვის, - მაშინ სახეზე ეტყობა, რომ ის ასეთია, მაგრამ როცა „არამკვდარი“აღარ არის, რაღაც ჩვეულებრივ მიცვალებულად გადაიქცევა. ამ მდგომა-რეობაში ისინი სრულიად უვნებელნი არიან, და მე ისე მიმძიმს, რომ იძულებული ვარ იგი ძილში მოვკლა, ასეთ მდგომარეობაში.

თავზარი დამეცა და ლამის ვირწმუნე კიდეც ვან ჰელსინკის სიტ-ყვები, მაგრამ თუ ლუსი ნამდვილად მკვდარი იყო, რა აზრი აქვს მის განმეორებით მოკვლას? მან შემომხედა და აშკარად შემატყო ცვლილება სახეზე, რადგანაც ოდნავ ქედმაღლურად მკითხა:

- ახლა გჯერა?

- ნუ მაჩქარებ. მზად ვარ, შევურიგდე ამას. მაგრამ როგორ აღასრულებთ თქვენს სისხლიან მოვალეობას?

- თავს მოვკვეთ, პირს ნივრით ამოვუვსებ და სხეულში მარგილს ჩავასობ.

ჟრუანტელმა დამიარა იმის გაფიქრებაზე, რომ ასე უნდა დამახინჯებულიყო იმ ქალის სხეული, რომელიც მიყვარდა. და მაინც ეს გრძნობა ისეთი ძლიერი არ ყოფილა, როგორც მოველოდი. არსებითად, ახლა ამ არსების, - ამ „არამკვდარი“ არსების, როგორც ვან ჰელსინკი უწოდებდა მას, - გვერდით ყოფნა მაშფოთებდა და მის მიმართ ზიზღს ვგრძნობდი.

ვან ჰელსინკი რაღაცას დიდხანს ფიქრობდა. საბოლოოდ, დაკეტა საკვოიაჟი და წარმოთქვა:

- გადავიფიქრე. ჩემი განზრახვის ასრულება რომ გადამეწყვიტა, ახლავე გავაკეთებდი, მაგრამ, შესაძლოა, მრავალი გართულება წარმოიქმნას, რომლებიც გაცილებით არასასიამოვნო შეიძლება აღმოჩნდეს, ვიდრე წარმოგვიდგენია. და აი, რატომ! მას ჯერ კიდევ არავინ მოუკლავს, თუმცა საკმარისი დრო ჰქონდა და ახლა ეს რომ გავაკეთო, მაშინ მას სამუდამოდ უვნებელვყოფ. მაგრამ ამისათვის ართური გვჭირდება, მას კი როგორ გავუმხილოთ ეს ყველაფერი? თუკი შენ არ დამიჯერე, შენ, რომელმაც ნახე ჭრილობები ლუსის კისერზე, შემდეგ ასეთივე იარები ბავშვის სხეულზე, ჰოსპიტალში. შენ, რომელმაც წუხელ კუბო ცარიელი ნახე, ხოლო დღეს - მასში ჩაწოლილი ქალი, რომელიც არა თუ არ შეცვლილა, არამედ უფრო გალამაზებულიც არის და შეფაკლული ლოყებიც კი აქვს, რომელმაც ნახე ის თეთრი ფიგურა, ვინც სასაფლაოზე ბავშვი მოიყვანა. რას უნდა ველოდო ართურისგან, რომელმაც ამის შესახებ არაფერი იცის

და არაფერი უნახავს. იგი ჩემში დაეჭვდა, თუმცა მე საშუალება არ მივეცი ისე დამშვიდობებოდა ლუსის, როგორც ეს უნდა გაეკეთებინა. მაგრამ ახლა, არცოდნის გამო, შეიძლება იფიქროს, რომ ჩვენ ლუსი ცოცხლად დავმარხეთ და ამ დიდი შეცდომის დასამალავად მოვკალით იგი. ამის გამო შეგვიძულებს და მთელი სიცოცხლე უბედური იქნება.

ამიტომ მე გადავწყვიტე ყველაფერი მისი თანდასწრებით გავაკეთო. ხვალ დილის ათ საათზე შენ მოხვალ ჩემთან ბერკლის სასტუმროში. მე შიკრიკს გავგზავნი ართურთან და იმ ამერიკელთან, რომელმაც ასევე გაიღო ლუსისთვის თავისი სისხლი. შემდეგ ყველას დიდი შრომა მოგვიწევს. მე შენთან ერთად ვივახშმებ პიკადილიზე, რადგან მზის ჩასვლამდე აქ კიდევ ერთხელ უნდა დავბრუნდე.

ჩვენ დავკეტეთ აკლდამა, წავედით, გადავძვერით სასაფლაოს კედელზე, რაც არცთუ ძნელი იყო და პიკადილიზე დავბრუნდით.

ვან ჰელსინკის ბარათი, მის მიერ პალტოში, ბერკლის სასტუმროს საკიდზე დატოვებული, ჯონ სიუარდისადმი მიწერილი

(ადრესატს ჩაუბარებელი)

27 სექტემბერი.

მეგობარო ჯონ!

გწერ იმ შემთხვევისათვის, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი მოხდება. მარტო მივდივარ სასაფლაოზე. მიხარია, რომ ამაღამ „არამკვდარი“ ლუსი გამოსვლას ვერ მოახერხებს, ასე რომ, ხვალ ღამით იგი კიდევ უფრო გარკვევით გამოჩნდება. ამიტომ აკლდამას იმას

ვუკეთებ, რაც მას არ უყვარს - ნიორსა და ჯვარს, და ამგვარად ვბეჭ-დავ სამარეს. იგი, როგორც „არამკვდარი“, ჯერ კიდევ ახალგაზ-რდაა და ფრთხილად იქნება. გარდა ამისა, ეს მხოლოდ გამოსვლა-ში შეუშლის ხელს, მაგრამ გამოსვლის სურვილს არ გაუნელებს: როცა „არამკვდარი“ სასოწარკვეთილია, გამოსასვლელს იქ ეძებს, სადაც ყველაზე ნაკლები წინააღმდეგობაა. მე მახლობლად ვიქნები დაისიდან აისამდე, და თუ რაიმე საინტერესო მოხდება, ხელიდან არ გავუშვებ. ლუსის არ მეშინია, მაგრამ მაშინებს ის სხვა, რომლის გა-მოც ლუსი „არამკვდარია“. მას ახლა აქვს უფლებაც და ძალაუფლე-ბაც მისი საფლავი ეძებოს და ლუსის „დახმარება აღმოუჩინოს“. ის ცბიერია, ჯონათანის გადმოცემითაც და იქიდან გამომდინარეც, ჩვენ როგორ გვაბრიყვებდა, როცა ლუსის სიცოცხლით გვეთამაშე-ბოდა. და საერთოდ, „არამკვდარი“ მრავალი მხრივ ძალზე ძლი-ერია. მას ოცი კაცის ძალა აქვს. იმ ძალამაც კი, რაც ოთხმაგი დო-ზით შევიყვანეთ ლუსის სისხლში, მხოლოდ მის სასარგებლოდ იმოქმედა. გარდა ამისა, მას მგლების შეკრება შეუძლია და ვინ იცის, კიდევრა. ასე რომ, თუ ღამით იქ მივა, მე წამასწრებს. სხვა არა-ვინ უნდა იყოს იქ, თორემ ცუდად წავა საქმე. მაგრამ, შესაძლოა, ამ ადგილზე საერთოდ არ გამოჩნდეს, რადგან ამ სასაფლაოზე უფრო საინტერესო ნადავლიც ეგულებოდეს.

ვწერ ამას იმ შემთხვევისათვის, თუკი... მოკლედ... აიღე ყველა ჩანაწერი და წაიკითხე, ართურის დღიურიც, ხოლო შემდეგ მოძებნე „არამკვდარი“, თავი მოკვეთე, დაწვი მისი გული, მას კი მარგილი ჩაარჭვე, რათა სამყარომ საბოლოოდ ამოისუნთქოს თავისუფლად.

ამრიგად, მშვიდობით,

შენი ვან ჰელსინკი.

ექიმ სიუარდის დღიური

28 სექტემბერი.

მართლაც საოცარია, რამდენად სასარგებლოა ძილი. გუშინ თითქმის მზად ვიყავი, დამეჯერებინა ვან ჰელსინკის საშინელი იდეები, ახლა კი ისინი უხიაკად და ყოველგვარ აზრს მოკლებულად მეჩვენება. შეუძლებელია, ის გაგიჟებულიყო. ხომ უნდა არსებობდეს მთელი ამ იდუმალი მოვლენების რაღაც ახსნა. შესაძლოა, პროფესორმა თვითონ შექმნა ისინი. ვეცდები, ამოვხსნა ეს საიდუმლო.

29 სექტემბერი. დილით.

ართურმა და ქვინსიმ გუშინ ათი საათისთვის ვან ჰელსინკთან შემოიარეს: მან ყველაფერი აუხსნა, რაც უნდა გავაკეთოთ, უმთავრესად ართურს მიმართავდა, თითქოს ყველა ჩვენი სურვილი მხოლოდ მასში იყო კონცენტრირებული. გვეუბნებოდა, საერთო დახმარების იმედი მაქვს, რადგან რთული ამოცანა გველისო. შემდეგ ართურს ჰკითხა, ჩემს წერილს ხომ არ გაუკვირვებიხარო?

- მე? დიახ! საკმაოდ შემაშფოთა. ბოლო ხანებში იმდენი უბედურება გადავიტანე, რომ ძალა აღარ შემწევს. არადა, მაინტერესებს გავიგო, რა ხდება.

- მე თქვენი თანხმობა მინდა იმასთან დაკავშირებით, - უპასუხა ვან ჰელსინკმა, - რის გაკეთებასაც ამაღამ ვაპირებ. ვიცი, რომ ბევრს ვითხოვ და მხოლოდ მაშინ, როცა თქვენ გაერკვევით საქმის ვითარებაში, მიხვდებით, რომ ეს მართლაც ბევრია. ამიტომ, მინდა, რომ ჯერ ბრმად მენდოთ, რათა შემდეგ საკუთარ თავს არაფერი

უსაყვედუროთ. ერთხანს ჩემზე გაბრაზებული იქნებით - ამას უნდა შევეგუო.

- მე სულაც არ ვაპირებ რაიმეს ბრმად გაკეთებას, - შეიცხადა არ-თურმა, - აქ თუ ჯენტლმენის ღირსება ან ჩემი, როგორც ქრისტიანის რწმენა ილახება, მაშინ მე არაფრით შემიძლია მსგავსი დაპირება მოგცეთ. თუ თქვენ მპირდებით, რომ თქვენი განზრახვა არც ერთს ეხება, და არც მეორეს, მაშინ ახლავე გიცხადებთ ჩემს თანხმობას: თუმცა, გეფიცებით, არ მესმის, რა გაქვთ მხედველობაში.

- ჩემთვის გასაგებია თქვენი შეზღუდვები, - მიუგო ვან ჰელსინ-კმა, - მაგრამ მხოლოდ ერთს გთხოვთ - დარწმუნებული ბრძანდებო-დეთ, რომ ჩემი საქციელი არ შეეხება ამ შეზღუდვებს, მაგრამ თქვენ, მანამდე, ვიდრე მე განმსჯიდეთ, კარგად აწონ-დაწონეთ თქვენი გა-დაწყვეტილება.

- გადაწყვეტილია! - თქვა ართურმა. - ამრიგად, მოლაპარაკება დამთავრდა. ახლა შემიძლია გკითხოთ, რა ხდება?

- ძალიან მინდა, რომ ჩემთან ერთად წამოხვიდეთ ქინგსთედის სასაფლაოზე, მაგრამ ისე, რომ ეს არავინ იცოდეს.

ართური გაოცდა.

- იქ, სადაც ლუსია დაკრძალული?

პროფესორმა თავი დაუქნია. ართურმა განაგრძო:

- რატომ?

- რათა აკლდამაში შევიდეთ.

- ამას სერიოზულად ამბობთ, პროფესორო, თუ ეს სასტიკი ხუმრობაა?.. მაპატიეთ, როგორც ვხედავ, თქვენ არ ხუმრობთ.

ამას ხანგრძლივი პაუზა მოჰყვა. საბოლოოდ მან იკითხა:

- აკლდამაში რატომ?

- კუბოს გასახსნელად.

- ეს უკვე მეტისმეტია, - გაბრაზებით თქვა ართურმა და ფეხზე წამოდგა, - მე ყველაფერზე თანახმა ვარ, რაც კეთილგონიერია, მაგრამ ამაზე... კუბოს ასეთი შეურაცხყოფა, რასაც... - მღელვარებისაგან სიტყვა გაუწყდა. პროფესორმა თანაგრძნობით შეხედა.

- მე რომ შემეძლოს თუნდაც ერთი მცირეოდენი ტანჯვა აგაცილოთ, ხედავს ღმერთი, რომ არ დავიზარებდი, - უთხრა მან. - მაგრამ ამაღამ ეკლიან გზაზე მოგიწევთ გავლა, სხვაგვარად მას, ვინც გიყვართ, შემდეგ, შესაძლოა, სამუდამოდაც, ალმოდებულ გზაზე მოუწევს სიარული.

ართური გაფითრდა და დაიყვირა:

- ფრთხილად, სერ, ფრთხილად იყავით!

- ხომ არ აჯობებს, მომისმინოთ, რასაც გეტყვით? - შესთავაზა ვან ჰელსინკმა. - მაშინ, უკიდურეს შემთხვევაში, გეცოდინებათ მაინც, რას გთავაზობთ. გითხრათ?

- ისედაც ყველაფერი ნათელია, - ჩაურთო მორისმა.

ვან ჰელსინკმა მცირე დუმილის შემდეგ განაგრძო, ჩანდა, რომ ეს დიდი ძალისხმევის ფასად უჯდებოდა.

- მის ლუსი გარდაიცვალა, ასე არ არის? მაშასადამე, ყველაფერი რიგზეა. მაგრამ თუ ის არ მომკვდარა?

ართური წამოხტა.

- ღმერთო! - შესძახა მან. - ამით რა გინდათ თქვათ? განა რამე შეცდომა მოხდა? ნუთუ ცოცხლად დამარხეს?

იგი ისეთ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, რომ მძიმე სანახავი იყო.

- მე ხომ არ მითქვამს, რომ ის ცოცხალია, ჩემო შვილო. ამის თქმა არ მინდოდა. მხოლოდ ის მინდა ვთქვა, რომ ის „არამკვდარია“.

- არამკვდარი! არაცოცხალი! ამით რას ამბობთ? რა არის ეს - კოშმარი თუ კიდევ რაღაც უფრო საშინელი?

- არის საიდუმლოებები, რომელთა შესახებ მხოლოდ ვარაუდი შეგვიძლია, რომლებიც, შესაძლოა, დაიმსხვრეს მხოლოდ წლების მანძილზე და ნაწილ-ნაწილ. მერწმუნეთ, ჩვენს წინაშე მხოლოდ საიდუმლოს ნაწილია. მაგრამ... მე ჯერ კიდევ არაფერი მითქვამს. ნებას მომცემთ, თავი მოვკვეთო მკვდარ ლუსის?

- ვფიცავ ზეცას და დედამიწას, არა! - დაიყვირა საგონებელში მყოფმა ართურმა. - არაფრის ფასად არ დავთანხმდები მისი სხეულის შებილწვას. ვან ჰელსინკ, ძალიან მაწამებთ! რა დაგიშავეთ, ასე რისთვის მტანჯავთ? რა გაგიკეთათ ამ საბრალო გოგონამ, რატომ იგდებთ მასხრად მისსაფლავს? ან თქვენ გაგიჟდით, რადგან ასეთ რაღაცებს ამბობთ, ანდა მე შევიშალე მათი მოსმენით! ამაზე ფიქრიც კი არ გაბედოთ, არაფრით არ დაგთანხმდებით! მისი საფლავის დასაცავად წავალ და, ღმერთს ვფიცავ, დავიცავ!

ვან ჰელსინკი წამოდგა და მკაცრად და სერიოზულად თქვა:

- ლორდო გოდალმინგ, მეც მაქვს მოვალეობა, მოვალეობა სხვათა მიმართ, თქვენდამი და გარდაცვლილისადმი, და ვფიცავ უფალს, მე ამას აღვასრულებ. მხოლოდ ერთს გთხოვთ: ერთად წავიდეთ, ნახეთ და მოისმინეთ, დარწმუნებული ვარ, რომ ამის შემდეგ სრული უფლება მექნება ჩემზე დაკისრებული მოვალეობა ჩემი შეხედულების მიხედვით აღვასრულო. და მზად ვიქნები ყველაფერზე ანგარიში ჩაგაბაროთ, როდესაც და სადაც თქვენ მოისურვებთ.

აქ მას ხმა აუკანკალდა და უფრო რბილად განაგრძო:

- მაგრამ, გემუდარებით, ასეთი გაბრაზებით ნუ მიყურებთ. ჩემს ცხოვრებაში ბევრი მძიმე წუთი იყო, რაც აწამებდა ჩემს სულს, მაგრამ ასეთი მძიმე ამოცანა პირველად მერგო. მერწმუნეთ, რომ დადგება დრო და ჩემ შესახებ აზრს შეიცვლით, რადგან მე ყველაფერს გავაკეთებ, რაც ადამიანს ხელეწიფება, რომ უბედურებისგან დაგიხსნათ. მხოლოდ დაფიქრდით! რისთვის დავიტანჯებოდი და ვეწამებოდი ასე? აქ თქვენს დასახმარებლად მოვედი, რათა, პირველ რიგში, ჩემი მეგობრისთვის, ჯონისთვის გამეწია სამსახური, გარდა ამი-

სა, რათა საყვარელ ახალგაზრდა გოგონას დავხმარებოდი, რომელიც მე, ისევე როგორც თქვენ, ძალიან შემიყვარდა. მისთვის, - მრცხვენია ამის თქმა, მაგრამ მაინც უნდა ვაღიარო, - მე ის გავიღე, რაც თქვენც გაეცით: სისხლი ჩემი ვენებიდან. და გავიღე მე, ადამიანმა, რომელიც სულაც არ ყოფილა ლუსიზე შეყვარებული, არამედ მხოლოდ ექიმი და მეგობარი გახლდათ. თუკი ჩემს სიკვდილს შეეძლო მისთვის ახლა რაიმე მიეცა, როცა იგი „არამკვდარია“, ხალისით გავცემდი სიცოცხლეს.

მან ეს რაღაც კეთილშობილური, რბილი სიამაყით თქვა და ამან ართური ძალიან შეძრა. მან ექიმს ხელი მოუჭირა და მთრთოლარე ხმით წარმოთქვა:

- ოჰ, რა საშინელებაა ამაზე ფიქრი, ვერც ვერაფრით ვხვდები, რა ხდება, მაგრამ გპირდებით, რომ თქვენთან ერთად წამოვალ.

თავი მეთექვსმეტე
ექიმ სიუარდის დღიური

(გაგრძელება)

თორმეტს თხუთმეტი წუთი აკლდა, როცა სასაფლაოს დაბალ გალავანზე გადავძვერით. ბნელი ღამე იყო, მთვარე დროდადრო იჭვრიტებოდა ღრუბლებიდან, რომლებსაც მთელი ცა დაეფარათ. ვცდილობდით, ერთმანეთთან რაც შეიძლება ახლოს ვყოფილიყავით. ვან ჰელსინკი წინ მიდიოდა და გზას გვიჩვენებდა. როცა საფლავთან მივედით, ართურს ყურადღებით დავაკვირდი, რადგან იმ

ადგილს, რომელიც ამდენ სამწუხარო მოგონებას უკავშირდებოდა, შეეძლო იგი ძლიერ აეღელვებინა, მაგრამ მას ყოჩაღად ეჭირა თავი, ალბათ, იდუმალებამ მოხიბლა კიდეც. პროფესორმა აკლდამის კარი გახსნა და როცა ყოყმანი შეგვატყო, იმით გაგვამხნევა, რომ წინ თვითონ წავიდა. ჩვენც შევყევით და მან კარი დაკეტა. შემდეგ ფარანი აანთო და კუბოზე მიგვითითა. ართური, რომელიც ძლიერ ღელავდა, მისკენ დაიძრა.

ვან ჰელსინკმა მკითხა:

- გუშინ ჩემთან ერთად იყავი. ლუსის სხეული მაშინ ხომ აქ, კუბოში, იწვა?

- დიახ, იწვა.

პროფესორი დანარჩენებს მიუბრუნდა:

- გესმით? და მაინც, ვიღაცას ჯერ კიდევ არ სჯერა ჩემი.

მან სახრახნისი აიღო და ისევ მოხსნა კუბოს თავსახური. ფერმკრთალი და მდუმარე ართური თვალს არ აშორებდა.

ვან ჰელსინკმა თუთიის სახურავი გადასწია, ჩვენ კუბოში ჩავიხედეთ და მოულოდნელობისაგან გავშეშდით.

კუბო ცარიელი იყო!

რამდენიმე წუთის განმავლობაში სიტყვა არავის დაგვცდენია.

შემდეგ პროფესორმა დაიწყო:

- ორი დღის წინ მე და სიუარდი აქ მოვედით და კუბო გავხსენით, ის ცარიელი იყო, ისევე, როგორც ახლა. შემდეგ სადარაჯოდ დავრჩით და რაღაც თეთრი დავინახეთ, რომელიც ხეებს შორის მოძრაობდა. მეორე დღეს აქ დღისით მოვედით და ლუსი კუბოში ვნახეთ. ხომ მართალია, ჯონ?

- დიახ.

- იმ ღამეს ზუსტად დროზე მოვედით. კიდევ ერთი ბავშვი დაიკარგა, და ჩვენ, მადლობა უფალს, იგი უვნებელი ვიპოვეთ საფლავებს შორის. გუშინ აქ მზის ჩასვლამდე მოვედი, რადგან მზის ჩასვლისას „არამკვდარი“ ცოცხლდება.

აქ მთელი ღამე მოვიცადე, მზის ამოსვლამდე, მაგრამ არაფერი დამინახავს. ალბათ, იმიტომ, რომ კარზე ნიორი მივამაგრე, რასაც „არამკვდარი“ ვერ იტანს, და კიდევ სხვა რაღაცები, რასაც ის გაურბის. დღეს საღამოს, ჯერ კიდევ მზის ჩასვლამდე, მე მოვხსენი ნიორი და ყველა დანარჩენი, აი, რატომ დაგვხვდა კუბო ცარიელი. ერთად დავიცადოთ. აქამდე აქ ბევრი უცნაურობა ხდებოდა. თუ ჩვენ სადმე აქვე დავიმალებით, კიდევ უფრო უცნაურ რაღაცებს ვნახავთ.

აკლდამიდან რიგრიგობით გამოვედით, პროფესორი ბოლოს გამოვიდა და კარი გამოკეტა.

ოჰ, რა საამო და სუფთა იყო ღამის ჰაერი დახუთული აკლდამის შემდეგ! ვან ჰელსინკი საქმეს შეუდგა. თავისი საკვოიაჟიდან ჯერ ვაფლის თხელი ბისკვიტების მსგავსი ამოიღო, რაც ფაქიზად იყო შეხვეული თეთრ ხელსახოცში, შემდეგ მთელი პეშვი მოთეთრო ნივთიერება, ცომისა თუ საგოზავისმაგვარი. მან წვრილად დაფშვნა

ვაფლი და საგოზავს შეურია, შემდეგ ამ მასით აკლდამის კარის ჭუჭ-რუტანები ამოლესა. მე მასთან ახლოს ვიდექი, ამან ძალიან გამაო-ცა და ვკითხე, რას აკეთებ-მეთქი? ართური და ქვინსიც მოგვიახ-ლოვდნენ, რადგან ორივე ძალზე იყო დაინტერესებული. მან გვიპა-სუხა:

- საფლავის შესასვლელს ვკეტავ, რათა „არამკვდარი“ იქ ვერ შე-ვიდეს.

- ეს რას ნიშნავს? - ჰკითხა ართურმა.

ვან ჰელსინკმა მოწიწებით მოიხადა ქუდი და მიუგო:

- წმინდა ძღვენია. ამსტერდამიდან ჩამოვიტანე. ამით ცოდვების მიტევება შეიძლება.

პასუხი ყველაზე მგზნებარე სკეპტიკოსსაც შეაშინებდა. და ყო-ველმა ჩვენგანმა იგრძნო, რომ პროფესორი იმდენად სერიოზულად ეკიდებოდა ამ საკითხს და მისთვის ყველაზე წმინდასაც კი იყენებდა ამაში, რომ მისი არნდობა შეუძლებელი გახლდათ. ჩვენ წყნარად და მორჩილად დავიკავეთ მითითებული ადგილები აკლდამის გარშე-მო, ვცადეთ, ეს ისე გაგვეკეთებინა, რომ ყველასათვის შეუმჩნევე-ლი დავრჩენილიყავით. ართური ძალიან მეცოდებოდა. მთელი ეს დაძაბულობა ჩემთვის უკვე ნაცნობი იყო წინა ვიზიტების წყალობით.

ხანგრძლივი დუმილი ჩამოწვა, უსასრულო, მტანჯველი სიჩუმე, შემდეგ პროფესორის ჩუმი სტვენა გაისმა. მან თითით მიგვანიშნა: ურთხმელის ხეებს შორის თეთრი ფიგურა გამოჩნდა, რომელიც ნე-ლა ახლოვდებოდა, და იმავე წუთს ღრუბლებიდან მთვარემ გამოი-

ხედა და საოცრად მკაფიოდ გაანათა გრძელთმიანი ქალი, რომელსაც სუდარა ემოსა. სახე არ უჩანდა, რადგან ქერა ბავშვისკენ დახრილიყო. შემდეგ სიჩუმეში ხანმოკლე ყვირილი გაისმა, როგორც ძილში ყვირიან ზოგჯერ ბავშვები. პროფესორმა ხელით გვანიშნა, რომ ადგილებზე დავრჩენილიყავით. თეთრი ფიგურა გზას განაგრძობდა დაუკვე იმდენად ახლოს იყო, რომ გარკვევით შეგვეძლო მისი შეთვალიერება, მით უფრო, რომ მთვარე ისევ ანათებდა. მთელ ტანში ჟრუანტელმა დამიარა და ართურის მძიმე სუნთქვა გავიგონე, როდესაც ლუსი ვესტენრას ნაკვთები ვიცანით, მაგრამ რამდენად შეცვლილიყო ისინი! სახის ფაქიზი გამომეტყველება გაქვავებულ, შეუბრალებელ, სასტიკ ნიღბად გადაქცეოდა, ხოლო უმანკოება - ავხორცულ ვნებად. ვან ჰელსინკი სამალავიდან გამოვიდა და მისი ჟესტის მიხედვით ყველანი აკლდამას მივუახლოვდით. ვან ჰელსინკმა ფარანი აანთო, შუქმა ლუსის სახეგაანათა და დავინახეთ, რომ მისი ტუჩები სისხლით იყო მოსვრილი, რაც ნიკაპზე ეწვეთებოდა და სუდარას ალაქავებდა.

ეს საშინელი სანახაობა იყო. მთრთოლარე სინათლეზე შევნიშნე, რომ ვან ჰელსინკსაც კი უმტყუნა რკინის ნერვებმა. ართური ჩემ გვერდით იდგა და ხელით რომ არ დამეჭირა, ალბათ, ძირს დაეცემოდა.

ჩვენს დანახვაზე ლუსიმ - ამ ფიგურას მე ლუსის ვუწოდებ, რადგან მას ჰგავდა - მახეში გაბმული ველური კატასავით დაიხავლა, უკან დაიწია და მოელვარე თვალები შემოგვანათა. ეს ლუსის თვალები იყო ფორმითა და ფერით, უთუოდ მისი თვალები, მაგრამ არა ნათელი, არამედ ჯოჯოხეთური ცეცხლით სავსე, ჩვენთვის ასე ნაცნობი წმინდა, ალერსიანი თვალების ნაცვლად. იმ მომენტში ჩემი მისდამი ნარჩენი სიყვარული სიძულვილისა და ზიზღის გრძნობაში

გადაიზარდა. ახლა მისი მოკვლა რომ ყოფილიყო საჭირო, ამას დიდი სიამოვნებით გავაკეთებდი. როცა შემოგვხედა, თვალები აენთო და სახე დაემანჭა ავხორცული ღიმილით. ოჰ, ღმერთო, რა შემზარავი სანახაობა იყო! იგი მიწაზე დაეშვა, თითქოს გრძნობამიხდილი, ბავშვს თავგამოდებით იკრავდა მკერდზე და ისე იღრინებოდა, როგორც ძაღლი გემრიელი ძვლის დანახვაზე. ბავშვმა უეცრად შეჰყვირა და დაიკვნესა. ამაზე ართურს გმინვა აღმოხდა. ლუსი წამოდგა და ავხორცული ღიმილით მისკენ დაიძრა, ართურმა უკან დაიწია და სახეზე ხელები აიფარა.

ლანდი მიუახლოვდა და მიბნედილი, ავხორცული კეკლუცობით მიმართა:

- მოდი ჩემთან, ართურ! მიატოვე ყველა და ჩემთან მოდი. შენი ალერსი მწყურია, მოდი, ჩვენ ერთად მოვისვენებთ. მოდი ჩემთან, ჩემო მეუღლევ, ჩემთან მოდი.

მის ხმაში რაღაც ეშმაკეული სიტკბოება იგრძნობოდა, რომელიც ვერცხლის ზანზალაკივით ჟღერდა და მისმა სიტყვებმა, მიუხედავად იმისა, რომ სხვას ეხებოდა, ჩვენზეც მომნუსხველად იმოქმედა. ართურს რაც შეეხება, ის თითქოს ჰიპნოზში იმყოფებოდა. ფართოდ გაშალა ხელები მის ჩასახუტებლად. ლუსი ის იყო, უნდა მივარდნოდა, რომ ვან ჰელსინკმა დაასწრო და წინ გაიჭრა - გაშვერილ ხელში ოქროს ჯვარი ეკავა. ლუსი შეტორტმანდა და სიბრაზისაგან დამახინჯებული სახით აკლდამის შესასვლელისკენ გაიწია.

კარიდან რამდენიმე ნაბიჯში შეჩერდა, თითქოს რაღაც დაუძლეველმა ძალამ შეაჩერა. შემდეგ ჩვენკენ მობრუნდა და მთვარისა და ვან ჰელსინკის ფარნის მკვეთრმა შუქმა მისი სახე გაანათა. არასოდეს მინახავს ასეთი ბოროტი გამომეტყველება და იმედი მაქვს, არც

ერთ მოკვდავს არ მოუწევს ამის ხილვა.საუცხოო ფერები მეწამულ-ცისფერმა შეცვალა, თვალებით თითქოს ჯოჯოხეთური ცეცხლის ნა-პერწკლებს აფრქვევდა, წარბები შეიჭმუხნა, მშვენიერი ტანი გორ-გონა მედუზასავით დაეკლაკნა, ხოლო მომხიბლავი პირი ღია კვად-რატად ექცა და ბერძნებისა თუ იაპონელთა ვნების ნიღაბს დაემ-სგავსა.

ამ სახით იგი რამდენიმე წუთს იდგა, რაც ჩვენ მარადისობად მოგვეჩვენა, აღმართულ ჯვარსა და აკლდამის შესასვლელს შორის. ვან ჰელსინკმა სიჩუმე დაარღვია და ართურს ჰკითხა:

- მიპასუხე, ჩემო მეგობარო, გავაგრძელო მუშაობა?

ართურმა სახეზე ხელები აიფარა და უპასუხა:

- გააკეთე რაც გინდა, რაც გსურს. ეს საშინელება აღარ უნდა გან-მეორდეს.

იგი ცუდად გახდა. ქვინსი და მე ერთდროულად მასთან გავ-ჩნდით და ხელით დავიჭირეთ. ვან ჰელსინკი კართან მივიდა და ჭუჭ-რუტანებიდან წმინდა ემბლემების გამოღება დაიწყო. ყველანი გან-ცვიფრებულები დავრჩით, როცა დავინახეთ, რომ ჩვენნაირი სხე-ულის მქონე ქალი შუალედში გასხლტა, სადაც დანის პირიც ძლივს გაეტეოდა. სიხარულის მაგვარი გრძნობა დაგვეუფლა, როდესაც დავინახეთ, რომ ვან ჰელსინკმა ისევ მშვიდად ამოქოლა ნასვრეტე-ბი საგოზავით.

ამის შემდეგ მან ბავშვი აიყვანა ხელში და გვითხრა:

- წავიდეთ, ჩემო მეგობრებო, ხვალამდე აქ აღარაფერი გვესაქმება. შუადღეზე აქ დაკრძალვაა, შემდეგ ჩვენ მოვალთ. ორ საათამდე ყველა დატოვებს აქაურობას. როცა მესაფლავე ჭიშკარს დაკეტავს, ჩვენ დავრჩებით, რადგან კიდევ რაღაც უნდა გავაკეთოთ. მაგრამ არა ის, რასაც ამაღამ ვაკეთებდით. პატარას რაც შეეხება, ის კარგად გრძნობს თავს და ხვალისთვის სრულად გამოკეთდება. ისე ვიზამთ, რომ წუხანდელივით პოლიციამ იპოვოს, შემდეგ კი შინ წავალთ.

იგი ართურს მიუახლოვდა:

- ართურ, ჩემო მეგობარო, შენ მძიმე განსაცდელი გადაიტანე, მაგრამ შემდგომ დაინახავ, როგორი აუცილებელი იყო ეს. ახლა ცუდად გრძნობ თავს, ჩემო შვილო. ხვალ ამ დროისათვის, უფალი ინებებს და ყველაფერი დამთავრდება, ასე რომ, გამაგრდი.

ბავშვი უსაფრთხო ადგილზე დავტოვეთ და შინ წავედით.

29 სექტემბერი.

დაახლოებით თორმეტი საათისათვის ჩვენ სამნი: ართური, ქვინსი მორისი და მე პროფესორთან წავედით. უცნაური იყო, რომ ინსტინქტურად ყველას შავი კოსტიუმები გვეცვა. ორის ნახევარზე უკვე სასაფლაოზე ვიყავით და იქ დავეხეტებოდით, თან გარემოს ვზვერავდით. როცა მესაფლავეებმა მუშაობა დაამთავრეს და დარაჯმა, რომელიც დარწმუნდა, რომ სასაფლაოზე აღარავინ იყო, ჭიშკარი დაკეტა, ყოველმა ჩვენგანმა თავისი ადგილი დაიკავა. ამჯერად ვან ჰელსინკს პატარა ჩანთის ნაცვლად გრძელი ტყავის ყუთი ჰქონდა, ალბათ, საკმაო წონის.

როდესაც სასაფლაოზე ნაბიჯებისხმა შეწყდა, პროფესორს ჩუმად გავყევით აკლდამისკენ. მან ჩანთიდან ამოიღო ფარანი, ცვილის ორი სანთელი და აკლდამა გაანათა. როცა ისევ მოვხსენით კუბოს თავსახური, ლუსის მშვენიერი სხეული დავინახეთ, მაგრამ მე ყოველგვარი სიყვარული გამიქრა, მხოლოდ ზიზღს ვგრძნობდი იმის მიმართ, რასაც ლუსის სახე ჰქონდა მიღებული. ართურსაც კი რაღაც სასტიკი გაუხდა სახე მის დანახვაზე. მან ვან ჰელსინკს მიმართა:

- ეს ლუსის სხეულია, თუ დემონი მის გარსში?

- ეს მისი სხეულია და, ამავე დროს, არ არის მისი. ცოტა მოიცადე, და ისეთს დაინახავ, როგორიც იყო.

აქ იწვა არა ლუსი, არამედ რაღაც კოშმარი: ბასრი კბილები, გასისხლიანებული, ავხორცული ტუჩები, რომლებიც საშინელი სანახავი იყო - ეს ხორციელი უსულო არსება ლუსის უმანკოების დემონურ დაცინვად გეჩვენებოდა. ვან ჰელსინკმა ჩვეული თანმიმდევრობით დაიწყო ყუთიდან სხვადასხვა საგნის ამოლაგება და მათი რიგის მიხედვით დაწყობა. ჯერ სარჩილავი ამოიღო, შემდეგ პატარა ნათურა, და ბოლოს ხის მარგილი, ორნახევარი თუ სამი დუიმის სისქისა და დაახლოებით სამი ფუტის სიგრძის. იგი ცალ მხარეს მომწვარი და წამახვილებული იყო. შემდეგ პროფესორმა მძიმე ურო ამოიღო. ჩემზე ყოველგვარი საექიმო სამზადისი ამაღელვებლად და, ამავდროულად, წამახალისებლად მოქმედებს, მაგრამ ამან ართური და ქვინსი კიდევ უფრო შეაძრწუნა, თუმცა ისინი მაინც თავს იკავებდნენ და მოთმინებით ელოდნენ, რა მოხდებოდა. როცა ყველაფერი გაამზადა, ვან ჰელსინკმა წარმოთქვა:

- სანამ საქმეს შევუდგებოდეთ, რაღაცებს აგიხსნით. ეს ყველაფერი იმ ადამიანთა ცოდნიდან და გამოცდილებიდან მომდინარეობს, რომლებსაც „არამკვდარი“ ჰქონდათ შესწავლილი. ასეთებად გახდომისას ისინი უკვდავებად იქცევიან. მათ არ შეუძლიათ მოკვდნენ, წლიდან წლამდე ზრდიან მსხვერპლთა რიცხვს და ამქვეყნიურ ბოროტებას ამრავლებენ: რადგან ყველა, ვინც „არამკვდარის“ კბენით კვდება, თვითონაც „არამკვდრად“ იქცევა და, თავის მხრივ, სხვებს ღუპავს. ამგვარად, მათი წრე სულ უფრო ფართოვდება, ისევე, როგორც ჩაგდებული ქვისგან წარმოქმნილი წრეები წყლის ზედაპირზე. მეგობარო ართურ, ლუსის მაშინ შენთვის რომ ეკოცნა, სიკვდილის წინ, ან წუხელ, როცა ხელები გაშალე მის მოსახვევად, მაშინ შენც თანდათანობით „nosferatu“ გახდებოდი, როგორც მას აღმოსავლეთ ევროპაში უწოდებენ, და „არამკვდართა“ რაოდენობას გაზრდიდი.

ამ უბედურის კარიერა მხოლოდ ახლა იწყება. იმ ბავშვებს, რომლებსაც მან სისხლი გამოსწოვა, საფრთხე ჯერ კიდევ არ ემუქრებათ, მაგრამ თუ იგი ასეთ სიცოცხლეს გააგრძელებს, ისინი სულ უფრო მეტ სისხლს დაკარგავენ. თავისი ჰიპნოზური ძალით მიიზიდავს მათ და მთელ სისხლს გამოწოვს, მაგრამ თუ ნამდვილად მოკვდება, მაშინ ყველაფერი შეწყდება. კისრებზე ციცქნა ჭრილობები გაუქრებათ და ისინი თავიანთ სათამაშოებს დაუბრუნდებიან, ისე რომ ვერც გაიგებენ, რა შეემთხვათ. აქ ყველაზე მთავარი ისაა, რომ თუ „არამკვდარს“ ნამდვილ სიკვდილს დავუბრუნებთ, მაშინ საბრალო ლუსის სული განთავისუფლდება, იმის ნაცვლად, რომ ღამღამობით ათასი ბოროტება ჩაიდინოს და ყოველდღიურად სულ უფრო მეტად დაემსგავსოს ეშმაკს, იგი შეძლებს, მშვიდად დაიკავოს თავისი ადგილი ანგელოზთა შორის. ასე რომ, ჩემო მეგობარო, ის ხელი, რომელიც მას განმათავისუფლებელ დარტყმას მიაყენებს, კურთხეული

იქნება მისთვის. მე მზად ვარ ეს გავაკეთო, მაგრამ, იქნებ, ჩვენ შორის მოიძებნება ვინმე, ვისაც ამის უფრო მეტი უფლება აქვს?

ჩვენ ართურს შევხედეთ. იგი მიხვდა, ისევე, როგორც ჩვენ ყველანი, რომ უსაზღვრო სიყვარული მოუწოდებდა მოვალეობის შესასრულებლად, რათა ლუსის ხსოვნა ჩვენთვის წმინდა დარჩენილიყო, და არა უწმინდური. იგი წინ გაიწია და გაბედულად განაცხადა, თუმცა ხელები უცახცახებდა, ხოლო სახე თოვლივით გაფითრებოდა:

- ჩემო ერთგულო მეგობრებო, მადლობას მოგახსენებთ, ჩემი გაბზარული სულის სიღრმიდან! მითხარით, რა უნდა გავაკეთო და მას აღვასრულებ.

ვან ჰელსინკმა მხარზე დაადო ხელი და მიუგო:

- ყოჩაღ! ცოტა სიმამაცე და ყველაფერი დამთავრდება. ეს მარგილი გულში უნდა ჩასცე. საშინელი გამოცდა იქნება, დარწმუნებული ვარ, მაგრამ მალე დასრულდება და შემდეგ უფრო მეტად გაიხარებ, ვიდრე ახლა დარდობ, და აქედან გულდამშვიდებული გახვალ. მაგრამ რახან გადაწყვიტე, აღარ უნდა იყოყმანო. მხოლოდ ის იფიქრე, რომ ჩვენ, შენი ერთგული მეგობრები, აქა ვართ, შენთან, და შენზე ვლოცულობთ.

ართურმა მარგილი და ურო აიღო. ხელები აღარ უცახცახებდა.

ვან ჰელსინკმა თავისი ლოცვანი გადაშალა და ლოცვა დაიწყო, ხოლო ქვინსი და მე მის სიტყვებს ვიმეორებდით, როგორც შეგვეძლო. ართურმა ლუსის მარგილის წამახვილებული ბოლო დაადო

გულზე და მე დავინახე,როგორ ჩაეშვა იგი სხეულში. შემდეგ კი მთელი ძალით დასცხო.

ლუსი კუბოში დაიკრუნჩხა და რაღაც ამაზრზენი, სულგამყინავი ყვირილი მოსწყდა მის წითელ ბაგეთ. სხეული ცახცახებდა, იკრუნჩხებოდა და იკლაკნებოდა. თეთრი, ბასრი კბილები ერთმანეთს ეხეთქებოდა და ტუჩებს კბენდა, პირზე ქაფი მოადგა, მაგრამ ართური ერთხელაც არ შედრკა.

შემდეგ სხეულის ცახცახი და კრუნჩხვამინელდა, კბილების ღრჭიალი შეწყდა, სახე დამშვიდდა. საზარელი სამუშაო დამთავრდა.

ართურს ურო ხელიდან გაუვარდა. იგი დაბარბაცდა და უთუოდ დაეცემოდა, ჩვენ რომ არ შეგვეკავებინა. ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა შუბლიდან და სულს ვერ ითქვამდა.

ნებისყოფის არაადამიანური დაძაბვა და ლუსის სულის გადარჩენის დიდი სურვილი დაეხმარა ართურს ამ სამუშაოს შესრულებაში, რისთვისაც სხვაგვარად ძალა არ ეყოფოდა. რამდენიმე წუთის განმავლობაში ჩვენ ისე ვიყავით გატაცებული მასზე ზრუნვით, რომ კუბოსთვის არც შეგვიხედავს. როცა დავაცქერდით, გაოცებისა და შიშის შეძახილები აღმოგვხდა. ისეთი ყურადღებით ვუმზერდით, რომ ართურიც კი წამოდგა მიწიდან, სადაც ის ქანცგაწყვეტილი დაეშვა და კუბოს მიუახლოვდა. სახე შეეცვალა, პირქუში მზერა გაუქრა და სიხარულით გაუნათდა.

კუბოში აღარ იყო ის საშინელი არსება, რომლისაც ასე გვეშინოდა და რომელიც იმდენად გვძულდა, რომ მის მოკვლას პრივილეგიად ვთვლიდით. იქ ისეთი ლუსი იწვა, როგორიც მის სიცოცხლეში

იყო, წმინდა და საყვარელი სახის გამომეტყველებით, თუმცა კაეშანსა და ტანჯვას თავისი კვალი მაინც დაეტოვებინა. ჩვენთვის ეს კვალიც ძვირფასი იყო, რადგან სწორედ ასეთი ლუსის ნახვას ვიყავით ჩვეული ბოლო დროს. ვგრძნობდით, რომ მის სახეზე ასახული სიმშვიდე სხვა არა იყო, თუ არა მომავალი მარადიული ნეტარების სიმბოლო. ვან ჰელსინკი ართურთან მივიდა, მხარზე ხელი დაადო და ჰკითხა:

- აბა, ართურ, ჩემო მეგობარო, ჩემო შვილო, ახლა მომიტევებ?

ართურმა მოხუცს ხელზე აკოცა და მიუგო:

- კი! ღმერთმა დაგლოცოს იმის გამო, რომ ჩემს სატრფოს სული დაუბრუნე, მე კი - სულის სიმშვიდე!

- ახლა კი, ჩემო შვილო, შეგიძლია, აკოცო, - გაამხნევა პროფესორმა. — რადგან ახლა ის უკვე ბოროტი დემონი და საუკუნოდ წარწყმედილი არსება აღარ არის. იგი აღარ არის სატანის „არამკვდარი“. ის ღმერთს ეკუთვნის, და მასთან ერთად მისი სულიც.

ართური დაიხარა და აკოცა, შემდეგ ის და ქვინსი აკლდამიდან გავისტუმრეთ. პროფესორმა და მე მარგილი გადავხერხეთ, ისე, რომ მისი მახვილი ბოლო სხეულში ჩავტოვეთ.

შემდეგ მას თავი მოვკვეთეთ და პირი ნივრით ამოვუვსეთ, თუთიის კუბოს ზედაპირი სარჩილავით გავამრთელეთ, მივახრახნეთ კუბოს ხის თავსახური, ჩვენი ნივთები მოვკრიბეთ და გავედით. პროფესორმა კარი ჩაკეტა და გასაღები ართურს გადასცა.

სანამ გზას გავაგრძელებდით, ვან ჰელსინკმა თქვა:

- ახლა, ჩემო მეგობარო, პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია, რაც ჩვენთვის ყველაზე ძნელი იყო. მაგრამ დარჩა კიდევ ერთი დიდი სამუშაო - ყველა ჩვენი უბედურების ავტორის მოძებნა და მისი განადგურება. მე ძაფის ბოლო მაქვს, რომლითაც მას მივაღწევთ, მაგრამ ეს ხანგრძლივი და ძნელი ამოცანაა, აქ დიდი საფრთხე და ასევე დიდი რისკია. ხომ არ დამეხმარებით თქვენ, ყველანი? თქვენ დაჯერება შეძელით, ასე არ არის? ხოლო თუ ასეა, მაშინ ისიც უნდა ვირწმუნოთ, რომ მისი განადგურება ჩვენი წმინდა ვალია! მე წარმატების იმედი მაქვს.

ჩვენ რიგრიგობით ჩამოვართვით მას ხელი და ამით პირობა დავდეთ. შემდეგ პროფესორმა გვთხოვა:

- ორი დღის შემდეგ, გთხოვთ, ყველანი მობრძანდეთ ჩემთან სადილად, შვიდ საათზე. მე წარმოგიდგენთ ორ სხვა თანაამხანაგს, რომლებსაც ჯერ არ იცნობთ. ყველაფერს მოვაზმადებ ჩვენი ერთობლივი მუშაობისათვის და ჩემს ყველა გეგმას გაგიმხელთ. ჯონ, ჩემთან წავიდეთ, შენ კიდევ ბევრ რამეზე მინდა რჩევა გკითხო, შენი დახმარების იმედი მაქვს. დღეს ამსტერდამში მივდივარ, მაგრამ ხვალ საღამოს დავბრუნდები. შემდეგ დიდი ბრძოლა დაიწყება. მაგრამ მანამდე მინდა, კიდევ ბევრი რამ გიამბოთ, რათა იცოდეთ, რა გააკეთოთ და რას უნდა მოერიდოთ.

თავი მეჩვიდმეტე

ექიმ სიუარდის დღიური

(გაგრძელება)

როდესაც ბერკლის სასტუმროში მივედით, ვან ჰელსინკს იქ დეპეშა დახვდა:

„მატარებლით ჩამოვალ. ჯონათანი უაითბიშია. მნიშვნელოვანი სიახლეებია. მინა ჰარკერი.“

პროფესორი აღფრთოვანდა:

- ოჰ, ძვირფასო მადამ მინა, - თქვა მან, - ეს ქალი კი არა, ნამდვილი ოქროა! ის მოდის, მაგრამ მე არ შემიძლია დავრჩე. სადგურში უნდა დახვდე, ჯონ. დეპეშით აცნობე, რომ საქმის კურსში იყოს.

დეპეშის გაგზავნის შემდეგ ვან ჰელსინკმა ფინჯანი ჩაის თანხლებით მაცნობა დღიურის შესახებ, რომელსაც ჯონათან ჰარკერი აწარმოებდა საზღვარგარეთ და საბეჭდ მანქანაზე გადაბეჭდილი ასლი მომცა, ქალბატონ ჰარკერის უაითბიში ჩაწერილი დღიურის ასლთან ერთად. „აიღე, - შემომთავაზა მან, - და ყურადღებით გაეცანი მათ შინაარსს.

როცა დავბრუნდები, შენს ხელში ყველა ძაფი აღმოჩნდება და მაშინ ჩვენთვის უფრო ადვილი იქნება გამოძიების დაწყება. გაუფრთხილდი მათ - აქ ბევრი ფასეული რამაა. იმედი მაქვს, რომ ჩემი ისევ გჯერა. ის, რაც აქ არის ნათქვამი, შესაძლოა, დასასრულის დასაწყისი აღმოჩნდეს შენთვის, ჩემთვისა და სხვა მრავლისთვის. ანდა შეიძლება დამკრძალავ ჰანგებად გაიჟღეროს „არამკვდართათვის“, რომლებიც დედამიწაზე დაძრწიან. ყველაფერი ყურადღებით წაიკითხე, და თუ რამეს დამატებას შეძლებ, ასეც მოიქეცი, იმიტომ, რომ ეს ძალზე მნიშვნელოვანია. შენც ხომ აწარმოებდი დღიურს

სხვადასხვა უცნაური მოვლენების შესახებ, ასე არ არის? ჰოო? მაშინ ყველაფერზე მოვილაპარაკებთ, როცა შევხვდებით“.

შემდეგ ნივთები ჩაალაგა და ლივერპულის ქუჩაზე გავიდა. მე პედინგთონისკენ გავემართე, სადაც მატარებლის მოსვლამდე დაახლოებით თხუთმეტი წუთით ადრე მივედი.

ბრბო უწესრიგო ფუსფუსის შემდეგ შეთხელდა, რაც ყველა ვაგზალს ახასიათებს მატარებლის მოსვლის მომენტში და მე უხერხულად ვიგრძენი თავი, მეშინოდა ჩემს სტუმარს არ ავცდენოდი. როდესაც მოხდენილი გოგონა მომიახლოვდა, სწრაფად შემავლო მზერა და მკითხა:

- დოქტორი სიუარდი ბრძანდებით?

- თქვენ კი მისის ჰარკერი? - ვუპასუხე დაუყოვნებლივ. მან ხელი გამომიწოდა.

- მე ძვირფასი, საბრალო ლუსის აღწერილობით გიცანით.

მისი ჩემოდანი ავიღე, რომელშიც საბეჭდი მანქანა იდო და ფენჩერ-სთრითზე მეტროთი გავემგზავრეთ, - ამასობაში დეპეშა გავუგზავნე ჩემს ეკონომ ქალს, რათა დაუყოვნებლივ მოემზადებინა მისის ჰარკერისთვის სასტუმრო ოთახი და საძინებელი.

ჩვენ მალე მივედით. მან, ცხადია, იცოდა, რომ ჩემი ბინა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მდებარეობდა, მაგრამ შევნიშნე, რომ შენობაში შესვლისას ოდნავ მაინც თრთოდა.

მკითხა, თუ შეიძლება, ახლავე გეახლებით კაბინეტშიო, რადგან ბევრი რამ უნდა ეცნობებინა. ამიტომ მე ვამთავრებ ჩემი ფონოგრაფიული დღიურის წინასიტყვაობას მისი მოსვლის მოლოდინში. აქამდე ჯერ კიდევ არ მომეცა საშუალება, გადამეხედა ვან ჰელსინკის დატოვებული ქაღალდებისთვის, თუმცა ისინი გადაშლილი მიწყვია მაგიდაზე. მას რაღაც საქმე უნდა მივუჩინო, რათა მათი წაკითხვის საშუალება მქონდეს. მან არ იცის, რა ძვირად გვიღირს დრო და რა სამუშაო გველის. ფრთხილად უნდა ვიყო, რომ არ შევაშინო. აი, ისიც!

მინა ჰარკერის დღიური

29 სექტემბერი.

თავი წესრიგში მოვიყვანე და ექიმ სიუარდის კაბინეტში შევედი. კართან წუთით შევჩერდი, რადგან მომეჩვენა, რომ ის ვიღაცას ესაუბრებოდა, მაგრამ ვინაიდან მთხოვა, ავჩქარებულიყავი, დავაკაკუნე და ნებართვის შემდეგ შევედი.

ძალიან გამიკვირდა, როდესაც დავინახე, რომ მასთან არავინ იყო.

სრულიად მარტო აღმოჩნდა, ხოლო მაგიდაზე, მის წინ მანქანა იდო, რომელშიც აღწერილობით მაშინვე ფონოგრაფი ამოვიცანი. იგი არასოდეს მენახა და ძალიან მაინტერესებდა.

- იმედი მაქვს, რომ არ შეგაყოვნეთ, - ვუთხარი მე, - მაგრამ კართან შევჩერდი თქვენი ლაპარაკის გაგონებაზე, მეგონა, ვიღაც გყავდათ.

- ოჰ, - გაიღიმა მან საპასუხოდ, - მე მხოლოდ ჩემს დღიურს ვწერდი.

- თქვენს დღიურს? - ვკითხე გაკვირვებით.

- დიახ, - მიპასუხა მან, - აქ ვინახავ.

მან ფონოგრაფს დაადო ხელი. ამან ძალზე განმაცვიფრა:

- ეს ხომ სტენოგრაფიაზე უკეთესია! შეიძლება მოვისმინო, როგორ ლაპარაკობს?

- რა თქმა უნდა, - სწრაფად მიპასუხა ექიმმა და ადგა, რათა ფონოგრაფი ჩაერთო.

მაგრამ უცებ შეჩერდა და სახეზე შეშფოთება დაეტყო.

- საქმე ისაა, - დაიწყო მან უხერხულად, - აქ მხოლოდ ჩემი დღიურია ჩაწერილი, ხოლო რადგან ეს ფაქტები მხოლოდ მე მეხება, შესაძლოაუხერხული იყოს, ანუ იმას მოგახსენებთ... - ის შეჩერდა, მე კი ვცადე ამ მდგომარეობიდან გამომეყვანა:

- თქვენ მომაკვდავი ლუსის მოვლაში იღებდით მონაწილეობას. ნება მომეცით, მოვისმინო, როგორ მოკვდა იგი - ძალზე მადლობელი ვიქნები. ლუსი ჩემთვის ძალიან, ძალიან ძვირფასი იყო.

ჩემდა გასაოცრად, ექიმმა პირქუშად მიპასუხა:

- მის სიკდვილზე გიამბოთ? არავითარ შემთხვევაში!

- რატომ? - ვკითხე მე და რაღაც საშინელი გრძნობა მომეძალა. ექიმი ისევ გაჩუმდა. ვხედავდი, რომ ფიქრობდა, ბოდიში როგორ მოეხადა. საბოლოოდ, ჩაიდუდუნა:

- იცით რა,მე მიჭირს დღიურიდან რომელიმე ადგილის ამორჩევა.

ლაპარაკის დროს მას აზრი მოუვიდა და გაუცნობიერებელი გულწრფელობით, შეცვლილი ხმითა და ბავშვური მიამიტობით დაამატა:

- ეს სრული სიმართლეა, პატიოსან სიტყვას გაძლევთ.

ღიმილი ვერ შევიკავე, რაზეც მას სახე შეეცვალა.

- წარმოიდგინეთ, რომ თუმცა მე უკვე მრავალი თვეა ვაწარმოებ დღიურს, აზრად არასოდეს მომსვლია, რომ შესაძლო იყო ოდესმე ამით სხვაც დაინტერესებულიყო.

ამ ფრაზამ საბოლოოდ დამარწმუნა, რომ ექიმის დღიურს, რომელიც ლუსის მკურნალობდა, შეეძლო ბევრი რამ დაემატებინა ჩვენი მონაცემებისათვის იმ საშინელ არსებაზე, და მე მტკიცედ განვუცხადე:

- ამ შემთხვევაში, ექიმო სიუარდ, ჯობდა ჩემთვის მისი საბეჭდ მანქანაზე გადაბეჭდვის ნება დაგერთოთ.

მას მკვდრისფერი დაედო და ლამის იყვირა:

- არა! არა! არა! არავითარ შემთხვევაში არ მოგცემთ უფლებას, გაიგოთ ეს საშინელი ისტორია!

მაშინ შიშმა ამიტანა: მაშასადამე, ჩემი წინათგრძნობა გამართლდა.

ჩავფიქრდი და გაუცნობიერებლად დავიწყე რაიმე მიზეზის მოძებნა, რათა მას ეგრძნო, რომ საქმის ვითარებას ვხვდებოდი. უცებ საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილი ქაღალდების უზარმაზარ დასტაზე შევაჩერე მზერა, რაც მაგიდაზე იდო. მან ეს შენიშნა და მაშინვე იმავე მიმართულებით გააპარა თვალი. პაკეტის დანახვაზე მიხვდა ჩემს განზრახვას.

- თქვენ არ მიცნობთ, - ვუთხარი მე, - მაგრამ როცა ამ ქაღალდებს წაიკითხავთ - ჩემს დღიურსა და ჩემი ქმრის დღიურს, რაც თვითონ გადავწერე, - უკეთ გამიცნობთ. მე არც ერთი ჩემი აზრი არ დამიმალავს, მაგრამ, ალბათ, ჯერ არა მაქვს უფლება, თქვენგანაც ასეთივე ნდობის იმედი მქონდეს.

იგი ადგა და კარადის დიდი უჯრა გამოაღო, რომელშიც ლითონის ღრუ ცილინდრები იყო განლაგებული და თქვა:

- მართალი ბრძანდებით. მე არ გენდობოდით, იმიტომ რომ არ გიცნობდით. მაგრამ ახლა გიცნობთ. ნება მიბოძეთ, გითხრათ, რომ დიდი ხნის წინ უნდა გამეცნეთ. ლუსი ჩემზე გესაუბრებოდათ, მეც მიამბობდა თქვენზე. ნება მომეცით, გამოვისყიდო ჩემი მოურიდებელი საქციელი. აიღეთ ეს ცილინდრები და მოისმინეთ. მათგან პირველი ექვსი პირადად მე მეხება და ისინი არ შეგაშფოთებთ. მაშინ

უკეთ გამიცნობთ. ამ დროისათვის სადილიც მზად იქნება. ამასობაში მე ამ დოკუმენტებს გადავიკითხავ და ზოგიერთ რამესაც უკეთ გავიგებ.

მან თვითონ გაიტანა ფონოგრაფი ჩემს ოთახში და მომართა. ახლა რაღაც საინტერესოს შევიტყობ, სასიყვარულო ისტორიის მეორე მხარეს, ერთი ხომ უკვე ვიცი...

ექიმ სიუარდის დღიური

29 სექტემბერი.

მე ისე გამიტაცა ჯონათან ჰარკერისა და მისი ცოლის საოცარმა დღიურებმა, რომ ვერც გავიგე, დრო როგორ გავიდა.

ზუსტად მაშინ, როცა მისის ჰარკერის დღიურის კითხვა დავამთავრე, მინა ცრემლებისგან დაწითლებული თვალებით შემოვიდა. ამან ძალიან ამაღელვა.

- ვშიშობ, რომ გული გატკინეთ, - ვთქვი რაც შეიძლება რბილად.

- ოჰ, არა, არა, - მიპასუხა მან, - მაგრამ თქვენმა სევდამ ძალიან შემძრა. ეს საოცარი მანქანაა, მაგრამ მეტისმეტად გულახდილი. მან თქვენი განცდები მტანჯველი სიზუსტით გამიმხილა. ეს აღარ უნდა განმეორდეს! იცით, რაღაც სარგებლობა მინდოდა მომეტანა: სიტყვები საბეჭდ მანქანაზე გადავწერე და აღარავის მოუწევს ჩემსავით დაუგდოს ყური თქვენს გულისცემას.

- ეს აღარავინ უნდა იცოდეს, და ვერც ვერავინ გაიგებს, - მშვიდად წარმოვთქვი მე. მან ხელზე ხელი დამადო და ძალზე სერიოზულად მომიგო:

- ოჰ, დიახ! მაგრამ ვალდებულნი არიან!..

- რატომ?

- იმიტომ, რომ ამ საშინელი ისტორიის ნაწილი ეხება ლუსის სიკვდილს და ყველაფერს, რამაც ის გამოიწვია, იმიტომ, რომ ამ ურჩხულისაგან დედამიწის გასათავისუფლებლად მომავალ ბრძოლაში ჩვენ ყოველგვარი ცოდნითა და საშუალებით უნდა ვიყოთ აღჭურვილი, რაც კი შესაძლებელია. მე ვფიქრობ, რომ ცილინდრები, რომლებიც თქვენ მომეცით, მასზე უფრო მეტს შეიცავენ, რაც უნდა ვიცოდე, თქვენი ჩანაწერები ნათელს ჰფენს ამ პირქუშ საიდუმლოს. ვიმედოვნებ, რომ თქვენი დახმარების უფლებას მომცემთ, ხომ ასეა? მე ყველაფერი ვიცი ერთ ცნობილ პუნქტამდე. და უკვე ვხედავ, თუმცა თქვენმა დღიურმა მხოლოდ შვიდ სექტემბრამდე მიმიყვანა, თუ რა მდგომარეობამდე იყო მისული საბრალო ლუსი და როგორ მზადდებოდა მისი საშინელიაღსასრული. ჯონათანი და მე დღედაღამ ვმუშაობდით მას შემდეგ, რაც პროფესორი ვან ჰელსინკი გვეწვია. ჯონათანი უაითბიშია წასული დამატებითი ცნობების მოსაპოვებლად, ხვალ კი აქ მოვა, რათა ჩვენ დაგვეხმაროს. ერთმანეთისგან საიდუმლო არ უნდა გვქონდეს. შეთანხმებული მუშაობით, აბსოლუტური ნდობის პირობებში, ჩვენ უთუოდ უფრო ძლიერები ვიქნებით, ვიდრე მაშინ, ზოგიერთი ჩვენგანი ბნელში რომ დაეხეტებოდეს.

მან ისეთი მუდარით სავსე თვალებით შემომხედა, და, ამავე დროს, იმხელა სიმამაცე და სიმტკიცე გამოამჟღავნა, რომ მაშინვე თანხმობა განვუცხადე.

- ამ სახლში ისე შეგიძლიათ მოიქცეთ, - ვუთხარი მე, - როგორც გნებავთ... თქვენ კიდევ გაიგებთ საშინელ ამბებს. მაგრამრადგანაც ასეთი დიდი გზა გაიარეთ საბრალო ლუსის სიკვდილისაკენ, ვიცი, რომ სიბნელეში დარჩენას არ დათანხმდებით. დასასრული, იმედია, საბოლოოდ დაგამშვიდებთ... მაგრამ ახლა სადილად გეპატიჟებით, ძალების შენარჩუნება გვჭირდება იმ სამუშაოსთვის, რაც გველის. ჩვენ წინ სასტიკი და შემზარავი გზაა. სადილობის შემდეგ ყოველივეს შეიტყობთ და თქვენს კითხვებს ვუპასუხებ, თუკი რაიმე გაუგებარი შეგხვდებათ, მით უფრო, რომ ჩვენთვის, ვინც ამას შევესწარით, გაუგებარი არაფერია.

მინა ჰარკერის დღიური

29 სექტემბერი.

სადილის შემდეგ მე და ექიმი სიუარდი მის კაბინეტში შევედით. მან ჩემი ოთახიდან ფონოგრაფი გამოიტანა, მე კი საბეჭდი მანქანა ავიღე. მან მოსახერხებელ სავარძელში ჩამსვა და ფონოგრაფი ისე დააყენა, რომ ადგომის გარეშე მივწვდომოდი და მიჩვენა, როგორ გამეჩერებინა, თუ პაუზის გაკეთება იქნებოდა საჭირო. შემდეგ სკამი აიღო, ჩემკენ ზურგით მობრუნდა, რათა თავისუფლად მეგრძნო თავი და კითხვაში ჩაეფლო. ყურზე ლითონის მიმღები მივიდგი და მოსმენა დავიწყე.

როცა ლუსის სიკვდილის საშინელი ისტორია და ყველა შემდგომი მოვლენა დასრულდა, მე გასავათებული ვიყავი მიწოლილი ჩემს

სავარძელში. ტვინში რაღაც ცეცხლოვანი ბორბალი მიტრიალებდა, და რომ არა სინათლის წმინდა სხივი, რომელიც ამ საშინელებათა მასაში იჭრებოდა იმის გაფიქრებაზე, რომ ჩემი ძვირფასი, საყვარელი ლუსი საბოლოოდ დამშვიდდა, ალბათ, ისტერიკაში ჩავვარდებოდი. ყველაფერი ისე საშინელი, იდუმალი და უცნაური იყო, რომ ჯონათანის ტრანსილვანიაში გადატანილი თავგადასავალი რომ არ მცოდნოდა, ამ ისტორიას ვერ დავიჯერებდი. სხვა რამეზე მინდოდა გონების გადატანა, ამიტომ ექიმ სიუარდს მივმართე:

- თუ ნებას მომცემთ, გადავბეჭდავ ამ ყველაფერს. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ექიმ ვან ჰელსინკისა და ჯონათანის მოსვლისათვის, და, ვფიქრობ, რომ თუ მთელ ჩვენს მასალას გავამზადებთ და ყოველი სტატია ქრონოლოგიური წესით იქნება განთავსებული, ეს ბევრ რამეში დაგვეხმარება.

ჩემი თხოვნით მან ფონოგრაფი დაბალ სიჩქარეზე დააყენა და მე მეშვიდე ცილინდრის დასაწყისიდან დავიწყე გადაბეჭდვა. სამ-სამი ასლი გადავიღე დღიურიდან და დანარჩენი მასალიდან. უკვე გვიანი იყო, როცა დავამთავრე. ექიმი სიუარდი ამ დროს შემოვლას ატარებდა. როცა დაბრუნდა, ჩემ გვერდით ჩამოჯდა წასაკითხად, ასე რომ, მუშაობის დროს მარტო აღარ ვყოფილვარ.

ექიმი სიუარდის დღიური

30 სექტემბერი.

მისტერ ჰარკერი ცხრა საათზე მოვიდა.

საუზმის შემდეგ იგი ცოლთან ერთად გავიდა თავის ოთახში და როცა რამდენიმე ხნის შემდეგ ოთახის გვერდით ჩავიარე, საბეჭდი

მანქანის კაკუნი მომესმა. ისინი, ალბათ, ამ საქმეში იყვნენ ჩაფლულნი. მისის ჰარკერი ამბობს, ვცდილობთ, ქრონოლოგიურად შევაკავშიროთ იმ მოვლენათა ყოველი ნაგლეჯი, რომელიც ჩვენს ხელთაააო. ჰარკერს უაითბიში ყუთების მიმღებსა და ლონდონელ შიკრიკებს შორის აქვს მიმოწერა, რომლებსაც ეს ტვირთი ჰქონდათ მინდობილი. ახლა ის ჩემს დღიურს კითხულობს, მისი ცოლის მიერ გადაბეჭდილს. საინტერესოა, მისგან რას ამოიღებენ.

უცნაურია, რატომ არ მომივიდა აზრად, რომ მეზობელი სახლი, შესაძლოა, გრაფის თავშესაფარი ყოფილიყო! პაციენტ რენფილდის ქცევები ასეთი ვარაუდისთვის ხომ საკმარის მინიშნებებს გვაძლევდა. ოჰ, ადრე რომ გაგვეგო, იქნებ, საბრალო ლუსიც გადაგვერჩინა! ჰარკერმა მითხრა, საღამოს მთელი დაწყობილი ისტორიის ჩვენებას შევძლებო. მიაჩნია, რომ ამ დროისათვის რენფილდი უნდა ვნახო, რადგან იგი დღემდე გრაფის მოსვლასა და წასვლას მიგვანიშნებდა. მე ჯერჯერობით ბოლომდე არა ვარ დარწმუნებული, მაგრამ როცა რიცხვებში გავერკვევი, შესაძლოა, დავეთანხმო კიდეც.

როცა შევედი, რენფილდი წყნარად იჯდა თავის ოთახში გულხელდაკრეფილი და მორცხვად იღიმებოდა. იმ წუთებში იგი სრულიად ნორმალურს ჰგავდა. დავჯექი და სხვადასხვა თემაზე გავუბი საუბარი. საკმაოდ გონივრულად ლაპარაკობდა. შემდეგ რენფილდმა შინ დაბრუნებაზე ჩამოაგდო სიტყვა, იმ საკითხზე, რაც - რამდენადაც მე მახსოვს - არასოდეს უხსენებია აქ ყოფნის მთელი დროის მანძილზე. პაციენტი სრულიად დარწმუნებით ლაპარაკობდა დაუყოვნებელ გათავისუფლებაზე. დარწმუნებული ვარ, რომ არ მეკითხა რჩევა ჰარკერისათვის და არ შემემოწმებინა რიცხვების მიხედვით რენფილდის შეტევების პერიოდები, მზად ვიქნებოდი, ხანმოკლე დაკვირვების შემდეგ გამეშვა. მაგრამ ახლაძალზე ეჭვიანად ვეკიდები მას. შეტევები რაღაც უცნაურად უკავშირდებოდა გრაფის

სიახლოვეს. რენფილდი მავნებელია და თავისი შმაგი წანწალის დროს ცარიელი სახლის სამლოცველოს კართან ყოველთვის „ბატონზე“ ლაპარაკობს ხოლმე. ეს ყველაფერი თითქოს ადასტურებს ჩვენს აზრს... თუმცა მასთან დიდხანს არ დავრჩენილვარ, იგი რაღაც ზღვრამდე ამჟამად საკმაოდ ნორმალურია და არ შეიძლება მისი გამოცდა ხანგრძლივი გამოკითხვით. შეიძლება დაფიქრდეს, და მაშინ... მე არ ვენდობი ამ მშვიდ განწყობას, სანიტარს ვუბრძანე, რომ ფხიზლად ადევნოს თვალყური და, საჭიროების შემთხვევაში, დამაწყნარებელი პერანგი ჰქონდეს მზად.

ჯონათან ჰარკერის დღიური

29 სექტემბერი (ლონდონისკენ მიმავალ მატარებელში).

როდესაც მისტერ ბილინგთონის თავაზიანი შეტყობინება მივიღე, ყოველგვარ შესაძლო ცნობას გადმოგცემთო, გადავწყვიტე, უაითბიში წავსვლა და საჭირო ინფორმაციის ადგილზე მიღება სჯობსმეთქი. ჩემი მიზანი იყო გრაფის ტვირთის კვალის მიგნება ლონდონშიმის ჩამოსვლამდე. მოგვიანებით თავად გრაფისთვისაც მოვიცლით. მისტერ ბილინგთონმა თავის კანტორაში ყველა საბუთი მოამზადა, რაც ყუთების გაგზავნას ეხებოდა. აქ აღმოჩნდა: ზედნადები „ორმოცდაათ ყუთ უბრალო მიწაზე, რაც განკუთვნილი იყო ცდებისთვის“, ქართერ პატერსონისადმი გაგზავნილი წერილის ასლი და მისი პასუხი. მე ყველა დოკუმენტის ასლი გადავიღე. აი, ყველა ცნობა, რისი გადმოცემაც შეძლო მისტერ ბილინგთონმა, ასე რომ, ნავსადგურისკენ გავემართე და სანაპირო დაცვა და საბაჟოს ჩინოსნები ვინახულე. სათქმელი ყველას ჰქონდა გემის უცნაური მოსვლის თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოვლენა თანდათანობით ქრება ადამიანთა მეხსიერებიდან, მაგრამ ვერავინ ვერაფერი დაამატა „უბრალო მიწის ორმოცდაათ ყუთს“. შემდეგ სადგურის უფროსს

ვეწვიე, რომელმაც ყუთების მიმღებ მუშებთან მოლაპარაკების საშუალება მომცა. მათი ქვითარი სრულიად ემთხვეოდა ნუსხას და დასამატებელი არაფერი ჰქონდათ, გარდა იმისა, რომ ყუთები „უზარმაზარი და ძალიან მძიმე იყო“.

30 სექტემბერი.

სადგურის უფროსი იმდენად კეთილი აღმოჩნდა, რომ რეკომენდაცია გამატანა თავის ამხანაგთან, ქინგ-ქროსის სადგურის უფროსთან, ამიტომ, როცა იქ დილით ჩავედი, შემეძლო თავისუფლად დამესვა კითხვები მისთვის ყუთების ჩამოტანის შესახებ. მან მაშინვე გამაცნო საჭირო თანამშრომლები და ვნახე, რომ მათი ქვითარი პირველად ზედნადებს ემთხვეოდა.

იქიდან ქართერ პატერსონის ცენტრალურ კანტორაში წავედი, სადაც ძალზე თავაზიანად დამხვდნენ. პატერსონმა თვალი გადაავლო საქმეს თავის ჟურნალში, ასლების გადაღება ბრძანა და მაშინვე დეპეშა გაუგზავნა თავის კანტორას ქინგ-ქროსში დამატებითი ცნობებისათვის. საბედნიეროდ, ადამიანები, რომლებსაც ბარგი გადაჰქონდათ, იქ აღმოჩნდნენ და მოხელემ ისინი მაშინვე გამომიგზავნა, ერთ-ერთ მათგანს კი ზედნადები და ყველა საბუთი გამოატანა, რასაც რამე კავშირი ჰქონდა კარფაქსში ყუთების გაგზავნასთან. აქ მე ისევ სრულ იდენტურობას წავაწყდი ქვითართან. შიკრიკებმა რაღაც წვრილმანები დაამატეს, რაც ეხებოდა მტვრის დიდ რაოდენობას მუშაობის დროს და ამის შესაბამისად, მომუშავეებში გამოწვეულ წყურვილს. მას შემდეგ, რაც მათ სულის მოთქმის საშუალება მივეცი სახელმწიფო ფულის ნიშნების საშუალებით, ერთმა მუშამ შენიშნა:

- ეს, ბატონო, ყველაზე ძველი სახლი იყო, რაც ოდესმე მინახავს. დალახვროს ეშმაკმა! ალბათ ასი წელი არავინ გაჰკარებია! იქ იმდენი მტვერი იყო, რომ მასზე რომ დაცემულიყავით, არაფერი დაგიშავდებოდათ. ხოლო ძველი სამლოცველო... მისგან ჟრუანტელი მივლიდა! ღმერთო, დაბინდების შემდეგ იქ ერთი წუთითაც არ გავჩერდებოდი.

ახლა ერთი რამით კმაყოფილი ვარ: იმით, რომ ყველა ის ყუთი, რომელიც უაითბიში ვარნიდან „დიმიტრით“ ჩამოვიდა, უვნებლად იქნა გადატანილი კარფაქსის ძველ სამლოცველოში. იქ სულ ორმოცდაათი ყუთი უნდა იყოს, თუკი ზოგიერთი მათგანი შემდეგ სხვაგან არ გადაიტანეს.

ვეცდები მოვძებნო მეფორნე, რომელმაც კარაფაქსიდან ყუთები გადაიტანა, როცა მათ რენფილდი დაესხა თავს. თუ ამ ძაფს მივყვებით, ბევრ რამეს გავიგებთ.

მინა ჰარკერის დღიური

30 სექტემბერი.

ჯონათანი სიცოცხლით, იმედებითა და ენერგიით აღსავსე დაბრუნდა. საღამოს ყველაფერი წესრიგში მოვიყვანეთ. კაცმა რომ თქვას, ყველა ცოდვაა, ვისაც ასე დაუღალავად დევნიან, როგორც გრაფს. მაგრამ ის ხომ ადამიანი არ არის, არც ცხოველი, უბრალოდ რაღაც სხვა რამეა, საკმარისია, წაიკითხო ექიმ სიუარდის ანგარიში საბრალო ლუსის სიკვდილისა და იმ ყველაფრის შესახებ, რაც ამას მოჰყვა, რომ ეს შეცოდება მაშინვე გაქრება.

მოგვიანებით.

ლორდი გოდალმინგი და მისტერ მორისი უფრო ადრე ჩამოვიდნენ, ვიდრე ველოდით. ექიმი სიუარდი საქმეზე იყო გასული და ჯონათანიც თან ახლდა, ასე რომ, მე მომიწია მათმა მიღებამ. შეხვედრა საკმაოდ მტანჯველი გამოდგა, რადგან ყველას გვახსენებდა საბრალო ლუსის იმედებს რამდენიმე თვის წინ. ვერც ერთი ვერ ხვდებოდა, რომ ყველაფერი ვიცოდი იმ საქორწინო წინადადებების შესახებ, რითაც მათ ლუსის მიმართეს. ისინი, ძირითადად, ნეიტრალურ თემებზე საუბრობდნენ. ასე იყო თუ ისე, მივედი დასკვნამდე, რომ ყველაზე კარგი იქნება მათი საქმის კურსში ჩაყენება, რათაყურადღება მიაქციონ მოვლენათა ქრონოლოგიას. ექიმ სიუარდის დღიურიდან ვიცოდი, რომ ისინი ესწრებოდნენ ლუსის სიკვდილს - მის ნამდვილ სიკვდილს - და რომ არ უნდა მქონოდა რაიმე საიდუმლოს წინასწარი გამჟღავნების შიში. მათ ავუხსენი, შეძლებისდაგვარად, რომ წავიკითხე ყველა საბუთი და დღიური. ისინი მე და ჩემმა ქმარმა მანქანაზე გადავბეჭდეთ და ყველაფერი წესრიგში მოვიყვანეთ. მე მათ ასლები მივეცი ბიბლიოთეკაში წასაკითხად. როცა ლორდმა გოდალმინგმა მიიღო თავისი დასტა და გადაიკითხა - დასტა კი სოლიდური გამოვიდა - მან მკითხა:

- თქვენ გადაწერეთ ეს ყველაფერი, მისის ჰარკერ?

მე თავი დავუქნიე. მან განაგრძო:

- კარგად არ მესმის ამის მიზანი, მაგრამ ყველანი ისეთი კარგი ადამიანები ხართ და ისე გულმოდგინედ მუშაობდით, რომ ისღა მრჩება, თვალდახუჭულმა გავიზიარო თქვენი დასკვნები და ვცადო დაგეხმაროთ. მე უკვე მივიღე გაკვეთილი, და ისეთი გაკვეთილი, რომელსაც შეუძლია ადამიანს ქედი მოახრევინოს სიცოცხლის ბო-

ლოწუთამდე. გარდა ამისა, ვიცი, რომ თქვენ გიყვარდათ ჩემი საბრალო ლუსი. - იგი მიბრუნდა და სახეზე ხელები აიფარა. მოწოლილი ცრემლებისგან ხმა აუკანკალდა. მისტერ მორისმა ინსტინქტური დელიკატურობით მხარზე დაადო ხელი და შემდეგ ოთახიდან გავიდა.

ალბათ, ყოველი ქალის გულში ცოცხლობს დედობრივი გრძნობა, იმიტომ რომ მე, ამ დიდი, მოზრდილი, თავშეკავებული ადამიანის ცრემლებისა და დარდის დანახვაზე თავი ვერ შევიკავე, რომ არ მივსულიყავი მასთან და არ მეცადა მისი დამშვიდება. ჩემმა სიტყვებმა ლუსის შესახებ თავიდან მწუხარებისა და ცრემლების ახალი აფეთქება გამოიწვია მასში, ხოლო შემდეგ ნელ-ნელა დამშვიდდა. ეს სცენა მეც ცრემლების ფასად დამიჯდა, მაგრამ მან გაამყარა ჩვენი ურთიერთობა და დამშვიდობებისას პირობა დავდეთ, ერთმანეთისთვის და-ძმობა გაგვეწია.

დერეფანში გასვლისას მისტერ მორისი დავინახე, რომელიც ფანჯრიდან იყურებოდა. ნაბიჯების გაგონებაზე ის შემობრუნდა.

- ართური როგორ არის? - იკითხა მან. შემდეგ, როცა ჩემი ჩაწითლებული თვალები შენიშნა, განაგრძო:

- ჰოო, როგორც ვხედავ, დაამშვიდეთ! საწყალი ბიჭი, ეს ძალიან სჭირდება. ქალის გარდა არავის შეუძლია, კაცს დაეხმაროს, როცა გულზე დიდი დარდი აწევს, მისი მანუგეშებელი კი არავინაა.

თავის სევდას ისე მამაცურად იტანდა, რომ გული მეთუთქებოდა. ხელში ხელნაწერი ეჭირა. მისი წაკითხვით მიხვდებოდა, რომ მე ბევრი ვიცოდი, ამიტომ მივუგე:

- მინდა, ყველა ტანჯულის დამშვიდების შესაძლებლობა მქონდეს. ნება მიბოძეთ, თქვენი მეგობარიც ვიყო და მობრძანდით ჩემთან, როცა ნუგეშისცემა დაგჭირდებათ. თქვენ შემდეგ გაიგებთ, ამას რატომ ვამბობ.

მან დაინახა, რომ მე სერიოზულად ვლაპარაკობდი, მომიახლოვდა, ჩემი ხელი აიღო და ტუჩებთან მიიტანა, ეს საცოდავ ნუგეშად მომეჩვენა ასეთი მამაცი და თავმოყვარე სულისათვის. ინსტინქტურად ვაკოცე მას. თვალებზე ცრემლები მოადგა, მაგრამ სრულიად მშვიდი ხმით მომმართა:

- პატარა გოგონავ, თქვენ არასოდეს შეინანებთ ამ გულწრფელ სიკეთეს!

შემდეგ კაბინეტში შევიდა თავის ამხანაგთან. „პატარა გოგონა“ - ეს სწორედ ის სიტყვებია, რომლითაც იგი ლუსის მიმართავდა, - და მას თავისი მეგობრობა დაუმტკიცა!

თავი მეთვრამეტე

ექიმი სიუარდის დღიური

30 სექტემბერი.

სახლში ხუთ საათზე დავბრუნდი და შევიტყვე, რომ გოდალმინგი და მორისი არა მარტო მოვიდნენ, არამედ უკვე მოასწრეს კიდეც სხვადასხვა დღიურისა და წერილის გულდასმით წაკითხვა, რომლებიც შედგენილი იყო ჰარკერისა და მისი ცოლის მიერ. ჰარკერი ჯერ

კიდევ არ დაბრუნებულა თავისი ექსპედიციიდან. მისის ჰარკერმა ჩაი მოგვართვა და მე გულწრფელად ვაღიარებ, რომ რაც ამ ძველ სახლში ვცხოვრობ, იგი პირველად დაემსგავსა ოჯახურ კერას. როდესაც ჩაის სმა დავამთავრეთ, მისის ჰარკერმა მომმართა:

- ექიმო სიუარდ, შეიძლება, ერთი სამსახური გთხოვოთ? მე თქვენი პაციენტის, მისტერ რენფილდის ნახვა მინდა. ნება მიბოძეთ, ვნახო. იმან, რაც თქვენს დღიურში წერია მის შესახებ, ძალიან დამაინტერესა!

უარის სათქმელად არავითარი საფუძველი არ მქონდა, ამიტომ თან წავიყვანე, რენფილდის ოთახში შევედი და ვუთხარი, თქვენი ნახვა ერთ ქალბატონს სურს-მეთქი. მან სრულიად აუღელვებლად მკითხა:

- რატომ?

- იგი მთელი სახლის შემოვლას ატარებს და მისი ყველა ბინადარის ნახვა სურს, - ვუპასუხე მე.

- მშვენიერია, - მიპასუხა მან, - შემოუშვით, მაგრამ ერთი წუთით მომიცადეთ, სანამ ყველაფერს წესრიგში მოვიყვან.

მას დალაგების თავისებური მეთოდი ჰქონდა: უბრალოდ, გადაყლაპა კოლოფებში დამწყვდეული ყველა ბუზი და ობობა, სანამ მის შეჩერებას მოვახერხებდი. თავისი საშინელი საქმიანობის დამთავრების შემდეგ მხიარულად მითხრა:

- შემოვიდეს ქალბატონი, - და საწოლზე ჩამოჯდა, თავი ჩაქინდრა, მაგრამ წარბებქვეშ ისე ამოიხედავდა ხოლმე, რომ სტუმარი

კარგად შეეთვალიერებინა. აზრად გამიელვა, რომ, შესაძლოა, რაღაც დანაშაულებრივი განზრახვა ჰქონოდა. გამახსენდა, როგორი მშვიდი იყო ჩემზე თავდასხმის წინ და ვცადე ისე დავმდგარიყავი, რომ მაშინვე მეტაცა ხელი, თუ ის ქალზე თავდასხმას შეეცდებოდა. მისის ჰარკერი ძალდაუტანებელი გრაციით შემოვიდა ოთახში, ღიმილით მიუახლოვდა და ხელი გაუწოდა.

- საღამო მშვიდობისა, მისტერ რენფილდ, - უთხრა მან, - როგორც ხედავთ, მე თქვენ ექიმი სიუარდის ნაამბობის მიხედვით გიცნობთ.

მას დიდხანს არ ამოუღია ხმა, მაგრამ ყურადღებით მოავლო თვალი მისის ჰარკერს თავიდან ფეხებამდე, სახე კი მოღუშული ჰქონდა. თანდათან ეს გამომეტყველება გაოცებამ შეცვალა, რაც დაეჭვებაში გადაიზარდა. შემდეგ ჩემდა გასაოცრად, მან ასეთი კითხვა დაუსვა სტუმარს:

- თქვენ ხომ ის გოგონა ხართ, რომელზეც ექიმს უნდოდა დაქორწინება? თუმცა, ის არ შეიძლება იყოთ, იცით, იმიტომ, რომ იგი მოკვდა.

მისის ჰარკერმა მომხიბლავი ღიმილით უპასუხა:

- ოჰ არა! მე ქმარი მყავს, რომელსაც მანამდე გავყევი ცოლად, სანამ ექიმ სიუარდს შევხვდებოდი. მე მისის ჰარკერი ვარ.

- მაშინ, ამ შემთხვევაში, აქ რას აკეთებთ?

- მე და ჩემი ქმარი სტუმრად ვართ ექიმ სიუარდთან.

- მაშინ აქ მეტად ნუღარ გაჩერდებით.

- რატომ?

ვიფიქრე, რომ ასეთი საუბარი ისევე ნაკლებად სასიამოვნო იყო მისის ჰარკერისთვის, როგორც ჩემთვის, ამიტომ თემა შევცვალე:

- საიდან იცით, რომ ვინმეზე ვაპირებდი დაქორწინებას?

მან მცირე პაუზის შემდეგ გამცა პასუხი, რომლის დროსაც მისის ჰარკერიდან წამით ჩემზე გადმოიტანა მზერა და კვლავ მას მიაშ-ტერდა:

- რა ვირული კითხვაა!

- მე სულაც არ ვთვლი ასე, მისტერ რენფილდ, - დამასწრო მისის ჰარკერმა, რომელსაც სიტუაციის განმუხტვა უნდოდა. რენფილდმა უპასუხა, რითაც მისდამი იმხელა მოკრძალება და თავაზიანობა გა-მოხატა, რამხელა ზიზღი ჩემ მიმართ:

- თქვენ, ცხადია, გესმით, მისის ჰარკერ, რომ როცა ადამიანი ისე უყვართ და სცემენ პატივს, როგორც ჩვენ ჩვენს მასპინძელს, მაშინ ყველაფერი, რაც მას ეხება, ჩვენს პატარა წრესაც აინტერესებს. ექი-მი სიუარდი არა მარტო თავის ახლობლებსა და მეგობრებს უყვართ, არამედ თავის პაციენტებსაც, რომელთაგან ზოგიერთი თითქმის მთლიანად მოკლებულია სულიერ წონასწორობას და ხშირად ამა-ხინჯებენ მიზეზებსა და შედეგებს.

ამის გაგონებაზე პირი დავაღე. მაინტერესებდა გამეგო, მისის ჰარკერის მოსვლამ მის მეხსიერებაში რამე სიმი ხომ არ შეარხია.

თუ ეს თვითნებური ფრაზა იყო და მისის ჰარკერის გაუცნობიერებელმა გავლენამ გამოიწვია, მაშინ ამ ქალს რაღაც იშვიათი უნარი და ძალა უნდა ჰქონოდა.

რამდენიმე ხანს კიდევ განვაგრძეთ ჩვენი საუბარი. რენფილდმა უფრო მეტად განმაცვიფრა, როდესაც მისის ჰარკერს სრულიად დალაგებულად უამბო ჩემზე თავდასხმის ისტორია და სინანული გამოხატა მომხდართან დაკავშირებით. უკვე დრო იყო, ვაგზალზე წავსულიყავი ვან ჰელსინკის დასახვედრად, ამიტომ მისის ჰარკერს შევახსენე, გასვლის დროა-მეთქი. ქალი მაშინვე ადგა და თავაზიანად მიმართა რენფილდს:

- ნახვამდის. იმედი მაქვს ხშირად გნახავთ ჩვენთვის უფრო ხელსაყრელგარემოებებში.

ამაზე ჩემდა გასაოცრად რენფილდმა უპასუხა:

- მშვიდობით, ძვირფასო! უფალს ვევედრები, რომ აღარასოდეს ვნახო თქვენი მშვენიერი სახე. ღმერთმა დაგლოცოთ და დაგიფაროთ.

ვაგზალზე ვან ჰელსინკის დასახვედრად მარტო წავედი, ყველა სახლში დავტოვე. საბრალო ართურითითქოს ყველაზე მხიარულად გამოიყურებოდა მას შემდეგ, რაც ლუსი ავად გახდა, ხოლო ქვინსი სრულიად უდარდელ ადამიანს ჰგავს, რაც დიდი ხანია მისთვის აღარ შემინიშნავს. ვან ჰელსინკი ახალგაზრდული ენერგიით გამოიჭრა ვაგონიდან, მაშინვე დამინახა და შემდეგი სიტყვებით მომვარდა:

- აბა, ჯონ, როგორ არის საქმეები? - კარგად? ასე! ძალიან დაკავებული ვიყავი, მაგრამ აქ ჩამოსვლა და დარჩენა გადავწყვიტე, სანამ საჭირო იქნება. ყველა საქმე მოვაგვარე და ბევრი რამ უნდა გიამბოთ. მადამ მინა შენსაა? - ჰოო? - მისი ქმარი? ართური და ჩემი მეგობარი ქვინსი, ისინიც შენთან არიან? მშვენიერია!

გზაში მომხდარი ამბებისა და იმის შესახებ ვუამბე, როგორ გამოგვადგა ჩემი დღიური მისის ჰარკერის გონიერების წყალობით. პროფესორმა შემაწყვეტინა და დაიწყო:

- ოჰ, ეს საოცარი მადამ მინა! მას მამაკაცური გონება აქვს - და ქალური გული. მოწყალე ღმერთმა მას გარკვეული მიზანი დაუსახა, ასეთი კარგი შერწყმით. აქამდე ბედისწერა ამ ქალისგან ჩვენს დამხმარეს ქმნიდა, მაგრამ იმ საშინელი ღამის შემდეგ იგი ჩვენს საქმეს აღარ უნდა შეეხოს. ცუდია, რომ საკუთარ სიცოცხლეს ასეთ დიდ რისკს უქმნის. ჩვენ, მამაკაცებს, ურჩხულის განადგურება გვაქვს განზრახული, ეს კი ქალის საქმე არ არის. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი იგი არაფერს ავნებს, სულ ერთია, ქალის გულმა შეიძლება ვერ გაუძლოს ასეთ საშინელებებს და ამის შემდეგ სიფხიზლეში ნერვული შეტევებისგან დაიტანჯოს, ხოლო ძილში - კოშმარებისგან. ამასთან, მისის ჰარკერი ახალგაზრდა ქალია და, დიდი ხანი არ არის, რაც გათხოვდა. სხვა რამეებზეც უნდა ვიფიქროთ, თუ ახლა არა, რამდენიმე ხანში მაინც. თქვენ ამბობთ, მან ყველაფერი გადაბეჭდაო? მაშინ ჩვენს საუბარს უნდა დაესწროს, მაგრამ ხვალ, დაე, თავი ანებოს ამ საქმეს - მას ჩვენ გავაგრძელებთ.

მე სიხარულით დავთანხმდი და შემდეგ ვუამბე, რა აღმოვაჩინეთ მის არყოფნაში: რომ სახლი, რომელიც დრაკულამ იყიდა, ჩემი სახლის გვერდით მდებარეობს. მას ძალიან გაუკვირდა და მომეჩვენა, რომ ამან ძალიან შეაშფოთა.

- ოჰ, ეს ადრე რომ გვცოდნოდა, - თქვა მან, - მაშინ შევძლებდით მის შეპყრობას და ჩვენს საბრალო ლუსის გადავარჩენდით. მაგრამ წარსულს ვეღარ დავიბრუნებთ. ამაზე ნუღარ ვიფიქრებთ და საქმე ბოლომდე მივიყვანოთ.

შემდეგ ღრმად ჩაფიქრდა. დუმილი მანამდე გაგრძელდა, სანამ სახლის ჭიშკარში არ შევედით. ვიდრე დავშორდებოდით, რათა ვახშმობისთვის ტანსაცმელი გამოგვეცვალა, მან მისის ჰარკერს უთხრა:

- მადამ მინა, ჩემი მეგობარი ჯონისგან გავიგე, რომ თქვენ მეუღლესთან ერთად სრულ წესრიგში მოიყვანეთ ყველა საბუთი, რომლებიც აქამდე მომხდარ ამბებს ეხება.

- აქამდე არა, პროფესორო, - შეიცხადა მან, - ამ დილამდე.

- მაგრამ რატომ არა ამ წუთამდე? ჩვენ დავინახეთ, რომ უმნიშვნელო დეტალებსაც შეუძლიათ ბევრ რამეს მოჰფინონ ნათელი. ყველამ გავამხილეთ ჩვენი საიდუმლოებები და ამას ცუდი არაფერი მოჰყოლია.

მისის ჰარკერი გაწითლდა, ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო და თქვა:

- გთხოვთ წაიკითხოთ და გვითხრათ, ღირს თუ არა ამის ჩართვა. აქ დღევანდელი დღის ჩემი ოქმია. მეც საჭიროდ მიმაჩნია ყველაფრის დაფიქსირება, თუნდაც ერთი შეხედვით უმნიშვნელო წვრილმანების, მაგრამ აქ ცოტაა მასალა, იმათ გარდა, რასაც მხოლოდ პირადი მნიშვნელობა აქვს. ისიც შევიტანო?

პროფესორმა ყურადღებით წაიკითხა და უკან დაუბრუნა შემდეგი სიტყვებით:

- ეს შეიძლებოდა, არც შეგეტანათ. მაგრამ ძალიან გთხოვთ, რომ ჩართოთ. ეს აიძულებს თქვენს ქმარს კიდევ მეტად შეგიყვაროთ, ხოლო ჩვენ, თქვენს მეგობრებს - კიდევ უფრო მეტი პატივი გცეთ და ასევე, მეტად დაგაფასოთ.

მისის ჰარკერი ისევ გაწითლდა და ქაღალდი გამოართვა.

ამრიგად, ყველა ანგარიში, რაც ხელთ გვქონდა, სრულიად არის წესრიგში მოყვანილი. პროფესორმა ერთი ასლი აიღო, რათა გასცნობოდა მას ვახშმის შემდეგ დაგეგმილ საუბრამდე, რომელიც ცხრა საათისთვისაა დანიშნული. დანარჩენებმა უკვე წაიკითხეს. ასე რომ როცა კაბინეტში შევხვდებით, ჩვენთვის ყველა ფაქტი იქნება ცნობილი და შევძლებთ, რომ ვიმსჯელოთ ამ საშინელ და იდუმალ მტერთან ბრძოლის გეგმაზე.

მინა ჰარკერის დღიური

30 სექტემბერი.

როდესაც ვახშმის შემდეგ ექიმ სიუარდის კაბინეტში შევიკრიბეთ, გაუცნობიერებლად შევქმენით რაღაც სხდომისა თუ კომიტეტის მსგავსი. პროფესორი ვან ჰელსინკი თავმჯდომარე იყო, მას ამის შესახებ ექიმმა სიუარდმა სთხოვა, როგორც კი პროფესორი ოთახში შემოვიდა. მან თავის გვერდით დამსვა და მთხოვა, მდივანი ვყოფილიყავი.

- ვიმედოვნებ, შემიძლია ძირითად დებულებად მივიღო, რომ ყოველიჩვენგანისათვის ცნობილია ამ ქაღალდებში გადმოცემული ყველა ფაქტი.

პროფესორს ერთხმად დავეთანხმეთ და მან განაგრძო:

- ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში საჭიროა რაღაც-რაღაცები შეგატყობინოთ იმის შესახებ, თუ როგორ მტერთან გვაქვს საქმე. შემდეგ მე გაგაცნობთ ამ არსების სიცოცხლის ისტორიას, რაც გულდასმით გადავამოწმე. მერე შეგვეძლება განვსაჯოთ, თუ როგორჯობს ვიმოქმედოთ და ზომებიც იმის შესაბამისად მივიღოთ.

ვამპირები არსებობენ ქვეყნად, ზოგიერთი თქვენგანი ამაში თვალნათლივ დარწმუნდა. საკუთარი სამწუხარო გამოცდილებაც რომ არ გვქონოდა, წარსული დროის გადმოცემები და მრავალი დამოწმება საკმაოდ დამაჯერებელია საღად მოაზროვნე ადამიანებისათვის. ვაღიარებ, თავიდან სკეპტიკოსი ვიყავი. თავიდანვე რომ მცოდნოდა ის, რაც ახლა ვიცი, ადრე რომ მივმხვდარიყავი - ყოველი ჩვენგანისათვის ძვირფასი სიცოცხლე გადარჩებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, წარსულს ვერ დავიბრუნებთ და ჩვენ უნდა ვიშრომოთ, რათა სხვა სულებიც არ დაიღუპონ, სანამ ჯერ კიდევ შეიძლება მათი გადარჩენა. ვამპირი არ კვდება, როგორც ფუტკარი, მას შემდეგ, რაც ერთხელ დაგესლავს. ის მხოლოდ ძალას იკრებს, ხოლო გაძლიერებით კიდევ უფრო მეტი ბოროტების ჩადენის შესაძლებლობას იძენს. ამ ვამპირს, რომელიც ჩვენ შორის ცხოვრობს, ოცი ადამიანის ძალა აქვს, სიკვდილზე ცბიერია, რადგან მისი ცბიერება საუკუნეების ნაყოფია. ყველა ადამიანი, რომელსაც შეეხება, მის ძალაუფლებაში ექცევა. ის მხეცზე მეტია, რადგან ხორცშესხმული ეშმაკია, შეუძლია სტიქიების მართვა, ქარიშხლის, ნისლის, ჭექა-ქუხი-

ლის. შეუძლია განაგებდეს მდაბალ არსებებს: ვირთხებს, ბუებს, ღამურებს, ქინქლებს, მელიებს, მგლებს. შეუძლია გაზარდოს და შეამციროს თავისი მოცულობა. შეუძლია დროებით გაქრეს და მოულოდნელად გამოჩნდეს. როგორ უნდა შევებრძოლოთ და დავიწყოთ ჩვენი საქმე? როგორ ვიპოვოთ მისი ადგილსამყოფელი? ხოლო პოვნის შემთხვევაში, როგორ შეძვლებთ მის განადგურებას? ჩემო მეგობრებო, ეს ძალიან ძნელია, ჩვენ საშინელ საქმეს ვიწყებთ და, შესაძლოა, ისეთი რაღაც მოხდეს, რამაც ძალიან დაგვაფრთხოს და შეგვაშინოს. ერთი წუთითაც რომ დავკარგოთ თავგზა ამ ბრძოლაში, ის, ალბათ, გაიმარჯვებს, და მაშინ რა მოგვივა? მაგრამ დამარცხება ამ შემთხვევაში არა მარტო სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენ მას დავემსგავსებით. მისი გამარჯვების პირველი წუთიდანვე ისეთივე უსულო არსებებად გადავიქცევით, როგორიც თვითონაა - უგულო და უნამუსო, რომელიც მათი სხეულებითა და სულებით საზრდოობს, ვინც ყველაზე მეტად გვიყვარს. ჩვენთვის სამუდამოდ დაიგმანება სამოთხის კარიბჭე. ვინღა გაგვიღებს მას? ყველასაგან უარყოფილნი ვიარსებებთ, შავ ლაქებად ვიქცევით მზის ღვთაებრივი ნათების ფონზე. წმინდა მოვალეობა გვეკისრება, და განა ასეთ ვითარებაში შეიძლება უკან დავიხიოთ? ჩემი მხრივ ვიტყვი - არა, მაგრამ მე მოხუცი ვარ და სიცოცხლე მზის ნათელთან, კაშკაშა დღეებთან, ჩიტების გალობასთან, მუსიკასთან და სიყვარულთან ერთად უკან დამრჩა. თქვენ კი ახალგაზრდები ხართ: ზოგიერთმა თქვენგანმა დიდი კაეშანი შეიცნო, მაგრამ მშვენიერი დღეებიც მრავალი გელით. ამაზე რას მიპასუხებთ?

როცა პროფესორმა დაასრულა, ჯონათანი მე მომაშტერდა. მეც იმავეთი ვუპასუხე. სიტყვები ზედმეტი იყო.

- მე გიპასუხებთ ჩემი და მინას სახელით, - თქვა მან.

- ჩემი იმედი გქონდეთ, პროფესორო, - ლაკონურად განაცხადა მისტერ ქვინსი მორისმა.

- მე თქვენთან ვარ, - თქვა ლორდმა გოდალმინგმა, - ლუსის გულისათვის, სხვა მიზეზით თუ არა.

ექიმმა სიუარდმა უბრალოდ თავი დაუქნია. პროფესორი ადგა, მაგიდაზე ოქროს ჯვარცმა დადო და ხელები ორივე მხარეს გაიწოდა. ერთმანეთს ხელები ჩავკიდეთ. ამგვარად შევკარით ჩვენი საზეიმო კავშირი. ვიგრძენი, რომ გული გადამიქანდა, მაგრამ უკან დახევა აზრადაც არ მომსვლია. ისევ ჩვენს ადგილებს დავუბრუნდით და ვან ჰელსინკმა განაგრძო:

- ამრიგად, თქვენ იცით, რასთან მოგვიწევს ბრძოლა, მაგრამ ჩვენ ძალაც გვაქვს. ჩვენს მხარესაა ერთიანობის ძალა - ძალა, რომელსაც მოკლებულია ვამპირთა ბუნება. ჩვენს ხელთაა სამეცნიერო წყაროები, შეგვიძლია თავისუფლად ვიაზროვნოთ და ვიმოქმედოთ, და დღე-ღამის საათები - სრულიად ერთნაირად - ჩვენ გვეკუთვნის. რადგან ჩვენი ძალა ჩვენ გვეკუთვნის, შეგვიძლია თავისუფლად გამოვიყენოთ იგი. შეგვწევს თავდადების უნარი და გვაქვს მიზანი, რომელსაც უცილობლად მივაღწევთ. ამ ყველაფერს უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს.

ახლა ვნახოთ, რამდენად ორგანიზებულია ჩვენი მეტოქე ძალა, რა არის ვამპირის სუსტი მხარეები, საბოლოოდ, განვიხილავთ ვამპირთა გონებაშეზღუდულობას ზოგადად და ჩვენსას - კერძოდ.

ყველაფერი, რისთვისაც ანგარიშის გაწევა გვიწევს, - ეს ტრადიციები და ცრურწმენებია. თავიდან ისინი მნიშვნელოვნად არ გვესა-

ხება, მაგრამ როცა საქმე სიცოცხლესა და სიკვდილს ეხება - ყველაფერი სხვა მნიშვნელობას იძენს. ამგვარი მოვლენების დროს ტრადიციები და ცრურწმენები, არსებითად, ყველაფერია. განა ვამპირის რწმენა ცრურწმენა არ არის? მაგრამ უნებურად მაინც გვიწევს მათი არსებობის დაჯერება. ერთი წლის წინ რომელი ჩვენგანი დაუშვებდა ასეთი მოვლენების არსებობის შესაძლებლობას ჩვენს სამეცნიერო-სკეპტიკურ მეცხრამეტე საუკუნეში, რომელიც მხოლოდ ფაქტებს ითხოვს? დავცინოდით კიდეც ხალხურგადმოცემებს, რაც ჩვენ თვალწინ დადასტურდა. ამ შემთხვევაში, ისიც დავიჯერეთ, რომ ვამპირი, ისევე, როგორც მოძღვრება მისი არსებობისა და აღმოფხვრის ხერხების შესახებ, ჯერჯერობით არსებობს ბუნებაში, რადგან, ნება მიბოძეთ, შეგახსენოთ, რომ იგი ყველგან, ყველა დასახლებულ ადგილზე არის ცნობილი. მასზე წერდნენ ძველ საბერძნეთსა და ძველ რომში. ცნობილი იყო გერმანიაში, საფრანგეთში,რუსეთსა და ინდოეთში - ჩინეთშიც კი, რომელიც ასე დაშორებულია ჩვენგან, იქაც კი არსებობდა, და ხალხს დღემდე ეშინია მისი. იგი გვხვდება ისლანდიელების, ჰუნების, სლავების, საქსონელების, მადიარების ზეპირსიტყვაობაში. ასე რომ, ჩვენ გვაქვს მონაცემები, რომელთა საფუძველზეც შეგვიძლია ვიმოქმედოთ. გარდა ამისა, დაუკვირდით, ბევრი რამ ამ გადმოცემებიდან ჩვენი საკუთარი გამოცდილებით დასტურდება. ვამპირი ცოცხლობს და არ შეუძლია ადამიანივით მოკვდეს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი დრო მოვიდა. იგი განცხრომით იცხოვრებს, სანამ საშუალება ექნება ცოცხალთა სისხლით იკვებოს. მეტიც: საკუთარი დაკვირვებით ვიცით, რომ მას გაახალგაზრდავება შეუძლია, მისი სასიცოცხლო შესაძლებლობები ახლდება, როცა სპეციალური საკვები უხვად აქვს. მაგრამ ამ დიეტის გარეშე ვერ ძლებს. იგი სხვებივით არ ჭამს. ჯონათანსაც კი, რომელიც მასთან რამდენიმე კვირა ცხოვრობდა, არასდროს უნახავს, იგი ჭამის პროცესში. მას არა აქვს ჩრდილი, არ ირეკლება სარკეში -

ისევ ჯონათანის დაკვირვებათა მიხედვით. მის ხელებში კონცენ-ტრირებულია მრავალი ადამიანის ძალა - რასაც ისევ ჯონათანი მოწმობს - იმის მიხედვით, თუ როგორ ჩაურაზა კარი გრაფმა მგლებს, ანდა როგორ დაეხმარა მას დილიჟანსიდან ჩამოსვლაში. მას ძალუძს მგლად გადაიქცეს, რაც ჩვენ უაითბიში გემის მოსვლის შემდეგ მომხდარი ფაქტებით ვიცით, როცა მან ძაღლი დაგლიჯა. შე-უძლია ღამურას დაემსგავსოს, რასაც მადამ მინა ადასტურებს, რო-მელმაც იგი ფანჯრიდან დაინახა, უაითბიში, და მეგობარი ჯონი, რო-მელმაც მაშინ მოჰკრა თვალი, როცა მეზობელი სახლიდან გამოფ-რინდა, და მეგობარი ქვინსი, - რომელმაც მის ლუსის ფანჯარასთან შენიშნა. მას შეუძლია თავისივე გამოწვეულ ნისლში გაეხვეს. - ამას მოწმობს გემის კეთილშობილი კაპიტანი, მაგრამ, როგორც ვიცით, ნისლი მხოლოდ მის გარშემო შეიძლება გაჩნდეს. იგი მთვარის სხი-ვებში მატერიალიზდება მტვრის სახით, როგორც ეს ჯონათანმა ნახა დრაკულას ციხესიმაგრეში დების გამოჩენისას. შეუძლია მიკროს-კოპულ ზომებს მიაღწიოს - მის ლუსი, როცა ვამპირი იყო, თმის ღე-რის სიგანის ჭრილით აღწევდა აკლდამაში. შეუძლია სიბნელეში ორიენტირება. ამ ყოველივეს კეთების ძალა შესწევს, მაგრამ მიუხე-დავად ამისა, იგი არ არის თავისუფალი. არა, ის უფრო მეტადაა ტყვეობაშია ვიდრე მენიჩბე მონა გალერაზე, ვიდრე შეშლილი თა-ვის კამერაში. იგი ბუნების მახინჯი ნაყოფია და მის ზოგიერთ კანონს უნდა დაემორჩილოს. რატომ? - ეს ჩვენ არ ვიცით. მისი ძალაუფლე-ბა, როგორც ყოველგვარი უწმინდური ძალა, გათენებისთანავე ქრე-ბა. მას მხოლოდ გარკვეულ დროს აქვს თავისუფლება, ისიც შეზღუ-დული. ეს ყველაფერი, მგონი, ჩვენთვის ცნობილია და გვაქვს კიდეც ამის მტკიცებულება. ასევე, არის საგნები, რომლებიც მას ძალას აკარგვინებს, როგორც, მაგალითად, ნიორი. ვამპირები გაურბიან ჯვარცმას და ცდილობენ მისგან შორს დაიჭირონ თავი. ვამპირის კუ-ბოზე დადებული ასკილის ტოტი მას იქიდან ამოსვლის საშუალებას

არ აძლევს. ნაკურთხი ტყვია ნამდვილად კლავს. რაც შეეხება ვამპირის მარგილით განგმირვას, ჩვენ უკვე გვქონდა შესაძლებლობა დავრწმუნებულიყავით მის არაქმედითობაში. მოკვეთილი თავი ამშვიდებს მას. ესეც საკუთარი თვალით ვნახეთ.

ამგვარად, თუ ჩვენ ვიპოვით ამ არაადამიანის საცხოვრებელს, შევძლებთ მოვუსპოთ თავისი კუბოს დატოვების საშუალება და გავანადგუროთ, თუ ზუსტად მივყვებით მას, რაც ჩვენთვის ცნობილია. მაგრამ ის ჭკვიანია. მე ვთხოვე ჩემს მეგობარ არმინიუსს, ბუდაპეშტის უნივერსიტეტის პროფესორს, მის შესახებ ცნობები მომაწოდეთქი. მანაც შეკრიბა ისინი მის ხელთ არსებული ყველა წყაროს მიხედვით და მაცნობა, თუ ვინ იყო იგი. როგორც ჩანს, ჩვენი ვამპირი ამასთანავე ვოევოდა დრაკულა გახლდათ, რომელმაც თურქებთან ომში გაითქვა სახელი. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ ის არ ყოფილა ჩვეულებრივი ადამიანი, რადგან იმ დროშიც და მრავალი საუკუნის შემდეგაც მისი სახელი დიდებით იყო მოსილი, როგორც ძალზე ცბიერი და ეშმაკი ადამიანისა. მიწიერი ცხოვრებიდან მძლავრი გონება და რკინისებური გამბედაობა გამოჰყვა და ახლა ეს ჩვენ წინააღმდეგ არის მომართული. დრაკულები, - მწერს არმინიუსი, - ცნობილი და კეთილშობილი გვარი იყო, თუმცა მათ შორის ზოგჯერ ჩნდებოდა ნაშიერი, რომელსაც თანამედროვეები ბოროტთან ურთიერთობაში სდებდნენ ბრალს. ძველ ხელნაწერებში გვხვდება ისეთი სიტყვები, როგორიცაა „სტრეგონკა“ - „კუდიანი“, „ორდოგ“ და „პოკალ“ - „სატანა“ და „ჯოჯოხეთი“, ხოლო ერთ ხელნაწერში სწორედ ეს დრაკულაა მოხსენებული, როგორც „ვამპირი“, რაც ახლა ძნელად თუ გაგვაოცებს. მის შთამომავალთა შორის არიან ცნობილი ადამიანები, რომელთა საფლავებს ისე სცემენ თაყვანს, როგორც წმინდა ადგილებს, მაგრამ, ამასთან, იქვე ბუდობს ეს საზიზღრობაც.

პროფესორის მოხსენების დროს მისტერ მორისი ყურადღებით იყურებოდა ფანჯარაში, შემდეგ მოულოდნელად ადგა და ოთახიდან გავიდა. ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოწვა, მერე პროფესორმა განაგრძო:

- ახლა კი უნდა გადავწყვიტოთ, რა ვქნათ! ჩვენ ბევრი მონაცემი გვაქვს, უნდა მოვემზადოთ ჩვენი კამპანიისათვის. ჯონათანის გამოკვლევიდან ვიცით, რომ გრაფის ციხესიმაგრიდან უაითბიში ორმოცდაათი ყუთი მიწა ჩამოვიდა,რომლებიც უკლებლივ მიიღეს კარფაქსში. ისიცვიცით, რომ ზოგიერთი ყუთი სხვა ადგილზე გადაიტანეს. ჩემი აზრით, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავადგინოთ, დარჩა თუ არა დანარჩენი ყუთები იმ სახლში, კედლის მიღმა, რომელიც ჩვენს სახლს ემიჯნება.

მოულოდნელად ქუჩიდან პისტოლეტის სროლის ხმა გაისმა. ტყვიამ ფანჯარა ჩაამსხვრია და რიკოშეტით ოთახის მოპირდაპირე კედელს მოხვდა. შიშისაგან დავიყვირე. მამაკაცები წამოხტნენ, ლორდი გოდალმინგი ფანჯარას მივარდა და გააღო. ამ დროს ქუჩიდან მორისის ხმა გავიგონეთ:

- ვწუხვარ. მაპატიეთ, ალბათ, შეგაშინეთ. ახლავე დავბრუნდები და აგიხსნით საქმის ვითარებას.

ერთი წუთის შემდეგ ოთახში შემოვიდა და თქვა:

- ეს ძალიან სულელური საქციელი იყო ჩემი მხრიდან. გთხოვთ, მაპატიოთ, მისის ჰარკერ, ვშიშობ, ძალიან შეგაშინეთ. მაგრამ საქმე ისაა, რომ იმ დროს, როცა პროფესორი ლაპარაკობდა, აქ უზარმაზარი ღამურა მოფრინდა და რაფაზე დაჯდა. ისე მეზიზღება ეს წყეული ცხოველები ბოლო დროის მოვლენათა გამო, რომ მათი ატანა

არ შემიძლია, ამიტომ გავედი და ვესროლე, როგორც ვიქცევი ყოველთვის, მათ დანახვაზე.

- მოარტყით? - ჰკითხა ვან ჰელსინკმა.

- არ ვიცი, მგონი არა, რადგან გაფრინდა.

მას აღარაფერი უთქვამს და თავის ადგილზე დაჯდა, პროფესორმა კი მოხსენების დასკვნითი ნაწილი დაიწყო:

- ჩვენ ყველა ყუთს უნდა მივაკვლიოთ და როცა ამას დავამთავრებთ, ურჩხული ან ტყვედ უნდა ავიყვანოთ, ან მის ბუნაგში მოვკლათ, ანდა, ასე ვთქვათ, „სტერილიზაცია“ გავუკეთოთ მიწას, რათა ვეღარ შეძლოს მასში დამალვა. მაშინ, ბოლოს და ბოლოს, ვიპოვით მას ადამიანური სახით შუადღისა და მზის ჩასვლის შუალედში, როცა ის ყველაზე სუსტია.

თქვენ რაც შეგეხებათ, მადამ მინა, ეს ღამე უკანასკნელი ეტაპი იქნება, რომელშიც თქვენ მონაწილეობთ. ყველა ჩვენგანისათვის ძალზე ძვირფასი ხართ და რისკის უფლებას ვერ მოგცემთ. ჩვენ აღარაფერი უნდა გამოგვკითხოთ. ყველაფერს თავის დროზე გეტყვით. ჩვენ მამაკაცები ვართ და ბევრის ატანა შეგვიძლია, თქვენ კი ჩვენი გზამკვლევი ვარსკვლავი უნდა იყოთ. ჩვენ მით უფრო თავისუფლად ვიმოქმედებთ, რაც მეტად ვიქნებით დარწმუნებული, რომ საფრთხე არ გემუქრებათ.

ყველა მამაკაცმა, ჯონათანის ჩათვლით, თითქოს შვება იგრძნო, მაგრამ უსამართლოდ მომეჩვენა, რომ მათ საფრთხე დაემუქრებათ და, შესაძლოა, საკუთარ თავს ზიანიც მიაყენონ ჩემზე ზრუნვით, რადგან ამაზე თავიანთი ძალის ნაწილს დახარჯავენ, მაგრამ მათ

მტკიცედ გადაწყვიტეს და თუმცა ეს გადაწყვეტილება ძალიან მწარე მომეჩვენა, შეპასუხება ვერ გავბედე და ისღა დამრჩა, დავთანხმებოდი მათ რაინდულ ზრუნვას.

მისტერ მორისმა დებატები შეწყვიტა:

- რადგან დროის დაკარგვა არ შეიძლება, მე გთავაზობთ ახლავე დავათვალიეროთ ის სახლი. ჩვენს საქმეში დრო ყველაფერია, და მოქმედების სისწრაფემ შესაძლოა ახალი მსხვერპლი გადაარჩინოს.

ვაღიარებ, რომ გული ჩამწყდა, როცა მუშაობის დრო მოვიდა, მაგრამ არაფერი მითქვამს, ყველაზე მეტად იმას მოვერიდე, მათთვის ზედმეტი ტვირთი არ ვყოფილიყავი და მუშაობაში ხელი არ შემეშალა.

ამრიგად, მათ გადაწყვიტეს, კარფაქსში წასულიყვნენ და სახლში შეეღწიათ.

როგორც ნამდვილმა მამაკაცებმა, შემომთავაზეს დასაძინებლად დავწოლილიყავი, თითქოს ქალს შეუძლია დაიძინოს, როცა ის, ვინც მას უყვარს, საფრთხეშია! დავწვები და თავს მოვიმძინარებ, რათა ჯონათანი არ აღელდეს, როცა დაბრუნდება.

ექიმ სიუარდის დღიური

1-ლი ოქტომბერი, 16 საათი.

ის-ის იყო სახლიდან უნდა გამოვსულიყავით, რომ რენფილდის ბარათი მომიტანეს, რომელიც მეკითხებოდა, თუ არის შესაძლებელი, რომ ახლავე გნახოთ, რადგან მეტისმეტად მნიშვნელოვანი რამ უნდა გაცნობოთო.

შიკრიკს დავავალე, გადაეცა, ამ მომენტში ძალიან დაკავებულიაო. სანიტარმა დაამატა:

- მას, ალბათ, ძალიან სჭირდება თქვენი ნახვა, სერ. ასეთი მოუთმენელი ჯერ არ მინახავს. ვერ ვიტყვი, რა იქნება, მაგრამ, ვფიქრობ, რომ თუ არ ინახულებთ, ისევ საშინელი შეტევა მოუვლის.

ვიცოდი, რომ ეს ადამიანი ამას უსაფუძვლოდ არ იტყოდა, ამიტომ ვუპასუხე:

- კარგი, ახლავე მოვალ, - დანარჩენებს კი ვთხოვე, რამდენიმე წუთი მოეცადათ, რადგან პაციენტი უნდა მენახა.

- ჩვენც წაგვიყვანე, ჯონ, - მთხოვა პროფესორმა, - მისმა შემთხვევამ, რაც შენს დღიურშია აღწერილი, ძალიან დამაინტერესა, და. ამასთან, მას რაღაც კავშირი აქვს ჩვენს საქმესთან. მე ძალიან მინდოდა რენფილდის ნახვა, განსაკუთრებით ახლა, როცა მისი სულიერი წონასწორობა დარღვეულია.

- შეიძლება ჩვენც, წამოვიდეთ? - იკითხეს ლორდმა გოდალმინგმა და მისტერ მორისმა.

მე თავი დავუქნიე და დერეფნით ერთად გავემართეთ.

რენფილდი აღგზნებულ მდგომარეობაში ვნახეთ, მაგრამ ადრინდელთან შედარებით გაცილებით გონიერი საუბარი და მანერები ჰქონდა.

მოთხოვნა იმაში მდგომარეობდა, რომ დაუყოვნებლივ გამეშვა იგისაავადმყოფოდან და შინ გამეგზავნა. იგი თავის მოთხოვნას არგუმენტებით ამაგრებდა, რაც თითქოს ხაზს უსვამდა მის სრულ გამოჯანმრთელებასა და ნორმალურობას.

- მე მოვუწოდებ თქვენს მეგობრებს, - დაამატა მან, - იქნებ, გამოთქვან თავიანთი აზრი ჩემს საქმეზე, თუმცა, თქვენ დაგავიწყდათ ჩვენი გაცნობა.

იმდენად გაოგნებული ვიყავი მისი საქციელით, რომ საგიჟეში მყოფი შეშლილის პრეტენზიამ, წარმედგინა მისთვის სტუმრები, იმ წუთში სულაც არ განმაცვიფრა. ამასთან, მისი თავდაჭერის მანერაში იყო ერთგვარი ღირსება იმ ადამიანისა, რომელიც მიჩვეულია თავის თანასწორებთან ურთიერთობას, ამიტომ მე მაშინვე წარვუდგინე ისინი ერთმანეთს. მან ყველას ჩამოართვა ხელი და ცალ-ცალკე უთხრა:

- ლორდ გოდალმინგ, მე მქონდა პატივი ერთ დროს მამათქვენის თანაშემწე ვყოფილიყავი უინდჰემში: ძალზე სამწუხაროა, თქვენი ტიტულის მიხედვით, იმის გაგება, რომ იგი ცოცხალი აღარ არის. ის ყველას უყვარდა და პატივს სცემდა. ახალგაზრდობაში, როგორც გავიგე, მან რომისგან დამწვარი პუნში გამოიგონა, რასაც მეტად ფართოდ იყენებენ დერბის წინ.

- მისტერ მორის, თქვენ უნდა ამაყობდეთ თქვენი საკუთრებითა და მაღალი მდგომარეობით. მათი აღიარება შეერთებული შტატების მიერ წარმოადგენს პრეცედენტს, რასაც, შესაძლოა, დიდი შედეგები მოჰყვეს, როცა პოლუსი და ტროპიკები ერთგულებას შეჰფიცებენ ვარსკვლავებს, ანუ ამერიკის ეროვნულ დროშას.

- ოჰ, როგორ გამოვხატო ჩემი კმაყოფილება პროფესორ ვან ჰელსინკთან შეხვედრით? სერ, მე ბოდიშს არ ვიხდი იმის გამო, რომ თქვენს პატივსაცემად ამ შემთხვევის სათანადო წინასიტყვაობა არ წარმოვთქვი. როცა ადამიანმა რევოლუცია მოახდინა თერაპიის დარგში მსოფლიო სუბსტანციაში უსასრულო ევოლუციის აღმოჩენით, ჩვეულებრივი სასაუბრო ფორმები აქ უადგილოა, რადგან ეს ფორმები ერთ კლასში მოქცევით ზღუდავენ მას. თქვენ, ჯენტლმენებო, რომლებსაც ეროვნულობის, მემკვიდრეობისა თუ თანდაყოლილი ნიჭიერების გამო ამ სამყაროში მაღალი მდგომარეობა გეკუთვნით, მე გიხმობთ მოწმეებად, რომ იმდენად ნორმალური ვარ, რამდენადაც უკიდურეს შემთხვევაში, ნორმალურია ადამიანთა უმეტესობა, რომლებიც სრული თავისუფლებით სარგებლობენ. და მე მჯერა, რომ თქვენ, ექიმო სიუარდ, ჰუმანური და იურიდიულად განათლებული ადამიანი, თქვენს ზნეობრივ მოვალეობად ჩათვლით ისე მომექცეთ, როგორც ადამიანს, რომელიც თავისი თხოვნის ასრულებას იმსახურებს...

ყველანი სახტად დავრჩით. მე, ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული ვიყავი, მიუხედავად ამ ადამიანის ხასიათისა და ავადმყოფობის ისტორიის ცოდნისა, რომ მას გონება დაუბრუნდა, და დიდი სურვილი მქონდა მეთქვა, კმაყოფილი ვარ თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობით და იმ ფორმალობების მოსაგვარებლად ვიზრუნებ, რაც საჭირო მეორე დილით თქვენი გათავისუფლებისათვის-მეთქი. მე მაინც ჩავთვალე, რომ საჭიროა ცოტა მოვიცადოთ ასეთი

მნიშვნელოვანი საკითხის გადასაწყვეტად, რადგან წინა გამოცდილების საფუძველზე ვიცოდი მოულოდნელი ცვლილებების შესახებ, რაც ამ ავადმყოფს ახასიათებდა. ამიტომ იმით შემოვიფარგლე, რომ დავადასტურე სწრაფი გამოჯანმრთელება, ვუთხარი, დილით გაგესაუბრები და მაშინ ვნახავ, რა შეიძლება გავაკეთო ხსენებული სურვილის ასრულებისთვის-მეთქი. ამან რენფილდი ოდნავაც არ დააკმაყოფილა და სწრაფად წარმოთქვა:

- ვშიშობ, ექიმო სიუარდ, რომ ისე ვერ გამიგეთ, როგორც საჭიროა. მე ახლავე მინდა წასვლა - დაუყოვნებლივ - ამავე წუთას, თუ შეიძლება. დრო არ იცდის. დარწმუნებული ვარ, რომ საკმარისია მხოლოდ გაუმხილო ასეთი უბრალო და ამავე დროს ასეთი მნიშვნელოვანი სურვილი ისეთ შესანიშნავ პრაქტიკოსს, როგორიც ექიმი სიუარდია, რომ დარწმუნებული იყო მის ასრულებაში.

მან გამჭრიახად შემომხედა და როცა სახეზე უარყოფითი დამოკიდებულება შემატყო, სხვებს გადახედა, თითქოს სცდიდა მათ. როცა დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მიიღო, გააგრძელა:

- ნუთუ არასწორად ვივარაუდე?

- დიახ, შეცდით, - გულახდილად ვუპასუხე მე, მაგრამ ვიგრძენი, რომ უხეშად მომივიდა. ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოწვა, რომლის შემდეგაც მან აუჩქარებლად წარმოთქვა:

- ასეთ შემთხვევაში, ნება მიბოძეთ, გაგაცნოთ ჩემი მოთხოვნის საფუძველი, გთხოვოთ დათმობა, მოწყალება, პრივილეგია - როგორც გნებავთ. ამ შემთხვევაში გთხოვთ არა ჩემი მიზნებისათვის, არამედ სხვების გამო. უფლება არა მაქვს სრულად გაცნობოთ ყვე-

ლა მიზეზი, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ მენდოთ, რომ ეს კარგი, პატიოსანი, უანგარო მიზეზებია, რაც მოვალეობის უმაღლეს გრძნობას ეფუძნება. მეტიც, მე თქვენს საუკეთესო და უერთგულეს მეგობრად ჩამთვლიდით.

მან ისევ გამომცდელად შემოგვხედა! თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ ეს უეცარი ცვლილება სიგიჟის ახალი ფორმა ან ფაზა იყო, და ამიტომ გადავწყვიტე, მისთვის კიდევ მცირეოდენი გაგრძელების საშუალება მიმეცა, რადგან გამოცდილებით ვიცოდი, რომ, ბოლოს და ბოლოს იგი, ისევე როგორც ყველა შეშლილი, თავს გასცემდა. ვან ჰელსინკი გულდასმით უმზერდა, მისი ბუსუსებიანი წარბები ლამის ერთმანეთს გადაება. მან რენფილდს ისეთი ტონით მიმართა, რასაც იმ მომენტში ყურადღება არმივაქციე, მაგრამ რამაც შემდგომში ძალზე გამაოცა, როცა გავიხსენე - იმიტომ, რომ იგი სრულად შეესაბამებოდა თანასწორისადმი მიმართვას:

- შეგიძლიათ, გულახდილად მაცნობოთ თქვენი სურვილის - სწორედ დღეს გათავისუფლების - ნამდვილი მიზეზი? მე გპირდებით, რომ თუ თქვენთვის დამახასიათებელი გულწრფელობით დაკმაყოფილებთ ჩემს ცნობისმოყვარეობას, ექიმი სიუარდი თავისი პასუხისმგებლობით მოგანიჭებთ იმ პრივილეგიას, რისი მიღწევაც გსურთ.

რენფილდმა ნაღვლიანად გააქნია თავი ღრმა სინანულის გამომეტყველებით. პროფესორმა განაგრძო:

- მომისმინეთ, სერ, გონს მოდით! თქვენ ითხოვთ, რომ ისე მოგექცნენ, როგორც სრულიად გამოჯანმრთელებულ ადამიანს,ცდილობთ კარგი შთაბეჭდილება შეგვიქმნათ, და ამას აკეთებთ თქვენ,

ადამიანი, რომლის გამოჯანსაღებაში ჩვენ ჯერ კიდევ ეჭვი გვეპარება. თუ არ დაგვეხმარებით მოქმედების სწორი გეზის ამორჩევაში, როგორ შევძლებთ იმ მოვალეობათა შესრულებას, რასაც თქვენვე გვაკისრებთ? გამოიჩინეთ კეთილგონიერება და დაგვეხმარეთ, და თუ ეს ჩვენს ძალას არ აღემატება, დაგეხმარებით თქვენი სურვილის ასრულებაში.

რენფილდმა თავის ქნევა განაგრძო და უპასუხა:

- სათქმელი არაფერი მაქვს, პროფესორო, თქვენი არგუმენტები ძალზე დამაჯერებელია და ერთი წუთითაც არ ვიყოყმანებდი, უფლება რომ მქონდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში მე არ ვარ თავისუფალი. შემიძლია მხოლოდ გთხოვოთ, რომ გჯეროდეთ ჩემი. თუ უარს მივიღებ, მაშინ პასუხისმგებლობა იმისა, რაც მოხდება, მე არ დამაწვება.

ჩავთვალე, რომ ამ სცენის დასრულების დრო იყო, რომელიც კომიკურად სერიოზული ხდებოდა, ამიტომ კარისკენ გავემართე და ვთქვი:

- წავიდეთ, ჩემო მეგობრებო, საქმე გვაქვს. ღამე მშვიდობისა, რენფილდ.

მაგრამ, როცა თითქმის კართან მივედი, პაციენტი ისევ შეიცვალა. იგი ისე სწრაფად გაჩნდა ჩემთან, რომ მაშინვე ეჭვი გამიჩნდა, კიდევ ხომ არ აპირებდა ჩემზე თავდასხმას. თუმცა ჩემი ეჭვები უსაფუძვლო გამოდგა, რადგან მან მუდარით გამომიწოდა ორივე ხელი და ჟესტებით დაიწყო იმავე თხოვნის გამოხატვა განთავისუფლების შესახებ. რენფილდმა ისიც შენიშნა, რომ ასეთი ქცევა ჩვენს თვალში ზიანს აყენებდა, რადგან გვინერგავდა აზრს ახალი შეტევის შესახებ,

თუმცა მაინც განაგრძობდა ხვეწნა-მუდარას. ვან ჰელსინკს გადავხედე და მის თვალებში ჩემი აზრის დადასტურება ამოვიკითხე, ამიტომ თავი შევიკავე და რენფილდს ვუთხარი, ყველა თქვენი ძალისხმევა ამაოა-მეთქი. მას ადრეც ვამჩნევდი მსგავს რეაქციას სწორედ იმ შემთხვევებში, როდესაც ცდილობდა აესრულებინა თავისი მრავალრიცხოვანი ფანტასტიკური მოთხოვნებიდან რომელიმე, მაგალითად, როცა კატა სჭირდებოდა. ვფიქრობდი, რომ კატეგორიული უარის შემდეგ იგი იმავე პირქუშ მორჩილებაში ჩავარდებოდა, როგორც წინა შემთხვევებში. ჩემი მოლოდინი არ გამართლდა: როცა დარწმუნდა, რომ მისი მოთხოვნა არ შესრულდებოდა, განრისხდა. მუხლებზე დაეცა, ჩემკენ ხელები გამოიშვირა შესაბრალისი მუდარით, თვალებიდან ცრემლები სდიოდა და მთელი მისი სახე და ფიგურა უდიდეს მღელვარებას გამოხატავდა.

- გემუდარებით, ექიმო სიუარდ, მოგიწოდებთ, რათა ახლავე გამიშვათ ამ სახლიდან. სადაც გინდათ იქ გამამწესეთ, გამაყოლეთ შეიარაღებული გუშაგები, დაე, მათ დამაწყნარებელი პერანგით წამათრიონ, ჯაჭვებით ხელფეხშებორკილი, თუნდაც ციხეში, მაგრამ აქედან გამიშვით! მთელი გულით გთხოვთ. თქვენ არ იცით, ვის და როგორ აზარალებთ, მე კი არ შემიძლია ამის თქმა! რა უბედურებაა! თქმა არ შემიძლია! მაგრამ გაფიცებთ ყველაფერს, რაც თქვენთვის წმინდაა, ძვირფასი, თქვენი დამსხვრეული სიყვარულის სახსოვრად, იმ იმედის სახელით, რაც ჯერ კიდევ ცოცხლობს თქვენში - ღვთის გულისათვის, წამიყვანეთ აქედან და იხსენით ჩემი სული ბოროტებისგან! ნუთუ არ გესმით ჩემი, ვერ იგებთ? ნუთუ ვერასოდეს გაიგებთ? განა ვერ ხედავთ, რომ ახლა ჯანმრთელი, ნორმალური ადამიანი ვარ, რომელიც თავისი სულის გადარჩენისთვის იბრძვის? ოჰ, მომისმინეთ! მომისმინეთ! გამიშვით! გამიშვით! გამიშვით!

ჩავთვალე, რომ რაც უფრო დიდხანს გაგრძელდებოდა ეს, მით უფრო მეტად გაცოფდებოდა იგი და შეტევამდე მივიდოდა, ამიტომ ხელი ჩავჭიდე და წამოვაყენე.

- საკმარისია, - მკაცრად ვუთხარი, - კმარა, უკვე საკმაოდ მოვისმინე. ლოგინში ჩაწექით და სცადეთ, წესიერად მოიქცეთ.

იგი მოულოდნელად გაყუჩდა და ყურადღებით შემომხედა. შემდეგ, სიტყვის უთქმელად, ადგა და საწოლზე ფრთხილად ჩამოჯდა. მორჩილების მომენტი ისევე მოულოდნელად დადგა, როგორც წინა შემთხვევებში.

როდესაც ყველაზე ბოლოს გამოვდიოდი ოთახიდან, მან კარგად აღზრდილი ადამიანის წყნარი ხმით მითხრა:

- დრო მოვა და სამართლიანად მომექცევით, ექიმო სიუარდ, დღეს მე ყველაფერი გავაკეთე, რაც ჩემს ძალას არ აღემატებოდა, თქვენს დასარწმუნებლად.

თავი მეცხრამეტე

ჯონათან ჰარკერის დღიური

1-ლი ოქტომბერი, დილის 5 საათი.

ჩვენ გაბედულად გავემართეთ ვამპირის საძებნელად, იმიტომ რომ მინა მშვენიერ განწყობაზე დავტოვეთ. ძალიან მიხარია, რომ

იგი დაგვთანხმდა დარჩენილიყო და მუშაობა ჩვენ მოგვანდო, მამაკაცებს. რაღაც შიში მიპყრობდა იმის გაფიქრებაზე, რომ ის მონაწილეობას იღებდა ამ საშინელ საქმეში, მაგრამ ახლა, როცა მისი მუშაობა დასრულდა და მინას ენერგიის, გონიერებისა და წინდახედულების წყალობით მთელი ისტორია შეკავშირებული და ერთი მთლიანობაა, შეუძლია ჩათვალოს, რომ მისი მისია შესრულებულია და რომ ამიერიდან შეუძლია დანარჩენი ჩვენ მოგვანდოს.

ყველანი აღელვებულები ვიყავით რენფილდის სცენით. იქიდან გამოსვლისას კაბინეტში დაბრუნებამდე სიტყვა არავის დაგვცდენია. შემდეგ მისტერ მორისმა უთხრა ექიმ სიუარდს:

- მომისმინე, ჯონ, ჩემი აზრით, თუ ამ ადამიანს რაიმე საძრახისი საქციელი არა აქვს ჩაფიქრებული, მაშინ ის ყველაზე ნორმალურია გიჟებს შორის, რომლებიც ოდესმე შემხვედრია. ამაში ბოლომდე არა ვარ დარწმუნებული, მაგრამ, მე მგონი, მას რაღაც სერიოზული მიზანი ჰქონდა, და თუ ასეა, მაშინ, სამწუხაროა კიდეც, რომ არ მოხერხდა მისი სურვილის ასრულება.

მე და ლორდი გოდალმინგი ჩუმად ვიყავით, მაგრამ ექიმმა ვან ჰელსინკმა დაამატა:

- შენ ჩემზე მეტი იცი გიჟებზე, ჯონ, და ეს მიხარია. ჩემზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული მისი განთავისუფლების საკითხი, ვშიშობ, რომ ასეც მოვიქცეოდი, რა თქმა უნდა, მის ისტერიულ შეტევამდე, რასაც ბოლოს ჰქონდა ადგილი. მაგრამ სწავლა სიბერემდეო, და კიდევ კარგი, რომ წადილი არ ავუსრულეთ. რაც უნდა მოხდეს - ყველაფერი კარგის მომასწავებელია.

ექიმმა სიუარდმა უპასუხა:

- არ ვიცი! მაგრამ... გეთანხმები. ეს ადამიანი ჩვეულებრივი შეშლილი რომ იყოს, დავუჯერებდი მას, მაგრამ, როგორც ჩანს, რაღაც გაუგებარი ხაზით არის გრაფთან დაკავშირებული, ასე რომ, ვშიშობ, მის უსაქციელობებზე თვალის დახუჭვით ჩვენი საქმე არ ვაზარალო. ვერ დავივიწყებ, როგორ ითხოვდა იგი კატას, შემდეგ კი თითქმის ასეთივე მონდომებით ცდილობდა ჩემთვის კბილებით ყელი გამოეღადრა. გარდა ამისა, იგი გრაფს „ბატონსა“ და „მბრძანებელს“ უწოდებს. აქედან გასვლა უნდა, რათა მას რაღაც ეშმაკეული გზით დაეხმაროს. ჩვენს საზიზღარ ვამპირს თავის განკარგულებაში ჰყავს მგლები, ვირთხები და მთელი თავისი საძმო. ვფიქრობ, რომ იგი არ ითაკილებს დასახმარებლად პატივცემულ შეშლილსაც მიმართოს. თუმცა, სიმართლე რომ ვთქვათ, იგი სრულიად დალაგებით ლაპარაკობდა. იმედი მაქვს, სანიტრები უფრო წინდახედულები იქნებიან, ვიდრე აქამდე, და არ მისცემენ მას გაქცევის საშუალებას, თორემ მოსალოდნელ სამუშაოსთან დაკავშირებით, რასაც, სავარაუდოდ, დიდი ადამიანური ძალისხმევა დასჭირდება, მრავალი უსიამოვნება შეიძლება მოხდეს.

- ნუ ღელავ, მეგობარო ჯონ, - უპასუხა პროფესორმა, - ჩვენ ყველანი ვცდილობთ, ამ საშინელ და სამწუხარო შემთხვევაში ჩვენი მოვალეობა შევასრულოთ. ყოველი ჩვენგანი ისე იქცევა, როგორც საჭიროდ თვლის. მაგრამ რა დაგვრჩენია ყოვლადმოწყალე უფლის იმედის გარდა?

ლორდი გოდალმინგი რამდენიმე წუთით გავიდა ოთახიდან და როცა დაბრუნდა, ხელში ვერცხლის პატარა სასტვენი ეკავა.

- ეს ძველი ჯურღმული, ალბათ, ვირთხებითაა სავსე, - თქვა მან. - ყოველი შემთხვევისათვის დამცავი საშუალება წამოვიღე.

კედელს შემოვუარეთ და სახლისაკენ გავემართეთ, ვცდილობ-დით ხეების ჩრდილში გვევლო. როდესაც შესასვლელთან მივედით, პროფესორმა თავისი ტომარა გახსნა და ნივთები ამოაწყო. ისინი ოთხ პატარა გროვად დაახარისხა, რომლებიც, ალბათ, თითოეული ჩვენგანისათვის იყო განკუთვნილი. შემდეგ მან მოგვმართა:

- ჩემო მეგობრებო, ჩვენ ძალიან სარისკო საქმეს ვიწყებთ და ყო-ველგვარი იარაღი დაგვჭირდება. ჩვენი მტერი, მხოლოდ როგორც სული როდია ძლიერი. გახსოვდეთ, მას ოცი ადამიანის ძალა აქვს, ამავე დროს კი ჩვენ - სრულიად ჩვეულებრივი კისერი და ყელი, რომლებიც უბრალო ძალას ემორჩილება. ადამიანებს, რომლებიც ერთად მასზე ძლიერნი არიან, შეუძლიათ მისი დროებით შეკავება, მაგრამ მაინც ვერ შეძლებენ ისეთი ზიანი მიაყენონ, როგორც მას ძალუძს, რომ ჩვენ მოგვაყენოს. მის შეხებას ლომიც კი უნდა მოერი-დოს. ეს გულთან ახლოს იქონიეთ, - თქვა მან, პატარა ჯვარცმა აიღო და პირველს მე გამომიწოდა, რადგან მასთან ყველაზე ახლოს ვიდე-ქი, - ეს ყვავილები კისერზე ჩამოიცვით, - მან ნივრის დამჭკნარი ყვა-ვილების გვირგვინი გამომიწოდა, - ხოლო სხვა, ჩვეულებრივი ტი-პის მტრებისთვის ეს რევოლვერი და დანა აიღეთ. ყოველი შემთხვე-ვისათვის, აი, თქვენ ციცქნა ელექტრონათურები, რომლებიც შეგიძ-ლიათ მკერდზე მიიმაგროთ, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ეს ია-რაღი გახლავთ - ის ფუჭად არ უნდა დავხარჯოთ.

ეს იყო ნაკურთხი ობლატის პატარა ნაჭერი, რომელიც მან კონ-ვერტში ჩადო და გადმომცა.

- ახლა, - დაამატა მან, - კარი უნდა გავაღოთ, ჯონ. თუ ვერ მოვა-ხერხებთ, მაშინ სახლში ფანჯრიდან უნდა შევიჭრათ.

ექიმმა სიუარდმა რამდენიმე გასაღები მოსინჯა, ამასთან მისმა ქირურგიულმა ჩვევამ კარგი სამსახური გაუწია, სწრაფადმონახა შესაფერი და კარი გააღო.

- In manus tuas, Domine! - თქვა პროფესორმა, პირჯვარი გადაიწერა და ზღურბლს გადააბიჯა.

კარი მივხურეთ, რომ არავისი ყურადღება არ მიგვექცია, როცა ჩვენს ელექტრონათურებს ავანთებდით. პროფესორმა ფრთხილად მოსინჯა საკეტი. ამის შემდეგ ყველამ ავანთეთ ჩვენი ნათურები და ძიებას შევუდექით. არ მტოვებდა შეგრძნება, რომ ჩვენთან ერთად კიდევ ვიღაც იმყოფებოდა. ალბათ, ეს იმ მოგონებების შედეგი იყო, რომლებიც ტრანსილვანიაში მოგზაურობის შემდეგ განუყრელად არსებობდა ჩემს სულში. მომეჩვენა, რომ დანარჩენებიც იმავეს განიცდიდნენ, რადგან შევნიშნე, რომ ყოველ ბგერაზე, ყოველი ახალი ლანდის გამოჩენისას, ყოველ შრიალზე გამუდმებით აქეთ-იქით იყურებოდნენ.

ყველაფერი მტვრის სქელი ფენით იყო დაფარული, იმ ადგილების გამოკლებით, სადაც ახალი კვალი მოჩანდა - რაც ჩემი ნათურით დანათებისას გავარჩიე. კედლებიც ასევე მტვრიანი იყო, ხოლო კუთხეებში მასობრივი აბლაბუდები ეკიდა. დარბაზში მაგიდაზე გასაღებების დიდი ასხმა იდო თითოეულ მათგანზე დროისაგან გაყვითლებული იარლიყებით. როგორც ჩანდა, ისინი რამდენჯერმე იყო გამოყენებული, რადგან მაგიდის მტვრიან გადასაფარებელს რამდენიმე ერთნაირი კვალი აჩნდა. პროფესორი ჩემკენ შემობრუნდა და მკითხა:

- იცნობ, ამ ადგილს, ჯონათან? შენ მისი გეგმა შეადგინე, და ყოველ შემთხვევაში, შენთვის უფრო ნაცნობია, ვიდრე ჩემთვის. სად არის სამლოცველოს გზა?

მე ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა, თუ სად მდებარეობდა სამლოცველო, თუმცა აქ წინა ვიზიტის დროსაც ვერ მივაღწიე იქამდე. ბოლოს და ბოლოს, რამდენიმე არასწორი შესახვევის შემდეგ, ვიპოვე გზა და დაბალი, კამაროვანი მუხის კარის წინ აღმოვჩნდი, რომელიც რკინის ნაჭრებით იყო შემოჭედილი.

- აი, სად არის, - თქვა პროფესორმა და თავისი ლამპით გაანათა სახლის პატარა გეგმა, რომელიც ჩემი კორესპონდენციისაგან იყო კოპირებული, რაც სახლის დაქირავებას ეხებოდა. ასხმაში ჩვენთვის საჭირო გასაღები მოვძებნეთ და კარი გავაღეთ. რაღაც უამურს ველოდებოდით, რადგან კარის გაღების დროს ჭუჭრუტანიდან სუსტი საზიზღარი სუნი იპარებოდა, მაგრამ არავინ ველოდით იმ სიმყრალეს, რაც ცხვირში დაგვეტაკა. არც ერთი ჩვენგანი, ჩემ გარდა, არ შეხვედრია ადრე გრაფს, ხოლო როცა მას ვხვდებოდი, იგი ან თავის ოთახებში იმყოფებოდა, მაგრამ მარხვის სტადიაში, ანდა, თუ ქორფა სისხლით იყო გამაძღარი - დანგრეულ შენობაში სუფთა ჰაერზე. აქ კი სადგომი პატარა და დახურული იყო, გარდა ამისა, აქ ათეულობით წელი არავის ეცხოვრა, რის გამოც ჰაერი აშმორებულიყო, რაც გულისრევას იწვევდა.

ჩვეულებრივ პირობებში ასეთი სიმყრალე გვაიძულებდა, თავი დაგვენებებინა ამ საქმისათვის, მაგრამ ეს უჩვეულო შემთხვევა იყო, ხოლო მიზანი, რომლისკენაც მივისწრაფოდით, ძალას გვმატებდა, რაც უბრალო ფიზიკურ უსიამოვნებებზე ძლიერი იყო. ზიზღის პირველი შეტევის შემდეგ ყველა ერთად შევუდექით საქმეს, თითქოს ეს

საზიზღარი ადგილი ვარდების ბაღი იყო. იქაურობა დაწვრილებით დავათვალიერეთ, მანამდე კი პროფესორმა თქვა:

- ჯერ ერთი, უნდა შევამოწმოთ, რამდენი ყუთი დარჩა, შემდეგ უნდა გამოვიკვლიოთ ყოველი ნახვრეტი, ყოველი ჭუჭრუტანა, ყოველი კუთხე, და ვნახოთ, ხომ არ არის რაიმე მინიშნება, რა მოუვიდა დანარჩენ ყუთებს.

ერთი თვალის შევლებაც საკმარისი იყო იმის გასაგებად, თუ რამდენი დარჩა, რადგან მიწიანი ყუთები უზარმაზარი ზომის გახლდათ და შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა.

ორმოცდაათიდან დარჩენილიყო სულ ოცდაცხრა!

თავზარი დამეცა, როცა შევნიშნე, რომ ლორდი გოდალმინგი უეცრად შებრუნდა და ჩაბნელებულ გასასვლელს გახედა, მეც იქით გავიხედე და წუთით გული გამიჩერდა. მომეჩვენა, რომ გრაფის სილუეტს ვხედავდი, რომელიც ჩრდილში ისახებოდა. გარკვევით დავინახე ცბიერი, მკვდრისფერი, კაუჭაცხვირიანი სახე, წითელი თვალებითა და სისხლისფერი ტუჩებით. ეს სულ ერთი წამით გაგრძელდა. ლორდმა გოდალმინგმა თქვა:

- მომეჩვენა, რომ ვიღაცის სახე დავინახე, მაგრამ ეს მხოლოდ ჩრდილების თამაშია.

- და განაგრძო თავისი გამოკვლევა. ჩემი ნათურა მითითებულ მხარეს მივანათე და იქით გავეშურე. არავითარი კვალი არ მინახავს, ხოლო რადგან იქ საყრდენი კედლების გარდა არაფერი შემ-

ხვედრია, შესაბამისად, სამალავიც არსად უნდა ყოფილიყო. ჩავთვალე, რომ ეს ზმანება შიშმა გამოიწვია და ჩემი თანამგზავრებისთვის არაფერი მითქვამს.

რამდენიმე წუთის შემდეგ დავინახე, როგორ დაიწია უკან მორისმა უეცრად იმ კუთხიდან, რომელსაც იკვლევდა. ყველამ ინსტინქტურად მივაბრუნეთ თავი იქითკენ, რადგან ნერვები ერთნაირად გვქონდა დაძაბული და ფოსფორისებური წერტილების მთელი მასა დავინახეთ, რომლებიც ვარსკვლავებივით ციმციმებდნენ. უნებურად ყველამ უკან დავიხიეთ, როცადავინახეთ, რომ ეს კუთხე ვირთხებით იყო სავსე.

ერთი-ორი წუთი უძრავად ვიდექით, შემდეგ ლორდი გოდალმინგი, რომელიც, ალბათ, მომზადებული იყო ასეთი შეხვედრისათვის, უზარმაზარ, რკინით მოჭედილ კართან მივიდა, რომლის გარე მხარე ექიმმა სიუარდმა აღწერა თავის დღიურში, საკეტში გასაღები გადააბრუნა, გამოწია უზარმაზარი ურდულები და ბოლომდე გამოაღო. შემდეგ ჯიბიდან ვერცხლის პატარა სასტვენი ამოიღო და ყურისწამღებად დაუსტვინა. მის საპასუხოდ გარედან ძაღლების ყეფა გაისმადა ერთ წუთში სამმა ფოქსტერიერმა მოირბინა. კარისაკენ გაუცნობიერებლად მივიწიეთ, შემთხვევით შევნიშნე, რომ ამ ადგილას მტვერი თითქმის აღარ იყო: როგორც ჩანს, უკმარი ყუთები ამ გზით გაეტანათ. ამ ერთი წუთის მანძილზე ვირთხების რაოდენობა კიდევ გაიზარდა. ძაღლებმა მათკენ გაიწიეს, მაგრამ სახლის ზღურბლზე შეჩერდნენ, დაიღრინეს, შემდეგ ერთდროულად აიშვირეს ცხვირები და ავბედითად აყმუვლდნენ.

ლორდმა გოდალმინგმა ხელში აიყვანა ერთი ძაღლი, შიგნით შემოიყვანა და ძირს დაუშვა. როგორც კი მისი ფეხები მიწას შეეხო, სიმამაცე დაუბრუნდა და თავის ბუნებრივ მტრებს ეცა. ვირთხებმა

მოკურცხლეს, სანამ ფოქსტერიერი თუნდაც ერთი მათგანის დაგლეჯას მოასწრებდა, ვირთხები ისევე სწრაფად გაქრნენ, როგორც გამოჩნდნენ.

მათი გაუჩინარების შემდეგ თავისუფლად ამოვისუნთქეთ, თითქოს რაღაც დემონურისთვის დაგვეღწიოს თავი. ხალისიანი განწყობა დაგვიბრუნდა. არ ვიცი, ეს რამ გამოიწვია - მკვდარი ატმოსფეროს განიავებამ სამლოცველოს გაღებული კარის წყალობით, თუ იმ შვებამ, რაც სუფთა ჰაერმა მოგვანიჭა. საშინელების ლანდი თითქოს ძველი სამოსივით მოვიშორეთ და ჩვენი მოსვლის მიზანმაც ნაწილობრივ დაკარგა თავისი შემზარავი მნიშვნელობა, თუმცა ჩვენი გადაწყვეტილება ოდნავაც არ შეგვიცვლია. კარი ჩავკეტეთ, ურდულები გადავწიეთ, ძაღლებს თავი მოვუყარეთ და ძიება გავაგრძელეთ. ვერაფერს მივაგენით სქელი მტვრის გარდა, მასში ყველაფერი ხელუხლებელი იყო, ჩემი პირველი ვიზიტის დროინდელი ნაკვალევიც კი. ძაღლებს ერთხელაც არ გამოუხატავთ შიშის რაიმე ნიშანი და როცა სალოცავს დავუბრუნდით, ჩვენს გარშემო ისე აფანცქალდნენ, თითქოს კურდღლებზე სანადიროდ ემზადებოდნენ.

აღმოსავლეთით აისი უკვე ალისფრად ენთო, როცა გარეთ გამოვედით, ექიმმა ვან ჰელსინკმა ასხმიდან შესასვლელი კარის გასაღები ამოაძრო, დაკეტა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო.

- აქამდე, - თქვა მან, - ძალიან ძნელი ღამე გვქონდა. ჩვენ თავიდან ავიცილეთ ყოველგვარი გართულება, რისიც ძალიან მეშინოდა და, ამავე დროს გავიგეთ, რამდენი ყუთი აკლია. ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ ეს პირველი - და შესაძლოა უძნელესი და ყველაზე საშიში - ნაბიჯი განხორციელდა ჩვენი ძვირფასი მადამ მინას გარეშე, მისი ძილის გატეხვისა და სხვადასხვა საშინელებით გამოწვეული უძილობის გარეშე, რაც შეიძლებოდა არასოდეს დაევიწყებინა.

ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა გვეთქვა „ქიში“ ჭადრაკის იმ პარტიაში, რომელსაც ადამიანური სულების გადასარჩენად ვთამაშობთ, ახლა კი შინ წავიდეთ. განთიადი ახლოვდება, პირველი ღამის მუშაობით შეიძლება კმაყოფილები ვიყოთ.

როცა დავბრუნდით, ყველაფერი მშვიდად იყო.

მე ფეხაკრეფით შევედი ჩვენს ოთახში. მინას ეძინა და ისე ჩუმად სუნთქავდა, რომ მის გასაგონად დახრა მომიხდა. იგი ჩვეულებრივზე ფერმკრთალია. იმედი მაქვს, რომ დღევანდელმა შეკრებამ მასზე ცუდად არ იმოქმედა. პროფესორის მადლობელი ვარ იმის გამო, რომ მინა ჩვენი მომავალი სამუშაოსა და თათბირების სფეროდანაც კი გამორიცხა. ზოგიერთი რამ შეაშფოთებდა მის სმენას და, ამავე დროს მათი დამალვა, შესაძლოა, უარესი ყოფილიყო, ვიდრე გამხელა, თუკი ის იეჭვებდა, რომ რაღაცას უმალავდნენ. ამიერიდან ჩვენი მუშაობა მისთვის აკრძალული წიგნი უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში მანამდე, სანამ არ შევძლებთ ვუთხრათ, რომ ყველაფერი დამთავრდა და რომ დედამიწა გათავისუფლდა მიწისქვეშა სამყაროს ურჩხულისაგან.

1-ლი ოქტომბერი. მოგვიანებით.

სრულიად ბუნებრივია, რომ დიდხანს ვიძინეთ, რადგან გუშინდელი დღე მთლიანად მუშაობას მოვანდომეთ და არც ღამეს მოუტანია შვება. თითქოს მინასაც კი შეეხო გუშინდელი დღის დაქანცულობა, იმიტომ, რომ თუმცა მე თვითონ ლამის შუადღემდე მეძინა, მაინც მასზე ადრე ავდექი და შემდეგ ძლივს მოვახერხე მისი გაღვიძება. ისე მაგრად ეძინა, რომ გაღვიძებულმა უცებ ვერც მიცნო და გამო-

უთქმელი შიშით შემომხედა, როგორც კოშმარის მერე ხდება ხოლმე. იგი ოდნავ უჩიოდა დაღლას და მეც არ შემიშლია მისთვის ხელი დასვენებაში.

ექიმ სიუარდის დღიური

1-ლი ოქტომბერი.

შუადღეზე პროფესორმა გამაღვიძა. იგი ჩვეულებრივზე მხიარული და ხალისიანი იყო. ალბათ, წუხანდელი მუშაობის შედეგებით რაღაც საკითხები გაარკვია და ცოტა შვებით ამოისუნთქა. დღევანდელ ღამესთან დაკავშირებით უცებ მითხრა:

- შენი ავადმყოფი ძალიან მაინტერესებს. შეიძლება, ერთად ვეწვიოთ? მაგრამ თუ ძალიან დაკავებული ხარ და საწინააღმდეგო არაფერი გაქვს, მარტოც შემიძლია მივიდე, ჩემთვის სიახლეა - შეშლილი, რომელიც ფილოსოფოსივით საუბრობს და ასე საღად მსჯელობს.

მე სასწრაფო სამუშაო მქონდა. ვუთხარი, მოხარული ვიქნები, თუ მარტო მიხვალ, ამ შემთხვევაში ჩემი ლოდინი არ მოგიწევს-მეთქი, შემდეგ სანიტარი გამოვიძახე და ყველაფერი ავუხსენი.

მუშაობა გავაგრძელე და მალე დავამთავრე კიდეც. როგორც ჩანს, დრო მართლაც ძალიან სწრაფად გავიდა, რადგან ვან ჰელსინკმა დაბრუნება მოასწრო.

- ხელს ხომ არ შეგიშლი? - თავაზიანად მკითხა კარში მდგომმა.

- არანაირად, - ვუპასუხე მე - შემოდი. მუშაობა დავამთავრე, თავისუფალი ვარ. ახლა შემიძლია წამოგყვე, თუ გსურს.

- აღარ არის საჭირო - ვნახე!

- აბა?

- ვშიშობ, რომ ჩემზე არც ისე მაღალიაზრისაა. ჩვენი შეხვედრა ხანმოკლე აღმოჩნდა, როცა ოთახში შევედი, სკამზე იჯდა და იდაყვებით მუხლებს ეყრდნობოდა, სახეზე პირქუში დაუკმაყოფილებლობა ეხატა. რაც შეიძლება მხიარულად მივმართე და, რამდენადაც შემეძლო, პატივისცემით. მან არაფერი მიპასუხა. ნუთუ ვერ მცნობთ-მეთქი, ვკითხე მე. მისმა პასუხმა ნაკლებად დამამშვიდა: „ძალიან კარგად გიცნობთ: თქვენ ბებერი ბრიყვი, ვან ჰელსინკი ბრძანდებით. მინდა, რომ თქვენს იდიოტურ თეორიებთან ერთად აქედან მოშორდეთ. წყეულიმც იყოს ყველა სქელკანიანი ჰოლანდიელი“. მეტი აღარაფერი უთქვამს, იჯდა შუბლშეკრული, უშფოთველად და ჩემდამი ისეთი გულგრილობით, თითქოს ოთახში საერთოდ არც ვიყავი. ამჯერად ასე დავკარგე შანსი რამე მესწავლა ამ ბრძენი უგუნურისაგან, ამიტომ გადავწყვიტე წავიდე და, თუ შესაძლოა, გული გადავაყოლო ჩვენს მშვენიერ მადამ მინასთან სასიამოვნო საუბარში. უზომოდ მიხარია, რომ მას აღარ შეაშფოთებს ეს საშინელებები. თუმცა ჩვენ კი ძლიერ დაგვაკლდება მისი საზოგადოება, მაგრამ მაინც ასე ჯობს.

მინა ჰარკერის დღიური

1-ლი ოქტომბერი.

ჩემთვის ცოტა უჩვეულოა ბინდბუნდში ვიმყოფებოდე ჯონათანის სრული ნდობის ამდენი წლის შემდეგ, ვხედავდე, განზრახ როგორ გაურბის იგი საუბრებს ჩემთვის ყველაზე საინტერესო თემებზე. გუშინდელი ქანცისგამწყვეტი დღის შემდეგ დიდხანს მეძინა, და თუმცა ჯონათანსაც ღრმად ეძინა, მაინც ჩემზე ადრე ადგა. სანამ წავიდოდა, ისე ნაზად და ალერსიანად მელაპარაკა, როგორც არასდროს, მაგრამ ერთი სიტყვაც არ დასცდენია იმის შესახებ, რა შეემთხვათ გრაფის სახლში, არადა უნდა სცოდნოდა, როგორ ვღელავდი. საყვარელი, საბრალო ბიჭი. ალბათ, ამან ძალიან გაანერვიულა. ისინი ხომ შეთანხმდნენ, რომ ჩემთვის უკეთესია შორს ვიყო ამ სამუშაოსაგან, და მეც დავთანხმდი. მაგრამ როგორი ასატანია, როდესაც ხვდები, რომ რაღაცას გიმალავენ!

მაგრამ რა გაეწყობა - ოდესმე ჯონათანი ყველაფერს მიამბობს. მე კი იმისათვის, რათა არ იფიქროს, რომ რაიმეს ვუმალავ, ძველებურად გავაგრძელებ ჩემს დღიურს. თუ რაიმეში დაეჭვდება, დღიურს ვუჩვენებ, რომელშიც ჩემი ყოველი აზრი წერია, რათა მისმა ძვირფასმა თვალებმა წაიკითხონ. დღეს ძალზე დარდიანი ვარ და სასოწარკვეთილი. ალბათ, ეს საშინელი მღელვარების ბრალია.

წუხელ, როდესაც ყველა წავიდა, დასაძინებლად დავწექი, უბრალოდ იმიტომ, რომ მათ ასე დამიბარეს. ძილი არ მეკარებოდა და მოუთმენლად ველოდი გამეგო, როგორ მიდიოდა მათი საქმეები. ყველაფერი მახსენდებოდა, რაც მოხდა ლონდონში ჩემი და ჯონათანის შეხვედრის შემდეგ, და ეს ყველაფერი ბედისწერის საშინელ ტრაგედიად მესახება, რასაც შეუბრალებლად მივყავართ რაღაც დასასრულისაკენ. უაითბიში რომ არ ჩავსულიყავი, ძვირფასი, საბრალო ლუსი ახლა ჩვენთან იქნებოდა. მას არავითარი სურვილი არ ჰქონდა, სასაფლაოზე წასულიყო, სანამ მე არ მივედი. იქ ჩემთან ერთად დღისით რომ არ მისულიყო, იქაურობა მძინარესაც ვერაფრით

მიიზიდავდა და ურჩხულიც ვერაფერს დააკლებდა. ოჰ, რატომ წავედი უაითბიში!

კარგად არ მახსოვს, როგორ ჩამეძინა. მახსოვს მხოლოდ, რომ უეცრად ძაღლების ყეფა და მრავალი უცნაური ხმა მომესმა ზუსტად მისტერ რენფილდის ოთახიდან, რომელიც ჩემს ქვემოთ მდებარეობს, ვიღაცამ ხმამაღლა დაუკრა გამები. შემდეგ სრული დუმილი ჩამოვარდა, იმდენად ღრმა, რომ ძალზე განმაცვიფრა: ავდექი და ფანჯარაში გავიხედე. ყველაფერი ბნელი და მდუმარე იყო, პირქუში და გაქვავებული, ასე რომ, თეთრი ნისლის წვრილი ზოლი, რომელიც ნელა მოცოცავდა ბალახზე სახლისაკენ, ერთადერთი ცოცხალი წერტილი იყო ბუნებაში. მე ვფიქრობ, რომ სევდიანი აზრების უკუგდება სასარგებლო გამოდგა, რადგან როდესაც საწოლს დავუბრუნდი, ვიგრძენი, როგორ მომერია ძილი.

ერთხანს მშვიდად ვიწექი, მაგრამ ვერაფრით დავიძინე, ამიტომ ისევ ავდექი და ფანჯრიდან გადავიხედე. ნისლი ახლა ზუსტად სახლთან გაშლილიყო, ასე რომ, შემეძლო დამენახა, როგორ იწვა იგი კედლებთან, თითქოს ფანჯრებს ეპარებაო. უბედური რენფილდი კიდევ უფრო მეტად ხმაურობდა თავის ოთახში და თუმცა მე მის ვერც ერთ სიტყვას ვერ ვარჩევდი, ამ ბგერებში მაინც შევნიშნე უცნაური მუქარა. შემდეგ ჩხუბის ხმა გავიგონე და მივხვდი, რომ ის სანიტრებს ებრძოდა. ისე შემეშინდა, რომ საწოლში ჩავწექი, თავზე საბანი გადავიფარე და ყურებზე ხელები ავიფარე. მაშინ სულაც არ მინდოდა ძილი - ყოველ შემთხვევაში, ასე ვფიქრობდი - მაგრამ, ალბათ, მაშინვე ჩამეძინა, რადგან არაფერი მახსოვს, გარდა სიზმრებისა და იქამდემეძინა, სანამ დილით ჯონათანმა არ გამაღვიძა. რაღაც დრო დამჭირდა იმის გასარკვევად, სად ვიყავი და ვინ იყო ჩემ გვერდით. ძალიან საშინელი სიზმარი მესიზმრა. უცნაურია, რომ მასში უჩვეულო სახით აისახა ის, რაზეც ბოლო ხანებში ვფიქრობდი.

მეჩვენებოდა, რომ მძინავს და ჯონათანს ვუცდი. მასზე ვღელავდი, მაგრამ არაფრის გაკეთება არ შემეძლო, რადგან ხელები, ფეხები და ტვინი საშინლად დამძიმებული მქონდა. ამრიგად, შფოთიანად მეძინა და ვფიქრობდი. შემდეგ მომეჩვენა, რომ ჰაერი მქისე, ნესტიანი და ცივი გახდა. სახიდან საბანი გადავიძრე და, ჩემდა გასაოცრად, დავინახე, რომ გარშემო ყველაფერი გაუფერულდა. აირმაშუქი,რომელიც ანთებული დავტოვე ჯონათანისთვის, ციცქნა, წითელ ნაპერწკალს ჰგავდა ერთიან ნისლში, რაც, როგორც ჩანდა, უფრო შესქელდა და ოთახში შემოაღწია. მაშინ გამახსენდა, რომ ფანჯარა ღია დამრჩა, სანამ დასაძინებლად დავწვებოდი. ამაში დასარწმუნებლად ფანჯარასთან მინდოდა მისვლა, მაგრამ რაღაც ლეთარგიულმა ძილმა ფიზიკურადაც შემბოჭა და სულიერადაც. თვალები დავხუჭე, მაგრამ ქუთუთოებს შორის შემეძლო დამენახა (საოცარია, როგორ ოინებს გვიწყობენ ხოლმე სიზმრები და როგორი ფანტაზიორობა შეგვიძლია მათ შესაბამისად). ნისლი სულ უფრო სქელდებოდა და ახლა უკვე ვარჩევდი, როგორ იჭრებოდა იგი ოთახში. ნისლი კვამლისა და ორთქლის ბოლქვების სახით ფანჯრიდან კი არ შემოდიოდა, არამედ ჭუჭრუტანიდან. ნისლი კიდევ უფრო შესქელდა და შეგროვდა ღრუბლის სვეტის სახით, რომლის წვერშიც აირმაშუქის სინათლე შემეძლო გამერჩია, რაც წითელი თვალივით ენთო. თავბრუ მესხმოდა და ოთახში ღრუბლის კოლონაც ბრუნავდა. მაგრამ უეცრად ჩემ თვალწინ მაშუქის ალი გაორმაგდა და აციმციმდა, როგორც მომეჩვენა, ორი წითელი თვალივით, იმის მსგავსად, როგორც ლუსიმ მიამბო ჩვენი ერთ-ერთი სეირნობის დროს, როცა ჩამავალმა მზემ გაანათა წმინდა მარიამის ეკლესიის ფანჯრები კლდეზე. უცებ შეშინებულს გამახსენდა, რომ ჯონათანმა ზუსტად ასევე დაინახა ის საშინელი ქალები, რომლებიც მთვარის შუქში მოფარფატე ნისლისგან რეალურ ქმნილებებად იქცნენ, და, ალბათ, ძილში ცუდად გავხდი, რადგან ყველაფერი ბნელ ნისლად

გადაიქცა. გონების ბოლო გამონათება იყო მეწამულ-თეთრი სახის ფანტასტიკური ზმანება, რომელიც ნისლში გამოისახა. ამგვარ სიზმრებს ფრთხილად უნდა მოვეკიდო, რადგან მათ შეუძლიათ გონებას ავნონ კიდეც, თუკი მეტისმეტად ხშირად განმეორდებიან. შემეძლო მეთხოვა ექიმ ვან ჰელსინკისათვის ან ექიმ სიუარდისათვის, რამე გამოეწერათ უძილობის საწინააღმდეგოდ, მაგრამ მათი შეშინება არ მინდა, რადგან ახლა ისედაც საკმაოდ ღელავენ ჩემზე. ვეცდები დღეს კარგად გამოვიძინო. თუ ვერ მოვახერხებ, ვთხოვ ქლოროფორმის დოზა მომცენ. ის არ მავნებს, თუკი ბოროტად არ გამოვიყენებ, მაგრამ ღამის კარგ ძილს მომგვრის. წუხანდელი ძილი უძილობაზე უფრო მეტად დამღლელი აღმოჩნდა.

2 ოქტომბერი, 10 საათი.

წუხელ სიზმრების გარეშე მეძინა. ვერ გავიგე, ჯონათანი როდის დაბრუნდა, მაგრამ ძილმა ვერ გამომაკეთა, რადგან დღეს საშინელ სისუსტეს და სასოწარკვეთილებას ვგრძნობ. მთელი გუშინდელი დღე ვცდილობდი რამე წამეკითხა, ან ვიწექი და ვთვლემდი. დღისით მისტერ რენფილდმა ჩემთან შეხვედრის ნებართვა ითხოვა. საბრალო ადამიანი - იგი ძალიან მორიდებული იყო, ხოლო დამშვიდობების წინ ხელზე მეამბორა და დამლოცა. ამან ჩემზე ძალიან იმოქმედა - ვტირი, როცა ეს მახსენდება. ამის დანახვაზე ჯონათანი ძალიან ინერვიულებდა. მათ გასამხნევებლად ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო, და ამან მეც დიდი სარგებლობა მომიტანა - ჩემი დაღლილობა სულ დამავიწყდა. ვახშმის შემდეგ დასაძინებლად გამგზავნეს, თვითონ კი ყველანი ერთად წავიდნენ, როგორც თქვეს, მოსაწევად, მაგრამ მე ვიცი, რომ ერთმანეთისთვის მთელი დღის შთაბეჭდილებების გაზიარება უნდოდათ. ჯონათანს შევატყვე, რომ მათთვის რაღაც მნიშვნელოვანის გამხელა სურდა. სულაც არ მეძინებოდა, ამიტომ ვთხოვე ექიმ სიუარდს რაიმე საძილე საშუალება

მოეცა, რადგან გასულ ღამეს ცუდად მეძინა. ის იმდენად კეთილია, რომ თვითონ მომიმზადა საძილე ფხვნილი, გადმომცა და მითხრა, რომ ის არაფერს მავნებდა. მეც მივიღე და დაძინებას ველოდები, მაგრამ, ჯერჯერობით, ამაოდ. იმედი მაქვს, რომ სწორად მოვიქეცი: ძილთან ერთად შიშიც მეძალება, ზოგჯერ ვფიქრობ, რომ სისულელეს ჩავდივარ, როცა თავს გაღვიძების საშუალებას ვართმევ: სულ ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ეს შეიძლება დამჭირდეს... მაგრამ უკვე თვალები მეხუჭება. ძილი ნებისა!

თავი მეოცე

ჯონათან ჰარკერის დღიური

1-ლი ოქტომბერი. საღამოს.

თომას სპელინგს ჩემთან, ბეტნალ გრინში მივუსწარი, მაგრამ, საუბედუროდ, იგი ისეთ დღეში იყო, რომ არაფრის გახსენება არ შეეძლო. მისი ცოლისგან მაინც შევიტყვე, რომ სპელინგი მხოლოდ სმოლეტის თანაშემწე იყო, რომელიც ფირმის პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს, ასე რომ, გადავწყვიტე, უოლვორფში წავსულიყავი. მისტერ ჯოზეფ სმოლეტს შინ მივუსწარი. იგი ძალიან მორიდებული და ჭკვიანი კაცია, კარგი, კეთილსინდისიერი და გონიერი მუშაკი. მას ზუსტად ახსოვდა ყუთებთან დაკავშირებული მთელი ინციდენტი, შარვლის რაღაც იდუმალი ადგილიდან უბის წიგნაკი ამოიღო უცნაური შესაკრავებით, რომელშიც ფანქრით შესრულებული ნახევრადწაშლილი იეროგლიფური ჩანაწერები აღმოჩნდა. მან მითხრა, სადაც მიიტანეს ყუთები.

- სულ ექვსი იყო, - მითხრა მან, - იმ ურემზე, რომელიც კარფაქ-სში მივიღე და ჩავაბარე ნომერ 197-ე სახლში ჩიქსენდ-სთრითზე, მეილ-ენდ-ნიუ-თაუნში, ხოლო ამას გარდა, კიდევ ექვსი ცალი - ბერ-მონდსში.

სმოლეტს ნახევარი სოვერენი მივეცი და ვკითხე, კიდევ თუ იქნა გატანილი ყუთები კარფაქსიდან-მეთქი.

მან მიპასუხა:

- ჩემ მიმართ ისეთი კეთილი ბრძანდებით, რომ ყველაფერს გი-ამბობთ, რაც ვიცი. რამდენიმე დღის წინ გავიგონე, როგორ ამბობდა ვინმე ბლოკსმენი, რომ მან თავის თანაშემწესთან ერთად რაღაც ბნელი საქმე მოაგვარა რომელიღაც ძველ სახლში, პერფმოთში. ასეთი საქმეები არც ისე ხშირად გვხვდება და, შესაძლოა, სემ ბლოკსმენმა რაიმე საინტერესო გიამბოთ.

ვუთხარი, თუ მის მისამართს გამიგებ, კიდევ მიიღებ ნახევარ სო-ვერენს-მეთქი. მან სასწრაფოდ დალია ჩაი და ადგა, ახლავე წავა-ლო მის მოსაძებნად, მაგრამ კართან შეჩერდა უცებ და მითხრა:

- მომისმინეთ, ურფოსო, თქვენს აქ დარჩენას აზრი არა აქვს. სე-მი რომ მოვძებნო კიდეც, დღეს მაინც არაფერს გეტყვით. სემი სა-ოცარი კაცია სიმთვრალეში. თუ მარკიან კონვერტს მომცემთ და მას თქვენს მისამართს დააწერთ, მე მოვძებნი სემს და დღეს საღამოსვე მოგწერთ. მაგრამ მოგიწევთ, მასთან დილიდანვე გაემგზავროთ, რადგან სემი ძალიან ადრე დგება და დაუყოვნებლივ გადის სახლი-დან, როგორც არ უნდა დათვრეს წინადღით.

მე მისამართი დავწერე, მარკა დავაწებე, კონვერტი სმოლეტს გადავეცი და შინ წამოვედი. ასე თუ ისე, უკვე კვალს მივყვებით. დღეს ძალიან დავიღალე და მეძინება. მინას მგარად სძინავს, თან ფერმკრთალია და ისეთი სახე აქვს, თითქოს ნამტირალევია. საბრალო, დარწმუნებული ვარ, რომ ეს უცოდინარობა ტანჯავს და ჩვენზე ნერვიულობს. მაგრამ მე მირჩევნია, ახლა ვხედავდე მას გულდაწყვეტილსა და მღელვარეს, ვიდრე მომავალში საბოლოოდ ნერვებაშლილს.

2 ოქტომბერი. საღამოს.

გრძელი, მომქანცველი, საგანგაშო დღე. დილის ფოსტით კონვერტი მივიღე, რომელშიც ქაღალდის ჭუჭყიანი ნაგლეჯი იდო. მასზე ფანქრით, ბატიფეხურად ეწერა:

„სემ ბლოკსმენი, კორკრანსი, 4, პოტერ კორტი, ბარტელსთრითი, უოლვორფი. იკითხეთ გადამზიდავი“.

წერილი მაშინ მივიღე, როცა ჯერ კიდევ ლოგინში ვიწექი და ისე ავდექი, რომ მინა არ გამიღვიძებია. მას დაღლილი სახე ჰქონდა, უფერული და არცთუ მთლად ჯანსაღი. გადავწყვიტე არ გამეღვიძებინა და როცა ახალი ძიებიდან დავბრუნდებოდი, ექსეტერში გამეგზავნა. ჩემი აზრით, შინ, ყოველდღიური საქმიანობით დაკავებული, უკეთ იგრძნობდა თავს, ვიდრე აქ, ჩვენთან, და თანაც სრულ გაურკვევლობაში. ექიმ სიუარდს შევხვდი და ვუთხარი სადაც მივდიოდი, შევპირდი, მალე დავბრუნდები და ყველას გიამბობთ, თუკი რამეს დავადგენ-მეთქი. უოლვორფში გავემგზავრე და მცირეოდენი სიძნელეების შემდეგ მოვნახე პოტერ კორტი და კორკრანსის სახლი. როდესაც ვკითხე ადამიანს, რომელმაც კარი გააღო, გადამზიდავი სად ცხოვრობს-მეთქი, ნახევარ სოვერენად შევიტყვე, რომ მისტერ

ბლოკსმენი, წინადღით კორკრანსში დალეული ლუდის შემდეგ გამოძინებული, უკვე დილის ხუთ საათზე წასულიყო სამუშაოზე პოპლარში. მან ზუსტად არ იცოდა, სად მდებარეობდა ეს ადგილი, მაგრამ რაღაც სასაქონლო საწყობი ახსენა. ამ საცოდავი მონაცემებით გავემართე პოპლარში. დაახლოებით თორმეტ საათზე ხელმოცარული შევედი კაფეში, სადაც რამდენიმე მუშა სადილობდა. ერთერთი მათგანი ამტკიცებდა, ქროს-ენჯელ-სთრითზე ახალ დიდ საწყობს აშენებენო. ეს მაშინვე ცნობად მივიღე. დარაჯთან და მთავარ ნოქართან გასაუბრებამ - ორივე ჟღარუნა მონეტებით დავაჯილდოე - ბლოკსმენის კვალზე დამაყენა, იგი საკმაოდ წარმოსადეგი ყმაწვილი აღმოჩნდა, თუმცა საუბარსა და მანერებში ოდნავ უხეში. მე შევპირდი, რომ დღიურ ხელფასს გადავუხდიდი, თუკი სათანადო დახმარებას გამიწევდა. როდესაც ბე მივეცი, მითხრა, კარფაქსიდან პიკადილიზე მდებარე სახლში ორჯერ წავედი და იქ ცხრა, „საოცრად მძიმე“, დიდი ყუთი მივიტანე სპეციალურად დაქირავებული ფორნითო. მე პიკადილიზე იმ სახლის ნომერი ვკითხე, რაზეც მიპასუხა:

- ნომერი, ბატონო, სიმართლე გითხრათ, დამავიწყდა, მაგრამ ის სულ რამდენიმე ნაბიჯზეა დიდი, ახლადაშენებული ეკლესიიდან. სახლი ძველი და მტვრიანია, თუმცა იმ წყეულ სახლთან შედარებით, საიდანაც ყუთებია წამოღებული, მეფის სასახლეა.

- როგორ შეხვედით ამ სახლებში, თუ ისინი ცარიელია?

- პერფლიცზე, სახლში, მოხუცი ბატონი დამხვდა, სწორედ ის დამეხმარაყუთების აწევასა და ფორანზე დაწყობაში. დალახვროს ეშმაკმა, ის ყველაზე ჯანმაგარი აღმოჩნდა, ვინც კი ოდესმე მინახავს, არადა ისეთი ბებერია, ჭაღარა ულვაშებით, და ისეთი გაძვალტყავებული, რომ ჩრდილიც არ დაჰყვებოდა.

ამ სიტყვებმა საშინლად განმაცვიფრა.

- წარმოიდგინეთ, ყუთის ცალი მხარე ისე მსუბუქად ასწია, თითქოს გირვანქა ჩაი იყო, მაშინ, როცა მე კინაღამ სული შემეხუთა და ოფლში გაწურულმა ძლივს ავწიე მეორე ბოლო, არადა, არც მე ვარ გუშინდელი ლაწირაკი.

- პიკადილიზე მდებარე სახლში როგორ შეხვედით? - ვკითხე მე.

- იქაც ის იყო. როგორც ჩანს, ჩემზე ადრე მივიდა და კარიც თვითონ გამიღო, თანაც დამეხმარა, ყუთები წინკარში დამეწყო.

- ცხრავე? - ვკითხე მე.

- დიახ, პირველ ფორანზე ხუთი დავაწყვეთ, მეორეზე - ოთხი. ძალიან მძიმე სამუშაო გამოდგა, და არც მახსოვს, სახლში როგორ მივედი.

- ყუთები წინკარში დატოვეთ?

- დიახ. საკმაოდ დიდი წინკარი იყო, სრულიად ცარიელი.

კიდევ ვცადე რაღაც-რაღაცების დაზუსტება.

- გასაღებები გქონდათ?

- მე არც გასაღებები მჭირდებოდა და არც არაფერი, იმიტომ, რომ ბებერმა თვითონ გააღო კარი და ბოლოსაც თვითონ დაკეტა, როცა ყველაფერი გადავიტანეთ. ზუსტად არ მახსოვს ყველაფერი - ეს წყეული ლუდი!..

- სახლის ნომერი შეგიძლიათ, გაიხსენოთ?

- არა, სერ, მაგრამ მას ადვილად იპოვით. ეს მაღალი სახლია, ქვის ფასადითა და თაღით ზედა მხარეს. კარის წინ მაღალი საფეხურები აქვს. ეს საფეხურები კარგად მახსოვს, მასზე მივათრევდი ყუთებს სამ მაწანწალასთან ერთად, რომლებსაც ერთი სული ჰქონდათ, ხელის ქირა მიეღოთ. ბებერმა მათ თითო შილინგი დაურიგა, ეცოტავათ და კიდევ მოითხოვეს, მაშინ ბებერმა ერთ მათგანს მხარში ჩაავლო ხელი და კიბიდან დაუპირა დაგორება, მხოლოდ ამის შემდეგღა გაეცალნენ იქაურობას ლანძღვა-გინებით.

ჩავთვალე, რომ საკმარისი ინფორმაცია მქონდა იმ სახლის მოსაძებნად, ჩემს ახალ მეგობარს ამ ცნობებისათვის სათანადოდ გადავუხადე და პიკადილიზე წავედი. თავში ერთმა აზრმა გამიელვა: გრაფს ხომ თვითონ შეეძლო წაეღო ეს ყუთები - თუ ასეა, უნდა ავჩქარდე, რადგან ეს ნებისმიერ მომენტში შეუძლია გააკეთოს-მეთქი.

პიკადილის ცირკთან ქები გავუშვი და გზა ფეხით განვაგრძე. თეთრი ეკლესიის მახლობლად სახლი დავინახე, რომელიც ბლოკსმენის მიერ აღწერილს ჰგავდა. სახლი ისე გაპარტახებულად გამოიყურებოდა, თითქოს მასში უკვე დიდი ხანია, აღარავინ ცხოვრობდა.

სახლს უკანა მხრიდან შემოვუარე, იმ იმედით, რომ შეიძლებოდა კიდევ რაღაც ამომეცნო. იქ თოლიები დაფარფატებდნენ. პიკადილიზე გამვლელ პოლისმენს ვკითხე, რამე ხომ არ შეეძლო ეთქვა ცარიელ სახლზე. იგი, საბედნიეროდ, საკმაოდ ენაწყლიანი აღმოჩ-

ნდა და მითხრა, ხმების თანახმად, სახლი ახლახან დაიკავესო, მაგრამ ზუსტად არ იცოდა, ვინ. მან ისიც მითხრა, რომ ადრე აქ განცხადება იყო გამოკრული სახლის გაყიდვის შესახებ და რომ, შესაძლოა, მითჩელსა და ქენდის - აგენტებს, რომლებიც ამ სახლს ჰყიდდნენ - შეუძლიათ ამასთან დაკავშირებით რამე ცნობები მოგაწოდონ, რადგანაც, განცხადებიდან მახსოვს ამ ფირმის სახელიო. მე ვცდილობდი, არ გამემჟღავნებინა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის ეს ყველაფერი, მას მხურვალე მადლობა გადავუხადე და გზა განვაგრძე. დაბინდდა, შემოდგომის საღამო ახლოვდებოდა, ასე რომ, არ მინდოდა დროის დაკარგვა. სამისამართო წიგნში მითჩელისა და ქენდის მისამართი მოვძებნე და დაუყოვნებლივ გავემართე მათი კანტორისკენ, სექვილ-სთრითზე.

ბატონი, რომელიც მე დამხვდა, უჩვეულოდ თავაზიანი გამოდგა, მაგრამ ამდენადვე უცხვირპირო. მითხრა, სახლი პიკადილიზე გაყიდულიაო და ამით ეს საკითხი ამოწურულად ჩათვალა. როცა ვკითხე, ვინ იყიდა-მეთქი, მომაშტერდა, მცირე ხნით დადუმდა და მიპასუხა:

- ის გაყიდულია, სერ.

- გთხოვთ, მომიტევოთ, - ვუთხარი ასევე თავაზიანად, - მაგრამ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მიზეზებიდან გამომდინარე, ჩემთვის აუცილებელია ვიცოდე, ვინ იყიდა იგი.

ის დადუმდა, შემდეგ წარბები შეიჭმუხნა და ისევ ლაკონურად გაიმეორა:

- ის გაყიდულია, სერ.

- ნუთუ, - ვთქვი მე, - სხვას არაფერს მეტყვით?

- არა, არაფერს, - მიპასუხა მან, - მითჩელისა და ქენდის კლიენტების საქმე საიმედო ხელშია.

კამათს აზრი არ ჰქონდა, ასე რომ, ყოველგვარი გართულების გარეშე გადავწყვიტე, გავცლოდი და მივუგე:

- თქვენი კლიენტები ბედნიერი ხალხია, რომ ასეთი კარგი რწმუნებული ჰყავთ, რომელიც დიდი თავგამოდებით დგას მათი ინტერესების სადარაჯოზე. მე იურისტი ვარ, - და ჩემი სავიზიტო ბარათი მივაწოდე, - ამ შემთხვევაში მე ვმოქმედებ არა უბრალო ცნობისმოყვარეობიდან გამომდინარე, არამედ ლორდ გოდალმინგის დავალებით, რომელსაც რაღაც დეტალები სურს შეიტყოს იმ საკუთრებასთან დაკავშირებით, რაც, როგორც მისთვის გახლდათ ცნობილი, ახლახან იყიდებოდა.

ამ სიტყვებმა საქმის ვითარება შეცვალა: მან უფრო თავაზიანად მიპასუხა:

- რომ შემეძლოს, სიამოვნებით გაგიწევდით სამსახურს, განსაკუთრებით, თუკი ეს ლორდ გოდალმინგს ესაჭიროება. ჩვენ ვასრულებდით მისდავალებას და, სხვათა შორის, რამდენიმე ოთახიც ვიქირავეთ მისთვის, როდესაც იგი ჯერ კიდევ ღირსპატივსაცემი ართურ ჰოლმვუდი იყო. თუ გნებავთ, დაგვიტოვეთ მისი მისამართი, მე ფირმის წარმომადგენლებს მოველაპარაკები ამ საკითხთან დაკავშირებით და, ყოველ შემთხვევაში, დღესვე მივწერ ლორდს. თუ შესაძლებელი იქნება, მე სიამოვნებით გადავუხვევ ჩვენი წესებიდან და მის ბრწყინვალებას საჭირო ცნობებს მივაწვდი.

მას ექიმ სიუარდის მისამართი დავუტოვე და წამოვედი. უკვე დაბნელდა. საკმაოდ დავიღალე და მომშივდა. „აერო-ბრენდ კომპანიში“ ფინჯანი ჩაი დავლიე და მომდევნო მატარებლით პერფლითში გავემგზავრე.

ყველა შინ იყო: მინას დაღლილი და ფერმკრთალი სახე ჰქონდა, მაგრამ ცდილობდა, მხიარული და ალერსიანი ყოფილიყო. გული მეკუმშებოდა, რომ ყველაფერი უნდა დაგვემალა მისთვის და ამით, უნებურად, მღელვარების საბაბი მიგვეცა. მადლობა ღმერთს, ეს ხვალ დამთავრდება.

მეგობრებისთვის არ შემეძლო ჩემი ბოლო აღმოჩენები გამემხილა, დაცდამ მომიწია, სანამ მინა გავიდოდა. ნასადილევს მცირე დრო მუსიკას დავუთმეთ, რათა ცოტა ხნით მაინც დაგვეღწია თავი გარემომცველი საშინელებისათვის, შემდეგ კი მინა საძინებელში გავაცილე და ვთხოვე დაწოლილიყო. ამ საღამოს მინა განსაკუთრებით ალერსიანი და გულისხმიერი იყო და არაფრით არ უნდოდა ჩემი გაშვება, მაგრამ მეგობრებთან ბევრ რამეზე უნდა მესაუბრა და მაინც გავედი. მადლობა ღმერთს, ჩვენი ურთიერთობა არანაირად არ შეცვლილა იმის გამო, რომ ერთმანეთს ყველაფერს არ ვუზიარებდით.

კაბინეტში მეგობრებს ბუხართან მოეყარათ თავი. მატარებელში ყველაფერი ზუსტად ჩავიწერე დღიურში, ასე რომ, მხოლოდ ჩემი ჩანაწერის წაკითხვა დამჭირდა. როდესაც დავამთავრე, ვან ჰელსინკმა თქვა:

- ბევრი გიშრომიათ, მეგობარო ჯონათან. სამაგიეროდ, ახლა, ალბათ, უკვე მყარად დავადექით დაკარგული ყუთების კვალს. თუ

ყოველი მათგანი იმ სახლში მოიძებნება, მაშინ ამ საქმის დამთავრებასაც მალე ვიზეიმებთ, მაგრამ თუ ზოგიერთი იქ არ აღმოჩნდება, ისევ მოგვიწევს ძიების გაგრძელება, სანამ ყველა ყუთს არ ვიპოვით, რის შემდეგაც მხოლოდ ერთი რამ გვრჩება - ვაიძულოთ ეს ნაძირალა, ბუნებრივი სიკვდილით მოკვდეს.

ერთხანს დუმილი ჩამოწვა, რომელიც მისტერ მორისმა დაარღვია:

- მითხარით, ამ სახლში როგორ მოვხვდებით?

- პირველში ხომ შევაღწიეთ, - სწრაფად მიუგო ლორდმა გოდალმინგმა.

- ართურ, აქ დიდი განსხვავებაა. კარფაქსში კარი შევამტვრიეთ, მაგრამ მაშინ ღამე და კედელივით ჩამოფარებული პარკი გვიფარავდა. პიკადილიზე გაცილებით ძნელი იქნება, სულ ერთია, დღისით თუ ღამით. ძალიან ვეჭვობ, იქ შეღწევა მოვახერხოთ, თუ ეს ბატისტვინა აგენტი რამე გასაღებს არ გადმოგვცემს. შესაძლოა, ხვალ მისგან წერილი მივიღოთ, მაშინ ყველაფერი გაირკვევა.

ლორდი გოდალმინგი მოიღუშა და პირქუშად დაიწყო ოთახში ბოლთის ცემა. შემდეგ თანდათან შეანელა ნაბიჯები, გაჩერდა და თითოეულს რიგრიგობით მოგვმართა:

- ქვინსი სავსებით სწორად მსჯელობს. შენობის გატეხა მეტისმეტად სერიოზული რამაა. ერთხელ მშვენივრად გამოვიდა, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე უფრო რთულადაა, გრაფის სახლის გასაღებს თუ არ ვიპოვით.

რადგან დილამდე ვეღარაფერს გავაკეთებდით და მითჩელის წერილისთვის უნდა დაგვეცადა, გადავწყვიტეთ მეორე დღემდე მცირე შესვენება მოგვეწყო. საკმაოდ დიდხანს ვისხედით, ვეწეოდით, ვიხილავდით ამ საკითხს ყოველი მხრიდან და ბოლოს დავიშალეთ. შემთხვევით ვისარგებლე და ყველაფერი ჩავიწერე დღიურში. ახლა ძალიან მეძინება, წავალ და დავწვები.

ექიმ სიუარდის დღიური

1-ლი ოქტომბერი.

რენფილდი ისევ მაშფოთებს, განწყობა ძალიან სწრაფად ეცვლება, არც კი ვიცი ამის მიზეზი - ეს ძლიერ მაინტერესებს. როცა დღეს დილით მასთან შევედი, მას შემდეგ, რაც ვან ჰელსინკი გამოაგდო, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს მსოფლიოს მბრძანებელი იყო. იგი მართლაც მბრძანებელია, მაგრამ ძალზე თავისებური. თითქმის არაფერი აინტერესებს, ზევსივით ოლიმპზე იმყოფება და საცოდავ მოკვდავთ იქიდან დასცქერის. გადავწყვიტე, შემთხვევით მესარგებლა და მისგან რაღაც-რაღაცები გამეგო.

ძალზე ხანგრძლივი საუბრიდან, - ამასთან, იგი საოცრად საღად და გააზრებულად ლაპარაკობდა, - მე გამოვიტანე შემდეგი დასკვნა: რენფილდს მტკიცედ სწამს თავისი წინასწარ დანიშნულება რაღაც უმაღლესი მიზნის მისაღწევად. იგი დარწმუნებულია, რომ ამ მიზანს აუცილებლად მიაღწევსსხვათა სიცოცხლის ხარჯზე... ამ საუბრის ზოგიერთი დეტალი იმდენად ახლოსაა ვამპირებზე ვან ჰელსინკის ნაამბობთან, რომ უნებურად გამიელვა აზრმა რენფილდზე გრაფის ზეგავლენის შესახებ. ნუთუ ასეა? ადრე როგორ არ მომივიდა ასეთი აზრი?

მოგვიანებით.

შემოვლის მერე ვან ჰელსინკთან მივედი და ჩემი ეჭვები გავუმხილე. იგი ძალზე სერიოზულად მოეკიდა ჩემს სიტყვებს, მცირე ხნით დაფიქრდა და მთხოვა, რენფილდთან მიმიყვანეო. როცა შევედით, სახტად დავრჩით: მას ისევ მოებნია თავისი შაქარი. ნამძინარევი შემოდგომის ბუზები ბზუილით შემოდიოდნენ ოთახში. ვცადეთ მასთან წინანდელი საუბარი გაგვება, მაგრამ არავითარი ყურადღება არ მოგვაქცია. ისე ღიღინებდა, თითქოს ოთახში არც ვიყავით, შემდეგ ქაღალდის ნაგლეჯი აიღო და უბის წიგნაკის მსგავსად დაკეცა. ჩვენ ხელცარიელებმა დავტოვეთ იგი.

როგორც ჩანს, ეს მართლაც განსაკუთრებული შემთხვევაა. დღეს გულდასმითუნდა ვადევნოთ თვალყური.

წერილი მითჩელისა და ქენდისაგან ლორდ გოდალმინგს

1-ლი ოქტომბერი.

მოწყალეო ხელმწიფევ!

ბედნიერები ვიქნებით, ნებისმიერ დროს გაგიწიოთ დახმარება. ამ წერილიდან თქვენი ბრწყინვალება პიკადილის #347-ში მდებარე სახლის შესყიდვისა და გაყიდვის წვრილმანებს შეიტყობს. თქვენი ეს სურვილი მისტერ ჰარკერმა გადმოგვცა. გამყიდველები იყვნენ მისტერ არჩიბალდ უინთერ-სიუფილდის რწმუნებულები. მყიდველი - დიდგვაროვანი უცხოელი, გრაფი დე ვილი, რომელმაც პირადად განახორციელა შესყიდვა და მთელი თანხა ნაღდი ფულით გადაიხადა. აი, ყველაფერი, რაც ჩვენთვის ცნობილია.

ვრჩებით თქვენი ბრწყინვალების მონა-მორჩილებად.

მითჩელი და ქენდი.

ექიმ სიუარდის დღიური

2 ოქტომბერი.

გუშინ ღამით დერეფანში კაცი დავაყენე და ვუბრძანე, რენფილდის ოთახიდან გამომავალი არც ერთი ბგერა არ გამორჩენოდა. დავუბარე, რომ დაუყოვნებლივ ეცნობებინა ჩემთვის, თუკი რაიმე უცნაური მოხდებოდა. მას შემდეგ, რაც მისის ჰარკერი დასაძინებლად წავიდა, ჩვენ კიდევ დიდხანს ვმსჯელობდით ჩვენს მოქმედებებსა და აღმოჩენებზე, რაც დღის განმავლობაში გაკეთდა. იმედი გვაქვს, რომ ჰარკერის სიახლეები მნიშვნელოვანი აღმოჩნდება.

ძილის წინ კიდევ ერთხელ მივედი ჩემი პაციენტის ოთახთან და კარის საჭვრეტში გავიხედე. მას ღრმად ეძინა, მისი მკერდი თავისუფლად ადი-ჩადიოდა. დღეს დილით მორიგემ მომახსენა, შუაღამის შემდეგ რენფილდს ძილი გაუტყდა და პაციენტი გამუდმებით ლოცულობდაო. მორიგეს სხვა არაფერი გაუგია. მისი პასუხი რატომღაც საეჭვოდ მომეჩვენა და პირდაპირ ვკითხე, მორიგეობის დროს ხომ არ ჩაგეძინა-მეთქი. თავიდან უარყოფდა, მაგრამ შემდეგ აღიარა, ცოტა ჩამთვლიმაო.

დღეს ჰარკერი თავისი გამოკვლევის გასაგრძელებლად წავიდა, ხოლო ართური და ქვინსი ცხენებს ეძებენ. გოდალმინგი ამბობს, რომ ცხენები ყოველთვის მზად უნდა იყოს, რადგანაც, როცა ჩვენ საჭირო ცნობებს მივიღებთ, მათი ძებნა გვიანი იქნება. ჩვენ სტერილი-

ზაცია უნდა ჩავუტაროთ გრაფის მოტანილ მთელ მიწას მზის ამოსვლასა და ჩასვლას შორის, ამგვარად შევძლებთ თავს დავესხათ გრაფს მისი ყველაზე სუსტი მხრიდან და ჩვენს სიცოცხლესაც ნაკლებად გავრისკავთ. ვან ჰელსინკი ბრიტანეთის მუზეუმში წავიდა ძველი სამედიცინო წიგნების ზოგიერთი ეგზემპლარის სანახავად.

ძველი ექიმები ისეთ რაღაცებს აქცევდნენ ყურადღებას, რასაც მათი მიმდევრები არ აღიარებენ - პროფესორი კუდიანებისა და ეშმაკების წინააღმდეგ საბრძოლველად ეძებს საშუალებებს.

ზოგჯერ მგონია, რომ ყველანი შევიშალეთ და ჩვენ მხოლოდ დამაწყნარებელი პერანგი გვიშველის-მეთქი.

მოგვიანებით.

ისევ შევიკრიბეთ: მგონი კვალს დავადექით და ხვალინდელი სამუშაო, შესაძლოა, დასასრულის დასაწყისი აღმოჩნდეს. მინდოდა მცოდნოდა, რენფილდის სიმშვიდეს ამ ყველაფერთან თუ აქვს რამე საერთო. მისი განწყობა ისე აშკარად შეესაბამებოდა გრაფის მოქმედებებს, რომ ურჩხულის განადგურება შესაძლოა მისთვის დიდი სიკეთე აღმოჩნდეს. თუნდაც უმცირესი წარმოდგენა რომ გვქონდეს იმის შესახებ, რა ხდება მის ტვინში, ჩვენ მნიშვნელოვანი მონაცემები გვექნებოდა. ახლა ის, როგორც ჩანს, დროებით დაწყნარდა...

ასეა კი? ეს ღრიალი, მგონი, მისი ოთახიდან ისმის... ჩემთან დარაჯი მოვარდა და მომახსენა, რენფილდს რაღაც მოუვიდაო. მან გაიგონა, როგორ აყმუვლდა რენფილდი და ოთახში შესვლისას დაინახა, რომ ის იატაკზე პირქვე იწვა, სისხლის გუბეში. მასთან მივდივარ.

თავი ოცდამეერთე

ექიმ სიუარდის დღიური

3 ოქტომბერი.

ნება მიბოძეთ, რამდენადაც მახსოვს, ზუსტად გადმოვცე ყველაფერი, რაც ჩემი ბოლო ჩანაწერის შემდეგ მოხდა. მე უზარმაზარ მნიშვნელობას ვანიჭებ იმას, რომ სწორედ ეს ცნობები იყოს ჩაწერილი ნამდვილი პედანტური სიზუსტით.

როდესაც რენფილდის ოთახში შევედი, იგი მარცხენა მხარით იატაკზე მწოლიარე ვნახე სისხლის ხასხასა გუბეში. ახლოს მივედი, რათა პაციენტი ამეყენებინა და მაშინვე შევნიშნე, რომ მძიმე დაზიანებები ჰქონდა. სახე ისე დალეწოდა, თითქოს იატაკზე სასტიკად არტყმევინესო, მართლაც, სისხლის გუბე სახის ჭრილობებიდან გაჩენილიყო. სანიტარმა, რომელიც მუხლებზე იდგა უძრავი სხეულის გვერდით, როცა დაჭრილი გადავაბრუნეთ, მითხრა:

- მგონი, ზურგშია გადატეხილი. შეხედეთ, მარჯვენა ხელი, ფეხი და სახის მთელი მარჯვენა მხარე პარალიზებულია.

სანიტარი საგონებელში ჩავარდა იმის გამო, თუ როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო. იგი ძალზე ღელავდა და წარბშეკრულმა თქვა:

- ორი რამ არ მესმის. მას შეეძლო სახე გაეტეხა, თუკი იატაკს დაუშენდა. მე მინახავს, როგორ გააკეთა ეს ერთმა ახალგაზრდა ქალმა ევერსფილდის საგიჟეში, სანამ მის გაკავებას მოასწრებდნენ. და ვფიქრობ, მას შეეძლო ასევე ზურგი გაეტეხა, ლოგინიდან რომ გადმოვარდნილიყო მოულოდნელი შეტევის მომენტში. მაგრამ მაინც ვერ მივმხვდარვარ, როგორ შეიძლებოდა ეს ორი რამე მომხდარიყო. თუ ზურგი ჰქონდა გატეხილი, იატაკს თავს ვერ დაუშენდა, ხოლო თუ სახე დაეჩეჩქვა ლოგინიდან გადმოვარდნამდე, მაშინ საწოლზე კვალი უნდა დარჩენილიყო.

- გაიქეცით ექიმ ვან ჰელსინკთან და სთხოვეთ, დაუყოვნებლივ მოვიდეს აქ, ძალიან მჭირდება, - ვთხოვე მე.

სანიტარი გაიქცა და რამდენიმე წუთში ხალათმოსხმული პროფესორიც გამოჩნდა. როცა იატაკზე გაშხლართული რენფილდი დაინახა, ყურადღებით დახედა, შემდეგ მე მომიბრუნდა, თვალებში შემომხედა და მშვიდად წარმოთქვა:

- აჰ, სამწუხარო ამბავია! მას დიდი მზრუნველობით მოვლა სჭირდება. მე თქვენთან დავრჩები, მაგრამ ჯერ ჩავიცვამ. აქ დამელოდეთ, რამდენიმე წუთში დავბრუნდები.

პაციენტი ხრინწიანად სუნთქავდა, ჩანდა, რომ წარმოუდგენლად იტანჯებოდა. ვან ჰელსინკი ძალიან მალე დაბრუნდა ქირურგიული ინსტრუმენტების ნაკრებით.

მან, როგორც ჩანს, მოასწრო ამ შემთხვევის გაანალიზება და რაღაც გადაწყვეტილებაც მიიღო, რადგან პაციენტისთვის არც დაუხედავს, ისე მიჩურჩულა:

- სანიტარი დაითხოვეთ. რენფილდთან მარტო უნდა დავრჩეთ იმ დროისათვის, როცა ოპერაციის შემდეგ გონება დაუბრუნდება.

ვუთხარი:

- ჯერჯერობით საკმარისია, სიმონს. თქვენ ყველაფერი გააკეთეთ, რაც შეგეძლოთ. შეგიძლიათ წახვიდეთ, ხოლო ექიმი ვან ჰელსინკი ოპერაციის სამზადისს შეუდგება. დაუყოვნებლივ მაცნობეთ, თუ რამე უჩვეულო მოხდება.

სანიტარი გავიდა და ჩვენ პაციენტის ყურადღებით გასინჯვას შევუდექით. სახეზე ზედაპირული ჭრილობები აღმოაჩნდა. მძიმე დაზიანებას წარმოადგენდა თავის ქალას საშიში მოტეხილობა თავის მარჯვენა მხარეს. პროფესორი წუთით ჩაფიქრდა და თქვა:

- უნდა ვცადოთ ტვინზე ძვლების დაწოლა შევამციროთ და ნორმალურ მდგომარეობაში მოვიყვანოთ, რამდენადაც ეს შესაძლებელია. სწრაფი სისხლდენა დაზიანების სახიფათო ხასიათს გვიჩვენებს. მთელი მამოძრავებელი სფერო, როგორც ჩანს, დაზიანებულია. სისხლის ჩაქცევა ტვინში სწრაფად გაძლიერდება, ასე რომ, აუცილებელია, სასწრაფოდ შევუდგეთ ოპერაციას, თორემ გვიან იქნება.

ამ დროს კარზე მსუბუქი კაკუნი გაისმა. მე კარი გავაღე და დერეფანში ართური და ქვინსი დავინახე, პიჟამოსა და ფოსტლებში. ართურმა მითხრა:

- გავიგონე, თქვენმა ხელქვეითმა როგორ დაუძახა ექიმ ვან ჰელსინკს და სამწუხარო ამბავი აცნობა. ქვინსი გავაღვიძე, უფრო სწორად, დავუძახე, რადგან არ ეძინა. მეტისმეტად ბევრი უჩვეულო

მოვლენა ხდება ბოლო დროს, რათა ჯანსაღი ძილით დავტკბეთ. აზრად მომივიდა, რომ ხვალინდელი ღამე ბევრ რამეს შეცვლის. შეიძლება, შემოვიდეთ?

უხმოდ დავუქნიე თავი და როცა შემოვიდნენ, კარი დავკეტე. ქვინსიმ პაციენტს მოჰკრა თუ არა თვალი და იატაკზე საშინელი გუბე შენიშნა, იკითხა:

- ღმერთო ჩემო! რა მოუვიდა? საწყალი, საწყალი!

მოკლედ ვუამბე, რაც მოხდა, და ავუხსენი, რატომ გვაქვს იმედი, რომ პაციენტს გონება დაუბრუნდება ოპერაციის შემდეგ... მცირე ხნით, ყოველ შემთხვევაში. ქვინსი გოდალმინგის გვერდით ლოგინზე ჩამოჯდა და მოთმინებით ლოდინი დავიწყეთ.

ჩვენი მოლოდინის წუთები ძალზე ნელა გადიოდა. გული შემეკუმშა და ვან ჰელსინკს სახეზე შევატყე, რომ ისიც არანაკლებ ღელავდა. მეშინოდა იმ სიტყვების, რაც შეიძლებოდა რენფილდს ეთქვა. ფიქრი არ მინდოდა. მთრგუნავდა იმ უცილობელი უბედურების წინათგრძნობა, რომელიც ისე მოიწევდა ჩვენკენ, როგორც ზღვა მოქცევის დროს. საბრალო რენფილდინაწყვეტ-ნაწყვეტ სუნთქავდა, კრუნჩხვებით. ყოველ წუთს გეჩვენებოდა, რომ თვალებს გაახელდა და დაილაპარაკებდა, მაგრამ არაფერი იცვლებოდა. როგორი მიჩვეულიც უნდა ვყოფილიყავი სნეულებებსა და სიკვდილს, ეს მოლოდინი მაინც სულ უფრო მეტად მოქმედებდა ნერვებზე. თითქოს საკუთარი გულისცემა მესმოდა, ხოლო საფეთქლებზე მოწოლილი სისხლი ჩაქუჩივით მიკაკუნებდა ტვინში. დუმილი ძალზე მტანჯველი ხდებოდა. ჩემს ამხანაგებს გადავხედე და მათი ანთებული სახეებითა და დანამული შუბლებით მივხვდი, რომ ისინიც ასეთივე ტანჯვას განიცდიდნენ.

საბოლოოდ, დადგა მომენტი, როდესაც ნათელიგახდა, რომ პაციენტი სწრაფად სუსტდებოდა, იგი ყოველ წუთს შეიძლებოდა, მომკვდარიყო.

პროფესორს შევხედე და მისი დაჟინებული მზერა დავიჭირე. მან თქვა:

- დროის დაკარგვა არ შეიძლება. მის სიტყვებზე მრავალი ადამიანის სიცოცხლეა დამოკიდებული. ოპერაციას ზუსტად ყურის ზემოთ გავაკეთებთ.

ამის მეტი აღარაფერი უთქვამს და ოპერაციას შეუდგა. რამდენიმე წუთი სუნთქვა ისევ ხრინწიანი იყო, შემდეგი ისეთი გაბმული ოხვრა მოჰყვა, თითქოს სადაცაა მკერდი უნდა გაპობოდა პაციენტს. რენფილდმა უეცრად თვალები გაახილა და ცხოველური, უაზრო მზერით მოგვაშტერდა. ეს რამდენიმე წუთს გაგრძელდა შემდეგ მზერა შეურბილდა, სასიამოვნო გაოცების გამომეტყველება გაუჩნდა და შვებით ამოისუნთქა, ოდნავ დაიკრუნჩხა და წარმოთქვა:

- წყნარად ვიქნები, ექიმო. უბრძანეთ მათ დამაწყნარებელი პერანგი გამაძრონ. საშინელი სიზმარი ვნახე და ისე დამასუსტა, რომ განძრევის თავიც არა მაქვს. სახეზე რა მომივიდა? შეშუპებას ვგრძნობ.

მას თავის მობრუნება უნდოდა, მაგრამ ვერ შეძლო და მე მივეხმარე. მაშინ ვან ჰელსინკმა სერიოზული, მშვიდი ტონით მიუგო:

- გვიამბეთ თქვენი სიზმარი, მისტერ რენფილდ!

ამ ხმის გაგონებაზე რენფილდის დალეწილ სახეს სიხარულის ღიმილი გადაეკრა. უცებ იკითხა:

- ექიმი ვან ჰელსინკი? რა კეთილი ბრძანდებით, აქ რომ მოხვედით. წყალი მომეცით, ტუჩები გამიშრა. ვეცდები გიამბოთ... დამესიზმრა, რომ... - იგი დადუმდა, თითქოს გრძნობა დაკარგა.

ქვინსის სწრაფად გადავულაპარაკე:

- არაყი ჩემს კაბინეტშია, ჩქარა!

ის გაიქცა და მალე დაბრუნდა ჭიქით, არყის გრაფინითა და წყლით. პაციენტს დახეთქილი ტუჩები დავუსველეთ და გამოცოცხლდა. როდესაც სრულიად მოეგო გონს, მტანჯველი დარცხვენით შემომხედა, რაც არასოდეს დამავიწყდება, და თქვა:

- თავი არ უნდა მოვიტყუო. ეს სიზმარი კი არა, სასტიკი სინამდვილე იყო.

თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, როცა მზერა ორ ფიგურაზე შეაჩერა, რომლებიც მოთმინებით ისხდნენ ლოგინზე, ისევ განაგრძო:

- ეს რომ არ მჯეროდეს, მაშინ მათი აქ ყოფნა მიმახვედრებდა.

წამით თვალები დახუჭა - არა ტკივილისა თუ მოთენთილობისაგან, არამედ კეთილი ნებით, თითქოს აზრებისთვის უნდოდა თავი მოეყარა. როცა თვალები გაახილა, კიდევ უფრო აჩქარებითა და ენერგიულად ალაპარაკდა:

- სწრაფად, ექიმო, სწრაფად! ვკვდები. ვგრძნობ, რომ სულ რამდენიმე წუთის სიცოცხლე დამრჩა და შემდეგ ისევ სიკვდილს დავუბრუნდები... ან იმას, რაც სიკვდილზე უარესია. კიდევ დამისველეთ ტუჩები არყით. რაღაც უნდა ვთქვა, სანამ მოვკვდები, ანდა სანამ ჩემი საბრალო ტვინი მოკვდება... მადლობელი ვარ... ეს იმ ღამეს მოხდა, როცა გევედრებოდით აქედან გამიშვით-მეთქი - და მას შემდეგ, რაც თქვენ წახვედით. მაშინ არ შემეძლო მეთქვა, რადგან ვგრძნობდი, რომ ენა მქონდა შებორკილი. მაგრამ ამის გამოკლებით ისეთივე ჯანმრთელი ვიყავი, როგორიც ახლა. მე დიდხანს ვიყავი მტანჯველ სასოწარკვეთილებაში მას შემდეგ, რაც თქვენ დამტოვეთ. მეჩვენებოდა, რომ მთელი წლები იყო გასული. და მოულოდნელად სამყარომ მოწყალებით გადმომხედა. ჩემი ტვინი ისევ დამშვიდდა, და მე მივხვდი, სად ვიმყოფებოდი. მესმოდა, როგორ ყეფდნენ ძაღლები ჩვენი სახლის უკან, მაგრამ არა იქ, სადაც ის იყო.

იგი ფანჯარასთან მოვიდა ნისლში, რაც ადრეც ხშირად მინახავს, მაგრამ ამჯერად სული კი არა, ადამიანი იყო, და თვალები ისე უელავდა, თითქოს ბრაზობდა. დავინახე, მისი წითელი პირი ბოროტად როგორ იღიმებოდა, ბასრი, თეთრი კბილები მთვარის შუქზე უკაშკაშებდა. თავიდან არ მინდოდა მისი დაძახება, თუმცა ვიცოდი, რომ ჩემთან შემოსვლა სურდა, ისევე როგორც ყოველთვის. მაშინ მან მაცდუნა, უამრავ რამეს დამპირდა - არა მხოლოდ სიტყვით - იგი მათ ქმნიდა კიდეც.

პროფესორმა შეაწყვეტინა რენფილდს:

- ეგ როგორ?

- აიძულებდა მათ გამოჩენილიყვნენ, ზუსტად ისევე, როგორც ბუზებს ქმნიდა მზის სინათლეზე. უზარმაზარი, მსუქანი, ფრთიანი ბუზები, რომლებიც საფირონივით ელავდნენ, ხოლო ღამით - ვეება პეპლებს, ფრთებზე თავის ქალებითა და გადაჯვარედინებული ძვლებით.

მან ჩურჩული დაიწყო: „ვირთხები, ვირთხები, ვირთხები“. გაჩნდა ასობით, ათასობით, მილიონობით ვირთხა, და ყველა ცოცხალი. და ძაღლები, რომლებიც მათ ანადგურებდნენ, და კატებიც. ყველა ცოცხალი, წითელსისხლიანი, ძაღლები ბნელი ხეების უკან, მის სახლშიც აყმუვლდნენ.

მან ფანჯარასთან მიმიხმო. ავდექი და მივედი, მან კი ხელები აღმართა და თითქოს ვიღაცას ეძახდა, ისე, უხმოდ. ბნელი მასა მოედო ბალახს, რაცუცებ ცეცხლის ალივით გაჩნდა. და როცა მან ხელის მოძრაობით ნისლი მარჯვნივ და მარცხნივ გაყარა, დავინახე, რომ აქ ათასობით ვირთხა დაფუთფუთებდა ისეთივე ცეცხლოვანი თვალებით, როგორც მას ჰქონდა, და ყველა უცებ გაშეშდა. მომეჩვენა, რომ ის ამბობდა: „ყველა ამ სიცოცხლეს შენ გაჩუქებ და კიდევ უფრო მეტს მრავალი საუკუნის მანძილზე, თუ მუხლებზე დაჩოქილი მცემ თაყვანს“. და თვალებზე სისხლისფერი ღრუბელი ამეფარა - და სანამ მოვისაზრებდი, რას ვაკეთებ, ფანჯარა გამოვწიე და ვუთხარი: „შემობრძანდი, ბატონოდა მოძღვარო“. ყველა ვირთხა გაქრა, ის კი ოთახში ფანჯრიდან შემოვიდა, თუმცა სულ რაღაც ერთ დუიმზე გამოვაღე. ისე შემოაღწია, როგორც მთვარის შუქი ატანს უმცირეს ნახვრეტში, - და მთელი თავისი დიდებულებით გამომეცხადა.

რენფილდს ხმა სულ უფრო უსუსტდებოდა, ტუჩები ისევ არყით დავუსველე. ცოტა ხანში ხმა ამოიღო, მაგრამ მისი მეხსიერება თით-

ქოს ძალიან დაღლილიყო ამ ხნის მანძილზე, რადგან თხრობის განახლებისას ძალზე წინ გადახტა. მისი შეჩერება მინდოდა, მაგრამ ვან ჰელსინკმა მიჩურჩულა:

- ხელს ნუ შეუშლით, ნუ გააწყვეტინებთ, უკან დაბრუნება არ შეუძლია და ვეღარ გააგრძელებს, თუ აზრი გაუწყდა.

რენფილდმა განაგრძო:

- მთელი დღე სიახლეებს ველოდებოდი, მაგრამ მას ჩემთვის არაფერი გამოუგზავნია, ასე რომ, როდესაც მთვარე ამოვიდა, მასზე საკმაოდ გაბრაზებული ვიყავი. როცა ისევ ფანჯრიდან შემოძვრა, - თუმცა ის დაკეტილი იყო, ისე, - წინასწარ არც კი დაუკაკუნებია, უკვე ჭკუიდან ვიყავი გადასული. აბუჩად მიგდებდა და მის ფერმკრთალ სახეზე წითელი მოელვარე თვალები ნისლში იკვეთებოდა - და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს გარშემო ყველაფერი მას ეკუთვნოდა, მე კი არაფერი არ ვიყავი. მას ადრინდელი სუნიც არ ჰქონდა, როცა გვერდით ჩამიარა. მისი შეკავება ვერ შევძელი. მხოლოდ მომეჩვენა, თითქოს ოთახში მისის ჰარკერი შემოვიდა და არა ის.

ლოგინზე მჯდომი ორი მამაკაცი რენფილდის უკან დადგა, ასე რომ, მათი დანახვა არ შეეძლო, სამაგიეროდ, მათ უკეთ შეეძლოთ მოესმინათ. ორივე დუმდა, მაგრამ პროფესორი აცახცახდა, სახე კიდევ უფრო მკაცრი გაუხდა. რენფილდმა განაგრძო, ისე რომ არაფერი შეუმჩნევია:

- როცა მისის ჰარკერი დღეს ჩემთან მოვიდა, ისეთი არ იყო, როგორიც ადრე... ჩაი რომ წყლით გააზავო...

მცირე ხნით დადუმდა და შემდეგ განაგრძო:

- მე არ ვიცოდი, რომ მისის ჰარკერი აქ იყო, სანამ არ დაილაპარაკა. იგი ადრინდელზე უფრო სხვანაირად გამოიყურებოდა. მე არ მომწონს ფერმკრთალი ადამიანები, ისეთი ხალხი მიყვარს, ვისაც ბევრი სისხლი აქვს, მას კი თითქოს სისხლი აღარ ჰქონდა. იმ დროს ამაზე არ მიფიქრია, მაგრამ როცა წავიდა, დავფიქრდი და ჭკუიდან გადამიყვანა იმ აზრმა, რომ იგი მასაც სიცოცხლეს ართმევს!

ვიგრძენი, რომ ყველა ისე შეკრთა, როგორც მე, მაგრამ ხმა არ ამოგვიღია.

- ამრიგად, როცა ის დღეს ღამით გამოჩნდა, მე მზად ვიყავი მის მისაღებად. დავინახე, როგორ გაცურდა ნისლი და მაგრად ჩავჭიდე ხელი. გამიგია, რომ გიჟებს ზებუნებრივი ძალა აქვთ. და რადგანაც ვიცოდი, რომ დროდადრო მეც გიჟი ვარ, გადავწყვიტე ჩემი ძალა გამომეყენებინა. ეს თვითონაც იგრძნო, რადგან იძულებული გახდა ნისლიდან გამოსულიყო ჩემთან შესარკინებლად.

მტკიცედ მეჭირა თავი. ვფიქრობდი, რომ ნელ-ნელა ვძლევდი, რადგან არ მინდოდა მისის ჰარკერისთვის სიცოცხლე წაერთმია, მაგრამ როცა მისი თვალები დავინახე, მათ ცეცხლი შემინთეს და ჩემი ძალაც გაქრა. მან ხელი მტაცა, ამწია და ძირს დამანარცხა. წითელი ღრუბელი თვალებზე გადამეფარა, ხმაური გავიგონე, თითქოს მეხი გავარდა, და შევნიშნე, რომ ნისლი კარის ქვემოდან მიიპარებოდა.

ხმა სულ უფრო უსუსტდებოდა, ხოლო სუნთქვა ხრინწიანი უხდებოდა. ვან ჰელსინკი ფეხზე წამოდგა.

- ჩვენ ახლა უარესი ვიცით, - თქვა მან, - ის აქ არის, და ვიცით, რა მიზნით. შესაძლოა, ჯერ კიდევ არ არის გვიან. უნდა შევიარაღდეთ, როგორც იმ ღამეს, დროის დაკარგვა არ შეიძლება, ყოველი წამი ძვირფასია.

ამის შეხსენება არც გვჭირდებოდა, რადგან ისედაც მივხვდით, რა უნდა გვექნა. სასწრაფოდ ჩვენს ოთახებს მივაშურეთ იმ ნივთებისთვის, რითაც გრაფის სახლს ვეწვიეთ. პროფესორს ყველაფერი მზად ჰქონდა და როცა დერეფანში შევიკრიბეთ, მან მრავალმნიშვნელოვნად მიგვითითა მათზე და თქვა:

- ეს ნივთები არასოდეს მტოვებენ და არც დამტოვებენ, სანამ ეს უბედური საქმე არ დამთავრდება. კეთილგონიერება გამოიჩინეთ, ჩემო მეგობრებო. ჩვენ საქმე გვაქვს უჩვეულო მტერთან. ერიჰაა! გაფიქრებაც კი მიმძიმს, რომ მადამ მინას შეიძლება რაღაც შეემთხვეს.

იგი გაჩუმდა. სუნთქვა შეეკრა. გაცოფებისაგან ლამის იყო ჭკუიდან გადავსულიყავი.

მისის ჰარკერის კართან შევჩერდით. ართი და ქვინსი უკან იდგნენ. ქვინსიმ ჩაილაპარაკა:

- უნდა შევაწუხოთ?

- ვალდებული ვართ, ეს გავაკეთოთ, - პირქუშად უპასუხა ვან ჰელსინკმა, - თუ კარი ჩაკეტილია, შევამტვრევ.

- მაგრამ ეს ხომ ძალიან შეაშინებს. აბა, რა წესია ძალით შევიჭრათ ლედის ოთახში.

ვან ჰელსინკმა მკაცრად მიუგო:

- ჩვეულებრივ პირობებში მართალი იქნებოდით, მაგრამ აქ სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი დგას. ექიმისათვის ყველა ოთახი ერთნაირია, ასეც რომ არ იყოს, დღეს მაინც განსაკუთრებული დღეა ჩვენთვის. ჯონ, თუ სახელურს გადავწევ და კარი არ გაიღება, მთელი ძალით მიაწექით. თქვენც ასევე, ჩემო მეგობრებო, აბა...

მან სახელური გადასწია, მაგრამ კარი არდაემორჩილა. ყველა მას მივცვივდით. იგი ჭრიალით გაიღო და კინაღამ ოთახში შევფრინდით. პროფესორი დაეცა კიდეც. და უცებ ვიგრძენი, რომ თმები ყალყზე დამიდგა და გული გამიჩერდა.

მთვარე ისე მკვეთრად ანათებდა, რომ მიუხედავად სქელი, ყვითელი ფარდებისა, ოთახში საკმარისი სინათლე იყო. ჯონათან ჰარკერი საწოლში იწვა, სახეზე ალმური ასდიოდა და მძიმედ სუნთქავდა, თითქოს ციებ-ცხელებამ შეუტიაო. ლოგინის კიდესთან, ფანჯარასთან ახლოს, ჩანდა მუხლებზე დაჩოქილი მისი ცოლის ფიგურა, თეთრ ღამის სამოსში. მის გვერდით შავით მოსილი მაღალი, წარმოსადეგი მამაკაცი იდგა. თავიდან სახე არ უჩანდა, მაგრამ როგორც კი მისი დანახვის საშუალება მოგვეცა, ყველამ ვიცანით გრაფი. მარცხენა ხელი მისის ჰარკერის ორივე მტევნისთვის ჩაევლო, მარჯვენა ხელი მის კეფაზე ედო და აიძულებდა სახით ჯონათანის მკერდს დასწოლოდა. ქალის თეთრი ღამის სამოსი სისხლით იყო დასვრილი, რომელიც წვრილ ზოლად მოწვეთავდა მამაკაცის გაშიშვლებულ მკერდზე, რაც გახეული სამოსიდან ჩანდა. როცა ოთახში შევიჭერით, გრაფი ჩვენკენ შემობრუნდა და ჯოჯოხეთურმა მზერამ, რასაც ასე ხშირად აღწერდნენ, ჩემ თვალწინ გაიელვა. თვალები ჯოჯოხეთური ვნებით უელავდა, ფერმკრთალი, კეხიანი ცხვირის

ნესტოები ებერებოდა და უთრთოდა, ხოლო ბასრი, თეთრი კბილები გასისხლიანებული პირის სქელი ტუჩების მიღმა ველური მხეცის კბილებივით უჭრიალებდა. მან ძლიერი ბიძგით ლოგინზე მოისროლა თავისი მსხვერპლი და ჩვენკენ გამოიწია, მაგრამ ამ დროს პროფესორი უკვე ფეხზე იდგა და წინ გაწვდილ ხელში ნაკურთხი ჯვარცმა ეჭირა. გრაფი უცებ შეჩერდა და უკან დაიხია. იგი სულ უფრო უკან იწევდა, როცა ჩვენი ჯვარცმები აღვმართეთ და მისკენ დავიძარით. მთვარე უცებ დაიმალა, რადგან შავი ღრუბელი გადაეკრა ზეცას და როცა ქვინსიმ გაზი აანთო, ჩვენ მხოლოდ მწვავე კვამლს მოვკარით თვალი. ვხედავდით, როგორ გაიწელა ეს კვამლი კარისკენ. ვან ჰელსინკი და ართი მისის ჰარკერს მიცვივდნენ, რომელმაც ამ დროს ღრმად ამოიოხრა და ისე ხმამაღლა, სულისგამყინავად დაიკივლა, რომ ეს ხმა ახლაც ყურში მიდგას. რამდენიმე წამი იგი გაუნძრევლად იწვა. საშინელი სახე ჰქონდა და მის სიფერმკრთალეს ხაზს უსვამდა სისხლიანი ლაქები ტუჩებზე, ლოყებსა და ნიკაპზე. კისრიდან სისხლი ვიწრო ზოლად ჩამოსდიოდა, თვალებში რაღაც საშინელება ჩაჰყინვოდა. სახეზე თავისი გათეთრებული, გასრესილი მტევნები დაიდო, რომლებზეც ალისფერ ლაქებად აჩნდა გრაფის საშინელი ხელების კვალი: შემდეგ ჩუმი, შესაბრალისი ტირილი გავიგონეთ, რამაც არანაკლებ შეგვძრა, ვიდრე საზარელმა ყვირილმა. იგი გაღვიძებული გონების მხოლოდ პირველი გამოხატულება იყო. ვან ჰელსინკი საწოლთან მივიდა და მინას საბანი გადააფარა, ამასობაში კი ართის ნერვებმა უმტყუნა და ოთახიდან გავარდა.

ვან ჰელსინკმა მიჩურჩულა:

- ჯონათანი გაშეშების მდგომარეობაში იმყოფება, რაც, როგორც ვიცით, შეიძლება ვამპირმა გამოიწვიოს. ჩვენ ვერაფრით დავეხმარებით საბრალო მადამ მინას, სანამ თვითონ არ მოეგება გონს. მე მისი ქმარი უნდა გავაღვიძო.

მან პირსახოცის წვერი ცივ წყალში დაასველა და ჯონათანს სახე დაუზილა. მინას სახეზე ისევე ხელები ჰქონდა აფარებული და ისე ქვითინებდა, რომ გული გვეკუმშებოდა. ფარდა გადავწიე და ფანჯარაში გავიხედე. არემარე მთვარის შუქით იყო განათებული და თვალი მოვკარი, როგორ გაირბინა ქვინსი მორისმა და დიდი ურთხმელის უკან გაქრა. ამ უცნაურმა საქციელმა საგონებელში ჩამაგდო, მაგრამ იმავე წამს ჩემი ყურადღება ჰარკერის კვნესამ მიიპყრო, რომელიც სანახევროდ მოეგო გონს და ლოგინზე გვერდი იცვალა. სახეზე, როგორც მოსალოდნელი იყო, დაბნეულობა ეწერა. რამდენიმე წამი ამ მდგომარეობაში იმყოფებოდა, შემდეგ კი გონება ერთბაშად დაუბრუნდა და აცახცახდა. მისის ჰარკერმა ამის დანახვაზე ქმრისკენ ხელები გაიწვდინა, თითქოს მოხვევა უნდოდა. მაგრამ მაშინვე თავი შეიკავა, სახეზე ხელები აიფარა და ისე აკანკალდა, თითქოს ციებ-ცხელების უძლიერესმა შეტევამ მოუარაო.

- ღვთის გულისათვის, ეს რას ნიშნავს? - შესძახა ჰარკერმა. - ექიმო სიუარდ, ექიმო ვან ჰელსინკ, რა არის ეს? რა მოხდა? რა უბედურებაა? მინა, ძვირფასო, რა მოხდა? ეს სისხლი საიდან? ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! ნუთუ აქამდეც მივიდა! - ფეხზე წამოიჭრა და შმაგად შემოჰკრა ტაში. - ღმერთო მაღალო, გვიშველე, დაეხმარე! ოჰ, დაეხმარე მას!

მან სწრაფად დაიწყო ჩაცმა, მასში დაუყოვნებელი მოქმედების მამაკაცურმა მოთხოვნილებამ გაიღვიძა.

- რა მოხდა? ყველაფერი მიამბეთ! - შესძახა მან პაუზის შემდეგ. - ექიმო ვან ჰელსინკ, ვიცი, რომ გიყვართ მინა. ოჰ, როგორმე უშველეთ! ის ძალიან შორს ვერ წავიდოდა! მოუარეთ, სანამ მას მივაგნებ.

მინამ იგრძნო საფრთხე, რაც მის ქმარს ელოდა, ყველაფერი დაავიწყდა,ჩაებღაუჭა მას და იყვირა:

- არა, არა, ჯონათან, არ უნდა დამტოვო! ამაღამ ისე გავიტანჯე, რომ შენი დარდი გადამიყოლებს. ჩემთან უნდა დარჩე. ჩვენს მეგობრებთან დარჩი, ჩვენთან ერთად!

ქალს შეშლილი სახე ჰქონდა. ქმარმა დაუყვავა დაისიც ვნებიანად მიეკრო კაცს.

ვან ჰელსინკი და მე მათ დამშვიდებას ვცდილობდით. პროფესორმა თავისი ოქროს პატარა ჯვარცმა ასწია და მშვიდად წარმოთქვა:

- ნუ გეშინიათ, ძვირფასო. ჩვენ აქ ვართ და სანამ ეს თქვენ გვერდითაა, ვერავითარი უწმინდური ძალა ვერ მოგეკარებათ. დღეს უსაფრთხოდ ხართ, ჩვენ კი მშვიდად უნდა მოვითათბიროთ, როგორ მოვიქცეთ.

იგი აცახცახდა და გაყუჩდა, თავი ქმრის მკერდში ჩარგო. როცა თავი ასწია, ჯონათანის თეთრი ღამის სამოსი სისხლით იყო დალაქავებული იმ ადგილზე, სადაც ქალის ტუჩები შეეხო და სადაც წვეთები დაეცა კისრის პატარა ჭრილობიდან. მისის ჰარკერმა ამის დანახვაზე ჩუმი ტირილით დაიხია უკან და დაიჩურჩულა:

- უწმინდური, უწმინდური! მას აღარ უნდა შევხებოდი და არ უნდა მეკოცნა! ოჰ, როგორ შეიძლებოდა ეს საშინელება მომხდარიყო! ახლა ხომ მისი დაუძინებელი მტერი ვარ და ჩემი შეხების უნდა ეშინოდეს!

ამაზე ჰარკერმა გადამჭრელი ტონით უპასუხა:

- სისულელეა, მინა! ასეთი რაღაცეების მოსმენისაც კი მრცხვენია. არ მინდა შენგან ეს გავიგო და არც მოგისმენ. უფალმა განმსაჯოს, კიდევ უფრო მწარე ხვედრი მომაგოს, თუ ოდესმე ჩემ გამო ან ჩემი სურვილით რამე ჩადგება ჩვენ შორის!

მან მეუღლეს ხელები მოხვია და მკერდზე მიიკრა, ისიც რამდენიმე ხანს ასე დარჩა და მძიმედ სუნთქავდა. ჰარკერი ნაღვლიანი, ცრემლებით სავსე თვალებით გვიყურებდა, ტუჩებზე მწარე დაცინვა დასთამაშებდა. მცირე ხნის შემდეგ ქალი თითქოს ოდნავ დაწყნარდა, რასაც, როგორც ვგრძნობდი, დიდი ძალისხმევით აღწევდა.

- ახლა კი, ექიმო სიუარდ, - მომმართა ჯონათანმა, - ყველაფერი დაწვრილებით გვიამბეთ, რაც მოხდა. მთავარი ვიცი. წვრილმანები გამიმხილეთ.

მე ზუსტად გადავეცი, რაც მოხდა, და იგი მოჩვენებითი გულგრილობით ისმენდა, მაგრამ ნესტოები აუთრთოლდა, ხოლო თვალები წამოენთო, როცა ვთქვი, გრაფის შეუბრალებელ ხელს როგორ ეჭირა მინა საშინელ მდგომარეობაში, მისი მკერდის ღია ჭრილობაზე მიკრული პირით. როგორც კი თხრობა დავამთავრე, კარზე ქვინსიმ და გოდალმინგმა დააკაკუნეს, ნებართვა ითხოვეს და შემოვიდნენ. ვან ჰელსინკმა კითხვით სავსე მზერით გადმომხედა, თითქოს მეკითხებოდა, გამოვიყენოთ თუ არა მათი მოსვლა მძიმე ვითარების

შესარბილებლადო. დასტურის ნიშნად თავი დავუქნიე, რის შემდეგაც პროფესორმა ჰკითხა, რა ნახეთ და რა მოიმოქმედეთო. ლორდმა გოდალმინგმა უპასუხა:

- იგი ვერც დერეფანში ვნახე, ვერც რომელიმე ჩვენს ოთახში. კაბინეტში ვიყავი, მაგრამ იქიდან უკვე წასულიყო...

უცებ გაჩუმდა და ლოგინზე თავჩაქინდრულ ფიგურას დააშტერდა. ვან ჰელსინკმა ღიმილით წარმოთქვა:

- განაგრძეთ, მგეობარო ართურ! ახლა საიდუმლოებები აღარ გვჭირდება. ისღა გვაიმედებს, რომ ყველას ყველაფერი გვეცოდინება. თავისუფლად ილაპარაკეთ.

ართურმა განაგრძო:

- მან იქ შეაღწია და თუმცა სულ რამდენიმე წამი დაყო, მაგრამ მაინც მოასწრო ყველაფრის განადგურება. ყველა ხელნაწერი დამწვარია და ცისფერი ნაპერწკლები ჯერ კიდევ ციმციმებს ოთახში. თქვენი ფონოგრაფის ცილინდრებიც ცეცხლმა შთანთქა.

აქ მე შევაწყვეტინე:

- მადლობა ღმერთს, რომ ასლი გვაქვს ცეცხლგამძლე კარადაში.

მას წამით სახე გაუნათდა, მაგრამ ისევ მოიღუშა და განაგრძო:

- ქვევით ჩავირბინე, მაგრამ მისი კვალიც არსად იყო. რენფილ-დის ოთახში შევირბინე, იქაც არავითარი კვალი არ ჩანდა, გარდა იმისა...

იგი კვლავ გაჩუმდა.

- განაგრძეთ, - ხრინწიანი ხმით თქვა ჰარკერმა.

მან თავი ჩაღუნა, ენის წვერით ტუჩები დაისველა და თქვა:

- გარდა იმისა, რომ ის საბრალო მოკვდა!

მეჩვენებოდა, რომ ართი რაღაცას მალავდა, მაგრამ რადგანაც ვფიქრობდი, რომ ეს გარკვეული მიზნით კეთდებოდა, არაფერი მითქვამს. ვან ჰელსინკი მორისს მიუბრუნდა და ჰკითხა:

- თქვენ, მეგობარო ქვინსი, რამე სიახლე თუ გაქვთ?

- მცირეოდენი, - უპასუხა მან, - ეს შესაძლოა შემთხვევით მომ-ხდარიყო, თუმცა დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვი. ვიფიქრე, რომ კარგი იქნებოდა გაგვეგო, საით გაემართა გრაფი სახლის დატოვე-ბის შემდეგ. ის ვერ ვიპოვე, მაგრამ დავინახე, რომ რენფილდის ფან-ჯრიდან ღამურა გამოფრინდა და დასავლეთით გაფრინდა. ველო-დი, რომ იგი კარფაქსში რამე სახით დაბრუნდებოდა, მაგრამ, აშკა-რად, სხვა ბუნაგი მოძებნა. ამაღამ ვერც შეძლებს დაბრუნებას: ცა აღმოსავლეთით უკვე ალისფრად შეიღება და განთიადიც ახლოსაა. ხვალ უნდა ვიმოქმედოთ.

მან ბოლო სიტყვები კბილებში გამოცრა. დუმილი ერთი-ორი წუთიგაგრძელდა და მომეჩვენა, რომ ჩვენი გულისცემა მესმოდა. შემდეგ ვან ჰელსინკმა მისის ჰარკერს თავზე დაადო ხელი და ძალიან ნაზად უთხრა:

- ახლა კი, ჩვენო ძვირფასო მადამ მინა, დაწვრილებით გვიამბეთ ყველაფერი, რა მოხდა. ხედავს ღმერთი, არ მინდა გული გატკინოთ, მაგრამ ჩვენთვის საჭიროა, რომ ყველაფერი ვიცოდეთ. ახლა კიდევ უფრო სწრაფად და გაბედულად უნდა ვიმოქმედოთ, ვიდრე ოდესმე. ახლოვდება დღე, როცა ყველაფერი უნდა დამთავრდეს, თუ კი ეს შესაძლებელია. ახლა კი გვაქვს შანსი, რომ ცოცხლები დავრჩეთ დაგავიგოთ მისი საიდუმლო.

საბრალო, საყვარელი მადამ მინა აცახცახდა, რადგან ნერვები ძალიან ჰქონდა დაჭიმული, კიდევ უფრო ძლიერად მიეკრო თავის ქმარს და მის მკერდში ღრმად ჩარგო თავი. პაუზის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც, როგორც ჩანდა, ძალას იკრებდა. მან წარმოთქვა:

- მე საძილე საშუალება მივიღე, რომელიც თქვენ გადმომეცით ჩემი თხოვნით, მაგრამ იგი დიდხანს არ მოქმედებდა, უძილობა თითქოს წამალზე ძლიერი იყო, და მირიადი საშინელი აზრი ფუთფუთებდა ჩემს თავში. ყველაფერი სიკვდილსა და ვამპირებს უკავშირდებოდა - სახლს, ტკივილსა და უბედურებას!

მისმა ქმარმა უნებურად დაიკვნესა, მაშინ იგი მიუბრუნდა და სიყვარულით მიუგო:

- ნუ ღელავ, ძვირფასო! შენ მამაცი და მტკიცე უნდა იყო და დამეხმარო საშინელი განსაცდელის გადატანაში: რომ იცოდე, როგორ მიმძიმს ამ საშინელების მოყოლა, მიხვდებოდი, თუ როგორ მჭირდება თქვენი საერთო დახმარება. მივხვდი, რომ ჩემს ნებისყოფას უნდა ეშველა, და გადავწყვიტე, რადაც უნდა დამჯდომოდა, დამეძინა. ამის შემდეგ, ალბათ, ჩამეძინა, რადგან მეტი არაფერი მახსოვს. ჯონათანის მოსვლამ ვერ გამაღვიძა, იმიტომ, რომ, როცა მახსოვრობა დამიბრუნდა, იგი უკვე ჩემ გვერდით იწვა. ოთახში სწორედ ის მსუბუქი თეთრი ნისლი იყო, რაც ადრეც მაქვს შემჩნეული. ამის შესახებ მოგვიანებით გიჩვენებთ ჩანაწერებს ჩემს დღიურში. მე იგივე გაურკვეველი შიში ვიგრძენი, რაც ადრეც მეძალებოდა, და ჩემ გვერდით ვიღაც უცხოს ყოფნის იგივე გრძნობა. ჯონათანის გასაღვიძებლად შევბრუნდი, მაგრამ ისე ღრმად ეძინა, თითქოს მე კი არა, მას ჰქონდა მიღებული ძილის წამალი. როგორ არ ვცადე, მაგრამ ვერაფრით ჩავაგდე გონში. ამან ძლიერ შემაშინა და თავზარდაცემულმა აქეთ-იქით მიმოვიხედე. უეცრად გული გამიჩერდა: ლოგინის გვერდით იდგა შავებში ჩაცმული მაღალი, წარმოსადეგი მამაკაცი, თითქოს ნისლიდან გამოვიდა ან, უფრო სწორად, ნისლი გადაიქცა მის ფიგურად. მე მაშინვე ვიცანი იგი სხვათა აღწერილობით. ცვილისებრი სახე, მკვეთრი, კეხიანი ცხვირი, რომელზეც წვრილ თეთრ ხაზად ეცემოდა სინათლე, ღია წითელი ტუჩები და ბასრი თეთრი კბილები. და წითელი თვალები, რომლებიც, რამდენადაც მახსოვს, უაითბიში ვნახე მზის ჩასვლისას, წმინდა მარიამის ეკლესიის ფანჯრებში. ვიცანი ასევე წითელი ნაწიბური მის შუბლზე, ჯონათანის დარტყმის კვალი. ერთი წუთის მანძილზე ჩემი გული არ ძგერდა. ვიყვირებდი, მაგრამ თითქოს დამბლადაცემული ვიყავი. მან მკვეთრი, დამცინავი ჩურჩულით დაილაპარაკა და ჯონათანზე მიმითითა: „ჩუმად! ერთი სიტყვაც და თქვენ თვალწინ ტვინს დავანთხევინებ“. ძალიან შეშინებული ვიყავი და სიტყვის თქმის თავიც არ

მქონდა. დამცინავი ღიმილით დამადო ხელი მკერდზე, მაგრად მომიჭირა და მეორე ხელით ყელი გამიშიშვლა, თან ამბობდა: „ჯერ მსუბუქი გამაგრილებელი ჩემი შრომის ჯილდოდ. დროა მიეჩვიოთ, კიდევ ბევრჯერ მომიკლავენ წყურვილს თქვენი ძარღვები“. დავიბენი და რაც საკმაოდ უცნაურია, მისთვის წინააღმდეგობის გაწევის სურვილი არ გამჩენია. ოჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, შემიბრალე! იგი თავისი საშინელი კბილებით შეეხო ჩემს ყელს!

ვგრძნობდი, როგორ მეცლებოდა ძალა, და ნახევრად გრძნობაც დავკარგე. არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდა ეს საშინელება, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ დიდი დრო გავიდა, სანამ მან ჩემს ყელს თავისი საზიზღარი, დამცინავი პირი მოაშორა. ვხედავდი, როგორ წვეთავდა მისგან ახალი, წითელი სისხლი...

შემდეგ მასხრად დამიწყო აგდება. „მაშ ასე, თქვენ სხვების მსგავსად გსურთ ჩემთან ბრძოლა. გინდათ, დაეხმაროთ ამ ხალხს ჩემს შეპყრობაში. თქვენ ახლა იცით, ნაწილობრივ მათაც იციან და მალე სრულად გაიგებენ, რას ნიშნავს ჩემ წინააღმდეგ გალაშქრება.

აჯობებდა საკუთარი თავის დასაცავად დაეზოგათ ენერგია. მაშინ, როცა ისინი ცბიერებით მოქმედებდნენ ჩემ წინააღმდეგ - ჩემ წინააღმდეგ, რომელიც ხალხებზე მბრძანებლობდა და განაგებდა მათ, როცა თქვენი მეგობრები არც იყვნენ ამქვეყნად დაბადებულნი, - მე კი ყველა მათ გეგმას ვშლიდი. და თქვენ, ყველაზე ძვირფასი მათთვის, თქვენ გახდით ჩემი ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი, ჩემი დროებითი სასიცოცხლო წყარო, შემდეგ ჩემი ამხანაგი და დამხმარე გახდებით. ჯავრი უნდა ამოვიყარო, მათგან ხომ არც ერთი არ გაგიწევთ დახმარებას. მაგრამ ჯერ იმის გამო უნდა დაისაჯოთ, რაც გააკეთეთ. თქვენ სხვებს ეხმარებოდით ჩემთვის ზი-

ანის მიყენებაში, ახლა ჩემს დაძახილზე გამოცხადდებით. როცა ჩემი ტვინი გიბრძანებთ: „მოდი“, ცხრა მთასა და ცხრა ზღვას გადალახავთ ჩემთან მოსასვლელად. ამ მიზნით, აი, რას გავაკეთებ.“ მან პერანგი გაიხსნა და გრძელი ფრჩხილით ძარღვი გადაიჭრა მკერდზე. როცა სისხლმა იფეთქა, მან ჩემი ორივე ხელი მტკიცედ მოიქცია ცალ ხელში, მეორე კისერში ჩამავლო და პირით მიმაკრა ჭრილობას, ისე რომ უნდა გავგუდულიყავი, ან მცირეოდენი გადამეყლაპა... ოჰ, ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! რა გავაკეთე!.. რა ვქნა, მთელი ესსაშინელება რომ გადავიტანო! მე ხომ ყოველთვის ვცდილობდი მორიდებული და პატიოსანი ვყოფილიყავი. ღმერთო, დამიფარე!შეიბრალე საბრალო სული, რომელსაც სასიკვდილო საფრთხეზე უფრო მეტი ემუქრება, სიკეთე უწყალობე და შეიბრალე ისინი, ვისთვისაც ძვირფასი ვარ!

შემდეგ მან ტუჩების წმენდა დაიწყო, თითქოს ამ უწმინდურობის ჩამორეცხვა სურდა.

სანამ იგი თავის საშინელ ისტორიას გვიამბობდა, აღმოსავლეთს ალიონი ეპარებოდა და სულ უფრო ნათდებოდა. ჰარკერი მშვიდად იყო და ხმას არ იღებდა, მაგრამ მის სახეს ნელ-ნელა ნაცრისფერი ეფინებოდა, რაც დილის შუქზე სულ უფრო მუქდებოდა და როცა გარიჟრაჟმა წითლად გაიელვა, სახე სრულიად მუქი გაუხდა გაჭაღარავებული თმების ფონზე.

გადავწყვიტეთ, რომ ერთ-ერთი ჩვენგანი დარჩენილიყო უიღბლო მეუღლეების მეზობლად, სანამ შევიკრიბებოდით და შემდგომ მოქმედებებს დავსახავდით.

ერთ რამეში დარწმუნებული ვარ: მზემ დღეს ყველაზე უბედური სახლი გაანათა, რაც კი მთელ მის დღიურ გზაზე ხვდება.

თავი ოცდამეორე

ჯონათან ჰარკერის დღიური

3 ოქტომბერი.

ამ სტრიქონებს იმიტომ ვწერ, რომ რაღაც უნდა გავაკეთო, თორემ შევიშლები. ახლახან ექვსმა საათმა ჩამოჰკრა, ნახევარი საათის შემდეგ კაბინეტში უნდა შევიკრიბოთ და ვისაუზმოთ, რადგან ექიმმა ვან ჰელსინკმა და ექიმმა სიუარდმა ჩათვალეს, რომ თუ მშიერი ვიქნებით, ვერ შევძლებთ ჩვენი გეგმის განხორციელებას. დიახ, დღეს მთელი ძალ-ღონე უნდა მოვიკრიბოთ. მე უნდა ვწერო, აუცილებლად, რადგან ფიქრი არ შემიძლია.

არა მარტო მთავარი ფაქტები უნდა აღვწერო, არამედ ყოველი წვრილმანიც. შესაძლოა, ამ წვრილმანებმა უფრო აგვიხსნას ყველაფერი, ვიდრე მთავარმა ფაქტებმა. წარსულის ცოდნა არ გააუარესებს ჩემი ან მინას მდგომარეობას.

გადავწყვიტეთ, რომ სანამ ჩვენი მომავალი გეგმების განხორციელებას შევუდგებით, მინა სრულიად უნდა ჩავაყენოთ საქმის კურსში, რომ მას არც ერთი შემთხვევა არ უნდა დავუმალოთ, როგორი მძიმეც უნდა იყოს. ამაში თვითონაც სავსებით გვეთანხმება.

- ამიერიდან ერთმანეთს არაფერი არ უნდა დავუმალოთ, - თქვა მან, - სამწუხაროდ, უკვე საკმაოდ ბევრი დავმალეთ. და გარდა ამი-

სა, არა მგონია, რომ რაიმეს უფრო მეტი ტანჯვის მოყენება შეეძ-ლოს, ვიდრე იმას, რაც უკვე გადავიტანე და რასაც ახლა განვიცდი. რაც არ უნდა მოხდეს, მან ახალი ძალა უნდა შემმატოს, ახალი იმე-დი ჩამისახოს.

სანამ ის ლაპარაკობდა, ვან ჰელსინკი გულდასმით უმზერდა და შემდეგ წყნარად წარმოთქვა:

- ძვირფასო ქალბატონო მინა, განა თქვენ არ გეშინიათ მას შემ-დეგ, რაც მოხდა?

მინას სახე მოექუფრა, მაგრამ თვალები წამებულივით უელავდა და ასე უპასუხა:

- ოჰ, არა! - ყველაფრისთვის მზად ვარ!

- რისთვის? - ჰკითხა ექიმმა ალერსიანად. ყველანი ვდუმდით, რადგან თითოეულ ჩვენგანს ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა იმის შესახებ, თუ რას გულისხმობდა მინა. მისი პასუხი ისეთი უბრალოე-ბით გამოირჩეოდა, თითქოს სრულიად ჩვეულებრივ ფაქტს ადასტუ-რებდა:

- როგორც კი დავინახავ, რომ უბედურება მომაქვს მისთვის, ვინც მიყვარს, - ამას კი ფხიზლად მივადევნებ თვალს, - მოვკვდები.

- ნუთუ თავის მოკვლა გსურთ? - ჩახლეჩილი ხმით ჰკითხა ექიმ-მა.

- დიახ, ამას გავაკეთებდი, მეგობარი რომ არ მყავდეს, ვისაც ვუყვარვარ, ვინც დამიხსნის ასეთი უბედურებისაგან, ასეთი სასოწარკვეთილი საქციელისგან.

მინამ მრავალმნიშვნელოვნად გადახედა პროფესორს.

როცა მან დაასრულა, ვან ჰელსინკი ადგა, ხელი თავზე დაადო და ომახიანად წარმოთქვა:

- ჩემო შვილო, მხედვლეობაში იქონიეთ, თუკი ამას შეუძლია თქვენი დახმარება, ასეთი მეგობარი თქვენ გყავთ. და ამის საჭიროება რომ დამდგარიყო, მე თვითონ ვიპოვიდი საშუალებას ტანჯვის გარეშე დაგეტოვებინათ ეს სამყარო. მაგრამ, ჩემო შვილო, აქ რამდენიმე ადამიანია, რომლებიც თქვენსა და სიკვდილს შორის აღდგებიან. თქვენ არ უნდა მოკვდეთ, არავის ხელით არ უნდა დაეცეთ, ყველაზე ნაკლებად კი - თქვენივე საკუთარით. ჯერ კიდევ არ მომკვდარა ის, ვინც დაამახინჯა თქვენი ბედნიერი სიცოცხლე, თქვენ არ უნდა მოკვდეთ. სანამ იგი ჯერ კიდევ ფლობს თავის ეშმაკეულ უკვდავებას, თქვენი სიკვდილით ისეთივე გახდებით, როგორიც თავად ის. - არა, ვალდებული ხართ იცოცხლოთ! უნდა იბრძოლოთ და სცადოთ იცოცხლოთ, თუნდაც სიკვდილი გამოუთქმელ ნეტარებად გეჩვენოთ. თვით სიკვდილს უნდა ებრძოლოთ, როცა არ უნდა მოვიდეს იგი - მწუხარებისა თუ სიხარულის ჟამს, ღამით თუ დღისით, ბედნიერებისა თუ უბედურებისას. ამრიგად, თქვენივე სულის გადასარჩენად - არ უნდა მოკვდეთ, სიკვდილზე არც უნდა იფიქროთ, სანამ არ დასრულდება ეს საშინელი უბედურება.

ჩემს საბრალო მინას მკვდრისფერი დაედო და მთელი სხეულით აცახცახდა. ჩვენ ვდუმდით, არ ვიცოდით, რითი შეგვეძლო მისი შველა. საბოლოოდ ის დამშვიდდა და უჩვეულოდ ალერსიანად, მაგრამ ამავე დროს, სევდით მიმართა პროფესორს:

- სიტყვას გაძლევთ, ძვირფასო მეგობარო, რომ თუ ღვთის წყალობით ცოცხალი დავრჩები, ვეცდები ისე მოვიქცე, როგორც თქვენ მირჩევთ, სანამ არ დავაღწევ თავს ამ საშინელებას.

შემდეგ მოქმედების გეგმის შემუშავება დავიწყეთ: მე ვუთხარი მინას, რომ მისი მოვალეობა იქნება ყველა საბუთის, დღიურის, ფონოგრაფის ფირფიტების დაცვა, რითაც მომავალში, შესაძლოა, ვისარგებლოთ კიდეც: ერთი სიტყვით, ჩვენს არქივს უნდა განაგებდეთ, როგორც აქამდე აკეთებდით-მეთქი. მინა სიხარულითა და დიდი ინტერესით დაეთანხმა ამ წინადადებას.

- შესაძლოა, ეს უკეთესიცაა, - თქვა ვან ჰელსინკმა, - რომ კარფაქსის მონახულების შემდეგ ჩვენს თათბირზე გადავწყვიტეთ თავი დავანებოთ იქ ჩამარხულ ყუთებს. სხვაგვარად რომ მოვქცეულიყავით, გრაფი შეიტყობდა ჩვენს განზრახვას და უთუოდ მიიღებდა ზომებს, რათა სხვა თავშესაფრების შემთხვევაში ეს არ გამოგვსვლოდა. ახლა კი მან არაფერი იცის ჩვენი გეგმების შესახებ. ალბათ, ისიც კი არ იცის, რომ ჩვენ მისი ჯადოების წინააღმდეგ იარაღი გვაქვს, და ვეღარ შეძლებს ძველებურად გამოიყენოს ეს ჯადოები. იმდენად წავედით წინ ჩვენს შემეცნებაში და იმდენად შევისწავლეთ მისიბუნაგი, რომ პიკადილის სახლის ჩხრეკის შემდეგ შეგვიძლია მის კვალს დავადგეთ. დღევანდელი დღე ჩვენს განკარგულებაშია: დღეს ჩვენი გეგმა საბოლოოდ უნდა შესრულდეს. ამომავალმა მზემ გაანათა ჩვენი კაეშანი - და დღეს ის დაგვიცავს. მის ამოსვლამდე ურჩხული

უნდა დამარცხდეს, რა სახეც უნდა მიიღოს. დღისით იგი თავისი მიწიერი გარსითაა შებორკილი. მას არ შეუძლია ჰაერში აორთქლდეს, არ შეუძლია გაიაროს ჭუჭრუტანებსა და ნასვრეტებში. თუკი კარს იქით სურს გასვლა, ის უნდა გააღოს, ისევე როგორც ნებისმიერმა სხვა მოკვდავმა. ამგვარად, დღეს ჩვენ უნდა მოვძებნოთ მისი ყველა თავშესაფარი და გავანადგუროთ ისინი. თუ ეს არ გამოგვივა, მაშინ ისეთ ადგილას უნდა გამოვამწყვდიოთ, სადაც შემდეგ, ალბათ, მოვახერხებთ აღმოვფხვრათ იგი პირისაგან მიწისა.

აქ ფეხზე წამოვხტი - თავი ვერ შევიკავე იმის გაფიქრებაზე, რომ სანამ ტყუილუბრალოდ ვხარჯავთ დროს ლაპარაკში, ძვირფასი წუთები გადის, რაზეც დამოკიდებულია მინას სიცოცხლე და ბედნიერება, მაგრამ ვან ჰელსინკმა გაფრთხილების ნიშნად ასწია ხელი და თქვა:

- არა, ძვირფასო ჯონათან, ძველი სიბრძნე არ დაივიწყოთ - შორი გზა მოიარე და შინ მშვიდობით მიდიო - ყველანი ვიმოქმედებთ, და ვიმოქმედებთ შეთანხმებულად, ამასთან, უჩვეულო სისწრაფით, როცა დრო დადგება. გრაფმა, ალბათ, თავისთვის რამდენიმე სახლი შეიძინა. მე ვფიქრობ, რომ საიდუმლოს გასაღები პიკადილიზე მდებარე სახლშია. იქ, ცხადია, დოკუმენტებს ინახავს, რაც მის შენაძენს ადასტურებს, გასაღებებს და სხვა ნივთებს. იქ ქაღალდი აქვს, რაზეც წერს - და ჩეკის წიგნაკი. იქ მრავალი საჭირო ნივთი აქვს, რადგან ეს სახლი მშვიდად შეუძლია მოინახულოს ნებისმიერ დროს, იმიტომ, რომ ქუჩაში მიმავალ უზარმაზარ ბრბოში არავინ მიაქცევს ყურადღებას. ახლა იქ წავალთ და გავჩხრეკთ. როცა გავიგებთ, რაში რა იმალება, მაშინ დავიწყებთ, ჩვენი ართურის თქმისა არ იყოს, ბებერი ეშმაკის დევნას. ასე არ არის?

- მაშინ ახლავე წავიდეთ! - ვიყვირე მე. - ამაოდ ვკარგავთ ძვირფას დროს.

პროფესორი ადგილიდან არ დაძრულა და მშვიდად მკითხა:

- პიკადილის სახლში როგორღა ფიქრობთ შეღწევას?

- სულ ერთია, როგორ! - შევძახე საპასუხოდ. - თუ საჭირო გახდება, ძალით შევანგრევთ.

- პოლიცია გავიწყდებათ? სად იქნება და რას იტყვის ამასთან დაკავშირებით?

ამან განმაცვიფრა, მაგრამ ვიცოდი, რომ თუ იგი აყოვნებდა ჩვენს ლაშქრობას, ამისთვის სერიოზული საფუძველიც უნდა ჰქონოდა. ამიტომ, რაც შემეძლო, მშვიდად ვუპასუხე:

- ძალიან ნუღარ გადადებთ. იმედი მაქვს, გესმით, რა საშინლად ვიტანჯები.

- დიახ, ჩემო შვილო, ვიცი: და სულაც არ მინდა სატანჯველი დაგიმატოთ. მაგრამ კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ, რეალურად რისი გაკეთება შეგვიძლია, როცა ყველანი ჯერ კიდევ ფეხზე ვართ. ჩვენი დროც მოვა. მე დიდხანს ვფიქრობდი და გადავწყვიტე, რომ ყველაზე მარტივი გზა ამავე დროს ყველაზე კარგიც იქნება. სახლში შესვლა გვინდა, მაგრამ გასაღები არა გვაქვს, ხომ ასეა?

უხმოდ დავუქნიე თავი.

- ახლა წარმოიდგინეთ, რომ თქვენ სახლის პატრონი ხართ და იქ ვერ შედიხართ, რას გააკეთებდით?

- ვინმე ზეინკალს მოვიწვევდი და ვთხოვდი, კარი გაეღო.

- მერედა, პოლიცია არ შეგიშლიდათ ხელს?

- ოჰ, არა! თუ მას ეცოდინებოდა, რომ ზეინკალი მასპინძელმა მიიწვია.

- მაშასადამე, თქვენი აზრით, - თქვა მან და თვალი თვალში გამიყარა, - გაუგებრობა მხოლოდ მაშინ შეიძლება წარმოიქმნას, თუკი ზეინკალი ან პოლიცია დაეჭვდება, ნამდვილ მფლობელთან აქვს საქმე თუ არა. ამისათვის ჩვენი პოლიცია ძალზე მონდომებული და უნარიანი უნდა იყოს - იმდენად უნარიანი, რომ ადამიანთა აზრები ამოიცნოს. არა, არა, ჯონათან, თქვენ შეგიძლიათ შეაღწიოთ ლონდონის ან ნებისმიერი სხვა ქალაქის ასობით ცარიელ სახლში, და თუ ჭკვიანურად მოიქცევით და თანაც შესაფერის დროს იმოქმედებთ, აზრადაც არავის მოუვა, რომ ხელი შეგიშალოთ. ისე ადრე არ წავალთ, რომ პოლიცია დავაეჭვოთ. ათი საათის შემდეგ გავემგზავრებით, როცა ქუჩებში ბევრი ხალხია და როცა ყველა იფიქრებს, რომ ჩვენ მართლაც სახლის პატრონები ვართ.

სავსებით დავეთანხმე მას და მინას სახეზეც გაქრა ადრინდელი სასოწარკვეთილი გამომეტყველება: პროფესორის ჩანაფიქრმა იმედი ჩაგვისახა. ვან ჰელსინკმა განაგრძო:

- როცა სახლში აღმოვჩნდებით, იქ ძაფს მივაკვლევთ, რაც საიდუმლოს ამოცნობისკენ მიდის. ზოგიერთ ჩვენგანს შეუძლია იქ

დარჩეს ყოველი შემთხვევისათვის, დანარჩენები კი სხვა ადგილებში გაემართებიან - ბერმონდსა და მეილ-ენდზე, დარჩენილი ყუთების მოსაძებნად.

ლორდი გოდალმინგი წამოდგა.

- შემიძლია, მცირე სამსახური გაგიწიოთ, - თქვა მან, - ახლა ჩემს ხალხსვუდეპეშებ, რომ განსაზღვრულ ადგილებში ეკიპაჟები და ცხენები გაამზადონ.

- მომისმინე, მეგობარო! - შესძახა მორისმა, - შენ ბრწყინვალე აზრი მოგივიდა, იმიტომ, რომ ჩვენ მართლა მოგვიწევს ცხენებით სიარული, მაგრამ ის არ გაშინებს,რომ საგვარეულო გერბებით მორთული ეკიპაჟები ძალზე დიდ ყურადღებას მიიქცევენ უოლვორსის ან მეილ-ენდის სასოფლო გზებზე? ვფიქრობ, რომ თუ სამხრეთით ან აღმოსავლეთით გავემგზავრებით, მაშინ ქებით უნდა ვისარგებლოთ, და გარდა ამისა, იმ ადგილთან შორიახლოს უნდა დავტოვოთ, სადაც მივალთ.

- ჩვენი მეგობარი ქვინსი მართალია! - თქვა პროფესორმა. — ამ საქმეში უცხოთა ყურადღება რაც შეიძლება ნაკლებად უნდა მივიქციოთ.

მინას სულ უფრო მეტად აინტერესებდა ჩვენი საქმე და მე სიხარულით ვხედავდი, რომ ამის წყალობით დროებით დაივიწყა კიდეც თავისი საშინელი ღამეული თავგადასავალი. ის ფერმკრთალი იყო მოჩვენებასავით, საშინლად ფერწასული და თანაც ისეთი გამხდარი, რომ ტუჩები ლამის არც ეტყობოდა, მხოლოდ კბილები უჩანდა. მისთვის ამაზე არაფერი მითქვამს, მეშინოდა ტყუილუბრალოდ არ მეტკინა მისთვის გული, იმაზე ფიქრი კი მაწამებდა, რაც საბრალო

მინას შეემთხვა, როცა გრაფმა სისხლი გამოსწოვა. თუმცა კბილების წამახვილება ჯერ კიდევ არ ემჩნეოდა, მაგრამ ეს ხომ სულ ახლახან მოხდა და, შესაძლოა, ყველაზე უარესი ჯერ კიდევ წინ იყო.

როცა ჩვენი გეგმის განხილვას შევუდექით, ახალი ეჭვები წარმოიქმნა. საბოლოოდ გადავწყვიტეთ, პიკადილიზე გამგზავრების წინ გრაფის უახლოესი ბუნაგი გაგვენადგურებინა. მას ამის შესახებ დროზე ადრეც რომ გაეგო, ჩვენ მაინც დავასწრებდით და მაშინ გრაფის ყოფნა წმინდა მატერიალური, ყველაზე სუსტი სახით ახალ უპირატესობას მოგვცემდა.

რაც შეეხება ძალების განლაგებას, პროფესორმა გადაწყვიტა, რომ კარფაქსის მონახულების შემდეგ ყველანი შევაღწევდით პიკადილის სახლში. შემდეგ მე და ორივე ექიმი იქ დავრჩებოდით, ამ დროს კი ლორდი გოდალმინგი და ქვინსი მოძებნიდნენ და გაანადგურებდნენ გრაფის თავშესაფრებს უოლვორსსა და მეილ-ენდზე. ცხადია, შესაძლო იყო, თუმცა კი ნაკლებად დასაჯერებელი, როგორც პროფესორმა თქვა, რომ გრაფი დღისით გამოცხადებულიყო თავის სახლში პიკადილიზე, და მაშინ ჩვენ საშუალება მოგვეცემოდა, იქვე შეგვეპყრო. ყოველ შემთხვევაში, შევძლებდით კვალდაკვალ მივყოლოდით. მე დაბეჯითებით გამოვედი ამ გეგმის წინააღმდეგ, დაჟინებით ვამბობდი, მინას დასაცავად დავრჩები-მეთქი.

ვფიქრობდი, რომ შემეძლო ამის გაკეთება. მაგრამ მინას ამის გაგონებაც არ უნდოდა. პირდაპირ მითხრა, შენ იქ უფრო სასარგებლო იქნები, რადგან გრაფის ქაღალდებს შორის შეიძლება ისეთი რაღაცებიც აღმოჩნდეს, რასაც შენ სხვებზე უკეთ გაიგებ ტრანსილვანიაში მოგზაურობის შემდეგო, და რომ, ბოლოს და ბოლოს, გრაფის არაჩვეულებრივ ძლევამოსილებასთან საბრძოლველად მთე-

ლი ჩვენი ძალები უნდა მოვიკრიბოთო. მე დავთანხმდი, რადგან მინა მტკიცედ იდგა თავის გადაწყვეტილებაზე: მან თქვა, ჩემი უკანასკნელი იმედი ჩვენს ერთობლივ ძალისხმევაშიაო.

- მე რაც შემეხება, - დაამატა მან, - მისი არ მეშინია. უარესი უკვე გადავიტანე და რაც უნდა მოხდეს, სულის სიმშვიდეს ვეღარაფერი დამირღვევს. გასწი, ჩემო მეგობარო. ღმერთი თქვენს გარეშეც დამიფარავს, თუ ასე სურს.

მაშინ მე ავდექი და შევძახე:

- მაშ, ღმერთი გვიშველის! წავიდეთ, დროს ნუღარ ვკარგავთ. გრაფი პიკადილიზე უფრო ადრეც შეიძლება მივიდეს, ვიდრე ჩვენ გვგონია.

- არა, ეს შეუძლებელია! - წარმოთქვა ვან ჰელსინკმა და ხელი გააქნია.

- რატომ? - ვკითხე მე.

- ნუთუ გავიწყდებათ, - მიპასუხა მან და თან გაღიმება სცადა, - რომ წუხელ ღრეობდა და ამიტომ გვიან ადგება?

განა შემეძლო ამის დავიწყება! განა ოდესმე დავივიწყებ ამას?! რომელი ჩვენგანი დაივიწყებს ამ საშინელ სცენას? მინამ მთელი თავისი ძალა მოიკრიბა სიმშვიდის შესანარჩუნებლად, მაგრამ განცდებმა გადასძალა, - სახეზე ხელები აიფარა, აკანკალდა და შესაბრალისად ამოიკვნესა.

ვან ჰელსინკს სულაც არ უნდოდა მისთვის საშინელი თავგადასავალი შეეხსენებინა. უბრალოდ დაბნეულს გადაავიწყდა, რომ მინა იქ იყო. როცა დაინახა, თუ რა მოჰყვა მის სიტყვებს, თვითონაც განერვიულდა და მინას დამშვიდება სცადა.

ჩვენი საუზმე ცოტა განსხვავებული გამოდგა. ვცდილობდით, მხიარული სახეები გვქონოდა და ერთმანეთი გაგვემხნევებინა, მაგრამ ჩვენ შორის ყველაზე მხიარული და საყვარელი მაინც მინა იყო. საუზმის დამთავრებისას ვან ჰელსინკი ადგა და გამოგვიცხადა:

- ახლა კი, ჩემო მეგობრებო, ჩვენი საშინელი გეგმის ასრულებას შევუდგებით. მითხარით, ყველანი ისევე თუ ხართ შეიარაღებული, როგორც იმ ღამეს, როცა პირველად შევაღწიეთ მტრის ბუნაგში. თუ ვართ აღჭურვილი სულებისა და მოკვდავი ადამიანების თავდასხმის წინააღმდეგ? თუ ასეა, მაშინ ყველაფერი რიგზეა. ახლა, ქალბატონო მინა, თქვენ, ყოველ შემთხვევაში აქ, სრულიად უსაფრთხოდ ხართ... მთვარის ამოსვლამდე - იმ დროისათვის კი ჩვენ დავბრუნდებით...თუკი საერთოდ გვიწერია დაბრუნება! მაგრამ სანამ წავალთ, მინდა დავრწმუნდე, რომ თქვენ შეიარაღებული ხართ მისი თავდასხმის მოსაგერიებლად. სანამ ქვევით იყავით, მე ყველაფერი გავამზადე თქვენს ოთახში და იქ რაღაც საგნები დავტოვე, რომელთა დანახვაზეც ის შემოსვლას ვერ გაბედავს. ახლა ნება მიბოძეთ თავად თქვენც დაგიცვათ. ამ ნაკურთხი ჯვარცმით მე ვეხები თქვენს შუბლს სახელითა მამისათა დაძისათა და.....

გაისმა საშინელი კვნესა, რისგანაც გული შეგვეკუმშა. როცა იგი ჯვარცმით შეეხო მინას შუბლს, მას კანი დაეწვა, თითქოს შუბლზე გავარვარებული ლითონი შეხებოდეს. როგორც კი მინამ ტკივილი იგრძნო, მაშინვე მიხვდა ყველაფერს — გაწამებულს ნერვებმა უმტყუნა და ეს საშინელი კვნესა აღმოხდა. მაგრამ მეტყველების უნარი მალე

დაუბრუნდა, სასოწარკვეთით დაეშვა მუხლებზე, სახე თავისი მშვენიერი თმებით დაიფარა, თითქოს კეთრის ფუფხების დამალვა სურდა და გმინვით აღმოხდა:

- უწმინდური! არაწმინდა! ყოვლადძლიერიც კი თავს მარიდებს. ეს სამარცხვინო დაღი საშინელ სამსჯავრომდე უნდა ვატარო!

ყველა დადუმდა. მე მის გვერდით მოვიყარე მუხლი, საოცრად მტანჯავდა უსუსურობის განცდა და მინა გულში ჩავიკარი. რამდენიმე წუთი ჩვენი დარდიანი გულები ერთად ძგერდა, მაშინ, როცა ჩვენი მეგობრები ტიროდნენ და თავები მიაბრუნეს, რათა ცრემლები დაემალათ. საბოლოოდ, ვან ჰელსინკი ჩვენკენ მობრუნდა და სერიოზული ტონითა და ერთგვარი აღმაფრენით წარმოთქვა:

- შესაძლოა, მოგიწიოთ კიდეც ამ დაღის ტარებამ, სანამ საშინელ სამსჯავროზე თვით უფალი არ გაარჩევს, რა ბრალი მიგვიძღვის. ის გააკეთებს ამას, რადგან დედამიწაზე ყველა დანაშაული მისი შვილების მიერ არის ჩადენილი, რომლებიც მან დაასახლა აქ. ოჰ, ქალბატონო მინა, რომ შეგვეძლოს მაშინ იქ ყოფნა, როცა ეს წითელი დაღი, უფლის გულთამხილაობის ნიშანი გაქრება და თქვენი შუბლი ისეთივე ნათელი გახდება, როგორიც თქვენი სულია! ვფიცავ მარადისობას, დაღი გაქრება, როცა ღმერთი მოისურვებს, გაგვათავისუფლოს მძიმე ჯვრისაგან, რომელსაც ვატარებთ. მანამდე კი მისი ნების მორჩილნი და ჩვენი ჯვრის მტვირთველნი ვიქნებით, როგორც მისი ძე. ვინ იცის, იქნებ, ჩვენც რჩეულნი ვართ და მის ბრძანებებს უნდა მივყვეთ გვემისა და სირცხვილის, სისხლისა და ცრემლების, ეჭვების, შიშისა და ყველა დანარჩენის მიუხედავად, რითაც ადამიანი განსხვავდება უფლისაგან.

მის სიტყვებში იმედი და სიმშვიდე გაისმა.

წასვლის დრო იყო. მინას დავემშვიდობე და გარეთ გავედით. მე ერთი რამისთვის მოვემზადე: თუ აღმოჩნდება, რომ მინა სიცოცხლის ბოლომდე ვამპირად დარჩება, იგი მარტო არ გაემგზავრება საშინელებებით აღსავსე უცნობ ქვეყანაში-მეთქი.

ჩვენ ყოველგვარი თავგადასავლის გარეშე შევედით კარფაქსში, სადაც ყველაფერი ისევე დაგვხვდა, როგორც ჩვენი პირველი სტუმრობის დროს. ძნელი დასაჯერებელი გახლდათ, რომ ასეთ ჩვეულ ვითარებაში, რაც უგულებელყოფასა და დაცემას მოწმობდა, შეიძლებოდა რაღაც გამოუთქმელი და შიშის აღმძვრელი ყოფილიყო, რაც უკვე გამოვცადეთ. ამისათვის მომზადებული რომ არ ვყოფილიყავით, საეჭვოა ბრძოლა გაგვეგრძელებინა. სახლში ვერავითარი ქაღალდი, ვერავითარი მინიშნება ვერ ვიპოვეთ, ხოლო ყუთები ძველ სამლოცველოში ზუსტად ისევე გამოიყურებოდა, როგორც ბოლოს ვნახეთ. როდესაც ამაში საბოლოოდ დავრწმუნდით, ვან ჰელსინკმა საზეიმოდ განაცხადა:

- ჩვენ უვნებელი უნდა გავხადოთ ეს მიწა, რომელიც წმინდანთა ხსოვნითაა ნაკურთხი და მან შორეული მხრიდან ასეთი არაადამიანური მიზნით ჩამოიტანა. ეს მიწა იმიტომ აიღო, რომ იგი ნაკურთხი იყო. ამგვარად, მას თავისივე იარაღით დავამარცხებთ, რადგან კიდევ უფრო კურთხეულად გავხდით. იგი ადამიანებისთვის იყო ნაკურთხი, ახლა კი მას ღმერთს მივუძღვნით.

ამ სიტყვებით მან ხვეწი და სახრახნისი ამოიღო და რამდენიმე წუთში ერთ-ერთ ყუთს სახურავი ხმაურით ააძრო.

მიწას ნესტისა და ობის სუნი ასდიოდა, მაგრამ ამას არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდით, რადგან გაფაციცებით ვადევნებდით

თვალყურს პროფესორს. მან კოლოფიდან ნაკურთხი ჯვარცმა ამოიღო და მოწიწებით დადო მიწაზე, ყუთს სახურავი დაახურა და ჩვენი დახმარებით ჩახრახნა.

ყველა ყუთს იგივე გავუკეთეთ. როცა გარეთ გასვლისას კარი ჩავკეტეთ, პროფესორმა თქვა:

- უკვე ბევრი რამ არის გაკეთებული. თუკი ყველაფერს ასევე ადვილად და მარჯვედ გავაკეთებთ, მაშინ ჯერ კიდევ მზის ჩასვლამდე ქალბატონ მინას სახე ძველებურად გაუბრწყინდება. მას გაუქრება სამარცხვინო დაღი.

სადგურისკენ მიმავლებს შეგვეძლო ჩვენი სახლის ფასადი დაგვენახა. ყურადღებით დავაკვირდი და ჩემი ოთახის ფანჯარაში მინა დავინახე. ხელით სალამი გავუგზავნე და თავის დაქნევით ვანიშნე, რომ სამუშაო წარმატებით შევასრულეთ. მან ასეთივე თავის დაქნევით მანიშნა, ყველაფერს მივხვდიო.

მე სევდიანად ვუმზერდი, როგორ მიქნევდა ხელს დამშვიდობებისას. სადგურამდე გულდამძიმებულები მივედით და კინაღამ გამოვტოვეთ მატარებელი, რომელიც ჩვენი ბაქანზე გასვლისას ჩამოდგა.

ეს სტრიქონები მატარებელშია დაწერილი.

პიკადილი, 12 საათი და 30 წუთი.

სანამ ფენჩეროუზ-სთრითამდე მივიდოდით, ლორდმა გოდალმინგმა მითხრა:

- მე და ქვინსი ზეინკალს მოვიყვანთ. ჯობს, თქვენ აქ დარჩეთ, რადგან შეიძლება რაღაც გართულებები წარმოიქმნას და, შესაძლოა, ვეღარმოვახერხოთ მიტოვებულ სახლში შესვლა. თქვენ ადვოკატი ხართ და არ მინდა თქვენს საადვოკატო რეპუტაციას რაიმე ჩრდილი მიადგეს.

ამაზე პროტესტი განვაცხადე, მაგრამ მან დაბეჯითებით განაგრძო:

- ამასთან, რაც უფრო ნაკლები ვიქნებით, ყურადღებასაც ნაკლებად მოგვაქცევენ. ჩემი ტიტული ზეინკალთან მოლაპარაკებასა და პოლისმენის ჩარევის შემთხვევაში დაგვეხმარება. კარგი იქნება, თუ თქვენ, ჯონიდა პროფესორი გრინ-პარკში წახვალთ, საიდანაც სახლს უთვალთვალებთ. როცა დაინახავთ, რომ კარი ღიაა და ზეინკალი წავიდა, მაშინ ყველანი მობრძანდით. ჩვენ დაგელოდებით და სახლში დაგხვდებით.

- კარგი აზრია! - თქვა ვან ჰელსინკმა.

და უარიც აღარ გვითქვამს. გოდალმინგი და მორისი ერთი ქებით წავიდნენ, ჩვენ - მეორით. არლინგრონის ქუჩის კუთხეში ქები გავაჩერეთ და გრინ-პარკში შევედით. გულისცემა ამიჩქარდა სახლის დანახვაზე, რომელშიც ჩვენი ბოლო იმედი გვეგულებოდა. იგი პირქუში და მდუმარე იყო, ყველასაგან მიტოვებული, აშკარად გამოირჩეოდა თავისი მხიარული და მორთულ-მოკაზმული მეზობლებისგან. ჩვენ მერხზე ჩამოვჯექით და თვალს არ ვაცილებდით შესასვლელ კარს. სიგარა გავაბოლეთ და ვცდილობდით გამვლელთა ყურადღება არ მიგვექცია. ჩვენი მეგობრების მოლოდინში დრო ძალზე ნელა გადიოდა.

საბოლოოდ, ეკიპაჟი დავინახეთ, საიდანაც ლორდი გოდალმინგი და მორისი გადმოვიდნენ, ხოლო კოფოდან მსუქანი, ჯმუხი მამაკაცი ჩამოძვრა ყუთით ხელში. მორისმა მეეტლეს გადაუხადა, რომელმაც თავი დაუკრა და წავიდა. ისინი საფეხურებს აუყვნენ და ლორდმა გოდალმინგმა უჩვენა, რა უნდა გაეკეთებინა. მუშამ პიჯაკი გაიხადა და ღობეზე ჩამოკიდა, თან რაღაც გადაულაპარაკა გვერდით ჩავლილ პოლისმენს. პოლისმენმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, ზეინკალი მუხლებზე დაეშვა და ინსტრუმენტების ყუთი ახლოს მიიწია, იქიდან რაღაც ამოიღო და გვერდით დადო. შემდეგ ადგა, ჭუჭრუტანაში გაიხედა, სული შეუბერა და რაღაც უთხრა სავარაუდო მასპინძლებს, რაზეც ლორდმა გოდალმინგმა ღიმილით უპასუხა, ზეინკალმა კი გასაღებების დიდი ასხმა აიღო, ერთი გასაღები შეარჩია და კარის გაღება სცადა. მცირე ხანს ეჯაჯგურა და მერე მეორე სცადა, შემდეგ მესამე. უცებ კარი ფართოდ გაიღო და სამივე სახლში შევიდა. ჩვენ უხმოდ ვისხედით და გამალებით ვეწეოდით სიგარას. ვან ჰელსინკი სიმშვიდეს ინარჩუნებდა. ჩვენც დავწყნარდით და უფრო მეტი მოთმინებით დავიწყეთ ლოდინი, როცა დავინახეთ, რომ მუშა თავის ინსტრუმენტებთან ერთად გარეთ გამოვიდა. მან კარი მიხურა და მუხლებით მიაწვა, სანამ საკეტს გასაღებს არგებდა, რომელიც საბოლოოდ ლორდ გოდალმინგს გადასცა. ლორდმა საფულე ამოიღო და გადაუხადა. ზეინკალმა ქუდი მოიხადა, ინსტრუმენტების ყუთი აიღო, პიჯაკი ჩაიცვა და წავიდა, ამისთვის არც ერთ სულიერს არავითარი ყურადღება არ მიუქცევია.

როცა მუშა საბოლოოდ მიეფარა თვალს, ჩვენ გზა გადავჭერით და კარზე დავაკაკუნეთ. ქვინსი მორისმა მაშინვე გააღო, მის გვერდით ლორდი გოდალმინგი იდგა და სიგარას ეწეოდა.

- აქ ძალიან ცუდი სუნი დგას, - თქვა ლორდმა, როცა ჩვენ შევედით.

მართლაც, აუტანელი სუნი ვიგრძენი, - როგორც კარფაქსის ძველ სამლოცველოში. ჩვენი გამოცდილებით მივხვდით, რომ გრაფი ძალიან ხშირად სარგებლობს ამ თავშესაფრით. ჩვენ სახლის გამოსაკვლევად გავეშურეთ, თან, ყოველი შემთხვევისათვის, ერთმანეთს დიდად არ ვშორდებოდით, რადგან ვიცოდით, რომ ძლიერ მტერთან გვქონდა საქმე, ამასთან, არ ვიცოდით, გრაფი შინ იყო თუ არა. სასადილოში, რომელიც წინკარის უკან მდებარეობდა, მიწით სავსე რვა ყუთი ვიპოვეთ, სულ რვა ყუთი ცხრიდან, რომლებსაც ვეძებდით. ჩვენი საქმე არ დამთავრებულა და არც არასოდეს დასრულდება, თუ იმ ერთ ყუთს ვერ ვიპოვით. იქ ფანჯრის დარაბები გავაღეთ, რომელიც პატარა, ქვებით მოკირწყლულ ეზოში გადიოდა. ფანჯრების წინ თავლა მდებარეობდა, რომელიც ციცქნა სახლს ჰგავდა. მას ფანჯრები არ ჰქონდა და მოურიდებელი მზერისაც არ უნდა შეგვშინებოდა. დროს არ ვკარგავდით და ყუთებს შევუდექით. მოტანილი ინსტრუმენტების მეშვეობით ერთმანეთის მიყოლებით გავხსენით და ისევე მოვიქეცით, როგორც ძველ სამლოცველოში. აშკარა იყო, რომ გრაფი შინ არ იმყოფებოდა და ჩვენ მისი ნივთების ძებნა დავიწყეთ. სხვა სადგომების ყურადღებით დათვალიერების შემდეგ მივედით დასკვნამდე, რომ სასადილოში იყო ზოგიერთი საგანი, რომელიც, როგორც ჩანს, გრაფს ეკუთვნოდა. ისინი გულმოდგინედ გამოვიკვლიეთ. ეს ნივთები უწესრიგოდ ეყარა დიდ სასადილო მაგიდაზე, თუმცა რაღაც სისტემა მაინც იგრძნობოდა. იქ იდო დოკუმენტების დასტა, რაც ადასტურებდა სახლის ყიდვას პიკადილიზე, ასევე, მეილ-ენდსა და ბერმონდსში სახლების გაყიდვის საბუთები. გარდა ამისა, ნოტების ფურცლები, კონვერტები, კალმები, მელანი. ისინი მტვრისაგან შესახვევი ქაღალდით იყო დაცული. შემდეგ ტანსაცმლის ჯაგრისი, სავარცხელი და სისხლისაგან გაწითლებული წყლით სავსე, ჭუჭყიანი პირსაბანი ვიპოვეთ. ბოლოს და ბო-

ლოს, წავაწყდით სხვადასხვა გასაღების ასხმას, რომლებიც, ალბათ, სხვა სახლებისა იყო. მას შემდეგ, რაც უკანასკნელი ნაპოვნი დავათვალიერეთ, ლორდმა გოდალმინგმა და მორისმა სახლების ზუსტი მისამართები ჩაიწერეს ქალაქის აღმოსავლეთითა და სამხრეთით, გასაღებები წაიღეს და საძებნელად გაემართნენ. ჩვენ კი - დანარჩენები - უნდა დავრჩენილიყავით და მოთმინებით დაგვეცადა მათი დაბრუნების ან გრაფის მოსვლისათვის.

თავი ოცდამესამე

ექიმ სიუარდის დღიური

3 ოქტომბერი.

გოდალმინგისა და მორისის მოლოდინში დრო საშინლად გაიწელა. პროფესორი ყველანაირად ცდილობდა, ხალისიანი განწყობა არ დაგვეკარგა, მაგრამ ჰარკერს ძალიან თრგუნავდა სევდა. ჯერ კიდევ წუხელ, ის მხიარული, ხალისიანი ადამიანი იყო, ენერგიით სავსე, ჯანსაღი შესახედაობითა და მუქი ქერა თმით. ახლა კი პირქუშ ჭაღარათმიან მოხუცად გადაიქცა, რომლის მიერ გადატანილ ტანჯვას ჩავარდნილი ლოყები, ანთებული თვალები და ღრმა ნაოჭები მოწმობდა. მაგრამ მთლიანად მაინც არ დაეკარგა ენერგია. იმედია, რომ თუ ყველაფერი კარგად ჩაივლის, იგი გადაიტანს სასოწარკვეთის ამ პერიოდს. შემდეგ კი როგორმე ძველ ცხოვრებასაც დაუბრუნდება. საბრალო ბიჭი, ჩემი წუხილი მის დარდთან, აბა, რა მოსატანია!

პროფესორს ეს ძალიან კარგად ესმის და ყოველნაირად ცდილობს, რომ ჯონათანის ტვინმა სხვა მიმართულებით იმუშაოს. ის,

რასაც მაშინ გვეუბნებოდა, ძალიან საინტერესო იყო. აი, მისი სიტ-ყვები, რამდენადაც მახსოვს:

- მე საფუძვლიანად შევისწავლე ჩემ ხელთ არსებული ყველა ქა-ღალდი, რასაც რამე კავშირი ჰქონდა ამ ურჩხულთან და რაც უფრო მეტად ჩავკირკიტებდი მით უფრო მეტად ვრწმუნდებოდი, რომ მათი განადგურება იყო საჭირო, რადგან ყველა ფურცელზე წარმატებებ-ზეა ლაპარაკი. გარდა ამისა, ჩანს, რომ იგი კარგად გრძნობს თავის ძლიერებას. იმ მონაცემთა საფუძველზე, რომლებიც ბუდაპეშტიდან მივიღე ჩემი მეგობარი არმინიუსისაგან, მივედი დასკვნამდე, რომ იგი თავისი ეპოქის საოცარი ადამიანი იყო, ერთსა და იმავე დროს ჯარისკაციც, სახელმწიფო მოღვაწეც და ალქიმიკოსიც - ეს მეცნიე-რება კი იმ დროის ცოდნის გვირგვინი გახლდათ. იგი მძლავრი გო-ნებითა და არაჩვეულებრივი ნიჭიერებით გამოირჩეოდა. სამწუხა-როდ, მისთვის უცხო იყო შიში და სინდისის ქენჯნა. მას არც სქოლას-ტიკურ მეცნიერებათა შესწავლაზე უთქვამს უარი, და მგონი, საერ-თოდ არ არსებობდა ისეთი დარგი, რაც მას არ შეუსწავლია. რო-გორც ჩვენთვის ცნობილია, ფიზიკური სიკვდილის შემდეგ მისი გო-ნებრივი ძალები შენარჩუნდა, თუმცა, ალბათ, წარსულის მოგონე-ბები სრული სახით არ შემორჩენია მის გონებას. ტვინის ზოგიერთი ნაწილი ისევე ნაკლებად აქვს განვითარებული, როგორც ბავშვს, თუმცა განვითარებას განაგრძობს. მან წარმატებით დაიწყო, და ხე-ლი რომ არ შეგვეშალა, გახდებოდა - და გახდება კიდეც, თუ ჩვენი გეგმა არ განხორციელდება - ახალ არსებათა მამამთავარი, რომ-ლებიც იარსებებენ „სიკვდილში“ და არა სიცოცხლეში.

ჩამოსვლის პირველივე დღიდან მან თავისი ძალა შეამოწმა: მი-სი ბავშვური გონება მუშაობდა ნელა, მაგრამ დაბეჯითებით მიიწევ-და წინ. და რომ გაებედა თავიდან შედგომოდა საიდუმლო მეცნიე-რებებს, ჩვენ ახლა უძლურნი ვიქნებოდით მის წინააღმდეგ. თუმცა,

მას წარმატების იმედი აქვს, ხოლო ადამიანს, რომელსაც წინ კიდევ ასწლეულები აქვს, შეუძლია დამშვიდებით იცადოს და არ აჩქარდეს. მოჩქარეს მოუგვიანდესო - აი მისი დევიზი.

- მე არ მესმის, - ნაღვლიანად თქვა ჰარკერმა, - გთხოვთ, ყველაფერი დაწვრილებით ამიხსნათ. შესაძლოა, დარდი და მწუხარება მიბნელებს გონებას.

- კარგი, ჩემო შვილო, ვეცდები, უფრო გარკვევით განვმარტო. განა ვერ შენიშნეთ, რომ ეს ურჩხული თანდათან იძენდა თავის ცოდნას, ცდების საფუძველზე, როგორ ისარგებლა პაციენტით, რათა ჩვენი მეგობარი ჯონის სახლში შესულიყო, იმიტომ, რომ ვამპირს თუმცა კი შეუძლია შევიდეს ადამიანის საცხოვრებელში, მაგრამ არა იმაზე ადრე, ვიდრე თავისივე მსგავსი არსება არ მოუხმობს. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო მისი მთავარი ცდა. ხომ ვნახეთ, რომ თავიდან ეს დიდი ყუთები სხვებს გადაჰქონდათ, მაგრამ როცა დაფიქრდა, თვითონაც სცადა, სხვათა დახმარების გარეშე, ყუთების გადატანა და მის გარდა არავის შეეძლო სცოდნოდა, სად არის ისინი დამალული. ალბათ, მიწაში ღრმად ჩამარხა, ასე რომ, ამ ყუთებით მხოლოდ ღამით სარგებლობს ან იმ დროს, როცა სახის შეცვლა შეუძლია: და ეჭვიც არავის უჩნდება, რომ იგი იქ იმალება. მაგრამ, ჩემო შვილო, სასოწარკვეთას ნუ მიეცემით! ეს ცოდნა მან მეტისმეტად გვიან შეიძინა! ახლა უკვე ყველა მისი თავშესაფარი განადგურებულია, მხოლოდ ერთის გამოკლებით, და ამ უკანასკნელსაც ვიპოვით მზის ჩასვლამდე. მაშინ მას აღარ დარჩება ადგილი, სადაც დამალვას შეძლებს. დილით არ ვჩქარობდი, რათა სწორად გვემოქმედა. ჩვენ ხომ მასზე ნაკლებად არ ვრისკავთ! ამიტომ ფხიზლად უნდა ვიყოთ. ჩემს საათზე ახლა ზუსტად პირველია, და თუ ყველაფერი მშვიდობით დასრულდა, მაშინ ართური და ქვინსი ამ მომენტში უკან

ბრუნდებიან. დღევანდელი დღე ჩვენია, და ჩვენ გულდაჯერებით უნდა ვიმოქმედოთ, თუმცა არა წინდაუხედავად, არც ერთი შანსი არ უნდა გავუშვათ ხელიდან. თუ ისინი დაბრუნდებიან, ვინც ახლა გვაკლია, მაშინ ხუთნი ვიქნებით ერთის წინააღმდეგ.

მის ბოლო სიტყვებთან ერთად კარზე კაკუნის ხმა გაისმა. ყველანი წინკარში გავცვივდით, მაგრამ ვან ჰელსინკმა ჩურჩულით გვიბრძანა, მოგვეცადა, კართან მივიდა და ფრთხილად გააღო. შიკრიკმა მას დეპეშა გადასცა. პროფესორმა ისევ ჩაკეტა კარი, დეპეშა გახსნა და ხმამაღლაწაიკითხა: „დრაკულას ელოდეთ. იგი ახლახან, 12 საათსა და 45 წუთზე, სასწრაფოდ გაემგზავრა კარფაქსიდან სამხრეთის მიმართულებით. როგორც ჩანს, შემოვლას ატარებს და უნდა, რომ მოულოდნელად დაგადგეთ თავზე. მინა.“

ხანგრძლივი დუმილი ჩამოწვა. საბოლოოდ ჰარკერის ხმა გაისმა: „ახლა, მადლობა ღმერთს, შევხვდებით მას.“ ვან ჰელსინკი სწრაფად მიუბრუნდა მას და მიმართა:

- ყველაფერი ღვთის ნებით მოხდება და მხოლოდ მაშინ, როცა იგი მოისურვებს. ნუ გეშინიათ, თუმცა ნაადრევი სიხარულიც არ ღირს: შესაძლოა, სწორედ ის, რაც გვსურს, ჩვენი დაღუპვის მიზეზი გახდეს.

- ახლა მხოლოდ იმას ვფიქრობ, რომ ეს მხეცი აღვგავო პირისაგან მიწისა. ამისათვის მზად ვარ ჩემი სულიც კი გავყიდო!

- წყნარად, წყნარად, ჩემო შვილო! - სწრაფად შეაწყვეტინა ვან ჰელსინკმა. - ღმერთი კი არ ყიდულობს სულებს, არამედ ეშმაკი, და თუ ყიდულობს კიდეც, არასოდეს ასრულებს თავის დაპირებას. მაგრამ უფალი მოწყალე და სამართლიანია, მას თქვენი ტანჯვაც ესმის

და თქვენი სიყვარულიც მინას მიმართ. იფიქრეთ, როგორ მძიმე ასატანი იქნება მისთვის თქვენი უგუნური სიტყვები. გვენდეთ, ყველანი თავს დავდებთ ამ საქმისთვის, და დღეს ყველაფერი უნდა დამთავრდეს. მოქმედების დრო დადგა. დღისით ვამპირი სხვა ადამიანებზე ძლიერი არ არის, და მზის ჩასვლამდე არ შეიცვლის თავის სახეს. მას დრო სჭირდება აქ მოსასვლელად - შეხედეთ, უკვე ორის ოცი წუთია — და როგორც უნდა იჩქაროს, ჩვენ მაინც გვაქვს კიდევ რამდენიმე წუთი, ვიდრე ის აქ გამოცხადდება. მთავარია, როგორმე ლორდი ართური და ქვინსი მოვიდნენ მასზე ადრე.

მისის ჰარკერის დეპეშის მიღებიდან დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ კარზე ომახიანი კაკუნი გაისმა. ეს ჩვეულებრივი კაკუნი იყო: ასე აკაკუნებს ყოველ წუთს ათასობით ადამიანი, მაგრამ მის გაგონებაზე ჩვენი გულები გამალებით აძგერდა. ერთმანეთს გადავხედეთ და ყველანი ერთად გავედით წინკარში: ყოველ ჩვენგანს გამზადებული ჰქონდა თავისი იარაღი - მარცხენა ხელში იარაღი სულების წინააღმდეგ, მარჯვენაში - ადამიანთა წინააღმდეგ. ვან ჰელსინკმა ურდული გადასწია, ოდნავ შეაღო კარი და თავდასხმისათვის გამზადებულმა სწრაფად დაიხია უკან. მაგრამ როდესაც ზღურბლზე ლორდი გოდალმინგი და ქვინსი მორისი დავინახეთ, შვებით ამოვისუნთქეთ. ისინი სწრაფად შემოვიდნენ, კარი მიხურეს და ართურმა თქვა:

- ყველაფერი რიგზეა. ორივე ბუნაგი ვიპოვეთ. თითოეულში ექვსი ყუთი იყო, და მთლიანად გავანადგურეთ.

- გაანადგურეთ? - იკითხა პროფესორმა.

- დიახ, მათ ვეღარ გამოიყენებს!

მცირე პაუზა ჩამოწვა, რომელიც ქვინსიმ დაარღვია:

- ახლა მხოლოდ ერთი რამე გვრჩება - აქ დაველოდოთ. თუ ხუთ საათამდე არ მოვა, უნდა წავიდეთ, რადგან ქალბატონ მინას მზის ჩასვლის შემდეგ მარტო ვერ დავტოვებთ.

- ახლა ის მალე უნდა მოვიდეს, - თქვა ვან ჰელსინკმა, - მინას დეპეშით გავიგეთ, რომ სამხრეთით გაემართა, მაშასადამე, მდინარეზე მოუწევს გადასვლა, რაც მცირე ხნით კიდევ უფრო შეაფერხებს. იმ გარემოებას, რომ იგი სამხრეთით გაემართა, ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. კარფაქსიდან ჯერ იქ გავეშურეთ, სადაც იგი ყველაზე ნაკლებად ელოდა ჩვენს გამოჩენას. ბერმონდსში მის მოსვლამდე რამდენიმე წუთით ადრე ვიყავით. ის გარემოება, რომ აქ ჯერ კიდევ არ მოსულა, ამტკიცებს, რომ მეილ-ენდში წავიდა. ამას რაღაც დრო დასჭირდა, რადგან შემდეგ მდინარეზე უნდა გადასულიყო. მერწმუნეთ, ჩემო მეგობრებო, დიდხანს ლოდინი არ მოგვიწევს, მაგრამ, ჩუმად, საუბრის დრო აღარ არის. იარაღი მოამზადეთ.

ამ სიტყვებზე მან ხელი ასწია გაფრთხილების ნიშნად, რომ ფხიზლად ვყოფილიყავით და, ყველამ გავიგონეთ, ვიღაცამ როგორ სცადა გასაღებით გაეღო შემოსასვლელი კარი.

ამ საშინელ მომენტშიც კი გაოცებული დავრჩი იმით, როგორ ამჟღავნებს ყველგან თავს მბრძანებლური ხასიათი. როცა ქვინსი მორისთან და ართურთან ერთად ვნადირობდი, ან უბრალოდ თავგადასავლების ძიებაში დავეხეტებოდით, მორისი ყოველთვის ჩვენი მოთავე იყო და მოქმედების გეგმას ადგენდა, მე და ართური მივეჩვიეთ მის ბრმა მორჩილებას. ახლა ჩვენ ინსტინქტურად დავუბრუნდით ძველ ჩვეულებას. მან ოთახს სწრაფად მოავლო თვალი და მაშინვე გაგვანდო თავდასხმის გეგმა, შემდეგ კი, ხმის ამოუღებლად,

ჟესტებით მიგვითითა ყველას ჩვენ-ჩვენი ადგილი. ვან ჰელსინკი, ჰარკერი და მე კარის უკან დავდექით - მისი გაღების შემდეგ შესასვლელს ჩავხერგავდით. ქვინსი ისე დაიმალა, რომ ფანჯრისკენ ღობავდა გზას. ისე დავიძაბეთ, რომ წამები მარადისობად გვეჩვენა. წინკარში ჩუმი, ფრთხილი ნაბიჯები გაისმა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე მოგვეჩვენა.

უცებ ერთი ნახტომით იგი ოთახის შუაგულში აღმოჩნდა, სანამ რომელიმე ჩვენგანი მოახრხებდა მასზე ხელის აღმართვასა და გზის გადაკეტვას. მის მოძრაობებში იმდენი მტაცებლური იყო, იმდენი არაადამიანური, რომ განცვიფრებისაგან უცებ ვერ მოვედით გონს. ჰარკერი პირველი მიიჭრა კართან, რომელიც ქუჩაში გამავალ ოთახში გადიოდა. ჩვენს დანახვაზე გრაფმა მხეცივით დაიღრინა და თავისი გრძელი, ბასრი კბილები დაკრიჭა, მაგრამ ეს გრიმასა მალე გაუქრა და მისმა გაყინულმა მზერამ მხოლოდ ქედმაღლური სიძულვილი გამოხატა.

შემდეგ გრაფს ისევ შეეცვალა სახის გამომეტყველება, როცა ყველანი, თითქოს შთაგონებით, მისკენ დავიძარით. რა სამწუხაროა, რომ თავდასხმის უკეთესი გეგმა არ შევადგინეთ, რადგან ამ მომენტში უფრო ინსტინქტურად ვმოქმედებდით.

ზუსტად არ ვიცოდი, გვიშველიდა თუ არა ჩვენი სასიკვდილო იარაღი. ჰარკერმა, როგორც ჩანს, გადაწყვიტა ამის შემოწმება, რადგან თავისი გრძელი მალაური ხანჯალი იძრო და გაცოფებით მოუქნია გრაფს. საშინელი დარტყმა იყო და გრაფი მხოლოდ იმ სატანურმა სიმარჯვემ გადაარჩინა, რითაც უკან გახტა. წამიც და ხანჯლის პირი გულს გაუგმირავდა. ახლა კი დანის წვერმა მხოლოდ სერთუკი გაუჭრა და განაჭერიდან ბანკნოტების დასტა გადმოვარდა, ხოლო შემდეგ იატაკს ოქროს მონეტების მთელი წვიმა მოეფინა. გრაფს

ისეთი დემონური სახე ჰქონდა, რომ ჰარკერის გამო ძალიან შევშინდი, თუმცა დავინახე, რომ მან საშინელი დანა აიღო და მეორე დარტყმისათვის მოემზადა. ინსტინქტურად გავიწიე წინ, აღმართულ მარჯვენა ხელში ჯვარცმა მეკავა, ხოლო მარცხენაში - გრძელი დანა. ვგრძნობდი, რომ ხელში დიდმა ძალამ დამიარა და გაოცებით შევნიშნე, ურჩხული როგორ გაეკრა კედელს, რადგან დანარჩენებმაც მე მომბაძეს. ვერავითარი კალამი ვერ აღწერს იმ ცხოველურ სიძულვილსა და ვერაგობას, იმ სატანური გაცოფების გამომეტყველებას, რითაც გრაფს სახე დაემანჭა. მისი სახის ცვილისფერი მომწვანო-ყვითლად გადაიქცა, თვალები ჯოჯოხეთური ცეცხლით უელავდა, ხოლო წითელი ნაჭრილობევი ფერმკრთალ შუბლზე სისხლიან ჭრილობას დაემსგავსა. გრაფი წამიერი მარჯვე მოძრაობით გაუსხლტა ჰარკერს, სანამ იგი დარტყმას მოასწრებდა, ოთახი გადასერა და ფანჯრიდან გადახტა. შუშები ნამსხვრევებად იქცა და ის ამ ხმაურში ქვის ფილებით მოფენილ ეზოში ჩახტა. გავიგონე, რამდენიმე ოქროს სოვერენი ჟღარუნით როგორ დაეცა ფილებზე. უკან მივყევით და დავინახეთ, რომ იგი უვნებელი წამოხტა, ეზო გადაირბინა და საჯინიბოს კარი გააღო, შემდეგ გაჩერდა და დაგვიყვირა:

- ჩემი დამარცხება გნებავთ?! თქვენ ხომ დამფრთხალი ცხვრების ფარა ხართ ყასბის წინაშე. ჩემი გაცოფება რისხვად დაგატყდებათ. გგონიათ, რომ თავშესაფრის გარეშე დავრჩი, მაგრამ კიდევ ბევრი მაქვს. ჩემი შურისძიება ახლა იწყება! და ის საუკუნეები გაგრძელდება - დრო იქნება ჩემი ერთგული მოკავშირე. ქალები, რომლებიც გიყვართ, უკვე ყველა ჩემია, მათგან კი თქვენც ჩემი გახდებით - ჩემი ბრძანებების შემსრულებელი მსახურები, და ჩემი ძაღლები!

იგი დამცინავი სიცილით შევიდა კარში და აშკარად გავიგონეთ ჟანგიანი ურდულის ჭრიალი.

შორს გაისმა გაღებული კარის ხმა, რომელიც მაშინვე გაჯახუნდა. გოდალმინგი და მორისი ეზოში გავარდნენ, მათ ჰარკერი მიჰყვა. სამივე თავლას ეცა და კარის გაღება სცადა. მე და ვან ჰელსინკი სახლის უკან ვეძებდით, მაგრამ ღამურა გაფრინდა, და არავის დაუნახავს, როგორ და სად.

უკვე გვიანი იყო და მზის ჩასვლამდე მცირე დრო რჩებოდა. მოგვწონდა თუ არა, უნდა შევრიგებოდით იმ აზრს, რომ დღეს ჩვენი კამპანია ამით დამთავრდა. წუთით სიჩუმე ჩამოწვა, რომელიც პროფესორმა დაარღვია:

- ჩვენ რაღაც-რაღაცები გავიგეთ, და საკმაოდ ბევრიც! თავისი რიხიანი სიტყვების მიუხედავად, მას ჩვენი ეშინია! დროც აშინებს და სიღატაკეც! სხვაგვარად ასე არ იჩქარებდა. იგი მისმა ტონმა გასცა, ანდა ჩემმა სმენამ მომატყუა. ისე გავაკეთებ, რომ აქ მისთვის სასარგებლოს ვეღარაფერს ნახავს, თუ დაბრუნებას გადაწყვეტს!

ამ სიტყვებით მან დარჩენილი ფული ჯიბეში ჩაიდო, აიღო დოკუმენტების დასტა, მოკრიბა ყველა დანარჩენი ნივთი, ღუმელში შეყარა და ცეცხლს მისცა.

მცირე ხნის შემდეგ გულდამძიმებულებს მოგვიწია, დავთანხმებოდით პროფესორს, რომელმაც თქვა:

- ქალბატონ მინასთან დავბრუნდეთ! ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რისი გაკეთებაც შეგვეძლო, მაგრამ იმედი არ უნდა დავკარგოთ. სულ ერთადერთი ყუთი დარჩა და ის უნდა ვიპოვოთ, რადაც უნდა დაგვიჯდეს. როცა ამას გავაკეთებთ, ყველაფერი კარგად იქნება.

ვხედავდი, რომ ასე რიხიანად ჰარკერის დასამშვიდებლად ლაპარაკობდა, რომელიც ძალიან იყო დათრგუნვილი.

სახლში გულდამძიმებულები დავბრუნდით, სადაც ქალბატონი მინა გველოდა მოჩვენებითი სიმშვიდით, რაც ღირსებას მატებდა მის სიმამაცეს. ჩვენი დამწუხრებული სახეების დანახვაზე მას მკვდრისფერი დაედო, მაგრამ მშვიდად თქვა:

- არ ვიცი, მადლობა როგორ გადაგიხადოთ!

ჩვენ ერთად ვივახშმეთ და ცოტა გავმხიარულდით. ჩვენი დაპირება შევასრულეთ და მინას ყველაფერი ვუამბეთ, რაც მოხდა. იგი მშვიდად გვისმენდა, ყოველგვარი შიშის გარეშე და მხოლოდ მაშინ, როცა ვახსენეთ, თუ რა საფრთხე ემუქრებოდა მის ქმარს, თოვლივით გაფითრდა. როცა იმ ადგილამდე მივედით, ჰარკერი როგორ გაბედულად ეკვეთა გრაფს, მან მაგრად მოუჭირა ქმარს ხელი, თითქოს უბედურებისგან იცავდა, მაგრამ არაფერი უთქვამს, სანამ ჩვენ არ დავასრულეთ თხრობა და არ გავარკვიეთ საქმის ნამდვილი ვითარება. მაშინ, ისე, რომ ქმრისთვის ხელი არ გაუშვია, მინა ადგა და წარმოთქვა:

- ძვირფასო ჯონათან, და თქვენ, ჩემო ერთგულო მეგობრებო, ვიცი, რომ უნდა იბრძოლოთ, - რომ უნდა გაანადგუროთ „იგი“ ისევე, როგორც გაანადგურეთ ის - უცხო ლუსი, რათა ნამდვილი ლუსი აღარ დატანჯულიყო. მაგრამ ეს არ არის სიძულვილი. ის საბრალო სული, რომელსაც ბრალი მიუძღვის ყველა ამ უბედურებაში, თვითონ იმსახურებს უდიდეს სიბრალულს. დაფიქრდით, როგორ გაიხარებს ლუსი, თუ მისი უარესი ნახევარი განადგურდება, რათა უკე-

თესმა ნახევარმა უკვდავებას მიაღწიოს. თქვენ გრაფიც უნდა გებრალებოდეთ, თუმცა ამ გრძნობამ უარი არ უნდა გათქმევინოთ მის განადგურებაზე.

მინას სიტყვებმა ჯონათანს საშინელი ტანჯვა მიაყენა და ასე უპასუხა:

- ღმერთმა ქნას, რომ ხელში ჩამივარდეს, რათა მისი მიწიერი ცხოვრება მოვსპო და ამით ჩვენს მიზანს მივაღწიო. და მას შემდეგ კი, რომ შემაძლებინა, მისი სული ჯოჯოხეთში გავამწესო სამუდამოდ, ამას დიდი სიამოვნებით გავაკეთებდი!

- ჩუმად! ჩუმად! ღვთის გულისათვის, გაჩუმდი! ნუ ამბობ ასეთ რაღაცებს, ძვირფასო, მაშინებ. მოიცადე, - მე მთელი დღე ვფიქრობდი... იქნებ... ოდესმე მეც დამჭირდეს ამგვარი სიბრალული, და ვინმე სხვა, როგორც ახლა შენ, უარს მეტყვის ამაზე. ღმერთს ვევედრები, რომ შენი უგუნური სიტყვები უზომოდ შეყვარებული ადამიანის წამიერ აფეთქებად მიიღოს, რომლის გულიც დამსხვრეულია და კაეშნითაა სავსე.

ჯონათანი მუხლებზე დაეშვა, მეუღლეს მოეხვია და სახე მისი კაბის ნაოჭებში ჩამალა. ვან ჰელსინკმა თავი დაგვიქნია და ჩუმად გამოვედით ოთახიდან, ეს ორი მოყვარული გული კი უფალთან მარტო დავტოვეთ.

სანამ ისინი დასაძინებლად წავიდოდნენ, პროფესორმა მათი ოთახის შესასვლელი ჩახერგა, რათა ვამპირს იქ ვერ შეეღწია და ქალბატონი ჰარკერი მის სრულ უსაფრთხოებაში დაარწმუნა. მას თვითონაც სურდა ამ აზრის გაზიარება და, როგორც ჩანდა, თავისი ქმრის გულისათვის ცდილობდა კმაყოფილი გამოჩენილიყო. ვან

ჰელსინკმა მათ პატარა ზარი დაუტოვა, რათა საჭიროების შემთხვევაში დაერეკათ. როცა ისინი გავიდნენ, ქვინსიმ, გოდალმინმა და მე გადავწყვიტეთ, მთელი ღამე ფხიზლად ვყოფილიყავით და რიგრიგობით დაგვეცვა დარდით გულმოკლული საბრალო ქალი. სადარაჯოზე პირველი ქვინსი დარჩა, დანარჩენები კი სასწრაფოდ გავეშურეთ დასაძინებლად. გოდალმინგს უკვე სძინავს, რადგან შემდეგ მისი ჯერია. ახლა მეც მალე მოვრჩები ჩემს სამუშაოს და მეც ძილს მივცემ თავს.

ჯონათან ჰარკერის დღიური

3-4 ოქტომბრის შუაღამე.

მეგონა, რომ გუშინდელი დღე არასოდეს დამთავრდებოდა. ძალიან მეშინოდა დაძინების, რატომღაც ვვარაუდობდი, თუ თვალს არ მოვხუჭავ, ღამით რაღაც ცვლილება მოხდება-მეთქი, ხოლო ყოველი ცვლილება ჩვენს მდგომარეობაში კარგის მომასწავებელია. სანამ დასაძინებლად წავიდოდით, ჩვენი შემდგომი ნაბიჯების განხილვა დავიწყეთ, მაგრამ ვერავითარ შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ. ვიცით მხოლოდ, რომ გრაფს ერთი ყუთი დარჩა და რომ მხოლოდ გრაფმა იცის, სად არის იგი. თუ მასში დამალვას მოისურვებს, მაშინ მრავალი წლის განმავლობაში ვერაფერს შევძლებთ, ამის გაფიქრებაც კი მზარავს. მაგრამ მჯერა, რომ უფალი გადაარჩენს მინას! ამის იმედი მაქვს! ჩვენ წყალქვეშა კლდეებს შორის მივექანებით და ღმერთი ჩვენი ხსნის ერთადერთი იმედია. საბედნიეროდ, მინას მშვიდად სძინავს და არ ბოდავს. მეშინოდა, რომ მისი სიზმრები ისეთივე საშინელი იქნებოდა, როგორც მათი გამომწვევი სინამდვილე. მზის ჩასვლის შემდეგ მე პირველად ვხედავ ასეთ მშვიდ მინას. სახე ისე გაუნათდა, თითქოს საამური სიოს სუნთქვა ელამუნება. მე არ მძინავს, თუმცა კი დავიღალე, საშინლად დავიღალე. მაგრამ უნდა

დავიძინო, რადგან ხვალ ყველაფერს ავწონ-დავწონით, და მე არ დავმშვიდდები, სანამ……

მცირე ხნის შემდეგ.

ალბათ, მაინც, ჩამთვლიმა, რადგან მინამ გამაღვიძა. იგი შიშისაგან სახეშეშლილი იჯდა ლოგინში. ყველაფერს ვხედავდი, რადგან ოთახში საკმარი სინათლე იყო. მან პირზე ხელი დამადო და ყურში ჩამჩურჩულა:

- ჩუმად! დერეფანში ვიღაც არის!

ჩუმად ავდექი და ფრთხილად გავაღე კარი.

ჩემ წინ, ლეიბზე თვალღია მისტერ მორისი გაშოტილიყო. ჩემ დანახვაზე ხელი ასწია და დაიჩურჩულა:

- ჩუმად! წადით, დაიძინეთ. ყველაფერი რიგზეა. აქ მორიგეობით ვყარაულობთ. უსაფრთხოების ზომები მივიღეთ.

მისი მზერა და გადამჭრელი ჟესტი ყოველგვარ შეპასუხებას გამორიცხავდა, ასე რომ, მინასთან დავბრუნდი და ყველაფერი ვუამბე. ამოიოხრა და მის ფერმკრთალ სახეზე ოდნავ შესამჩნევმა ღიმილმა გადაირბინა, როცა მომეხვია და ნაზად ჩაიდუდუნა:

- ღმერთი იყოს ამ კეთილი ადამიანების მფარველი!

მძიმედ ამოიოხრა, საწოლზე დაეშვა და მალე ისევ ჩაეძინა.

4 ოქტომბრის დილა.

ამ ღამის მანძილზე მინამ კიდევ ბევრჯერ გამაღვიძა, მაგრამ მაინც გამოვიძინეთ: ნაცრისფერი დილა უკვე გვიმზერდა მოგრძო ფანჯრებიდან.

- სწრაფად, პროფესორს დაუძახე! - აჩქარებით მთხოვა მან. - ახლავე უნდა ვნახო.

- რატომ? - ვკითხე მე.

- ერთი აზრი მომივიდა. მე მგონი, პროფესორმა მზის ამოსვლამდე უნდა დამაჰიპნოზოს, და მაშინ ბევრი რამის მოყოლას შევძლებ. ჩქარა წადი, ძვირფასო. ცოტა დრო დარჩა.

მე კარისკენ გავემართე. ექიმი სიუარდი ლეიბზე იჯდა და ჩემ გამოჩენაზე სასწრაფოდ წამოხტა.

- მოხდა რამე? - მკითხა შეშფოთებულმა.

- არაფერი! - ვუპასუხე მე. - მაგრამ მინას ახლავე სურს ვან ჰელსინკის ნახვა.

- მე დავუძახებ, - თქვა მან და პროფესორის ოთახისკენ გაექანა. ორი-სამი წუთის შემდეგ ვან ჰელსინკი უკვე ჩვენს ოთახში იყო, ხოლო მორისი და გოდალმინგი ექიმ სიუარდს ესაუბრებოდნენ. მინას დანახვაზე პროფესორმა გაიღიმა თავისი აღელვების დასაფარავად, ხელები მოისრისა და თქვა:

- ოჰ, ძვირფასო მინა, საქმე ნამდვილად უკეთესობისკენ მიდის. შეხედეთ, ჯონათან, ჩვენი მინა დავიბრუნეთ, ზუსტად ისეთივეა, როგორც ყოველთვის იყო. აბა, რა გნებავთ? ტყუილად ხომ არ დამიძახეს ასეთ უდროო დროს?

- მე მინდა, რომ დამაჰიპნოზოთ, - უპასუხა მან, - და თანაც მზის ამოსვლამდე, რადგან ვგრძნობ, რომ თავისუფლად შემიძლია ვილაპარაკო. იჩქარეთ, დრო არ იცდის!

პროფესორმა ხმის ამოუღებლად დასვა იგი ლოგინზე. შემდეგ გულდასმით მიაჩერდა და ხელების მოძრაობა დაიწყო ზევიდან ქვევით. მინას ნელ-ნელა ეხუჭებოდა თვალები და მალე ჩაეძინა. კიდევ რამდენიმე მოძრაობის შემდეგ პროფესორი გაჩერდა. დავინახე, რომ შუბლიდან ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა. მინამ თვალები გაახილა, მაგრამ ახლა ჩვენ წინაშე თითქოს სულ სხვა ქალი იყო. მისი თვალები სადღაც შორეთს გასცქეროდა, ხოლო ხმა რაღაცნაირად ოცნებით ჟღერდა, რაც ადრე არასოდეს მომისმენია. პროფესორმა ხელი ასწია დუმილის ნიშნად და დამავალა, დანარჩენებისთვის დამეძახა. ისინი ფეხაკრეფით შემოვიდნენ, კარი ჩაკეტეს და საწოლთან ახლოს დადგნენ. მინა მათ, როგორც ჩანდა, ვერ ამჩნევდა. საბოლოოდ, დუმილი ვან ჰელსინკმა დაარღვია, იგი მშვიდად ლაპარაკობდა, რათა მინას აზრების მდინარება არ დაერღვია.

- სად ხართ?

- არ ვიცი, - გაისმა პასუხად.

რამდენიმე წუთით ისევ სიჩუმე ჩამოწვა.

მინა უძრავად იჯდა პროფესორის წინ და მას თვალს არ აშორებდა. დანარჩენები სუნთქვასაც ძლივს ბედავდნენ. ოთახი კიდევ უფრო განათდა. პროფესორმა უხმოდ მანიშნა, ფარდები ჩამომეფარებინა.

- ახლა სად ხართ?

პასუხი თითქოს შორიდან გაისმა:

- არ ვიცი. ჩემთვის ყველაფერი უცხოა!

- რას ხედავთ?

- ვერაფერს ვარჩევ, ირგვლივ სიბნელეა.

- რა გესმით?

- წყლის შხაპუნი - ჩუხჩუხებს და ღელავს, თითქოს პატარა ტალღებია. მე ეს გარედან მესმის.

- მაშ, გემზე იმყოფებით?

- ოჰ, დიახ!

- კიდევ რა გესმით?

- ხალხის ნაბიჯები. ვიღაცები ჩემ ზემოთ დარბიან. გარდა ამისა, ჯაჭვების ჩხარუნი და ღუზის გრიალი.

- რას აკეთებთ?

- მშვიდად ვწევარ, დიახ, მშვიდად, თითქოს უკვე მოვკვდი!

მისი ხმა მიწყდა, თითქოს ძილში ამოიოხრა და თვალები დახუჭა.

ამასობაში მზე ამოვიდა. ვან ჰელსინკმა მინას მხრებზე დაადო ხელები და ბალიშზე თავი ფრთხილად გაუსწორა. იგი რამდენიმე წუთი იწვა, თითქოს ეძინა, შემდეგ ღრმად ამოიოხრა და გაკვირვებით შემოგვხედა.

- ძილში ვლაპარაკობდი? - იკითხა მან. ეს, ალბათ, ისედაც იცოდა, მაგრამ უნდოდა გაეგო, რას ლაპარაკობდა. პროფესორმა მთელი საუბარი გაიმეორა და თქვა:

- ამრიგად, წუთის დაკარგვაც არ შეიძლება. იქნებ, ჯერ კიდევ არ არის გვიან!

მისტერ მორისი და ლორდი გოდალმინგი კარისკენ გაემართნენ, მაგრამ პროფესორმა მშვიდად უხმო:

- მოიცადეთ, მეგობრებო! ეს გემი მაშინ იღებდა ღუზას, როცა მინა ლაპარაკობდა. ლონდონის უზარმაზარ პორტში ახლა მრავალი გემი ემზადება გასასვლელად. რომელია მათგან ჩვენი? მადლობა ღმერთს, კიდევ გვაქვს ძაფი, თუმცა არ ვიცით, სად მიგვიყვანს. აქამდე ბრმები ვიყავით. თუ განვლილ გზას თვალს გადავავლებთ, ნათელი გახდება, რა შეიძლებოდა მაშინ დაგვენახა. ახლა ვიცით, რას ფიქრობდა გრაფი, როდესაც ფულები გაიყოლა, თუმცა მას ჯონათანის საშინელი ხანჯალი ემუქრებოდა. მას გაქცევა უნდოდა. გესმით, გაქცევა! მაგრამ იცოდა, რომ სულ ერთი ყუთი დარჩა და რომ ლონ-

დონში ვერ დაიმალებოდა, სადაც მას ხუთი ადამიანი დასდევს, სანადიროდ დაგეშილი ძაღლებივით, ამიტომ დაჯდა გემზე, ყუთიც თან წაიღო და ქვეყანა დატოვა. ის გაქცევაზე ფიქრობს, მაგრამ ჩვენ კვალდაკვალ მივყვებით. ჩვენი მელა ცბიერია, ოჰ, როგორი ცბიერი, და ჩვენ დიდი ყურადღებით უნდა ვუთვალთვალოთ. მეც ცბიერი ვარ, და მგონია, რომ მასზე ცბიერი. ჯერჯერობით კი შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ, იმიტომ, რომ ჩვენსა და მას შორის წყალია და არ შეუძლია აქ გამოცხადდეს, სანამ გემი ნაპირს არ მიადგება. შეხედეთ, მზე უკვე მაღლაა, და მის ჩასვლამდე დღე ჩვენ გვეკუთვნის. აბაზანა მივიღოთ, ჩავიცვათ და ვისაუზმოთ, რაც ყველასგვჭირდება და რაც შეიძლება მშვიდად მოვიქცეთ, რადგან ის აღარ არის ამ ქვეყანაში.

- კი მაგრამ, რაღატომ უნდა ვეძებოთ, თუკი წავიდა?

ვან ჰელსინკმამინას ხელი აიღო და ნაზად გადაუსვა:

- ჯერ ნურაფერს მკითხავთ, საუზმის შემდეგ ყველაფერს გიამბობთ.

ის გაჩუმდა და ყველანი ჩვენს ოთახებში გავედით ტანსაცმლის გამოსაცვლელად. საუზმის შემდეგ მინამ გაიმეორა თავისი შეკითხვა.

პროფესორმა სერიოზულად შეხედა მას და მწუხარე ხმით უპასუხა:

- იმიტომ, რომ, ძვირფასო ქალბატონო მინა, ჩვენ ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, გვჭირდება მისი პოვნა, თუნდაც ამისათვის თვით ჯოჯოხეთში მოგვიხდეს ჩასვლა!

მინა გაფითრდა და ოდნავ გასაგონად იკითხა:

- რატომ?

- იმიტომ, რომ, - უპასუხა ვან ჰელსინკმა, - ურჩხულმა შეიძლება ასობით წელი იცოცხლოს, თქვენ კი მხოლოდ მოკვდავი ქალბატონი ბრძანდებით! ახლა დროების უნდა გვეშინოდეს, რადგან მან თავისი დაღი დაგასვათ.

მე დროზე მოვასწარი ხელი მეტაცა მისთვის, რადგან მინა მოცელილივით ჩაიკეცა.

თავი ოცდამეოთხე

ექიმი სიუარდის დღიური

(პროფესორ ვან ჰელსინკის მიერ ჯონათან ჰარკერისადმი მიწერილი ბარათის ფონოგრაფიული ჩანაწერი)

თქვენ აქ დარჩით, მინასთან, ჩვენ კი საძებნელად გავემართებით. დღეს იგი არავითარ შემთხვევაში არ მოვა აქ. ახლა ნება მიბოძეთ გაცნობოთ ის, რაც უკვე ვუამბე სხვებს. ჩვენი მტერი გაიქცა, იგი ტრანსილვანიაში გაემგზავრა, თავის ციხესიმაგრეში. ამაში ისე ვარ დარწმუნებული, თითქოს ცეცხლოვანი ხელით კედელზე გამოსახული მენახოს. იგი, დიდი ხანია, ყოველი შემთხვევისათვის, ამისთვის ემზადებოდა, ამიტომაც ჰქონდა გამზადებული უკანასკნელი ყუთი, რათა ის გემზე აეტანა. ფულიც ამის გამო წაიღო. გრაფი ჩქარობდა,

რათა ის მზის ჩასვლამდე არ შეგვეპყრო. ეს გახლდათ მისი უკანასკნელი იმედი, თუმცა იგი, გარდა ამისა, ფიქრობდა, რომ საფლავში მიმალვას შეძლებდა. მას მეტი დრო აღარ დარჩა. დამარცხების შემდეგ გრაფმა გადარჩენის უკანასკნელ ხერხს მიმართა, თავის უკანასკნელ მიწიერ თავშესაფარს.

ის მამაცია - დიახ, ძალიან მამაცი! იცის, რომ აქ მისი თამაში დასრულდა და ამიტომ გადაწყვიტა შინ დაბრუნება. მან იპოვა გემი, რომელიც იმავე გზას გაივლის, რომლითაც იგი აქ მოვიდა და ავიდა კიდეც მასზე.

ახლა უნდა გავიგოთ, რა გემია ეს, და მისი ზუსტი მარშრუტი. ამით საბოლოოდ დაგამშვიდებთ თქვენ და საბრალო ქალბატონ მინას, რომელმაც ახალი იმედები ჩაგვისახა. მთელი იმედი ხომ მაინც ისაა, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი არ დაკარგულა. ამ ურჩხულს, რომელსაც ჩვენ მივსდევთ, რამდენიმე ასეული წელი დასჭირდა, რათა ლონდონამდე მოეღწია, ჩვენ კი ერთ მშვენიერ დღეს განვდევნეთ, რადგანაც მისი ძალაუფლების ფარგლები შევისწავლეთ. ის დაიღუპა, თუმცა ჯერ კიდევ შეუძლია მრავალი ბოროტება ჩაიდინოს, და იტანჯება, ძალიან იტანჯება. მაგრამ ჩვენც ძლიერები ვართ, - თითოეული თავისებურად, ხოლო ყველა ერთად - კიდევ უფრო ძლიერები. სულით ნუ დაეცემით! ბრძოლა მხოლოდ ახლა იწყება, და საბოლოოდ ჩვენ გავიმარჯვებთ, ამაში ისევე ვარ დარწმუნებული, როგორც იმაში, რომ ღმერთი ზეცაში იცავს თავის შვილებს. ამიტომ მშვიდად იყავით და ჩვენს დაბრუნებას დაელოდეთ.

თქვენი ჰელსინკი.

ჯონათან ჰარკერის დღიური

4 ოქტომბერი.

როცა მინას ვან ჰელსინკის ბარათი წავუკითხე, საბრალო ძალზე გამხიარულდა. იგი იმის გაგებამაც კი დაამშვიდა, რომ გრაფმა დატოვა ქვეყანა, ხოლო დამშვიდებამ ძალა შემატა. მე რაც შემეხება, ახლა, როცა საშინელი საფრთხე აღარ გვემუქრება, ეს ლამის დაუჯერებლად მეჩვენება. თვით ჩემი საზარელი თავგადასავლები დრაკულას ციხესიმაგრეში რაღაც დიდი ხნის მივიწყებულ სიზმრებად მესახება. აქ, შემოდგომის სუფთა ჰაერზე, მზის კაშკაშა სხივებში... განა შეიძლება ეჭვი მეპარებოდეს? ოცნების დროს თვალში მომხვდა წითელი დაღი ჩემი ძვირფასი ცოლის თეთრ შუბლზე. სანამ ის არ გაქრება, არდაჯერება წარმოუდგენელია.

მინა ჰარკერის დღიური

5 ოქტომბერი, დღის 5 საათი.

პროფესორმა ვან ჰელსინკმა შეგვატყობინა, რა მოიმოქმედეს იმისათვის, რათა გაეგოთ, რომელი ხომალდით და სად გაიქცა გრაფი დრაკულა.

- რადგან ვიცოდი, რომ იგი ტრანსილვანიაში დაბრუნებას ცდილობს, დარწმუნებული ვიყავი, რომ დუნაის შესართავს გაივლის ან, ყოველ შემთხვევაში, შავ ზღვას, რადგან აქ ამ გზით ჩამოვიდა.

ჩვენ შევუდექით ცნობების შეგროვებას, რომელი ხომალდები გაემართნენ შავი ზღვის პორტებში. ვიცოდით, რომ გრაფი აფრიან გემზე იმყოფება, რადგან ქალბატონმა მინამ თქვა, აფრების გაშლის ხმა მესმისო. ჩვეულებრივ, ეს გემები არ ხვდება ხომალდთა გამგზავრების ნუსხაში და ამიტომ ლორდი გოდალმინგის დაჟინებით

ლოიდის კანტორაში შევკრიბეთ ცნობები. იქ ყველა გემის შესახებ არსებობს ინფორმაცია, როგორი მცირეც უნდა იყოს იგი. იქ გავიგეთ, რომ მხოლოდ ერთი გემი გაემგზავრა დულითლის ნავსადგურიდან შავ ზღვაში. ეს იყო „დედოფალი ეკატერინე“, რომელიც ვარნაში გაემართა, ხოლო იქიდან სხვა პორტებში და დუნაის ზემო წელში!

მაშ ასე, - ვთქვი მე, - სწორედ ამ გემზე იმყოფება-მეთქი გრაფი. ყველანი დულითლის ნავსადგურისკენ გავემართეთ და იქ ციცქნა კანტორაში მსუქანი ბატონი ვნახეთ.

მისგან შევაგროვეთ ცნობები „დედოფალი ეკატერინეს“ შესახებ. იგი აღრიალდა, იგინა და ილანძღა, სახე აუღაჟღაჟდა, მაგრამ მაინც კარგი ყმაწვილი აღმოჩნდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქვინსიმ ახალთახალი საკრედიტო ბილეთი გადასცა.

მისი ნაამბობიდან გაირკვა, რომ დაახლოებით ხუთ საათზე მოირბინა ვიღაც უცნობმა. ეს იყო მაღალი, გამხდარი და ფერმკრთალი მამაკაცი კეხიანი ცხვირით, თეთრი კბილებითა და მოელვარე თვალებით. მთლიანად შავები ეცვა და სეზონისათვის შეუფერებელი ჩალის ქუდი. ფული არ ენანებოდა, რათა მალე გაიგო, რომელი გემი მიემგზავრება შავი ზღვის ნავსადგურებში. ამის დაზუსტების შემდეგ მან უარი განაცხადა ტრაპით ასვლაზე და კაპიტანს სთხოვა მასთან ჩამოსულიყო. კაპიტანი გამოვიდა, წინასწარ გაიგო, რომ კარგად გადაუხდიდნენ, და თუმცა თავიდან გაწყრა,მაგრამ ბოლოს მაინც შეთანხმდნენ. შემდეგ გაძვალტყავებულმა ბატონმა იკითხა, სად შეიძლება ფორნისა და ცხენის დაქირავებაო. ის წავიდა,მაგრამ მალე დაბრუნდა, ფორანს მოაცილებდა, რომელზეც დიდი ყუთი იდო. ის თვითონ ჩამოიღო ფორნიდან, თუმცა გემზე მის ასატანად რამდენი-

მე კაცი გახდა საჭირო. ბატონი დიდხანს უხსნიდა კაპიტანს, სად უნდა დაედგათ ყუთი, მაგრამ მას ეს არ მოეწონა და ხმამაღლა შეიგინა, ბატონს შესთავაზა თვითონ ასულიყო და ენახა, სად იდგმებოდა ყუთი. მაგრამ იგი უარზე დადგა და ათასი რამე მოიმიზეზა, რაზეც კაპიტანმა უპასუხა, უკეთესი იქნება, თუ ცოტას დაუჩქარებთ, თუ არადა, ჯანდაბამდეც გზა გქონიათ და ეშმაკსაც წაუღიხართო, გემი უთქვენოდაც კარგად გავაო. მაშინ გამხდარმა ბატონმა გაიღიმა და მიუგო: ცხადია, გემი მაშინ გაემგზავრება, როცა ამას კაპიტანი ჩათვლის საჭიროდ, მაგრამ ძალიან გამიკვირდება, თუ ეს ასე მალე მოხდებაო. კაპიტანმა ისევ შეიკურთხა, ხოლო უცნობმა ბატონმა თავი დაუკრა, მადლობა გადაუხადა და უთხრა, გემზე ზუსტად გასვლის წინ გამოვცხადდებიო. მაშინ კაპიტანი კიდევ უფრო მეტად გაცხარდა და განაცხადა, გემზე ფრანგები არ მჭირდება, ეშმაკსაც წაუღია ყველა ფრანგი და თქვენი თავიცო. ამაზე ბატონმა ყური არ შეიბერტყა და იკითხა, მახლობლად სავაჭრო ფარდული თუა სადმეო და წავიდა.

არავინ დაინტერესებულა მისი ასავალ-დასავლით, რადგან სულ სხვა რამეზე მოუწიათ ფიქრმა, - მოკლე ხანში ნათელი გახდა, რომ „დედოფალი ეკატერინე“ ისე ადრე ვერ აუშვებდა ღუზას, როგორც ნავარაუდევი იყო. მდინარის ზედაპირიდან მსუბუქი ნისლი დაიძრა, რომელიც მალე ისე შესქელდა, რომ ნავსადგურში ყველა გემი დაფარა. კაპიტანი უამრავ ენაზე იგინებოდა - უხმობდა ზეცასა და ჯოჯოხეთს, მაგრამ ვერაფერს ახერხებდა. წყალი კი სულ უფრო მატულობდა. შეეშინდა, მოქცევა ხელიდან არ გავუშვაო. ძალიან ცუდ გუნებაზე იყო, როცა უცებ გამხდარი ბატონი გამოჩნდა და სთხოვა ეჩვენებინა, სად დადგეს ყუთი, კაპიტანმა უპასუხა, ძალიან მოხარული დავრჩები, თუ თქვენ მაგ ყუთიანად ჯანდაბაში გადაიკარგებითო. მაგრამ ბატონი, რომელიც სულაც არ გაბრაზებულა, შტურმანთან ერთად ქვემოთ დაეშვა, ნახა, სად იდო ყუთი, შემდეგ გემბანზე ავიდა

და იქ დარჩა, ნისლით გარემოცული. მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია.

მართლაც ახლა მისთვის არავის ეცალა, რადგანაც ნისლი მალე შეთხელდა და ცა მოიწმინდა. ასე იყო თუ ისე, გემი გავიდა და დილით უკვე მდინარის შესართავში იმყოფებოდა და როდესაც ჩვენ მის შესახებ ცნობებს ვაზუსტებდით, ტალღებს მიაპობდა.

ამრიგად, ძვირფასო მინა, შეგვიძლია დროებით დავისვენოთ, იმიტომ, რომ ჩვენი მტერი ზღვაში მიცურავს, ნისლებზე ამხედრებული, დუნაის შესართავისკენ. ამ ლაშქრობისათვის იალქნიან გემს დიდი დრო დასჭირდება. და თუ ჩვენ ახლა სახმელეთო გზით გავემგზავრებით, ჩავუსწრებთ მას და ადგილზე დავხვდებით. ჩვენთვის ყველაზე კარგი იქნება კუბოში მივაკვლიოთ მას აისსა და დაისს შორის. მაშინ მას ბრძოლის თავი არ ექნება და შეგვეძლება, ისე მოვექცეთ, როგორც საჭიროა. მანამდე საკმაო დრო გვაქვს, რათა გეგმა შევადგინოთ. ჩვენ ვიცით, სად მიემართება იგი, რადგან ვნახეთ ხომალდის პატრონი, რომელმაც გემის ყველა საბუთი გვიჩვენა. ყუთს, რომელსაც ჩვენ ვეძებთ, ვარნაში გადმოტვირთავენ და გადასცემენ აგენტს, რომელმაც მინდობილობა უნდა წარადგინოს. ამრიგად, ჩვენი ახალი მეგობარი ძალიან დაგვეხმარა. მან გვკითხა, რამე ცუდი ხომ არ შეემთხვა ყუთსო და უნდოდა კიდეც დეპეშა გაეგზავნა ვარნაში, რათა იქ მოკვლევა ჩაეტარებინათ, მაგრამ ჩვენ დავამშვიდეთ, იმიტომ, რომ პოლიციის ჩარევა არ არის სასურველი. ყველაფერი თვითონ უნდა მოვაგვაროთ.

როცა ვან ჰელსინკმა დაამთავრა, ვკითხე, დარწმუნებული ხართ თუ არა, რომ გრაფი ხომალდზე დარჩა-მეთქი. მან მიპასუხა:

- ჩვენ საკმაოდ დამაჯერებელი მტკიცებულება გვაქვს - თქვენი სიტყვები ჰიპნოზური ძილის დროს.

მე ისევ ვკითხე, ნუთუ ასეთი აუცილებელია გრაფის დევნა, რადგან მეშინია, ჯონათანის გარეშე არ დავრჩე, არადა ვიცი, რომ იქ წავა, სადაც სხვები წავლენ-მეთქი.

ვან ჰელსინკი თავიდან მშვიდად მპასუხობდა, მაგრამ შემდეგ ხმაში აღშფოთება დაეტყო:

- დიახ, აუცილებელია, აუცილებელი, აუცილებელი! თქვენი და მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ. ამ ურჩხულმა მრავალი ბოროტება დათესა. ამის შესახებ მე უკვე ვუამბე სხვებს: თქვენ, ქალბატონო მინა, ყველაფერს გაიგებთ ჯონის ფონოგრაფიდან ან თქვენი ქმრის დღიურიდან. მე ვუამბე მათ, როგორ დასჭირდა მას ასობით წელი, რათა დაეტოვებინა თავისი პატარა ქვეყანა და გამგზავრებულიყო ახალში, სადაც იმდენი ადამიანია, რამდენიც თავთავი მინდორში. იმ მძიმე დროებაში, როცა „ნოსფერატუ“ ჯერ კიდევ ნამდვილი ცხოვრებით ცხოვრობდა, იმით იყო განთქმული, რომ არავის ჰქონდა ასეთი რკინის ნერვები, ასეთი მოქნილი ჭკუა და ასეთი სიმამაცე. ზოგი ცხოვრებისეული ძალა მასში უკიდურესად განვითარდა, სხეულთან ერთად განვითარდა მისი გონებაც. მან თქვენ წაგბილწათ - მაპატიეთ, ძვირფასო, ასე რომ ვამბობ. მან ის გააკეთა, რომ სიკვდილის შემდეგ, რაც ღვთის განგებით ყველა ადამიანის ხვედრია, თქვენ არ გეღირსებათ, - რადგან თქვენ მას დაემსგავსებით.

მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს! ჩვენ ყველამ დავიფიცეთ, რომ ეს არ მოხდება. ჩვენ ამგვარად ვასრულებთ უფლის ნებას, რომელსაც არ

სურს,რომ სამყარო და ადამიანები, რომლისთვისაც მისმა ძემ გაწირა თავი, ურჩხულთა ძალაუფლების ქვეშ მოექცეს, რომელთა არსებობაც მას შეურაცხყოფს.

მან უკვე დაგვრთო ნება ჭეშმარიტების წიაღში დავაბრუნოთ ერთი სული, და ახლა ჩვენ გავემგზავრებით სხვა სულებისათვის, ძველი ჯვაროსნების მსგავსად აღმოსავლეთში წავალთ, და თუ დავიღუპებით, დავიღუპებით, როგორც ისინი, წმინდა საქმისათვის.

ის გაჩერდა. მე პაუზით ვისარგებლე და ვკითხე:

- მაგრამ ხომ არ დაიხევს უკან გრაფი საფრთხის წინაშე კეთილგონიერებიდან გამომდინარე? შესაძლოა, მას შემდეგ, რაც თქვენ იგი ქვეყნიდან განდევნეთ, თავი აარიდოს საშიშროებას სოფლიდან გაძევებული ვეფხვის მსგავსად.

- ჰოო! - თქვა მან. - ეს კარგი შედარებაა, მე მას გამოვიყენებ. იმ კაციჭამიებს, როგორც ინდოეთში უწოდებენ ვეფხვებს, რომლებსაც ადამიანის ხორცი აქვთ გასინჯული, არ სურთ სხვა საკვები, ადამიანის ხორცის გარდა, და სოფლების ირგვლივ დაძრწიან, სანამ კიდევ არ მოახერხებენ ამ ნუგბარით პირის ჩატკბარუნებას. ის, ვინც ჩვენი სოფლიდან განვდევნეთ, ისეთივე კაციჭამია ვეფხვია, და იგი არასოდეს დაანებებს თავს ჩვენს მეზობლად წანწალს. უკან დახევა უცხოა მისთვის.

ექიმ სიუარდის დღიური

5 ოქტომბერი. საღამოს.

გადავწყვიტეთ, რომ ნახევარ საათში შევიკრიბოთ აქ, ჩემს კაბინეტში, და საბოლოოდ დავამტკიცოთ მოქმედების გეგმა. მე მხოლოდ ერთ სირთულეს ვხედავ, რასაც ინსტინქტურად ვგრძნობ: ჩვენ ყველამ გულახდილად უნდა ვილაპარაკოთ, მაგრამ ვშიშობ, რომ რაღაც იდუმალი მიზეზით ქალბატონ ჰარკერს ენა დაებმება. ვიცი, რომ მას თავისი დასკვნები გამოაქვს, მაგრამ იგი ვერ შეძლებს ან არ ისურვებს, რომ გაგვანდოს. ამის შესახებ ვან ჰელსინკს ვესაუბრე, როცა ჩვენ მარტო დავრჩით. და ამას ისევ დავუბრუნდებით. ვვარაუდობ, რომ მის სისხლში მოხვედრილი საშინელი შხამი უკვე იწყებს მოქმედებას. გრაფს, როგორც ჩანს, გარკვეული გეგმა ჰქონდა, როცა მინას ჩააწვეთა ის, რასაც ვან ჰელსინკი „ვამპირის სისხლიან ნათლობას“ უწოდებს. ალბათ, არსებობს შხამი, რომელიც უვნებელი ნივთიერებებისაგან მიიღება. ჩვენს საუკუნეში კიდევ ბევრი საიდუმლო დარჩა, ამიტომ გასაკვირიც არაფერია. მე ერთი რამ ვიცი: თუ ჩემი ინსტინქტი არ მღალატობს, ქალბატონ ჰარკერის დუმილში ახალი საშინელი საფრთხე იმალება, რაც მომავალში დაგვემუქრება. მაგრამ, შესაძლოა, ზუსტად ის ძალა, რომელიც მას დუმილს აიძულებს, აამეტყველებს კიდეც. ამაზე ფიქრს ვეღარ ვბედავ, რადგან ვშიშობ, თუნდაც აზრობრივად მივაყენო შეურაცხყოფა ამ კეთილშობილ ქალბატონს.

რამდენიმე ხნის შემდეგ.

ვან ჰელსინკი სხვებზე ადრე მოვიდა ჩემს კაბინეტში. ვეცდები მივაკვლიო ჭეშმარიტებას მისი დახმარებით.

აი, რა მითხრა მან:

- ჯონ, ჩვენ აუცილებლად უნდა მოვილაპარაკოთ რაღაც-რაღაცებზე სხვების მოსვლამდე, ხოლო შემდეგ შეიძლება მათაც გავუმხილოთ ეს.

- მინა, ჩვენი საბრალო, ძვირფასი მინა იცვლება!

- მის ლუსისთან დაკავშირებით ჩვენი წინა გამოცდილების საფუძველზე ფრთხილად უნდა ვიყოთ, რათა დახმარებამ ძალიან არ დაიგვიანოს. ჩვენი ამოცანა ახლა უფრო გართულდა, ვიდრე აქამდე: ამ ახალი უბედურების გამო ჩვენთვის ყოველი საათი ძვირფასია. ვხედავ, მის სახეზე თანდათან როგორ ჩნდება ვამპირისათვის დამახასიათებელი ნიშნები. მართალია, ისინი ჯერ ოდნავ შესამჩნევია, მაგრამ მათი დანახვა მაინც შეიძლება, თუ ყურადღებით და ცრურწმენების გარეშე დავუკვირდებით. კბილები უფრო ბასრი გაუხდა, ხოლო თვალების გამომეტყველება - უფრო მკაცრი. გარდა ამისა, ის ახლა ხშირად დუმს, როგორც ადრე ლუსი. ახლა აი, რა მაშინებს! თუ მას ძილში, ჩვენ მიერ გამოწვეულ ძილში შეუძლია თქვას, რას აკეთებს გრაფი, მაშინ სრულიად შესაძლებელია, რომ მას, ვინც პირველად დააჰიპნოზა მინა და აიძულა თავისი სისხლი შეესვა, შეუძლია აიძულოს იგი და რაც კი რამ ჩვენს შესახებ იცის, გაამხელინოს.

ჩვენ, რადაც უნდა დაგვიჯდეს, ეს უნდა აღვკვეთოთ, მას უნდა დავუმალოთ ჩვენი განზრახვა, მაშინ მინა ვერ შეძლებს ის უამბოს, რაც თვითონაც არ იცის.

ოჰ! სამწუხარო ამოცანაა! ისეთი სამწუხარო, რომ გული მეკუმშება ამის გაფიქრებაზე, მაგრამ სხვაგვარად არ შეიძლება. როცა

დღეს ვნახავთ მას, ვეტყვი, რომ რაღაც მიზეზების გამო იგი აღარ უნდა დაესწროს ჩვენს შეკრებებს, თუმცა, რა თქმა უნდა, სხვა მხრივ არაფერი შეიცვლება.

მე ვუპასუხე, თქვენს აზრს მთლიანად ვიზიარებ-მეთქი.

მალე ყველა შევიკრიბებით. ვან ჰელსინკი წავიდა, რათა თავისი სევდიანი მისიის შესასრულებლად მოემზადოს. მგონია, რომ გარდა ამისა, განმარტოებით უნდა ლოცვა.

მცირე ხნის შემდეგ.

ჩვენი კრების დაწყებამდე მე და ვან ჰელსინკმა შვებით ამოვისუნთქეთ, რადგან ქალბატონმა ჰარკერმა გამოგზავნა თავისი ქმარი და სთხოვა გადმოეცა ჩვენთვის, რომ არ შემოგვიერთდებოდა, რადგან თვლის, რომ ჩვენ უფრო თავისუფლად ვიგრძნობთ თავს, თუკი არ შევიზღუდებით მისი დასწრებით ჩვენი გეგმების განხილვის დროს. მე და პროფესორმაერთმანეთს გადავხედეთ და შვებით ამოვისუნთქეთ. გავიფიქრე, რომ რადგან ქალბატონმა მინამ თვითონ იგრძნო საფრთხე, ამით მრავალ სირთულესა და უსიამოვნებას დავაღწევთ-მეთქი თავს...

ამრიგად, ჩვენ შევუდექით ჩვენი კამპანიის გეგმის შედგენას. თავიდან ვან ჰელსინკმა მოკლედ გაგვაცნო შემდეგი ფაქტები:

- „დედოფალი ეკატერინე“ გუშინ დილით გავიდა თემზადან. ვარნამდე მისასვლელად მას, უკიდურეს შემთხვევაში, სამი კვირა დასჭირდება. ჩვენ კი ვარნამდე სახმელეთო გზით სულ სამ დღეში მივაღწევთ. თუკი იმასაც დავუშვებთ, რომ ხელსაყრელი ამინდის წყა-

ლობით, რაც შეიძლება გრაფმა გამოიწვიოს, გემი ორ დღეს მოიგებს, და რომ ჩვენ შემთხვევით დაგვაკავებენ რამდენიმე დღით, წინ მაინც დაახლოებით ორი კვირა გვაქვს. ამრიგად, სრულიად მშვიდად რომ ვიყოთ, ყველაზე გვიან, ჩვიდმეტში მაინც უნდა გავემგზავროთ. მაშინ ჩვენ ნებისმიერ შემთხვევაში ვარნაში გემზე ერთი დღით ადრე ჩავალთ და საჭირო მომზადებას მოვასწრებთ.

ამის შემდეგ ქვინსი მორისმა დაამატა:

- მე ვიცი, რომ გრაფი წარმოშობით მგლების ქვეყნიდანაა, და შესაძლოა, იქ ჩვენზე ადრე ჩავიდეს. მე გთავაზობთ, რომ ჩვენი შეიარაღება ვინჩესტერის შაშხანებით შევავსოთ. ნებისმიერ რთულ გარემოებაში შაშხანის დიდი იმედი მაქვს.

- კარგი! - თქვა ვან ჰელსინკმა. - შაშხანებიც წავიღოთ. აქ ჩვენ, არსებითად, საქმე არაფერი გვაქვს, ხოლო რადგან ვარნას არც ერთი ჩვენგანი არ იცნობს, ხვალვე ხომ არ გავემგზავროთ? სულ ერთია, სად მოვიცდით, აქ თუ იქ. დღეს ღამით და ხვალ მომზადებას მოვასწრებთ და თუ ყველაფერი რიგზე იქნება, საღამოს ოთხნი გავუდგებით გზას.

- ოთხნი? - იკითხა გაკვირვებულმა ჰარკერმა და კითხვით სავსე მზერა მოგვავლო.

- რა თქმა უნდა! თქვენ უნდა დარჩეთ და იზრუნოთ თქვენს ძვირფას მეუღლეზე! - აჩქარებით უპასუხა პროფესორმა.

ჰარკერი რამდენიმე წუთით დადუმდა და შემდეგ ყრუ ხმით თქვა:

- ამაზე ხვალ დილით ვილაპარაკოთ. მინას უნდა დაველაპარაკო.

გავიფიქრე, რომ ვან ჰელსინკი შემთხვევით ისარგებლებდა და ჰარკერს გააფრთხილებდა, რომ მას არ გაემხილა მინასთვის ჩვენი გეგმები: მაგრამ მან ამას ყურადღება არ მიაქცია. მე მრავალმნიშვნელოვნად გავხედე და ჩავახველე. მაგრამ პასუხის ნაცვლად მან ტუჩებზე თითი მიიდო და ზურგი მაქცია.

ჯონათან ჰარკერის დღიური

5 ოქტომბერი, ვახშმობის შემდეგ.

ჩვენი კრების მერე დიდხანს არაფერზე შემეძლო მეფიქრა. მოვლენათა ახალმა განვითარებამ იმდენად განმაცვიფრა, რომ აზროვნების ძალაც არ შემწევს. მინას გადაწყვეტილება - არავითარი მონაწილეობა არ მიიღოს განხილვაში - ძალიან მაფიქრებს: ხოლო რადგან მე ვერ გავბედავ, ვუთხრა მას ამის შესახებ, ამიტომ მხოლოდ ჩემი ვარაუდების გაზიარება შემიძლია. ახლა ძალზე შორსა ვარ ჭეშმარიტებისაგან. დანარჩენთა საქციელმა ამასთან დაკავშირებით ძალიან გამაოცა: ბოლო დროს ჩვენ ხომ ხშირად ვმსჯელობდით ამ საკითხზე და გადავწყვიტეთ, რომ ჩვენ შორის არავითარი საიდუმლო არ იქნებოდა. მინას ახლა მშვიდად სძინავს, პატარა ბავშვივით. ტუჩები ნახევრად ღია აქვს, ხოლო სახე ბედნიერებით უბრწყინავს. მადლობა ღმერთს, რომ ეს ასეა.

მცირე ხნის შემდეგ.

რა უცნაურია! მე ვიჯექი და მინას ბედნიერ ძილს ვდარაჯობდი, და თავს ისე ბედნიერად ვგრძნობდი, როგორც, ალბათ, არასოდეს.

როცა მოსაღამოვდა და დედამიწა ჩრდილებით დაიფარა, ოთახში კიდევ უფრო მეტი სიჩუმე და სიმშვიდე ჩამოწვა. უცებ მინამ თვალები გაახილა და მომმართა:

- ჯონათან, პატიოსანი სიტყვა მომეცი, რომ თხოვნას შემისრულებ. დამპირდი უფლის წინაშე და შემომფიცე, რომ არ დაარღვევ მას, მაშინაც კი, თუ მე მუხლებზე დაჩოქილი და მწარედ ატირებული დაგიწყებ ვედრებას. სასწრაფოდ შემისრულე ეს თხოვნა, ახლავე.

- გპირდები, - ვუპასუხე მე, და იგი წამით თითქოს ბედნიერებამ გააცისკროვნა. ჩემთვის კი ეს არ იყო ბედნიერება, რადგან წითელი დაღი კვლავინდებურად უელავდა შუბლზე. მან თქვა:

- დამპირდი, რომ ერთ სიტყვასაც არ მეტყვი გრაფის წინააღმდეგ შედგენილი გეგმის შესახებ. არც ერთი სიტყვა, არავითარი მინიშნება, სანამ ეს არ გაქრება! - და მან საზეიმოდ მიმითითა დაღზე. შევატყვე, რომ ის სერიოზულად ლაპარაკობდა და გავუმეორე:

- გპირდები!

ამ სიტყვების შემდეგ მივხვდი, რომ ამიერიდან ჩვენ შორის კედელი აღიმართა.

შუაღამე.

მინა მთელი საღამო მხიარული და ხალისიანი იყო, ასე რომ, დანარჩენებიც გახალისდნენ, თითქოს მისი მხიარულება გადაედოთ, მეც კი ვიგრძენი, რომ სევდიანი საფარველი, რომელიც მძიმედ მაწვა, თითქოს ოდნავ შემსუბუქდა. ჩვენ ადრე დავიშალეთ.

დილა, 6 ოქტომბერი.

ახალი სიურპრიზი. მინამ გუშინდელივით ადრე გამაღვიძა და მთხოვა, ვან ჰელსინკი იხმეო. ვიფიქრე, რომ ისევ დაჰიპნოზება უნდოდა, და მაშინვეგავედი პროფესორის დასაძახებლად. იგი, როგორც ჩანს, ელოდა ამ მოწვევას, რადგან უკვე ჩაცმული იყო. პროფესორი მაშინვე მოვიდადა იკითხა, დანარჩენებს თუ შეუძლიათ დასწრებაო.

- არა, - უპასუხა მინამ, - არ არის საჭირო. შეგიძლიათ მოგვიანებით ყველაფერი თავად გადასცეთ. მე თქვენთან ერთად უნდა წამოვიდე!

ორივე სახტად დავრჩით. მცირე პაუზის შემდეგ პროფესორმა იკითხა:

- მაგრამ რატომ?

- თქვენთან უნდა წამიყვანოთ. თქვენთან უფრო უსაფრთხოდ ვიქნები, და თქვენც, ასევე.

- მაგრამ რატომ, ძვირფასო ქალბატონო? თქვენ იცით, რომ ზრუნვა თქვენს უსაფრთხოებაზე ჩვენი წმინდა მოვალეობაა. ჩვენ მრავალი საშიშროება გველის, ეს კი თქვენ ყველაზე მეტად გემუქრებათ, ვიდრე რომელიმე ჩვენგანს, - სხვადასხვა გარემოებათა შედეგად...

იგი დაბნეული შეჩერდა. მინამ თითით თავის შუბლზე ანიშნა და უპასუხა:

- ვიცი. მაგრამ მე თქვენთან ერთად უნდა წამოვიდე. შემიძლია ეს გითხრათ, რადგან მზე ამოდის. შემდეგ ვეღარ შევძლებ. ვიცი, რომ თუ გრაფი მოისურვებს, მე მას უნდა გავყვე, ვიცი, რომ თუ ის მიბრძანებს მალულად წავიდე, მე ვიეშმაკებ, ჯონათანსაც კი მოვატყუებ. თქვენ ძლიერები და მამაცები ხართ. ძლიერები იმით, რომ ბევრნი ხართ, და შეგიძლიათ არაფრად ჩააგდოთ ის, რაც გატეხდა ერთ ადამიანს. გარდა ამისა, მე შევძლებ თქვენთვის სასარგებლო ვიყო: თუ დამაჰიპნოზებთ, ამით იმას გაიგებთ, რაც თვითონაც არ ვიცი.

მაშინ ვან ჰელსინკს ხმაში სერიოზულობა მოემატა:

- ქალბატონო მინა, თქვენ გონივრულად ლაპარაკობთ, როგორც ყოველთვის. თქვენ ჩვენთან ერთად წამოხვალთ. და ყველანი ერთად ავასრულებთ ჩვენს მოვალეობას.

ვან ჰელსინკმა მთხოვა, გამომყევიო.

ჩვენ მის ოთახში შევედით, სადაც გოდალმინგი, ექიმი სიუარდი და ქვინსი მორისი შემოგვიერთდნენ. პროფესორმა მათ ყველაფერი უამბო, რაც მინამ აცნობა და შემდეგ განაგრძო:

- დილით ვარნაში გავემგზავრებით. ახლა ანგარიში უნდა გავუწიოთ ახალ ფაქტორს - მინას. იგი ჩვენი ერთგულია. მან დიდი ტანჯვის ფასად გვიამბო ამდენი რამ. მაგრამ ძალიან კარგად მოიქცა: ახლა გაფრთხილებულები ვართ. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს არც ერთი შანსი, და ვარნაში მზად უნდა ვიყოთ, დაუყოვნებლივ ვიმოქმედოთ გემის მოსვლის შემდეგ.

- იქ რა უნდა გავაკეთოთ? - ლაკონურად იკითხა მორისმა.

პროფესორი მცირე ხნით ჩაფიქრდა და უპასუხა:

- პირველ რიგში გემზე ავალთ და შემდეგ, როცა ყუთს ვიპოვით, მასზე ასკილის ტოტს დავდებთ. სანამ ის იქ იქნება, მისგან ვერავინ შესძლებს გამოსვლას, ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობს ხალხური რწმენა. შემდგომ დაველოდებით გარემოებათა ისეთ დამთხვევას, როცა მახლობლად არავინ იქნება, გავხსნით ყუთს - და ყველაფერს დავამთავრებთ.

- მე არავითარ ხელსაყრელ შემთხვევას არ დაველოდები, - თქვა მორისმა. - როცა ყუთს ვიპოვი, გავხსნი და გავანადგურებ ურ-ჩხულს, დაე, ათასობით ადამიანმა დაინახოს ეს და თუნდაც ამის შემდეგ მაშინვე ჩამომახრჩონ.

- თქვენ მამაცი ადამიანი ხართ, - უთხრა ექიმმა ვან ჰელსინკმა, - დიახ, მამაცი ადამიანი. ჩემო შვილო, მერწმუნეთ, არც ერთი ჩვენ-განი არ დაიხევს უკან შიშის გამო. მე მხოლოდ ვამბობ, რომ ყველა-ნი ისე მოვიქცევით, როგორც საჭიროა, მაგრამ ჯერ არ შეგვიძლია ვთქვათ, როგორ. მანამდე ბევრი რამ შეიძლება მოხდეს. ყველანი შეიარაღებული ვიქნებით და როცა კრიტიკული მომენტი დადგება, უკან არავინ დაიხევს. დღესვე მოვაწესრიგებთ ჩვენს საქმეებს, იმი-ტომ, რომ ვერც ერთი ჩვენგანი ვერ იტყვის, როგორი იქნება დასას-რული. ჩემი საქმეები უკვე მოგვარებულია, ხოლო რადგან გასაკე-თებელი აღარაფერი მაქვს, წავალ და ყველაფერს გავამზადებ მოგ-ზაურობისათვის. ბილეთებს შევიძენ, და ყველაფერს, რაც საჭიროა.

გასარკვევი აღარაფერი გვქონდა და დავიშალეთ. ახლა ჩემს საქმეებს მივხედავ და ამის შემდეგ ყველაფრისთვის მზად ვიქნები, რაც უნდა მოხდეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ.

ყველაფერი გაკეთებულია. ჩემი უკანასკნელი სურვილი ჩაწერილია. მინა ჩემი ერთადერთი მემკვიდრეა, თუ მასზე ადრე აღვესრულები. მზე ჩასასვლელად ემზადება. მინა შეუძლოდ გრძნობს თავს. დარწმუნებული ვარ, რომ რაღაცას ფიქრობს, ამას მზის ჩასვლის შემდეგ გავიგებთ. ჩვენ ყოველთვის შიშით ველოდებით აისსა და დაისს, რადგან ყოველთვის ახალი საფრთხის, ახალი უბედურების შესახებ ვიგებთ. ღმერთმა ქნას, ყველაფერი მშვიდობით დამთავრდეს.

თავი ოცდამეხუთე
ექიმი სიუარდის დღიური

17 ოქტომბერი, საღამო.

ამის ჩაწერა ჰარკერმა მთხოვა, რადგან მას მუშაობა არ შეუძლია, ზუსტი ჩანაწერი კი საჭიროა.

ყველამ შევნიშნეთ, რომ ბოლო დღეებში აისისა და დაისის პერიოდები მისის ჰარკერისთვის განსაკუთრებული თავისუფლების პერიოდებს წარმოადგენს. როცა მის ადრინდელ პიროვნებას შეუძლია გამომჟღავნდეს მაკონტროლებელი ძალის გავლენის გარეშე, რაც თრგუნავს მას ან უცნაური ქმედებებისკენ უბიძგებს. ამ მდგომარეობას ადგილი აქვს მზის ამოსვლამდე და ჩასვლამდე დაახლოებით ნახევარი საათით ადრე და მანამდე გრძელდება, სანამ მზე ამოდის ან ვიდრე ღრუბლები ჯერ კიდევ კაშკაშებენ ჰორიზონტს მიღმა

დამალული მნათობის სხივებში. თავიდან როგორღაც მერყეობს, თითქოს რაღაც ბორკილები იწყებს შესუსტებას, უეცრად დგება აბსოლუტური თავისუფლების გრძნობა, რასაც დუმილი მოჰყვება.

როცა დღეს შევხვდით ერთმანეთს, იგი რამდენადმე თავშეკავებული იყო, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ კი თქვა:

- დილით შევუდგებით ჩვენი ამოცანის შესრულებას, და მხოლოდ ღმერთმა უწყის, რა გველის მომავალში. თქვენ სიკეთეს გამოიჩენთ და თან წამიყვანთ. ვიცი, რაზე შეიძლება წავიდნენ გამბედავი, მტკიცე ადამიანები, რათა დაეხმარონ საბრალო, სუსტ ქალს, რომლის სული, შესაძლოა, დაიღუპა ან... ყოველ შემთხვევაში, საფრთხეშია. მაგრამ თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ მე თქვენნაირი არა ვარ. ჩემს სისხლში, ჩემს სულში შხამია, რასაც შეუძლია მომკლას. რამაც მე უნდა მომკლას, თუ დროულად არ გამიწევენ დახმარებას. ოჰ, ჩემო მეგობრებო, თქვენ ასევე კარგად იცით, ისევე, როგორც მე, რომ ჩემი სული საფრთხეშია. და თუმცა მეც თქვენსავით ვიცი, რომ მხოლოდ ერთი გზა მაქვს, იგი არც თქვენ, და არც მე არ უნდა ავირჩიოთ.

- რომელი გზა? - ჩახლეჩილი ხმით იკითხა ვან ჰელსინკმა.

- ეს გზა ჩემი სიკვდილია ახლავე, საკუთარი ან სხვისი ხელით, მაგრამ ყოველ შემთხვევაში უფრო ადრე, ვიდრე უდიდესი უბედურება მოხდება. მე ვიცი, და თქვენც ასევე, ახლა რომ მოვკვდე, თქვენ შეძლებთ ჩემი უკვდავი სულის გადარჩენას, როგორც ეს გაუკეთეთ საბრალო ლუსის. მხოლოდ სიკვდილი ან სიკვდილის შიში რომ იყოს ერთადერთი დაბრკოლება ჩემს გზაზე, მე დაუფიქრებლად მოვკვდებოდი აქ, ახლა, ჩემს მოყვარულ მეგობრებს შორის. მაგრამ სიკვდილი არ არის დასასრული. მე არ შემიძლია დავუშვა, რომ

უფალს სურს იმ დროს მოვკვდე, როცა გადარჩენის იმედი გაგვიჩნდა. ასე, რომ მე, ჩემი მხრივ, უარს ვამბობ მარადიულ სიმშვიდეზე და ნებაყოფლობით მივდივარ იმ წყვდიადში, სადაც, შესაძლოა, უდიდესი ბოროტება სუფევს, როგორიც მხოლოდ ჯოჯოხეთში თუა... მაგრამ რას მომცემს ყოველი თქვენგანი? - ვიცი, საკუთარ სიცოცხლეს, - სწრაფად განაგრძო მან, - მაგრამ თქვენი სიცოცხლე ღმერთს ეკუთვნის, და მას უნდა დაუბრუნოთ. მაგრამ მე რას მიბოძებთ?

მან კითხვით სავსე მზერით შემოგვხედა, თავის ქმარს მოარიდა თვალი. ქვინსი თითქოს მიხვდა, თავი დაუქნია, და ქალს სახე გაუბრწყინდა.

- მე პირდაპირ გეტყვით, რა მჭირდება, იმიტომ, რომ ჩვენს შორის ამ მხრივ დამალული არაფერი უნდა იყოს. ყველანი უნდა შემპირდეთ, როგორც ერთი, და შენც, ჩემო საყვარელო მეუღლევ, რომ როდესაც დადგება დრო, თქვენ მე მომკლავთ.

- რა დრო? - იკითხა ქვინსიმ ყრუ, დახშული ხმით.

- როდესაც თქვენ დაინახავთ ჩემს გარეგნობაში მომხდარი ცვლილებების მიხედვით, რომ ჯობს მოვკვდე, ვიდრე ვიცოცხლო. როცა ჩემი სხეული მკვდარი იქნება, თქვენ დაუყოვნებლივ უნდა განგმიროთ მარგილით და თავი მომკვეთოთ, და საერთოდ, ყველაფერი აღასრულოთ, რაც ჩემი სულის სალხინებლად იქნება საჭირო.

ხანგრძლივი პაუზა ქვინსიმ დაარღვია.

- მე უხეში კაცი ვარ და სიმართლე რომ ვთქვათ, ისე სულაც არ მიცხოვრია, რომ რაიმეთი გამორჩეული ვიყო, მაგრამ ვფიცავ, რაც

წმინდა და ძვირფასია ჩემთვის. თუ მომენტი დადგება, თავს არ ავარიდებ იმ მოვალეობას, რაც თქვენ დამაკისრეთ.

- თქვენ ნამდვილი მეგობარი ხართ! - მხოლოდ ამის თქმა მოახერხა აცრემლებულმა ქალმა.

- ვფიცავ იგივე გავაკეთო, ძვირფასო მადამ მინა! - თქვა ვან ჰელსინკმა.

- მეც! - წარმოთქვა ლორდმა გოდალმინგმა.

- მეც მათ მივბაძავ, - განაცხადა მისმა ქმარმა, მინას ანთებული თვალები შეანათა და ჰკითხა:

- მეც ისევე უნდა დაგპირდე, ჩემო მეუღლევ?

- დიახ, საყვარელო, - მიუგო მან უსაზღვრო თანაგრძნობით. - უარი არ უნდა თქვა. შენ ჩემთვის ყველაზე ახლობელი და ძვირფასი ადამიანი ხარ. შენში მთელი ჩემი სამყაროა. ჩვენი სულები ერთმანეთთან მთელი სიცოცხლის მანძილზე და სამარადჟამოდაა დაკავშირებული. დაფიქრდი, ძვირფასო, რომ იყო დრო, როცა მამაცი ქმრები თავიანთ ცოლებსა და ახლობელ ქალებს ხოცავდნენ, რათა ისინი მტერს არ ჩავარდნოდნენ ხელში. ეს მამაკაცთა მოვალეობაა მათ წინაშე, ვინც უყვართ, მძიმე განსაცდელის დროს. ოჰ, ჩემო ძვირფასო, მე თუ ვინმეს ხელით მიწერია სიკვდილი, დაე, ეს მისი ხელი იყოს, ვისაც ყველაზე ძლიერ ვუყვარვარ.

კიდევ ერთი გაფრთხილება, რაც არ უნდა დაივიწყოთ: თუ ეს დრო უნდა დადგეს, იგი დადგება მალე და მოულოდნელად, და ამ შემთხვევაში თქვენ დაუყოვნებლივ უნდა ისარგებლოთ თქვენი

მდგომარეობით, იმიტომ, რომ იმ დროს მე შეიძლება ვიყო... არა, თუ ის დადგება, მე უკვე ვიქნები... თქვენს მტერთან, თქვენ წინააღ-მდეგ.

- და კიდევ ერთი თხოვნა, - დაამატა მან წუთიერი პაუზის შემდეგ, - იგი არ არის იმდენად აუცილებელი, როგორც პირველი, მაგრამ მე მინდა, რომ თქვენ ჩემთვის ერთი რაღაც გააკეთოთ, და გთხოვთ უარს ნუ მეტყვით.

ყველამ უხმოდ დავუქნიეთ თავი.

- მინდა, რომ წესი ამიგოთ.

მას ქმრის ხმამაღალმა კვნესამ შეაწყვეტინა: მინამ მისი ხელი აიღო, გულზე მიიკრა და განაგრძო:

- ის შენ უნდა წამიკითხო. როგორი გამოსავალიც უნდა არსებობ-დეს ამ საშინელი მდგომარეობიდან, ეს ყველასათვის დამამშვიდე-ბელი იქნება. ამისრულე ეს თხოვნა, ძვირფასო, რათა იგი სამუდა-მოდ ჩაიბეჭდოს ჩემს მეხსიერებაში, შენი ხმის ბგერები... რაც უნდა მოხდეს.

- მაგრამ, ჩემო ძვირფასო, - ამოისლუკუნა ჯონათანმა, - სიკვდი-ლი შენგან შორსაა.

- არა, - უპასუხა ქალმა, - მე ამ წუთებში უფრო ახლოს ვარ სიკ-ვდილთან, ვიდრე მაშინ ვიქნებოდი, საფლავშიც რომ ვიწვე.

როგორ უნდა შევძლო მე, ან თუნდაც ვინმე სხვამ, ამ საშინელი სცენის აღწერა. პირწავარდნილი სკეპტიკოსიც კი, რომელიც მხოლოდ მწარე ჭეშმარიტების პაროდიას ხედავს ყოველგვარ მღელვარებაში, გულაჩუყებული დარჩებოდა, რომ დაენახა მოყვარული და ერთგული მეგობრების მუხლებზე დაჩოქილი პატარა ჯგუფი განკიცხული და მწუხარე ქალის გარშემო. ანდა მოესმინა ვნებიანი სინაზე მეუღლის ხმაში, როცა იგი მღელვარებისაგან შეგუბებული ხმით, ისე, რომ დროდადრო უწყდებოდა კიდეც იგი, ლოცვას კითხულობდა.

- მე... არ შემიძლია გაგრძელება... სიტყვები... არ მყოფნის...

მინა მართალი იყო თავის ინსტინქტურ მოთხოვნილებაში. ამ უცნაურმა სცენამ ოდნავ მაინც გვანუგეშა. და დუმილი, რაც მისის ჰარკერის სულის თავისუფლების მოახლოებულ დასასრულს მიანიშნებდა, არ იყო ჩვენთვის სრული სასოწარკვეთა, როგორც მოველოდით.

ჯონათან ჰარკერის დღიური

15 ოქტომბერი. ვარნა.

ჩერინგ-ქროსი თორმეტში დილით დავტოვეთ, იმავე ღამეს ჩავედით პარიზში და ჩვენთვის გამზადებული ადგილები დავიკავეთ აღმოსავლეთის ექსპრესში. დღე და ღამე მივდიოდით და აქ დაახლოებით საღამოს ხუთ საათზე ჩამოვედით. ლორდი გოდალმინგი საკონსულოში გაემართა იმის გასაგებად, დეპეშა ხომ არ იყო მის სახელზე, ჩვენ კი სასტუმროში მოვეწყვეთ. სანამ „დედოფალი ეკატერინე“ არ შემოვა პორტში, ჩემთვის არაფერი იქნება საინტერესო. მადლობა ღმერთს, მინა ჯანმრთელადაა და თითქოს გამოკეთდა: სიწითლე

უბრუნდება. დიდხანს სძინავს. თითქმის მთელი გზა ეძინა. მზის ჩასვლისა და ამოსვლის წინ იგი მიანც ფხიზლობს და შფოთავს. ვან ჰელსინკს ჩვევად ექცა მისი დაჰიპნოზება ამ დროს. თავიდან რაღაც ძალისხმევა სჭირდებოდა, მაგრამ ახლა მინა ადვილად ემორჩილება, თითქოს მიეჩვია კიდეც. პროფესორი ყოველთვის ეკითხება, რას ხედავს იგი და რა ესმის.

მინა პასუხობს:

- არაფერს. სიბნელეა. მესმის, ტალღები როგორ ეხეთქება ბორტს და როგორ ჩუხჩუხებს წყალი. აფრები და გემსართავები იჭიმება, ანძები ჭრიალებს. ძლიერი ქარია...

აშკარაა, რომ „დედოფალი ეკატერინე“ ჯერ კიდევ ზღვაშია და სწრაფად მოემართება ვარნისკენ. ლორდი გოდალმინგი ახლახან დაბრუნდა. ოთხი დეპეშა მიიღო, - ჩვენი მგზავრობის ყოველ დღეს თითო, - და ყველა ერთნაირი შინაარსის: ლოიდს არ გააჩნია ცნობები „დედოფალი ეკატერინეს“ შესახებ.

ადრე ვივახშმეთ და დასაძინებლად დავწექით. ხვალ ვიცე-კონსული უნდა ვნახოთ და ისე გავაკეთოთ, თუ შესაძლებელია, რომ გემზე მოვხვდეთ, როგორც კი ის მოვა. ვან ჰელსინკი ამბობს, ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, გემზე მზის ამოსვლასა და ჩასვლას შორის ვიყოთო. გრაფი, ღამურადაც რომ გადაიქცეს, წყალს ვერ გადალახავს და ამიტომ არ შეუძლია ხომალდის დატოვებაო.

რაკი იგი ვერ გაბედავს, გადაიქცეს ადამიანად ისე, რომ ეჭვები არ გამოიწვიოს, რასაც აშკარად გაურბის, იგი ყუთში უნდა დარჩეს. მაშასადამე, თუ ჩვენ გემზე მზის ამოსვლის შემდეგ მოვხვდებით, იგი ჩვენს განკარგულებაში იქნება, რადგან შევძლებთ გავხსნათ ყუთი

და იგი მანამდე შევიპყროთ, სანამ გაიღვიძებს. ჩვენგან დანდობის იმედი არ უნდა ჰქონდეს. იმედია, რომ ჩინოვნიკებთან და მეზღვაურებთან სირთულეები არ გვექნება. მადლობა ღმერთს, ეს ისეთი ქვეყანაა, სადაც ქრთამით ყველაფრის გაკეთება შეიძლება, ჩვენ კი საკმაო რაოდენობით მოვიმარაგეთ ფული. უნდა გავისარჯოთ, რომ გემზე მზის აისსა და დაისს შორის მოვხვდეთ, და ჩვენ გადავრჩებით.

16 ოქტომბერი.

მინას პასუხი უცვლელია: ტალღების ცემა ხომალდის ბორტზე და მოჩუხჩუხე წყალი, სიბნელე და ზურგქარი. ჩვენ, აშკარად, გვიმართლებს დაროცა გავიგებთ „დედოფალი ეკატერინეს“ შესახებ, მზად ვიქნებით. რადგანაცმან დარდანელი უნდა გაიაროს, შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ ყველაფერს დროულად გავიგებთ.

17 ოქტომბერი.

ახლა, ჩემი აზრით, ყველაფერი მზადაა გრაფთან შესახვედრად. გოდალმინგმა გემთმფლობელებს უთხრა, ეჭვი მაქვს, ყუთში ის ნივთები აღმოჩნდეს, რომლებიც ჩემს მეგობარს მოჰპარესო და თანხმობა მიიღო ყუთის გახსნაზე თავისი პასუხისმგებლობით. ხომალდის მფლობელმა მას წერილი გადასცა, სადაც კაპიტანს ნაბრძანები ჰქონდა, გოდალმინგისათვის მოქმედების სრული თავისუფლება მიენიჭებინა და ასეთივე ნებართვა გასცა ვარნაში თავისი აგენტის სახელზეც. ჩვენ ვნახეთ აგენტი, რომელზეც ძალიან იმოქმედა გოდალმინგის ალერსიანმა მოპყრობამ და ამის გამო ყველანი მშვიდად ვართ. მისი მხრიდან ყველაფერი გაკეთდება, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს ჩვენი სურვილების ასრულებას. ჩვენ უკვე მოვილაპარაკეთ, როგორ მოვიქცეთ, როცა ყუთი გაიხსნება. თუ გრაფი ყუთში აღმოჩნდება, ვან ჰელსინკი და სიუარდი მას თავს მოჰკვეთენ და

გულში მარგილს ჩაასობენ. მორისი, გოდალმინგი და მე სადარაჯოზე ვიქნებით, რათა ყოველგვარი ჩარევა ავიცილოთ თავიდან, და თუ საჭირო გახდება, იარაღით ხელშიც კი. პროფესორი ამბობს, რომ თუ ჩვენ წესს ავუგებთ, გრაფის სხეული მალე მტვრად იქცევა. ასეთ შემთხვევაში ჩვენს საწინააღმდეგოდ არავითარი სამხილი არ იქნება, მკვლელობაზეც რომ მიიტანონ ეჭვი. მაგრამ ესეც რომ არ მოხდეს, გავიმარჯვებთ თუ დავმარცხდებით, ოდესმე ჩანაწერები დაამტკიცებს ჩვენს სიმართლეს და გალავნად აღიმართება ზოგიერთ ჩვენგანსა და სახრჩობელას შორის. ჩვენ გადავწყვიტეთ, ქვა ქვაზე არ დავტოვოთ, მაგრამ შევასრულოთ ჩვენი გეგმა. ზოგიერთ ჩინოსანს შევუთანხმდით, რომ როგორც კი „დედოფალი ეკატერინე“ გამოჩნდება, მაშინვე გვაცნობონ.

24 ოქტომბერი.

მოლოდინის მთელი კვირა. ყოველდღიური დეპეშები გოდალმინგს, მაგრამ გამუდმებით ერთი და იგივე: „ცნობები არ არის“. მინას დილისა და საღამოს პასუხები ჰიპნოზის ზემოქმედებით: ტალღების დარტყმა, მოჩუხჩუხე წყალი, მოჭრიალე ანძები.

დეპეშა რუფუს სმითისგან, ლოიდი, ლონდონი, ლორდ გოდალმინგს, ვიცე-კონსულის მეშვეობით, ვარნა

24 ოქტომბერი.

„დღეს დილით მივიღეთ უწყება „დედოფალ ეკატერინეს“ შესახებ დარდანელიდან“.

ექიმი სიუარდის დღიური

25 ოქტომბერი.

როგორ მაკლია ჩემი ფონოგრაფი! დღიურის კალმით წერა ძალიან დამღლელია, მაგრამ ვან ჰელსინკი ამბობს, რომ ყველაფერი უნდა ჩავიწეროო. გუშინ, როცა გოდალმინგმა ლოიდისგან მიიღო დეპეშა, ყველანი აღტაცებული ვიყავით. ახლა ვიცი, რას გრძნობენ ადამიანები, როდესაც შეტევის დაწყების ბრძანება ისმის. მხოლოდ მისის ჰარკერმა არ გამოამჟღავნა მღელვარების არავითარი ნიშანი. თუმცა, ამაში უცნაური არაფერია, იმიტომ, რომ ჩვენ ყველა ზომა მივიღეთ, რათა მან არაფერი იცოდეს და ვცდილობდით ჩვენი გრძნობები დაგვემალა მისი თანდასწრებით. იგი ძალიან შეიცვალა ბოლო სამი კვირის მანძილზე. მოთენთილობა სულ უფრო მეტად ეძალება, და თუმცა ჯანსაღი შესახედაობა აქვს - მას სიწითლე დაუბრუნდა - ვან ჰელსინკი და მე მაინც არა ვართ კმაყოფილი. პროფესორმა მაცნობა, რომ ყურადღებით უსინჯავს კბილებს ჰიპნოზის დროს, და ამბობს, რომ ჯერჯერობით ყველაფერი ძველებურადაა. როგორც კი ცვლილებებს დავადგენთ, ზომების მიღება იქნება საჭიროო... ორივემ ვიცით, როგორი იქნება ეს ზომები, თუმცა ერთმანეთს აზრებს არ ვუზიარებთ. არც ერთი ჩვენგანი არ აარიდებს თავს მოვალეობას... საშინელ მოვალეობას.

მხოლოდ ოცდაოთხი საათის სავალია დარდანელიდან აქ ისეთი სისწრაფით, როგორითაც ლონდონიდან მოდიოდა „დედოფალი ეკატერინე“. მაშასადამე, ის დილით აქ იქნება: რადგანაც უფრო ადრე მოსვლას ვერაფრით მოახერხებს, ჩვენ ადრე დავიშლებით და დილაუთენია ავდგებით, რათა მზად ვიყოთ.

25 ოქტომბერი, შუადღე.

აქამდე არ არის არავითარი ცნობა გემის მოსვლის შესახებ. მისის ჰარკერის ჰიპნოზური პასუხი დღეს დილით იგივე იყო, რაც ყოველთვის, ასე რომ, შესაძლოა, კიდევ მივიღოთ შეტყობინება. ჩვენ, მამაკაცები, საკმაოდ აღელვებულები ვართ ყველანი, ჰარკერის გარდა, რომელიც გარეგნულად სრულიად მშვიდია.

ვან ჰელსინკი და მე, ცოტა არ იყოს, შეგვაშფოთა მისის ჰარკერმა. დაახლოებით შუადღისათვის მას ძილი მოერია, რაც არ მოგვეწონა. სხვებისთვის არაფერი გვითქვამს, მაგრამ ორივე ავღელდით. იგი მთელი დილა შფოთავდა და ჩვენ ჯერ გაგვიხარდა, რომ დაიძინა, მაგრამ როცა მისმა ქმარმა შემთხვევით თქვა, მინას ისე მაგრად სძინავს, რომ ვერაფრით ვაღვიძებო, ჩვენ მის ოთახში გავედით სანახავად. იგი ზომიერად სუნთქავდა და მშვიდად გამოიყურებოდა. საბრალო! იმდენი რამ უნდა დაივიწყოს. გასაოცარი არ არის, რომ ძილი, რომელიც თავდავიწყებას ანიჭებს, მისთვის მეტად სასარგებლოა.

მოგვიანებით.

ჩვენი ვარაუდი გამართლდა, რადგან ჯანსაღი ძილის შემდეგ, რაც რამდენიმე საათი გაგრძელდა, იგი უფრო მხიარული და ხალისიანი გახდა. მზის ჩასვლისას ჩვეულებრივი ჰიპნოზური პასუხი გაგვცა. შავი ზღვის რომელ ადგილზეც უნდა იყოს გრაფი, აშკარაა, რომ იგი დანიშნულების ადგილისკენ მიისწრაფვის. თავისი აღსასრულისაკენ, იმედი მაქვს!

26 ოქტომბერი.

აი, უკვე მეორე დღეა, რაც არაფერი გაგვიგია „დედოფალ ეკატერინეზე“. გემი უკვე აქ უნდა ყოფილიყო. აშკარაა, რომ ჯერ კიდევ

ზღვაშია, რადგან მისის ჰარკერის პასუხი ჰიპნოზისქვეშ მზის ამოსვლისას ჩვეულებრივი იყო. შესაძლოა, გემი ღუზაზე დგას ნისლის გამო. ზოგიერთმა გემმა, რომელიც გუშინ საღამოს მოვიდა, შეგვატყობინა, რომ პორტის ჩრდილოეთითა და სამხრეთით სქელი ნისლია. ფხიზლად უნდა ვიყოთ, რადგან გემი ყოველ წუთს შეიძლება მოვიდეს.

27 ოქტომბერი, შუადღე.

ძალზე უცნაურია. ისევე არაფერი ისმის გემის შესახებ, რომელსაც ველოდებით. მისის ჰარკერი წუხელ და დღეს დილით პასუხობდა, როგორც ყოველთვის: ტალღების დარტყმა და მოჩუხჩუხე წყალიო, თუმცა დაამატა, რომ ტალღები სუსტია. ლონდონიდან იგივე დეპეშებია: „ცნობები არ არის“. ვან ჰელსინკი ძალზე შეშფოთებულია და ახლახან მითხრა, მეშინია, გრაფი არ დაგვიძვრეს ხელიდანო, თან მრავალმნიშვნელოვნად დაამატა:

- მე არ მომწონს მადამ მინას მოთენთილობა. სული და მეხსიერება უცნაურ ამბებს სჩადის ტრანსის დროს.

მინდოდა დაწვრილებით გამომეკითხა იგი, მაგრამ ჰარკერი შემოვიდა და პროფესორმა ჟესტით გამაფრთხილა. ჩვენ უნდა ვცადოთ და მზის ჩასვლისას ვაიძულოთ მინა, ჰიპნოზის დროს ალაპარაკდეს.

დეპეშა რუფუს სმითისგან, ლოიდი, ლონდონი, ლორდ გოდალმინგს, ვიცე-კონსულის მეშვეობით, ვარნა

28 ოქტომბერი.

„დედოფალი ეკატერინე“ დღეს, 13:00 საათზე გალაცში შევიდა.“

ექიმი სიუარდის დღიური

28 ოქტომბერი.

როდესაც გემის გალაცში შესვლის შესახებ დეპეშა მოვიდა, ეს ჩვენთვის დარტყმა არ ყოფილა, როგორც მოსალოდნელი იყო. მართალია, არ ვიცოდით, საიდან და როდის დაიჭექებდა მეხი, მაგრამ ველოდით, რომ რაღაც უცნაური მოხდებოდა. ვარნაში ჩამოსვლის დაგვიანებამ იმისათვის მოგვამზადა, რომ მოვლენები, შესაძლოა, სხვაგვარად განვითარებულიყო. გაუგებარი იყო მხოლოდ, სად მოხდებოდა ცვლილება. ცხადია, ამან გაგვაოცა, მაგრამ მალე მოვეგეთ გონს.

- როდის გადის შემდეგი მატარებელი გალაცში? - ყველას მოგვმართა ვან ჰელსინკმა.

გაკვირვებით გადავხედეთ ერთმანეთს და გვინდოდა გვეპასუხა, მაგრამ მისის ჰარკერმა დაგვასწრო:

- დილის 6 საათსა და 30 წუთზე.

- საიდან იცით? - ჰკითხა არჩიმ.

- თქვენ დაგავიწყდათ, ანდა, შესაძლოა, არ იცით, თუმცა ჯონათანმა და ექიმმა ვან ჰელსინკმა ეს უნდა იცოდნენ, რომ მე მატარებელთა განრიგის დიდი მცოდნე ვარ. შინ, ექსეტერში, მე ყოველთვის ვადგენდი ამ განრიგს ჩემი ქმრის დასახმარებლად. ეს იმდენად სასარგებლოდ მიმაჩნია, რომ ახლა ყოველთვის ვეცნობი იმ

ქვეყნების სარკინიგზო განრიგებს, სადაც ვმოგზაურობ. ვიცოდი, რომ თუ დრაკულას ციხესიმაგრის მონახულება დაგვჭირდებოდა, მაშინ გლაცის ან, ყოველ შემთხვევაში, ბუქარესტის გავლით წავიდოდით და ამიტომ გულმოდგინედ დავიმახსოვრე სარკინიგზო განრიგი. საუბედუროდ, დასამახსოვრებელი ბევრი არაფერი იყო, რადგან მხოლოდ ხვალ გადის ერთადერთი მატარებელი.

- საოცარი ქალია, - დაიჩურჩულა პროფესორმა.

- ხომ არ შეიძლება საგანგებო შევუკვეთოთ? - იკითხა ლორდმა გოდალმინგმა.

ვან ჰელსინკმა თავი გააქნია:

- არა, არა მგონია. ეს ქვეყანა არ ჰგავს თქვენს ან ჩემს ქვეყანას. რომ მივიღოთ კიდეც საგანგებო მატარებელი, იგი ჩვეულებრივზე გვიან მოვა. ამასთან, გამზადებაც გვჭირდება. ჩვენ დევნა უნდა მოვაწყოთ. თქვენ, ართურ, რკინიგზაზე უნდა წახვიდეთ, აიღეთ ბილეთები და ისე გააკეთეთ, რომ ხვალ გავიდეთ. თქვენ კი, ჯონათან, გემის აგენტთან წაბრძანდით და წერილი გამოართვით გალაცში წარსადგენი, რათა გემზე ჩხრეკის ჩატარების ნება დაგვრთონ. თქვენ, ქვინსი, ვიცე-კონსული ინახულეთ და უზრუნველყავით მისი მხარდაჭერა და მისი კოლეგის დახმარება გალაცში, რათა დუნაიზე დიდი დრო არ დავკარგოთ. ჯონი მადამ მინასთან და ჩემთან დარჩება, და მოვილაპარაკებთ. თქვენ შეიძლება შეგაყოვნონ, მაგრამ არა უშავს, რადგან, როცა მზე ამოვა, აქ მადამ მინასთან მე ვიქნები და პასუხის მიღებას შევძლებ.

- მე კი, - თქვა მისის ჰარკერმა ენერგიულად, რაც მის ძველებურ მანერას ჰგავდა, - ვეცდები ყოველმხრივ სასარგებლო ვიყო, ვიფიქრებ და დავწერ, როგორც აქამდე. თითქოს რაღაც მეხმარება, რაღაც სიმძიმე მეცლება, და თავს უფრო თავისუფლად ვგრძნობ, ვიდრე მთელი ბოლო დროის მანძილზე.

სამ ახალგაზრდა ადამიანს სახე გაუბრწყინდა, რადგან თავისებურად გაიგეს მისი სიტყვების მნიშვნელობა. ვან ჰელსინკმა და მე ერთმანეთს გადავხედეთ და არაფერი გვითქვამს.

როცა სამი მამაკაცი დავალებების შესასრულებლად გავიდა, ვან ჰელსინკმა მინას სთხოვა, დღიურიდან ჰარკერის ჩანაწერი ამოეღო ციხესიმაგრეში ყოფნის შესახებ. როცა მინამ კარი გაიხურა, პროფესორმა შემომხედა:

- ჩვენ ერთი და იგივე აზრი გვაქვს. თქვით.

- რაღაც ცვლილება მოხდა. მაგრამ ეს სუსტი იმედია და ვერ დავეყრდნობით.

- ზუსტად ასეა. იცით, რატომ ვთხოვე ხელნაწერის მოტანა?

- არა, - ვუპასუხე მე, - თუმცა, შესაძლოა იმისათვის, რომ ჩემთან განმარტოებით მოლაპარაკების საშუალება გქონოდათ.

- ნაწილობრივ მართალი ბრძანდებით, ჯონ, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ. რაღაც უნდა გითხრათ. ოჰ, ჩემო მეგობარო, მე ძალიან... საშინლად... ვრისკავ. მაგრამ ეს სამართლიანად მიმაჩნია. იმ წუთას, როცა მადამ მინამ თქვა ის სიტყვები, რამაც ჩვენი ყურადღება მიიპყრო, მე აღმაფრენა მომეძალა.ტრანსის დროს, სამი დღის

წინ, გრაფმა თავისი სული გამოგზავნა მისი აზრების წასაკითხად. ან, უფრო სწორად, მან აიძულა მინას სული მასთან ყუთში, გემზე გამოცხადებულიყო. ასე შეიტყო, რომ ჩვენ აქ ვართ. მინას ხომ უფრო მეტი ინფორმაცია აქვს - თავისუფლად ცხოვრობს, თვალებით ხედავს და ყურებით ისმენს, - რასაც ის თავის კუბოსავით ყუთში მოკლებულია. ახლა გრაფი ყველანაირად ცდილობს ხელიდან დაგვისხლტეს. ახლა მინა არ სჭირდება. დარწმუნებულია, რომ მინა მის ყოველ დაძახილზე გამოცხადდება. მაგრამ ერეკება მას, რამდენადაც შესაძლებელია თავისი ძალაუფლების მიღმა აყენებს. იმედი მესახება, რომ ჩვენი ადამიანური გონება, რომელიც ასე დიდხანს იყო მოზრდილი მამაკაცის გონება და უფლის გულმოწყალება არ დაუკარგავს, უფრო ძლიერი აღმოჩნდება, ვიდრე მისი ბავშვური ტვინი, რომელიც საუკუნეების მანძილზე საფლავში იწვა, რამაც ჩვენს სიმწიფეს ვერ მიაღწია და მხოლოდ ეგოისტურ და მაშასადამე, უმნიშვნელო სამუშაოს ასრულებს. აი, მადამ მინა მოდის. მასთან ტრანსზე ნურაფერს ვიტყვით. ლაპარაკის უფლება მომეცით და გაიგებთ ჩემს გეგმას. ჩვენ საშინელ მდგომარეობაში ვართ, ჯონ. ისე მეშინია, როგორც არასდროს. მხოლოდ ღვთის გულმოწყალების იმედი შეიძლება გვქონდეს. ჩუმად. ის მოდის.

მისის ჰარკერი ოთახში მხიარული და ბედნიერი სახით შემოვიდა, როგორც ჩანდა, მუშაობაში გართულს თავისი უბედურება გადაავიწყდა კიდეც. მან ვან ჰელსინკს მანქანაზე დაბეჭდილი რამდენიმე ფურცელი გაუწოდა. პროფესორი ყურადღებით ათვალიერებდა მათ და სახეზე სულ უფრო მეტი დაინტერესება ესახებოდა. შემდეგ გვერდები საჩვენებელი და ცერა თითებით დაიკავა და თქვა:

- რაღაც გაურკვეველი აზრი ხშირად ზუზუნებდა ჩემს ტვინში, მაგრამ მეშინოდა მისთვის ფრთები შემესხა. ახლა კი, როცა გონება

ახალი შემეცნებით გავამდიდრე, მე ისევ ვუბრუნდები იმ წყაროს, სადაც ეს აზრი დაიბადა, და მივდივარ დასკვნამდე, რომ ეს არასრული კი არა, სრულიად ჩამოყალიბებული, თუმცა იმდენად ნორჩი აზრია, რომ ჯერ კიდევ არ შეუძლია ისარგებლოს თავისი პატარა ფრთებით. მსგავსად იმისა, რაც ჰანს ანდერსენის „მახინჯ იხვის ჭუკში“ ხდება, ეს იხვისებური აზრი კი არ არის, არამედ გედისებური, რომელიც ამაყად იფრენს თავისი ფართოდ გაშლილი ფრთებით, როცა მათი გამოყენების დრო მოვა. მომისმინეთ, მე იმას წაგიკითხავთ, რაც აქ ჯონათანმა დაწერა:

„ის სხვა, რომელმაც არაერთხელ გაგზავნა თავისი ძალები მდინარის გაღმა თურქეთში. ის, ვინც დამარცხდა, მაგრამ ისევ და ისევ მიდიოდა, თუმცა ყოველთვის მარტო ბრუნდებოდა სისხლიანი ველიდან, სადაც მისი ლაშქარი განადგურდა. რადგან მან იცოდა, რომ საბოლოო გამარჯვება მხოლოდ მარტოობაში შეეძლო მოეპოვებინა“.

აქედან რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ? ფიქრობთ, რომ არავითარი? ვნახოთ. გრაფის ბავშვური აზრი აქ ვერაფერს ხედავს, ვერც თქვენი მოწიფული აზრი, ვერც ჩემი, უფრო სწორად, აქამდე ვერ ხედავდა. დედამიწა თავის წიაღს დიდ სიღრმეებზე მალავს. ასე არ არის? კარგი, აგიხსნით. ოდესმე თუ შეგისწავლიათ დანაშაულის ფილოსოფია? დიახ და არა. თქვენ, ჯონ, - დიახ, რადგან ეს სიგიჟის შესწავლაა. თქვენ, მადამ მინა, არა, რადგან დანაშაული თქვენგან ძალიან შორსაა... იგი მხოლოდ ერთხელ შეგეხოთ. თქვენი გონება მაინც სწორად მუშაობს. ყოველი დანაშაული თავისებურია. ეს იმდენად უცვლელია ყველა ქვეყანასა და ყველა დროებაში, რომ პოლიციაც კი, რომელიც არ იცნობს ფილოსოფიას, ემპირიულ დონეზე ასე თვლის. დამნაშავე ყოველთვის ერთგვარ დანაშაულს სჩადის,

ანუ ნამდვილი დამნაშავე ისაა, ვისაც დანაშაულის გარკვეული ხარისხის მიმართ აქვს მიდრეკილება და რომელსაც სხვა დანაშაულის ჩადენა არ შეუძლია. არც ერთ დამნაშავეს არა აქვს მოწიფული ადამიანის ტვინი. ის ჭკვიანია, ცბიერი და გერგილიანი, მაგრამ ტვინის მხრივ მოწიფული ადამიანი არ არის. ბევრი რამით მას ბავშვის ჭკუა აქვს. ჩვენს დამნაშავესაც ბავშვური ტვინი აქვს, და ის, რაც მან გააკეთა - ბავშვური სამუშაოა...

- ვან ჰელსინკმა შეწყვიტა თავისი ფიქრთა მდინარება, როცა მისის ჰარკერმა აღტაცებისგან ტაში შემოჰკრა და თვალები აუციმციმდა. შემდეგ განაგრძო:

- ახლა თქვენი ჯერია. გვითხარით, მეცნიერების უფერულ მიმდევრებს, რას ხედავთ თქვენი მოციმციმე თვალებით.

მან მინას ხელზე ხელი ჩაავლო და მაგრად ეჭირა, სანამ ქალი-ლაპარაკობდა. ცერა და საჩვენებელ თითებს ინსტინქტურად უჭერდა მაჯაზე, თითქოს პულსს უსინჯავსო.

- გრაფი ტიპური დამნაშავეა. ნორდაუ და ლომბროზო მას ასევე განსაზღვრავდნენ, და მართლაც, მისი გონება არასწორად არის ფორმირებული. ამიტომ გასაჭირში იგი ჩვეულ ხერხს მიმართავს. მისმა წარსულმა შეიძლება მრავალმხრივ განაპირობოს მომავალი. ამ წარსულის ერთი გვერდი, რაც ჩვენ ვიცით მისივე ნაამბობით, იმ მომენტის აღწერილობას შეიცავს, როდესაც მუხრუჭებში მოქცეული სამშობლოში დაბრუნდა იმ ქვეყნიდან, რომლის დაპყრობაც სურდა, ახალი ლაშქრობის მომზადების მიზნით. იგი უკეთ მომზადებული დაბრუნდა ბრძოლის ველზე და გაიმარჯვა. ზუსტად ასევე ჩავიდა იგი ლონდონში,რათა ახალ ქვეყანას დაუფლებოდა. მან მარცხი განიცადა და როცა წარმატების ბოლო იმედი დაკარგა, და თვით მის

არსებობას შეექმნა საფრთხე, იგი ზღვის იქით გაიქცა, თავის სახლში, როგორც ადრე დატოვა თურქული მიწა დუნაის გადალახვით.

რადგანაც დამნაშავეა, იგი თავისმოყვარეა. და რადგანაც მისი გონება შეზღუდულია, განუვითარებელი, მისი მოქმედებებიც თავისმოყვარეობას ეფუძნება, და ერთი მიზნისკენაა მიმართული. ეს მიზანია სისასტიკე. როგორც ადრე გადავიდა დუნაიზე და თავისი ლაშქარი მტერს ჩაუგდო ხელში, ახლაც ასევე სურს, თავს უშველოს, ისე, რომ სხვა აღარაფერი ახსოვს. ამრიგად, მისი საკუთარი თავმოყვარეობა ათავისუფლებს ჩემს სულს საშინელი ძალაუფლებისაგან, რაც მან მოიპოვა ჩემზე იმ საზარელ ღამეს. მე ვიგრძენი ეს, ოჰ, როგორ ვიგრძენი! მადლობა უფალს მისი უდიდესი გულმოწყალებისთვის. ჩემი სული ისეთი თავისუფალია, როგორიც არასოდეს ყოფილა იმ საშინელი საათის შემდეგ. და მე მხოლოდ შიში მტანჯავს, რომ ტრანსის ან ძილის დროს მან შეიძლება ჩემი თქვენდამი სიახლოვით ისარგებლოს და ჩემგან თქვენი გეგმები შეიტყოს.

პროფესორმა დაამშვიდა მინა:

- იგი მხოლოდ თქვენი გონებით სარგებლობდა: ამიტომაც შეძლო აქ, ვარნაში, ჩვენი შეყოვნება, მაშინ, როცა ხომალდმა, რომელზეც ის იმყოფებოდა, ნისლით ისარგებლა და შეუმჩნევლად მიადგა გალაცს, სადაც, უთუოდ, ყველაფერი მზად აქვს, რათა დაგვემალოს. მაგრამ მისი ბავშვური ჭკუა ამის იქით არ წასულა, და შესაძლოა, ღვთის წყალობით, იმან, რითაც ამ მტარვალს უნდოდა ესარგებლა, მას ძალიან ავნოს. მონადირე საკუთარ მახეში გაება. სწორედ ახლა, როცა გრაფი ფიქრობს, რომ კვალი წაშალა, რომ მრავალი საათით გაგვისწრო, მისი ბავშვური გონება კარნახობს, რომ იგი სამშვიდობოსაა: ის ასევე ფიქრობს, რომ რადგანაც უარი თქვა

თქვენი აზრების წაკითხვაზე, თქვენც არაფერი გეცოდინებათ მის შესახებ. აი, აქ კი ცდება. საშინელი სისხლით ნათლობა, რაც მან თქვენზე განახორციელა, საშუალებას გაძლევთ აზრობრივად გამოცხადდეთ მასთან. თქვენ გადაადგილდებით მასთან ჩემი, და არა მისი სურვილით. და ეს თქვენთვისა და სხვებისთვის სასარგებლო უნარი მისგანვე შეიძინეთ, თქვენი ტანჯვა-წამების ფასად. მთავარია, რომ მას არაფერი აეჭვებს, რადგან თავის გადასარჩენად თვითონვე თქვა უარი ჩვენი ადგილსამყოფელის ცოდნაზე. მაგრამ ჩვენ ასეთი თავისმოყვარეები არა ვართ და გვჯერა, რომ ღმერთი ჩვენთანაა. კვალდაკვალ მივყვებით გრაფს. არ დავნებდებით, და, თუნდაც დავიღუპოთ, მას მაინც არ დავემსგავსებით. ჯონ, ეს უდიდესი რამაა. მან ძალიან წინ წაგვწია! ყველაფერი უნდა ჩაიწეროთ და როდესაც თავიანთი საქმეების დამთავრების შემდეგ დანარჩენებიც დაბრუნდებიან, მიეცით მათ წასაკითხად. მაშინ მათაც იმდენივე ეცოდინებათ, რამდენიც ჩვენ.

მე ჩავწერე, სანამ მათ დაბრუნებას ველოდებოდით, ხოლო მისის ჰარკერმა ჩემი ჩანაწერი მანქანაზე გადაბეჭდა.

თავი ოცდამეექვსე

ექიმი სიუარდის დღიური

29 ოქტომბერი (ჩაწერილია ვარნიდან გალაცში მიმავალ მატარებელში).

გუშინ საღამოს, ზუსტად მზის ჩასვლის წინ, ჩვენ ისევ შევიკრიბეთ. ყოველმა ჩვენგანმა ძალიან კარგად შეასრულა თავისი საქმე:

ჩვენ ყველაფერი მოვიმარაგეთ, რაც შეეძლო ეკარნახა ჩვენს გამომგონებლობას, გულმოდგინებასა და შემთხვევითობას მგზავრობისა და გალაცში მოსალოდნელი მუშაობისათვის. როცა დადგა დრო, მისის ჰარკერი ჰიპნოზის სეანსისათვის მოემზადა. ამჯერად ვან ჰელსინკს დიდი ძალისხმევა დასჭირდა ტრანსის მდგომარეობის მისაღწევად. ჩვეულებრივ, მინა თვითონ იწყებდა ლაპარაკს, ამისათვის მხოლოდ მცირე ბიძგი იყო ხოლმე საჭირო, მაგრამ ამჯერად პროფესორი იძულებული გახდა, საკმაოდ გადამწყვეტი ტონით დაესვა კითხვები. საბოლოოდ მინამ დაილაპარაკა:

- მე ვერაფერს ვხედავ: ერთ ადგილზე ვდგავართ, არავითარი ტალღები, წყალი მხოლოდ ოდნავ რაკრაკებს ბაგირის გასწვრივ. მესმის ადამიანთა ხმები შორიდანაც და ახლოდანაც და ნიჩბების ჭრიალი. საიდანღაც თოფის სროლის ხმა გაისმა. მისი ექო შორიდან ისმის... ბრაგუნი ჩემს თავზე - რაღაც თოკებსა და ჯაჭვებს მიათრევენ. რა არის? საიდანღაც სინათლის სხივი მოდის, და მე სიოს ქროლვას ვგრძნობ.

მინა დადუმდა. მან დივანიდან წამოიწია, სადაც ისე იწვა, თითქოს ამას ვინმე აიძულებდა და ორივე ხელი ისე გაიშვირა, თითქოს რაღაც სიმძიმეს ეწეოდა. ვან ჰელსინკმა და მე ერთმანეთს გადავხედეთ - ჩვენთვის ყველაფერი ნათელი გახდა.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოწვა. მივხვდით, რომ იგი მეტს არაფერს გვეტყოდა, ჩვენც არაფერი გვქონდა სათქმელი.

მინა დივანიდან წამოდგა და თქვა:

- შეხედეთ, ჩემო მეგობრებო. ის ჩვენს ხელთაა: მან დატოვა თავისი მიწიანი ყუთი. მაგრამ კიდევ ნაპირზე მოხვედრა სჭირდება. ღამით, შესაძლოა, სადმე დაიმალოს. მაგრამ თუ მას ხმელეთზე არ გადაიტანენ ან თუ ხომალდი არ მიადგება ნაპირს, იგი ვერ შეძლებს ხმელეთზე მოხვედრას.

მას მხოლოდ ღამით შეუძლია თავისი გარეგნობის შეცვლა და ნაპირზე გადახტომა ან გადაფრენა. შესაძლოა, საბაჟოს მოხელეებს მოუნდეთ ყუთის შიგთავსის დათვალიერება. თუ იგი დღეს გათენებამდე ნაპირზე ვერ მოხვდება, მისთვის მთელი მომდევნო დღე დაკარგულია. თუ ღამით არ წავა, მას დღისით დავესხმებით თავს, გადმოვტვირთავთ და ის ჩვენს ხელში იქნება: მას ხომ არ შეუძლია ისეთად გამოჩნდეს, როგორიცაა სინამდვილეში - ადამიანის სახით, - მაშინ მას ამოიცნობენ...

დღეს, დილით ადრე, ჩვენ ისევ თრთოლვით ვუგდებდით ყურს მის სიზმრისეულ სიტყვებს. ამჯერად იგი კიდევ უფრო დიდხანს არ იძინებდა, ხოლო როცა ჩაეძინა, გათენებამდე მხოლოდ რამდენიმე წუთი რჩებოდა. ვან ჰელსინკმა, მართლაც, მთელი თავისი სული ჩააქსოვა ამ ძალისხმევაში. ბოლოს და ბოლოს, მინა დამორჩილდა მის ნებას და ამეტყველდა:

- ყველგან სიბნელეა. მესმის წყლის რაკრაკი ჩემი ყურის დონეზე და რაღაც ხმა, თითქოს ხეები ერთმანეთს ეჯახება.

იგი დადუმდა და მზეც ამოვიდა... ხვალამდე მოგვიწევს ლოდინი.

და აი, ჩვენ გალაცში მივდივართ და მოუთმენლობისგან ვიწვით. ღამის ორსა და სამ საათს შორის უნდა მივსულიყავით. მაგრამ უკვე ბუქარესტში სამი საათის დაგვიანებით ჩავედით, ასე რომ, მხოლოდ

მზის ამოსვლის შემდეგ ვიქნებით ადგილზე. მაშასადამე, მისის ჰარ-კერთან კიდევ ორი ჰიპნოზური სეანსი გვექნება, რომლებიც ნა-თელს გახდიან, თუ რა მოხდა.

მოგვიანებით.

მზე ამოვიდა და ჩავიდა. საბედნიეროდ, ყველაფერი ისეთ დროს მოხდა, როცა ხელს არაფერი გვიშლიდა, რადგან ეს სადგურში რომ მომხდარიყო, საჭირო სიმშვიდე და განმარტოება არ გვექნებოდა. მისის ჰარკერი ჰიპნოზს უფრო ცუდად დაექვემდებარა, ვიდრე დღეს დილით. მეშინია, რომ გრაფის აზრების კითხვის მისეული უნარი ზუსტად მაშინ არ შეწყდეს, როცა ეს ყველაზე მეტად დაგვჭირდება. მეჩვენება, რომ უმეტესად მისი საკუთარი ფანტაზია მუშაობს.

აი, რა თქვა მან ტრანსში:

- რაღაც გამოდის: იგი ჩემ გვერდით მოძრაობს, როგორც ცივი ქარი. შორს რაღაც ყრუ ხმები ისმის - თითქოს ადამიანები რაღაც უცნაურ ენაზე ლაპარაკობენ. წყლის ძლიერი ხმაური და მგლების ყმუილი.

იგი დადუმდა და აღარაფერი უთქვამს. როცა გამოფხიზლდა, თა-ვისი ნათქვამიდან ვერაფერი გაიხსენა.

30 ოქტომბერი, საღამოს 7 საათი.

გალაცთან ახლოს ვართ. მერე წერისთვის აღარ მეცლება. დღეს მოუთმენლად ველოდით მზის ამოსვლას. რადგან ყოველდღიურად სულ უფრო ძნელი ხდება მისის ჰარკერის დაძინება, ვან ჰელსინკი

გაცილებით ადრე შეუდგა საქმეს, ვიდრე ჩვეულებრივ. მისი მონდომება ამაო რჩებოდა და მხოლოდ მზის ამოსვლამდე ერთი წუთით ადრე დაილაპარაკა მინამ. პროფესორმა ძვირფასი დრო არ დაკარგა და ეგრევე კითხვები დააყარა, რაზეც სწრაფი პასუხები მიიღო:

- ყველგან სიბნელეა. მესმის წყლის ხმაური და ხის ხეზე შეჯახების კაკუნი. სადღაც საქონელი ბღავის. აი, კიდევ რაღაც ხმა, ძალიან უცნაური, თითქოს...

მინა დადუმდა.

- შემდეგ, შემდეგ! ილაპარაკეთ, გიბრძანებთ, - თქვა აღელვებულმა ვან ჰელსინკმა.

ქალმა თვალები გაახილადა წარმოთქვა:

- ოჰ, პროფესორო, რატომ მთხოვთ გავაკეთოთ ის, რაც, თვითონაც იცით, რომ არ შემიძლია! მე არაფერი მახსოვს.

შემდეგ, ჩვენი გაოცებული სახეების დანახვაზე შეშფოთდა, მზერა ერთი სახიდან მეორეზე გადაიტანა და იკითხა:

- რა ვთქვი? რა ვთქვი? არაფერი მახსოვს, გარდა იმისა, რომ აქ ვიწექი გაბრუებული, თქვენ კი მეუბნებოდით: „შემდეგ! ილაპარაკეთ, მე გიბრძანებთ!“ და ჩემთვის უცნაური იყო იმის მოსმენა, რომ თითქოს ვიღაც ურჩი ბავშვი ვარ!

- ოჰ, მისის მინა, - ნაღვლიანად წარმოთქვა ვან ჰელსინკმა, - ეს იმას ამტკიცებს - თუკი საერთოდ საჭიროა დამტკიცება - რომ მე მიყ-

ვარხართ და პატივს გცემთ, რადგან სიტყვა, რომელიც უფრო სერიოზული ტონით ვთქვი თქვენსავე საკეთილდღეოდ, ასე უცნაურად იმიტომ შეიძლებოდა მოგჩვენებოდათ, რომ მე მას ვუბრძანე, ვისაც სიამოვნებით დავემორჩილებოდი.

სასტვენის ხმა ისმის: ჩვენ გალაცს ვუახლოვდებით.

მინა ჰარკერის დღიური

30 ოქტომბერი.

მისტერ მორისმა სასტუმროში წამიყვანა, სადაც ჩვენთვის დეპეშით შეკვეთილი ოთახები იყო მომზადებული. მხოლოდ იგი იყო თავისუფალი, რადგან არც ერთ უცხო ენაზე არ ლაპარაკობდა. გოდალმინგი ვიცე-კონსულთან წავიდა, ჯონათანი და ორივე ექიმი სანაოსნოს აგენტებთან გაეშურნენ „დედოფალ ეკატერინეს“ მოსვლის დეტალების დასადგენად.

მოგვიანებით.

ლორდი გოდალმინგი დაბრუნდა. კონსული წასულია, ხოლო ვიცე-კონსული ავადაა, ასე რომ, ყველაფერი უბრალო მწერალმა გააკეთა. იგი ძალიან თავაზიანი იყო და შეგვპირდა, მომავალშიც ყველაფერს გავაკეთებ თქვენს დასახმარებლად, რაც შემეძლებაო.

ჯონათან ჰარკერის დღიური

30 ოქტომბერი.

ცხრა საათზე ექიმი ვან ჰელსინკი, ექიმი სიუარდი და მე ბატონ მაკენზისთან და ბატონ შტაინკოპფთან, ლონდონის ჰეთვუდის ფირმის აგენტებთან, წავედით. მათ ლონდონიდან დეპეშა მიიღეს თხოვნით, ჩვენთვის ყოველგვარი მომსახურება გაეწიათ. მათ მაშინვე წაგვიყვანეს „დედოფალ ეკატერინეს“ ბორტზე, რომელსაც ნავსადგურში ჰქონდა ღუზა ჩაშვებული. აქ ჩვენ კაპიტანი დონელსონი ვნახეთ, რომელმაც გვითხრა, ასეთი წარმატებული რეისი არასოდეს მქონიაო.

- ბიჭებო, - გვითხრა მან, - რაღა დაგიმალოთ და მეშინოდა კიდეც, ამხელა სიხარულს რამე ავი არ მოჰყვეს-მეთქი. არ მიკვირს ლონდონიდან გამოსულები ასე მალე რომ შემოვედით შავ ზღვაში, რადგან ძლიერი ზურგქარი არ მოგვკლებია მთელი გზა. თან მთელი ამ დროის მანძილზე თითქმის არაფერი დაგვინახავს! როგორც კი რომელიმე ხომალდს, პორტს ან კონცხს ვუახლოვდებოდით, ნისლი ჩნდებოდა, რომელიც მთელი ხნის განმავლობაში თან გვახლდა, სანამ მათ არ გავცდებოდით. გიბრალტართან სიგნალის მიცემაც ვერ მოვახერხეთ - და დარდანელამდე, სადაც მოგვიწია გატარებას დავლოდებოდით, არავინ შეგვხვედრია. ჯერ მინდოდა, აფრები დამეშვა და გავჩერებულიყავი, სანამ ნისლი არ გაიფანტებოდა, მაგრამ შემდეგ ვიფიქრე, რომ თუ სატანამ გადაწყვიტა სასწრაფოდ შეგვაგდოს შავ ზღვაში, ამას მაინც გააკეთებს-მეთქი. თანაც, თუ ადრე მივალთ, მფლობელებს არავითარი ზარალი არ მიადგებათ და ასევე არ ავნებს ჩვენს რეპუტაციას, ხოლო ბებერი ეშმაკი მხოლოდ მადლობელი დაგვრჩება იმის გამო, რომ ხელს არაფერში ვუშლით-მეთქი.

გულუბრყვილობისა და ეშმაკობის, ცრურწმენათა და კომერციულ მოსაზრებათა ასეთმა ნაზავმა ვან ჰელსინკი გამოაცოცხლა:

- ჩემო მეგობარო, ეს ეშმაკი გაცილებით ჭკვიანია, ვიდრე ჩანს და მან იცის, როდის შეხვდეს ღირსეულ მეტოქეს.

შკიპერი კომპლიმენტით უკმაყოფილო დარჩა, მაგრამ განაგრძო:

- როცა ბოსფორი გავიარეთ, ხალხმა ბუზღუნი დაიწყო: ზოგიერთი მათგანი, რუმინელები, მოვიდნენ და მთხოვეს, ის ყუთი ზღვაში გადავაგდოთ, რომელიც ლონდონიდან გამოსვლისას ვიღაც უცნობმა ბატონმა დატოვაო. ღმერთო ჩემო! რა ცრუმორწმუნეები არიან ეს უცხოელები! მე ისინი სწრაფად გავაჩუმე, ვუთხარი, საქმეს მიხედეთ-მეთქი, მაგრამ როცა ისევ ნისლში გავეხვიეთ, ვიფიქრე, რომ შესაძლოა ისინი მართლებიც იყვნენ, თუმცა მათთვის არაფერი მითქვამს. ამრიგად, გზა განვაგრძეთ და მას შემდეგ, რაც ნისლი ხუთი დღე არ მოგვშორებია, გადავწყვიტე, დაე, ქარმა წაგვიყვანოს, სადაც უნდა, რადგან ეშმაკს წინ მაინც ვერ აღუდგები - ის თავისას გაიტანს-მეთქი. ასე იყო თუ ისე, მშვენიერი გზა გახლდათ, წყალი - საკმაოდ ღრმა და ორი დღის წინ, როცა ნისლში ამომავალი მზე გამოჩნდა, ჩვენ უკვე მდინარეში ვიმყოფებოდით გალაცის პირდაპირ.

რუმინელები აჯანყდნენ და მოითხოვეს, რომ ყუთი მდინარეში გადამეგდო. მათთან იარაღით ხელში მომიხდა შეტაკება: მხოლოდ ასე გავაგებინე, რომ ავი თვალი იყო თუ კეთილი, ჩემი მფლობელების ქონება ჩემს ხელში უნდა ყოფილიყო, და არა დუნაიში. მათ, წარმოგიდგენიათ, კინაღამ ხელი სტაცეს ყუთს და მდინარეში გადაისროლეს, მაგრამ რადგან მასზე აღნიშნული იყო „გალაცი ვარნის გავლით“, გადავწყვიტე, იგი უახლოესპორტში ჩამომეტვირთა. ნისლი არ გვეშვებოდა და ჩვენ მთელი ღამე ღუზაზე ვიდექით. მეორე დილას, მზის ამოსვლამდე ბორტზე უცნობი ამოვიდა და განაცხადა, ინგლისიდან წერილობითი დავალება მივიღე, რომ ყუთი წავიღო,

რომელიც გრაფ დრაკულას ეკუთვნისო. ყუთს, რა თქმა უნდა, სიხარულითშეველიეთ. მან ყველა საბუთი წარმოადგინა, და მეც მოხარული ვიყავი, თავიდან მომეშორებინა ეს წყეული საგანი, რადგან იგი მეც ძვალივით მქონდა ყელში გაჩხერილი. თუკი ეშმაკს ჰქონდა კიდეც რაღაც ბარგი ხომალდის ბორტზე, ის მხოლოდ ეს ყუთი შეიძლებოდა ყოფილიყო.

- რა ერქვა იმ ბატონს, რომელმაც ყუთი წაიღო? - ჰკითხა ვან ჰელსინკმა.

- ახლავე გეტყვით! - უპასუხა კაპიტანმა. იგი თავის კაიუტაში დაეშვა და როცა დაბრუნდა, საბუთი წარმოადგინა, რომელზეც მოწერილი იყო „ემანუილ გილდენშტაინი, ბურგენ შტრასე, 16“. როცა დავრწმუნდით, რომ მან მეტი არაფერი იცოდა, მადლობა გადავუხადეთ და წამოვედით. გილდენშტაინი კანტორაში ვნახეთ. ეს იყო ბებერი ებრაელი დიდი კეხიანი ცხვირითა და არახჩინით. იგი განსაკუთრებული სახის არგუმენტებით ხელმძღვანელობდა და მცირე ვაჭრობის შემდეგ ყველაფერი გვითხრა, რაც იცოდა. მისი ცოდნა მეტად მწირი გამოდგა, მაგრამ ამავე დროს ჩვენთვის ძალზე ფასეული. მას წერილი მიეღო ლონდონიდან, მისტერ ბილისაგან თხოვნით, რომ თუ მოახერხებდა, მზის ამოსვლამდე აეღო გემიდან ყუთი და ვინმე პეტრე ჩინსკისათვის გადაეცა, რომელსაც დავალებული ჰქონდა სლოვაკების დაქირავება. ისინი მდინარეზე აცურებდნენ ტვირთებს. ამ შრომისათვის მას ვიღაც ინგლისელმა საკრედიტო ბილეთებით გადაუხადა, რაც ოქრობზე უნდა გადახურდავდეს დუნაის ინტერნაციონალურ ბანკში. როცა ჩინსკი მასთან მივიდა, მან იგი გემზე აიყვანა და ყუთი გადასცა. აი, ყველაფერი, რაც მან იცოდა. მაშინ ჩვენ ჩინსკის მოსაძებნად წავედით, მაგრამ ვერსად ვნახეთ. მისმა ერთმა მეზობელმა, როგორც ჩანდა, მისდამი ნაკლებად თავდა-

დებულმა, გვითხრა, სახლიდან ორი დღის წინ გავიდა, მისი შემდგომი ბედი კი უცნობიაო. ეს ყველაფერი ხდებოდა გუშინ საღამოს, ათსა და თერთმეტ საათებს შორის. ჩვენ ჩიხში აღმოვჩნდით.

სანამ ვსაუბრობდით, ჩვენთან ვიღაც აქოშინებულმა კაცმა მოირბინა და გვაუწყა, ჩინსკის გვამი წმინდა პეტრეს გალავანთან ნახეს და მას ყელი აქვს გამოღადრული რაღაც მხეცის მიერო. ისინი, ვისაც ვესაუბრებოდით, მაშინვე სანახავად გაიქცნენ, ქალები აყვირდნენ, ეს სლოვაკების ნახელავიაო! იქარუობას სასწრაფოდ გავეცალეთ, რათა ამ ისტორიაში არ გავრეულიყავით. ვერავითარ გადაწყვეტილებამდე ვერ მივედით. გავიგეთ, რომ ყუთი გზაში იმყოფება და სადღაც მიცურავს, მაგრამ სად - ეს ჯერ კიდევ უნდა გაგვეგო. დათრგუნვილები და იმედგაცრუებულები დავბრუნდით სასტუმროში მინასთან.

როცა ისევ შევიკრიბეთ, პირველ რიგში განვიხილეთ საკითხი, მინასთვის ხომ არ გვეთქვა ეს ყველაფერი. საქმე გაუარესდა, და ეს ჩვენი უკანასკნელი იმედია, თუმცა კი ნაკლებად დასაჯერებელი.

მინა ჰარკერის დღიური

30 ოქტომბერი, საღამოს.

ისინი ისეთი დაღლილები, დაქანცულები და გატანჯულები დაბრუნდნენ, რომ მე შევთავაზე თუნდაც ნახევარი საათით დაესვენათ, სანამ ყველაფერს ჩავიწერდი, რაც მანამდე მოხდა.

ჩემი თხოვნით ექიმმა ვან ჰელსინკმა ყველა ქაღალდი გადმომცა, რომლებიც ჯერ არ მქონდა ნანახი. სანამ ისინი ისვენებენ, მე ყველაფერს კარგად გადავავლებ თვალს, და, შესაძლოა, მივიდე

რაღაც დასკვნამდე. ვეცდები პროფესორის მაგალითს მივბაძო და ყველა მონაცემს ჩავუღრმავდე წინასწარი აკვიატების გარეშე.

მჯერა, რომ განგება დამეხმარება.

ახლა ეჭვი აღარ მეპარება ჩემს სიმართლეში. ჩემი დასკვნა მზად არის, ასე რომ, მე გადავწერ ყველაფერს სუფთად და მათ წავუკითხავ. დაე, განიხილონ.

მინა ჰარკერის შენიშვნა

(დღიურში შეტანილი)

აუცილებელი საკითხები - საჭიროა გადაწყდეს გრაფ დრაკულას საკითხი.

ა) მას გადაიტანენ - ეს აშკარაა, რადგან მას რომ შეეძლოს გადაადგილება თავისი შეხედულების მიხედვით, იგი მიიღებდა ან ადამიანის, ან ღამურას, ან რაიმე სხვა სახეს. მას, აშკარად, ეშინია, რომ გახსნიან და ამოიცნობენ.

ბ) სად უნდა ვეძებოთ და შევიპყროთ? აქ უნდა მივმართოთ გამორიცხვის მეთოდს.

გზაზე, მატარებელში თუ წყალზე?

1. გზაზე. აქ უამრავი სირთულეა, განსაკუთრებით ქალაქიდან გასვლის დროს.

ა) შეიძლება შეგხვდეს ხალხი, ისინი კი ცნობისმოყვარეები და გაქნილები არიან. რაიმე მინიშნებამ, ვარაუდმა იმის შესახებ, რა არის ყუთში დამალული, შეიძლება ის დაღუპოს.

ბ) შეიძლება საზღვრის დაცვამ ან საბაჟოს მოხელეებმა გაიარონ.

გ) შეიძლება მისი მდევრები დაედევნონ. ეს მისთვის ყველაზე საშიშია: თავის გაცემის შიშით მან უარი თქვა თავის მსხვერპლზე - ჩემზე!

2. მატარებელში. ყუთს არავინ გააცილებს. ყუთის მიტანა შეიძლება შემთხვევით შეფერხდეს, შეფერხება კი შესაძლოა მისთვის საბედისწერო აღმოჩნდეს, რადგან მტრები კვალდაკვალ მიჰყვებიან. ღამით მას, ცხადია,შეუძლია გაიქცეს კიდეც, მაგრამ რა მოუვა, თუ თავშესაფარი არ ექნება? ეს, რა თქმა უნდა, ხელს არ აძლევს, ხოლო გარისკვას არ აპირებს.

3. წყალზე. ეს ერთი მხრივ ყველაზე საიმედო გზაა, მაგრამ საფრთხე სხვა რამეშია. წყალზე იგი უძლურია ღამის პერიოდის გამოკლებით, და მაშინაც მას შეუძლია უბრძანოს მხოლოდ ნისლსა და ქარიშხლებს, თოვლსა და მგლებს. მაგრამ, წყალში ჩავარდნისას უთუოდ დაიღუპება. მას შეეძლო ხომალდი ნაპირზე გაერიყა, მაგრამთუ ეს მისთვის მტრული ქვეყანაა, სადაც თავისუფლად ვერ იგრძნობს თავს, მისი მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება.

საერთოდ, აშკარაა, რომ ის წყალზეა, მაშასადამე, ჩვენ ახლა უნდა დავადგინოთ, კერძოდ სად.

უპირველესად ზუსტად უნდა გავარკვიოთ, აქამდე რა გააკეთა, მაშინ გავიგებთ მის შემდგომ მიზანს.

პირველ რიგში უნდა გავიგოთ, რას აკეთებდა ლონდონში, როცა იძულებული იყო, თავი დაეძვრინა გართულებული მდგომარეობიდან.

შემდეგ უნდა ვნახოთ, აქ რა გააკეთა, რაზეც შეგვიძლია ვიმსჯელოთ ჩვენთვის ცნობილი მონაცემებით.

პირველს რაც შეეხება, ნათელია, რომ ის გალაცში ჩამოსვლას და ვარნაში ზედნადების გაგზავნას აპირებდა, რათა ჩვენთვის თავგზა აერია. თვითონ კი ამასობაში მიმალვის იმედი აქვს.

ამას ამტკიცებს მისი წერილი ემანუელ გილდენშტაინის მიმართ, იქნებ ყუთი მზის ამოსვლამდე აიღოთო. შემდეგ პეტრე ჩინსკისთვის მიცემული ინსტრუქცია. ეს ყველაფერი, ცხადია, მხოლოდ ვარაუდებია. მაგრამ მას შემდეგ ხომ, რაც ჩინსკი გილდენშტაინთან იყო, კიდევ მოიძებნება რაღაც წერილები თუ დავალებები.

ჩვენთვის ცნობილია, რომ მისი გეგმები აქამდე წარმატებით იყო სისრულეში მოყვანილი: „დედოფალმა ეკატერინემ“ ფენომენალურად სწრაფად განახორციელა თავისი რეისი. ის, რომ გრაფმა ყველაფერი კარგად მოიფიქრა და ჭკვიანურად მოაწყო, უკვე დამტკიცებულია. გილდენშტაინმა მიიღო ყუთი და ჩინსკის გადასცა. ჩინსკიმ აიღო იგი - და აქ კვალი იკარგება. ჩვენთვის მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ყუთი სადღაც წყალზე იმყოფება და გადაადგილდება. საბაჟოსა და სასაზღვრო დაცვას მშვიდობით აუარა გვერდი.

ახლა ის გავარჩიოთ, რას აკეთებდა გრაფი გალაცში თავისი გადმოსვლის შემდეგ.

ჩინსკიმ ყუთი მზის ამოსვლამდე აიღო. ამოსვლის შემდეგ გრაფს შეეძლო გამოჩენილიყო თავისი ნამდვილი სახით. ახლა ჩნდება კითხვა, რატომ შეირჩა სწორედ ჩინსკი ამ სამუშაოს შესასრულებლად. ჩემი ქმრის დღიურში ნათქვამია, რომ ჩინსკი სლოვაკებთან ვაჭრობდა, რომლებსაც ტვირთი მდინარით გადაჰქონდათ, ხოლო ნათქვამი, რომ - ეს მკვლელობა სლოვაკების ნახელავია - ამ ერის მიმართ მტრულ დამოკიდებულებას ამტკიცებს. გრაფს განმარტოება უნდოდა. აი, ჩემი ვარაუდი: გრაფმა გადაწყვიტა ლონდონიდან თავის ციხესიმაგრეში საწყლოსნო გზით წასულიყო, რადგან ამას ყველაზე წყნარ და შეუმჩნეველ გზად მიიჩნევდა. ციხესიმაგრიდან იგი ბოშებმა გამოიყვანეს და, ალბათ, მათვე გადასცეს თავიანთი ბარგი სლოვაკებს, რომლებმაც ყუთები ვარნაში გადაიტანეს, იქიდან კი მან გემით ლონდონში გაგზავნა. მაშასადამე გრაფმა იცოდა, ვისთვის დაევალებინა ეს საქმე. როცა ყუთმა ხმელეთს მიაღწია, გრაფი მზის ამოსვლამდე ან ჩასვლამდე გამოვიდა თავისი ყუთიდან, შეხვდა ჩინსკის და აუხსნა მას, როგორ გაეგზავნა ყუთი შემდგომ მდინარით. როცა ეს გააკეთა და დარწმუნდა, რომ ყველაფერი რიგზე იყო, მან იმით წაშალა კვალი, რომ თავისი აგენტი მოკლა.

რუკით დავადგინე, რომ სლოვაკებისთვის ყველაზე შესაფერი მდინარეები პრუტი ან სირეტია. მე წავიკითხე ის, რაც ტრანსის დროს ვთქვი: იქ ლაპარაკია იმაზე, რომ მე ძროხების ყრუ ბღავილი, წყლის ხმაური და ხის ტკაცანი მესმოდა. გრაფი თავის ყუთში იმყოფებოდა, მდინარეზე, ნავში, რომელიც ნიჩბების ან ლატანების დახმარებით გადაადგილდებოდა.

შესაძლოა, ეს მდინარე არც სირეტია და არც პრუტი, მაგრამ შეიძლება შემდგომი დასკვნები გაკეთდეს. ამ ორი მდინარიდან პრუტი უფრო მეტად სანაოსნოა, მაგრამ სამაგიეროდ სირეტი ფუნტუსთან უერთდება ბისტრიცას, რომელიც გარს უვლის ბორგოს გასასვლელს. წრე, რომელსაც იგი შემოხაზავს, გადის დრაკულას ციხესიმაგრესთან, ასე რომ, იქ ადვილია საწყალოსნო გზით მოხვედრა.

მინა ჰარკერის დღიური

(გაგრძელება)

როცა კითხვა დავამთავრე, ჯონათანი მომიახლოვდა, მომეხვია და მაკოცა. დანარჩენებმა ხელი ჩამომართვეს, ხოლო ექიმმა ვან ჰელსინკმა თქვა:

- ჩვენი ძვირფასი მინა ისევ ჩვენი მასწავლებელია. იგი თვალხილული აღმოჩნდა იქ, სადაც ჩვენ ბრმები ვიყავით. ახლა ისევ კვალს დავადექით, და ამჯერად, იმედი მაქვს, წარმატება გველოდება. ახლა ჩვენი მტერი ყველაზე სუსტია და თუ დღისით, წყალზე დავესხმებით თავს, ჩვენი ამოცანა გადაწყდება. ის შეშინებულია, მაგრამ აჩქარებას ვერ შეძლებს, რადგან უძლურია - მას არ შეუძლია გამოვიდეს თავისი ყუთიდან, რადგან იგი სძულთ მათ, რომლებსაც მიჰყავთ: თუ მათ ეჭვი გაუჩნდებათ, მას წყალში მოისვრიან, სადაც ის დაიღუპება. მან ეს იცის. ახლა, ბატონებო, შევუდგეთ ჩვენს სამხედრო საბჭოს, რადგან საჭიროა ახლავე გადაწყდეს, ვინ რა გააკეთოს.

- მე კატარღას ვიშოვი და კვალდაკვალ მივყვები, - თქვა ლორდმა გოდალმინგმა.

- მე კი - ცხენს, რათა მას ნაპირით გავყვე იმ შემთხვევისათვის, თუ გადმოსვლას მოინდომებს, - თქვა მისტერ მორისმა.

- კარგია! - თქვა პროფესორმა, - ერთიც და მეორეც შესანიშნავია. მაგრამ არც ერთი თქვენგანი მარტო არ უნდა წავიდეს. საჭიროა ძალა, რათა აუცილებლობის შემთხვევაში ძალა დაამარცხოს. სლოვაკი ძლიერი და უხეშია, და ყოველთვის თანა აქვს იარაღიც.

მამაკაცებმა გაიცინეს, რადგან ყოველ მათგანს ჰქონდაპატარა არსენალი. მისტერ მორისმა თქვა:

- მე რამდენიმე ვინჩესტერი წამოვიღე, ისინი ძალზე მოსახერხებელია სასროლად, მათთან ერთად მგლების ხროვაც კი არ არის საშიში.

ექიმმა სიუარდმა განაცხადა:

- მე ვფიქრობ, რომ ქვინსისთან ერთად წავალ. ჩვენ მივეჩვიეთ ერთად ნადირობას და მზად ვართ ვისაც გნებავთ აღვუდგეთ წინ. მარტო არც შენ უნდა იყო, ართურ. უცებ რომ სლოვაკებთან შეტაკება მოგიხდეს და მარცხი განიცადო, ჩვენი ყველა გეგმა ჩაიშლება. ამჯერად ყოველგვარ შემთხვევითობას უნდა ავერიდოთ. ჩვენ არ დავწყნარდებით, სანამ გრაფს თავს არ მოვკვეთთ და არ დავრწმუნდებით, რომ ის აღარ არსებობს.

ექიმმა ვან ჰელსინკმა, თავის მხრივ, დაამატა:

- ეს შენ გეხება, ჯონათან, ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, შენ ახალგაზრდა და მამაცი ხარ, გარდა ამისა, შენ გეკუთვნის იმის განადგურების უფლება, ვინც ამდენი ბოროტება მოგაყენა შენც და

შენს ახლობლებსაც. მისის მინაზე ნუ იღელვებ, მე ვიზრუნებ მასზე. მე მოხუცი ვარ. ფეხები უკვე დამეღალა, ცხენით კი არ ვარ ჩვეული ასე შორ გზაზე სიარულს, მე ვერ შევძლებ იარაღით ხელში ბრძოლას. მაგრამ შემიძლია სხვა სამსახური გაგიწიოთ: მე შემიძლია სხვაგვარად ვიბრძოლო, და შემიძლია მოვკვდე, თუ საჭირო გახდება, ისევე მამაცურად, როგორც ახალგაზრდები. სანამ თქვენ, ლორდო გოდალმინგ, და თქვენ, ჯონათან, თქვენი სწრაფმავალი გემით დინების საწინააღმდეგოდ წახვალთ, ხოლო ჯონი და ქვინსი თვალყურს მიადევნებენ, რათა ის შემთხვევით არ გადმოჯდეს, მე მისის მინას არასტუმართმოყვარე ქვეყნის შუაგულში წავიყვან. სანამ ბებერი მელა თავის ყუთშია ჩაკეტილი, დაჩვრეტილ ნავზე ირხევა და არ შეუძლია ხმელეთზე გაიქცეს, სანამ ვერ ბედავს სახურავი ახადოს თავის კუბო-ყუთს იმის შიშით, რომ სლოვაკების ხელით არ დაიღუპოს, ჩვენ ჯონათანის კვალდაკვალ წავალთ და დრაკულას ციხესიმაგრისაკენ მიმავალ გზას ვიპოვით. მისის მინას ნათელმხილველობის წყალობით გზას ალბათ მივაგნებთ და პირველი დაისის შემდეგ უკვე ახლოს ვიქნებით იმ საბედისწერო ადგილთან. გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი გვრჩება და ბევრი ადგილი - საკურთხებელი, რათა გავანადგუროთ ეს გველის ბუდე.

აქ ჯონათანმა მკვეთრად შეაწყვეტინა მას:

- ხომ არ გინდათ თქვათ, პროფესორო ვან ჰელსინკ, რომ მინას, რომელიც ასეთ საშინელ მდგომარეობაში იმყოფება, ამ ეშმაკეული სნეულებით შეპყრობილ, მომაკვდინებელ მახეში წაიყვანთ? არაფრის გულისათვის! არავითარი სიკეთისათვის! იცით, ეს რა ადგილია? გინახავთ ეს ჯოჯოხეთური ბუდე მთვარის შუქზე, საშინელი მოჩვენებებით, სადაც მტვრის ყოველი მარცვალი ჰაერში ბრუნავს და ყოვლისშთანმთქმელი ურჩხულის ჩანასახს ატარებს? ვამპირის ტუჩები თუ გიგრძნიათ თქვენს ყელზე?

მაგრამ აქ პროფესორის მტკიცე ხმამ გააწყვეტინა:

- ოჰ, ჩემო მეგობარო, ამას მხოლოდ იმიტომ ვაკეთებ, რომ მისის მინას მინდა გავუფრთხილდე. ღმერთმა დამიფაროს მისი იქ წაყვანისაგან. ჩვენ კიდევ უამრავი სამუშაო გველის, რასაც იგი არ უნდა დაესწროს. ჩვენ ყველამ, თქვენს გარდა, საკუთარი თვალით ვნახეთ, რა უნდა გაკეთდეს, რათა გაიწმინდოს ეს ადგილი. გახსოვდეს, რომ ჩვენ საშინელ პირობებში ვართ. თუ გრაფი ამჯერადაც თავს დაიძვრენს - ის კი ძლიერია, მარჯვე და ცბიერი - იგი კიდევ მთელი ასწლეულები დაიძინებს, მაშინ ჩვენი ძვირფასი მინაც შეუერთდება მას და ისეთივე იქნება, როგორებიც ისინი არიან, რომლებიც შენ ნახე. შენ გვიამბობდი მათ ხარბ ტუჩებზე, გესმოდა მათი ავხორცული სიცილი. შენ ცახცახებ, არადა ეს შეიძლება მოხდეს.

- გააკეთეთ, რაც გინდათ, - ამოიგმინა ჯონათანმა, - ყველანი უფლის ხელში ვართ!

მოგვიანებით.

რა დიდი ძალა აქვს ფულს! რას არ აკეთებს, თუ სწორად გამოიყენე, და რას არ გააკეთებს, თუ ამას ვერ შეძლებ. როგორ მიხარია, რომ ლორდი გოდალმინგი მდიდარია, რომ ის და მისტერ მორისი, რომელსაც ასევე უამრავი ფული აქვს, მზად არიან იგი ასე უხვად გასცენ. ამის გარეშე ჩვენი პატარა ექსპედიცია ვერ განხორციელდებოდა, ყოველ შემთხვევაში, ასე მალე ვერა, და ვერც ასე კარგად ეკიპირებული იქნებოდა, როგორც ახლაა. სამი საათიც არ გასულა იმ დროიდან, რაც გადაწყდა, რა უნდა გააკეთოს თითოეულმა ჩვენ-

განმა, რომ ლორდ გოდალმინგსა და ჯონათანს უკვე მშვენიერი კატარღა ჰქონდათ, რომელიც მზად იყო, პირველივე ბრძანების თანახმად გასულიყო.

ექიმ სიუარდსა და მისტერ მორისს ექვსი მშვენიერი ცხენი ჰყავთ სრულად აღჭურვილი. ჩვენ საუკეთესო რუკები და ყოველგვარი გზამკვლევი გვაქვს. პროფესორი და მე დღეს 11 საათსა და 40 წუთზე საღამოს მატარებლით გავდივართ ვერესტიმდე, სადაც ავიყვანთ ეკიპაჟს ბორგოს გასასვლელში მისაღწევად. თან ბევრი ფული მიგვაქვს, რადგან ცხენების ყიდვა მოგვიწევს. ჩვენ თვითონ ვმართავთ, ვინაიდან ამ შემთხვევაში ვერავის ვენდობით. პროფესორმა ბევრი ენა იცის, და მე იმედი მაქვს, რომ ყველაფერს თავს გავართმევთ. ყველას გვაქვს იარაღი,მეც კი მაქვს პატარა რევოლვერი. ჯონათანი ძალიან ინერვიულებდა, დანარჩენებივით რომ არ ვიყო შეიარაღებული. თუმცა მე არ შემიძლია ვისარგებლო იმ იარაღით, რაც მათ აქვთ: ჩემი ნაიარევი შუბლზე ხელს მიშლის.

ჯონათან ჰარკერის დღიური

30 ოქტომბერი. ღამით.

ამას კატარღის საცეცხლესთან ვწერ. ლორდი გოდალმინგი ორთქლს აღვივებს: ის ძალიან გამოცდილია ამ საქმეში, რადგან საკუთარი კატარღა თემზაზეც ჰქონდა და - ნორფოლკ-ბროდშიც. მიგვაჩნია, რომ მინას წინააღმდეგობები სწორია და გრაფმა საწყლოსნო გზა აირჩია თავის ციხესიმაგრეში დასაბრუნებლად: ამისათვის ერთადერთი შესაფერი ადგილი იქაა, სადაც ბისტრიცა სირეტს ერთვის. გამოვიანგარიშეთ, რომ ეს დაახლოებით ჩრდილოეთის განედის 47-ე გრადუსზე იქნება. ჩვენ შეგვიძლია სრული სვლით ვიაროთ ღამითაც კი, რადგან მდინარე ძალიან წყალუხვია, ხოლო მეჩეჩები

ერთმანეთისაგან დიდ მანძილებზეა, ასე რომ, ფაქტობრივად არავითარი საფრთხე არ არსებობს. ლორდი გოდალმინგი მეუბნება, დაისვენეო, რადგან სრულიად საკმარისია, ვახტზე ერთ-ერთი ჩვენგანი იდგეს. მაგრამ მე არ მეძინება: განა შემიძლია დავიძინო, როცა ვიცი, რა საფრთხე ემუქრება ჩემს ძვირფას მინას, რადგან ის ამ საშინელ ადგილებში მოგზაურობს! მხოლოდ ის მამშვიდებს, რომ ყველანი უფლის ხელში ვართ... მისტერ მორისი და ექიმი სიუარდი ჩვენზე გაცილებით ადრე გაემგზავრნენ ცხენებით. ისინი მარჯვენა ნაპირით მიდიან, მაღლობებზე, საიდანაც მდინარე კარგად ჩანს, ამგვარად გზასაც იმოკლებენ და ყველა კლაკნილს არ მიჰყვებიან.

გიჟურ საქმეს მოვკიდეთ ხელი. აი, მოვქრივართ წყვდიადში და სიცივისგან ვცახცახებთ. გარშემო ღამის რაღაც იდუმალი ბგერები გვაკრავს. გოდალმინგმა ღუმელის კარი დაკეტა...

31 ოქტომბერი.

ისევ ვაგძრელებთ გზას. გათენდა. გოდალმინგს სძინავს. მე ვახტზე ვარ. დილა უჩვეულოდ ცივია. აქამდე მხოლოდ რამდენიმე ნავი დავინახეთ, მაგრამ არც ერთ მათგანზე არავითარი ყუთი არ ყოფილა, არც იმ ზომის რაიმე ტვირთი, რაც ჩვენ გვაინტერესებს. ყოველთვის, როცა მათზე პროჟექტორის ელექტრონულ შუქს მივმართავდით, ხალხს შიში იპყრობდა, მუხლებზე ეცემოდნენ და ლოცვას იწყებდნენ.

1-ლი ნოემბერი. საღამოს.

არავითარი ახალი ამბავი. მთელი დღის მანძილზე საინტერესო ვერაფერი ვნახეთ. უკვე შევედით ბისტრიცაში და თუ ჩვენს ვარაუ-

დებში შევცდით, მაშინ ყველაფერი დაიღუპა. მრავალ ნავს გავუსწარით, დიდებსაც და პატარებსაც. დღეს დილით ადრე ერთმა ეკიპაჟმა სახაზინო კატარღად ჩაგვთვალა და სალუტი მოგვცა.

რამდენიმე სლოვაკმა თქვა, რაღაც დიდმა ნავმა ჩაგვიარა გვერდით, უჩვეულო სისწრაფითო. ნავზე რაღაც უცნაური ტვირთი ჩანდა თურმე. ეს ჯერ კიდევ ფუნდუში მათ მოსვლამდე მომხდარა, ასე რომ, ზუსტად არ შეეძლოთ ეთქვათ, ბისტრიცაზე შეუხვია ნავმა თუ პირდაპირ წავიდა სირეტით. ფუნდუში ჩვენ არაფერი გაგვიგია მასზე, შესაძლოა, ის ღამით გავიდა.

2 ნოემბერი. დილით.

უკვე გათენდა! დღეს მე ძალა მოვიკრიბე, ვიჯექი და ვაკვირდებოდი, როგორ ეძინა გოდალმინგს, და თან ყველაფერს ვაკეთებდი, რაც საჭირო იყო: თვალყურს ვადევნებდი მანქანას, ვმართავდი და ვდარაჯობდი... ვგრძნობ, რომ ძალა და ენერგია დამიბრუნდა. მინდოდა მცოდნოდა, სად არიან ახლა მინა და ვან ჰელსინკი! ისინი ვერესტიში უნდა ყოფილიყვნენ პარასკევს, დაახლოებით შუადღით. მათ დიდი დრო დასჭირდებათ ეკიპაჟისა და ცხენების მოძებნაში, ასე რომ, თუ ისინი გავიდნენ და სწრაფად მიდიოდნენ, ახლა ბორგოს გასასვლელში უნდა იყვნენ. ღმერთი იყოს მათი მფარველი! იმაზე ფიქრისაც კი მეშინია, რა შეიძლება მოუვიდეთ. საინტერესოა, როგორ მიდის ექიმ სიუარდისა და მისტერ მორისის საქმეები. იმედი მაქვს, სტრასბასთან შევხვდებით მათ, რადგან გრაფს თუ მანამდე ვერ დავეწევით, მაშინ ისევ ყველამ ერთად უნდა მოვილაპარაკოთ, რა ვქნათ.

ექიმ სიუარდის დღიური

2 ნოემბერი.

სამი დღეა გზაში ვართ. არავითარი ახალი ამბავი, და რომც იყოს, მათი ჩაწერის დრო არა მაქვს, - ყოველი წუთი ძვირფასია. ჩვენ მხოლოდ აუცილებელი საჭიროების გამო შევჩერდით - ცხენების დასასვენებლად. ეს მოგზაურობით დატვირთული დღეები ჩვენთვის ძალიან სასარგებლოა, თავს ორივე მშვენივრად ვგრძნობთ. უნდა ავჩქარდეთ, არ მოვისვენებთ, სანამ ჩვენს წინ ისევ კატარღას არ დავინახავთ.

3 ნოემბერი.

ფუნდუკში გავიგეთ, რომ კატარღა ზემოთ, ბისტრიცას გაჰყოლია. დათბეს მაინც! მგონი, თოვლი აპირებს მოსვლას, თუ უხვად მოთოვს, იძულებული ვიქნებით გავჩერდეთ. ასეთ შემთხვევაში მარხილით, რუსულ ყაიდაზე მოგვიწევს გზის გაგრძელება.

4 ნოემბერი.

დღეს გავიგეთ, რომ კატარღა რაღაცამ შეაფერხა ბისტრიცას ჭორომებზე. სლოვაკების ნავები უშიშრად დადიან. რამდენიმე საათის წინ საკმაოდ ბევრმა ჩაიარა. გოდალმინგი შესანიშნავი მესაჭეა და, ალბათ, შეძლო კატარღის გაყვანა, სიძნელეების მიუხედავად. დარწმუნებული ვარ, რომ მათ მშვიდობით გაიარეს ჭორომები ადგილობრივთა დახმარებით, ცხადია, და ახლა ისევ წინ მიიწევენ. მხოლოდ ის მაშინებს, რომ კატარღა დაზიანებიათ, რადგან გლეხები ამბობენ, წამდაუწუმ ჩერდებოდა, სანამ თვალს არ მიეფარაო. უნდა ავჩქარდეთ: შესაძლოა ჩვენი დახმარება გახდეს საჭირო.

მინა ჰარკერის დღიური

31 ოქტომბერი.

ვერესტიშიშუადღეს ჩავედით. პროფესორმა მითხრა, დღეს დილით საერთოდ ვერ დაგაჰიპნოზეო. თურმე, მას მხოლოდ ორი სიტყვა ვუთხარი: „ბნელა და სიჩუმეა“. ახლა ის ცხენების საყიდლადაა წასული. ჩვენ სამოცდაათ მილზე მეტი მანძილის დაფარვა მოგვიწევს. მშვენიერი და საინტერესო ქვეყანაა. ყველაფერი სხვა პირობებში რომ ხდებოდეს, ამის ნახვა დიდ სიამოვნებას მომანიჭებდა. რა საამო იქნებოდა აქ ჯონათანთან ერთად მოგზაურობა, მაგრამ...

მოგვიანებით.

ექიმი ვან ჰელსინკი დაბრუნდა: იშოვა ცხენები. ჩვენ ვისადილეთ, ხოლო შემდეგ გზას დავადექით. დიასახლისმა სურსათის იმხელა მარაგი მოგვიმზადა, რომ ჯარისკაცების მთელ რაზმს ეყოფოდა. პროფესორმა წაახალისა ეს ქალბატონი და ყურში მიჩურჩულა, შესაძლოა, მთელი კვირა კარგი საკვები ვერსად ვიშოვოთო. მან კიდევ რაღაც-რაღაცები იყიდა და ბრძანა თბილი პალტოების, საბნებისა და სხვა თბილი რამერუმეების მთელი გროვა ჩაელაგებინათ. გზაში, ალბათ, აღარ გავიყინებით.

მალე გავდივართ. იმაზე ფიქრიც მაშინებს, რა შეიძლება მოხდეს. მაგრამ უფლის ხელში ვართ და მშვიდად უნდა ვიყოთ. მხოლოდ ღმერთმა უწყის, რა იქნება და მთელი ჩემი ტანჯული გულით ვევედრები, რათა მან ჩემი ძვირფასი ქმარი დაიფაროს. რათა ჯონათანმა იცოდეს, რომ ის უფრო ძლიერ მიყვარდა, ვიდრე ამის გამოხატვას შევძლებდი, და რომ ჩემი უკანასკნელი და საუკეთესო ფიქრები მას ეძღვნებოდა...

თავი ოცდამეშვიდე
მინა ჰარკერის დღიური

1-ლი ნოემბერი.

მთელი დღე გზაში ვართ, თანაც ძალიან ვჩქარობთ. ცხენები თითქოს გრძნობენ, რომ მათ კარგად ექცევიან და ხალისით მიქრიან, თავდაუზოგავად. საქმე ისე კარგად მიდის, რომ უკვე იმედი გვესახება და გვჯერა ჩვენი მოგზაურობის კეთილი დასასრულის. ექიმი ვან ჰელსინკი ლაკონურია. ფერმერებს ეუბნება, ბისტრინში მივიჩქარითო, მათ ფულს უხდის და ცხენებს ცვლის. წვნიანს გეახლებით და ზედ ჩაის ან ყავას ვაყოლებთ და ასე განვაგრძობთ გზას. აქაურები ძალიან ცრუმორწმუნეები არიან. პირველ სახლში, სადაც ჩვენ გავჩერდით, ქალმა, რომელიც ჩვენ გვემსახურებოდა, ნაიარევი შემნიშნა შუბლზე, პირჯვარი გადაიწერა და ორი თითი ასწია, რათა თავი დაეცვა ავი თვალისაგან. მე მგონი, მან ნივრის ორმაგი რაოდენობაც ჩაგვიდო საჭმელში, მე კი ნიორს საერთოდ ვერ ვიტან. მას შემდეგ ვცდილობდი აღარ მომეხადა ქუდი ან პირბადე, რათა ზედმეტი უსიამოვნებები ამეცილებინა. უჩვეულო სისწრაფით მივდივართ და მეეტლის გარეშე გაგვაქვს თავი, ავი თვალის შიში კი მთელი გზის მანძილზე არ მოგვშორებია. პროფესორი დაღლას საერთოდ ვერ გრძნობს. მთელი დღის მანძილზე ერთხელაც არ დაუსვენია, მე კი მაიძულებს, დავიძინო. მზის ჩასვლისას დამაჰიპნოზა და ამბობს, რომ მე იგივე ვუპასუხე: „სიბნელე, წყლის რაკრაკი და ხის ტკაცუნი“, ასე რომ, ჩვენი მტერი ჯერ ისევ წყალზეა. მაშინებს ჯონათანზე ფიქრი და ამასთან ერთად - როგორღაც არც მასზე ვღელავ

და არც ჩემ გამო. ამას ვწერ ფერმერთა ცხენების მოლოდინში. ექიმ-მა ვან ჰელსინკმა დაიძინა. საბრალო, როგორ დაიღალა, მაგრამ არ იმჩნევს. როცა დავიძვრებით, დავაძალებ, რომ ჩაიძინოს, მე კი წავიყვან. ვეტყვი, კიდევ მრავალი დღე მოგვიწევს მგზავრობა და ძალა უნდა დაზოგოთ, რადგან კიდევ დაგვჭირდება-მეთქი.

2 ნოემბერი, დილით.

მთელი ღამე რიგრიგობით ვმართავდით ეტლს. ნათელი, ცივი დღე დაიჭირა. ჰაერში რაღაც უცნაური წნევა იგრძნობა. ძალიან ცივა და მხოლოდ თბილი ტანსაცმელი გვშველის.

2 ნოემბერი, ღამით.

მთელი დღე სწრაფად მივდიოდით, ქვეყანა სულ უფრო ველურ სახეს იღებს, კარპატების მთებმა, რომლებიც ვერესტიში ასეთი შორეული ჩანდა და თითქოს ასე დაბლა იდგნენ ჰორიზონტზე, ახლა ალყაში მოგვაქციეს. მშვენიერ გუნებაზე ვართ და ვცდილობთ, ერთმანეთი გავართოთ. ექიმი ვან ჰელსინკი ამბობს, რომ დილით უკვე ბორგოს გასასვლელში ვიქნებით. სახლები უკვე იშვიათად გვხვდება და პროფესორის თქმით ჩვენი უკანასკნელი ცხენები ბოლომდე მიგვიყვანენ, რადგან მათ ვეღარსად გამოვცვლით. ოჰ, რას მოიტანს ხვალინდელი დღე? ღმერთი შეგვეწიოს, დაიფაროს ჩემი ქმარი და ისინი, რომლებიც ძვირფასია ჩვენთვის და ვისაც ახლა საფრთხე ემუქრება. მე რაც შემეხება, მისთვის უღირსი ვარ, უწმინდური და ასეთად დავრჩები, სანამ თავისი მოწყალების ღირსად არ გამხდის.

აბრაამ ვან ჰელსინკის დღიური

4 ნოემბერი.

ეს ეძღვნება ჩემს ძველ მეგობარს ჯონ სიუარდს, დ.მ. პერფლითი, ლონდონი, იმ შემთხვევაში, თუ ვეღარ ვნახავ. ეს ყველაფერს აუხსნის. დილაა, ცეცხლის შუქზე ვწერ, რომელიც მთელი ღამე მენთო. მისის მინა ძალიან მეხმარება. უჩვეულო სიცივეა. მისის მინა მთელი დღე ძალიან ცუდ განწყობაზე იყო, სულ არ ჰგავდა თავის თავს. სულ სძინავს, სძინავს და სძინავს! ყოველთვის ასე ენერგიულს, დღეს თითქმის არაფერი გაუკეთებია. მადაც კი დაეკარგა. თავის დღიურში არაფერს იწერს, რასაც ყოველთვის აკურატულად აწარმოებდა. ვგრძნობ, რომ ყველაფერი რიგზე ვერ არის. თუმცა დღეს იგი მაინც უფრო მხიარულია. ძილმა გაახალისა. მზის ჩასვლის შემდეგ მისი დაჰიპნოზება ვცადე, მაგრამ ამაოდ! არაფერი გამოვიდა! ჩემი გავლენა სულ უფრო მცირდებოდა, დღეს კი სრულიად გაქრა. რა გაეწყობა - დაე, იყოს ნება ღვთისა, რაც უნდა მოხდეს და რა შედეგიც უნდა მოჰყვეს!

ახლა კი ფაქტები. რადგან მისის მინა აღარაფერს იწერს, მე მომიწევს ამის გაკეთება.

ბორგოს გასასვლელთან გუშინ დილით, ალიონზე მივედით. როცა განთიადის ნიშნები შევნიშნე, ჰიპნოზისათვის დავიწყე მზადება. ეკიპაჟი გავაჩერეთ და ჩამოვედით, რათა ჩვენთვის ხელი არაფერს შეეშალა. ბეწვეულის საწოლი გავაკეთე, მისის მინა დაწვა და თუმცა შედარებით ნელა და უფრო მცირე ხნით, მაგრამ მაინ დამორჩილდა ჰიპნოზს. ადრინდელივით მიპასუხა: სიბნელე და წყლის რაკრაკიო. შემდეგ მხიარულმა და ხალისიანმა გაიღვიძა, გზა გავაგრძელეთ და მალე ხეობაში შევედით. აქ ის აღელდა და თქვა:

- აი, გზა.

- თქვენ საიდან იცით? - ვკითხე მე.

- აქ ხომ ჯონათანია ნამყოფი და უწერია კიდეც ამის შესახებ.

თავიდან ეს უცნაურად მომეჩვენა, მაგრამ მალე შევნიშნე, რომ სხვა გზები აქ არ იყო. გზა ნაკლებადაა გაკვალული და სულაც არ ჰგავს იმ გზას, რომელიც ბუკოვინადან ბისტრიცაში მიდის, ის გაცილებით ფართოა და კარგად დატკეპნილი. ჩვენ ამ გზით წავედით და როცა სხვა გვხვდებოდა, კიდევ უფრო მიგდებული და ახალი თოვლით დაფარული, არჩევანს ცხენებსვანდობდით: მათ თვითონ იციან გზა. სადავეები მოვუშვი და მათაც მოთმინებით განაგრძეს სვლა. თანდათან ის ყველაფერი გვხვდებოდა, რაზეც ჯონათანი დღიურში წერდა და სვლას ასე ვაგრძელებდით. მისის მინას ვურჩიე, წაიძინე-მეთქი. მან სცადა და მართლაც ჩაიძინა. სულ სძინავს, სანამ მე არ გავაღვიძებ. ზოგჯერ ამისთვის დიდი ძალისხმევა მჭირდება. მგონი, მეც მეყვინთება.

მისის მინას ენერგიულად ვაღვიძებ. ამჯერად იღვიძებს და მე ისევ ვაჰიპნოზებ, მაგრამ ის არ მემორჩილება. ისევ განვაგრძე მცდელობა, სანამ საბოლოოდ ორივე წყვდიადში არ აღმოვჩნდით. მზე ჩავიდა. მისის მინა იცინის, მე ვტრიალდები და მას შევყურებ. ახლა მან საბოლოოდ გაიღვიძა და ისე კარგად გამოიყურება, როგორც მაშინ, როცა პირველად შევედით გრაფის კარფაქსის სახლში. განცვიფრებული ვარ და უხერხულად ვგრძნობ თავს, მაგრამ იგი ისეთი საყვარელია, ისეთი ალერსიანი და თავაზიანი, რომ შიში მავიწყდება. ცეცხლს ვანთებ - თან შეშის მარაგიც მიგვაქვს - და ის საჭმელს ამზადებს, სანამ მე ცხენებს გამოვუშვებ. როცა ცეცხლთან ვბრუნდები, ვახშამი უკვე მზადაა. მინდა დავეხმარო, მაგრამ იცინის და მეუბნება, უკვე ვივახშმეო: ისე ვიყავი მოშივებული, რომ მოთმენა აღარ შემეძლოო. ეს არ მომწონს, და მისი არ მჯერა, მაგრამ არ

მინდა შევაშინო, ასე რომ, ჩუმად ვარ. მარტო ვჭამ, შემდეგ ქურქებში ვეხვევით და ცეცხლის პირას ვწვებით. ვურჩევ დაიძინოს და ვპირდები, რომ ვუდარაჯებ. რამდენჯერმე მაინც ჩამთვლიმა, და დილისათვის ცოტა გამოძინება მოვასწარი. გაღვიძებისას ისევ ვცდილობ მის დაჰიპნოზებას, მაგრამ ამაოდ! თუმცა კი მორჩილად ხუჭავს თვალებს, მაგრამ არ იძინებს. მზე ამოდის, და მაშინღა თვლემს, მაგრამ საკმაოდ გვიან და ისე მაგრად, რომ ვერაფრით გააღვიძებ. იძულებული გავხდი, ხელით ამეყვანა და ეტლში ჩამესვა: ძილში ის როგორღაც უფრო ჯანსაღად გამოიყურება, მე კი ეს არ მომწონს და მეშინია, ვფიქრობ და მეშინია! ფიქრიც კი მაშინებს, მაგრამ ჩემი მოვალეობა უნდა ავასრულო. ეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა და არ უნდა დავნებდეთ.

5 ნოემბერი, დილით.

ყველაფერი რიგის მიხედვით მინდა ჩავიწერო, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში იტყვით, გადატანილმა საშინელებებმა იმოქმედა მის ტვინზე და გაგიჟდაო.

გუშინ მთელი დღე მივდიოდით, გამუდმებით ვუახლოვდებოდით მთებს და სულ უფრო ღრმად შევდიოდით ველურ ქვეყანაში. მისის მინას ღრმად სძინავს. მე მომშივდა, ცოტას გეახელით, მისი გაღვიძებაც ვცადე, რომ ეჭამა, მაგრამ სულ სძინავს. შიში შემეპარა, ამ ადგილის საბედისწერო ჯადომ ხომ არ იმოქმედა-მეთქი მასზე, ვამპირის ნათლობა მიღებულზე. კეთილი, - გავიფიქრე მე, - თუ ასე უნდა იყოს, რომ სულ ეძინოს, მაშინ მე ღამღამობით არ დავიძინებ-მეთქი. ცუდი გზა იყო, სოფლის შარასავით უბრალო, თავი ჩავქინდრე და დავიძინე. როცა გავიღვიძე, მისის მინას ჯერ კიდევ ეძინა, მზე კი უკვე დაბლა დაშვებულიყო. ყველაფერი სრულიად შეიცვალა. ციცაბო

კლდეები სადღაც შორს იყვნენ და ჩვენს წინაშე, მაღალ დამრეც გორაკზე სწორედ ის ციხესიმაგრე დაილანდა, რომელზეც ჯონათანი საუბრობდა თავის დღიურში. აღფრთოვანებისა და შიშის გრძნობამ მომიცვა, რადგან ახლა, სასიკეთოდ თუ საუბედუროდ, დასასრული უკვე ახლოსაა. მისის მინა გავაღვიძე და მისი დაჰიპნოზება ვცადე, მაგრამ უშედეგოდ. წყვდიადი ჩამოწვა, ცხენები გამოვხსენი და დავაპურე, შემდეგ ცეცხლი გავაჩაღე და მისის მინა რაც შეიძლება მოხერხებულად დავსვი. იგი ისე ხალისიანად და მომხიბლავად გამოიყურებოდა, როგორც არასდროს. მე საჭმელი გავამზადე, მაგრამ პირი არაფერს დააკარა, არ მშიაო. არც დავაძალე, რადგან ვიცოდი, რომ ეს ამაო იყო. მე თვითონ დავნაყრდი, ვინაიდან ძალა უნდა მომეკრიბა. შემდეგ მისის მინას გარშემო წრე შემოვხაზე, დაფხვნილი ნაკურთხი საკმეველი ამოვიღე და ეს ნამცეცები წრეზე მოვაპნიეთ, ასე რომ, წრის შიგნით შეღწევა შეუძლებელი იყო, მერე კი მათ ცეცხლი მოვუკიდე. ჰაერში საამო სურნელება დატრიალდა. მისის მინა წყნარად იჯდა, გაუნძრევლად და სულ უფრო კარგავდა ფერს, ხმას არ იღებდა, მაგრამ როცა მასთან მივედი, მომეკრო და ვიგრძენი, რომ შიშისაგან ცახცახებდა. გული დამიმძიმდა. როცა ოდნავ დაწყნარდა, მე ვუთხარი:

- ცეცხლთან მივიდეთ.

მინდოდა მენახა, რას მოიმოქმედებდა.

იგი მორჩილად ადგა, ნაბიჯი გადადგა წინ, შემდეგ გაშეშდა და თქვა:

- ჩემზე ღელავთ? რა გაშინებთ? რითი ვარ მათზე უკეთესი?

ამ სიტყვებმა განმაცვიფრა. იმ მომენტში მძაფრმა ქარმა დაუბერა და კოცონი გააღვივა, რომლის შუქზე წითელი ნაიარევი დავინახე მის შუბლზე. მაშინ ყველაფერს მივხვდი! ასეც რომ არ ყოფილიყო, მაინც მალე გავიგებდი, რადგან მოფარფატე ფიგურები სულ უფრო გვიახლოვდებოდნენ, მაგრამ წრეში არ შედიოდნენ. შემდეგ მათ მატერიალიზება დაიწყეს, სანამ, საბოლოოდ, თუკი ღმერთმა გონება არ წამართვა, ჩემ წინ ის სამი ქალი არ დავინახე, რომლებიც ჯონათანს თავის ოთახში ჰყავდა ნანახი. ვიცანი მათი მოქნილი ფიგურები, მათი მოელვარე თვალები, თეთრი კბილები, მათი თმების ფერი და ავხორცული ღიმილი. ისინი საბრალო მინას უღიმოდნენ და მათი ტკარცალი მკაფიოდ ისმოდა ღამის სიჩუმეში. მისკენ ხელები გაიშვირეს და ენა ამოიდგეს:

- მოდი, დაიკო! მოდი ჩვენთან! მოდი, მოდი!

შიშით გავხედე მინას, და გული სიხარულით ამიძგერდა, რადგან მისი თვალების გამომეტყველებამ იმედი ჩამისახა. მათში მხოლოდ საშინელება,შიში და სიძულვილი ამოვიკითხე. მადლობა ღმერთს, მინა ჯერ კიდევ არ ეკუთვნოდა მათ. მე ხელი ვტაცე კოცონის პალოს, მეორე ხელით ნაკურთხი ჯვარცმა ჩავბღუჯე და მათკენ დავიძარი, თან ამავე დროს კოცონს ვუახლოვდებოდი. მათ უკან დაიხიეს და თავიანთი შემზარავი სიცილი დაგვაყარეს. მე ცეცხლს შევუკეთე და არ შემშინებია, რადგან მივხვდი, რომ ხელს არ გვახლებდნენ. მე ვერ მომიახლოვდებოდნენ, მე წმინდა ძღვენით ვიყავი შეიარაღებული, ზუსტად ასევე, მათ არც მისის მინასთვის შეეძლოთ რაიმეთი ვნება, რადგან იგი თავის წრეში რჩბეოდა, საიდანაც გამოსვლა არ შეეძლო, ისინი კი იქ შესვლას ვერ ბედავდნენ. ცხენებმა თავი ანებეს ჭიხვინს, მათ მსუბუქად ეცემოდა ფანტელი, სანამ სულ არ გათეთრდნენ. ვიცოდი, რომ საბრალო ცხოველებს საფრთხე აღარ ემუქრებოდა.

ასეთ მდგომარეობაში გარიჟრაჟამდე დავრჩით. სასოწარკვეთილი, შეშინებული და სევდით აღსავსე ვიყავი, მაგრამ ამომავალი მზის დანახვაზე ისევ გამოვცოცხლდი. გარიჟრაჟის პირველივე ნიშნებზე ფიგურები ნისლში გაიფანტნენ.

მაშინვე მისის მინას მივუბრუნდი, მისი დაჰიპნოზება მინდოდა, მაგრამ მას ისეთი ღრმა ძილით ეძინა, რომ ვერაფრით გავაღვიძე. ვცადე მძინარე დამეჰიპნოზებინა, მაგრამ არაფერი მიპასუხა, არადა უკვე მზე ამოიწვერა. მეშინია ადგილიდან დავიძრა. ცეცხლი გავაჩაღე და ცხენებს გავხედე - დახოცილები იყვნენ. დღეს მე დიდი სამუშაო მელის, მაგრამ დავიცდი, სანამ მზე კარგად არ ამოიწურება.

საუზმე ჯანზე მომიყვანს, შემდეგ კი ჩემს საშინელ საქმეს შევუდგები. მისის მინას ჯერ კიდევ სძინავს, ღმერთი იყოს ჩვენი შემწე!

ჯონათან ჰარკერის დღიური

4 ნოემბერი, საღამოს.

კატარღამ ძალიან გაგვაწვალა. ეს რომ არა, ნავს უკვე დიდი ხანია დავეწეოდით, და ჩემი ძვირფასი მინა უკვე თავისუფალი იქნებოდა. მასზე ფიქრიც კი მაშინებს, რადგან იმ საშინელ ადგილთან ახლოს იმყოფება. ცხენები ვიშოვეთ და შარაგზას მივყვებით. ამას ვწერ, სანამ გოდალმინგი გასასვლელად ამზადებს ყველაფერს. იარაღი თან გვაქვს. ბოშებს ცუდი დღე დაადგებათ, თუ წინააღმდეგობის გაწევას დააპირებენ. ოჰ, მორისი და სიუარდიც აქ რომ იყვნენ! იმედი ვიქონიოთ! თუ წერა აღარ მომიწევს, მაშინ მშვიდობით მინა! ღმერთმა დაგლოცოს და დაგიფაროს!

ექიმ სიუარდის დღიური

5 ნოემბერი.

გარიჟრაჟზე დავინახეთ, როგორ დაიმალნენ ბოშები მდინარესთან თავიანთი ფურგონით. გარს შემოერტყნენ და ჩქარობდნენ, თითქოს ვიღაცას გაურბოდნენ. მსუბუქი თოვლი მოდის. შორს მგლების ყმუილი ისმის, მთებიდან მოდის თოვლთან ერთად. ყოველი მხრიდან საფრთხე გვემუქრება. ცხენები თითქმის მზადაა, და მალე გზას გავუყვებით. სიკვდილის შესახვედრად მივილტვით. მხოლოდ ღმერთმა იცის, სად, როდის და როგორ მოხდება ეს...

აბრაამ ვან ჰელსინკის დღიური

5 ნოემბერი, დღისით.

მე, ყოველ შემთხვევაში, გონებაზე ვარ. მადლობა უფალს ასეთი მოწყალებისათვის, თუმცა საშინელი განსაცდელი გამოვიარეთ. მინა წმინდა წრეში მძინარე დავტოვე და ციხესიმაგრისკენ გავემართე. მჭედლის ურო, რომელიც ვერესტიდან წამოვიღე, მაინცგამომადგა, თუმცა ყველა ფანჯარა და კარი ღია იყო. მე მაინც დავხსენი ისინი ანჯამებიდან, რათა შემთხვევით არ მიიხურონ და ჩაკეტილი არ აღმოვჩნდე. ჯონათანის მწარე გამოცდილება აქ დიდად გამომადგა. მისი ჩანაწერების წყალობით გზა გავიკვლიე ძველი სამლოცველოსკენ, რადგან ვიცოდი, რომ სწორედ იქ მომიწევდა მუშაობა. ჩახუთული ჰაერი იყო, თითქოს საიდანღაც გოგირდის სუნი მოდიოდა და თავბრუს მახვევდა. გაისმა მგლების ყმუილი, მაგრამ შესაძლოა უბრალოდ ყურები მიწუოდა. აქ ჩემი ძვირფასი მისის მინა გამახსენ-

და და ვითარება ძალიან მძიმედ მომეჩვენა. ჩემ წინაშე დილემა იდგა. მე არ გავრისკე მისი აქ წამოყვანა და წმინდა წრეში დავტოვე. თუმცა ვამპირი იქ ვერავითარ ზიანს ვერ მიაყენებდა, მაგრამ მგელს ადვილად შეეძლო მისვლა. იმ დასკვნამდე მივედი, რომ აქ მომიწევდა მუშაობა, რაც შეეხება მგლებს, ღვთის იმედად ვიქნებით. ამიტომ გადავწყვიტე, მუშაობა გამეგრძელებინა. ვიცოდი, რომ უკიდურეს შემთხვევაში სამ კუბოს ვიპოვიდი, ასე რომ, ძებნა დავიწყე და საბოლოოდ ერთ მათგანს მივაკვლიე. კუდიან ვამპირის ღრმა ძილით ეძინა. სიცოცხლითა და ავხორცული სილამაზით იყო სავსე, და მე შევკრთი კიდეც, რადგან მოსაკლავად ვარ მოსული. ოჰ, ეჭვი არ მეპარება, რომ ძველ დროში, როცა ასეთი ამბები ხდებოდა, ბევრი ფიქრობდა და ცდილობდა კიდეც იმავეს გაკეთებას, რასაც მე ვაპირებდი, მაგრამ შემდეგ რწმუნდებოდა, რომ ამის ძალა არ შესწევდა და თავს ანებებდა, სანამ ბოლოს და ბოლოს სილამაზე და მაცდუნებლობა - მანკიერი „ნოსფერატუ“ არ მოაჯადოებდა. ასეთ მდგომარეობაში მომხვდური ვეღარაფერს ბედავდა, მზე კი ეშვებოდა, და ვამპირიც იღვიძებდა. მაშინ ქერათმიანი ქალი ლამაზ თვალებს ახელდა და მას სიყვარულით შესცქეროდა, ხოლო ავხორცული ტუჩები მისკენ იწევდა საკოცნელად, ადამიანი სუსტდებოდა და ვამპირის ახალი მსხვერპლი აღმოჩნდებოდა ხოლმე.

ცდუნება ძალიან დიდი უნდა იყოს, რადგან მეც კი მაღელვებს ეს არსება, რომელიც ამ მტვერში მთელი საუკუნეების მანძილზე წევს. დიახ, ამან ძალიან ამაღელვა - მე, ვან ჰელსინკი, მიუხედავად ჩემი შეხედულებისა და მათისიძულვილისა. ამან ისე განმაცვიფრა, რომ სრულიად პარალიზებულად ვიგრძენი თავი. შესაძლოა, მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ დავიღალე და არ გამომიძინია. ვგრძნობდი, როგორ მერეოდა ძილი.

მაგრამ თავი შევიკავე და ჩემს საშინელ საქმეს შევუდექი. კუბოების გახსნისას კიდევ ერთი დაიკო ვიპოვე, შავგვრემანი. მისთვის არ შემიხედავს, რათა ცდუნებაში არ ჩავვარდნილიყავი, და ძიება გავაგრძელე, სანამ, ბოლოს და ბოლოს, მაღალ და დიდ კუბოში, რომელიც თითქოს ვიღაც ძვირფასი ახლობლისთვის იყო გაკეთებული, ის ქერათმიანი დაიკო არ ვიპოვე, რომელიც მე და ჯონათანმა ვნახეთ, როცა ნისლის ატომებისგან გაჩნდა. იგი ისეთი მშვენიერი იყო, ისე საოცრად ავხორცული, რომ ჩემში მამაკაცის ინსტინქტმა გაიღვიძა. მაგრამ მადლობა ღმერთს, ჩემი ძვირფასი მინას ხმა ისევ ყურებში მიდგას და სანამ ჯადოქრობა შემეხებოდა, მუშაობას შევუდექი. ამრიგად, სამლოცველოში ყველა კუბო ვნახე, და რადგანაც ღამით სულ სამი „ნოსფერატუ“ გამოგვეცხადა, ჩავთვალე, რომ მეტი „ნოსფერატუ“ აღარ იქნება-მეთქი. თუმცა, კიდევ ერთი კუბო ვიპოვე, უფრო დიდებული, ვიდრე ყველა დანარჩენი, კოლოსალური ზომისა და ნატიფი ფორმის. მას ერთი სიტყვა ეწერა - „დრაკულა“.

აი, თურმე სად არის ვამპირთა მეფის ბუნაგი, რომელმაც ამდენი სული დაღუპა! ცარიელი საფლავი მჭევრმეტყველურად ამტკიცებდა იმას, რაც მე ვიცოდი. მანამდე, ვიდრე ამ უბედურ ქალებს დავუბრუნდი, მე რამდენიმე ჯვარცმა ჩავდე დრაკულას კუბოში და ამგვარად განვდევნე იგი, „ნოსფერატუ“ იქიდან სამუდამოდ.

შემდეგ საშინელი მოვალეობის ასრულებას შევუდექი, თუმცა ძალიან მეზიზღებოდა.

ოჰ, ჯონ, ეს მართლაც ყასბის სამუშაოა! სხვა მკვდრებსა და ცოცხლებზე რომ არ მეფიქრა, რომლებსაც დიდი საფრთხე ემუქრებათ, ამას არასოდეს გადავწყვეტდი.

ვცახცახებ, ახლაც ვცახცახებ, თუმცა, მადლობა ღმერთს, ნერვებმა არ მიმტყუნა. რომ არ მენახა ის სიმშვიდე და ის სიხარული პირველი ქალის სახეზე, რაც მასზე აისახა მისი განადგურების წინ, როგორც მტკიცებულება იმისა, რომ სული გადარჩენილია, მე ვერ შევძლებდი ამ სისხლისღვრის გაგრძელებას. მინდოდა გავქცეულიყავი და ყველაფერი მიმეტოვებინა. მაგრამ ამჯერად ახდა! მეცოდება ეს საბრალო სულები, როცა ვიხსენებ, რა საშინელების გადატანა მოუხდათ, მაგრამ სამაგიეროდ ახლა ისინი ბუნებრივი სიკვდილის ძილით ტკბებიან, რადგან როგორც კი ჩემი დანა თავს ჰკვეთდა მათ, სხეული მაშინვე იფშვნებოდა და მტვრად იქცეოდა, თითქოს სიკვდილი, რომელიც ასი წლის წინ უნდა მოსულიყო, ახლა საბოლოოდ დამკვიდრდა და ხმამაღლა განაცხადა: „აი, მეც აქ ვარო“.

სანამ ციხესიმაგრეს დავტოვებდი, ყველა შესასვლელი ისე დავკეტე, რომ გრაფი უკვე ვეღარასოდეს შევა იქ, როგორც „ნოსფერატუ“.

როცა წრეში შევედი, სადაც მისის მინას ეძინა, მან გაიღვიძა და ჩემ დანახვაზე წამოიძახა:

- წავიდეთ! გავეცალოთ ამ საშინელ ადგილს! ჩემი ქმარი ვნახოთ, ვიცი, რომ აქ მოდის.

იგი ფერმკრთალი და დასუსტებული იყო, მაგრამ თვალები დაწმენდოდა და უბრწყინავდა. მიხაროდა კიდეც ფერწასულსა და სნეულს რომ ვხედავდი, რადგან ჯერ კიდევ თვალწინ მედგა მძინარე ვამპირის ღაჟღაჟა საშინელება.

ამრიგად, იმედიანად, თუმცა დიდი შეშფოთებით მივიწევთ აღმოსავლეთით, ჩვენი მეგობრებისა და იმის შესახვედრად, ვინც, მისის მინას თქმისა არ იყოს, თვითონ მოემართება ჩვენკენ.

მინა ჰარკერის დღიური

6 ნოემბერი.

უკვე ძალიან გვიან იყო, როცა პროფესორი და მე აღმოსავლეთით გავემართეთ ჯონათანის შესახვედრად. ნელა მივდიოდით, რადგან თუმცა გზა ციცაბოდ არ ეშვებოდა, ჩვენ მაინც თბილი საბნებისა და ტანსაცმლის დიდი მასის თრევა გვიწევდა. არც ერთი სახლი არ გვინახავს. ერთი მილის გავლის შემდეგ დავიღალე და დასასვენებლად ჩამოვჯექი. ჰორიზონტზე კარგად ისახეობდა დრაკულას ციხესიმაგრე. იგი მთელი თავისი მშვენიერებით წარდგა ჩვენს წინაშე, - ათასი ფუტის სიმაღლეზე, ციცაბო კლდეზე აგებული, - რომელსაც გარშემო ღრმა ხევი ერტყა და გარსშემოჯარული მთებისგან გამოყოფდა. რაღაც იდუმალი და პირველყოფილი იმალებოდა მთელ ამ გარემოში. შორს მგლების ყმუილი ისმოდა. იმის მიხედვით, თუ როგორ არჩევდა ადგილს ექიმი ვან ჰელსინკი, მე მივხვდი, რომ იგი რაღაც სტრატეგიულ პუნქტს ეძებდა, სადაც ვერავინ შეძლებდა ჩვენზე თავდასხმას.

მცირე ხნის შემდეგნ პროფესორმა დამიძახა. მე მშვენიერი ადგილი დავინახე კლდეში, რაღაც ბუნებრივი მღვიმის მაგვარი. ხელი მომკიდა და შემიყვანა.

- შეხედეთ! - მითხრა მან. - აქ დაცული იქნებით, ხოლო თუ მგლები მოვლენ, მათ რიგრიგობით დავხოცავ, ერთმანეთის მიყოლებით.

მერე ჩვენი საბნები შეათრია და მოხერხებული საწოლი გაამზადა, სურსათი ამოიღო და დამაძალა, მეჭამა. მაგრამ პირში ვერაფერს ვიდებდი, გასინჯვაც კი ზიზღს მგვრიდა. მიუხედავად იმისა, რომ მინდოდა, მისთვის მესიამოვნებინა, ვერაფრით ვძლიე თავს. მან ჩემოდნიდან ჭოგრიტი ამოიღო, კლდის წვერზე დადგა და ჰორიზონტს გახედა. უცებ შესძახა:

- შეხედეთ, მისის მინა, შეხედეთ! შეხედეთ!

ფეხზე წამოვხტი და მის გვერდით გავჩნდი, მან ჭოგრიტი გადმომცა დამიმითითა. იმ სიმაღლიდან, რომელზეც ჩვენ ვიდექით, შორეული ადგილები მოჩანდა. თოვლის თეთრი საბურველის მიღმა მდინარის შავი ზოლი იკლაკნებოდა. პირდაპირ ჩვენს წინ, ისე ახლოს, რომ გამიკვირდა კიდეც, ადრე როგორ ვერ შევნიშნეთ-მეთქი, მხედართა ბრბო მიაჭენებდა ცხენებს. მათ შუა ფურგონი მიგორავდა, რომელიც აქეთ-იქით ქანაობდა გზის უსწორმასწორობის გამო. ტანსაცმლის მიხედვით ისინი გლეხები ან ბოშები იყვნენ. ფორანზე დიდი ოთხკუთხა ყუთი იდო. გული სიხარულით ამიჩქროლდა, როცა ეს დავინახე, რადგან ვგრძნობდი, რომ დასასრული ახლოვდებოდა.

შებინდდა. არ დამვიწყებია, რომ მზის ჩასვლასთან ერთად არსება, რომელიც აქამდე უძლური იყო, კვლავ გაცოცხლდება, თავისი მრავალი ფორმიდან ერთ-ერთს მიიღებს და მდევრებს ხელიდან დაუძვრება. შიშით პროფესორისკენ შევბრუნდი, მაგრამ ჩემდა გასაოცრად ის იქ აღარ იყო. ცოტა ხანში ქვემოთ დავინახე. მან წრე შემოხაზა, ზუსტად ისეთი, როგორც ჩვენი გუშინდელი თავშესაფარი გახლდათ. როცა ამას მორჩა, დაბრუნდა და მითხრა:

- აქ თქვენ უსაფრთხოდ იქნებით.

მერე ჭოგრიტი გამომართვა, მაგრამ მალე თოვლი წამოვიდა და ყველაფერი დაფარა ჩვენგან.

- შეხედეთ, - თქვა მან, - ისინი ჩქარობენ, თავიანთ ცხენებს მიაჭენებენ და მთელი ძალით მიქრიან.

პროფესორი გაჩუმდა, შემდეგ ყრუ ხმით განაგრძო:

- ისინი მზის ჩასვლის გამო ჩქარობენ. შესაძლოა დავიგვიანოთ. დაე, იყოს ნება ღვთისა!

ისევ ბარდნა დაიწყო და ხილვადობა დაქვეითდა. მაგრამ მალე თოვა შეწყდა და ვან ჰელსინკმაც ხელახლა მიმართა თავისი ჭოგრიტი ხეობისკენ:

- შეხედეთ, შეხედეთ! შეხედეთ! ორი მხედარი მიქრის სამხრეთიდან მათ კვალდაკვალ. ეს, ალბათ, ქვინსი და ჯონია. ჭოგრიტი ინებეთ. შეხედეთ, სანამ თოვლმა არ დაფარა ყველაფერი!

ჭოგრიტი გამოვართვი და გავიხედე. ეს ალბათ ექიმი სიუარდი და მისტერ მორისია. ყოველ შემთხვევაში, ვიცოდი, რომ ეს ჯონათანი არ იყო. ამავე დროს დარწმუნებული ვიყავი, რომ ჯონათანი შორს არ იქნებოდა. ირგვლივ მიმოვიხედე და ჩრდილოეთით კიდევ ორი მხედარი შევნიშნე, რომლებიც სწრაფად გვიახლოვდებოდნენ.

მივხვდი, რომ ერთ-ერთი მათგანი ჯონათანი იყო, ხოლო მეორე, რა თქმა უნდა, ლორდი გოდალმინგი. ისინი ფორანს მოსდევდნენ. როცა ამის შესახებ პროფესორს ვუთხარი, მას ბავშვივით გაუხარდა

და ყურადღებით დაუკვირდა შორეთს, სანამ ისევ თოვლმა არ შეუშალა ხელი. მაშინ თავისი ვინჩესტერი მოამზადა და ჩვენი თავშესაფრის შესასვლელში დადო.

როცა თოვლბუქი დროებით ჩაცხრა, ჭოგრიტით ისევ გავიხედეთ. ყოველ მხარეს ვაკვირდებოდი და თოვლზე ნაკვალევები დავინახე, რომლებიც ხან ეულად მოძრაობდნენ, ხან მცირე, ხან კი დიდ ჯგუფებად - მგლები სანადიროდ ემზადებოდნენ. მოლოდინის წუთები მარადისობად გვეჩვენებოდა, ქარი ძლიერად ქროდა და გაშმაგებით ატრიალებდა თოვლს. ბოლო დროს ისე მივეჩვიეთ მზის ამოსვლისა და ჩასვლისათვის თვალთვალს, რომ ზუსტად შეგვეძლო მისი განსაზღვრა და წინასწარ ვიცოდით, როდის დაღამდებოდა.

ჩრდილოეთიდან ცივმა და ძლიერმა ქარმა დაუბერა. მან, როგორც ჩანდა, თოვლის ღრუბლები გარეკა, რადგან თოვა თითქმის შეწყდა. უკვე აშკარად შეგვეძლო გაგვერჩია თითოეული რაზმის წევრები, დევნილები და მდევრები. თითქოს დევნილები ვერ ამჩნევდნენ დევნას ან არ აქცევდნენ ყურადღებას. მაგრამ მაინც ჩანდა, რომ ისინი იმისდა კვალად ჩქარობდნენ, რაც უფრო დაბლა ეშვებოდა მზე მთათა მწვერვალებისკენ.

ისინი გვიახლოვდებოდნენ. პროფესორი და მე კლდეს ამოვეფარეთ და იარაღი გავამზადეთ. მივხვდი, რომ ვან ჰელსინკმა გადაწყვიტა, არ გაეშვა ისინი. ჩვენი აქ ყოფნა არავინ იცოდა. უცებ ორმა ხმამ შესძახა:

- შესდექ!

ერთი ხმა ჯონათანს ეკუთვნოდა, ძლიერ აღელვებული, ხოლო მეორე - მისტერ მორისს, მშვიდი ბრძანების გადამწყვეტ ტონში. ბოშებმა, როგორც ჩანს, არ იცოდნენ ეს ენა, მაგრამ ტონი გასაგები იყო. მათ ინსტინქტურად მოქაჩეს სადავეები, და იმავე წუთს მათთან ერთი მხრიდან ლორდი გოდალმინგი და ჯონათანი მიიჭრა, ხოლო მეორე მხრიდან - ექიმი სიუარდი და მისტერ მორისი. ბოშათა მეთაურმა, წარმოსადეგმა ჭაბუკმა, რომელიც კენტავრივით იჯდა ცხენზე, მკვეთრი ხმით უბრძანა თავის ამხანაგებს, გზა განაგრძეთო. მათ ცხენებს მათრახები გადაჰკრეს და ის-ის იყო, ისინიც წინ უნდა გაჭრილიყვნენ, რომ ოთხმა ჩვენიანმა შაშხანები ამოიღო და ბოშები იარაღის ძალით შეაჩერა. იმავე მომენტში ექიმი ვან ჰელსინკი გამოვიდა კლდიდან და მათ ვინჩესტერი მიუშვირა. როცა დაინახეს, რომ ყოველი მხრიდან ალყაში იყვნენ, სადავეები მოჭიმეს და შეჩერდნენ. მეთაურმა მათ რაღაც უთხრა, რის შემდეგაც ბოშებმა იარაღები დააძრეს - დანები და პისტოლეტები - თავდასხმისთვის მოემზადნენ. მეთაური სადავეების სწრაფი მოძრაობით დაწინაურდა, ჯერ მზეზე მიუთითა, რომელიც უკვე ჩადიოდა, ხოლო შემდეგ ციხესიმაგრეზე და მათ რაღაც უთხრა, რაც მე ვერ გავიგე. აქ ოთხივე ჩვენიანი ცხენებიდან ჩამოხტა და ფორანს მისცვივდა. საფრთხეს, რაც ჯონათანს ემუქრებოდა, არსებითად, უნდა შევეშინებინე, მაგრამ გარემოებამ ჩემზე ისევე იმოქმედა, როგორც ალბათ, მათზე: შიშს არ-ვგრძნობდი, მხოლოდ რაღაცის გაკეთების მძაფრ, უგუნურ სურვილს. ჩვენი ჯგუფის მოძრაობაზე ბოშათა მეთაურმა რაღაც განკარგულება გასცა და მისი ხალხი მაშინვე ფორანს მიაწყდა და მის გარშემო შეჯგუფდა. ამ არეულ-დარეულობაში მე დავინახე, როგორ მიიკვლევდნენ სხვადასხვა მხრიდან გზას ფორანისკენ ჯონათანი და ქვინსი. აშკარა იყო, რომ მათ განზრახული ჰქონდათ მზის ჩასვლამდე მოეთავებინათ საქმე. თითქოს არაფერს შეეძლო მათი შეკავება. არც მათი მკერდისკენ მიშვერილ თოფებს, არც მოელვარე დანებს,

არც მგლების ყმუილს ზურგს უკან - ყურადღებას არაფერს აქცევ-დნენ. ჯონათანის უდიერობა და მიზანსწრაფულობა კრძალულ შიშს აღძრავდა და ისინი გზიდან ჩამოეცალნენ. იგი მყისვე ახტა ფორან-ზე, არაადამიანური ძალისხმევით ასწია უზარმაზარი ყუთი და მიწა-ზე გადმოაგდო. მისტერ მორისმა ყოველ ღონეს მიმართა, რათა ბო-შათა რკალი გაერღვია. მთელი ამ ბრძოლისათვის თვალი არ მომი-შორებია: ბოშათა მოლაპლაპე დანები და უზარმაზარი ბებუთი, რომლითაც მისტერ მორისი იგერიებდა დარტყმებს. შვებით ამოვი-სუნთქე, დარწმუნებულმა, რომ მან უვნებლად გადარჩენა მოახერ-ხა. მაგრამ იმ მომენტში, როცა ის ჯონათანის უკან დადგა, რომელიც ფორანიდან ჩამოხტა, დავინახე, რომ ფერდზე იდებდა მარცხენა ხელს და თითებს შორის სისხლი მოწვეთავდა. ამასთან, იგი თით-ქოს ყურადღებას არ აქცევდა ამ სამწუხარო დაბრკოლებას, და მა-შინ, როცა ჯონათანმა საშინელი ძალით დასცხო თავისი დანა ყუთის სახურავს, მისტერ მორისმაც იგივე გააკეთა. ორივე მამაკაცის და-წოლით სახურავი ჯერ დამორჩილდა, ლურსმნები საშინელი ჭრი-ალით ამოსძვრა - და აი, საბოლოოდ, ზედა ნაწილი გვერდზე გადა-ვარდა.

ბოშები, რომლებიც მიხვდნენ, რომ სამიზნეზე იმყოფებოდნენ, ლორდ გოდალმინგსა და ექიმ სიუარდს დამორჩილდნენ. მზე თით-ქმის ეხებოდა მთათა მწვერვალებს და თოვლზე გრძელი ჩრდილები ეფინებოდა. მე დავინახე, რომ გრაფი ყუთიდან გადმოვარდა. მას მკვდრისფერი ედო, მისი სახე ცვილისაგან გამოძერწილს ჰგავდა, წითელი თვალები შურისმგებლურად უელავდა. ოჰ! ძალიან კარგად ვიცოდი ეს მზერა.

ამასობაში გრაფმა ჩამავალი მზე დაინახა და სიძულვილის გა-მომეტყველება ტრიუმფით შეეცვალა.

მაგრამ იმავე წამს ჯონათანმა თავისი უზარმაზარი დანა დაიძრო. შევკრთი იმის დანახვაზე, როგორ გაიარა დანის პირმა გრაფის ყელში, ხოლო მისტერ მორისის ბებუთი შიგ გულში ჩაესო.

ამის დაჯერება შეუძლებელი იყო, მაგრამ ზუსტად ჩვენს თვალწინ, რაღაც წამებში, გრაფის სხეული მტვრად იქცა და გაქრა.

მე ბედნიერი ვიქნებოდი, დამტკიცება რომ შემეძლოს, მაგრამ გაქრობამდე, უკანასკნელ წამს, გრაფის სახეზე არამიწიერი სიმშვიდის ისეთი გამომეტყველება შევნიშნე, როგორიც ვერც კი წარმომედგინა.

დრაკულას ციხესიმაგრე ალისფერი ზეცის ფონზე აღმართულიყო და მზის უკანასკნელ სხივებში მისი დაკბილული კედლების ყოველი ქვა იყო შესამჩნევი.

ბოშები, რა დაინახეს, რომ გრაფის სხეულის დაუჯერებელი გაქრობა ჩვენი მიზეზით მოხდა, შებრუნდნენ და გაიფანტნენ. ისინი, ვისაც ცხენები არ ჰყავდა, ფორანს ებღაუჭებოდნენ და მეეტლეს ევედრებოდნენ, არ დაგვტოვოო. მგლებმა უსაფრთხო მანძილზე დაიხიეს და ნელა შეჯგუფდნენ ტყესთან.

მისტერ მორისი მიწაზე დაეცა და იდაყვზე დაყრდნობილმა მაგრად მიიკრა ხელი ფერდზე. სისხლი ისევ მოსდიოდა. წმინდა წრე აღარ მაკავებდა. მე და ორივე ექიმმა მისტერ მორისთან მივირბინეთ. ჯონათანი მის გვერდით მუხლებზე დაეშვა და დაჭრილმა მხარზე დაადო თავი. შემდეგ სუსტად ამოიოხრა და გაჭირვებით აიღო ჩემი ხელი. მან, ალბათ, დაინახა, როგორი ტანჯვით მქონდა გული სავსე, რადგან გაიღიმა და თქვა:

- რა ბედნიერებაა, რომ ვიღაც ზრუნავს შენზე... ოჰ ღმერთო! - შესძახა მან, უცებ, წამოიწია და ჩემზე მიანიშნა, - შეხედეთ!

მზე თითქოს მთაზე გაწოლილიყო და ცეცხლოვანმა ციალმა ჩემი სახე ვარდისფრად შეაფერადა. მამაკაცები მუხლებზე დაეშვნენ და ამაღლებული „ამინ“ მოსწყდა მათ ბაგეებს. მომაკვდავმა კი ჩაილაპარაკა:

- ღმერთო, მადლობელი ვარ იმისათვის, რომ ჩვენს შრომას ამაოდ არ ჩაუვლია! შეხედეთ! მისი შუბლი თოვლზე წმინდა და სპეტაკია - ჯადო მოიხსნა!

და, ჩვენი მწარე ქვითინის ფონზე, მშვიდი და ღიმილით გაცისკროვნებული სახით განუტევა სული - უკეთილშობილესმა ადამიანმა.

შენიშვნა:

შვიდი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დამთავრდა ჩვენი ფათერაკები და ახლა დაჯილდოებული ვართ განვლილი ტკივილისათვის. კიდევ უფრო მეტად სასიხარულოა მინასა და ჩემთვის ის, რომ ჩვენი ბიჭუნა იმავე რიცხვში დაიბადა, როცა ქვინსი მორისი გარდაიცვალა. ჩემს ცოლს იმედი აქვს, რომ ბავშვზე გადმოვა ამ ადამიანის ამაღლებული და მამაცი სულის ნაწილი. მას ქვინსი დავარქვით.

ამ ზაფხულს ტრანსილვანიაში გავემგზავრეთ და ის ადგილები მოვინახულეთ. ძალზე ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს ყველაფერი სინამდვილეში მოხდა. ვცადეთ, მეხსიერებიდან ამოგვეშალა ეს მოგონებები. ციხესიმაგრე ისევ დგას, გავერანებულ არემარეზე ამაღლებული.

როცა დავბრუნდით, წარსულ დროებას ვიხსენებდით, რაც უკვე აღარ გვზარავს. სეიფიდან ქაღალდები გამოვიღე, - ჯერ კიდევ იმ დროსშეწყობილი. გაოცებული დავრჩით, როცა ვნახეთ, რომ მანქანაზე გადაბეჭდილი გვერდების მთელი გროვიდან მხოლოდ ჩემი გვიანდელი დღიურები, მინასა და სიუარდის უბის წიგნაკები და ვან ჰელსინკის მემორანდუმი წარმოადგენს იმ ყველაფრის ნამდვილად დოკუმენტურ მტკიცებულებას, რაც ჩვენ გადავიტანეთ. ვან ჰელსინკმა ყველაფერი შეაჯამა, ჩვენი ბიჭუნა მუხლებზე დაისვა და განაცხადა:

- ჩვენ არ გვჭირდება მტკიცებულება! ჩვენ არავის ვთხოვთ დაჯერებას! ოდესმე ეს ბიჭუნა აღმოაჩენს, როგორი გულადი დედა ჰყავს. ჯერ მხოლოდ მისი ზრუნვა და ალერსი იცის, მაგრამ მოგვიანებით გაიგებს, რატომ უყვარს რამდენიმე მამაკაცს ეს ქალი სიცოცხლეზე მეტად.